

დინამაურის და სასჯელის თეორიები

თარგმანების კრებული

დანაშაულის და სასჯელის თეორიები
თარგმანების კრებული სტუდენტებისთვის

2022

სახელმძღვანელო მომზადდა პროექტის ,,დანაშაული და სასჯელი: კრიტიკული პერსპექ-ტივები“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) და კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმის მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

მთარგმნელთა ჯგუფი: გიორგი ღვინჯილია, ნინო ზარანდია, თეკლა ზუხბაია, მარიამ ბეგაძე, ნინო კარანაძე

კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი: კოტე ერისთავი

კორექტურა: თამარ პაიჭაძე

დამკაბადონებელი: თამარ ხურცილავა

კრებული ვრცელდება ელექტრონული ფორმის სახით.

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

© საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

© კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

პუბლიკაცია მომზადდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ მხარდაჭერილი ნებისმიერი პუბლიკაციის კომერციული მიზნებით გამოყენება, იკრძალება ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
ნ. რამიშვილის ჩიხი1, #1, 0179
თბილისი, საქართველო

სარჩევი

თავი 1. დანაშაული და დანაშაულებრივი ქცევის ამხსნელი მოდელები..... 8
როჯერ ჰოპკინს ბურკი
თარგმნა ნინო ზარანდიამ და თეკლა ზუხბაიამ

1.1 დანაშაული და დანაშაულებრივი ქცევის ამხსნელი რაციონალური აქტორის მოდელი 8
1.1.1 კლასიკური კრიმინოლოგია 12
1.1.2. პოპულისტური კონსერვატული კრიმინოლოგია..... 21
1.1.3. რაციონალური აქტორის თანამედროვე თეორიები..... 30
1.2 დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელი.. 41
1.3 დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის ახსნის ვიქტიმიზირებული აქტორის მოდელი. 42
1.3.1. იარლიყის მიკერების თეორია..... 42
1.3.2. კონფლიქტისა და რადიკალური თეორიები..... 53
1.3.3. გენდერული კრიმინალი..... 64
1.3.4. კრიტიკული კრიმინოლოგია..... 75

თავი 2. დანაშაული და სასჯელის პოლიტიკური ეკონომიკა 85

2.1 დასჯის პოლიტიკური ეკონომიკა და სასჯელის სოციოლოგია..... 85
ალესანდრო დი გიორგი, თარგმნა ნინო ზარანდიამ
2.2 პოლიტიკური ეკონომიკა, დანაშაული და სისხლის სამართლის სისტემა..... 103
რობერტ რაინერი, თარგმნა ნინო ზარანდიამ
2.2.1. პოლიტეკონომიკა და პოზიტივისტური კრიმინოლოგია..... 103
2.2.2. პოლიტეკონომიკა და რადიკალური კრიმინოლოგია..... 106
2.2.3. ეკონომიკური ფაქტორები და დანაშაული: ემპირიული მონაცემები..... 110
2.3 დანაშაული და კაპიტალი: დანაშაულის და სასჯელის მარქსისტული თეორიის ხელახალი გააზრება 128
კრეგ ვორალი, თარგმნა ნინო ზარანდიამ
2.4 სასჯელი და სახელმწიფოს მშენებლობა პოსტ-საბჭოთა საქართველოში..... 140
გევინ სლეიდი, თარგმნა მარიამ ბეგაძემ

თავი 3. დასჯა და ძალაუფლების ტექნოლოგიები: მიშელ ფუკო 156
დევიდ გარლანდი
თარგნა გიორგი ღვინჯილიამ

თავი 4. სადამსჯელო პოპულიზმი 177
უილიამ რ. ვუდი
თარგნა ნინო ზარანდიამ

თავი 5. ნულოვანი ტოლერანტობის კულტურული და სიმბოლური რეზონანსი თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში 182
ქარიმ ისმაილი
თარგნა ნინო კარანაძემ

წინასიტყვაობა

ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) და კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმის მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტის, „დანაშაული და სასჯელი: კრიტიკული პერსპექტივები," მიზანი დანაშაულისა და სასჯელის საკითხების ინტერდისციპლინური კვლევის, სწავლებისა და საჯარო დისკუსიის წახალისება იყო. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ინტერდისციპლინარული სასწავლო კურსი, რომელიც იყენებს კრიმინოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიკის, სოციოლოგიისა და პოლიტიკის თეორიის პერსპექტივებს და, მათ შორის ქართულ კონტექსტში, აანალიზებს დანაშაულის გაგებას, მის მიზეზებსა და შედეგებს, ისევე, როგორც სახელ-მწიფოს სადამსჯელო მექანიზმების როლს სოციალური კონტროლისა და ძალაუფლების ინტერესების განმტკიცებაში. წინამდებარე თარგმანების კრებული აღნიშნული სასწავლო კურსის დამხმარე სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

კრებულში იხილავთ კლასიკური კრიმინოლოგიისა და დანაშაულისადმი მემარჯვენე მიდგომების მიმოხილვას, რომლებიც 1970-იან და 1980-იან წლებში ძლიერდება დასავლურ აკადემიასა და პოლიტიკურ დისკურში. თუმცა კრებულის მთავარი ფოკუსი დანაშაულისა და სასჯელის საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომებია. კერძოდ, კრებული აერთიანებს კრიტიკული კრიმინოლოგიისა და სასჯელის სოციოლო-გიის წამყვანი სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების რელევანტურ ნაწილებს. ზოგადად, კრიტიკული თეორიული პერსპექტივა ფარული დაშვებების, დამკვიდრებული შეხედულებების, 'თავისთავადი ჭეშ-მარიტებების' გამოკვეთას, ანალიზსა და მორყევას ცდილობს. ამავე დროს, ეს პერსპექტივა პოლიტიკურია, იკავებს რა საზოგადოების ეკონომიკურად და სოციალურად გარიყული, ჩაგრული ნაწილის მხარეს და არსებულ წესრიგში ინტერვენციის გზით მის გარდაქმნას ცდილობს. უშუალოდ დანაშაულის და სასჯელის კრიტიკული თეორიები უპირისპირდება მეინსტრიმულ მიდგომებს, რომლებიც ძირითადად დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენაზეა ფოკუსირებული, ხოლო დასჯის ინსტიტუტს მხოლოდ დანაშაულზე რეაგირების მეორადი ფუნქციის ჭრილში უყურებს, რომელსაც არ აქვს დანაშაულის კონტროლისგან დამოუკიდებელი მიზნები. კრიტიკული მიდგომები გვთავაზობს დანაშაულებრივი ქმედებებისა და სადამსჯელო სისტემების ახსნას საზოგადოებაში ძალაუფლებისა და რესურსების უთანასწორო განაწი-ლებასა და კლასობრივ, რასობრივ თუ გენდერულ ჩაგვრაზე დაკვირვებით. კრიტიკული ინტერვენციის მიზანი არა არსებული სისხლის სამართლის სისტემის უბრალო რეფორმირება, არამედ იმ იდეოლოგიური კატეგორიების, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ანალიზი და კრიტიკაა, რომლის მიხედვითაც კონკრეტული ქმედების კრიმინალიზება და მასზე რეაგირება ხდება, ისევე, როგორც ძალაუფლების მიერ სასჯელის ფორმების განსაზღვრა და გამოყენება.

დანაშაულისა და სასჯელის საკითხების კრიტიკული ანალიზი განსაკუთრებით რელევანტურია თანამედ-როვე ქართული სოციალური რეალობის გასაგებად და ასახსნელად. 2004-2012 წლებში, სახელმწიფო სასჯელი ფართომასშტაბიანი რეფორმების მთავარ ინსტრუმენტად იქცა (Slade 2017). სისხლის სამართ-ლის კანონმდებლობისა და სადამსჯელო პოლიტიკის გამკაცრებას მასობრივი დაპატიმრებები და ციხეებში სისტემური ძალადობა მოჰყვა (ფონდი ღია საზოგადოება 2014). ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც,

სისხლის სამართლისა და სადამსჯელო პოლიტიკა მმართველობისა და სოციალური კონტროლის მთავარ იარაღად რჩება (EMC 2021).

კეთილდღეობის ინსტიტუტების შესუსტების პარალელურად სახელმ-წიფოს სადამსჯელო აპარატის გაძლიერება, - რაც განვითარებული ქვეყნების დიდ ნაწილში 1970-იანი და 1980-იანი წლებიდან შეინიშნება, ხოლო ნეოლიბერალურ გლობალიზაციასთან ერთად მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც ვრცელდება, არა ერთი მნიშვნელოვანი კვლევის საფუძველი გამხდარა (Garland, Wacquant). სამწუხაროდ, ქართულ კონტექსტში, სისხლის სამართლის პოლიტიკის თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლების შესწავლა და დანაშაულისა და სასჯელის სოციოეკონომიკურ პროცესებთან მიმართებით ანალიზი, ისევე, როგორც ამ საკითხებზე ქართულენოვანი ლიტერატურა ძალიან მწირია (ინგლისურ-ენოვანი ლიტერატურიდან იხილეთ Slade, 2017, 2018; Slade and Tangiashvili, Slade and Kupatadze).

წინამდებარე სახელმძღვანელო იქნება ერთგვარი შესავალი სფეროთი დაინტერესებული სტუდენტე-ბისთვის და მკვლევრებისთვის და ხელს შეუწყობს დანაშაულისა და სასჯელის მნიშვნელოვან საკით-ხებზე სწავლებას, კვლევას და საჯარო დისკუსიას.

ბიბლიოგრაფია:

“დანაშაული და გადამატებული სასჯელი: საქართველოს საპატიმროებში ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბი და მიზეზები” - საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი, 2014 წელი.

დანაშაულის და სასჯელის პოლიტიკა საქართველოში, EMC, 2021

გევინ სლეიდი, სასჯელი და სახელმწიფოს მშენებლობა პოსტსაბჭოთა საქართველოში, EMC, 2017 წელი, (ამ კრებულში)

Nodar Tangiashvili and Gavin Slade, “Zero-Tolerance Schooling” ,Post-Soviet Affairs, 416

Gavin Slade and Alexander Kupatadze, “Popular Punitiveness”, Europe-Asia Studies, 879-896

Wacquant, Loïc J. D. 2009. Punishing the poor: the neoliberal government of social insecurity. Durham [NC]: Duke University Press.

Garland, D. (2002). The culture of control: crime and social order in contemporary society. Chicago, University of Chicago Press.

თავი 1 - დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის ამხსნელი მოდელები[1]

თარგმნა თეკლა ზუხბაიამ და ნინო ზარანდიამ.

1.1. დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის ამხსნელი რაციონალური აქტორის მოდელი

დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის პირველი ამხსნელობითი ტრადიცია, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში ჩამოყალიბდა რაციონალური აქტორის მოდელი იყო. მის პირველსაწყისებს ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ იდეებში შეგვიძლია მივაკვლიოთ. ეს იდეები, რომლებიც მე-17 და მე-18 საუკუნეებში განვითარდა, უკიდურესად კრიტიკული მიდგომით გამოირჩეოდნენ არსებული წესრიგისა და ბუნებრივი სამყაროს რელიგიური ინტერპრეტაციების მიმართ. სოციალური ცვლილებების პერიოდისთვის ინტელექტუალური საფუძველი იდეების ორმა ძირითადმა ნაკრებმა შექმნა: სოციალური კონტრაქტის თეორიამ და უტილიტარიანიზმმა.

სოციალური კონტრაქტის თეორიების არსი ლეგიტიმური მთავრობის ცნებიდან გამომდინარეობს, რომელიც თავის მხრივ, ვერ ჰპოვებს განხორციელებას თავისუფალი ადამიანების ნებაყოფლობითი შეთანხმების გარეშე. ამ ტრადიციის წამყვანი თეორეტიკოსები არიან - თომას ჰობსი, ჯონ ლოკი და ჟან-ჟაკ რუსო. მათი კრიტიკა მონარქების, ეკლესიისა და არისტოკრატიის შეუზღუდავ ძალაუფლებას მიემართებოდა. ამ კრიტიკამ წინაპირობა შეუქმნა თავდასხმებს სამართლებრივ სისტემასა და პრაქტიკებზე, რომელსაც ბენთამმა და ბეკარიამ მოგვიანებით უფრო ორგანიზებული ხასიათი მიანიჭეს. მათ ამასთანავე ერთგვარი საფუძველიც შეუქმნეს დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის ამხსნელ რაციონალური აქტორის მოდელს.

თომას ჰობსი (1588-1678) გამოკვეთდა ადამიანის მიერ თავისუფალი ნების განხორციელების, როგორც ლეგიტიმური საზოგადოებრივი შეთანხმების არსებობის საფუძვლის მნიშვნელობას. შეთანხმების შესრულებას სასჯელის შიში განაპირობებს, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმებაში შესვლა და მისი პირობების შესრულება თავისუფალ ნებაზე იქნება დამყარებული. ჰობსი კაცობრიობას უფრო ნეგატიურ ჭრილში განიხილავდა და სოციალური ინსტიტუციების საჭიროების საკითხზე მსჯელობდა (რაც, ამავდროულად, თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემის იდეის პირველსაწყისებს წარმოადგენს) სოციალური კონტრაქტის მხადაჭერისა და კანონების აღსრულებისთვის. ის ამტკიცებდა, რომ „ბუნებით მდგომარეობაში, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანების ცხოვრებაში გარე ჩარევის გარეშე - ადამიანების რეალობა იქნებოდა „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“, ხოლო ცხოვრება „საზიზღრი, სასტიკი და ხანმოკლე“ იქნებოდა. ამგვარად, მან დაასკვნა, რომ ადამიანები ნებაყოფლობით უნდა დაემორჩილონ აბსოლუტური მმართველის ან ინსტიტუციის, იგივე ლევიათანის,

[1] Hopkins Burke, Roger. 2013. Introduction to Criminological Theory, An. Milton: Taylor & Francis

ძალაუფლებას, რომელიც სოციალურ-პოლიტიკური ხელშეკრულების შედეგად ლეგიტიმურად აღასრულებს ადამიანებს შორის დადებულ შეთანხმებებს (Hobbes, 1968).

ჯონ ლოკს (1632-1704) „ბუნებით მდგომარეობაში“ ადამიანთა ყოფაზე უფრო კომპლექსური ხედვა ჰქონდა და ამტკიცებდა, რომ ბუნებითი კანონები აყალიბებს და იცავს სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების ფუნდამენტურ უფლებებს: ეს ის ძირითადი ნააზრევია, რამაც მოგვიანებით აშშ-ს კონსტიტუციური შეთანხმებები ჩამოაყალიბა. ლოკის მოსაზრებით, ღმერთმა (ქრისტიანული გაგებით) ყველა ადამიანს „სამყაროს ნაყოფზე“ თანაბარი წვდომა მიანიჭა, მაგრამ ამავდროულად, საკუთრების ინდივიდუალური უფლებების ლეგიტიმური არსებობის დასაბამი იმ წუთიდან იღებს სათავეს, როდესაც დედამიწის ნაყოფი შრომას შეერწყა (მაგალითად, სიმინდის მოყვანა ან მინერალების მოპოვება). მიუხედავად ამისა, ადამიანებს ბუნებრივი ვალდებულება აქვთ, არ დააგროვონ იმაზე მეტი მიწა ან საქონელი, ვიდრე გამოყენებას შეძლებენ. თუ ადამიანები ამ ბუნებრივი კანონის შესაბამისად იმოქმედებენ, მაშინ ბუნებრივი რესურსების მკაცრად თანაბარი გადანაწილება იქნებოდა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ეგალიტარიანიზმისკენ მიმართული ბუნებრივი პოტენციალი ფულადი ეკონომიკის მიერ შექმნილი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, რამაც, თავის მხრივ, ადამიანებს ინდივიდუალურ სარგებელზე გათვლილ მეტ საქონელსა და მიწაზე მისცა კონტროლის დამყარების შესაძლებლობა.

ლოკი ბუნებრივი მდგომარეობიდან პოლიტიკურ საზოგადოებაზე გადასვლას იმ სურვილების, კონ-ფლიქტებისა და ეთიკური გაურკვევლობის პასუხად განიხილავდა, რომელიც ფულის მოხმარების ზრდამ და მატერიალურმა უთანასწორობამ გამოიწვია. ამგვარად, პოლიტიკური ინსტიტუციების გაფართოება საჭირო გახდა უთანასწორობის პრობლემის შესამსუბუქებლად, რომელიც ბუნებრივი კანონის დამახინჯებით იყო განპირობებული. ლოკისთვის საზოგადოებრივი შეთანხმებები სამ ეტაპად ვითარდება. პირველ ეტაპზე, ადამიანები ერთხმად უნდა შეთანხმდნენ, გაერთიანდნენ, როგორც საზო-გადოება და თავი მოუყარონ თავიანთ ბუნებრივ ძალებს, რათა ერთობლივად იმოქმედონ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და განამტკიცონ ერთმანეთის ბუნებითი უფლებები. მეორე ეტაპზე, ამ საზოგადოების წევრები, უმრავლესობის ნების თანახმად, უნდა შეთანხმდნენ ინდივიდუალურად ან პოლიტიკური წარმომადგენლების მეშვეობით, იმ გადასახადების შესახებ, რომლებიც დაეკისრებათ.

ლოკი არ ეთანხმებოდა ჰობსს, რომლის აზრითაც ადამიანები უნდა დაექვემდებარონ ლევიათანის აბსო-ლუტურ მმართველობას და ამტკიცებდა, რომ ადამიანების სიცოცხლის და თავისუფლების ბუნებითი უფლებებს ღმერთისგან მომდინარეობს და მათი დაცვა ერთობლივი ძალებით უნდა უზრუნველყონ. შესაბამისად, ამ უფლებების სხვა რაიმე შეუზღუდავი ძალაუფლებისთვის გადაცემის უფლებამოსილება არ გააჩნიათ. მეტიც, ის ამტკიცებდა, რომ ხელისუფლება სწორედ საკუთრების უფლების დაცვის მიზნით და არა მისი ხელყოფისთვის ჩამოყალიბდა. ამგვარად, ის ვერ მიითვისებს ან გადაანაწილებს საკუთრებას თანხმობის გარეშე. ადამიანის მიერ შექმნილი კანონების ამოცანას ბუნებითი კანონებისა და უფლებების ჩანაცვლება კი არა, კანონებისთვის მეტი სიზუსტის, სიცხადის მინიჭება წარმოადგენს, ამავე კანონების მიუკერძოებელი აღსრულებით, რაც ბუნებით მდგომარეობაში მიუღწეველი იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლოკი შედარებით ოპტიმისტურად განიხილავდა ბუნებით მდგომარეობაში ადა-მიანის პოტენციალს, ის კონფლიქტისა და კორუფციის გარდაუვალ შესაძლებლობასაც განჭვრეტდა, რომელიც ადამიანის საქმიანობის გამრავალფეროვნებასა და ფულის „გამოგონებასთან“ ერთად წარმოიშობოდა. თუ ბუნებითი უფლებები უნდა შენარჩუნდეს, მაშინ საჭიროა ინსტიტუციების კონსესუალურმა განვითარებამ მეტი სიზუსტე და სიცხადე შეიტანოს სიცოცხლის, თაივსუფლებისა და

საკუთრების უფლებებში. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ინსტიტუციებმა ყველა თანაბრად უნდა შეზღუდოს სოციალური ჰარმონიის მისაღწევად (Locke, 1970).

ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) ახლადწარმოქმნილი თანამედროვე სამყაროს ზოგიერთი ასპექტის მკაცრი კრიტიკოსი იყო და ამტკიცებდა, რომ მეცნიერებისა და წიგნიერების გავრცელება მორალური ზიანის შემცველია. რუსო ხაზს უსვამდა იმას, რომ ადამიანები ველური ბუნებითი მდგომარეობიდან განვითარდნენ, სადაც იზოლირებული, გონებაშეზღული ინდივიდები მშვიდად ცხოვრობდნენ, ერთგვარი „კეთილშობილი ველურებივით“. რუსი (Rousseau, 1964) თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ ადამიანები ბუნებრივად თავისუფალი და თანასწორნი არიან და მათ თვითგადარჩენის ინსტინქტი და სიბრალულის გრძნობა ამოძრავებთ. თუმცა, ადამიანების ჯგუფებად და საზოგადოებებად გაერთიანებასთან და იმ თემობრივ საქმიანობაში ჩართვასთან ერთად, რომელიც კანონებსა და წესებს აძლევს დასაბამს, „ბუნებრივი ადამიანიც“ კონკურენტულ და ეგოისტ „სოციალურ ადამიანად“ ჩამოყალიბდა, რომელსაც რაციონალური გათვლის უნარი შესწევს და განზრახვით აყენებს ზიანს სხვებს. ამგვარად, რუსო სოციალურ ცვლილებებს შედარებით პესიმისტურად უყურებდა და დარწმუნებული იყო, რომ ადამიანები არ პროგრესირებდნენ. ცივილიზაცია მისთვის კაცობრიობის ძღვენს კი არა, „არაბუნებრიობას“ უფრო წარმოადგენდა, რომლის თანმსდევი დანაკარგებიც სარგებელს ბევრად აღემატება.

მის გვიან ნაშრომებში რუსო მეტნაკლებად ოპტიმისტურ დამოკიდებულებას ავლენს კაცობრიობის მომავალთან დაკავშირებით. ის მაინც იმას ამტკიცებდა, რომ ისტორიის დასაბამს ადამიანები არსებითად თანასწორი, თავისუფალი ინდივიდები იყვნენ, ხოლო მორალური გარყვნა და უსამართლობა მას შემდეგ წარმოიშვა, რაც ადამიანებმა საზოგადოების უფრო კომპლექსური ფორმები განავითარეს და ერთმანეთზე გახდნენ დამოკიდებული, რამაც ექსპლუატაციისა და იმედგაცრუების რისკები წარმოშვა. თუმცა, შედარებით გვიან ნაშრომებში მან საზოგადოების მორალური გარყვნის შესაჩერებლად ისეთი პოლიტიკური გამოსავლები დასახა, სადაც იმგვარი კანონების ჩამოყალიბებას ასაბუთებდა, რომლებიც თითოეულ ინდივიდს თანაბრად გაითვალისწინებდა და თითოეულ მათგანს კანონების ამოქმედებაზე ხმის მიცემის თანაბარ უფლებას მიანიჭებდა.

რუსომ საერთო ნების კონცეფცია განავითარა და შენიშნა, რომ ინდივიდუალური, პირადი ინტერესის გარდა, ადამიანებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის კოლექტიური ინტერესიც გააჩნია. მართლაც, რუსომ კანონებისა და პოლიტიკური საზოგადოების საფუძვლებს „საერთო ნებაში“ მიაკვლია - მოქალაქეების სხეული, როგორც მთლიანობა, რომელიც თავისუფლად ირჩევს იმ კანონებს, რომლებიც ყველა მოქალაქეზე თანაბრად გავრცელდება.

რუსოს ნაშრომი ფრანგული მონარქიული ძველი რეჟიმისთვის რადიკალურ დემოკრატიულ გამოწვევას წარმოადგენდა. მისი მოსაზრებით, სუვერენი არა მეფე, არამედ მოქალაქეების კოლექტიური სხეული უნდა იყოს, ხელისუფლებამ კი მისი ინტერესები უნდა წარმოადგინოს. მხოლოდ ამგვარად შეძლებდნენ ინდივიდებსი თავისუფლად მიეცათ ხმა და დამორჩილებოდნენ სამართალს, როგორც საერთო სიკეთის გამოხატულებას, საკუთარ ინტერესებთან და საჭიროებებთან შეწინააღმდეგების გარეშე.

რუსო მიიჩნევდა, რომ მან ადამიანის ეგოიზმისა და კოლექტიური ინტერესების დილემა ამოხსნა, რომელიც ჯერ კიდევ ჰობსმა წარმოგვიდგინა. მეტიც, რუსომ ეს სამოქალაქო თავისუფლების პოზიტიური და აქტიური ფორმის პოტენციური არსებობის უარყოფის გარეშე მოახერხა, რომელიც ლეგიტიმური პოლიტიკური საზოგადოებისთვის თავგანწირვას ეფუძნებოდა.

საზოგადოებრივი შეთანხმების თეორიები მთავრობის პრემოდერნული ფორმების უძლეველ კრიტიკას წარმოგვიდგენენ, რომლებიც უკიდურესად რელევანტურია დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის რაციონალური აქტორის მოდელის განვითარებისთვის, რადგან: 1. ამტკიცებენ, რომ ოდესღაც ადამიანები „უმწიკვლოების“, "მოწყალებისა“ და ბუნებრიობის ხანაში ცხოვრობდნენ; 2. აღიარებენ, რომ კაცობრიობა თავისი პრიმიტიული მდგომარეობიდან განვითარდა, რასაც თან სდევდა გონის გამოყენება - პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ინდივიდების მიერ მისი მნიშვნელობისა და შედეგების მიღება; 3. ადამიანის „ნება“ აღიარებულია, როგორც ფსიქოლოგიური რეალობა, - ანუ ადამიანის უნარი, რომელიც ქცევას აკონტროლებს და არეგულირებს - და ზოგადად, თავისუფალია. 4. საზოგადოებას აქვს სასჯელის დაკისრების „უფლება“ მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლება სახელმწიფოს, აკრძალული ქმედების დამსჯელ სისტემას ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, „სისხლის სამართლის“ კოდექსს გადაეცა.

ამგვარად, ადამიანები „რაციონალურ აქტორებად“ განიხილებიან, რომლებიც თავისუფლად ირჩევენ შეთანხმებაში შესვლას და სხვებთან ერთად სამოქალაქო ვალდებულებების შესრულებას. კანონები შეგვიძლია, ლეგიტიმურად გამოვიყენოთ მორჩილების უზრუნველყოფისთვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი საზოგადოებრივი შეთანხმების მონაწილე მოქალაქეების მიერ სათანადოდ იქნა მხარდაჭერილი.

რაციონალური აქტორის მოდელის განვითარებაში შემდგომი მნიშვნელოვანი ინტელექტური წვლილი ფილოსოფიური ტრფადიცია იყო, რომელსაც უტილიტარიანიზმი ეწოდება. არსებითად, უტილიტა-რიანიზმი ღონისძიებების, პოლიტიკების, გადაწყვეტილებებისა და არჩევნის სისწორეს აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ანიჭებენ ისინი „ბედნიერებას“ მათ, ვიზეც ზეგავლენას ახდენენ. ამ ტრადიციას ყველაზე მჭიდროდ უკავშირდებიან პოლიტიკური ფილოსოფები ჯერემი ბენთამი და ჯონ სტიუარტ მილი.

ჯერემი ბენთამი (1748-1832) მიიჩნევდა, რომ ადამიანის ქმედებები მისაღებია, თუ ისინი ბედნიერებას ემსახურება და მიუღებელი, თუკი მის საპირისპირო შედეგს წარმოქმიან. ეს მორალურობის საფუძველია. მისი ყველაზე ცნობილი აქსიომა საზოგადოებისადმი მოწოდებაა, წარმოქმნას „რაც შეიძლება მეტი ბედნიერება, რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის“. „ბედნიერება“ სიამოვნებად აღიქმება, ხოლო უბედურება - ტკივილად, ან სიამოვნების არარსებობად. ამ პერსპექტივიდან აღმოცენებული მორალური პრინციპის თანახმად, თუ ინდივიდები თავიანთ გონს საკუთარი სიამოვნების საძიებლად გამოიყენებენ, მაშინ პოზიტიური სოციალური ბალანსის მქონე სახელმწიფო ბუნებრივად აღმოცენდება.

ბენთამისთვის სიამოვნება და ტკივილი „იწონება“ ან ფასდება მათ ინტენსიურობაზე, ხანგრძლივობაზე და სიახლოვეზე დაყრდნობით. მეტიც, მსგავსი გაანგარიშება ნეიტრალურად განიხილება, ანუ სხვადასხვა ადამიანების სხვადასხვა სიამოვნებებს მიესადაგება. სიამოვნების ოდენობა (ან იმ ადამიანების საერთო რიცხვი, რომელიც ამ სიამოვნებას განიცდის) ასევე წარმოადგენს ქმედების სისწორის შედეგის შეფასების ნაწილს. საბოლოო მიზანს ისეთი დაანგარიშება წარმოადგენს, რომელშიც სიამოვნებისა და ტკივილის სალდო პოლიტიკის ან ქმედების სისწორის საზომად განისაზღვრება.

ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873), ზოგადად, ბენთამის პოზიციას იზიარებდა, რომ ჰედონიზმი ადამიანის ბუნების საფუძველს წარმოადგენს, რომელიც ყოველი ინდივიდის ქმედებას მართავს. მიუხედავად ამისა, მილს სურდა სიამოვნების ხარისხობრივი და თვისებივი განსხვავებები წარმოეჩინა. ეს კი პრობლემებს ქმნიდა, რადგან არ არის ცხადი, რამდენად შესაზლებელია სიამოვნებებს შორის განსხვავების გაკეთება. პირველ რიგში, მილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ წმინდად პირადი ინტერესი უტალიტა-რიანიზმისთვის არასაკმარისი საფუძველი იყო და რომ სიკეთის უფრო რეალურ კრიტერიუმად ქმედების სოციალური შედეგი უნდა გამოგვეყენებინა. გარდა ამისა, მილი ზოგიერთ სიამოვნებას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე სხვებს - ინტელექტუალურად აღმატებულ სიამოვნებას შეგრძნებებზე

მაღლა აყენებდა. აღსანიშნავია, რომ მილისთვის სოციალური ფაქტორებიც და ქმედების ხარისხიც მნიშვნელოვანი იყო ადამიანის ქცევის ახსნისას.

მილმა დაამტკიცა, რომ ის უზარმაზარ და გავლენიან ფილოსოფიურ ძალას წარმოადგენს, თუმცა ბენთამი იყო ის, ვინც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის მოდელის განვითარებაზე. მან საზოგადოებრივი შეთანხმების ტრადიციაში ორი მთავარი სიახლე შემოიტანა: 1. თავისუფალი ნების შეუზღუდავ განხორციელებაზე მთავარი კონტროლი ტკივილის შიშიდან მომდინარეობს; და 2. აქსიომა, რომ სასჯელი მთავარი ინსტრუმენტია შიშის წარმოსაქმნელად, რომლის მიზანიც ნებაზე ზეგავლენის მოხდენა და ქცევის გააკონტროლებაა.

1.1.1 კლასიკური კრიმინოლოგია

კლასიკური კრიმინოლოგია იმ დროს წარმოიშვა, როდესაც სოციალური კონტრაქტის თეორეტიკოსების ნატურალისტური მიდგომა დანაშაულისა და დამნაშევეობრივი ქცევის ახსნის კონტექსტში სპირიტუალურ მიდგომას დაუპირსპირდა.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს, იტალიაში ჩეზარე ბეკარია, ხოლო ბრიტანეთში ჯერემი ბენთამი იყვნენ ის ავტორები, რომლებმაც რაციონალური აქტორის მოდელის არსებითი კომპონენტები ჩამოაყალიბეს.

კლასიკური თეორეტიკოსები

ჩეზარე ბეკარია (1738–1794) იტალიელი მათემატიკოსი და Dei Delitti e delle pene (დანაშაულების და სასჯელის შესახებ) (Beccaria 1963, 1767) –ის ავტორია, რომელიც, თავის მხრივ, უაღრესად გავლენიანი წიგნი აღმოჩნდა, 22 ენაზე ითარგმნა და უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ევროპისა და აშშ–ს სამართლებრივ საზრისზე. მის თანამედროვე ინტელექტუალთა მსგავსად და ამასთან, სოციალური კონტრაქტის თეორიის შთაგონებით, ბეკარია მკაცრად ეწინააღმდეგებოდა იმ მრავალ არათანმიმდევრულობას, რაც მმართველობასა და საზოგადოებრივ საქმეებში იჩენდა თავს. მისი ფუნდამენტური ტექსტიც, არსებითად, პირველი მცდელობა იყო წარმოედგინა სისტემური, თანმიმდევრული და ლოგიკური სადამსჯელო სისტემა.

ბეკარია მიიჩნევდა, რომ კრიმინალებს საზოგადოების „ვალი“ მართებთ და რომ სასჯელი დანაშაულის სიმძიმის მკაცრად პროპორციული უნდა ყოფილიყო. წამება კრიმინალური გამოძიების უსარგებლო, ბარბაროსულ მეთოდად თვლიდა. გარდა ამისა, სიკვდილით დასჯა უსარგებლოდ მიაჩნდა იმის გამოც, რომ მისი ჩანაცვლება თავისუფლების სამუდამო აღკვეთით - თანდართულ მძიმე შრომასთან ერთად, - უფრო ეფექტურ ღონისძიებად მიაჩნდა როგორც სადამსჯელო ისე დანაშაულის შეკავების კუთხით. შესაბამისად, ბეკარიას აზრით, თავისუფლების აღკვეთა, როგორც სადამსჯელო ღონისძიების გამოყენება მნიშვნელოვნად უნდა გაფართოებულიყო, სასჯელაღსრულების დაწესებულებების პირობებისა და ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, ხოლო პატიმრები - ასაკის, სქესისა და დანაშაულის სიმძიმის მიხედვით უნდა ყოფილიყვნენ სეგრეგირებულები.

ბეკარია დიდი მხარდამჭერი იყო სოციალური კონტრაქტის თეორიის, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ინდივიდები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან კანონიერად დაკავშირებული საზოგადოებას, თუ ისინი დაეთანხმებიან საზოგადოებრივ მოწყობას. ნებისმიერ შემთხვევაში, სწორედ კანონი უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს სოციალური კონტრაქტისთვის და სასჯელიც მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდების თავისუფლებების დაცვის მიზნით არსებობს. ბეკარიას თეორია კრიმინალური ქცევის შესახებ, ეფუძნება თავისუფალი ნებისა და ჰედონიზმის იდეებს, რომელთა თანახმადაც, თითოეული ადამიანის ქცევა არსებითად მიზნობრივია და ემყარება სიამოვნება–ტკივილის პრინციპებს. ბეკარია ამტკიცებს, რომ სასჯელი უნდა ასახავდეს ამ პრინციპს და ამგვარად ფიქსირებული სანქციები ნებისმიერი ტიპის სამართალდარღვევისთვის გაწერილი უნდა იყოს კანონში და არ უნდა იძლეოდეს სივრცეს ინტერპრეტაციისთვის, დისკრეციისა თუ განსჯისათვის. კანონი ყველა მოქალა-ქისთვის თანაბრად უნდა მოქმედებდეს, სასამართლოს ფუნქცია კი ბრალის განსაზღვრით უნდა შემო-იფარგლებოდეს; ბრალის შემსუბუქების შესაძლებლობა არ უნდა განიხილებოდეს, ხოლო ყველა დამნაშავეზე, რომელსაც ერთი და იგივე ბრალი მიუძღვით, თანაბარი სასჯელი უნდა ვრცელდებოდეს. ეს უაღრესად გავლენიანი ნაშრომი ქვემოთ მოცემულ ცამეტ დებულებაში შეგვიძლია, შევაჯამოთ:

1. სოციალური ქაოსის თავიდან არიდების მიზნით, საზოგადოების თითოეულმა წევრმა საკუთარი თავისუფლების ნაწილი ერი–სახელმწიფოს სუვერენიტეტს უნდა შესწიროს;

2. კანონის დარღვევის გზით სხვათა თავისუფლებების ხელყოფის თავიდან აცილების მიზნით კანონ-დამრღვევები უნდა დაისაჯონ;

3. „დესპოტური სულისკვეთება“ – თუ მიდრეკილება სამართალდარღვევისკენ - თითოეულ ადამიანშია;

4. სასჯელს კანონმდებლობა უნდა წყვეტდეს და არა სასამართლო;

5. სასჯელის თანმიმდევრულობისა და მკაფიოობის შენარჩუნების მიზნით, მოსამართლეებმა მხოლოდ ის სასჯელი უნდა დააკისრონ დამნაშავეებს, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული;

6. დანაშაულის სიმძიმე უნდა განისაზღვროს არა კანონდამრღვევის განზრახვის, არამედ იმ ზიანის გათვალისწინებით, რომელიც საზოგადოებას მიადგა;

7. სასჯელის ზომა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით უნდა განისაზღვრებოდეს. ყველაზე მკაცრი სასჯელი უნდა მიესადაგებოდეს ისეთ სამართალდარღვევებს, რომელთა შედეგადაც მძიმე ზიანი მიადგა საზოგადოებას. ყველაზე მძიმე დანაშაულებად მოიაზრება ისინი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზო-გადოების სტაბილურობას;

8. სასჯელი, რომელიც უმალვე მოსდევს ჩადენილ დანაშაულს, უფრო სამართლიანი და ეფექტურია;

9. სასჯელი ეფექტურია მაშინ, როდესაც ის მკაფიოდაა განსაზღვრული;

10. კანონი და სასჯელი საკმარისად გასაჯაროებული უნდა იყოს, რათა ადამიანებმა იცოდნენ მათ შესახებ;

11. სადამსჯელო ღონისძიება გამოიყენება შეკავების მიზნით და შესაბამისად, სიკვდილით დასჯა უსარ-გებლოა და არ უნდა გამოიყენებოდეს;

12. დანაშაულის პრევენცია დასჯაზე უკეთესია

13. ქმედებები, რომლებიც პირდაპირ არ არის აკრძალული კანონით, უკანონო ქმედებებად არ მოიაზ-რება და შესაბამისად დასაშვებია.

ბეკარიას იდეებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა თანამედროვე სისხლის სამართლის ჩამოყალიბებაზე. დანაშაულთან დაკავშირებულ ნებისმიერ საზოგადოებრივ დისკუსიაში ბეკარიას ხედვების გამოძახი-ლების შემჩნევა საკმაოდ მარტივია, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მისი იდეები ცხადად არ მეორდებოდეს. თავისუფალი ნების დოქტრინა მრავალ კოდექსშია ჩაქსოვილი და მათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს სამართლიანობის პოპულარულ კონცეფციებზე.

ჯერემი ბენთამი ბეკარიას მთავარი მიმდევარი იყო. როგორც ფილოსოფოსი (როგორც უკვე ვიხილეთ) უტილიტარისტებს ან ჰედონისტ უტილიტარისტებს მიეკუთვნება, რადგან ის განსაკუთრებულ ყურად-ღებას ამახვილებდა სიამოვნების ძიებაზე. თავად ბენთამზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ჯონ ლოკის ფილოსოფიურმა მატერიალიზმმა, რომელიც უარყოფდა ბუნებითობის კონცეფციებსა და თავდაპირ-ველი ცოდვის დამკვიდრებულ რელიგიურ ცნებებს.

ამგვარად, მან კრიმინალური ქცევა უფრო მეტად არასწორ აღზრდასა და სოციალიზაციას მიაწერა, ვიდრე დამნაშავეობრივი ქმედებისკენ არსებულ თანდაყოლილ მიდრეკილებებს. ბენთამისთვის დამნაშავეები გამოუსწორებელი მონსტრები კი არა, "ურჩი ბავშვები" იყვნენ, „არაჯანსაღი გონის" მქონე პიროვნებები, რომლებიც თვითდისციპლინის ნაკლებობას განიცდიდნენ, რომ საკუთარი ვნებები გონე-ბის კარნახისთვის დაემორჩილებინათ.

ბენთამის იდეები ძალიან ჰგავს ბეკარიას ნააზრევსა და მის ყველა ცნობილ პრინციპს - "უდიდესი ბედნიერება ადამიანების უდიდესი ნაწილისთვის". მოცემული პრინციპი ნებისმიერი მიმდინარეობის უტილიტარიანისტული ფილოსოფიის ფუნდამენტურ აქსიომას წარმოადგენს. ადამიანები რაციონალური ქმნილებები არიან, რომლებიც სიამოვნებას ეძიებენ და ამასთან, ტკივილისთვის თავის არიდებას ცდილობენ. ამგვარად, სასჯელი კრიმინალური ქმედებისგან გამოწვეულ ნებისმიერ სიამოვნებაზე აღმატებული უნდა იყოს, თუმცა ამასთან, კანონი არ უნდა იყოს იმდენად სასტიკი და მკაცრი, რომ უდიდესი ბედნიერება შეამციროს. მეტიც, კანონი მორალურობის სამართავად კი არა, საზოგადოების-თვის იმ საზიანო ქმედებების კონტროლისთვის უნდა გამოიყენებოდეს, რომლებიც უმრავლესობის ბედნიერებას შეამცირებს. ბენთამი ბეკარიას ეთანხმებოდა, რომ სიკვდილით დასჯა ბარბაროსული და უსარგებლო ქმედება იყო, თუმცა არ ეთანხმებოდა წამების საკითხთან დაკავშირებით და დასაშვებად მიიჩნევდა ამ უკანასკნელს „საჭიროების" შემთხვევაში. ამგვარად მაიჩნდა, რომ „წამებას" გააჩნდა ერთგვარი „სარგებლიანობა". ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რომელზეც ღრმად დაფიქრება ღირს. თუკი განზრახვა იმაში მდგომარეობს, რომ ვინმე ვაიძულოთ, აღიაროს დამნაშავეობრივი ქმედება, მაშინ წამება შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს. თუმცა, თუ წამება მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ დავრწმუნდეთ, დამნაშავეს სწორად მივაკვლიეთ თუ არა, მაშინ ის სრულიად უსარგებლოა. როგორც ჩანს, სწორედ ამაზე მიუთითებდა ბეკარიაც. თუ, ერთი მხრივ, გვსურს რაც შეიძლება სწრაფად მივიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვიღაცისგან, ვის მიმართაც საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ნამდვილად ფლობს ღირებულ ინფორმაციას, როგორც, მაგ. დაგეგმილი ტერორისტული აქტის შემთხვევაში, მაშინ წამების ლოგიკა ერთობ განსხვავებული იქნება. როგორც ჩანს, უტალიტარიანიზმთან მიმართებით ბენთამი მახვილს სწორედ ამ საკითხზე სვამს. მეტიც, შეგვიძლია ისიც შევნიშნოთ, რომ მიუხედავად ბენთამის რწმენისა თავისუფალი ნების დოქტრინაში, მის ნაშრომებში მკაფიო მინიშნებები იკვეთება იმასთან დაკავშირებით, რომ დამნაშავეობრივი ქმედება შესაძლოა არა თანდაყოლილი, არამედ დასწავლილი ქცევა იყოს.

ბენთამმა მნიშვნელოვანი დრო და ენერგია დაუთმო ციხის, ანუ იმ ინსტიტუციის პროექტირებას, რომელიც ასახავდა და განახორციელებდა მის იდეებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. პრემოდერნულ ხანაში ციხეები ფართოდ არ გამოიყენებოდა სასჯელაღსრულებისთვის და ხშირად იმ ადამიანების მოსაცდელ სივრცეს წარმოადგენდა, რომლებიც გასამართლებას, გადაადგილებას და რაიმე სხვა ფორმის სასჯელს ელოდნენ. ჩვეულებრივ, იმ დროისათვის ციხეები კერძო ადმინისტრირების ქვეშ იყვნენ, ფინანსების ნაკლებობას განიცდიდნენ და ხშირად, ანტისანიტარულ ადგილებს წარმოადგენდნენ.

1791 წელს ბენთამმა ციხის ახალი მოდელი წარმოადგინა, რომელსაც პანოპტიკონი უწოდა. ამ ნაგებობის ფიზიკური სტრუქტურა წრიული ფორმის მრავალიარუსიან ფიჭას წააგავდა, რომელიც გარს ერტყა ცენტრალური ზედამხედველობის კოშკს, რომლიდანაც მეთვალყურეს ნებისმიერი პატიმრის დანახვა შეეძლებოდა. ბენთამი მიიჩნევდა, რომ მუდმივი ზედამხედველობა ბორკილებსა და სხვა შემზღუდავ საშუალებებს უსარგებლოს გახდიდა; პატიმრები თავიანთ საკნებში დღეში 16 საათს იმუშავებდნენ და მათი სამუშაოსგან მიღებული სარგებელი პანოპტიკონის მფლობელის ხელთ იქნებოდა. ბენთამმა ციხეს „გაიძვერების გასაპატიოსნებელი წისქვილი უწოდა“, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში იქნებოდა განთავსებული, რათა „დანაშაულის ნაყოფი“ თითოეული ადამიანისთვის ყოფილიყო ხილული. გარდა ამისა, ბენთამმა აღნიშნავდა, რომ მსგავსი ინსტიტუცია სკოლების, თავშესაფრების, სამუშაო ადგილების, ქარხნებისთვის თუ საავადმყოფოებისთვის მოდელის როლს შეასრულებდა, სადაც “შემოწმების პრინციპით“ იმოქმედებდნენ შიდა რეგულაციის, დისციპლინისა და ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის.

სოციალური კონტროლის თითოეული ამ ინსტიტუციის საყრდენს დისციპლინისა და დანაწილების საერთო ხედვა და გაზიარებული რეჟიმი წარმოადგენდა, როგორც პატიმართა ქცევის შემცვლელი მექანიზმი. ამ ინსტიტუციის საფუძვლად არსებული მკაცრი რეჟიმი, თავის მხრივ, უფრო ზოგადი დისციპლინის გამოვლინება იყო, რომელიც წისქვილებსა და ქარხნებში მომუშავე მშრომელთა კლასს მიემართებოდა:

„[ციხემ] საკუთარი ადგილი დაიკავა ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულ, მსგავსი დიზაინის, დისციპლინისა და ბრძანების ენის მქონე ინსტიტუციათა სტრუქტურაში. შემთხვევითი არ იყო, რომ სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები, თავშესაფრები, ლანკასტერისეული სისტემის სკოლები, ღამის თავშესაფრები თუ გამოსასწორებელი დაწესებულებები ერთმანეთს წააგავდნენ, ხოლო მათ მიერ დაწესებულ სასჯელებს იდენტური დისციპლინარული რიტმი გააჩნდათ. ვინაიდან მათ კონტროლის სრულქმნილი და დამოუკიდებელი სტრუქტურა ჩამოაყალიბეს, არსებითი მნიშვნელობის იყო, რომ უკმარისობისა და ნაკლულობის ხარისხს მზარდი თანმიმდევრულობა ჰქონოდა, სკოლა-სამუშაო ადგილი–თავშესაფარი–ციხე, რათა ყოველ შემდეგს წინა ინსტიტუციის ტკივილი განემტკიცებინა.

არც ის იყო შემთხვევითი, რომ ეს სახელმწიფო ინსტიტუციები ძალიან წააგავდნენ ქარხანას... ახალი ქარხნული დისციპლინის შემოქმედებმა და ციხის გამომგონებლებმა შთაგონება ძალაუფლების ერთი და იმავე დისკურსიდან მიიღეს: ნონკონფორმისტული ასკეტიზმი, რწმენა ადამიანის გამოსწორებაში დისციპლინის მეშვეობით და სახელმწიფოს ლიბერალური თეორია.

(Ignatieff, 1978:2014-15)

პანოპტიკონი, მისი ყველაზე მკაცრი ინტერპრეტაციით, არასდროს აშენებულა ინგლისში, თუმცა ამერიკაში ორი ციხე სწორედ ამ მოდელზე დაყრდნობით შეიქმნა. მშენებელთა თავდაპირველ განზრახვებს თუ შევადარებთ, მოცემულმა ინსტიტუციებმა არ გაამართლა, ამიტომ მათი დემონტაჟი და

ხელახლა აშენება გახდა საჭირო. მოცემული ტიპის ნაგებობების ერთ–ერთ ვარიაციას 1812 წელს აშენებული ლონდონის მილქბენქის ციხე წარმოადგენდა, რომელიც სხვა მაგალითების მსგავსად, ცუდად იყო დაპროექტებული და საბოლოოდ, სასჯელაღსრულების დაწესებულების ნაცვლად, მხოლოდ დროებითი მოთავსების ფუნქცია იტვირთა. ბენთამი ასევე მოუწოდებდა წინასწარი გათავისუფლების სქემების, სამრეწველო და რელიგიური სწავლებების დანერგვისაკენ და მიიჩნევდა, რომ პატიმართა სეგრეგაცია და კლასიფიკაცია მიზანშეწონილი იქნებოდა „კრიმინალის ვირუსული გავრცელების“ თავიდან აცილებისთვის.

მიშელ ფუკომ (Foucault, 1977) და მაიკლ იგნატიევმა (Ignatieff, 1978) ციხის განვითარება გამოიკვლიეს როგორც ერთგვარი კონცეპტი და ფიზიკური ინსტიტუცია. მათი დაკვირვებით ციხე იყო ერთ–ერთი იმ მრავალ „კარცერულ“ ინსტიტუციას შორის, რომელიც, ადრეული მოდერნული აზრის განვითარების კვალდაკვალ, ადამიანის ქმედებების რაციონალიზებისა და დისციპლინირებისთვის განვითარდა. ფუკომ წინამდებარე ნაწყვეტი პარიზის ახალგაზრდა პატიმრების სახლისთვის შექმნილი წესებიდან მოიხმო:
„გონგის პირველივე დარტყმისას, პატიმრები უნდა ადგნენ და შეიმოსონ სიჩუმეში, რა დროსაც ზედამხედველი გააღებს საკნის კარებს. მეორე დარტყმისას ისინი უკვე შემოსილნი უნდა იყვნენ და საკუთარი საწოლები უნდა მოაწესრიგონ. მესამე დარტყმისას, ხაზში უნდა ჩამწკრივდნენ და სამლოცველოსკენ გაეშურნონ დილის ლოცვისათვის. ყოველი გონგის დარტყმას შორის ხუთწუთიანი ინტერვალია დაცული...“

(Foucault, 1977:6)

მალევე ამ ახალმა სასჯელაღსრულებითმა დაწესებულებებმა, ურბანულ ჰორიზონტზე პირველობისთვის პაექრობაში, გამოიწვიეს დიდებული სასახლეები, კათედრალები და ეკლესიები, რომლებიც აქამდე დიდი ხნის მანძილზე გამოსახავდნენ ადრეული ეპოქის წუხილებს. მართალია პანოპტიკონის თავდაპირველი იდეა ფართო გავრცელებას არ მიეცა, თუმცა მოცემული თემატიკის სხვადასხვა ვარიაციებმა განვითარება მაინც ჰპოვა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ნაგები ციხეები მრავალ ქვეყანაში ციხეების საკუთრების უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ. ექსპერიმენტული ინსტიტუციების არშემდგარი მაგალითების შემდგომ, ქუაკერის ციხის რეფორმატორის, ჯონ ჰოვარდის შთაგონებით, ჩრდილოეთ ლონდონში ციხის ახალი მოდელი აშენდა,. პენტონვილის ციხე ერთგვარ ნიმუშს წარმოადგენდა 50–მდე მსგავსი მოდელის ციხისათვის დიდ ბრიტანეთსა და სხვა მრავალ ქვეყანაში მთელი მსოფლიოს გარშემო.

ბენთამი თავის ნაშრომებში სადამსჯელო სისტემის რეფორმირებაზე ამახვილებდა ყურადღებას, თუმცა ასევე დაინტერესებული იყო დანაშაულის პრევენციით და არა უშუალოდ დასჯის გზებით. ამგვარად მან დაუშვა, რომ ვისაც საარსებო საშუალებები არ გააჩნია სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

კლასიციზმის შეზღუდულობები

კლასიკური თეორეტიკოსების ფილოსოფიამ ასახვა 1789 წლის ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში და 1789 წლის ფრანგული სისხლის სამართლის კოდექსში ჰპოვა, სისხლის სამართალში, რომელიც დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ დაინერგა.

თავად ამ დოკუმენტის ავტორები განმანათლებლობის ფილოსოფოსთა ნაშრომებით იყვნენ შთაგონებულნი. და მაინც, ყოველივე ეს ერთგვარ მცდელობას წარმოადგენდა კლასიკური სკოლის ის იდეები განხორციელებულიყო პრაქტიკაში, რომლებიც სისხლის სამართლის ფილოსოფიისთვის დამახასიათე-

ბელ პრობლემებს გამოააშკარავებდა. კლასიკოსმა თეორეტიკოსებმა განზრახულად უკუაგდეს ინდივიდებს შორის არსებული განსხვავებები. თავდაპირველად, დამნაშავეებსა და რეციდივისტებს ერთნაირად ეპყრობოდნენ და მხედველობაში მხოლოდ და მხოლოდ მათ მიერ ჩადენილ კრიმინალური აქტს იღებდნენ. „გონებაშეზღუდულებსა“ და ფსიქიკურად დაავადებულებს კი ისე ეპყრობოდნენ თითქოს ისინი სავსებით რაციონალური და ქმედითუნარიანი ყოფილიყვნენ. იმ ადამიანების გამოჩენას სასამართლოზე, რომლებსაც უნარი არ შესწევდათ აღექვათ, თუ რა დავები წარმოებდა მათ წინააღმდეგ, დიდი ზეგავლენა არ მოუხდენიათ ახალი ფრანგული პოსტ-რევოლუციური სისხლის სამართლის კოდექსის ლეგიტიმაციაზე და შესაბამისად, კოდექსი პირველად 1810 წელს, მეორედ კი - 1819 წელს გადაიხედა, რის შემდეგაც მოსამართლეებს მეტი მოქნილობა მიენიჭათ განაჩენის გამოტანისას. ამან კლასიკური მოდელის ფილოსოფიური დახვეწილობა შებღალა. უფრო და უფრო მეტ აღიარებას ჰპოვებდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანები თანაბრად პასუხისმგებელნი არ არიან საკუთარ ქმედებებზე. თანდათანობით დაიწყეს ექსპერტთა მოწვევა სასამართლოებზე, რათა მათ საკუთარი მოსაზრებები გამოეთქვათ ბრალდებულის უნარიანობასა და გონებრივ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამიერიდან მოსამართლეებს შეეძლოთ ვერდიქტი ინდივიდუალური ბრალეულობის ხარისხის მიხედვით გამოეტანათ, ექსპერტ-მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით. ეს ერთგვარ თეორიულ კომპრომისსაც წარმოადგენდა, რომელმაც სახეცვლილი კრიმინოლოგიური პერსპექტივის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა და საბოლოოდ ნეოკლასიკური სკოლის სახელწოდება შეიძინა.

ნეოკლასიკური კომპრომისი

ისეთმა ნეოკლასიკოსებმა, როგორებიც იყვნენ როსი, გარუ და ჯოლი, სახე უცვალეს წმინდა კლასიკური თეორიის მკაცრ დოქტრინებს საკუთრივ თავისუფალი ნების დოქტრინის გადახედვის გზით. რაციონალური აქტორის ამ სახეცვლილ ფორმაში, ჩვეულებრივ, საღ გონებაზე მყოფ ზრდასრულებს სრული პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ საკუთარ ქმედებებზე და შესაბამისად, მათი დამნაშავეობრივი თუ არადამნაშავეობრივი მოქმედების უნარიც თანაბრად ფასდებოდა. თუმცა მიიჩნეოდა, რომ ბავშვებს, ზოგიერთ შემთხვევაში, შედარებით მცირე ასაკში თავისუფალი არჩევნის გაკეთების ნაკლები უნარი შესწევდათ და ამგვარად ნაკლები პასუხისმგემბლობა ეკისრებოდათ საკუთარ ქმედებებზეც. პირველად სწორედ ამ დროს აღიარეს განსხვავებული, თანდაყოლილი, წინასწარგანწყობითი ფაქტორები, როგორც ინდივიდის ქცევის განმსაზღვრელი გარემოება. სწორედ ამ მნიშვნელოვანი აღიარებას უნდა ჩამოეყალიბებინა ფუნდამენტური თეორიული ჩარჩოც წინასწარ განსაზღვრული მოქმედების მოდელისთვის, რაც წიგნის მეორე ნაწილის მთავარ ფოკუსს წარმოადგენს.

თავდაპირველად, სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის ამ გადასინჯვების წყალობით დაუშვეს არასამართლებრივი „ექსპერტები“, მათ შორის ექიმები, ფსიქიატრები და მოგვიანებით სოციალური მუშაკები სასამართლოებში. ისინი ეტაპობრივად ჩაერთვნენ სისხლის სამართლის პროცესებში ინდივიდუალური ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური განსხვავებების გამოვლენის მიზნით, რათა გადაეწყვიტათ პასუხისმგებლობების ის ხარისხი, რომელიც დამნაშავეს დაეკისრებოდა ჩადენილ ქმედებაზე. ამ ცვლილებების შედეგად სასჯელი უფრო ინდივიდუალიზებული და დიდწილად დამოკიდებული გახდა დამნაშავის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის აღქმის უნარსა და შემამსუბუქებელ გარემოებებზე.

ამავე პერიოდში აღიარეს ისიც, რომ კონკრეტულ სასჯელს განსხვავებული ზეგავლენა აქვს სხვადასხვა ადამიანებზე და შედეგად სასჯელი მეტად შეესატყვისა რეაბილიტაციას. თუმცა, როგორც მოგვიანებით

ვიქტიმიზებული აქტორის მოდელის რადიკალური ვერსიის გამოჩენილმა მხარდამჭერებმა, ტელორმა, უოლტონმა და იანგმა შენიშნეს (Taylor, Walton and Young 1973:10):

ნების თავისუფლების კლასიკური კონცეფციიდან რადიკალური ჩამოცილება არც მომხდარა. დამნაშავე უნდა დაისაჯოს ისეთ გარემოში , რომელიც ხელს შეუწყობს მას სწორი მორალურ პრინციპებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღებაში. არჩევანი განიხილებოდა (და დღემდე განიხილება) ინდივიდუალური აქტორის დამახასიათებელ ნიშნად, თუმცა ამიერიდან იმასაც აღიარებენ, რომ ზოგიერთი გარემოება სხვებთან შედარებით უფრო მეტად უწყობს ხელს თავისუფალ არჩევანს.

ამგვარად, ნეო-კლასიკოსებმა რაციონალური არჩევანის მოდელიდან თავისუფალი ნების დოქტრინა შეინარჩუნეს იმ ცვლილებით, რომ ზოგიერთი გარემოება სხვასთან შედარებით ნაკლებად ხელშემწყობი იქნებოდა თავისუფალი არჩევანის შეუზღუდავი განხორციელებისთვის. მართლაც, საკმაოდ დამაჯერებლად ამტკიცებენ იმას, რომ თანამედროვე სისხლის სამართლებრივი სისტემები დღესდღეობით ერთობ უხერხულ თეორიულ კომპრომისს ემყარება დამნაშავეობრივი ქცევის რაციონალური აქტორის მოდელსა და წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელს შორის. დებატები თავისუფალ ნებასა და დეტერმინიზმს შორის, სოციალურ მეცნიერებებში ალბათ ყველაზე მტკიცე აღმოჩნდა.

შეჯამებისთვის, შესაძლებელია კლასიკური და ნეო-კლასიკური სკოლების იმ ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა, რომლებმაც რაციონალური აქტორის მოდელს საფუძველი ჩაუყარეს:

1. ძირითად ფოკუსს სისხლის სამართალსა და დანაშაულის სამართლებრივი განსაზღვრების მიღება წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ფართო პერსპექტივას ხსნის კრიტიკისთვის,რომლის მიხედვითაც დანაშაულის სამართლებრივი განსაზღვრებები სოციალური კონსტრუქტებია და ისინი დროისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით იცვლებიან.

2. ცენტრალურ კონცეფციას წარმოადგენს ის, რომ სასჯელი დანაშაულის და არა დამნაშავის შესაბამისი უნდა იყოს, რაც ასევე ღია სივრცეს ტოვებს ფართო კრიტიკისთვის, ვინაიდან სრულიად უგულებელყოფილია ბრალეულობის ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორი და რეაბილიტაციის პერსპექტივები.

3. თავისუფალი ნების დოქტრინის თანახმად თითოეული ადამიანი თავისუფალია თავის ქმედებაში. ამ კონცეფციას ხშირად უკავშირებენ ჰედონისტურ უტილიტარიანისტულ ფილოსოფიას იმის შესახებ, რომ თითოეული ადამიანი საკუთარი სიამოვნების გაზრდის შესაძლებლობის ძიებასა და ტკივილისგან თავის არიდების მცდელობაშია. ამ პერსპექტივიდან, მიიჩნევა რომ დამნაშავეს მნიშვნელოვნად არაფერი განასხვავებს სხვა ადამიანებისგან. ეს დოქტრინაც კრიტიკის საგანს წარმოადგენს, ვინაიდან ის უგულებელყოფს თავისუფალი ნების განხორციელების შემზღუდავ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ თუ სოციალურ გარემოებებს.

4. სახეზეა ემპრიული კვლევის ნაცვლად ანეკდოტებსა და წარმოსახვით ილუსტრაციებზე დამყარებულ არასამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენება. ამგვარად, ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი კრიმინოლოგია კანონებისა და სასჯელთა ერთგვაროვნებით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე დამნაშავეობრივი ქცევის ახსნით

რაციონალური აქტორის მოდელის, როგორც დანაშაულისა და დამნაშავეობრივი ქცევის ამხსნელის მოდელის პოპულარობა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს დაკნინდა და დიდწილად ორთოდოქსულ

წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელით ჩანაცვლდა , თუმცა ის მაინც განაგრძობდა სისხლის სამართლებრივის სისტემების ინფორმირებას მთელი მსოფლიოს გარშემო.

კლასიციზმის ძლიერი ზეგავლენა

კლასიკური სკოლის ძლიერი ზეგავლენა თვალსაჩინოა სამართლებრივ დოქტრინაში, რომელიც განსაკუთრებით გამოკვეთს ცნობიერი განზრახვისა და არჩევნის ცნებებს, მაგალითისთვის ისეთებს, როგორიცაა mens rea. მაგალითისთვის, განაჩენთან მიმართებით, ბრალეულობისა და პასუხისმგებლობის იდეა, ხოლო სასჯელის სტრუქტურაში სასჯელის სიმძიმის განსაზღვრა ბრალის სიმძიმისდა მიხედვით, ჩვეულებრივ, „სადამსჯელო ტარიფად“ არის ცნობილი.

ფილოსოფიური თვალთახედვიდან, კლასიკური სკოლის იდეებმა დამსჯელობით მიდგომაში ჰპოვა ასახვა, რასაც თანამედროვეობაში „სამართლიანი დამსახურების“ მიდგომასაც უწოდებენ. (ინგ. just deserts - კონცეფციაა, რომლის მიხედვითაც მოქმედი პირი იმას იღებს, სასჯელის ან ჯილდოს სახით, რასაც დაიმსახურებს) ეს უკანასკნელი ოთხ საბაზისო პრინციპს მოიცავს. პირველის თანახმად, მხოლოდ სასამართლოს წესით გასამართლებული დამნაშავე შეიძლება დაისაჯოს ჩადენილი დანაშაულისთვის. მეორე პრინციპის თანახმად, ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც დამნაშავედ ცნობენ დანაშაულისთვის უნდა დაისაჯოს. მესამე პრინციპის მიხედვით სასჯელი არაფრით არ უნდა აღემატებოდეს და დამნაშავის ბრალის სიმძიმის სრულად პროპორციული უნდა იყოს მეოთხე პრინციპის თანახმად სასჯელი არაფრით არ უნდა იყოს ნაკლები და სრულად პროპორციული უნდა იყოს როგორც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ისე დამნაშავის ბრალეულობის ხარისხის (Von Hirsch, 1976).

მსგავსი პრინციპების მკაფიო საფუძვლები ბეკარიასა და ბენთამის მიერ ჩამოყალიბებულ თეორიულ ტრადიციებში იკითხება, სადაც ხაზგასმულია თავისუფალი ნებისა და რაციონალობის ცნებები, ისევე, როგორც პროპორციულობისა და თანასწორობის. მოცემულ თეორიულ ტრადიციებში ყურადღება გამახვილებულია კრიმინალურ ქცევაზეც, რომელიც უშუალოდ დანაშაულზე ფოკუსირდება და არა დამნაშავეზე, რაც შესაბამისობაშია სიამოვნება-ტკივილის პრინციპთან და განამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ მართლმსაჯულება ერთსა და იმავე დანაშაულისთვის თანაბარზომიერი სასჯელის დაკისრებას ემსახურება. „სამართლიანობის დესერტების“ ფილოსოფია გვერდს უვლის ინდივიდუალურ კეთილგონიერებასა და რეაბილიტაციას როგორც სამართლებრივი სისტემის ლეგიტიმურ მიზნებს. ის მიდგომა, რომ მართლმსაჯულება აუცილებლად უნდა აღსრულდეს და ამასთან ხილულიც იყოს, მჭიდროდ უკავშირდება ტრადიციული კლასიკური სკოლის ცნებებს მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ კანონის საფუძველზე.

თავისი დაკვირვების შედეგად, პაკერმა (Packer, 1969) შენიშნა, რომ თანამედროვე სისხლის სამართლებრივი სისტემა სასჯელაღსრულების კანონის საფუძველზე განხორციელებისა და დანაშაულის კონტროლის მეტოქე ღირებულებებს შორის არსებულ ბალანსზეა დამყარებული. პირველი გულისხმობს, რომ სისხლის სამართლებრივი სისტემის მიზანს მოპასუხის ბრალის დამტკიცება წარმოადგენს ყოველგვარი გონივრული ეჭვის მიღმა საჯარო სასამართლოს წესით, რაც სასჯელის დაკისრების პირობას წარმოადგენს. მოცემული დებულება კანონის მმართველობის იდეალიზებულ ფორმას ეფუძნება, სადაც სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება მოძებნოს და დასაჯოს დამნაშავე, თუმცა ამასთან უნდა დაამტკიცოს კიდეც მისი ბრალეულობა (King, 1981). ამ მოსაზრების ცენტრალურ იდეას უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს.

მართლმსაჯულების კანონიერი განხორციელების მოდელი აწესებს და აღასრულებს კანონებს, რომლებიც ერთი მხრივ პოლიციის უფლებამოსილებას და ამასთან, სამხილების გამოსადეგობასა და დასაშვებობას არეგულირებს. სისხლის სამართლის გამოყენებისას სახელმწიფოს ძალაუფლება აღიარებულია, თუმცა კონტროლისა და ბალანსის მიმართ ერთგვარი მოთხოვნები ჩნდება მაშინ, როდესაც საქმე ეჭვმიტანილებისა და მოპასუხეების ინტერესების დაცვას ეხება. არაფორმალური და დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება კი ამ ტრადიციას ეწინააღმდეგება.

მართლმსაჯულების კანონიერი განხორციელების მკაცრი სისტემა აღიარებს, რომ ზოგიერთი დამნაშავე უნდა გათავისუფლდეს, რაც არასწორი განაჩენის გამოტანისა და სასჯელის უსამართლოდ დაკისრების თავიდან არიდების მიზნით არის დასაშვები მაშინ, როდესაც თვითნებობა ან სახელმწიფო ძალაუფლების გადამეტება უფრო დიდ ბოროტებად აღიქმება. პრობლემატურია, რომ გამამართლებელი განაჩენების დიდი რაოდენობა შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს პროკურატურა არასათანადოდ ასრულებს თავის ფუნქციებს და შედეგად, ის მოლოდინიც იქმნება, რომ უწყება ვერ აღუდგება წინ კრიმინალური ქმედების განხორციელებას.

საპირისპიროდ, დანაშაულის კონტროლის მოდელი უპირატესობას ეფექტურობასა და შედეგიანობას ანიჭებს, რა დროსაც ხაზს უსვამს დამნაშავის დაჭერისა და დასჯის მნიშვნელობას. ბრალეულობის ვარაუდი მოცემული მოდელის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (King, 1981) და ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას კანონიერი კონტროლის იმ მექანიზმებზე, რომლებიც ცალკეული მოპასუხის დასაცავად გამოიყენება. კანონიერი კონტროლის მექანიზმები ერთგვარ დაბრკოლებებად მოიაზრება, რომელთა გადალახვა აუცილებელია დანაშაულზე და სასჯელზე კონტროლის დასამყარებ-ლად.მოცემულ მოდელში მისაღებია, თუ პერიოდულად , ზოგიერთი უდანაშაულო პირი მსხვერპლად შეეწირება დანაშაულის კონტროლის მთავარ მიზანს. მსგავსი შეცდომები, რა თქმა უნდა, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, ხოლო უფლებამოსილმა პირებმა საკუთარი პროფესიონალიზმის საფუძველზე უნდა დააკავონ დამნაშავეები, უდანაშაულონი კი გაათავისუფლონ.

დანაშაულის კონტროლის მოდელში მსხვერპლისა და საზოგადოების ინტერესები ბრალდებულის ინტერესებზე უპირატესია. მსგავსი პოზიცია იმ არგუმენტით არის გამართლებული, რომ სწრაფი პროცესი უფრო ეფექტურია და მეტად შეუწყობს ხელს დანაშაულის პრევენციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ დანაშაულს ჩაიდენ დიდი ალბათობით დაგსჯიან და შესაბამისად, არ ღირს დამნაშავეობრივ საქმიანო-ბაში გარევა. ამგვარად, დანაშაულის პირველ მიზანს დამნაშავის დასჯა და დამნაშავეთა შეკავება წარმოადგენს, როგორც დანაშაულის შემცირებისა და უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნის საშუალებას.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელის აღმასვლასთან ერთად რაციონალური აქტორის მოდელმა, როგორც დამნაშავეობრივი ქცევის ამხსნელმა მოდელმა აქტუალობა დაკარგა. მიუხედავად ამისა, „ახალი“ პოლიტიკური უფლებების აღმოცენებასთან თუ პოპულისტური კონსერვატიზმის აღზევებასთან ერთად რაციონალური აქტორის მოდელმა მეოცე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ხელახლა მოიკრიბა ძალები. თუმცა, ამ აღორძინებისას ბეკარიას მიერ მხარდაჭერილი მართლმსაჯულების კანონიერი განხორციელების კლასიკური ტრადიცია დიდწილად გამოიდევნა დანაშაულის კონტროლის მოდელის მომხრეთა ინტერესების ზეგავლენით.

1.1.2 პოპულისტური კონსერვატიული კრიმინოლოგია

თითქმის მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში დამნაშავეობრივი ქცევის წინასწარ განსაზღვრული მოდელი დომინირებდა, რამაც აქტუალობა დაუკარგა რაციონალური აქტორის, როგორც დამნაშავეობრივი ქცევისა თუ დანაშაულის ამხსნელობით მოდელს. მიუხედავად ამისა, 1970-1980-იან წლებში რაციონალური აქტორის მოდელის აღორძინება სასარგებლო აღმოჩნდა „ახალი პოლიტიკური მემარჯვენეობის", იგივე პოპულისტური თუ ნეოკონსერვატიული მიმდინარეობის წარმოქმნისთვის.

ახალი პოლიტიკური მემარჯვენეობის აღმასვლა.

1970 იან წლებში აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში კონსერვატორმა ინტელექტუალებმა ძლიერი მორალური კამპანია დაგეგმეს ყველა ფორმის 'დევიაციის" წინააღმდეგ. 1979 წელს მარგარეტ ტეტჩერმა დანაშაული მთავარ და წარმატებულ საარჩევნო საკითხად გადააქცია პირველად ომისშემდგომი პერიოდის დიდ ბრიტანეთში. მისი მთავარი ინტერესი იყო ხელახლა დაემკვიდრებინა ის, რასაც ტეტჩერი „ვიქტორიანულ ღირებულებებად" მიიჩნევდა, რისთვისაც მან სამიზნედ 1960-იანი წლების დამყოლი, დაუძლურებული საზოგადოება აირჩია თავისი ლეგიტიმაციით „რბილ" სოციალურ მეცნიერებაში. ამ „ახალი მემარჯვენეობისთვის თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ მმართველობითი მიღწევები სათანადოდ უნდა ყოფილიყო დაცული და გაფართოებული, თუმცა, ამავდროულად ყოვლისმომცველი დარტყმა უნდა მიეყენებინათ ამავე საზოგადოების კულტურულ თუ ეთიკურ კომპონენტებზე. მართლაც, ყოველივე ეს იმ მოდერნისტულ კულტურად იყო აღქმული, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სუბიექტურ ღირებულებებსა და ინდივიდუალურ თვით-გამოხატვას, რაც თავის მხრივ ძირს უთხრიდა ეფექტური ეკონომიკისა და რაციონალური სახელმწიფო მმართველობისთვის არსებით მოთხოვნებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ახალი მემარჯვენეობა ინდივიდებს მიღწევებისთვის ნაკლებად მოწადინებულებად განიხილავდა და კიდევ უფრო ნაკლებად მომზადებულებს მორჩილებისთვის (Habermas, 1989). ამგვარად, პოპულისტი კონსერვატორები აღორძინებას წარსულ ტრადიციებში ესწრაფოდნენ, სახელმწიფოს,სკოლების, ოჯახის და განსაკუთრებით, ხელისუფლების უპირობო მორჩილებასთან დაკავშირებულ ღირებულებებში.

კრიმინლოგიაში ეს ლიბერალური მფარველობა სხვა ორ ამხსნელობით მოდელში იყო განსახიერებული. პირველ მოდელში ვხვდებით მეოცე საუკუნის მკტკიცე დომინანტურ ორთოდოქსულობას - „წინასწარგანსაზღვრული აქტორის მოდელს - მთავარი ფოკუსით დანაშაულის მიზეზების აღმოჩენაზე, მიზეზების დადგენის შემდგომ კი, დასჯის ნაცვლად, დამნაშავეთათვის განკურნებისა და რეაბილატაციის შეთავაზებაზე. მეორე მოდელში „ვიქტიმიზებული აქტორის" მოდელის ბევრად უფრო რადიკალურ სახესხვაობებს ვხვდებით, სადაც ასევე იკვეთება უსამართლო და უთანასწორო საზოგადოების, მათი მიმტევებლობის, ჩაურევლობისა და გამგებიანობის პოლიტიკის კრიტიკა, რომელიც სულ უფრო მეტ პოპულარობა იძენდა იდეალისტურად განწყობილი, თუმცა, ამავდროულად ელექტორალურად სიცოცხლისუნარიან მემარცხენეობაში.

მეტიც, მემარჯვენე ინტელექტუალები შენიშნავდნენ, რომ მემარცხენე თუ ლიბერალურმა იდეებმა მარცხი განიცადეს იმ პრობლემების განჭვრეტაში, რომელიც დანაშაულისადმი, დისციპლინისა და განათლებისადმი არსებულ „რბილ" მიდგომებში იკვეთებოდა. გარდა ამისა, მათ იმაზეც მიანიშნეს, რომ ე.წ. პროგრესულმა თეორეტიზაციამ საფუძველი შეუქმნა დამყოლობის სინდრომის გაძლიერებასაც. ამგვარად, დანაშაულისა და უწესრიგობის მაღალი მაჩვენებლები მხოლოდ სოციალური ძალაუფლების შესუსტებულ წყაროებს(ოჯახებს, სკოლებს, რელიგიას თუ სხვა წამყვან ინსტიტუციებს) კი არ დაბრალდა,

არამედ მეტწილად გარემომცველი კულტურის საზიანო ზეგავლენას, რომლებიც ვალდებულებებზე უპირატესად უფლებებს მიიჩნევდნენ, თვითკონტროლისა და თავშეკავების ნაცვლად კი თვითნებობის ზღვრამდე მისულ თვით-გამოხატვას განადიდებდნენ (Tzannetakis, 2001). ახალი მემარჯვენეები ამტკიცებდნენ, რომ ამ დახშულ, დემორალიზებულ კულტურაში ნათელი იყო, რომ დანაშაულისა და ძალადობის მაჩვენებლებს ზრდა გარდაუვალი იყო. ამგვარად, წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ რეალური პრობლემებისთვის და მათთან ერთად სოციოლოგიური მიტევებებისთვის, რაც ჩაითვლებოდა კიდეც ძალაუფლების საჭიროებისა და სიკეთეების, წესრიგისა და დისციპლინის ხელახლა განმტკიცების მცდელობად (Scruton, 1980,1985).

ზოგადად, სოციალურ პოლიტიკაში (Morgan, 1978), კერძოდ კი დანაშაულისა და დევიაციის მიმართულებით (Dale, 1984) დარტყმა ლიბერალური და რადიკალურ მემარცხენე ტენდენციებისკენ იყო მიმართული. სოციალურად პროგრესირებად ამ თვითნებურად მოწყობილი ინტერვენციის თავდასხმის ემპირიული გამართლება რობერტ მარტინსონის (Martinson, 1974) გავლენიანი ნაშრომიდან მომდინარეობს. მარტინსონი შეეცადა ეჩვენებინა, რომ ციხის სარეაბილიტაციო პროგრამები უბრალოდ „არ მუშაობდა“ და რომ კეთილდღეობაზე ორიენტირებული პრობაციის სერვისის არსებობის მიზანშეწონილობა კითხვის ნიშნის ქვეშ იყო დაყენებული. შედეგად, შურისგებითი სასჯელის იდეისა (ბოლოს და ბოლოს, მძიმე დანაშაული ხომ უბრალოდ ბოროტების აქტია) და საზოგადოების საფრთხისგან დაცვის არგუმენტაციის ენთუზიაზმით აღსავსე ხელახალი წარდგინების მომსწრენი გავხდით. ამ პოპულისტური თვალთახედვიდან, სასჯელი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი უნდა იყოს და აუცილებლად უნდა აღსრულდეს, რათა სოციალური ღირებულებები გამყარდეს.

მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური მორალის საწინააღმდეგოდ, ბოროტმოქმედთან მოპყრობა ისე, როგორც დამნაშავესთან და არა გამოსწორების კანდიდატთან, რაციონალური აქტორის მოდელის ისეთ თანამედროვე ფორმად განიხილება, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული შურისგებითი მახასიათებლები გააჩნია.

ჯეიმს ქ.უილსონი და „მემარჯვენე რეალიზმი“

ჯეიმს ქ.უილსონმა პირველად Thinking About Crime აშშ-ში, 1975 წელს, რესპუბლიკელი პრეზიდენტის, რიჩარდ მ. ნიქსონის არჩევიდან რამდენიმე წლის შემდეგ გამოსცა. პრეზიდენტი თავის მხრივ სისხლი სამართლის სისტემის გაძლიერებისა და დამნაშავეების მიმართ მიდგომების გამკაცრების მისიით მოვიდა ხელისუფლების სადავეებთან, მკაცრი გენერალური პროკურორი დანიშნა და პოლიციის უფლებამოსილებები გაზარდა. მემარჯვენე რეალიზმის ყველაზე დიდი მომხრე, უილსონი, დანაშაულზე ახალი მემარჯვენე ფილოსოფიისა და პოლიტიკის გადმოსახედიდან მსჯელობს, თუმცა, მის ადრეულ ნაშრომებში, თავადვე უარყოფს როგორც ტრადიციული კონსერვატორების, ისე მემარცხენეების მიდგომების უდიდეს ნაწილს დანაშაულის კონტროლთან მიმართებით. მოგვიანებით, რესპუბლიკელმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა (1981-89) პროფესორი უილსონი თავის სპეციალურ მრჩევლად დანიშნა დანაშაულის საკითხებში და „მემარჯვენე რეალიზმის“ ეს გვიანი სახესხვაობა კიდევ უფრო გაჯერდა შურისგებითი ელემენტებით.

უილსონმა მიიღო ლიბერალთა არგუმენტები იმის შესახებ, რომ პოლიციის გახშირებული პატრულირება, თავისუფლების გრძელვადიანი აღკვეთები თუ მომსახურეთა ცვლა ცენტრალურ სამთავრობო სტრუქტურებში დიდ ზეგავლენას ვერ მოახდენდა დანაშაულის დონეზე. და მაინც, ის შეუვალი იყო იმ არგუმენტების წინაშე, რომლებიც დანაშაულს სერიოზულ პრობლემად არ მოიაზრებდნენ. ამის

საპირისპიროდ, მემარჯვენე რეალიზმის მთავარი დებულება იმაში მდგომარეობდა, რომ დანაშაული ბოროტებაა, რომელიც მკაცრსა და ორგანიზებულ პასუხს მოითხოვს. ამგვარად, უილსონი და ჯორჯ კელინგი (Kelling, 1982,1989) ამტკიცებენ, რომ პოლიცია ყველაზე ეფექტურად გამოიყენება არა დანა-შაულის შემცირებისთვის, არამედ სოციალური წესრიგის შენარჩუნებისთვის. კელინგმა (Kelling, 1999) თავისი პოზიცია შემდეგნაირად შეაჯამა: „თქვენ უგულებელყოფთ წვრილმან დანაშაულებს დიდი საფასურის სანაცვლოდ“ და „უწესრიგობა არამხოლოდ წარმოშობს შიშს, არამედ...უფრო მძიმე დანაშაულსაც მოასწავებს“. მეორე მხრივ, წესრიგის შენარჩუნება საზოგადოების კონტროლის მექანიზმების სრულყოფის შესაძლებლობას წარმოშობს და ამასთან, ახალისებს კანონმორჩილ ქცევას. შესაბამისად, პოლიციის კონსტრუქციული ფუნქციას იმ გარემოს უზრუნველყოფა წარმოადგენს, სადაც დანაშაული ვერ გაიდგამს ფესვებს. ყურადღება სისხლის სამართლის წვრილმანი კანონდარღვევების ნაცვლად ქუჩის ცხოვრების, პროსტიტუციის, ბანდების დაპირისპირებების, ლოთობის დარეგულირებაზე უნდა გამახვილდეს, რომლებიც ცალკეულად შესაძლოა არც თუ ისე საზიანო იყვნენ, თუმცა საერთო ჯამში დამღუპველად მოქმედებენ საზოგადოებაზე და შესაბამისად, კონტროლს საჭიროებენ (Hopkins Burke, 1998b,2004 b; Karmen, 2004)

უილსონი ეჭვით ეკიდება დამნაშავეობრივი ქცევის წინასწარ განსაზღვრული მოდელის იმ მომხრეებს, რომლებიც “მკურნალობისკენ“ და არა დასჯისკენ მოუწოდებენ. მიუხედავად ამისა, ცალსახად იმის თქმაც არასწორი იქნებოდა, რომ მემარჯვენე რეალისტებმა სრულად უგულებელყვეს კრინიმალური ქცევის მსგავსი ახსნები. უილსონმა და რიჩარდ ჰერნშტეინმა (Herrnstein, 1985) ბიო-სოციალური ახსნები შეიმუშავეს, რომლებიც ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ კომპონენტებს იყენებენ ზოგიერთი ინდივიდის კრიმინალური მიდრეკილებების ასახსნელად. ისინი მიიჩნევენ, რომ ადამიანების მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისკენ შესაბამისობაშია ინდივიდის თვითკონტროლის ხარისხთან. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, დიდწილადაა დამოკიდებული ინვესტიციის იმ ოდენობაზე, რომელიც საზოგადოებამ გაიღო თვითკონტროლის ხელშეწყობისკენ, სოციალიზაციის მექანიზმებისა და ინდივიდუალური გენე-ტიკური თუ ბიოლოგიური მახასიათებლების მეშვეობით (რომლებიც შესაძლოა ცვლილებას არც ექვემდებარებოდნენ). მოცემული პერსპექტივა პირდაპირ ესხმის თავს კონკრეტული ტიპის ოჯახებს (კერძოდ ისეთ ოჯახებს,სადაც მხოლოდ ერთ-ერთი მშობელია წარმოდგენილი) და არაეფექტური სოციალიზაციის ტვირთი მათზე გადააქვს მაშინ, როდესაც სწავლის უნარები დიდწილადაა დამოკიდე-ბული ინდივიდის მდგომარეობაზე და ამასთან, ოჯახის, თანატოლების, სკოლებისა თუ სამსახურის მიერ გაღებული წვლილის ეფექტურობაზე. შესაბამისად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ბიოლოგია აყალიბებს კრიმინალური აქტის ჩადენისკენ მიდრეკილ საზოგადოებას მაშინ, როდესაც სოციალიზაცია, ან მისი მარცხი წყვეტს განხორციელდება თუ არა საზოგადოების ნება პრაქტიკულად. ეს სოციო-ბიოლოგიური არგუმენტი უფრო დეტალურად მეცამეტე თავში იქნება განხილული.

ამგვარად, უილსონი კრიმინალური ქცევის თავის თავდაპირველ ანალიზში დამნაშავეობრივი ქცევის წინასწარ განსაზღვრული მოდელის იმ ფაქტორებს იყენებს, როგორიცაა ბიოლოგია და განპირობე-ბულობა, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომში ვერსად ვხვდებით პრაგმატულ პოლიტიკურ წინა-დადებებს, ანალიზი ლოგიკური მსჯელობის ამ ხაზს ნაკლებად მიყვება იმდენად ,რამდენადაც შეუძლებელია ან ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ინდივიდის ბიოლოგიური მონაცემების შეცვლა იმ ზომამდე, რომ მისი დაშვებები ჭეშმარიტი იყოს. მეტიც, მარტივი არ იქნება ოჯახების მეშვეობით წარმართული სოციალიზაციის სწრაფი გაუმჯობესება ან ისეთი ოჯახების რიცხვის შემცირება, სადაც მარტოხელა მშობლებია წარმოდგენილი. თუმცა, ბრიტანეთსა და აშშ-ში პოპულისტ კონსერვატორთა პოლიტიკის მიზანს სწორედ ზემოთხსენებული წარმოადგენდა, რაც გარკვეულწილად, კეთილდღეობის

დღის წესრიგის კონსერვატიული დღის წესრიგის ელემენტადაც ჩამოყალიბდა. ამგვარად, ერთი მხრივ, მიზანს პრაგმატული ინტერვენციის გზით დანაშაულის შემცირება წარმოადგენდა. მემარჯვენე კონსერვატორებისთვის მნიშვნელოვანი იყო პატიოსნებითა და გულისხმიერებით ნაკარნახევი არსებობა უფრო მიმზიდველი გაეხადათ მათთვის, ვინც ცხოვრების მცდარი გზა აირჩია.

მემარჯვენე კონსერვატორები ხაზს უსვამენ მსხვერპლთა გამოკითხვების შედეგად გაკეთებულ მიგნებებს, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ დანაშაულის ტვირთი არათანაბრად ეკისრება ღარიბებს, არაპრივილეგირებულ ინდივიდებსა და მათ, ვისაც ნაკლები თავდაცვისუნარიანობა გააჩნიათ. ამავდროულად, სრულიად უარყოფენ ვიქტიმიზებული აქტორის მოდელის მიერ შემოთავაზებულ უფრო რადიკალურ სახესხვაობებს ჩაგრული კლასის ბრძოლის შესახებ უსამართლო საზოგადოების წინააღმდეგ. მემარჯვენე რეალისტები მტკიცედ ემხრობიან იმ პოზიციას, რომ დანაშაულის ჩამდენიცა და მსხვერპლიც ერთი და იმავე საზოგადოების პირმშოა.

უილსონი (Wilson, 1975:21) აკვირდება დანაშაულის ჩადენის ინდივიდუალისტურ ბუნებას და ადამიანური ქცევის უტალიტარიანისტულ ახსნას გვთავაზობს:

„თუ ლეგიტიმური შესაძლებლობების (მაგ: სამსახურის) მიწოდება და ღირებულება არალეგიტიმური შესაძლებლობების (მაგ: ჯარიმებისა და თავისუფლების აღკვეთის ვადების) შემცირებასთან ერთად დაეცა, მაშინ გონიერმა თინეიჯერს შესაძლოა იფიქროს კიდეც, რომ მანქანების მოპარვას უფრო აქვს აზრი, ვიდრე მათ გარეცხვას“.

ეს უტილიტარული არგუმენტი, როგორც ჩანს, მხარს უჭერს როგორც დანაშაულისგან თავისუფალი გარემოსგან მიღებულ სარგებელს (მეტი და უკეთესი პირობების სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის გზით), ისე დანაშაულის საფასურის გაზრდასაც (აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მეშვეობით). უილსონი უფრო მეტად ამ განტოლების მეორე ნაწილზე კონცენტრირდება. მოკლედ რომ ვთქვათ, დანაშაულის კონტროლის პოპულისტურ კონსერვატორული სტრატეგიები ნამცხვრისა და მათრახის ცნობილ მეტაფორაში უპირატესობას მათრახს ანიჭებდა.

მემარჯვენე რეალისტები მათი წინამორბედი კონსერვატორებისკენ იმით განსხვავდებიან, რომ სასჯელის დაკისრების აუცილებლობის სწამთ. უილსონი აღიარებდა, რომ აშშ , სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, სადაც დანაშაულის მაჩვენებელი ბევრად დაბალი იყო, თავისი მოსახლეობის დიდ ნაწილს ციხეებში უშვებდა და ამავდროულად, სასჯელის აუცილებლობაზე უფრო მიუთითებდა,ვიდრე მის სიმკაცრეზე. შესაბამისად, პოლიციის გაზრდილი აქტივობა სწორედ იმიტომ არ ამცირებს დანაშაულის დონეს, რომ პატიმრობის ღირებულება სისხლის სამართლის სისტემის მომდევნო ნაბიჯებზე და განაჩენზეა დამოკიდებული. უილსონი ასევე შენიშნავს, რომ გაერთიანებულ სამეფოში ძარცვის გამო დაპატიმრება 4-ჯერ უფრო მოსალოდნელია, ვიდრე კალიფორნიაში და 6-ჯერ უფრო მოსალოდნელია, ვიდრე იაპონიაში.

ამტკიცებენ, რომ დამნაშავეები დანაშაულს ჩადენისას პატიმრობის ვადაზე კი არ ამახვილებენ ყურადღებას, არამედ სასჯელის გამოყენების ალბათობაზე - „სასჯელი მის დაგვიანებით დაკისრებასა და გადადებასთან ერთად ეტაპობრივად კარგავს თავის უნარს გააკონტროლოს დამნაშავეობრივი ქცევა“ (Wilson and Herrnstein, 1985:49). მემარჯვენე რეალიზმთან ასოცირებული კიდევ ერთი კრიმონოლოგის, ფელსონი (Felson, 1998:9) უფრო დეტალურად განიხილავს ამ საკითხს თავის ნაშრომში, სადაც გონებამახვილურ და ხშირად ციტირებად ანალოგიას გვთავაზობს:

„რა ხდება მაშინ, როდესაც ცხელ ღუმელს ეხებით: როგორც წესი სწრაფ, მკაფიო თუმცა უმნიშვნელო ტკივილს გრძნობთ. ამის შემდეგ ცხელ ღუმელს აღარ შეეხებით. ახლა კი წარმოიდგინეთ წარმოსახვითი ცხელი ღუმელი, რომელიც ყოველი 500 შეხებისას მხოლოდ ერთხელ გწვავთ და თანაც, ტკივილს შეხებიდან მხოლოდ 5 თვის შემდეგ გრძნობთ ტკივილს. ფსიქოლოგიური კვლევა და საღი აზრი გვკარნახობს, რომ ეს წარმოსახვითი ღუმელი ისევე ეფექტურად არ გამოდგება ჩვენს დასასჯელად, როგორც რეალური ცხელი ღუმელი“.

უილსონის თანახმად გამოსავალი მეტი დამნაშავის დაჭერაშია, რაც პოლიციის ეფექტურობისა და სისხლის სამართლის სისტემის თანმიმდევრულობით მიიღწევა. პოლიციისა და საზოგადოების სუსტი სუსტი კავშირი იქ, სადაც დანაშაული ყველაზე მეტადაა გავრცელებული, ძირს უთხრის პოლიციის ეფექტურობას. სუსტ კავშირს ინფორმაციის ბლოკირებისკენ, უნდობლობისკენ, მტრული დამოკიდებულებებისკენ, ზოგ შემთხვევაში კი მსხვერპლის მიერ დამნაშავის დაცვისკენაც კი მივყავართ.

აშშ-ს სისხლის სამართლის სისტემა (მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიან სასჯელს აკისრებს დამნაშავეებს) სისხლის დანაშაულისთვის სხვა ქვეყნებთან შედარებით ბევრად უფრო ნაკლებ ადამიანს ასამართლებს. უილსონი და ჰერნშტეინი (Wilson and Herrnstein, 1985) სწორედ გრძელვადიანი სასჯელის წინააღმდეგ გამოდიან და შენიშნავენ, რომ გადამეტებულმა სიმკაცრემ შესაძლოა პატიმარი დაარწმუნოს იმაში, რომ უთანასწორო მოპყრობის მსხვერპლი აღმოჩნდა და შემდგომში, შურისგებითი ქცევისკენ უბიძგოს. მეტიც, რაც უფრო გრძელვადიან თავისუფლებს აღკვეთას მოიაზრებს სასჯელი, მით ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ მოსამართლე სასჯელის ზომას გამოიყენებს, შესაბამისად, გარდაუვალი დასჯის პრინციპიც დაირღვევა.

სასჯელის შემაკავებელი ღირებულების საკითხთან მიმართებით უილსონი და ჰერნშტეინი ტრადიციული რაციონალური აქტორის მოდელის მიდგომას არჩევენ. ისინი მწუხარებას გამოთქვამენ სისხლის სამართლის სისტემის ირაციონალობის გამო, რომლებიც, მათი აზრით, მოსამართლეების ხედვას ასახავენ იმის შესახებ, რომ ციხე არ ასრულებს შემაკავებელ ფუნქციას, საკუთარი არგუმენტაციის დასაბუთების მიზნით კი დაპატიმრებული რეციდივისტების მცირე რიცხვს ასახელებენ. ამგვარად, ისინი დამოუკიდებლად დამნაშავის ასაკისა თუ სხვა გარემოებებისა, კონკრეტული დანაშაულისთვის პატიმრობის ვადის წინასწარი დადგენისკენ მოუწოდებენ.

არსებობს მოსაზრება, რომ განსხვავებული სასჯელი ერთი და იმავე დანაშაულისთვის დამნაშავის ქცევის შეცვლის განზრახვას ემსახურება. თუ მიზანს სხვების შეკავება წარმოადგენს დანაშაულის ჩადენისგან, მაშინ სასჯელი მკაფიოდ განსაზღვრული და დადგენილი უნდა იყოს. მეტიც, განსხვავებული სასჯელები მორალურ დილემასაც წარმოშობს. მათ, ვის მიმართაც დანაშაულის ხელახლა ჩადენის მოლოდინი ნაკლებად არსებობს, შედარებით მსუბუქი სასჯელი ეკისრებათ, მაგალითისთვის, საშუალო კლასის წარმომადგენელ თეთრკანიანებს სტაბილური ოჯახებიდან.

მემარჯვენე რეალისტები აღკვეთის ღონისძიების დამტკიცებას მისი ქმედითუნარიანობის შემზღუდავი თვისებებიდან გამომდინარე ემხრობიან. როგორც თავად შენიშნავენ, რეციდივისტები მიკვლეულ დანაშაულთა უდიდეს ნაწილს სჩადიან და შესაბამისად, თუკი კონკრეტული კატეგორიის დამნაშავეები უნდა დააკავონ, თუნდაც მოკლე ხნით, მაშინ დანაშაულის მაჩვენებელი ამ კატეგორიებში შემცირდება. თუმცა, თავისუფლების ამ ტიპის აღკვეთამ ჩვეულებრივი პატიმრობის ფორმა არ უნდა მიიღოს. პატიმრობას ერთი ღამით ან მხოლოდ უქმეებზე ივივე ეფექტი ექნება იმ შემთხვევაში, თუ სასჯელი გარდაუვლად და სრული სიმკაცრით აღსრულდება. შეკავების, დასჯისა და ქმედითუნარიანობის შეზღუდვის ეს ნეო-კლასიკური მიდგომა Thinking About Crime-ის დასკვნაშია შეჯამებული:

“ბოროტი ადამიანები არსებობენ. ამ ვითარებაში მხოლოდ ბოროტმოქმედთა უდანაშაულო ადამიანებისგან ჩამოშორება თუ დაგვეხმარება. მრავალი სხვა ადამიანი კი, არც დამნაშავე, არც უდანაშაულო, არამედ უბრალოდ ფხიზლად მყოფი ფარისეველი თავიანთ შესაძლებლობებს განჭვრეტს იმის გასაგებად, თუ რა პასუხი გვექნება ჩადენილ სიავეზე, რათა თავადაც გათვალონ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ თავიანთ სასარგებლოდ“.

(Wilson, 1975:235-6)

მემარჯვენე რეალიზმი და სოციალური კონტროლი

მემარჯვენე რეალიზმი ხაზს უსვამს საჯარო წესრიგის მხარდაჭერის საჭიროებას და საჯარო მორალის იდეას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქუჩის ნაკლებად მძიმე დანაშაულების ლეგალიზაციის (როგორიცაა პროსტიტუცია, რეკრეაციული მიზნით ნარკოტიკული საშუალებების მიღება) ან სულ მცირე, დეკრიმინალიზაციის ლიბერალური მოთხოვნების საპირისპიროდ მემარჯვენე რეალისტები მსგავსი დანაშაულების მკაცრ კონტროლს მოითხოვენ. მეტიც, ნარკოტიკებთან ბრძოლაში ისინი დილერებისა და უმწეო ნარკოდამოკიდებულების წინააღმდეგ მიმართულ ინტერვენციაში აზრს ვერ ხედავენ,სანაცვლოდ, ერთობლივი ინტერვენციის წინადადებას ემხრობიან ნარკოტიკის პერიოდული მომხმარებლების წინააღმდეგ, რომლებსაც საზოგადოებრივ ქსოვილზე თავდამსხმელებად მიიჩნევენ (Wilson, 1985).

უილსონი და კელინგი (Wilson and Kelling, 1989) მიიჩნევენ, რომ პოლიციამ ის ქმედებები უნდა აღკვეთოს, რომლებიც თავისი არსით მკაცრად დამნაშვეობრივად არ ითვლებიან, მაგრამ ამავდროულად, მიტოვებული ნაგებობების, ხმაურიანი ბავშვებისა და ახალგაზრდების ქუჩური დაჯგუფებების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს ადვოკატირებენ, რომლებიც შევიწროებასთან, მტრულ დამოკიდებულებასთან და სხვა არაცივილურ გამოხატულებებთან ერთად სოციალური ვარდნის ინდიკატორებად მოიაზრებიან. მსგავსი ქმედება გამართლებულია იმდენად, რამდენადაც წვრილმანი უწესრიგობები კრიმინალის მაღალ მაჩვენებელს მოასწავებენ. მემარჯვენე რეალისტები საზოგადოების სტრუქტურული პირობების მისამართით არავითარ მოთხოვნებს არ აყენებენ, თუმცა მიიჩნევენ რომ ინდივიდების ქცევა უნდა კონტროლირდებოდეს, ვინაიდან მსგავსი ქმედებები საზოგადოების, განსაკუთრებით კი ღარიბი ადამიანების კეთილდღეობას უშლის ხელს.

მემარჯვენე რეალისტები ამტკიცებენ, რომ ჩარევა წესრიგის აღდგენისა და დანაშაულზე კონტროლის დამყარების მიზნით უნდა დაიგეგმოს. ინტერვენცია იმ არეალს უნდა მიემართოს, რომლებიც კრიმინალურ სივრცეებად მოიაზრებიან ან პოტენციურად წარმოადგენენ კრიმინალურ სივრცეებს. ის სივრცეებზე, სადაც დანაშაული ბუნებრივად აღქმული ფენომენია, რესურსები საერთოდ არ უნდა დახარჯოს, ვინაიდან ყურადღება მხოლოდ იმ სივრცეებს უნდა მიექცეს, სადაც კრიმინალური ქცევის შეცვლისა და წესრიგის აღდგენის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არსებობს. მწვავედ პრობლემურ სივრცეებში კრიმინალზე უფრო ყოვლისმომცველი თავდასხმა უნდა განხორციელდეს. პოლიციამ უნდა გამოავლინოს და დასაჯოს დამნაშავეები, ხოლო დანაშაულის განმეორებით ჩამდენების მიმართ ბევრად უფრო მკაცრი მიდგომა გამოიჩინოს. სწორედ ამ წინადადებამ მიიყვანა აშშ-ს პოლიტიკამდე, რომლის არსიც შემდეგ წინადადებაში იკითხება: „სამი დარტყმა და ვარდები“. რაც იმას გულისხმობდა,რომ დანაშაულის მესამედ ჩადენის შემდეგ დამნაშავეს თავისუფლების ხანგრძლივი ვადით აღკვეთა შეეფარდებოდა. 2002 წელს 6700 პატიმრიდან , რომელიც 25 წლიან სასჯელს იხდიდა სწორედ მესამედ ჩადენილი დანაშაულისთვის იყო გასამართლებული, მათგან 3 350 ზე მეტი არაძალადობრივი

დანაშაულისთვის, ხოლო 350-ს თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით წვრილმანი ქურდობისთვის შეეფარდა. აღსანიშნავია, რომ პატიმართა 40% შავკანიანი, ხოლო 26% ლათინოამერიკელი იყო (Campbell, 2002).

მემარჯვენე რეალიზმი, შესაძლებელია, დანაშაულისა და დამნაშავეობრივი ქცევის რაციონალური აქტორის მოდელის თანამედროვე აღორძინებადაც მივიჩნიოთ . ამ თეზისის ცენტრალურ დაშვებას ის წარმოადგენს, რომ დანაშაული ინდივიდუალური არჩევანის შედეგს წარმოადგენს და მისი პრევენცია ან შეზღუდვა ისეთი პრაგმატული საშუალებებით არის შესაძლებელი, რომლებიც კრიმინალური ქცევის ალბათობას შეამცირებენ; დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობებს შეზღუდავენ; გამოვლენის შანსებს გაზრდიან; დანაშაულის გამოვლენის ალბათობის გაზრდა ნაწილობრივ აქტიური პატრულირებით იქნებოდა შესაძლებელი; და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იარსებებდა განსაზღვრული სასჯელი, მკაცრი, მკაფიოდ განსაზღვრული და დაუყოვნებელი სასჯელი ჩადენილი დანაშაულისთვის. დაპატიმრება ნაწილობრივ ეფექტურად განიხილება დამნაშავეთა ნეიტრალიზების ან შეკავების კუთხით, ამასთან ის საზოგადოებას აიძულებს კანონმორჩილი ცხოვრების წესს მისდიონ.

მემარჯვენე რეალიზმი და მის მიერ შემოთავაზებული წინადადებები ქმედითუნარიანობის შეზღუდვის შესახებ უკიდურესად გავლენიანი ამოჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ამაზე შემდეგი მაჩვენებლები მიანიშნებს: აშშ-ს ციხეებში პატიმართა რაოდენობამ ორ მილიონს პირველად 2002 წელს გადააჭარბა; მსოფლიოში პატიმართა ყველაზე დიდი რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობასთან მიმართებით სწორედ შტატებში ფიქრდება. აშშ-ს სამართლის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, 20-დან 30 წლამდე შავკანიან მამაკაცთა 12% პროცენტი სასჯელს ციხეში იხდიდა, მაშინ, როდესაც იგივე ასაკობრივი ჯგუფის თეთრკანიან მამაკაცებში ეს პროცენტული მაჩვენელი 1.6%-ს შეადგენს. საერთო ზრდა (თითქმის ორმაგი 1990 წლისთვის) „მკაცრ სასჯელაღსრულებით პოლიტიკას მიეწერა. საკმაოდ გახშირდა გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის მისჯა ნარკოდამნაშავეებისთვის და სხვა კრიმინალებისთვის“. აშშ- ში მცხოვრები ყოველი 142 ადამიანიდან ერთი ციხეში იჯდა (BBC NEWS, 2003a). დასჯის მიზნით ქმედითუნარიანობის შეზღუდვის მაგალითებს მხოლოდ აშშ-ში არ ვხვდებით: 2004 წლის 30 იანვარს პატიმართა რიცხვი ინგლისსა და უელსში 73 688 -ს უტოლდებოდა, წინა წლის ზრდის მაჩვენებელი 2729-ს შეადგენდა, ხოლო 1994-2004 წლის საერთო ზრდის მაჩვენებელი 25 000-ს (Prison Prison Trust, 2004).

აშშ-ს სისხლის სამართლის პოლიტიკაში შურისგებითი ელემენტების შემოტანამ განხორციელება, უკანასკნელ 30 წელიწადში, სიკვდილით დასჯის დაბრუნებაში ჰპოვა. პოლიტიკის მსგავსი ცვლილება, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება ბეკარიას მიერ ჩამოყალიბებულ ადრეული რაციონალური აქტორის ტრადიციას, რომლებიც მიიჩნევდა, რომ სიკვდილით დასჯა არაცივილური და თანამედროვე სისხლის სამართლის შეუფერებელი დასჯის ფორმაა. თუმცა, პასუხისმგებლობის კუთხით, ბავშვებისა და ზრდასრულების გაიგივება სწორედ რაციონალური აქტორის მოდელის გამოძახილია. Amnesety International-ის მიერ 2002 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად გასული ორი ათწლეულის განმავლობაში არასრულწლოვანთა სიკვდილის დასჯის შემთხვევების საერთო რაოდენობის 2/3 სწორედ აშშ-ში დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ გაერო-ს 190 წევრი სახელმწიფოდან მხოლოდ აშშ და სომალიამ ვერ შეძლეს ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის რატიფიცირება, რომელიც კრძალავდა არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯას (BBC News, 2002a) .

მემარჯვენე რეალიზმის კრიტიკა

დანაშაულისა და დამნაშავეობრივი ქცევის ახსნის მემარჯვენე რეალიზმისთვის დამახასიათებელი პერსპექტივისა და პოლიტიკის შეჯამება შემდეგ ათ დებულებაშია შესაძლებელია:

1.დანაშაული განისაზღვრება არა სოციალური პირობებით, არამედ ინდივიდების შინაგანი მიდრეკილე-ბებით.

2.დანაშაულის მიზეზების ძიება დროის ფუჭი კარგვაა.

3.ინდივიდები დანაშაულის ჩადენას არჩევენ. ამგვარად, ნაკლები ადამიანი არჩევს დამნაშავეობრივ ქცევას მიჰყვეს თუ მთავრობები უფრო ეფექტურ და ადეკვატურ სასჯელს შემოიღებენ.

4.სოციალური პირობების გაუმჯობესება არ შეამცირებს კრიმინალის დონეს.

5.რეაბილიტაცია დამნაშავეთა ქცევაზე რეაგირების არაეფექტური მეთოდია.

6.დანაშაული პრობლემაა და „დანაშაულის შიშს“ რაციონალური ბაზისი გააჩნია.

7.აუცილებელია რეალისტურად განვეწყოთ იმის მიმართ, თუ რისი მიღწევა შეგვიძლია ამ ომში დანაშაულის წინააღმდეგ და გავაცნობიეროთ არსებული ცოდნის შეზღუდულობები.

8.მცირედი მიღწევების უგულებელყოფის ნაცვლად, უტოპიური გამოსავლების ძიება უნდა უარვყოთ.

9.დანაშაული კანონდარღვევაა იმიტომ, რომ კანონი საზოგადოების მორალის განხორციელებას წარმოადგენს , რომელიც, თავის მხრივ, მცდარისა და ჭეშმარიტის წმინდად რელიგიურ ცნებებს ასახავს. დანაშაული მორალურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია.

10.დანაშაულის პრევენცია ტრადიციულ მორალურობაზე დაფუძნებული ძლიერი სოციალური ძალაუფ-ლების განმეორებითი მტკიცების გზით არის შესაძლებელი.

მემარჯვენე რეალიზმის კრიმინოლოგია მრავალი კრიტიკის საგანს წარმოადგენს. პირველი, მოცემული პერსპექტივა პრიორიტეტს ანიჭებს ქუჩის კრიმინალთან ბრძოლასა და სოციალური წესრიგის შენარჩუნებას თეთრი საყელოსა და კორპორატიული დანაშაულის პრაქტიკული გამორიცხვით, რომელიც დიდძალ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას (Conklin, 1977; Croall, 1992, 2001). მემარჯვენე რეალიზმის პერსპექტივაში აშკარა ვარაუდი იკვეთება იმის შესახებ, რომ ადამიანთა უმეტესობას გამოცდილება მხოლოდ ქუჩის დანაშაულთან აქვს, თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც ვაღიაროთ, რომ სწორედ ამ ტიპის დანაშაულები გამოირჩევიან მაღალი ხილვადობით და პირდაპირი ზეგავლენა აქვთ ადამიანებზე. საპენსიო გეგმების არამიზნობრივი გაყიდვები, კლინიკური ცდების გარეშე პრეპარატების გაყიდვა შორეულ განვითარება სახელმწიფოებში და დაბინძურებული ნარჩენების მდინარეებში ჩაყრა იმ დანაშაულებს წარმოადგენენ, რომლებსაც უდიდესი ზეგავლენა აქვთ საზოგადოებაზე, თუმცა ქუჩის ქურდობა თუ სახლში დაბრუნებისას იმის აღმოჩენა, რომ სახლი გაძარცვეს მყისიერ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე და „დანაშაულის შიშს“ წარმოშობს (Kershaw et al., 2000). სწორედ ამ რეალობას აღიარებენ როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ღირებულებების კრიმინოლოგი რეალისტები და პოლიტიკოსები. მართლაც, სწორედ ამის აღიარება აქცევთ მათ „რეალისტებად“.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ დამნაშავეობრივი ქცევის ახსნების ძიებისას მემარჯვენე რეალისტები ისეთ ეკონომიკურ და სტრუქტურულ ცვლადებს უგულებელყოფენ, როგორებიცაა სიღატაკე და

სოციალური გამორიცხვის სხვა საზომები. მათი ყურადღების ფოკუსს მხოლოდ და მხოლოდ ქცევითი განპირობებულობა და ინდივიდის სოციალიზაციის არასაკმარისობა წარმოადგენს.

მეორე, შემოთავაზებული ამხსნელობითი კავშირი არაცივილურობას, უწესრიგობასა და დანაშაულს შორის ემპირიულად რთულად დასამტკიცებელია. მაგალითისთვის, გაერთიანებულ სამეფოში მეთიუსმა (Matthews, 1992) აღმოაჩინა, რომ ისეთი სოციალური ინდიკატორები, როგორებიცაა სიღატაკის დონე და საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობა ბევრად უფრო მნიშვნელოვან მაჩვენებლებს წარმოადგენენ, ვიდრე ურბანული რეგრესისთვის დამახასიათებელი არაცივილური ქმედებები.

მემარჯვენე რეალიზმის მიხედვით, სივრცეებში, სადაც სოციალური პრობლემატიკა და დანაშაულის დონე მთელი სიმწვავით იჩენს თავს არ იმსახურებენ დახმარებას (Wilson and Kelling, 1989). კანონ-დარღვევის ჩადენისას ისინი მძლავრი კრიმინალური კონტროლის სტრატეგიებისა და მკაცრი სასჯელის სამიზნეები ხდებიან; კანონმორჩილების შემთხვევაში კი სრულიად დაუცველნი რჩებიან კრიმინალით მოცულ სივრცეებში, უფრო მეტად ირიყებიან და ზიანდებიან. მეტიც, მემარჯვენე რეალისტები მიიჩნევენ, რომ თავად ეს ადამიანები არიან პასუხისმგებელნი თავიანთ რთულ მდგომარეობაზე, ვინაიდან ვერ შეძლეს საკუთარი შვილების სოციალიზაცია და შესაფერისი კონტროლის მექანიზმები ვერ გამოიყენეს (რაშიც, როგორც ყოველთვის, ფიზიკური დასჯის გზით ქცევის მოწესრიგება იგულისხმება)

საჯარო წესრიგის ისეთ დარღვევებთან ბრძოლის კანონიერება, როგორიცაა მათხოვრობა და მაწან-წალობა არასარწმუნოა და ესეც რომ არა, უბრალოდ უსამართლობაა, ვინაიდან შეჭირვებულ ჯგუფებს უსახლაკაროებსა და მზრუნველობამოკლებულებს მიემართება (Hopkins Burke, 1998c, 2000).

მემარჯვენე რეალისტები ამტკიცებდნენ, რომ გახსნილი საქმეების სტატისტიკა პოლიციის საქმიანობის ერთადერთ ჭეშმარიტ ინდიკატორს წარმოადგენს, სოციალური წესრიგის მოდელზე გადასვლა კი ართულებს პოლიციის ეფექტურობის სათანადო გაზომვის შესაძლებლობას (Kinsey, Lea and Young, 1986). უფრო შემაშფოთებელია ის, რომ თუ პოლიციას ნებას დართავენ მეტი მოქნილობა გამოიჩინოს კონტროლის განხორციელებისას, უკიდურესად გართულდება მათ ანგარიშვალდებულებასა და პროფესიონალიზმში დარწმუნება (იხ. Smith, 2004).

მემარჯვენე რეალისტების მიერ რაციონალური აქტორის მოდელის ხელახალმა აღმოჩენამ და ადაპტირებამ, რომლის მთავარ დაშვებას ის წარმოადგენს, რომ კრიმინალური ქცევა სწორ მორალური ღირებულებებისგან განძარცვული ადამიანების რაციონალური არჩევანია, ადამიანთა ჯგუფების დემო-ნიზაცია გამოიწვია. ასეთ ჯგუფებს წარმოადგენდნენ ახალი ეპოქის მოგზაურები (New Age travelers), ნარკომომხმარებლები და ახალგაზრდა მარადიორ მამაკაცთა ჯგუფები. მემარჯვენე რეალისტები ამტკიცებდნენ, რომ ამ კატეგორიების წარმომადგენლები მკაცრ სასჯელს იმსახურებენ, სახელმწიფომ მათ ჩარევისა და სადამსჯელო „კანონისა და წესრიგის“ სახელით უნდა გასცეს პასუხი.

მემარჯვენე რეალიზმის ადრეულმა წარმომადგენელმა და ჯეიმს ქ. უილსონის თანამედროვემ, ერნესტ ვან დენ ჰააგმა (Van Den Haag, 1975) მსგავსი იდეები წამოაყენა. ვან დენ ჰააგი მემარჯვენე რეალიზმის ფართო პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებდა და სრულიად უგულებელყოფდა ზემოთ-ჩამოთვლილ ექვს წინააღმდეგობას. კაპიტალიზმის გარდაუვალობისა და საჭიროების შეუპოვარი დამცველი ვან დენ ჰააგი შენიშნავდა, რომ სისტემის ფუნდამენტური საზრისი „გამარჯვებულებისა“ და „დამარცხებულების“ დიქოტომიის შექმნაში მდგომარეობდა. თუ მოცემულ ანალიზს დავეთანხმებით, მაშინ იმასაც უნდა დავეთანხმოთ, რომ გამარჯვებულებს უფლება აქვთ საკუთარი საწარმოსგან მიღე-ბული სარგებლით ისიამოვნონ და გარისკონ კიდეც ისე, რომ ეს „ჯილდოები“ დამარცხებულებმა არ

წაართვან უკანონო გზებით. მოკლედ რომ ვთქვათ, კაპიტალიზმისთვის, როგორც ეკონომიკური წარმოების წარმატებული ფორმის ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, რომ დოვლათის დაგროვებაზე პასუხისმგებელი პირები და ამ პოლარიზებულ საზოგადოებში დასაქმებულ ადამიანები (რომლებსაც ღია წვდომა გააჩნია მერიტოკრატიული საზოგადოების მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებსა და სარგებელზე) დაცულნი იყვნენ კრიმინალებისა და სოციალურად გამორიცხული ქვეკლასებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ჩვენს მატერიალურ თუ სხვა ტიპის კეთილდღეობას. მეტიც, საზოგადოების სწორედ ამ ბირთვის წევრები ქმნიან ელექტორალურ უმრავლესობებს მსგავსი პოლიტიკის შენარჩუნების მიზნით.

1.1.3 რაციონალური აქტორის თანამედროვე თეორიები

დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის რაციონალური აქტორის მოდელის მიმართ ინტერესი ახალი მემარჯვენეების აღზევებასთან ერთად გამოცოცხლდა 1970–80 იან წლებში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ–ში. ამ პერიოდის მეორე ათწლეულში ბრიტანეთის Home Ofce–ში (შინაგან საქმეთა დეპარტამენტი) პოპულარული გახდა დღის წესრიგი სახელწოდებით „არაფერი მუშაობს“ (Martinson, 1974).

მათ კითხვნის ნიშნის ქვეშ დააყენეს რეაბილიტაციის ეფექტურობის საკითხი, რომელიც იმ დროისათვის დანაშაულისა და დამნაშავეობრივი ქცევის დომინანტური, წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელის პრაგმატული ორდოქსების მიერ იყო შემოთავაზებული. ისინი რეაბილიტაციას დანაშაულის კონტროლის სტრატეგიად განიხილავდნენ.

წინამდებარე თავი თანამედროვე რაციონალური არჩევნის თეორიების იმ ორ ჯგუფს მიმოიხილავს, რომლებიც ცნობადი სწორედ ამ აღორძინების შედეგად გახდნენ. ესენია: 1. შეკავების თანამედროვე თეორიები; 2. რაციონალური არჩევნის თეორიები.

შეკავების თანამედროვე თეორიები

შეკავების თანამედროვე თეორიებს საფუძვლად სასჯელის გარდაუვალი დაკისრების, სიმკაცრისა და დაუყონებლივი აღსრულების, ჩადენილ დანაშაულთან თანაბარზომიერების, სპეციფიურობისა და ზოგადი შეკავების პრინციპები უდევს (Zimring and Hawkins, 1973; Gibbs, 1975; Wright, 1993). შეკავების დოქტრინის თანახმად, შეკავების მიზნით დაკისრებული სასჯელი სწრაფი და გარდაუვალი უნდა იყოს. სასჯელის დაუყონებლივ აღსრულების ცნება მიემართება სანქციის დამტკიცების სისწრაფეს, ხოლო გარდაუვალობა დაკავებისა და სასჯელის დაკისრების ალბათობას. თუ სასჯელი მკაცრი, გარდაუვალი და დაუყონებლივ დაკისრებულია, მაშინ გონივრული გათვლებით უნდა დავასკვნათ, რომ დანაშაულის ჩადენით იმაზე მეტის დაკარგვა შეიძლება, ვიდრე მოგება. მეტიც, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ სასჯელის გარდაუვლად დაკისრება დანაშაულის შეკავებისას უფრო ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე სასჯელის სიმკაცრე. მეორე მხრივ, რაც უფრო ნაკლებია სასჯელის დაკისრების ალბათობა, მით უფრო მკაცრი უნდა იყოს ის, დანაშაულის შეკავება რომ შეძლოს (Akers , 1997).

მიიჩნევა, რომ შეკავება ორგვარად მოქმედებს. პირველ შემთხვევაში, ანუ „ზოგადი შეკავების“ დროს, დამნაშევეებზე სახელმწიფოს მიერ დაკისრებული სასჯელი ერთგვარ სამაგალითო დასჯად განიხილება საზოგადოებისთვის, რომლებსაც კრიმინალურ საქმიანობაში გარევის შეეშინდებათ (Zimring and

Hawkins, 1973). „სპეციფიური შეკავების“ შემთხვევაში კი მიიჩნევა, რომ დაკავებული და დასჯილი დამნაშავე მომავალში თავს შეიკავებს დანაშაულის ხელახალი ჩადენისგან ვინაიდან გააცნობიერებს, რომ შემდეგშიც გარდაუვლად დაიჭერენ და მკაცრად დაისჯება. ინდივიდუალური შეკავების უკიდურეს ფორმას სიკვდილით დასჯა წარმოადგენს. სიკვდილის დასჯის ეფექტურობასთან დაკავშირებული კვლევების თვალსაჩინოებისდა მიუხედავად ეს საკითხი კვლავაც ორაზროვნებითაა მოცული.

შეკავების ადრეული კვლევების ეტაპზე, სხვადასხვა გეოგრაფიულ ლოკაციაზე, მკვლელობის სტატის-ტიკას სწავლობდნენ როგორც სიკვდილის დასჯის გაუქმებამდე, ისე მას შემდეგ. ერლიხი (Ehrlich 1975) რაციონალური არჩევნის თეორიის მკაცრად გაკრიტიკებულ ეკონომეტრიულ ვერსიას დაეყრდნო, რომლის თანახმადაც აშშ–ში სიკდილით დასჯის ყოველმა აქტმა დაახლოებით 7–8 მკვლელობა შეაკავა. მისი მიგნებები ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში ჩატარებულ წინამორბედ კვლევას, რომლის თანახმადაც სიკვდილით დასჯა არავითარ ზეგავლენას არ ახდენდა მკვლელობის სტატისტიკაზე (Sellin, 1959; Bedau, 1964). გარდა ამისა, როგორც კვლევები ადასტურებს, ინგლისსა და უელსში, 1965 წელს სიკვდილით დასჯის გაუქმებამ არსებითი ზეგავლენა არ მოახდინა მკვლელობების საერთო მაჩვენებელზე (Beyleveld, 1979; Morris and Blom Cooper, 1979).

ხშირად მიიჩნევდნენ, რომ მკვლელობა, კერძოდ კი ოჯახური ძალადობის კონტექსტში ჩადენილი მკვლელობა ის დანაშაულია, რომლის ჩადენის პროცესშიც ნაკლებად მოსალოდნელია დამნაშავემ რაციონალური არჩევანი გააკეთოს. მოცემულ შემთხვევაში პოტენციური შედეგები არარელევანტური, ხოლო დანაშაულის შეკავება ნაკლებად მოსალოდნელი იქნება. ამავე კონტექსტში უოკერი (Walker 1985) ამტკიცებს, რომ შეკავების მიზნით სიკვდილით დასჯა უვადო პატიმრობაზე ეფექტური არაფრითაა .

როგორც უკვე ვიხილეთ, რაციონალური აქტორის მოდელის მომხრეები მიიჩნევენ, რომ პოტენციური დამნაშავეები წინასწარ განჭვრეტენ დანაშაულთან დაკავშირებულ რისკებსა და სარგებელს. კვლევაც სწორედ წინა თავში განხილული მემარჯვენე რეალისტების ვარაუდებს ადასტურებს იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაულის გამოვლენის ალბათობა ამ „ანგარიშში“ უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე სასჯელის ზომა (Beyleveld, 1978, 1979).

გაერთიანებულ სამეფოში პოლიციის პატრულირებისას, დანაშაულის ჩადენის პროცესში დამნაშავის დაჭერის სტატისტიკა ძალზედ დაბალია (Bottomley and Coleman, 1981), ხოლო ძარცვის შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი მეტწილად ადგილმდებარეობაზეა დამოკიდებული და ის 9-დან 46%-მდე მერყეობს. დანაშაულში მხილების ალბათობა აქ მნიშვნელოვან ცვლადს წარმოადგენს. ჯილმა და მეთიუსმა (Gill and Matthews 1994, იხ ასევე Matthews 1996) დაპატიმრებული ბანკის მძარცველების გამოკითხვის შედეგად აღმოაჩინეს, რომ მათი კვლევის სუბიექტიდან არცერთი მათგანი არ მოელოდა კრიმინალური ქმედებებისთვის თავისუფლების აღკვეთას მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი აქამდე ნასამართლევი იყო.

სასჯელის მიზნობრიობასთან დაკავშირებული ეთიკური წინააღმდეგობები იმ შემთხვევაშიც იჩენს თავს, თუ სასჯელის დაკისრება ეფექტურად ასრულებს შეკავების ფუნქციას. ბეილეველდი (Beyleveld 1978) მიიჩნევს, რომ სასჯელის ის ტიპები, რომლებიც პოტენციური დამნაშავის შეკავებისთვის გამოიყენება მნიშვნელოვნად განსხვავდება ადამიანების, ჩადენილი დანაშაულებისა და გარემოებების მიხედვით. შესაბამისად, დანაშაულის პრევენციის/შეკავების მიზნით შესაძლოა საჭირო გახდეს, სასჯელი დანაშაულის სიმძიმესთან სრულიად არაპროპორციულ დონეზე დადგინდეს (Wright, 1982). ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება რაციონალური არჩევნის აქტორის მოდელის ცენტრალურ კონცეფციას იმის შესახებ, რომ სასჯელი დანაშაულს უნდა მიესადაგებოდეს. მეტიც, მაშინ, როდესაც დამნაშავე

დაკავებული არ არის, მას მუქარისშემცველი სასჯელი უნდა დაეკისროს. სასჯელის მსგავსი ფორმის დაკისრება შესაძლოა უბრალოდ კონტრპროდუქტიული აღმოჩნდეს (Wright, 1982).

მარტინი და ვებსტერი (Martin and Webster 1971) ამტკიცებდნენ, რომ დაპატიმრებამ შესაძლოა ადამიანი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს, რომ მას დამნაშავეობრივი ქმედების გაგრძელების შემთხვევაში ბევრი რამ აღარც დარჩეს დასაკარგი. შესაბამისად, კანონმორჩილი ცხოვრების გაგრძელების მოტივაცია შემცირდება და წარსულში ნასამართლევი ინდივიდი შესაძლოა, მოსალოდნელ შედეგებზე დაფიქრების გარეშე ჩაერთოს უკანონო ქმედებებში. ეს არგუმენტი ძალიან ჰგავს იმ თეორეტიკოსების ნააზრევს, რომლებიც ვიქტიმიზებული აქტორის მოდელის ტრადიციას მიეკუთვნებიან. მოცემული პერსპექტივის ცენტრალური ცნება მოკლედ შემდეგნაირად ფორმულირდება: დაპატიმრებამ და სტიგმატიზებამ შესაძლოა, დამნაშავეს შემდგომში კრიმინალური ქცევის გაგრძელებისკენ უბიძგოს.

რაითი (Wright 1982) უშვებს, რომ მკაცრი სასჯელის დაკისრების ალბათობა დამნაშავეებს დანაშაულში მხილებისა და გასამართლებისგან თავის არიდებაში წაახალისებს, ამან კი, თავის მხრივ, შესაძლოა ძალადობრივი გაქცევები გამოიწვიოს, რომ არაფერი ვთქვათ სასამართლო სხდომებზე ფუჭად დაკარ-გულ დროზე, სადაც ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს წარმატების რეალისტური შანსების გარეშე. მეტიც, მაგალითისთვის ბავშვებთან გარყვნილ ქმედებებში ბრალდებულები შესაძლოა, თერაპიის იმ შესაძლებლობას ჩამოაცილონ, რომლიდანაც ისინი რაიმე სარგებელს მიიღებდნენ.

დანაშაულის როგორც შეკავების ღონისძიების გამოყენება, რაციონალური აქტორის მოდელის დაშვებას ეფუძნება იმის შესახებ, რომ ადამიანი თავად აკეთებს დამნაშავეობრივი აქტის ჩადენის არჩევანს. შემაკავებელი სასჯელის დაკისრება იმ პირებზე, რომლებსაც სუსტი კონტროლი გააჩნიათ (ან საერთოდ არ გააჩნიათ კონტროლი) საკუთარი იმპულსების მართვაზე, ანუ კანონს უნებლიედ არღვევენ - მორალურად დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებად წარმოჩინდება, თუმცა სამართლებრივად არის შესაძლებელი იმის დამტკიცება, რომ შემაკავებელი სასჯელი დამნაშავეების განზრახვით ჩადენილ დანაშაულების შემთხვევაში მართებულ ღონისძიებას წაროადგენს (თუმცა მსგავსი პირების არსებობა მნიშვნელოვანი დებატების საგანს წარმოადგენს) (Walker, 1980). თანამედროვე შეკავებითი თეორიების კრიტიკა ადამიანის ქმედების ამ შეზღუდულ აღქმას მიემართება, რომელსაც ემყარება კიდეც მოცემული პერსპექტივა. განსაკუთრებით გამოკვეთილია ადამიანის ქცევის უფრო კომპლექსური თეორიის შემუშავების მნიშვნელობა იმ შიდა და გარეგანი ფაქტორების გამოკვლევისთვის, რომლებიც კრიმი-ნალურ საქმიანობაში ადამიანის ჩართულობას ახსნიდნენ (იხ. Piliavin et al., 1986; Klepper and Nagin, 1989; Grasmick and Bursik, 1990; Matravers, 1999). ამ მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნიათ, თეორიამ ის რაციონალური თუ ირაციონალური მამოძრავებელი სტიმულები ცნოს, რომლებსაც დანაშაულის ჩადენა მოყვება. აშკარაა, რომ დამნაშავეთა დიდ ნაწილს უშუალოდ დანაშაულის ჩადენამდე, სარგებლისა და დანაკარგის სწორი ბალანსირების უნარი არ შესწევთ, ამიტომ მრავალი ახალგაზრდა ქუჩურ დაპი-რისპირებაში ისე ერევა, რომ ხშირად წარმოდგენაც არ აქვს საკუთარი ქმედებების შესაძლო შედეგებზე. კინი, მაქსიმი და ტეივანი (Keane, Maxim and Teevan 1993) ამტკიცებენ, რომ მსგავს ადამიანებს ქმედების რაციონალური გააზრების უნარები არ შესწევთ, ვინაიდან თვითკონტროლი არ გააჩნიათ ან მყისიერი კმაყოფილების დაუფლების ძლიერი მოთხოვნილება ამოძრავებთ, რაც უბრალოდ გამორიცხავს ქცევის წინასწარ, რაციონალურად შეფასების რაიმე შესაძლებლობას.

რეციდივიზმის მათალი მაჩვენებლები შეკავების თანამედროვე თეორიების გამოსადეგობისთვის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს. დანაშაულის განმეორებით ჩადენის მაჩვენებლები იმ ახალ-გაზრდებს შორის, რომლებმაც საპატიმრო დატოვეს საკმაოდ მაღალია. 1998 წელს, 14-17 წლამდე

მამრობითი სქესის მოზარდებში წინა სასჯელის მოხდიდან 2 წლის ვადაში დანაშაულის ხელახალი ჩადენის (და შედეგად დაპატიმრების) მაჩვენებლები 84%-ს უტოლდებოდა. ხელახლა დაპატიმრებულთა 36% სასჯელს მეორედ იგივე დანაშაულისთვის იხდიდა, რაც პატიმრობის პირველი ვადის შემთხვევაში (Nacro, 2003). მეტიც, არასწორი იქნებოდა გვევარაუდა, რომ დამნაშავეები დანაშაულს მაშინ არ სჩადიან, როდესაც ციხეში იხდიან სასჯელს. პატიმრებზე და ციხის მომსახურე პერსონალზე თავდასხმები საკმაოდ ხშირი მოვლენაა. Prison Service-ის მიერ, 2000-2001 წლებში თავდასხმის 6 388 შემთხვევა აღირიცხა. ხუთი ყველაზე ცუდი მაჩვენებლების მქონე სასჯელაღსრეულებითი დაწესებულება კი უშუალოდ არასრულწლოვანთა საპატიმროს წარმოადგენდა. ანალოგიურად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ნარკომოხმარების მაღალი მაჩვენებელი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ დაკავება სრულიად არ წარმოადგენს უკანონო ნივთიერებებზე წვდომის შემაფერხებელ ფაქტორს. Home Ofce-ის (ბრიტანეთის შინაგან საქმეთა დეპარტამენტის) ანგარიშის თანახმად, კრიმინალის 1%-ით შემცირებისთვის, პატიმრობის მაჩვენებლის 15%-ით გაზრდაა საჭირო.

რაციონალური არჩევნის თეორია

დანაშაულისა და დამნაშავეობრივი ქმედების რაციონალური აქტორის მოდელისადმი ინტერესის გამოღვიძება თავს იჩენს სიტუაციური დანაშაულის პრევენციისკენ მიმართულ სამთავრობო ენთუზიაზმში. ეს ენთუზიაზმი განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც მთავრობებმა საბოლოოდ დაკარგეს მოთმინება კრიმინოლოგების წარუმატებელი მუშაობისდა გამო, რომლებიც დანაშაულის სტატისტიკაში მორიგი აფეთქების ამოხსნას ცდილობდნენ. გვიანი 1970-იანი წლები დიდ ბრიტანეთში კრიმინოლოგიური თეორიების შემუშავების ნაცვლად პრიორიტეტული, პრაგმატული გამოსავლებისა და შეფასებების ძიებას მიეძღვნა. ამავდროულად, დანაშაულის პრევენციაში ჩართულ პროფესიონალებს, რომლებიც სამთავრობო პატრონაჟით სარგებლობდნენ, მოუწიათ დათანხმებოდნენ ცენტრალურ თეზისს იმის შესახებ, რომ დანაშაულის ფაქტი თავად დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შედეგს წარმოადგენდა. დამნაშავის ზრახვებისგან დამოუკიდებლად მიიჩნიეს, რომ ამ შესაძლებლობის აღკვეთა კრიმინალის მაჩვენებელს შეამცირებდა და ამიტომ, დანაშაულის ჩადენის შესაძლებლებების შემცირების მიმართულებით მთელი რიგი ღონისძიებები წარმოადგინეს.

ვითარებით ნაკარნახევი დანაშაულის პრევენციის გზები მრავალი ტიპის დანაშაულს მიემართება. უსაფრთხოების ზომების გაძლიერების ყველაზე მარტივ ფორმას შესაძლოა, შენობის დატოვების შედგომ კარის ჩაკეტვა ნიშნავდეს, უფრო რთულ ფორმებში კი ტყვიაგაუმტარი მინების, სპეციალურად დამზადებული ღობეებისა ან ჯავშნიანი საცავების დამონტაჟებაში შეიძლება გამოვლინდეს. სამიზნის დაცვის ნაცვლად მისი მოშლა ბევრად უფრო პროდუქტიული იქნებოდა. მსგავსი სტრატეგიები მოიცავს სალარო ოპერაციების ცენტრალიზებასა და ელექტრონერგიისა თუ გაზის მრიცხველების გამოყენებისთვის სპეციალური კოდების შედგენას. ამიტომ იმ შემთხვევებში, როდესაც ღირებული სამიზნის მოცილება შეუძლებელია, ალტერნატიულ სტრატეგიას მიმართავენ, რომელიც მძარცველებისთვის სამიზნის მიმზიდველობის შემცირებაში მდგომარეობს. საკრედიტო და პლასტიკური ბარათები მძარცველებისთვის მას შემდეგ გახდა ნაკლებად მიმზიდველი, რაც გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ ბარათების დაცვის მიზნით პინ-კოდების სისტემა აამოქმედა. ვითარებით ნაკარნახევი ჩადენილი დანაშაულის პრევენციის ინიციატივები შესაძლოა ძალიან წარმატებული და ამავე დროს ეკონომიურიც აღმოჩნდეს. ფეინთერმა და ფარინგტონმა (Painter and Farrington 1999,2001) ქუჩის განათების დამონტაჟების მაგალითზე დაამტკიცეს, რომ ამ ღონისძიებამ ერთი მხრივ კრიმინალის დონე შეამცირა, ხოლო მეორე

მხრივ, რომ განათების დამონტაჟებამ არამხოლოდ შეამცირა კრიმინალი, არამედ, თავადვე ამოიღო მის დამონტაჟებაზე გაწეული ხარჯები.

ფორმალური ზედამხედველობის მომხრეები ამტკიცებენ, რომ პოტენციურ დამნაშავეებს ხილვადობის რისკი შეაკავებთ და მიიჩნევენ, რომ პოლიციისა და უსაფრთხოების კერძო კომპანიების ჩართულობა სადამკვირვებლო საქმიანობაში დამნაშავეებს შეაკავებდა (Mayhew, 1984). მეორე მხრივ, ბუნებრივი ზედამხედველობის კონცეფცია იმ დაშვებას ეფუძნება, რომ პოტენციური დამნაშავეების გარემოზე დაკვირვებით ადამიანებმა შესაძლოა, თავი დაცულებად იგრძნონ.

დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შემცირებისკენ მიმართულ ამ პრაგმატულ სტრატეგიებს თეორიული თვალსაზრისით რაციონალური აქტორის მოდელის ბოლოდროინდელი სახესხვაობები ასაზრდოებს. მეოცე საუკუნის დასაწყისის აშშ-ს კრიმინალური კარიერის მემუარებში, ჯიმ ფელანი (Phelan 1940:178) შემდეგ დაკვირვებას აკეთებს:

„მძარცველი ისეთი ვაჭარია, რომელიც ეკონომიკური თუ რაიმე სხვა ზრახვების კარნახით ნაოსნობასთან შედარებით მეტი სარგებლის და ნაკლები ხიფათის მომტან სავაჭრო საქმიანობას ირჩევს. სახიფათო შრომაში ჩართული მამაკაცები მარტივად გაუგებენ ქურდობაში მსჯავრდებულებს...“

(Phelan,1940:178)

ამ პერსპექტივიდან, დანაშაულში მონაწილეობა საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შედეგია, ცხოვრების რჩეული გზა, რომელიც სხვადასხვა გამოსავლებს შორის ერთ-ერთს წარმოადგენს. კომპლექსური კულტურული და სტრუქტულ ბიოლოგიური არგუმენტების მოხმობა ამის ასახსნელად სრულიად არაა საჭირო. ამგვარად, რაციონალური არჩევნის თეორიის ძირითადი წინაპირობების შეჯამება შემდეგ ხუთ დებულებაშია შესაძლებელი:

1.დამნაშავეთა უმრავლესობა საღად მოაზროვნე ადამიანებს წარმოადგენენ. ყოველი ზრდასრულის აზროვნების ფორმა (გარდა ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისა) რაციონალურია;

2.რაციონალობა აზროვნების ისეთი ფორმაა, რა დროსაც ინდივიდები ახერხებენ სწორად განასხვავონ ერთმანეთისგან საშუალებები და მიზნები; რა უნდათ და რა გზებით არის შესაძლებელი მათი სურვილების დაკმაყოფილება; რა სურთ და რა საშუალებებით არის შესაძლებელი ამ მიზნების მიღწევა. მაგალითისთვის: მიზანს შესალოა თანხის განსაზღვრული ოდენობის მიღება წარმოადგენდეს განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისთვის; საშუალებებს კი ანაზღაურებადი სამსახური, ლატარეის ბილეთის ყიდვა ან ქურდობა;

3.რაციონალურ აქტორებს შეუძლიათ თითეული ამ ხელმისაწვდომი საშუალებისთვის მოსალოდნელი ღირებულება (ის, რაც არ სურთ, რომ გამოცადონ) და სარგებელი (რომელი და რამდენი მიზნის მიღწევა შეუძლიათ) იანგარიშონ, რომელიც მათ მოქმედებას მოყვება;

4.თუ სარგებელი აღემატება დანახარჯს, მაშინ უნდა იმოქმედოთ. თუ კი დანახარჯი აღემატება სარგებელს, მაშინ მოქმედება მიზანშეწონილი არ არის;

5.აუცილებელი არ არის, რომ რაციონალური არჩევნის თეორიამ წინმსწრები ფაქტორები, გამომწვევი მიზეზები და სტრუქტურები გაითვალისწინოს. მნიშვნელოვანი მხოლოდ რაციონალური მსჯელობები და გათვლებია, რომელთა წინაშეც ადამიანი განსაზვრულ ვითარებაში წარსდგება საკუთარი მიზნებითა და სურვილებით.

რაციონალური არჩევნის თეორიის ადრეული და ნაკლებად კომპლექსური სახესხვაობები ზემოთ ჩამოთვლილ დაშვებებს მისდევდა და დამნაშავეებისთვის დამახასიათებელ გადაწყვეტილების მიღების პროცესს პირდაპირ ეკონომიკურ არჩევანს ადარებდა. გერი ბეკერმა (Becker 1968) დაუშვა, რომ პოტენციური დამნაშავე ანგარიშობს როგორც სარგებლის მიღების კანონიერ შესაძლებლობებსა და შესაძლო ჯილდოებს, ისე არაკანონიერი მეთოდებით მიღწეულ სარგებელს, ამასთანავე დაპატიმრების ალბათობასა და სასჯელის დაკისრების შესაძლებლობასაც. ადამიანი იმ საქმიანობას ირჩევს (კანონიერსა თუ უკანონოს), რომელიც საუკეთესოს შესთავაზებს. შემოთავაზებული პრევენციული სტრატეგიები, მათ შორის წინა თავში განხილული მემარჯვენე რეალისტების ხედვები სამართლისა და მართლმსაჯულების რეფორმირებას საჭიროდ მიიჩნევდნენ განტოლების შესწორებისა და დანაშაულის მიმზიდველობის შემცირების მიზნით.

ალბათ, გასაკვირი სულაც არაა, რომ ამ ადრეულ თეორიებს ხშირად ადანაშაულებდნენ კრიმინალური არჩევნის რაციონალობის პრიზმიდან განხილვასა და მათი საბაზრო გადაწყვეტილებებთან შედარებაში. ამავდროულად კი ახსნას ვერ უძებნიდნენ არა-ეკონომიკურად მოტივირებულ კრიმინალურ ქმედებას, მაგალითად ისეთს, როგორიც ვანდალიზმია (Trasler, 1986). პირველ შემთხვევაში შეიძლება ისიც ვამტკიცოთ, რომ არასწორი გათვლებით შეცდომაში შეყვანილი ახალბედა დამნაშავე არაფრით არის უფრო რაციონალური არსება ვიდრე უზარმაზარი ვალების მქონე პიროვნება (Sullivan, 1973). მეორე შემთხვევაში კლარკი (Clarke 1987) შენიშნავს რომ ზოგიერთი იმპულსური სასჯელის მოტივაციის მიღმა შესაძლოა, რაიმე ტიპის პათოლოგია იმალებოდეს, თუმცა დანაშაულის დაგეგმვა და აღსრულება წმინდად რაციონალური ხასიათისაა. იმპულსებით ნაკარნახევი ისეთი დანაშაულები, როგორიცაა პირობითად ვანდალიზმი, კარგადაა ახსნილი რაციონალური არჩევნის თეორიასთან დაკავშირებული კონცეფციით, რომელიც დანაშაულს რუტინულ ქმედებებს და დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობებს უკავშირებს (Cohen and Felson, 1979). როგორც წესი, მსგავსი დანაშაულები დაუგეგმავია და ისეთ ადგილებში იჩენს თავს, სადაც პოტენციული დამნაშავეები ცხოვრების ჩვეულებრივ წესს მიყვებიან. ისეთი დანაშაულის უკანაც კი, როგორიც მაგალითად წინასწარი განზრახვით ხანძრის გაჩენაა, შესაძლოა ფინანსური მოტივიც იმალებოდეს, თუმცა, უფრო მოსალოდნელია, რომ იმპულსური მოთხოვნილებების დაკმყოფილების მიზნით იყოს ჩადენილი, პირობითად, თანატოლთა მხრიდან მოწონების დამსახურებისთვის, „სამაგიეროს გადახდის“ (სადაც სამიზნეს შესაძლოა სკოლა წარმოადგენდეს) (Knights, 1998), ან სულაც მოწყენლობისგან თავის დაღწევის მიზნით.

რაციონალური არჩევნის თეორიის უფრო კომპლექსური და უაღრესად გავლენიანი ვერსია კლარკმა და კორნიშმა განავითარეს. მათი პერსპექტივიდან დანაშაული განისაზღვრება როგორც „დამნაშავის არჩევნისა და გადაწყვეტილების შედეგები, როგორ ნაჩქარევად და დაუფიქრებლადაც არ უნდა იყვნენ ისინი მიღებულნი“ (Clarke, 1987:118). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამნაშავეები მუდმივად რაციონალობის შეზღუდულ და შემოსაზღვრულ ჩარჩოებში მოქმედებენ. დამნაშავეები სწორი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელ ფაქტებს ყოველთვის წინასწარ არ იძიებენ, ხოლო ხელმისაწვდომი ინფორმაცია ყოველთვის სათანადოდ გააზრებული არ აქვთ. თუმცა, მოცემული მიდგომა წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელისგან განსხვავებით (რომელიც ხაზს უსვამს თანდაყოლილი მიდრეკილებების მნიშვნელობას) დამნაშავეებს კანონმორჩილი მოქალაქეებისგან გამოცალკევებულ ადამიანთა კატეგორიად აღიქვამს. როგორც პოლ ეკბლომმა (Ekblom 2001:264) შენიშნა:

„ეს მიდგომა არ ეფუძნება საზოგადოების გაუმჯობესების უწინდელ მაჩვენებლებს, დამნაშავეთა გამოსასწორებელ რეჟიმებსა და დანაშაულის შემცირების მიზნით ნაადრევ ჩარევებს ბავშვთა

სოციალიზაციაში; პირდაპირ არც თანდაყოლილი დამნაშავეობრივი მიდრეკილებებისა და ზრახვების „შეცვლას“ ემსახურება. ამ უკანასკნელს უბრალოდ მოცემულობად აღიქვამს, კონკრეტული დანაშაულების წარმომშობი მიზეზების ანალიზიდან გამომდინარეობს და დამნაშავეების გადაწყვეტილებების თუ უნარებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით სპეციფიურ ცვლილებებს გვთავაზობს“.

ამგვარად, რაციონალური არჩევნის პერსპექტივიდან დანაშაული რაციონალურ ქმედებად განიხილება, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანები სჩადიან რაიმე ზეწოლის შედეგად ან შესაძლებლობით თუ ვითარებით გამოწვეული იმპულსების საპასუხოდ. თუმცა მოცემული პერსპექტივა მაინც არ გამორიცხავს წინასწარ განსაზღვრული აქტორის დაშვებას, რომლის თანახმადაც იმ გარემოებათა უმრავლესობა, რომელიც ინდივიდს დანაშაულის ჩადენისკენ განაწყობს, შესაძლოა, დამნაშავის კოგნიტური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ახდენდეს ზეგავლენას. ინდივიდები შექმნილ ვითარებას სხვადასხვაგვარად პასუხობენ, ვინაიდან ფსიქოლოგიური განპირობებულობის განსხვავებული ისტორიები გააჩნიათ.

ბენეტმა (Bennett 1986) შენიშნა, რომ დანაშაული იშვიათად თუ წარმოადგენს ერთეული გადაწყვეტილების შედეგს. მთელი რიგი გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული, რაც დანაშაულის ჩადენის თავდაპირველი არჩევნიდან სამიზნის მისამართით დამნაშავეობრივი ქმედების ჩადენამდე მთელ რიგ გადაწყვეტილებებს მოიცავს. შესაბამისად, აქ ჩართულია როგორც შინაგანი, ისე ვითარებითი ფაქტორები. შინაგანი ფაქტორები ძარცვის ადგილის ცნობიერი შერჩევის პროცესზე მიუთითებს (Hough, Clarke and Mayhew, 1980; Trasler, 1986), მაშინ, როდესაც ვითარებითი ფაქტორები დანაშაულის მომენტის მოახლოებასთან ერთად უფრო გავლენიანი ხდება. თუ მოცემული დაშვებები მართებულია, მაშინ ისინი დანაშაულის პრევენციაში ჩართულ პირებს უკარნახებს, როდის და სად ჩაერიონ პოტენციური დამნაშავის გადაწყვეტილებათა ამ ჯაჭვში.

რაციონალური არჩევნის თეორიის ადრეული ვერსიები დამნაშავის მოტივაციის საკითხს არარელევანტურად მიიჩნევდა, თუმცა თეორიის შედარებით გვიანი ვერსია უშვებს, რომ დამნაშავე კონკრეტულ არჩევანს საკუთარ ცოდნაზე კოგნიტური აზროვნების პროცესის შედეგად აკეთებს იმიტომ, რომ რაციონალურად მიიჩნევს ამ არჩევანს იმ ვითარებაში, რომელშიც იმყოფება (Clarke 1987,1999). სატონის (Sutton 1995,1998) დაშვების თანახმად სწორედ მოპარული საქონლის გასაღების ბაზრები უზრუნველყოფენ ქურდისთვის მთავარ მოტივაციას. მართლაც, მსგავსი ბაზრების მოძიების მოტივაცია დიდწილადაა განპირობებული ბოლო ხანებში ნარკოდამოკიდებულების მაჩვენებლის ზრდით. მაგალითისთვის, ბენეტი, ჰოლოვეი და უილიამსი (Bennett, Holloway and Williams 2001), ჰეროინისა თუ კრეკის მოხმარებასა და კრიმინალურ ქცევას შორის არსებულ კორელაციაზე მიუთითებენ და ასკვნიან, რომ ისინი, ვინც რეგულარულად მოიხმარდა ორივე ტიპის ნარკოტიკს და ამაზე საშუალოდ 290 ფუნტს ხარჯავდა კვირაში და 15000-ს კი წელიწადში, იშვიათ შემთხვევებში იყვნენ დასაქმებული და საკუთარი ჩვევის „დასაფინანსებლად“ ქურდობას მიმართავდნენ.

სატონი (Sutton 2004) შენიშნავს, რომ მოპარული საქონლის მარაგს ქურდობის მოტივაციის მქონე ადამიანები უზრუნველყოფენ, საქონელზე მოთხოვნა კი, უმრავლეს შემთხვევაში, იმ პატივცემული ადამიანების მიერ არის სტიმულირებული, ვინც მზად არიან სწორ გარემოებებში რამდენიმე შეკითხვა დასვან. ამგვარად ის შენიშნავს, რომ საზოგადოების მრავალ პატივცემულ წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება 42 ინჩიანი პლაზმური ტელევიზორის არარეალისტურად დაბალ ფასად შეძენის სურვილი, თუ ის გაუხსნელ ყუთში იქნება შეფუთული. თუ ყუთი აქამდე გამოყენებულია და ტელევიზორს ბავშვის თითის ანაბეჭდებიც ამჩნევია, მყიდველებიც ნაკლები ენთუზიაზმით მოეკიდებიან ტელევიზორის შეძენას. ის მოსაზრება, რომ ქარხნიდან ან „დახლს უკან“ მოპარული საქონლის გაყიდვა საზოგადოების

მრავალი „პატივსაცემი“ წევრისთვისაა მისაღები, განსხვავებით იმ შემთხვევისაგან, როდესაც აშკარაა, რომ გასაყიდი საქონელი სახლის ძარცვის შედეგადაა მოპოვებული.

ისეთი კანონდარღვევა, როგორიცაა მოპარული საქონლის გასაღება, დიდი ხნის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოებისა და სისხლის სამართლის სისტემისთვის ნაკლებად პრიორიტეტულად მოიაზრებოდა. სატონი (Sutton 2004) მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, მოსამართლეებმა გაითვალისწინონ ის სოციალური ზიანი, რომელიც მოპარული საქონლის ბაზრების ფუნქციონირებით წახალისებული ქურდობებით მიადგება საზოგადოებას. გარდა ამისა, ისინი უნებლიედ ხელს უწყობენ უკანონო სექს და ნარკოინდუსტრიებსაც. ამგვარად, მოსამართლეები ნაკლებად შემწყნარებელნი უნდა იყვნენ იმ ადგილობრივი ‘ღობეების’ მიმართ, რომლებიც არსებითად ზრდიან დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობებს. და მაინც, უნდა დავფიქრდეთ, მოპარული საქონლის გასაღების ბაზრების მოსპობა ნამდვილად მნიშვნელოვნად შეამცირებს ნარკოდამოკიდებულებით გამოწვეული დანაშაულის რიცხვს თუ უბრალოდ უბიძგებს ნარკოდამოკიდებულებს, ნაღდი ფულის მოპოვების განსხვავებული გზები ეძიონ პროსტიტუციაში თუ შეიარაღებულ ძარცვაში (Hopkins Burke 2004b)

ბიბლიოგრაფია:

Akers, R.L. (1997) Criminological Theories: Introduction and Evaluation. Los Angles, CA:Roxbury.

Beccaria, C. (1963, rst English edition 1767) On Crimes and Punishment, translated by H. Paolucci. Indianapolis, IN: Bobbs-Merrill Educational.

Becker, G.S. (1968) ‘Crime and Punishment: An Economic Approach’, Journal of Political Economy, 76(2): 169–217.

Bedau, H. (1964) The Death Penalty in America. Garden City, NY: Anchor Books

Bennett, T. (1986) ‘Situational Crime Prevention from the Offender’s Perspective’, in K. Heal and G. Laycock (eds) Situational Crime Prevention: From Theory into Practice. London: HMSO.

Bennett, T., Holloway, K. and Williams, T. (2001) Drug Use and Offending: Summary Results From the First Year of the NEW-ADAM Research Programme, Findings 148. London: Home Ofce.

Beyleveld, D. (1978) The Effectiveness of General Deterrents Against Crime: An Annotated Bibliography of Evaluative Research. Cambridge: Cambridge Institute of Criminology.

Beyleveld, D. (1979) ‘Deterrence Research as a Basis for Deterrence Policies’, The Howard Journal, 18: 135.

Bottomley, A.K. and Coleman, C. (1981) Understanding Crime Rates. Farnborough: Gower.

Campbell, D. (2002) ‘Three Strikes and You’re Out: Human Rights, US Style’, The Guardian, 26 January.

Clarke, R.V.G. (1987) ‘Rational Choice Theory and Prison Psychology’, in B.J. McGurk, D. Thorton and M. Williams (eds) Applying Psychology to Imprisonment: Theory and Practice. London: HMSO

Conklin, J.E. (1977) Illegal But Not Criminal. New Jersey: Spectrum.

Croall, H. (1992) White-collar Crime. Buckingham: Open University Press.

Croall, H. (2001) Understanding White-collar Crime, Crime and Justice Series. Buckingham: Open University Press.

Dale, D. (1984) 'The Politics of Crime', Salisbury Review, October

Ehrlich, I. (1975) 'The Deterrent Effect of Capital Punishment: A Question of Life or Death', American Economic Review, 65:397

Ekblom, P. (2001) 'Situational Crime Prevention', in E. McLaughlin and J. Muncie (eds) The Sage Dictionary of Criminology. London: Sage.

Felson, M. (1998) Crime and Everyday Life, 2nd edition. Thousand Oaks, CA: Pine Forge.

Foucault, M. (1977) Discipline and Punish – the Birth of the Prison. London: Allen Lane.

Gill, M. and R. Matthews (1994). 'Robbers on Robbery: Offender Perspectives' in M. Gill (ed.) Crime at Work: Studies in Security and Crime Prevention, Vol. 1. Leicester: Perpetuity Press.

Grasmick, H. and Bursik, R. (1990) 'Conscience, Signicant Others and Rational Choice: Extending the Deterrent Model', Law and Society Review, 24: 837–61

Habermas, J. (1989) The New Conservatism. Cambridge: Polity Press.

Hobbes, T. (1968, 1651) Leviathan, edited by C.B. Macpherson. Harmondsworth: Penguin.

Hopkins Burke, R.D. (1998b) 'The Contextualisation of Zero Tolerance Policing Strategies', in R.D. Hopkins Burke (ed.) Zero Tolerance Policing. Leicester: Perpetuity Press.

Hopkins Burke, R.D. (1998c) 'Begging, Vagrancy and Disorder', in R.D. Hopkins Burke (ed.) Zero Tolerance Policing. Leicester: Perpetuity Press.

Hopkins Burke, R.D. (2004b) 'Policing Contemporary Society' in R.D. Hopkins Burke, 'Hard Cop/Soft Cop': Dilemmas and Debates in Contemporary Policing. Cullompton: Willan Publishing.

Hough, M., Clarke, R.V.G. and Mayhew, P. (1980) 'Introduction', in R.V.G. Clarke and P. Mayhew (eds) Designing Out Crime. London: HMSO

Ignatieff, M. (1978) A Just Measure of Pain: The Penitentiary and the Industrial Revolution. London: Macmillan.

Karmen, A. (2004) 'Zero Tolerance in New York City: Hard Questions for a Get-Tough Policy', in R.D. Hopkins Burke 'Hard Cop/Soft Cop': Dilemmas and Debates in Contemporary Policing. Cullompton: Willan Publishing.

Keane, C., Maxim, P.S. and Teevan, J.T. (1993) 'Drinking and Driving, Self Control, and Gender: Testing a General Theory of Crime', Journal of Research in Crime and Delinquency, 30: 30.

Kelling, G. (1999) 'Broken Windows, Zero Tolerance and Crime Control', in P. Francis and F. Penny (eds) Building Safer Communities. London: Centre for Crime and Justice Studies.

Kershaw, C., Budd, T., Kinshott, G., Mattinson, J., Mayhew, P. and Myhill, A. (2000) The 2000 British Crime Survey. London: Home Ofce.

King, M. (1981) The Framework of Criminal Justice. London: Croom Helm.

Kinsey, R., Lea, J. and Young, J. (1986) Losing the Fight Against Crime. Oxford: Basil Blackwell.

Klepper, S. and Nagin, D. (1989) 'The Deterrent Effect of Perceived Certainty and Severity of Punishment Revisited', Criminology, 27(4): 721–46.

Locke, J. (1970, ორიგინალი 1686) Two Treatise of Government, edited by P. Laslett. Cambridge: Cambridge University Press.

Martin, J.P. and Webster, D. (1971) The Social Consequences of Conviction. London: Heinemann.

Martinson, R. (1974) 'What Works? – Questions and Answers About Prison Reform', The Public Interest, 35: 22–54.

Matravers, M. (ed.) (1999) Punishment and Political Theory. Oxford: Hart Publishing.

Matthews, R. (1992) 'Replacing "Broken Windows": Crime, Incivilities and Urban Change', in R. Matthews and J. Young (eds) (1992) Issues in Realist Criminology. London: Sage.

Matthews, R. (1996) Armed Robbery: Police Responses, Crime Detection and Prevention Series, Paper 78. London: Home Ofce, Police Research Group.

Mayhew, P. (1984) 'Target-Hardening: How Much of an Answer?', in R.V.G Clarke and T. Hope (eds) Coping Burglary. Boston, MA: Kluwer-Nighof

Morgan, P. (1978) Delinquent Fantasies. London: Temple Smith.

Morris, T. and Blom-Cooper, L. (1979) Murder in England and Wales Since 1957, The Observer.

Nacro (2003) Some Facts About Young People Who Offend – 2001, Nacro Youth Crime Brieng. London: Nacro.

Packer, H. (1968) The Limits of the Criminal Sanction. Stanford, CA: Stanford University Press.

Painter, K. and Farrington, D. (1999) 'Improved Street Lighting: Crime-reducing Effects and Cost-benet Analysis', Security Journal, 12(4): 17–31.

Painter, K. and Farrington, D. (2001) 'Evaluating Situational Crime Prevention Using a Young People's Survey', British Journal of Criminology, 41: 244–66.

Phelan, J. (1940) Jail Journey. London: Secker & Warburg.

Piliavin, I., Gartner, R., Thornton, C. and Matsueda, R. (1986) 'Crime, Deterrence and Rational Choice', American Sociological Review, 51: 101–19.

Prison Reform Trust (2004) England and Wales – Western Europe's Jail Capital, Press Release, 2nd February.

Rousseau, J. (1964, ორიგინალი 1762) First and Second Discourses, edited by R.D. Masters. New York: St Martin's.

Scruton, R. (1980) The Meaning of Conservatism. Harmondsworth: Pelican.

Scruton, R. (1985) Thinkers of the New Left. London: Longman.

Sellin, T. (1959) The Death Penalty. Philadelphia, PA: American Law Institute.

Smith, G. (2004) 'What's Law Got to Do With It? Some Reections on the Police in the Light of Developments in New York City', in R.D. Hopkins Burke (ed.) Hard Cop, Soft Cop. Cullompton: Willan Publishing.

Sullivan, R.F. (1973) 'The Economics of Crime: An Introduction to the Literature', Crime and Delinquency, 19: 138–49.

Sutton, M. (1995) 'Supply by Theft: Does the Market for Second-hand Goods Play a Role in Keeping Crime Figures High?' British Journal of Criminology, 38 (3): 352–65.

Sutton, M. (1998) Handling Stolen Goods and Theft: A Market Reduction Approach, Home Ofce Research Study 178. London: Home Ofce.

Taylor, I., Walton, P. and Young, J. (1973) The New Criminology: For a Social Theory of Deviance. London: Routledge & Kegan Paul.

Trasler, G. (1986) 'Situational Crime Control and Rational Choice: A Critique', in K. Heal and G. Laycock (eds) Situational Crime Prevention: From Theory into Practice. London: HMSO.

Tzannetakis, T. (2001) 'Neo-Conservative Criminology', in McLaughlin and J. Muncie (eds) The Sage Dictionary of Criminology. London: Sage.

Van Den Haag, E. (1975) Punishing Criminals: Concerning a Very Old and Painful Question. New York: Basic Books.

Von Hirsch, A. (1976) Doing Justice: The Choice of Punishments. Report of the Committee for the Study of Incarceration. New York: Hill and Wang

Walker, N. (1980) Punishment, Danger and Stigma: The Morality of Criminal Justice. Oxford: Basil Blackwell.

Walker, N. (1985) Sentencing: Theory, Law and Practice. London: Butterworths.

Wilson, J.Q. (1975) Thinking About Crime. New York: Basic Books.

Wilson, J.Q. (1985) Thinking About Crime, 2nd edition. New York: Basic Books.

Wilson, J.Q. and Herrnstein, R.J. (1985) Crime and Human Nature. New York: Simon and Schuster.

Wilson, J.Q. and Kelling, G.L. (1982) 'Broken Windows', Atlantic Monthly, March: 29–38.

Wilson, J.Q. and Kelling, G.L. (1989) 'Making Neighborhoods Safe', Atlantic Monthly, February: 46–58.

Wright, M. (1982) Making Good: Prisons, Punishment and Beyond. London: Burnett.

Wright, R.A. (1993) 'A Socially Sensitive Criminal Justice System', in J.W. Murphy and D.L. Peck (eds) Open Institutions: The Hope for Democracy. Westport, CT: Praeger.

Zimring, F. and Hawkins, G. (1973) Deterrence. Chicago, IL: University of Chicago Gibbs, J. (1975) Crime, Punishment, and Deterrence. New York: Elsevier.

1.2. დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელი

რაციონალური აქტორის მოდელს უპირისპირდება წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელი, სხვაგვარად, კრიმინოლოგიის პოზიტივისტური სკოლა. ამ მოდელის მომხრეები უარყოფენ რაციონალური აქტორის მოდელის აქცენტს თავისუფალ ნებაზე, ცვლიან მას დეტერმინისტული დოქტრინით და ამ პერსპექტივიდან ამტკიცებენ, რომ დანაშაულებრივი ქცევა შესაძლებელია, აიხსნას ადამიანზე მოქმედი იმ შინაგანი ან გარეგანი ფაქტორების მიხედვით, რომელიც ადამიანებს ქმედებისკენ უბიძგებს, რომელზეც მათ ცოტა ან არანაირი კონტროლი არ გააჩნიათ. რაღაც გაგებით, ადამიანის ბედისწერაა, რომ გახდეს დამნაშავე.

წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელს სამი ძირითადი მიმართულება აქვს: ბიოლოგიური პოზიტივიზმი, ფსიქოლოგიური პოზიტივიზმი და სოციოლოგიური პოზიტივიზმი.

აღნიშნულ მოდელში არსებულ თეორიებს შეგიძლიათ, გაეცნოთ აქ:

- მორის შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მერიდიანი, 2011
- ქ. კალჰუნი, დ. ლაითი და ს. კელერი, სოციოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008

1.3. დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის ახსნის ვიქტიმიზირებული აქტორის მოდელი

ამ წიგნის პირველ ნაწილში ვნახეთ, რომ დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის ამხსნელი რაციონალური აქტორის მოდელი აღიარებს ადამიანის თავისუფალ ნებას და უნარს, ჩაერთოს რაციონალურად არჩეულ ქმედებაში. დანაშაულებრივი ქცევა რაციონალურად არჩეული ქმედებაა. მეორე მხრივ, წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელი, გვთავაზობს ვარაუდს, რომ დანაშაულს განაპირობებს ისეთი ფაქტორები, რომელიც სამართალდამრღვევის კონტროლს არ ექვემდებარება, იქნება ეს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური ფაქტორები. ეს მოდელი იკვლევს იმას, თუ რა უბიძგებს ინდივიდებს დანაშაულის ჩადენისკენ. ამ ტრადიციას აკრიტიკებენ იმის გამორ, რომ ის ჭეშმარიტებად იღებს კონვენციურ მორალსა და სისხლის სამართლის კანონმდებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი გარკვეული ქმედება განსაზღვრულია დანაშაულად, ის აუცილებლად არასწორია, რადგან ის ასე მიიჩნია სახელმწიფომ.

მესამე მოდელი, ვიქტიმიზირებული აქტორის მოდელია, რომელიც უპირისპირდება წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელის მიერ სოციალური სტატუს ქვოს უკრიტიკოდ მიღებას. ეს მოდელი გვთავაზობს, რომ დამნაშავე განვიხილოთ, გარკვეულწილად, არათანასწორი და უსამართლო საზოგადოების მსხვერპლა; ღარიბი, შეჭირვებული ფენის ქმედებებია სამიზნე და კრიმინალიზებული, მაშინ, როდესაც მდიდარი და ძალაუფლების მქონე ფენის ქმედებები ან იგნორირებულია ან არ მიიჩნევა დანაშაულად.

1.3.1 იარლიყის მიკერების თეორიები

იარლიყის მიკერების თეორიები ინტერაქციონიზმის, ფენომენოლოგიისა და ეთნომეთოდოლოგიის მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს ეყრდნობიან და ყურადღებას სამ ძირითად პრობლემაზე ამახვილებენ: 1. რატომ და როგორ ხდება ზოგიერთი ქმედების განსაზღვრა კრიმინალურ, ან დევიანტურ ქცევად, სხვების კი - არა? ეს თეორიები სწორედ ამ მიზნით იკვლევენ სამართლებრივ კოდექსებსა და პრაქტიკებს, ისევე როგორც სოციალურ და პროფესიულ ინტერესთა ჯგუფებს, რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის ფორმირებას განაპირობებენ. 2. აღიარებულია, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი უფრო მეტად იზიდავს დევიანტურ, კრიმინალურ და სტიგმატურ იარლიყს, ვიდრე სხვები. იარლიყის მიკერების თეორიები განიხილავენ სოციალური კონტროლის სხვადასხვა უწყების მიერ კანონებისა და იარლიყების დიფერენცირებული გამოყენების პრაქტიკებს. სამწუხაროდ, ადრეული პერიოდის ცნობილი თეორიტიკოსები იარლიყის მიკერების ტრადიციაში - თუ არ ჩავთვლით ბეკერს (Becker 1963), კიტსუსს (Kitsuse 1962), პილიავინსა და ბრიარს (Piliavin and Briar 1964), აგრეთვე სიკორელის (Cicourel 1968), - ამ საკითხებს საკმარისად დეტალურად არ განიხილავდნენ - მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი წვლილი შეიტანეს ქვემო სექციაში განხილული რადიკალური კრიმინოლოგიის განვითარებაში.

იარლიყის მიკერების თეორიის ადრეული წარმომადგენლები განსაკუთრებით მესამე პრობლემაზე ფოკუსირდებოდნენ, რომელიც იარლიყის მიკერების ობიექტის გამოცდილების შეფასებას სწავლობს.

მანამ, სანამ იარლიყის მიკერების თეორიები აღიარებას მოიპოვებდნენ, კრიმინოლოგების უმეტესობას დანაშაულის არაპრობლემატური კონცეფცია გააჩნდა. დანაშაულებრივი ქცევა აღიქმებოდა ჩვეულებ-რივი მოქმედების ფორმად, რომელიც არღვევდა სისხლის სამართლის კოდექსს. დანაშაულის ამგვარი განმარტებით, წინასწარგანსაზღვრული აქტორის მოდელის ტრადიციაში მომუშავე თეორეტიკოსებს შეეძლოთ ყურადღება უფრო მეტად დანაშაულის წარმოშობის მიზეზების იდენტიფიცირებასა და ანალიზზე გაემახვილებინათ. მაგრამ ეს მიდგომა მეტისმეტად გამარტივებულად ეჩვენებოდათ იარლიყის მიკერების პერსპექტივის მიმდევრებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ის, რაც ,,დანაშაუ-ლად" განისაზღვრება, არამდგრადია და იცვლება დროის, კულტურის და სიტუაციის მიხედვით. ამ გადასახედიდან, ამა თუ იმ საზოგადოების ზნეობრივი თუ სისხლისსამართლებრივი ნორმები, ნაცვლად მათი უაპელაციოდ მიღებისა, უნდა შევისწავლოთ და ეჭვქვეშ დავაყენოთ.

„იარლიყის მიკერების" თეორიტიკოსები ამტკიცებენ, რომ თავისთავად დევიანტურად ან დანაშაულებ-რივად არც ერთი ქცევა არ შეიძლება ჩაითვალოს. ქცევა მაშინ მიიჩნევა დევიანტურად, როცა ადამიანები მას ამ იარლიყს აკერებენ. ამგვარად, იმას, ჰქონდა თუ არა ადგილი „დანაშაულს" განაპირობებს არა ქმედების ორგანული ბუნება, არამედ მასზე საზოგადოებრივი რეაქციის ხასიათი. მკვლელობის დანაშაულიც კი არ განიმარტება საყოველთაოდ იმგვარად, რომ ნებისმიერი პირი, ვინც მკვლელობას ჩაიდენს, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში მკვლელი ან დამნაშავე იქნება. ამ პოზიციის არსი მკაფიოდაა შეჯამებული ბეკერის (Becker 1963: 4) ცნობილ პასაჟში, ბეკერის, ვინც, განსხვავებით იარლიყის მიკერების სხვა თეორეტიკოსებისგან, დაინტერესებული იყო დანაშაულებრივი იარლიყებისა და კატეგორიების შემქმნელებით და აღმსრულებლებით:

სოციალური ჯგუფები ქმნიან დევიანტურობას იმ წესების დადგენით, რომელთა დარღვევაც დევიანტურ ქმედებად ითვლება. ამ წესების ადამიანებზე მისადაგებით ისინი მათ ,,აუტსაიდერის" იარლიყს აკერებენ. ამ თვალსაზრისის თანახმად, დევიანტი არის პირი, რომელსაც იარლიყი მიაკერეს. დევიანტური ქცევა არის ქცევა, რომელსაც ადამიანები ასეთ იარლიყს ანიჭებენ.

ბეკერი ამტკიცებდა, რომ წესები, სისხლის სამართლის კანონების ჩათვლით, შექმნილია ძალაუფლების მქონე ადამიანების მიერ და მათი აღსრულება ხდება ძალაუფლების არმქონე ადამიანების მიმართ. ამრიგად, ყოველდღიურ ყოფაში, წესები დგინდება უხუცესთა მიერ ახალგაზრდებისათვის, მამაკაცების მიერ - ქალებისათვის, თეთრკანიანთა მიერ - შავკანიანებისთვის, საშუალო კლასის მიერ - მუშათა კლასისათვის; და აქვე უნდა დავამატოთ, რომ იმავეს აკეთებენ სკოლები მოსწავლეებისათვის და მშობლები ბავშვებისათვის. ეს წესები ხშირად ეკისრებათ მიმღებებს მათი ნების და ინტერესების საწინააღმდეგოდ. წესები ლეგიტიმირებულია იდეოლოგიით, რომელიც ნაკლები ძალაუფლების მქონე ფენაზე ვრცელდება. ამ პროცესის შედეგად ხსენებულ წესებს უამრავი ადამიანი ითავისებს და ემორჩილება, ისე, რომ ამას ვერც კი აცნობიერებს და არც კითხვები უჩნდება იმის შესახებ, თუ რატომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მათ მაგივრად სხვების მიერ.

ბეკერისვე მტკიცებით, ზოგიერთი ნორმა ცინიკური ხასიათისაა, რათა ადგილი მიუჩინოს მათ, ვინც ძალაუფლებას არ ფლობს. სხვა ნორმები კი, შესაძლოა წარმოადგენდნენ შედეგს მაღალი სტატუსის მქონე ინდივიდთა გულწრფელი - თუმცაღა ირაციონალური და მცდარი - რწმენისა, რომლის მიხედვითაც ახალი წესის შექმნა სასარგებლო შეიძლება იყოს მათთვის, ვისთვისაც ასეთი წესი

დაადგინეს. ბეკერი ადამიანებს, რომელებიც ახალ წესებს ნაკლებად იღბლიანთა ,,სასარგებ-ლოდ“ ქმნიდნენ, „მორალურ მეწარმეებად“ მოიხსენიებდა.

იმავე ბეკერმა გამოყო წარმატებული „მორალური ჯვაროსნობის“ ორი ურთიერთდაკავშირებული შედეგი: პირველი მათგანი გახლავთ ,,აუტსაიდერთა“ ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც არღვევს ახალ ნორმებს; მეორე კი სოციალური კონტროლის აგენტის გაჩენაა, რომელიც ნორმების აღსრულებას უზრუნველყოფს და აქვს ძალაუფლება, იარლიყი მიაკეროს დამრღვევს - თუმცაღა უმეტესწილად ამაში პოლიციური სამუშაოსა და ძალაუფლების განვრცობა იგულისხმება. დროთა განმავლობაში, ახალი ნორმები, მაკონტროლებელი ორგანო და დევიანტური სოციალური როლი კოლექტიურ ცნობიერებაში აღწევს და შედეგად უარყოფით სტერეოტიპებთან აკავშირებს მათ, ვისაც „დევიანტის“ იარლიყი აქვს მიკერებული.

ბეკერი ახდენს აშშ-ის ნარკოტიკების ფედერალური ბიუროს ციტირებას მარიხუანას მოხმარების აკრძალვის თაობაზე 1937 წლის საგადასახადო კოდექსიდან, რომლის მიზანი საზოგადოების - განსაკუთრებით ახალგაზრდების - ნარკოტიკის უარყოფითი ეფექტებისგან დაცვა იყო. ფართო საზოგადოების მოცვისთვის კამპანია სხვადასხვაგვარ პროპაგანდისტულ ინსტრუმენტს ეყრდნობოდა. ბეკერის აზრით, კამპანია ჩატარდა ფედერალური ბიუროს ორგანიზაციულ ინტერესთა უზრუნველ-საყოფად. უფრო მეტიც, კამპანიის წარმატებამ საზოგადოების ზნეობრივი კონსტიტუციის ახალი ფრაგ-მენტი, სწორისა და არასწორის ბინარული კოდი დაამკვიდრა (Becker 1963: 145)

სხვა კვლევები აკვირდებოდნენ პროცესებს, სადაც ქცევის უწინ ,,მისაღები“ ფორმები ახლა უკვე სისხლის სამართლის კოდექსის ობიექტებს წარმოადგენდნენ. პლატმა (Platt 1969) გვიჩვენა, თუ როგორია თანამედროვეობის მიდგომა არასრულწლოვანთა დანაშაულისადმი. ეს კონცეფცია გადმონაშთია მე-19 საუკუნეში წარმართული მორალური ლაშქრობისა, რომელსაც სათავეში ძირითადად მაღალი კლასის წარმომადგენელი ქალები ედგნენ. ამ წარმატებულმა კამპანიამ არასრულწლოვანთა დანაშაული ცალკე დანაშაულად გამოყო, რამაც თავის მხრივ სახელმწიფო უწყებებს მისცა საშუალება გაეფართო-ებინათ შედარებით მსუბუქი სისხლისამართლებრივი დანაშაულები, რათა მოეცვათ ე.წ. „სტატუსთან დაკავშირებული დანაშაულები“ როგორებიცაა უსაქმურობა ან სექსუალური თავაშვებულობა.

კრიმინალიზების პროცესის კიდევ ერთი მტკიცებულება ტირნის (Tierney 1982) მიერ ოჯახური ძალადობის ანალიზია. ის ამტკიცებს, რომ ,,ცოლის ცემის“ ფაქტმა, როგორც სისხლისსამართლებრივმა დანაშულმა, სოციალური მნიშვნელობა მხოლოდ 1970-იან წლებში - ქალთა მოძრაობების გაძ-ლიერების, დევნილთა უფლებებისა და ქალთა უფლებების დაცვის საკითხების დღის წესრიგში დამკვიდრების შემდგომ - შეიძინა.

ამრიგად, ყველა ეს და სხვა მსგავსი კვლევები გვიჩვენებს, რომ კანონში ცვლილებებს იწვევს არა ქცევის შინაგანი საზიანოობა ან მისი მასშტაბურობა, არამედ მოტივირებულ და ძალაუფლების მქონე სოციალურ ჯგუფთა საერთო ძალისხმევა, დაადგინოს იმის საზღვრები, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად და კანონიერად.

სხვები ამ პროცესების ახსნას მაკრო პერსპექტივით შეეცადნენ. ასე, მაგალითად, ერიქსონი (Erikson 1962) დიურკჰეიმს დაეყრდნო და აჩვენა, რომ სოციალური სისტემები ქმნიან ბარიერებს და აწესებენ

საზღვრებს კულტურული და სოციალური თვალსაზრისით დაშვებულ ქცევებზე და, შესაბამისად, დევიანტურობა სხვა არაფერია, თუ არა ამ საზღვრების გადაკვეთა. დევიანტური ქცევა შეიძლება ჩაითვალოს საზღვრების გავლების ერთადერთ საშუალებად. დამრღვევებსა და სოციალური კონტროლის ორგანოებს შორის ურთიერთკავშირი სხვა არაფერია თუ არა ‚საზღვრების შენარჩუნების' მექანიზმი, რომელიც საზოგადოების ყურადღებას იპყრობს; ამ სისტემის ფარგლებს გარეთ მოქმედებით კი, დევიანტები ამ პარამეტრების დემონსტრირებას ახდენენ და სისტემის შიგნით მყოფთ იდენტობისა და „მიკუთვნებულობის" განცდას ანიჭებენ. ეს პროცესები, თავის მხრივ, სოციალური სტაბილურობის გარანტია. ამრიგად, თუ დევიანტურობას, საზღვრების შენარჩუნების მექანიზმის" თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ერიქსონის ნაშრომი იარლიყის მიკერების პერსპექტივისა და დიურკჰეიმის ფუნქციონალიზმის ურთიერთთანხვედრას უსვამს ხაზს.

ქუინი (Quinney 1970) აგრეთვე იყენებს მაკროსოციოლოგიურ მოსაზრებას, რომელიც აერთიანებს იარლიყის მიკერების თეორიას, კონფლიქტის თეორიას, დიფერენციაციულ ასოციაციასა და დევიანტურ სუბკულტურულ თეორიებს. ამავდროულად, ის დურკჰეიმისეული მექანიკური და ორგანული სოლიდარობის ცნებების ზეგავლენის ქვეშაა, როდესაც გვთავაზობს საზოგადოების (ან სოციალური ორგანიზაციის) ორ ტიპს: სინგულარულსა და სეგმენტურს. ქუინის მიხედვით, სინგულარულ საზოგადო-ებაში დანაშაული ვლინდება ღირებულებათა სისტემის გარეთ, თუმცა საზოგადოების ყველა წევრი ამ სისტემის ღირებულებების დამცველია. სეგმენტურ, ანუ არაერთგვაროვან, საზოგადოებაში სეგმენტები ღირებულებებს სხვებს უზიარებენ, მაგრამ სრული კონსესუსის მიღწევა შეუძლებელია ღირებულებათა სისტემების მუდმივად კონფლიქტური ურთიერთმიმართებების გამო. ამგვარად, სისხლისამართლებრივი კანონმდებლობა და მათი აღსრულება ამ კონფლიქტის შედეგია და პოლიტიკური ძალის არათანაბარ განაწილებას უკავშირდება.

ქუინი ამტკიცებს, რომ საზოგადოება სეგმენტურად ან პლურალისტურადაა ორგანიზებული, ამიტომაც სისხლის სამართლის კოდექსი მიმართულია, წარმოადგინოს პოლიტიკურად მძლავრი საზოგადოებრივი ღირებულებები. უფრო მეტიც, ის ვარაუდობს პირდაპირ კავშირს პირისთვის კრიმინალის იარლიყის მიკერებასა და სოციალურ სტრუქტურაში მის პოზიციას შორის.

დევიანტური იარლიყის ობიექტები

გავრცელული შეხედულებით, მას, ვინც კანონს დაარღვევს, დამნაშავის იარლიყი მიეკერება. თუმცა ბეკერმა (Becker 1963) ამ მოსაზრების არაადეკვატურობა გამოავლინა. მან შენიშნა, რომ ზოგიერთ შემთხევაში უდანაშაულო ადამიანებს უსამართლოდ ადანაშაულებენ და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ყველა დამნაშავეს არ აპატიმრებენ. ჰომოსექსუალობის კვლევაში, რომელსაც გაცილებით უფრო ფართო კრიმინოლოგიური შედეგები ჰქონდა, კიტსუსმა (Kitsuse 1962) აჩვენა, რომ დანაშაულებრივი ქცევა სულაც არ წარმოადგენს ცენტრალურ პრობლემას. ცენტრალურია ურთიერთქმედების (ინტერაქციული) პროცესი, რომლის გავლითაც ქცევა დევიანტურად განისაზღვრება და მასთან მიმართებით ტარდება გარკვეული შემხვედრი ზომები. ამრიგად, დევიანტების არადევიანტებისაგან განსხვავება არა ქცევაზე, არამედ „გარემოებასა და სიტუაციაზე, სოციალურ და პერსონალურ ბიოგრაფიასა და საზოგადოებრივი კონტროლის ბიოროკრატიულად ორგანიზებულ აქტივობებზეა დამოკიდებული" (Kitsuse 1962: 256).

აშშ-ში ჩატარებულმა არაერთმა მნიშვნელოვანმა კვლევამ დაადასტურა, რომ ქცევა არ არის ერთადერთი ფაქტორი იმის დასადგენად, მიენიჭება თუ არა ამა თუ იმ პირს დევიანტის ან დამნაშავის იარლიყი. ოფიციალური შემხვედრი ზომები დგინდება რიგი ექსტრასამართლებრივი ცვლადების გათვალისწინებით, როგორებიცაა გარეგნობა, მანერები, ეთნიკური ჯგუფი და ასაკი. მაგალითად, პილიავინი და ბრაიარი (Piliavin and Briar 1964) აკვირდებოდნენ არასრულწლოვანების მიმართ პოლიციელთა მოპყრობას და აღმოაჩინეს, რომ დაკავების გადაწყვეტილებები, ძირითადად, ეფუძნებოდა ფიზიკურ მინიშნებებს - ჩაცმულობას და ზოგად გარეგნობას - რაზე დაყრდნობითაც ოფიცრები დაკავებული ახალგაზრდის ხასიათს ადგენდნენ. სტრუქტურული ფაქტორები, როგორიცაა სქესი, სოციალური კლასი, ეთნიკური ჯგუფი, ისევე როგორც დღის მონაკვეთი, აგრეთვე განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. ამრიგად თუ ახალგაზრდა, მუშათა კლასის წარმომადგენელი შავკანიანი მამაკაცი „მაღალი სამართალდარღვევის ზონაში“ ღამის საათებში აღმოჩნდება, დიდი შანსია, დააკავონ და დაკითხვაზე გადაიყვანონ. ასეთ ვითრებაში აღმოჩენილი ახალაგაზრდა სავსებით შესაძლებელია, კანონდამრღვევად მიიჩნიონ მანამ, სანამ საპირისპორო არ დამტკიცდება. (Piliavin and Briar 1964:206). დიდ ბრიტანეთში ჩატარებული შედარებით გვიანდელი კვლევები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი პოლიციელი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პროცესში კლასობრივ და რასობრივ მიკერძოებულობას ავლენს. (იხ. მაგ. Smith and Gray, 1986; Institute of Race Relations, 1987).

სიკორელმა (Cicourel 1968) აღმოაჩინა, რომ არასრულწლოვნებთან ურთიერთობისას პოლიციის ‚მოლოდინები’ და ტიპური დანაშაულების მიმართ საღი აზრის მიდგომები იწვევს მათ ფოკუსირებას გარკვეული ‘ტიპის’ ადამიანებზე. შემდგომი ფაქტორი იმის დასადგენად, თუ როგორ განვითარდება პოლიციელის და არასრულწლოვანის შეხვედრა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განსაზღვრას ოფიცერი საკუთარ როლს. ისინი, ვინც საკუთარ როლს კანონის ზედმიწევნით შესრულებაში ხედავენ - რაც ხაზს უსვამს მოპასუხის უფლებებს - მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ცხად, კონკრეტულ მტკიცებულებზე დაყრდნობით მოქმედებენ. საპირისპიროდ განწყობილი ოფიცრები კი, რომლებიც თავის როლს ხედავენ ‘დანაშაულის კონტროლის’ პერსპექტივიდან, კანონის სულისკვეთებას აქცევენ ყურადღებას და შესაბამისად, მიდრეკილები არიან სიტუაციისა და მონაწილე პიროვნებების სუბიექტური ინტერპრეტაციისკენ.

სიკორელის კვლევების თანახმად, ეს პროცესი არსებითად კლასობრივი მიკერძოებულობით ხასიათდება, იმდენად, რამდენადაც პოლიციის მოლოდინები რეალიზდებოდა სწორედ მუშათა კლასის რაიონებსა და მათი მაცხოვრებლებთან მიმართებით. უფრო მეტიც, სხვა სისხლის სამართლის პრაქტიკოსები, პრობაციონერების, სოციალური მუშაკების, სასამართლოს წარმომადგენლების და ერთიან ორგანიზაციულ კონტექსტში ჩართული პირების სახით, კიდევ უფრო აძლიერებდნენ ამ მოსაზრებას. სიკორელის დაკვირვებით პრობაციის ოფიცრები და სოციალური მუშაკები დანაშაულის მიზეზშედეგობრიობის დასადგენად ისეთ ფაქტორებზე ფოკუსირდებოდნენ, როგორებიცაა „დისფუნქციური ოჯახები“, „თავაშვებული აღზრდა“ და ,,სიღარიბე“. ითვლებოდა, რომ ამგვარი გარემო ახალგაზრდებს დიდი ალბათობით ,,კრიმინალური კარიერისკენ“ უბიძგებდა. ამ კვლევებმა სერიოზული ზეგავლენა იქონიეს კრიმინალური სტატისტიკის ვალიდურობაზე.

აქამდე, ბევრი კრიმინოლოგი, ერთმანეთისგან განსხვავებული პერსპექტივებიდან, აღნიშნავდა, რომ ოფიციალური სტატისტიკა მთელი სიზუსტით არ ასახავდა არსებული დანაშაულის სტატისტიკას. მაგალითად, განსაკუთრებულ პრობლემად მიიჩნეოდა აღურიცხავი დანაშაულების საკითხი. ოფიციალური

სტატისტიკა ითვლებოდა გონივრულობის ფარგლებში ობიექტურად, რომელიც გვთვაზობდა დანა-შაულებრივი პატერნების სანდო აღწერას. იარლიყის მიკერების თეორიისთვის კი ოფიციალური სტატისტიკა უბრალოდ სამყაროს განსხვავებული ინტერპრეტაცია იყო. სტატისტიკის შესწავლა საინ-ტერესო იყო იმდენად, რამდენადაც ის სოციალური კონტროლის ორგანოების მიერ დანაშაულის „კონსტრუირების“ პროცესს ჰფენდა შუქს. ქუინმა (Quinney 1970) წარმოადგინა ოთხი სოციალური სტრუქტურა: ასაკი, სქესი, კლასი და ეთნიკური ჯგუფი - რომლებიც ზრდიდნენ იარლიყის მიკერების ალბათობას. შესაბამისად, მაღალია ალბათობა, რომ ახალგაზრდა, მუშათა კლასის წარმომადგენელ შავკანიან ადამიანს დამნაშავის იარლიყს მიაკერებენ. არსებითად, ქუინი ამტკიცებდა, რომ ზოგიერთ ადამიანს აქვს შესაძლებლობა, მასტიგმატიზირებელი იარლიყი მიაკეროს სხვა ადამიანებს, რადგან ეს უკანასკნელნი იმ ნორმებს არღვევენ, რომლის აღსრულებაც იარლიყის მიმკერებელს სურს. ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ნორმის დამრღვევებს მწირი პოლიტიკური ძალაუფლება აქვთ ან საერთოდ არ აქვთ.

იარლიყის მიკერების შედეგები

როგორც დასაწყისში ავღნიშნეთ, იარლიყის მიკერების თეორიები უმეტესწილად კონცენტრირდებიან იარლიყის მიკერების პროცესის შედეგების შეფასებაზე იარლიყიანების მომავალი ქცევის განსაზღვრის მიზნით და ეს ასპექტი ფართოდ გამოკვლეული და დოკუმენტირებულია.

ფრენკ ტანენბაუმი (Tannenbaum 1938) - რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ იარლიყის მიკერების პერსპექტივის ფუძემდებლად, აღნიშნავს, რომ უამრავ ახალგაზრდა მამაკაცს შორის, რომლებიც კანონს არღვევენ, მხოლოდ ნაწილის დაკავება ხერხდება. ,,ბოროტების დრამატიზების“ მისეულმა ჰიპო-თეზამ აღწერა პროცესი, სადაც საზოგადოება ჯერ ინდივიდების ქცევას განიხილავს ბოროტებად, მაგრამ საბოლოო ჯამში თავად ინდივიდს მიიჩნევს ბოროტად, რითაც ეჭვქვეშ აყენებს ინდივიდის ყველა სამომავლო ქმედებას. ,,ბოროტების დრამატიზება“ კიდევ უფრო მძაფრდება მაშინ, როდესაც ინდივიდს ჯგუფისგან აცალკევებენ და მისი „დასჯისა“ თუ „გამოსწორების“ ადმინისტრირებით კავდებიან. ამას მივ-ყავართ ახალ იზოლაციასთან - ამ ახალი „იარლიყის“ განმტკიცებასა და ინტერნალიზაციასთან. საბოლოოდ, სუბიექტი განწირულია, თვითაღქმა სხვათა შეხედულებებისა და მოლოდინების მიხედვით აწარმოოს და თავი დამნაშავედ წარმოიდგინოს. იდეა, რომლის მიხედვითაც ადამიანების „კრიმი-ნალებად“ მოხსენიებით ადამიანები კრიმინალები ხდებიან, ხოლო სისხლისსამართლებრივი ინტერ-ვენცია ამ კრიმინალურობის გაღრმავებას ემსახურება, იარლიყის მიკერების თეორიის მთავარი მტკიცებაა.

ედვინ ლემერტი (Lemert 1951) მნიშვნელოვან განსხვავებას აკეთებს პირველად და მეორად დევიაციებს შორის. პირველადი დევიაცია - რომელიც წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელს უკავშირდება - შესაძლებელია აღმოცენდეს სხვადასხვა სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური თუ ფიზიოლოგიური ფაქტორებიდან. ვინაიდან ეს საწყისი ქმედებები დროებითი და ექსპერიმენტულია და ნამდვილად არ ჯდება ორგანიზებული ცხოვრების წესში, დამნაშავეებს შეუძლიათ იოლად მოახდინონ ამ მოვლენების რაციონალიზაცია, როგორც დროებითი ცდომილებისა ან ჩათვალონ ის სოციალურად მისაღებ როლად - მაგალითად მუშამ შეიძლება შეამჩნიოს, რომ სამუშაოზე ყველა რაღაცას იპარავს. ამრიგად, თვითშეფასების და სტატუსის თვალსაზრისით ამ სახის ქცევას ექნება მხოლოდ მეორეხარისხოვანი

მნიშვნელობა. პირველადი დევიანტები არ მიიჩნევენ საკუთარ დევიანტურობას საკუთარი თავისთვის უმთავრეს მოვლენად, შესაბამისად არც თავიანთ თავს, არც ქცევას, არ ჩათვლიან დევიანტურად.

თუმცა, თუ ეს პირველადი აქტივობები საზოგადოებრივი რეაქციის საგანია - და თუ პირველადი დევიაციის დროს დამრღვევი პროგრესული სტიგმატიზების ობიექტია „ სახელის შერქმევის, იარლიყის მიკერების თუ სტერეოტიპიზაციის“ გამო - შესაძლოა წარმოიშვას კრიზისი. ამ კრიზისის გადალახვის ერთი შესაძლოა გზაა, ინდივიდმა დევიანტის სტატუსი გაიშინაგანოს და საკუთარი ცხოვრება და იდენტობა დევიაციის ფაქტებს დაუკავშიროს - ამ ეტაპზე ინდივიდი „მეორად დევიანტად“ გვევლინება. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მიდგომა გვთავაზობს, რომ ახალგაზრდა, რომელიც იპარავს და ამის გამო არ ისჯება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ იმავე ქცევას გაიმეორებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ამის გამო დაისჯებოდა. დევიანტურობა უბრალოდ ადამიანური ინტერაქციის შედეგია. შესაძლებელია, რომ პირველადი დევიანტურობა არ გადაიზარდოს მეორადში. საბოლოოდ შედეგს განსაზღვრავს დანაშაულებრივ ტრანსგრესიათა რაოდენობა და საზოგადოებრივი რეაქციის ინტენსივობა და აგრესიულობა.

ბეკერის (Becker 1963), ერიქსონის (Erikson 1966) და კიცუსის (Kitsuse 1962) მნიშვნელოვანმა ნაშრომებმა იარლიყის მიკერების პერსპექტივის პოპულარობა უზრუნველყვო. ეს ნაშრომები მერტონის „თვითახდენადი წინასწარმეტყველების“ ცნებას იყენებდნენ. ეს ცნება გულისხმობს სიტუაციის მცდარ აღქმას, რასაც ახალი ქმედება მოჰყვება, რომელიც მანამდე არსებულ მცდარ აღქმას რეალობად აქცევს. ეს ავტორები ამტკიცებდნენ, რომ კანონდამრღვევთა უმრავლესობა არასწორადაა დამნაშავედ მიჩნეული. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არიან მართლები იმ გაგებით, რომ დანაშაული არ ჩაუდენიათ. სისტემაც და საზოგადოებაც მათ ქმედებას განიხილავს და სჯის არამარტო როგორც დანაშაულებრივად ,,ცუდ“ ქმედებებს, არამედ მათ ადამიანური თვალსაზრისითაც განსჯის. შედეგად ვიღებთ მოცემულობას, სადაც პირი, რომელსაც საზოგადოება ერთხელ მაინც მიიჩნევს „ცუდად“, სავარაუდოდ, მომავალშიც „ცუდად“ მოიქცევა - ეს ,,სიცუდე“ მომავალში გამოხატულებას ჰპოვებს ისეთ ქმედებებში, რომელიც მიგვიყვანს სამართალდარღვევამდე. დამნაშავისა და არაკანონმორჩილის სტერეოტიპით დამძიმებული კანონდამრღვევის მიმართ საზოგადოება შესაბამისად რეაგირებს, რის შედეგადაც შესაძლებელია ,,დამრღვევები“ წააწყდნენ დისკრიმინაციას დასაქმებაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი ,,გადახრა“ არანაირ კავშირში არაა ამა თუ იმ კონკრეტულ საქმიანობასთან. უფრო მეტიც, ასეთი პიროვნების პირველადი სოციალური სტატუსი - მშობელი, მეუღლე თუ დასაქმებული - ექცევა კრიმინალის იარლიყს ქვეშ; საბოლოოდ კი ეს იარლიყი პიროვნების მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმი - საზოგადოების მაკონტროლებელი იდენტიფიკატორი - ხდება.

ამგვარად, იარლიყის მიკერების თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ პირისათვის ცალსახა კრიმინალის იარლიყის მიკერება ამ „წინასწარმეტყველების“ ახდენას თავად უზრუნველყოფს საზოგადოებაში ნეგატიური, მტრული დამოკიდებულებების წარმოებით, რაც ართულებს კონფორმიზმს და კრიმინალს მომხიბვლელობას ანიჭებს. ამგვარად, სოციალური კონტროლის პროცედურებსა და საშუალებებს, რომლებიც კანონმორჩილი ქცევის წახალისებაზე არიან ორიენტირებულნი, შესაძლებელია გაუთვალისწინებელი საპირისპირო შედეგები ჰქონდეთ.

საფუძველს მოკლებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ზემოთხსენებულ მოვლენებს იარლიყის მიკერების თეორიტიკოსები განიხილავენ, როგორც გარდაუვალ და უპირობო პროცესებს. სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგიერთი კანონდამრღვევი იარლიყის მიკერებისა და სტიგმატიზაციის საფრთხის

გამო თავს იკავებდეს ამა თუ იმ ქცევისგან, თუმცა დოუნსმა და როკმა (Downes and Rock 1998:183) მახვილგონივრულად შენიშნეს, რომ:
„ინტერაქციონიზმი განიხილავს დევიანტურობას, როგოც განგრძობით პროცესს, რომელსაც არ აქვს უპირობო, გარდაუვალი დასასრული; რომელიც შეიძლება აიგოს ცრუ საწყისებზე, გადახვევებსა და შემობრუნებაზე. დევიანტური კარიერის ტრაექტორიის წინასწარმეტყველება ყოველთვის არ არის შესაძლებელი. როგორი შებოჭილებიც არ უნდა ჩანდნენ, ადამიანები თავისუფალნი არიან საკუთარ არჩევანში, დაშვებული შეცდომა აღარ გაიმეორონ“

იარლიყის მიკერების პერსპექტივის საკვანძო მიგნება ის გახლავთ, რომ ბევრი კანონდამრღვევი მართლაც ახდენს დამნაშავის იარლიყის ინტერნალიზაციას და საზოგადოებრივი რეაქციის საპასუხოდ სტაბილურ და კარიერულ კრიმინალებს ვიღებთ.

მორალური პანიკა და დევიაციის გაძლიერება

იარლიყის მიკერების პერსპექტივას ჯგუფების დონეზეც იყენებენ და ამ კონტექსტში ერთ-ერთი სასარგებლო ანალიტიკური ინსტრუმენტი დევიაციის გაძლიერების უკუკავშირი ან სპირალია (Wilkins, 1964), რაც გულისხმობს გარემოებას, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო ნაკლებ ტოლერანტობას იჩენენ დევიაციის აქტის მიმართ, მით უფრო მეტი აქტი განისაზღვრება დევიაციურად; ეს გარემოება კი, კიდევ უფრო მეტ დევიანტურ ჯგუფს წარმოქმნის, რაც, თავის მხრივ, კანონმორჩილი ჯგუფების მხრიდან დევიანტთა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების შესუსტებას გამოიწვევს.

დევიაციურობის გაძლიერებული უკუკავშირი ,,მორალური პანიკის“ თეორიის მთავარი საკითხია. ,მორალური პანიკის“ ფენომენი ჯოკ იანგმა (Young 1971) პირველმა გამოიყენა რეკრეაციული ნარკოტიკების მომხმარებლების შესახებ თავის კვლევაში. ეს თეორია მოგვიანებით სტენლი კოენმა (Cohen 1973) განავითარა 1964 წლის სოციალურ ამბოხზე საზოგადოებრივი რეაქციიის შესწავლისას. ეს ნაშრომები მკვეთრად გაემიჯნა იმ მიდგომებს, რომელსაც წინასწარგანსაზღვრული აქტორის მოდელის მიმდევრები ემხრობოდნენ და უმთავრესად ორიენტირებული იყო ქცევის დანაშაულებრივი მიზეზების გამოვლენაზე. ამ მიდგომისგან განსხვავებით, დაისვა კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ განსაზღვრავს ესა თუ ის ჯგუფი ამა თუ იმ ქცევას დევიანტურად და რა შედეგები აქვს ამ პროცესს.

კოენმა (Cohen 1973) 1964 წელს, კლექტონში, სააღდგომო დღესასწაულის უქმეებზე მომხდარი შემთხვევების გაშუქებისას პრესა მოვლენების გაზვიადებასა და დამახინჯებაში დაადანაშაულა. ამგვარი საქციელით გამოწვეულმა უსამართლობის განცდამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული გამოხმაურებების მთელ წყებას მისცა ბიძგი. პირველი, ეს იყო საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივება თავად ფაქტით, რასაც პოლიციური თვალთვალის გაძლიერება მოჰყვა. ამას მოჰყვა გახშირებული დაკავებები, რამაც, თავის მხრივ, როგორც ჩანს, მედიის პირველადი რეაქციის ვალიდურობის დადასტურება გამოიწვია. მეორე, ჯგუფებს შორის სტილისტურ განსხვავებებსა და ანტაგონიზმზე ხაზგასმით პრესამ მათ შორის დაპირისპირება და პოლარიზაციის პროცესი გააძლიერა.
„მორალური მეწარმეები“ განხეთქილებებსა და კანონდამრღვევ მოქმედებებში ჩართული ჯგუფებისადმი გარკვეული ზომების მიღებას ემხრობიან და, როგორც წესი, კონტროლის არსებულ მექანიზმებს არაადეკვატურად თვლიან. კოენი (Cohen 1973) აჩვენებს, რომ ეს ადამიანები პრობლემებს აზვიადებენ,

რათა ლოკალური მოვლენების ეროვნული მასშტაბის პრობლემებად წარმოჩენა შეძლონ და მორალისა და საზოგადოებრივი სტანდარტების ჩამოშლაზე მიუთითონ. კონტროლის გამკაცრება დევიანტთა მარგინალიზაციასა და სტიგმატიზაციას კიდევ უფრო აძლიერებს, რაც, თავის მხრივ, პოლიციური ზომების გამკაცრებას იწვევს და ა.შ. კოენმა ხულიგნებისა და როკერების პრობლემაზე რეაგირების ზოგადი ხასიათი 1960-იანი წლების ბრიტანეთის სოციალურ კონტექსტში გაიაზრა. პანიკის კონტექსტად გამოყენებული იყო ის ამბივალენტური განწყობები, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სოციალური ცვლილებების, ახალგაზრდების უზრუნველი ყოფისა და თავისუფლების, მათ მიერ ტრადიციული სოციალური ნორმების - კერძოდ, დასაქმებისა და ოჯახის - უარყოფის მიმართ არსებობდა.

მორალური პანიკის კონცეფცია ცენტრალურია „ყაჩაღობის“ (mugging) ფენომენის ჰოლის და სხვების (Hall et al 1978) მიერ ჩატარებულ კვლევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში აღნიშნული ცნება განსხვავებულ თეორიულ ჩარჩოშია მოქცეული. ერთი მხრივ, ავტორები აღიარებენ, რომ დევიაცია დაგმობისა და კონტროლის აგენტობების გარეშე გაუგებარია. მეორე მხრივ, ისინი ამტკიცებენ, რომ მორალური პანიკის ცნება არასრული რჩება, თუკი მას იმ სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურებს არ დავუკავშირებთ, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ გაბატონებულ უმცირესობას, რომ ააგონ და პრაქტიკაში განახორციელონ იარლიყის მიკერების პროცედურა. იარლიყის მიკერების თეორიებში მორალური პანიკა მიემართება „საზოგადოებას“, რომელიც წესებს ქმნის, ხოლო მარქსიზმის თეორიული აპარატის ფარგლებში, რასაც ჰოლი და სხვები ეყრდნობიან, ეს საზოგადოება „სახელმწიფოა“ რომელსაც კრიმინალიზაციის ძალაუფლება გააჩნია. ამ თეორიული ბაზისის გათვალისწინებით, მოცემული ანალიზი რადიკალურ თეორიათა პერსპექტივებს უახლოვდება, რომელთაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

გუდი და ბენ იაჰუდა (Goode and Ben-Yehuda 1994) უპირისპირდებიან ადრეული თეორიტიკოსების ვარაუდს იმის შესახებ, რომ მორალური პანიკა შექმნილი და პროვოცირებულია ელიტური დომინანტური ფენების მიერ . ისინი აყალიბებენ სამ მოდელს: პირველი, ეს არის ე.წ. „გრასრუთ“ მოდელი, სადაც პანიკა მასებში წარმოიქმნება და წარმოსახვითი საფრთხის ავთენტურ - თუმცაღა ობიექტურად მცდარ - შიშს გამოხატავს. მეორე, ელიტური ინჟინერიის მოდელი, აღწერს პროცესს, სადაც დომინანტური ჯგუფები ცნობიერად და შეგნებულად ნერგავენ შიშს, რომელიც ელიტების ფართო პოლიტიკურ ინტერესებს აძლიერებს. მესამე, ინტერესთა ჯგუფის მოდელი, აღნიშნავს ფენომენს, რომლის მიხედვითაც მმართველები და მორალური მეწარმეები ნერგავენ შიშს, რაც მათ პროფესიულ ინტერესებს უკავშირდება.

გუდი და ბენ-იაჰუდა (1994) მორალური პანიკის ხუთ ძირითად მახასიათებელს გამოყოფენ: (I) არაპროპორციული რეაქცია, (II) საფრთხის შიში (III) მტრული დამოკიდებულება პანიკის ობიექტის მიმართ (IV) ფართო კონსესუსი საფრთხის რეალურობის თაობაზე (V) მორალური პანიკის არაპროგნოზირებადობა და არამდგრადობა მასშტაბისა და ინტენსივობის თვალსაზრისით.

ცალკეულმა ავტორებმა გააკრიტიკეს მორალური პანიკის ცნება როგორც სოციალური რეაქციის კონცეპტუალიზაცია. მაგალითად, მემარცხენე რეალისტები აცხადებდნენ, რომ დანაშაული და დანაშაულის შიში სერიოზულად უნდა აღვიქვათ და მედიის გადაჭარბებულ რეაქციად ან პანიკად არ უნდა მოვნათლოთ. მაგალითად, ვედიქტონმა (Waddington 1986) ჰოლის და სხვების (Hall et al 1978)

„ყაჩაღობის“ შესახებ კვლევის ემპირიული საფუძვლები გააკრიტიკა, და აჩვენა, რომ ყაჩაყობის შემთხვევები იმ პერიოდში მართლაც იზრდებოდა. შესაბამისად, ვედიქტონს აინტერესებს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო, ამ შემთხვევაში, პროპორციული შემხვედრი ზომა.

იარლიყის მიკერების თეორიის კრიტიკა

ვინაიდან იარლიყის მიკერების მიდგომები 1960-70 წლებში მეტად გავლენიანი გახდა, ის სხვადასხვა წყაროებიდან კრიტიკის ობიექტად იქცა. პლამერმა (Plummer 1979) აღნიშნა, რომ ვინაიდან იარლიყის მიკერების პერსპექტივა ასე ფართოდაა განსაზღვრული, მას შეუძლია ერთდროულად იქონიოს რამდენიმე განსხვავებული თეორიული პოზიცია და ამიტომაც ღია რჩება შინაგანი წინააღმდეგობებისა და სხვადასხვა მხრიდან კრიტიკის მიმართ. ასეთი გაურკვევლობა და ეკლექტიკა კრიტიკოსებს უბიძგებს, გამოთქვან პრეტენზია, რომ იარლიყის მიკერება ბუნდოვანი ცნებაა, რომელიც არ მოიცავს თანმიმ-დევრულ და ურთიერთდაკავშირებულ ცნებებს და ვერ ახდენს ზუსტი განსხვავებების იდენტიფიცირებას დესკრიფციასა და მიზეზშედეგობრიობას შორის (Taylor, Walton, Young 1973). მეორე მხრივ, იარლიყის მიკერების თეორიის მიმდევრების, მაგალითად შურის (Schur 1971) მოსაზრებაა, რომ ამ მიდგომის ძალა მდგომარეობს მის შესაძლებლობაში, გაანალიზოს სოციალური სინამდვილის ის ასპექტები, რომელთაც არასაკმარის ყურადღებას აქცევენ; შემოგვთავაზოს ახალი კვლევითი მიმართულებები და განსხვავე-ბული თეორიული მიდგომები.

სხვების აზრით, იარლიყის მიკერების თეორია ვერ ახერხებს, მკაფიოდ განსაზღვროს დევიანტურობა. გიბსის (Gibbs 1966) მიხედვით, იარლიყის მიკერების თეორიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ქმედება დევიაციურია, თუკი მას კონკრეტული რეაქცია მოყვება, თუმცა, ამავე დროს, საუბრობენ ,,ფარულ დევიანტებსა“ და „პირველად დევიანტებს“, ანუ გულისხმობენ, რომ არსებობს ცალკეული სოციალური ჯგუფები, რომლებსაც, გარკვეულწილად, აქვთ უფლება ჩაიდინონ დევიაციური ქმედება უარყოფითი რეაქციების გარეშე. ეს კი გულისხმობს, რომ დევიაციის იდენტიფიცირება შესაძლებელია არა მხოლოდ საზოგადოებრივი რეაქციების, არამედ არსებული სოციალური ნორმების მიხედვით. ,,მსუბუქი“ დევიაცია, სადაც დევიაცია უკავშირდება და დამოკიდებულია დროსა და ადგილზე, შეიძლება ორაზროვნად განისაზღვროს, თუმცა ასეთი ორაზროვნება არ დაიშვება ისეთი ,,მძიმე“ დევიაციის დროს, როგორიცაა ძალადობა, ძარცვა, ქურდობა - ქმედებები რომლებიც დასჯადია. „მძიმე“ დევიაციის ჩამდენი ყოველთვის იაზრებს საკუთარი ქმედების დევიაციურობასა თუ დანაშაულებრიობას. მოქმედების კონკრეტულ ფორმას დამნაშავე სარგებლიანობისა თუ მიმზიდველობის გამო ირჩევს. ამის გათვალისწინებით, იარლიყის მიკერების ცნება რელევანტურობას კარგავს.

ტეილორმა, უოლტონმა და იანგმა (Taylor, Walton and Young 1973) აღიარებენ, რომ დევიანტურობა არ არის თანდაყოლილი ქმედება, მაგრამ იარლიყის მიკერების თეორეტიკოსებისგან განსხვავებით, ისინი ვერ შეთანხმდნენ, თუ რამდენად თვითნებურია დევიაცია.
ისინი ემხრობოდნენ იმ შეხედულოებას, რომ დევიანტი არ არის პასიური ობიექტი. ის გადაწყვეტილე-ბებების მიმღები აქტორია, რომლის მიერ კანონდარღვევის ჩადენა წინდაწინ დასახულ მოტივებსა და არჩევანს გულისხმობს, და მაშასადამე, გარკვეული შინაარსი გააჩნია. ამ მიდგომას ბევრი საერთო აქვს კრიტიკის კიდევ ერთ ხაზთან, რომელიც აქცენტს იარლიყის მიკერების უარყოფით შედეგებზე აკეთებს

და გულისხმობს, რომ ინდივიდი სრულად დამოკიდებულია იარლიყის მიმკერებლების კეთილ ნებაზე. ინდივიდუალური არჩევნის ხარჯზე სოციალური რეაქციის მიმართ ასეთი გადაჭარბებული ყურადღების შედეგი კანონდამრღვევისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაა. იარლიყის მიკერების თეორიების „პარადოქსული შედეგი დევიანტის პასიურ არააქტორად წარმოდგენაა, რომელიც არც საკუთარ ტანჯვაზეა პასუხისმგებელი, არც ამ ტანჯვის შემსუბუქებაზე - ეს არის სუბიექტი, რომელიც უფრო „ცოდვილს“ ჰგავს, ვიდრე მას, ვინც „შესცოდა“ (Gouldner, 1968:38). როგორც უკვე ავღნიშნეთ, მთლიანობაში იარლიყის მიკერების თეორეტიკოსები არ ამტკიცებენ, რომ იარლიყის ეფექტები განმსაზღვრელი მნიშვნელობისაა. ნაცვლად ამისა, მათთვის, ნეგატიურ საზოგადოებრივ რეაქციას შეუძლია - და უმეტეს შემთხვევაში ასეც ხდება - კრიმინალური სურათი კიდევ უფრო დაამძიმოს.

აღნიშნული კრიტიკა უფრო გამართლებული იქნებოდა, თავად იარლიყის მიკერების პერსპექტივა დასრულებული თეორია რომ ყოფილიყო და არა სხვადასხვა ერთმანეთთან არც ისე მჭიდროდ დაკავ-შირებულ თემათა გამაერთიანებელი პერსპექტივა. ამის ფონზე, შესაძლოა, ყველაზე მრავლისმთქმელი კრიტიკული შენიშვნა იყოს ის, რომლის მიხედვითაც იარლიყის მიკერება, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ რეაქციაზე ყურადღებას ამახვილებს, სოციალური სტრუქტურისა და ძალაუფლებრივი ურთიერთმიმართებების სისტემატურ ანალიზს მაინც არ გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ იარლიყის მიკერების თეორიის წარმომადგენლებმა გაიაზრეს, რომ საზოგადოებრივ რეაქციაზე გავლენას პოლი-ტიკური ინტერესი და სოციალური პოზიცია ახდენს, მათ მაინც ვერ გამოააშკარავეს კავშირი სისხლის სამართლის სისტემასა და კაპიტალისტურ ეკონომიკურ წესრიგს შორის. ამ საკითხთა ნაწილი განხი-ლული იქნა გვიანდელი ეტიკეტირების თეორეტიკოსების მიერ. მათ პერსპექტივებს ქვემოთ მიმოვიხილავთ.

იარლიყის მიკერების თეორიის გადახედვა

ბოლო წლებში იარლიყის მიკერების თეორიის ცნებები და კონცეფცია მეტად განვითარდა და შეიცვალა. პირველ რიგში ყურადღება დაეთმო იარლიყების არაფორმალურ მიკერებას როგორიცაა მაგალითად მშობლების, თანატოლების, მასწავლებლების მიერ იარლიყების მიკერება, რომელიც შედეგების თვალსაზრისით ფორმალურზე უფრო ეფექტურია.

როს მაცუედამ (Matsueda 1992) და ჰეიმერმა და მაცუედამ (Heimer and Matsueda 1994) გამოიკვლიეს ის მიზეზები, თუ რატომ ხდებოდა სამართალდამრღვევთათვის არაფორმალური იარლიყების მიკერება და აღნიშნეს, რომ ამ სახის იარლიყები არ იყო სისხლის სამართლის სისტემასთან ინტერაქციის შედეგი (მაგალითად, დაკავება). ისინი არსებითად უკავშირდებოდნენ ინდივიდის სამართალდამრღვევ ქცევასა და მის პოზიციას საზოგადოებაში. ძალაუფლებას მოკლებული ინდივიდები - ურბანული ეთნიკური უმცირესობები, დაბალი კლასის წარმომადგენელი მოზარდები - როგორც ჩანს უფრო ხშირად ხდებიან ნეგატიური იარლიყის მსხვეპლნი მათი მშობლებისა და კოლეგებისგან, ვიდრე მდიდარი და საშუალო ფენის ახალგაზრდები. მაცუედა (Matsueda 1992) ამტკიცებს, რომ არაფორმალური იარლიყი გავლენას ახდენს იმ დანაშაულის დონეზე და ხარისხზე, რომელსაც იარლიყმიკერებული ინდივიდები მომავალში ჩაიდენენ, რადგან იარლიყის მიკერება ახდენს მათი წარმოდგენების ფორმირებას - იმას, თუ როგორ ხედავენ მათ სხვები. ამრიგად, თუ კი ისინი გაითავისებენ, რომ სხვების თვალში დამრღვევი და

უსიამოვნებების მომტანი სუბიექტები არიან, მეტი შანსია, რომ მათ იმოქმედონ ამ წარმოდგენის შესაბამისად და ჩაერთონ დანაშაულებრივ ქცევაში.

ლინკი და სხვები (Link 1987) იყენებდნენ იარლიყის მიკერების თეორიას იმის გამოსარკვევად, თუ როგორ აღვიქვამთ და ვრეაგირებთ მენტალური ჯანმრთლობის პრობლემის მქონე ადამიანებზე. მათ აღმოაჩინეს, რომ აშშ-ში საზოგადოებრივი დამოკიდებულება ასეთი ადამიანების მიმართ ნეგატიურია და შედეგად უამრავი ადამიანი, რომელსაც ფსიქიატრიული დახმარება სჭირდება - ისევე როგორც ისინი, ვინც ამ ადამიანებზე ზრუნავს - შეეცდებიან, საგანგაშო სინამდვილე ოჯახის წევრებს, მეგობრებს, კოლეგებსა და დამსაქმებლებს დაუმალონ, ან სულაც ჩამოშორდნენ ჯგუფებს, ვისი მხრიდანაც მუდმივად უარყოფას მოელიან.

ზოგიერთი ვარაუდით მართლმსაჯულების სისტემა და საზოგადოება განსაკუთრებით ახალგაზრდების სტიგმატიზაციას აძლიერებს, რითაც iარლიყის მიკერების ყველაზე უფრო ნეგატიური ეფექტების ზრდას იწვევს. დე ჰაანის (De Haan 2000) კვლევის მიხედვით საზოგადოებაში ძალადობის დონე მატულობს - ჰოლანდიაშიც კი, სადაც ამგვარი ქცევისადმი თავდაპირველად ტოლერანტული დამოკიდებულება არსებობდა. ავტორი აჩვენებს, რომ ეს მოვლენა უწინ არაპრობლემატურად მიჩნეულ ქცევათა ხელახალი ნეგატიური იარლიყის მიკერების პროცესის შედეგია. ტრიპლეტი (Triplett 2000) ამტკიცებს, რომ აშშ-ში ძალადობრივი დანაშაულებების ზრდას 1980-იან და 1990-იან წლებში თან ახლდა ცვლილებები სისხლის სამართლის სისტემაში. მაგალითად, ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევების ფაქტებს - განსაკუთრებით სტატუსთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებს, როგორიცაა გაკვეთილების სისტემატური გაცდენა, - სანქციების დამძიმება მოჰყვა და ასეთი ცვლილებების ფონზე ახალგაზრდებს კიდევ უფრო ნეგატიურად აღიქვამდნენ. მეოსი (Meossi 2000) ამტკიცებს, რომ დამნაშავეთა ამგვარი დემონიზაცია - რომელიც იტალიასა და აშშ-ში თანაბარი სიმძაფრით შეინიშნებოდა - მჭიდროდ უკავშირდება პერიოდულ ეკონომიკურ კრიზისებს. ჰალპერნი (Halpern 2001) ირწმუნება, რომ დანაშაულის დონის ზრდა იწვევს მიდგომების გამკაცრებას, ადამიანების გაუფასურებას მათთვის იარლიყის მიკერების გზით, რამაც თავის მხრივ შეიძლება დანაშაულებრივი ქცევის შემდგომი გაძლიერება გამოიწვიოს.

1.3.2. კონფლიქტისა და რადიკალური თეორიები

კონფლიქტისა და რადიკალური თეორიები დანაშაულისა და კრიმინალური ქცევის ახსნას საზოგადოების სოციო-პოლიტიკური სტრუქტურის არათანაბარი ბუნების გამოკვლევით ცდილობდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ეს თეორია ჰომოგენური არ არის. ის წარმოადგენს პერსპექტივათა მრავალფეროვან ერთობას, რომელთაც აერთიანებთ ტენდენცია, საზოგადოება კონსენსუსის ნაცვლად კონფლიქტის ლინზებით დაინახონ. პირველი, კონფლიქტის თეორეტიკოსები იკავებენ პლურალისტურ პოზიციას და გვთავაზობენ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც საზოგადოება სოციო-ეკონომიკური ინტერესებისათვის მებრძოლი მრავალი ჯგუფისაგან შედგება. მეორე, რადიკალური მიდგომები ხასიათდებიან სოციალური და ეკონომიკური თეორიის სხვადასხვა მარქსისტული ინტერპრეტაციებით. ამ განსხვავებების მიუხედავად, ორივე ბანაკის წარმომადგენლები სოციალურ კონსენსუსს დროებით მდგომარეობად ხედავენ, რომელიც საზოგადოების ძალმოსილი ჯგუფების მიერაა თავსმოხვეული და

ორივე შემთხვევაში მთავარი ყურადღება ძალაუფლებისა და ავტორიტეტისთვის გამართულ სოციალურ ბრძოლაზეა გადატანილი.

ეტიკეტირების პერსპექტივის კრიტიკოსებს შორის ისეთებიც იყვნენ, ვინც ამტკიცებდა, რომ ეს პერსპექტივა საკმარისად შორს არ წასულა და თავად ეტიკეტირებისთვის დამახასიათებელი დიფერენ-ციალური ძალაუფლების წყარო გამოუკვლევი დარჩა. ამრიგად, ამ კრიტიკის საპასუხოდ კონფლიქტისა და რადიკალური თეორიების წარმომადგენლებმა იდეები ეკონომიკური და პოლიტიკური მეცნიერების სფეროდან ისესხეს და შეეცადნენ, ეს იდეები დანაშაულთან და დანაშაულებრივ ქცევასთან მიმართებით გამოეყენებინათ.

კონფლიქტის თეორიები

ტორსტენ სელინი (Sellin 1938) გეორგ ზიმელის ნაშრომებით იყო ინსპირირებული და პირველი მკვლევარი გახლდათ, ვინც ამტკიცებდა, რომ დანაშაული კონფლიქტისგან წარმოიქმნება. კულტურული კონფლიქტის თეორიით ის ამტკიცებდა, რომ თითეული კულტურა თავად აწესებს ნორმებს - სხვა სიტყვებით ქცევის ზოგად წესებს - რომლებიც შემდგომ საზოგადოების წევრებზე ვრცელდება სოცი-ალიზაციის სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით. ჯანსაღ ჰომოგენურ საზოგადოებაში ეს ნორმები კანო-ნებად გვევლინებიან და მათ საზოგადოების წევრები იცავენ, იმდენად, რამდენადაც ისინი იზიარებენ კონსენსუალურ თვალსაზრისს, მაგრამ იქ, სადაც ჰომოგენურობა და კონსენსუსი აღარ არსებობს, შედეგად კულტურულ კონფლიქტს ვიღებთ. სელინი ამტკიცებს, რომ ქცევითი ნორმების გარშემო წარმოებული კონფლიქტი შეიძლება განვითარდეს საზოგადოების როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეებზე.

მაკრო დონეზე კონფლიქტებს ადგილი აქვთ განსხვავებულ საზოგადოებრივ კულტურებში და მათი წარმოშობა შესაძლოა განაპირობოს საზღვრებთან დაკავშირებულმა უთანხმოებებმა, ტერიტორიულმა ექსპანსიამ ან მიგრაციამ. მეორადი კონფლიქტები მიკრო დონეზე წარმოიქმნება - განსაკუთრებით მაშინ, როცა სუბკულტურები მაკროკულტურაში თავიანთი ქცევის ნორმებს აყალიბებენ. ამ შემთხვევაში კანონები, როგორც წესი, დომინანტური კულტურის წესებსა და ნორმებს რეპრეზენტირებენ. ამრიგად, საზოგადოება მოიცავს დაუწერელ, ხშირად გამოუთქმელ, წესებსაც, რომლებიც ინდივიდის კონკრეტულ ქცევებს კონკრეტულ გარემოებებში არეგულირებენ. მაგალითად, ქცევის წესებს ღალატის შემთხვევაში. მაშასადამე, თუკი ზოგიერთი წინარემოდერნული ან ტრადიციული საზოგადოება პირდაპირ აკონკრეტებს, რა უნდა მოიმოქმედოს პირმა ღალატის შემთხვევაში - მაგალითად მოკლას მოღალატე ცოლი და მისი საყვარელი - მოდერნული საზოგადოებები წესებს იმდენად აღარ აკონკრეტებენ; და სელინისთვის წესთა ეს ბუნდოვნება იქცევა იმის წინაპირობად, რაც, შესაძლოა, დანაშაულის აქტში გადაიზარდოს. ამ გარემოებას ერთმნიშვნელოვანი იმპლიკაციები გააჩნია თანამედროვე მულტიკულ-ტურულ საზოგადოებებში, სადაც სხვადასხვა კულტურები ერთმანეთთან კონფლიქტში მოდიან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცეს ინდივიდი ამა თუ იმ შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით დევიანტური სუბკულტურული ტრადიციისგან, რომელსაც კოენი (Cohen 1955), მოგვიანებით კი კლოვარდი და ოლინი (Cloward and Ohlin 1960) იკვლევდნენ, სუბკულტურული ნორმები ამ კონცეფციაში საზოგადობრივ ღირებულებებს პირდაპირ საფრთხეს აღარ უქმნიან და არც

კულტურული მიზნების მიღწევის საშუალებას წარმოადგენენ საშუალო და მაღალი კლასებისთვის. ისინი ფუნდამენტურად განსხვავებულ ღირებულებებსა და ნორმებს წარმოადგენენ.

ლუის კოზერი (Coser 1956) ფუნქციონალისტი სოციოლოგი, მემარცხენე პოლიტიკური ფრთის მიმდევარი იყო, რომელიც ზიმელის ნაშრომების ზეგავლენას განიცდიდა. კოზერმა წარმოადგინა რამოდენიმე თეზისი იმის შესახებ, თუ რას მიიჩნევდა კონფლიქტის ინტენსივობის ქვაკუთხედად. მისი მიხედვით, კონფლიქტი რეალურად იზრდება მაშინ, როდესაც მისი დახშობის მცდელობებს აქვს ადგილი, როდესაც ბრძოლას ჯგუფის სახელით წარმართავენ, როდესაც კონფლიქტში მყოფი მხარეები ერთმანეთთან სიახლოვეში არიან. კოზერმა აღმოაჩინა, რომ სიახლოვე ინტენსივობას ქმნის მაშინ, როდესაც მტრობა და სიყვარული ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობენ. მისგან განსხვავებული მიდგომები ყურადღებას სოციალური ფორმების - სტაბილურიბისა და სიმტკიცის - კონსტრუირებაზე ამახვილებენ. არეალისტურ კონფლიქტს გააჩნია მცველი სარქველების ფუნქცია და როგორც კოზერი აღნიშნავს, იერარქიის აუცილებლობა ჯგუფის სიდიდისა და კომპლექსურობის მართვის საჭიროებიდან ამოიზრდება. ის ასევე გვთავაზობს ყველგანმყოფი და მუდმივად თანადასწრებული დამნაშავის ხატს, რაც პირდაპირ უკავშირდება ზიმელის იდეებს. მაგრამ კოზერი, მისი წინამორბედისგან გასხვავებით, იზიარებს იდეას, რომლის მიხედვითაც „დანაშაული საზოგადოების საჭიროებებთან ფუნქციურ კავშირშია“.

ჯორჯ ვოლდმა (Vold 1958) ზემოთ ხსსნებული იდეები კიდევ უფრო განავრცო და დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის იმგვარი ახსნა შემოიტანა, რომელიც ყურადღებას საზოგადოების ჯგუფურ ბუნებაზე ამახსვილებს და ხაზს უსვამს გარემოებას, რომლის მიხედვითაც ჯგუფები ერთანეთთან კონკურენციაში შედიან, რათა თავიანთი ინტერესები დაიცვან. ის ამტკიცებდა, რომ ჯგუფები უფრო და უფრო მეტი სიფრთხილით ეკიდებიან თავიანთ ინტერესებს სხვა ჯგუფებთან მიმართებით და უწყვეტ ურთერთკონფლიქტში თანაარსებობენ.

კანონშემოქმედების, კანონდარღვევის და კანონის დაცვის მთელი პროცესი პირდაპირ ასახავს ამ ჯგუფების ინტერესებს შორის ღრმა კონფლიქტს და ბრძოლას ჯგუფებს შორის სახელმწიფო პოლიტიკის გაკონტროლებისა და ძალაუფლებისათვის.

ვინაიდან მცირე ჯგუფებს არ გააჩნიათ ძალაუფლება, ძლიერი ზეგავლენა იქონიონ საკანონმდებლო პროცესებზე, მათი ქცევა ხშირად კრიმინალურად ან დევიაციურადაა მიჩნეული. კრიმინალიზაციის ეს პროცესი ლეგიტიმურს ხდის პოლიციის და სხვა მაკონტროლირებელი ორგანოების მოქმედებებს, დაიცვან კანონები საზოგადოების ყველაზე გავლენიანი ჯგუფებისთვის. ოსტინ ტერკისათვის დანაშაულის განმარტების თეორიული პრობლემის ახსნა არ მდგომარეობს დამნაშავეობრივი ქცევის განსხვავებუ-ლობის გაგებაში - ის ამჩნევს, რომ იმის განსაზღვრა თუ რა შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად, ცვალებადია დროისა და ადგილის მიხედვით. განსაკუთრებით ეს ეხება ინდივიდებისათვის კრიმინალის სტატუსის მინიჭებას, რომელსაც შედეგად დანაშაულის წარმოება მოსდევს. აქ თვალნათელი რეზონანსი იკვეთება ეტიკეტირების თეორიასთან, მაგრამ ტერკ აქვე თვალნათელი რეზონანსია ეტიკეტირების თეორიიდან თუმცა ტერკი მიდის უფრო ღრმად ვიდრე ამ ტრადიციაზე მომუშავეები და ცდილობს ახსნას თუ რატომაა ეტიკეტირება ასე ფართო გავრცელების და მისაღებია მათთ ვინც ხშირ შეთხვევაი თავად ეტიკეტირებულია.

ტერკი საფუძვლიანად განიხილავდა საზოგადოებრივ წესრიგს, როგორც ძლიერი სოციალური ჯგუფების მოქმედებათა შედეგს, რომლებიც წარმატებით აკონტროლებენ საზოგადოებას მათი ინტერესების ფარგლებში. ის ამტკიცებდა, რომ სოციალური კონტროლი ხორციელდება ნორმატიული, მორალური ღირებულებების დაკანონებით, რომლებსაც პოლიცია და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები ამაგრებენ. თავის ადრეულ ნაშრომში, ტერკი (Turk 1969) წერდა, რომ ადამიანები, რომელთაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ქცევამ სხვაზე, - განსაკუთრებით კი მათზე, ვისაც ძალაუფლება აქვს, - წესების, ნორმების და კანონების დარღვევის შემთხვევაში, დიდი შანსია, რომ დაპატიმრებულნი იქნენ მაკონტროლებელი ორგანოების მიერ. ეს არგუმენტი ნათელყოფს, რატომაა, რომ ახალგაზრდები უფრო მეტად არღვევენ კანონს, ვიდრე ასაკოვნები.

ტერკმა (1969) საზოგადოებაზე კონტროლის განხორციელების ორი ხერხი აღწერა. პირველი - იძულება, მეორე კი სამართლებრივი სახე-ხატებისა და ცხოვრების დროის გაკონტროლებაა. საზოგადოების იძულებით, მუქარით ან ფიზიკური ძალით კონტროლი საზოგადოების კონტროლის ყველაზე თვალნათელი ფორმაა, თუმცა რაც უფრო მეტად გამოიყენება ძალა, მით უფრო ნაკლებად სავარაუდოა ის კანონიერად მიიჩნიონ. შესაბამისად, საზოგადოების კონტროლი ამ ფორმით უფრო რთულია. სამართლებრივი სახე-ხატების კონტროლი კონტროლის უფრო დახვეწილი ფორმაა. სამართლებრივ სისტემებს გააჩნიათ ფორმალური კანონები, რომელთა დარღვევა დასჯადია, მაგრამ მათ აგრეთვე გააჩნიათ მთელი რიგი პროცედურები, რომლებიც კანონთა აღსრულებასა და აღსრულების უფლებამოსილებას არეგულირებენ. ტერკი ამტკიცებს, რომ ფორმალურისა და არა-ფორმალურობის ურთიერთგავლენა საზოგადოების ძალაუფლების მქონე ფენას სამართლებრივი სისტემის მანიპულირების საშუალებას აძლევს, თანაც ისე, რომ კანონის მიუკერძოებლობის სახე-ხატი ხელუხლებელი დარჩეს. ცხოვრების დროის კონტროლი გულისხმობს მოცემულობას, სადაც ადამიანები ბატონობისა და კონტროლის ფორმებს ეჩვევიან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა მათ ლეგიტიმაციას თაობების მანძილზე ეწევიან. მომავალი თაობები უბრალოდ ივიწყებენ, რომ წინა თაობებს სხვა პირობებში ცხოვრობა შეეძლოთ.

რიჩარდ ქუინი, თავდაპირველად, ტრადიციული კონფლიქტის თეორიტიკოსი იყო, რომელიც სოცია-ლური რეაქციის/იარლიყის მიკერების თეორიებით იყო ინსპირირებული. მოგვიანებით ის შედარებით რადიკალური, მარქსისტული პერსპექტივის მომხრე გახდა. ქუინისთვის დანაშაული იმ სამართლებრივი დეფინიციების შედეგი იყო, რომლებიც პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების პროცესში იქმნებოდა. ამ თვალსაზრისის თანახმად, ზიანის მომტანი ქმედებები, რომლებიც მსგავსია სისხლის სამართლებრივი დევნის ობიექტების მსგავსია, შესაძლოა ნაკლებად სერიოზულ სამართალდარღვევად ჩაითვალოს, თუკი მათ ძალაუფლების მქონე სუბიექტები ჩადიან, ანდა ჩადიან ამ უკანასკნელთა ინტერესების გათვალისწინებით. ამრიგად, ძალაუფლების არმქონე ინდივიდის მიერ ჩადენილი მკვლე-ლობა შეიძლება, განზრახ მკვლელობად ჩაითვალოს, ხოლო კორპორაციის ან მაღალი სტატუსის მქონე ინდივიდის მიერ ჩადენილი იდენტური სამართალდარღვევა შეიძლება, სამოქალაქო სამართლის კატეგორიაში მოათავსონ და მასზე სისხლის სამართლებრივი დევნა არც კი აწარმოონ.

ქუინი - გვიანდელი რადიკალი კრიმინოლოგების მსგავსად - განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მას-მედიის როლს ადამიანების მიერ დანაშაულის აღქმის წარმოებაში. მან შენიშნა, რომ მედიაში გვხვდება როგორც დანაშაულის, ისე უდანაშაულობის განმარტებები. მედია, თავისი მაღალი შეღწევადობის

ეფექტით, რეალობის ზოგად სურათს ქმნის, სადაც გარკვეული ქმედებები დანაშაულებრივად და არა-დანაშაულებრივად განისაზღვრება.

ქუინიმ გამოყო ექვსი მოსაზრება, რომლებიც კონფლიქტის მისეულ თეორიას აჯამებს: 1. დანაშაული წარმოადგენს ქცევის დეფინიციას, რომელსაც ავტორიზებული აგენტები ქმნიან პოლიტიკურად ორგანიზებულ საზოგადოებაში. 2. დანაშაულის ამ დეფინიციებს საზოგადოების ის სეგმენტები იყენებენ, რომელთაც სისხლის სამართლის კანონმდებლობის აღსრულების განსაზღვრის ძალაუფლება უპყრიათ ხელთ. 3. დანაშაულის ამ დეფინიციებს საზოგადოების ის სეგმენტები იყენებენ, რომელთაც სისხლის სამართლის სისტემის ადმინისტრირების ძალაუფლება აქვთ. 4. სეგმენტირებულ საზოგადოებაში არსებული ქცევითი პატერნები აგებულია დანაშაულის დეფინიციებთან მიმართებით. 5. დანაშაულის კონცეფციები იქმნება და ვრცელდება საზოგადოებაში კომუნიკაციის სხვადასხვა არხის მეშვეობით. 6. დანაშაულის სოციალური რეალობა აგებულია დანაშაულის დეფინიციების ფორმულირებითა და გამოყენებით, დანაშაულის დეფინიციებთან დაკავშირებული ქცევითი პატერნების განვითარებითა და დანაშაულებრივი კონცეფციების კონსტრუირებით (Quinney 1970:15-23).

კონფილიქტის თეორიის კრიტიკა

გვიანდელი კრიმინოლოგებისათვის კონფლიქტის ადრეული თეორია, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი სოციალური კონფლიქტის გარდაუვლობაზე აპელირებდა, არსებითად მაინც კონსერვატიული იყო, რამდენადაც კონფლიქტის წარმატებულ სოციალურ ინტეგრაციად გარდაქმნის სწამდა. ამას გარდა, კონფლიქტის თეორია წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელს ეფუძნებოდა და უარყოფდა იმის ალბათობას, რომ უსამართლო საზოგადოებისა და ეკონომიკური სისტემის მსხვერპლს შეუძლია რაციონალურად აირჩიოს მართლსაწინააღმდეგო ქცევა, რათა თავი გადაირჩინოს სისტემაში, რომელიც მის ინტერესებთან კონფლიქტში მოდის. კონფლიქტის თეორეტიკოსებმა ვერაფრით ახსნეს, რატომაა კანონი ისეთი, როგორიც ის არის და, ამას გარდა, ვერ შემოგვთავაზეს დამაკმაყოფილებელი ახსნა იმისა, თუ რატომ უნდა დაემორჩილოს საზოგადოების ზოგიერთი სეგმენტი - სეგმენტი, რომლის ინტერესებს არსებული სოციალური ინსტიტუციები არ გამოხატავენ - „სტაბილურ ავტორიტეტზე დაფუძნებულ ურთიერთობებს“, საიდანაც ეს სეგმენტები სარგებელს არ ელიან. ამ უკანასკნელი კრიტიკის საპასუხოდ ტერკი ამტკიცებდა, რომ დანაშაული შეიძლება აიხსნას დაქვემდებარებულ პოზიციაში მყოფ ჯგუფთა „დახვეწილობის ნაკლებობით“. ისინი უბრალოდ არღვევენ წესებს და კანონებს, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში მათ ინტერესებს არ შეესაბამება.

იმ იდეის განმტკიცებით, რომ დამნაშავეებს გამოხატვის შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ საკუთარი თავის წარმოსაჩენად, გვიბიძგებს, მათი სუბიექტური ქმედებები ძალაუფლების მქონეთა შესაძლებლობებთან მიმართებით ნაკლებად ვალიდურად მივიჩნიოთ. ეს არის პერსპექტივა, რომელსაც მკაფიოდ ეწინააღმდეგებოდნენ იარლიყის მიკერების თეორეტიკოსები. მაგალითად, ჰოვარდ ბეკერი ამტკიცებდა, რომ სოციალური მკვლევარის ამოცანაა, გააჟღეროს ,,ჩაგრულის“ ხმა.

რადიკალური თეორიები

რადიკალური თეორიები - ისევე როგორც მათი წინამორბედი კონფლიქტის თეორიები - იდეების ფართო სპექტრს მოიცავს. ტეილორის, უალტონის და იანგის საკვანძო ნაშრომი ,,ახალი კრიმინოლოგია“ (Taylor, Walton and Young 1973) იარლიყის მიკერების თეორიების მარქსიზმთან დაკავშირების მცდელობა იყო, მაშინ, როდესაც აშშ-ში, უილიამ ჩემბლისის და რიჩარდ ქუინის ნაშრომები განსხვავებულ საფუძვლებს ემყარებოდა.

ვილჰელმ ბონგერი (Bonger 1916) ტრადიციული მარქსისტი გახლდათ, რომლისთვისაც კაპიტალიზმი სოციალური უპასუხისმგებლობის მიზეზი იყო. მისი ნაშრომი ფოკუსირდება კაპიტალისტურ ბიზნეს ციკლებსა და კრიმინალის დონეს შორის დიალექტიკურ კავშირზე. ამგვარად, ეკონომიკური რეცესიის დროს იზრდება უმუშევრობის რიცხვი და მასთან ერთად იზრდება კრიმინალიც. ორკლასიანი მოდელის გამოყენებით, ბონგერი ამტკიცებდა, რომ კონფლიქტი სავარაუდოდ განუსაზღვრელად გაგრძელდება, რადგან კაპიტალიზმის თანდაყოლილი წინააღმდეგობები ნოყიერ ნიადაგს ქმნიან დანაშაულისა და დამნაშავეებისათვის, რომლებიც სოციალურ ინტერესებზე წინ საკუთარ ინდივიდუალურ ინტერესებს აყენებენ.

რუშემ და კირქჰაიმერმა (1939) ფართო რაკურსით შეისწავლეს პატიმრობის მაჩვენებლები და კაპიტალიზმის რყევების და აღმოაჩინეს, რომ პატიმრობის მაჩვენებლები ბიზნეს ციკლის შესაბამისად იცვლებოდა. ეს დაკვირვება მხარს უმაგრებს ჭარბი შრომის ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც, ციხეები გამტარია მათთვის, - ძირითადად მამაკაცებისათვის - ვისი საჭიროებაც მოცემული პერიოდის ეკონომიკურ მოთხოვნებთან მიმართებით აღარ დგას. მარქსისტული პენოლოგია (Adamson 1984) არ გამოხატავს განსაკუთრებულ ინტერესს დანაშაულის გაუმქების მიმართ, თუმცა დაინტერესებულია ციხეების გაუქმებით. იგი უარყოფს პატიმართა რეაბილიტაციის სტრატეგიას, რადგან ის კვლავ ბურჟუაზიის ინტერესებს მოემსახურება (Scull 1977).

დიდ ბრიტანეთში ,,მაწანწალების შესახებ“ კანონის განვითარების შესწავლის პროცესში ბილ ჩემბლისი დაინტერესდა იმ სოციოპოლიტიკური კონტექსტით, სადაც სისხლის სამართალი აღმოცენდა. ჩემბლისის დაკვირვებით, ამ კანონმდებლობის სათავე ძალაუფლების ინტერესებში უნდა ვეძებოთ: „უდავოა, რომ ამ კანონების შემუშავების მიზანია, აიძულონ მუშები, დათანხმდნენ დაბალანაზღაურებად სამსახურებს, რათა მიწათმფლობელებისათვის მუშების ადეკვატურ ფასად მიწოდების უზრუნველყოფა მოხდეს? “ (Chambliss 1964: 69).

ჩემბლისი (Chambliss 1969) აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის უმეტესი ძალისხმევა სწორედ იმ ადამიანებს მიემართება, რომელთაც ლეგალური სანქციები ყველაზე ნაკლებად აფერხებს. ჩემბლისის აზრით, ნარკოდამოკიდებული ადამიანების ხანგრძლივი ვადით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსება ან მკვლელების სიკვდილით დასჯა მცირე ეფექტის მქონე შემაკავებელი სანქციებია. მეორე მხრივ, სახეზეა გარკვეული თავშეკავება მძიმე სასჯელის გამოყენების კუთხით ‘თეთრსაყელოიანთა’ (პრივილეგირებულ) და პროფესიონალ კრიმინალთა მიმართ - მათ მიმართ, ვისაც სანქციები ყველაზე მეტად შეაფერხებდა. ჩემბლისის აზრით ასეთი პოლიტიკა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის შეკავების ფორმალურ ლოგიკასთან, თუმცა ძალაუფლების არმქონეთა მიმართ უხეში მოპყრობა იდეალურად ერგება ‘ეფექტურობის’ დემონსტრირების ბიუროკრატიულ

ლოგიკას და, ამავდროულად, გვერდს უვლის ორგანიზაციულ პრობლემებს, რომლებიც ძალაუფლების მქონეებთან კონფრონტაციისას შეიძლება წარმოიშვას.

1970-ანი წლების შუა პერიოდში - მაშინ, როდესაც არაერთი გავლენიანი სოციალური თეორეტიკოსი უბრუნდებოდა მარქსისტულ ტრადიციას, რომელიც ფაქტობრივად გამქრალი იყო 1940-იან და 1950-იან წლებში - ჩემბლისის პოზიციამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ეს ცვლილება აისახება მის ცხრა თეზისში: 1. მოქმედება განისაზღვრება დანაშაულად იმიტომ, რომ მათი ამგვარად განსაზღვრა მმართველი კლასის ინტერესებშია. 2. მმართველი კლასის წევრები კანონებს დაუსჯელად არღვევენ, ხოლო დაქვემდებარებული კლასის წევრები ისჯებიან. 3. განიცდიან რა კაპიტალისტური ქვეყნები ინდუსტრიალიზაციას და მუშათა და მმართველ კლასებს შორის უთანასწორობა სულ უფრო და უფრო ღრმავდება, სისხლის სამართალი ფართოვდება, რათა უზრუნველყოს მუშათა კლასის დამორჩილება. 4. დანაშაული ამცირებს ჭარბ სამუშაო ძალას დასაქმების ადგილების შექმნის გზით არამარტო დამნაშავეებისათვის, არამედ კანონის აღმსრულებლებისთვის, ჯანდაცვის მუშაკებისთვის, კრიმინოლოგიის პროფესორებისათვის, და ყველა იმ ადამიანებისათვის, ვინც დანაშაულის არსებობის ხარჯზე ცხოვრობს. ეს მსჯელობა მოგვიანებით ქრისთიმ (Christie 1993) განავითარა და შემოიტანა, კრიმინალური ინდუსტრიის' ცნება, რომლითაც დანაშაულის მიმართ ამგვარი ინტერესის მქონე პროფესიონალთა ჯგუფებს აღწერდა. 5. დანაშაულს დაბალი ფენების ყურადღება გადააქვს მათი ექსპლუატირებული მდგომარეობიდან და მიმართვას არა კაპიტალისტურ კლასსა და ეკონომიკურ სისტემაზე, არამედ დაბალი ფენების სხვა წევრებზე. 6. დანაშაული არის რეალობა, რომელიც არსებობს იმდენად, რამდენადაც მისი შემქმნელები დაინტერესებულნი არიან საზოგადოებაში მისი არსებობით. 7. დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართული ადამიანები მოქმედებენ რაციონალურად იმ გზებით, რომლებიც მათი სოციალური კლასისა და საცხოვრებელი პირობების პოზიციასთან თავსებადია. 8. დანაშაული განსხვავდება საზოგადოებების მიხედვით და დამოკიდებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებზე. 9. სოციალისტურ ქვეყნებში დანაშაულის მაჩვენებელი შედარებით ნაკლებია, რადგან კლასობრივი ბრძოლის შემცირებული ინტენსივობა დანაშაულსაც ამცირებს (Chambliss 1975: 152–5).

1960-იანების მიწურულს, დიდ ბრიტანეთში, ახალგაზრდა რადიკალი კრიმინოლოგები მსგავს მოსაზრებებს და დასკვნებს აკეთებდნენ. ისინი იკვლევდნენ იმას, თუ რა როლი ჰქონდა ორთოდოქსულ კრიმინოლოგიას კაპიტალისტურ საზოგადოებაში უთანასწორო სოციალური ურთიერთობების ლეგიტიმაციაში. ახალგაზრდა კრიმინოლოგები თვლიდნენ, რომ კანონი, პოლიცია და სოციალური მუშაკები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სტატუს კვოს შენარჩუნებაში, ხოლო დანაშაულებრივი ქმედების წინასწარგანსაზღვრული აქტორის მოდელის მიმდევრები, ბრიტანეთის შინაგან საქმეთა დეპარტამენტი და კემბრიჯის კრიმინოლოგიის ინსტიტუტი სისხლის სამართლის ამ მნიშვნელოვანი უწყებების აკადემიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფოდნენ. ამ ახალგაზრდა რადიკალებმა გადაწყვიტეს, დევიანტებისთვის ღირსება აღედგინათ. დევიანტები უკვე აღარ მიიჩნეოდნენ ,,საცოდავ არსებებად" წინასწარგანსაზღვრული აქტორის მოდელის მსგავსად, არც „აუტანელ საშინელ პათოლოგებად", რომლებიც მემარჯვენე კრიმინოლოგების თანახმად მკაცრ შემაკავებელ სანქციებს, მათ შორის, სიკვდილსაც იმსახურებდნენ. მიზანი იყო, ხაზი გასმოდა დევიანტი აქტორის მნიშვნელობას, მის უნარს, რაციონალურად, ხანდახან აჯანყების ფორმითაც კი, შეპასუხებოდა გარემოპირობებს.

ამ ტრადიციის გამორჩეული წარმომადგენლები აკადემიურ სცენაზე გამოჩდნენ შეხვედრების სერიიდან, რომელიც 1960-70-იანი წლების მიჯნაზე ნიუ იორკში გაიმართა. დისკუსიებში ჩართულნი იყვნენ პოლ

როკი, დეივიდ დაუნსი, ლორი ტეილორი, სტენ კოენი, იან ტეილორი და ჯოკ იანგი. ამ ახალმა კრიმინოლოგები - სხვაგვარად დევიაციის სოციოლოგებმა - ეტიკეტირების თეორიებე მარქსისტულ ტრადიციას დაუკავშირეს პოზიციებზე გადაინაცვლეს. ამ დროისთვის მარქსისტული ტრადიციაც საფუძ-ლიანი გადასინჯვის პროცესში იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრეული თეორეტიკოსები - განსაკუთრებით ვილჰელმ ბონგერი (Bonger 1916), რომელიც შეეცადა აეხსნა დანაშაული და დანაშაულებრივი ქცევა მარქსისტული პერსპექტივიდან - მიდრეკილები იყვნენ, ეწინასწარმეტყველათ დანაშაულის რაოდენობრივი დინამიკა კაპიტალისტურ სისტემაში, რომელიც, თავისი გამაუცხოვებელი სოციალური სტრუქტურის გამო, უპირობოდ უბიძგებდა ინდივიდებს დანაშაულისა და ანტისოციალური ქცევისაკენ. ბონგერის ნაშრომი უხეშად დეტერმინის-ტული იყო და უგულვებელყოფდა იმას, რომ ადამიანებს არახელსაყრელ სოციალურ პირობებზე შესაძლოა მრავალფეროვანი რეაქციები ჰქონოდათ - იქნება ეს ნარკოდამოკიდებულება, აპათია თუ სხვა - რაზეც მერტონი და ანემიის თეორიის ტრადიციაში მომუშავე თეორეტიკოსები მიუთითებდნენ. ამგვარად, ახალი კრიმინოლოგები დანაშაულისა და დანაშაულებრივი ქცევის 'ტოტალური' ახსნისკენ ისწრაფვოდნენ, ახსნისკენ, რომელიც მოიცავდა სოციალურ-სტრუქტურულ ძალაუფლებასა და ისტორიას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მიაგნეს 'დევიაციის სრულად სოციალურ ხედვას' 'დევიაციის სოციოლოგიის' კომბინაციაში, რომელიც ეფუძნებოდა იარლიყის მიკერების თეორიასა და მარქსიზმს.

ამ ტრადიციის კლასიკური ტექსტია ტეილორის, უალტონის და იანგის „ახალი კრიმინოლოგია" (Taylor, Walton and Young 1973), რომელიც შთამბეჭდავ შეჯამებას გვთავაზობს ადრეული კრიმინოლოგიური იდეებისა და იმ ინდიკატორების, რომლებიც, ავტორების აზრით, დანაშაულისგან თავისუფალ საზოგადოებას წარმოშობს. ნაშრომი ეფუძნება ვარაუდს, რომელიც ასე შეგვიძლია შევაჯამოთ: 1. დანაშაული ორმხრივია - ერთი მხრივ, სახეზე გვაქვს დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი მიზეზი და მეორე მხრივ, ქცევის კრიმინალიზების ძალაუფლება. 2. კაპიტალიზმი თავად წარმოქმნის დანაშაულს - კაპიტალიზმი კრიმინოგენულია - რამდენადაც დანაშაული იმ მატერიალური და სოციალური უთანასწორობის პროდუქტია, რომელიც განუყოფელია კაპიტალიზმის ლოგიკისგან. 3. დანაშაულის აღმოფხვრის ერთადერთი გზა მდგომარეობს უთანასწორობისა და ქცევის კრიმინალიზების ძალაუფლების აღმოფხვრაში. იარლიყის მიკერების თეორიაზე დაყრდნობით ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ქცევის კრიმინალიზების, კანონების შემუშავებისა და მათი აღსრულების ძალაუფლება სახელმწიფოს ეკუთვნის. ავტორებისთვის სახელმწიფოს ფორმა განსხვავდება ისტორიული პერიოდების მიხედვით, ისევე როგორც განსხვავდება სოციალური დისციპლინის უზრუნველმყოფელი ტექნიკები.

ახალმა კრიმინოლოგია გამოხატავდა ,გლობალურ', 'მაკრო' მიდგომას, რომელიც დანაშაულისა და დანაშაულებრივ ქმედების მიზეზებს სოციალურ სტრუქტურაში პოულობდა. იარლიყის მიკერების პერსპექტივა ამ განსაზღვრებაში თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს.

რადიკალური თეორიების კრიტიკა

,,ახალი კრიმინოლოგია" დანაშაულისგან თავისუფალ, სოციალისტურ „კარგ საზოგადოებას" გვთა-ვაზობს. ოცდამეერთე საუკუნის პერსპექტივიდან ის შეიძლება უტოპიურად ჩანდეს, რამდე-ნადაც საკუთარი თანამედროვეობის ოპტიმისტურ სიულისკვეთებას ირეკლავს და გაწეული სამუშაოს ზოგადი

ბუნება დანაშაულის ფუნდამენტურ კონცეფციას ბევრს ვერაფერს აძლევს. დანამდვილებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ნაშრომის გამოცემის შემდეგ „დევიაციის ჭეშმარიტად სოციალური ხედ-ვის“ გასავითარებლად ცოტა რამ გაკეთდა. მოგვიანებით ტეილორის, ვალტონისა და იანგის (1975) რედაქციით გამოქვეყნებული ტექსტი თავდაპირველი პროგრამის „მასშტაბური თეორიიდან“ შედარებით ვიწრო პრობლემატიკაზე გადანაცვლების ტრაექტორიას ასახავდა. შეგვიძლია გამოვყოთ ხუთი შესაძლო, თუმცა არა აუცილებლად ურთიერთგამომრიცხავი მიზეზი იმისა, თუ როგორ მოხდა, რომ მოვლენები სწორედ ასე განვითარდა. პირველი, ზოგიერთი ეჭვქვეშ აყენებდა იარლიყის მიკერების თეორიისა და მარქსიზმის ერთმანეთთან შერწყმისა და სინთეზის ლეგიტიმურობას, ვინაიდან ამ ორი ტრადიციის ფილოსოფიური საფუძვლები ფუნდამენტურად განსხვავებულია. ჰირსტი (1980) ამტკიცებს, რომ ტეილორი და სხვები ჩვეულებრივი იარლიყის მიკერების თეორეტიკოსები არიან, რომლებიც მარქსის ნაშრომში შეიჭრნენ, რათა ამ ორი ხედვის სინთეზი ეცადათ.

მეორე, სხვები ამტკიცებდნენ, რომ ახალმა კრიმინოლოგებმა ვერ შეძლეს დევიანტურობისა და დანაშულის ზუსტი განმარტების ჩამოყალიბება. წინასწარგანსაზღვრული აქტორის მოდელის ტრადიციის მომხრეებისათვის ეს პრობლემას არ წარმოადგენდა. მათი აზრით კრიმინალი ან „პათოლოგიური ქცევის“ შედეგია, ან უბრალოდ წარმოადგენს ქცევას, რომელიც კანონს არღვევს. კონცეფცია, რომელიც დანაშაულს განმარტავს როგორვ ქცევას, რომელიც სოციალურ ზიანს იწვევს, უთუოდ პრობლემურია.

ფუნდამენტური კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რამდენადაა შესაძლებელი დანაშაულის მიზეზ-შედეგობრივი თეორია, რომელიც მართლზომიერად მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა მუშათა კლასის ფარგლებში გავრცელებული ქურდობა, გაუპატიურება და ‚თეთრსაყელოიანთა’ თაღლითობა. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ექსპანსიურ დეფინიციას ვიზიარებთ, ჩნდება პრობლემა, რომელიც საზოგადოებრივი ზიანის ზუსტად განსაზღვრასთანაა კავშირში და მკვლევართა ნაწილის მტკიცებით „დანაშაულის“ ყალიბის პრობლემურობის წარმოჩენისთანავე აშკარა ხდება, რომ კრიმინალური ქცევის სხვადასხვა არეალები სხვადასხვა ამსხსნელ მოდელებს საჭიროებენ. ასეთ პირობებში ცენტრალური, ყოვლისმომცველი კრიმინოლოგიის განვითარების ამბიცია იმთავითვე კვდება და შედეგად „დიდი თეორიისგან“ ვდისტანცირდებით.

მესამე, „დიდი თეორიისგან“ დისტანცირებას მხარს უჭერდნენ სოციოლოგები და სოციალური ისტორიკოსები. ტომსონისა (1975) და ჰეის (1981) ნაშრომებმა გვიჩვენეს, რომ დანაშულებრივი ქმედება არ არის ერთგვაროვანი ცნება და „კანონის მმართველობა“ ვერაფრით ჩაითვლება ექსტერნალურ, ძალადობრივ მექანიზმად, რომელიც მუშათა კლასს ჩაგრავს. მეტიც, მას პოტენციურად შეუძლია მუშათა კლასს გარკვეული დახმარებაც კი აღმოუჩინოს ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პირობებში წესრიგის შენარჩუნების მიზნით. ამ ავტორთა მიერ შემოთავაზებული მაგალითები მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებიდან ცხადყოფს, რომ იმ პერიოდის სახელმწიფო ძალაუფლება უფრო კომპლექსური იყო, ვიდრე ამას ახალი კრიმინოლოგიის ფრთის წარმომადგენლები თავდაპირველად. ერთი სიტყვით, არსებობს დანაშაულის პარაზიტული და მრავალფეროვანი ფორმებიც, რომელთა წინააღმდეგ მუშათა კლასი კანონისა და წესრიგის მხრიდან დაცვას საჭიროებს.

მეოთხე, 1970 -იან წლებში მარქსისტულ თეორიაში მომხდარმა ცვლილებებმა კრიმინოლოგთა პირველი ტალღა ინტელექტუალურად გარიყა. სახელმწიფო ტრადიციულად განიხილებოდა, როგორც პოლიტიკური დომინირების ფორმა მაგრამ 1970 -იან წლებში მარქსისტულმა კომპლექსურმა ანალიზმა

მოიცვა ისეთი სფეროებიც, როგორებიცაა კულტურა, იდეოლოგია და ჰეგემონია. კანონს უკვე აღარავინ განიხილავდა ექსკლუზიურად ბურჟუაზიულ ცნებად. ნაცვლად ამისა, მას უკვე ფართოდ დიფირენცირებულ იდეად სახავდნენ.

ახალი კრიმინოლოგიის რევიზიონისტებმა ამ კომპლექსურ ახალ საკითხთა დიდი ნაწილი განიხილეს. ნაწილი მათგანი ბირმინჰემის უნივერსიტეტში, თანამედროვე კულტურუს კვლევათა ცენტრში მუშაობდა ქარიზმატული ხელმძღვანელის, პროფესორი სტიუარტ ჰოლის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფმა გამოსცა კონტროვერსიული ნაშრომი „კრიზისის პოლიცია“ (1978), - „ახალი კრიმინოლოგიის“ უტოპიურ ასპექტთა გადააზრებისა და დახვეწილ თეორიულ ჩარჩოში განთავსების მცდელობა.

ეს იდეები ინსპირირებული იყო იტალიელი მარქსისტის, ანტონიო გრამშის ნაშრომით, რომელიც 1920-იან წლებში გამოქვეყნდა. ნაშრომის ქუჩის ძარცვის შემთხვევების ანალიზში ჩართვით ჯგუფმა ეთნიკურობის, კლასისა და სახელმწიფოს ურთიერთობის გამოკვლევა სცადა და შედეგად კრიტიკული კრიმინოლოგიის - რადიკალური ტრადიციის ორი თანამედროვე ვარიანტიდან ერთ-ერთის - ინტელექტუალურ წინამორბედად მოგვევლინა. ამ მიმართულებას დეტალურად მეთორმეტე თავში დავუბრუნდებით. ამ პერსპექტივას აკადემიურ კრიმინოლოგიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

მეხუთე, დანაშაულის მაჩვენებლის აშკარა ზრდამ და მოსახლეობის ფართო მასებში დანაშაულის დონის ზრდამ კრიმინოლოგიურ დებატებში ერთგვარი „პოპულარიზმი“ წარმოქმნა. მესამე თავში ჩვენ გავეცანით კონსერვატორ პოპულისტებს - მემარჯვენე“ რეალისტებს“, რომლებიც სერიოზულად მიუდგნენ უბრალო ადამიანების, განსაკუთრებით მუშათა კლასის წარმომადგენელთა პრობლემებს და ამ გზით მნიშვნელოვან ელექტორალურ წარმატებას მიაღწიეს იქ, სადაც, ტრადიციულად, პოლიტიკური მემარცხენეობა იმარჯვებდა. მეთექვსმეტე თავში დავინახავთ, რომ დანაშაულის საკითხის პოლიტიკური მემარჯვენეობისგან დახსნის მცდელობისას პოპულისტი სოციალისტები - ან, სხვაგვარად, მემარცხენე რეალისტები - რადიკალური კრიმინოლოგიის გადააზრების იდეამდე მივიდნენ. რადიკალური ტრადიციის ეს მეორე, თანამედროვე ვარიანტი აღიარებს, რომ კაპიტალიზმი შესაძლოა მართლაცაა პასუხისმგებელი აბსოლუტურ და შედარებით უთანასწორობაზე, რომელიც ბრიტანულ კულტურას დიდწილად განსაზღვრავს და დანაშაულის გამომწვევ მიზეზად გვევლინება, მაგრამ, მეორე მხრივ, დანაშაულის გარკვეული ნაწილი მტაცებლური ბუნებისაა და ვნებს სწორედ იმ ადამიანებს, რომელთა დაცვაც განუზრახავს - მუშათა კლასსა და ღარიბებს.

ბიბლიოგრაფია:

Adamson, E. (1984) ‘Toward a Marxian Penology’, Social Problems, 31: 435–58

Becker, H. (1963) Outsiders: Studies in the Sociology of Deviance. New York: Free Press
Cicourel, A. (1968) The Social Organisation of Juvenile Justice. New York: Wiley

Cohen, A.K. (1955) Delinquent Boys: The Culture of the Gang. New York: Free Press

Coser, L. (1956) The Functions of Social Conict. New York: Free Press

Downes, D. and Rock, P. (1998) Understanding Deviance, 3rd edition. Oxford: Oxford University Press
Erikson, K. (1962) ‘Notes on the Sociology of Deviance’, Social Problems, 9: 309–14.

Goode, E. and Ben-Yehuda, N. (1994) Moral Panics: The Social Construction of Deviance. Oxford: Blackwell.
Gouldner, A. (1970) The Coming Crisis of Western Sociology. New York: Basic Books

Institute of Race Relations (1987) Policing Against Black People. London: Institute of Race Relations.
Kitsuse, J.I. (1962) 'Societal Reaction to Deviant Behaviour: Problems of Theory and Method', Social Problems, 9: 247–56
Lemert, E. (1951) Social Pathology: A Systematic Approach to the Theory of Sociopathic Behavior. New York: McGraw-Hill
Link, B. (1987) 'Understanding Labelling Effects of Mental Disorders: An Assessment of the Effects of Expectations of Rejection', American Sociological Review, 54: 395–410.
Piliavin, I. and Briar, B. (1964) 'Police Encounters with Juveniles', American Journal of Sociology, 69: 153–62.
Platt, A.M. (1969) The Child Savers: The Invention of Delinquency. Chicago, IL: University of Chicago Press.
Plummer, K. (1979) 'Misunderstanding Labelling Perspectives', in D. Downes and P. Rock (eds) Deviant Interpretations. London: Martin Robertson
Quinney, R. (1970) The Social Reality of Crime. Boston, MA: Little, Brown

Quinney, R. (1970) The Social Reality of Crime. Boston, MA: Little, Brown.

Schur, E. (1971) Labelling Deviant Behaviour: Its Sociological Implications. New York: Harper and Row
Scull, A. (1977) Decarceration. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall

Sellin, T. (1938) Culture, Conict and Crime. New York: Social Research Council

Smith, D. and Gray, J. (1986) Police and People in London. London: Policy Studies Institute
Tannenbaum, F. (1938) Crime and the Community. New York: Columbia University Press
Tierney, K. (1982) 'The Battered Women Movement and the Creation of the Wife Beating Problem', Social Problems, 29 (February): 207–20.
Turk, A.T. (1969) Criminality and the Social Order. Chicago, IL: Rand-McNally.

1.3.3 გენდერი და კრიმინალი

როგორც ზემოთ ვიხილეთ, დამნაშავეობრივი ქცევისა და დანაშაულის ვიქტიმიზებული აქტორის მოდელის თანახმად, დამნაშავე, გარკვეულწილად, უსამართლო და უთანასწორო საზოგადოების მსხვერპლს წარმოადგენდა. კრიმინალიზებული სწორედ საზოგადოების უფრო ღარიბი და ნაკლებად ძლიერი ნაწილის მოქმედებებია, მაშინ, როდესაც მდიდარი და ძლევამოსილი საზოგადოების ქმედებანი უგულებელყოფილია და ხშირად არც კი განისაზღვრება დამნაშავეობრივ ქცევად. ფემინისტური პერს-პექტივიდან, კაცები, როგორც საზოგადოების დომინანტური ჯგუფი, ქმნიან და აღასრულებენ კანონებს, რომლებიც მუდმივად ქალების საზიანოდაა მიმართული.

დამნაშავეობრივი ქმედების ახსნებსა თუ სისხლის სამართალში გენდერის მნიშვნელობის გამოსაკვეთად ფემინისტური თუ კრიტიკული სოციალური თეორიების მოხმობის გამო, უკანასკნელი წლების განმავ-ლობაში ფემინიზმმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა კრიმინოლოგიაზე. ფემინიზმმა ქალთა კრიმინალის ტრადიციული ახსნების კრიტიკა წარმოადგინა და ამასთან, საკუთარი პერსპექტივებიც შემოგვთავაზა. უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ბიოლოგიური მახასიათებლების განსხვავება (რომ-ლებიც ქალებსა და მამაკაცებს განასხვავებენ) იმ კულტურული წინასწარგანწყობებისგან/მოლო-დინებისგან, რომლებიც საზოგადოების მიერ შექმნილ სოციალურ როლებს ახასიათებთ. „სქესი“ ბიო-ლოგიური ტერმინია, რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის ანატომიური განსხვავებების აღსანიშნავად გამოიყენება, ხოლო ტერმინი „გენდერი“ იმ შეძენილ ქცევას მიემართება, რომელიც ქალსა და მამაკაცს ახასიათებს და სოციალიზაციის პროცესის შედეგად ვითარდება. ამგვარად, გენდერი ქალსა და მამაკაცს შორის არსებული არაბიოლოგიური განსხვავებების სოციალური კონსტრუქტია, რისი დეტალური ახსნაც სულ მცირე ორი ისეთი ქვეჯგუფის გამოვლენით შეგვიძლია, როგორებიცაა მასკულინობა და ფემი-ნურობა (რომლებიც ნაწილობრივ ემყარებიან ფიზიკურ განსხვავებებს).

ფემინისტი კრიმინოლოგები ანდროცენტრიზმსა თუ მამაკაცებზე ორიენტირებულ კრიმინოლოგიას კრიტიკულად ეკიდებიან (Daly and Chesney-Lind, 1988) და მიიჩნევენ, რომ ტრადიციული, „მამაკაცებზე ორიენტირებული“ კრიმინოლოგიური თეორიის მთავარი სისუსტე ისაა, რომ ამ უკანასკნელს არ ესმის გენდერისა და სქესობრივი როლების არსებითი მნიშვნელობები (Gelsthorpe and Morris, 1990). ზოგიერ-თისთვის, ეს მნიშვნელობა სქესობრივ როლებსა და გენდერულ უთანასწორობას შორის არსებულ განსხვავებებში ირეკლება; სხვებისთვის, უთანასწორობა პატრიარქატის შიგნით სტრუქტურულ ხასიათს ატარებს და საზოგადოების ორგანიზაციის არსებით პრინციპს წარმოადგენს; ეს ის მდგომარეობაა, სადაც მამაკაცთა უფლებები და პრივილეგიები ქალთა უფლებებზე და პრივილეგიებზე აღმატებულია. კონფ-ლიქტის თეორიები, რომლებიც წინა ორ თავში განვიხილეთ ცნობენ განსხვავებებს ქალებსა და მამა-კაცებს შორის ძალაუფლებით სტრუქტურებში, თუმცა ფემინისტური თეორიის თანახმად, ძალაუფ-ლებითი განსხვავებები ქალებსა და მამაკაცებს შორის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც შეიძლება იყოს რასა, კლასი და ასაკი. მარქსისტები კლასს კაპიტალისტურ საზოგადოებაში გადამწყვეტ ძალად მოიაზრებენ, თუმცა, ფემინისტური პერსპექტივიდან, პატრიარქატი, სულ მცირე, თანაბრად მნიშვნე-ლოვანი ფაქტორია. ფემინისტური თეორიების თანახმად, სისხლის სამართლის გადაწყვეტილებები მამრობით დომინირებას ასახავენ და ქალების დისკრიმინაციის, ტრადიციული სქესობრივი თუ ოჯახური როლების გაძლიერებით პატრიარქატს განამტკიცებენ (Mann, 1984; Messerschmidt, 1986; Morris, 1987; Chesney-Lind, 1988, 1989; Daly and Chesney-Lind, 1988; Daly, 1989, 1992, 1994a, 1994b; Simpson, 1989, 1991; Gelsthorpe and Morris, 1990, Chesney-Lind and Shelden, 1992)

მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ფემინიზმი წარმოადგენს არა აზრის უნიტარულ სისტემას, არამედ განსხვავებული თეორიული პერსპექტივების ნაკრებს, რომლის თითოეული შემადგენელი ნაწილი ქალების ჩაგვრას სხვადასხვაგვარად ხსნის. შესაბამისად, ქალთა კრიმინალის ერთიანი ფემინისტური ახსნა არ მოიძებნება. სანამ ამ დებატების შესწავლაზე გადავალთ, უმჯობესი იქნება, თუ მოკლედ მიმოვიხილავთ ფემინისტური აზრისა თუ ფემინიზმის სახესხვაობებს. პირველ რიგში, გაფრთხილების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ფემინიზმის განსხვავებული ვერსიები ერთ საკითხზე თანხმდებიან - ყველა მათგანი ეწინააღმდეგებოდა ტერმინი „მსხვერპლის“ გამოყენებას მამაკაცების მიერ დომინირებულ საზოგადოებაში ქალთა ჩაგვრის აღსანიშნავად, ისინი უპირატესობას ტერმინს - „ გადარჩენილი“ - ანიჭებენ. ეს ლინგვისტური გადაწყვეტილებაა, რომელიც იმას გულისხმობს, რომ საერთო მიზნისთვის ერთობლივი მუშაობის შედეგად ქალებს შეუძლიათ წარმატებით გაუწიონ პაექრობა და დაძლიონ კიდეც მამაკაცთა უზენაესობა.

ფემინისტური თეორიის პერსპექტივები

ფრანგული ტერმინი feminisme პირველად მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს გამოიყენეს ქალთა ემანსიპაციის სინონიმური მნიშვნელობით (Jaggar, 1983; Pilcher, 1983). მოცემული პერიოდისთვის ტერმინი მიემართებოდა „ქალთა მოძრაობას“, რომელიც საზოგადოებაში ქალთა უფლებრივი დაწინაურებით დაინტერესებული განსხვავებული ჯგუფებისგან შედგებოდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ტერმინის გამოყენება აშშ-ში დაიწყეს, მისი მნიშვნელობა ერთობ შეზღუდული იყო და მხოლოდ იმ ჯგუფს მიემართებოდა, რომლებიც ქალთა უნიკალურ გამოცდილებაზე და მათ სოციალურ, თუ სექსუალურ სიწმინდეზე მიუთითებდა (Jaggar, 1983). დღესდღეობით ტერმინი ესოდენ შეზღუდული მნიშვნელობის აღარ არის, თუმცა გარკვეული ბუნდოვანება მის მნიშვნელობასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით კვლავაც არსებობს.

ზოგადად მიიჩნევა, რომ ფემინიზმი დასავლურ საზოგადოებებში ორი ტალღისგან შედგება. პირველი ტალღის ფემინიზმი განსაკუთრებით გამოკვეთდა თანასწორობის მნიშვნელობას რაციონალური, ინდივიდუალური უფლებების ჭრილში და სუფრაჟისტული მოძრაობების აქტიურობით ხასიათდებოდა (მეტწილად ბრიტანულ კონტექსტში), რამაც ფაქტობრივად 1860-იანი წლებიდან პირველ ომამდე გასტანა. ყოველივე ამას მოჰყვა საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაფართოება და საკუთრების უფლების სოციალური კანონმდებლობის მიღება(მათ შორის ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე). 1928 წელს, 21 წელს ზემოთ ქალებს ხმის მიცემის უფლება მიენიჭათ. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა სოციალურ-უფლებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდა, თანასწორობის მიღწევა ვერ მოხერხდა.

ფემინიზმის მეორე ტალღა აშშ-ში წარმოიშვა და დიდ ბრიტანეთამდე 1960-იანი წლების მიწურულს მიაღწია. ქალთა გამათავისუფლებელი მოძრაობა სამოქალაქო უფლებათა და სტუდენტურ მოძრაობათა კვალდაკვალ წარმოიშვა, რომლებიც საზოგადოების სრულ გარდაქმნას მოითხოვდნენ. ცნობიერების ამამაღლებელმა ჯგუფებმა და ქალთა კოლექტივების განვითარებამ დისკუსიისთვის აუცილებელი სივრცე უზრუნველეყო, რამაც ფაქტობრივად საფუძველი შეუქმნა თანამედროვე ფემინისტურ აზრსა და მოქმედებას.

შესაბამისად, ფემინისტურმა იდეამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა სოციალურ მეცნიერებებსა და აკადემიურ სფეროებზე და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მამაკაცების მიერ დომინირებული ტრადიციული პერსპექტივები და არგუმენტები. ფემინისტური აზრის განვითარებამ ის არგუმენტები ჩამოაყალიბა, რომლებიც თეორიულ პერსპექტივებში ქალთა ჩართულობას შეუწყობდა ხელს და ის მიდგომები

დასახა, რომელიც სწორედ ქალთა ცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების აღქმას დაეხმარებოდა. შედეგად, კვლევის სრულიად ახალი მხარეები გაიხსნა, რამაც წარსულში უხილავი ქალები ხილვადი გახადა.

აკადემიის საზღვრებში მოქცეული ფემინიზმი კრიტიკას ვერ გაექცა. საყოველთაოდ მისაღები არც მისი თეორიები, ნაშრომები თუ კვლევები (რომლებიც ხშირად კრიტიკის საგნად გადაიქცეოდნენ ხოლმე) აღმოჩნდა. მიუხედავად ამ პრობლემებისა, ფემინისტური აზრი მაინც დაუპირისპირდა ტრადიციულ, მამაკაცების მიერ დომინირებულ ცოდნას, რაც შესაძლოა ერთგვარ სოციალურ და პოლიტიკურ ძალადაც განიხილებოდეს. ფემინიზმის სულ მცირე ექვსი ძირითადი თანამედროვე სახესხვაობის გამოყოფა შეგვიძლია და მათ სათითაოდ მიმოვიხილავთ.

ლიბერალური ფემინიზმის საფუძვლები ინდივიდუალურ უფლებებსა და თავისუფლებებშია, რომლებიც თავის მხრივ, გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო თანამედროვე საზოგადოებების კონსოლიდაციისთვის მე-18 და მე-19 საუკუნეებში. ამ პერსპექტივიდან, ქალთა დაქვემდებარება უფრო ფართო სოციალური სტრუქტურების ნაწილების ანალიზისა და უთანასწორობის ჭრილში განიხილება, რომლის მთავარ ინტერესებსაც სოციალურ პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი საჯარო სფეროში დისკრიმინაციის გამოვლენა წარმოადგენს და ამასთანავე იმ უფლებების გაფართოება, რომლითაც ქალები მამაკაცებთან თანასწორობით უნდა სარგებლობდნენ სამართლებრივი რეფორმის პროცესში. მოცემული პერსპექტივა მრავალმხრივი კრიტიკის საგანი გახდა, თუმცა, კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს დამდგარა მისი უნარი დაპირისპირებოდა ღრმად ფესვგადგმულ გენდერულ უთანასწორობას. მოკლედ რომ ვთქვათ, ფუნდამენტურ მამაკაცურ ღირებულებებთან დაპირისპირებაში მან აშკარა მარცხი განიცადა. შემოთავაზებული გამოსავლები ხშირად შეზღუდული და ზედაპირული ხასიათის იყო, თუმცა, სქესობრივი დისკრიმინაციის შემსუბუქებასა და თანაბარი ანაზღაურების კანონის შემოღებას ხშირად ლიბერალური ფემინიზმის გავლენებს მიაწერენ და უფრო ფართო ფემინისტურ პარადიგმაში მის მნიშვნელობას ცალსახად აღიარებენ (Jaggar, 1983; Tong, 1988).

რადიკალური ფემინიზმი 1970-იან წლებში წარმოიშვა და პატრიარქატზე კონცენტრირდა, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ მამაკაცებს შორის იერარქიულ დამოკიდებულებასა და იმ სოლიდარობაზე, რომელიც მათ ქალების კონტროლის შესაძლებლობას აძლევს“ (Hartmann, 1981: 447). პატრიარქატი ძალაუფლებით ურთიერთობებს ახასიათებს როგორც სოციალური დამოკიდებულებებისა და სტრუქტურების განუყოფელ ნაწილს, რომლის ფარგლებშიც ქალთა დაქვემდებარება და ექსპლუატაცია მამაკაცთა ძალაუფლებისა და დომინაციის ინსტიტუციონალიზაციის ასახსნელად გამოიყენება (იხ. Walby, 1980:173-201). სლოგანი - „პირადი პოლიტიკურია“, პირადი ურთიერთობებისას და ცხოვრების კერძო სფეროს ფარგლებში ქალთა ჩაგვრის საფუძვლების გამოსავლენად გამოიყენებოდა, ამგვარად, რადიკალური ფემინისტები ცნობენ პირადი ურთიერთობებისა და სოციალურ პრაქტიკების საიდუმლოების გამოაშკარავების საჭიროებას კერძო სფეროს ფარგლებში, რამაც ისეთი საკითხების განხილვამდე მიგვიყვანა, როგორებიცაა რეპროდუქციული თავისუფლება, პორნოგრაფია, ოჯახური ძალადობა და ბავშვებზე ძალადობა. რადიკალური ფემინისტები მამაკაცებისგან გამოყოფის სულ სხვა ხარისხზე საუბრობენ, რაც ნაწილობრივ მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილი ინსტიტუციების ჩამოყალიბებაში შეიძლება გამოიხატოს, მათ შორის მამაკაცებთან რაიმე პირადი თუ სექსუალური ურთიერთობებიდან სრულ გამოთიშვაში.

რადიკალური ფემინიზმი ბიოლოგიური დეტერმინიზმის გამო გააკრიტიკეს, რომლის თანახმადაც ბუნებით ყველა კაცი ერთნაირია, ისევე, როგორც - ყველა ქალი. უფრო სიღრმისეული კრიტიკა იმ

ცნებას მიემართება, რომ პატრიარქატი ყოვლისმომცველი, უნივერსალური პრინციპია, რომელიც ყველგან ერთნაირად მოქმედებს და სრულიადაც არ ცნობს განსხვავებებს ქალთა გამოცდილებებს შორის, კლასობრივი და ეთნიკური განსხვავებების ჩათვლით, სხვადასხვა დროსა და სივრცეში (Jaggar, 1983).

მარქსისტი ფემინისტები ამტკიცებენ, რომ ქალთა დაქვემდებარების საფუძველი მათი საოჯახო როლის კაპიტალისტურ ექსპლუატაციაშია და ისინი იმ დომინანტურ იდეოლოგიას გამოავლენენ, რომელიც ქალებს, ძირითადად, საოჯახო ზრუნვის ფუნქციას აკისრებს. მოცემული მიდგომით ხშირად ამართლებენ დაბალ ანაზღაურებასა და სტატუსს, რაც ქალებს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობას არ აძლევს (Beechey, 1977). ამასთანავე, ქალები შრომის სათადარიგო არმიის ნაწილად განიხილება, რომელიც კაპიტალიზმის მოთხოვნისა და საჭიროების შემთხვევაში აქტიურ სამუშაო ძალად გადაიქცევა, ხოლო შრომის ნამატის წარმოქმნისას შრომითი ურთიერთობების მიღმა აღმოჩნდებიან (Bruegel, 1978).

მიუხედავად ამისა, მარქსისტ ფემინისტებს აკრიტიკებენ ქალთა ჩაგვრის ზედმეტად ეკონომიკური ახსნებისთვის, მაშინ, როცა ვერ ხერხდება ოჯახური ურთიერთობების კომპლექსურობას გააზრება. თუმცა, საბაზრო ეკონომიკაში დასაქმებული ქალების რიცხვის ზრდასთან ერთად ტონგი მარქსისტული ფემინიზმის კრიტიკის მზარდ აქტულობასაც შენიშნავს (Tong, 1988).

სოციალისტური ფემინიზმი რადიკალური და მარქსისტული ფემინიზმის პერსპექტივების სინთეზს წარმოადგენს, რომელიც აღიარებს, რომ კაპიტალისტური და პატრიარქალური სისტემები თანაბარ როლს თამაშობენ ქალთა დაქვემდებარებაში ამგვარად, „ორმაგი სისტემების თეორია“ აღიარებს, რომ კაპიტალისტური და პატრიარქალური სისტემები ერთმანეთისგან გამოყოფილია, თუმცა, ამავდროულად, ურთიერთხელშემწყობ ფუნქციას ასრულებენ ქალთა ჩაგვრის პროცესში. „ერთიანი სისტემის თეორეტიკოსებმა გამაერთიანებელი კონცეფციები განავითარეს, როგორც ანალიზის ცენტრალური კატეგორიები. მაგალითისთვის, ჯაგარმა (Jaggar, 1983), „გაუცხოების“ კონცეფცია ჩამოაყალიბა, რომელიც მარქსისტული, რადიკალური და ლიბერალური ფემინისტური აზრის თეორიულ სინთეზს წარმოადგენს. სოციალისტური ფემინიზმის უნარი თავი მოუყაროს განსხვავებულ ფემინისტურ მიდგომებს საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა კრიტიკას თავი ვერც მან დააღწია. შავკანიანი ფემინისტები ხშირად აკრიტიკებენ სოციალისტურ ფემინიზმს იმის გამო, რომ ის ქალების განსხვავებული პრაქტიკებისა და გამოცდილებების მრავალფეროვნების უარყოფისკენაა მიდრეკილი.

შავი ფემინიზმი დომინაციის იმ სტრუქტურებს შეისწავლის, რომელიც პირად, კულტურულ და ინსტიტუციურ დონეებზე ვლინდება, მათ შორის შავკანიანი ქალების ცხოვრებისეულ გამოცდილებაში. მიიჩნევა, რომ რასობრივი, კლასობრივი და გენდერული კატეგორიები თავადვე აყალიბებენ საკუთარი ჩაგვრის საფუძველს, რომლის ფარგლებშიც „დომინირების ბევრად უფრო განზოგადებულ მატრიცას“ ვხვდებით. ეს მატრიცა ბელ ჰუქსმა აღწერა (bell hooks, 1988:174-6), როგორც „დომინირების პოლიტიკა“, რომელიც იერარქიულ იდეოლოგიურ რწმენათა სისტემას ემყარება. ოჯახის, განათლებისა და რეპროდუქციის ფემინისტურ კრიტიკაში შავკანიანი ფემინისტი მწერლები გამოკვეთენ მიმართებას ერთი მხრივ შავკანიან ქალებსა და სტრუქტურებს, მეორე მხრივ კი იდეოლოგიებს და ჩაგვრის ინსტიტუციებს შორის. შავკანიანი ფემინისტები რასიზმში დებდნენ ბრალს ხშირ შემთხვევაში სწორედ თეთრკანიანი საშუალო კლასის წარმომადგენლებისგან შემდგარ ფემინისტურ მოძრაობას, რამაც განსხვავებების შესახებ ახალი დისკურსი გახსნა და ქალთა გამოცდილებების მრავალფეროვნების აღიარებას შეუწყო ხელი.

განსხვავებულობის ცნება ფემინიზმისა და პოსტმოდერნიზმის ურთიერთმიმართებაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. რადიკალური ფემინისტები აკრიტიკებდნენ მათ, ვინც განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს და ფაქტობრივად, განადიდებდა ინდივიდუალურ განსხვავებებს, პარალელურად იმის მტკიცებით, რომ სწორედ კოლექტიური ხმა აძლიერებს ქალებს. მოცემული მოსაზრების საპირისპიროდ, სხვები მიიჩნევენ, რომ მთავარი გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ ქალებმა მრავალფეროვნება და კოლექტიური გამოცდილება ერთდროულად უნდა აღიარონ.

მოცემული ნაწილის მიზანი იყო თანამედროვე ფემინიზმის შესახებ მწირე ცოდნის მქონე მკითხველი ეზიარებინა იმ იდეების მრავალფეროვნებისთვის, რომელიც ამ პარადიგმის შიგნით თანაარსებობს. მთავარი განსხვავება ამ ხედვებს შორის ქალთა ჩაგვრის საფუძვლებსა და შემოთავაზებულ გამოსავ-ლებშია. ამასთან, შავკანიანთა ფემინიზმი და პოსტმოდერნული ფემინიზმი გვთავაზობენ როგორც სხვა ფემინისტური მოძრაობების კრიტიკას, ასევე საკუთარ პერსპექტივებსაც, რითაც ცნობენ განსხვავებებს ქალთა გამოცდილებებსა და მათ მიერ განცდილ ჩაგვრებს შორის. ახლა კი, დავუბრუნდეთ დისკუსიას ქალებისა და კრიმინალის შესახებ.

ქალთა კრიმინალის ადრეული ახსნების ფემინისტური კრიტიკა

მეოცე საუკუნის მიწურულის კრიმინოლოგიას აღწერდნენ, როგორც „სოციალურ მეცნიერებებს შორის ყველაზე მასკულინურ მეცნიერებას, რომელსაც თეძოზე რევოლვერი ჰქონდა დამაგრებული და მაჩოდ მოჰქონდა თავი“ (Rafter and Heidensohn, 1985:5). ფემინისტური ნაშრომების დამსახურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტრადიციული თუ „მამაკაცებზე ორიენტირებული“ კრიმინოლოგიის კრიტიკა, რომლისთვი-საც განსაკუთრებით პრობლემატური იყო ინტელექტუალური სექსიზმი ქალთა კრიმინალში და ინსტიტუციური სექსიზმი არასრულწლოვანთა სამართალსა და სისხლის სამართლის სისტემაში“ (Daly and Chesney-Lind, 1988:508).

ბერტრანდი (Bertrand 1967), ჰეიდენსონი (Heidensohn 1968) და კლაინი (Klein, 1973) პირველები იყვნენ იმ ფემინისტებს შორის, რომლებაც ყურადღება მიაპყრეს დანაშაულის კვლევაში ქალთა უგულებელ-ყოფასა და ამავე კვლევებში სტერეოტიპულ დამახინჯებებს. შედარებით ტრადიციული მიმართულების ქალი კრიმინოლოგი, ბარბარა ვუტონი (Wootton, 1959), პირველი იყო, ვინც 1950 იანი წლებში მსგავსი დაკვირვება გააკეთა. თუმცა, ნაშრომი, რომელმაც ფართო აღიარება მოიპოვა ქეროლ სმარტს ეკუთვნოდა („ქალები, დანაშაული და კრიმინოლოგია). წიგნში ავტორი ხაზს უსვამს ტრადიციული კრიმინოლოგიის მარცხს ქალებთან დაკავშირებული სტერეოტიპების გამოაშკარავებაში იმ კვლევებში, რომლებიც მოიცავდა მათ შორის ქალთა კრიმინალის საკითხებსაც.

ადრეული ფემინისტები აკრიტიკებდნენ ტრადიციულ კრიმინოლოგიას, რომლის თანახმადაც ქალებს საკუთარი ბიოლოგიური თავისებურებები აკონტროლებდათ და შესაბამისად, მათ რაციონალური მოქმედების უნარი არ გააჩნდათ. იმ დროს, როდესაც კრიმინოლოგიური სამყაროს უდიდესი ნაწილი დისტანცირდა დანაშაულის წინასწარ განსაზღვრული აქტორის ბიოლოგიური მახასიათებლების ესოდენ მონური აღქმისგან, ქალთა დანაშაული თითქოს კვლავაც ამ განვითარების მიღმა დარჩა (Heidensohn, 1994). ამასთანავე, როგორც დოუნსი და როკი (Downes and Rock, 1998: 274:5) შენიშნავენ, „ქალთა დანაშაულის მიმართ არსებული დამოკიდებულებები და პოლიტიკა ასახვას ჰპოვებს დეტერმინიზმში და მეტისმეტ მნიშვნელობას ანიჭებს „სექსუალურ დევიაციას“, როგორც კვლევის ფოკუსს“. ადრეული ფემინისტები ხაზს უსვამდნენ ამ არასასურველ შედეგებს და მათ ტრადიციული კრიმინოლოგიის თეორეტიკოსების მიერ შერჩეული მიდგომის პირდაპირ შედეგად განიხილავდნენ. იქნებოდა ეს

ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, კონტროლის, განსხვავებული ასოციაციების, სოციალური უწესრიგობის თუ სოციალური სწავლების თეორიები, თითოეული მხოლოდ მამაკაცთა დანაშაულის ასახსნელად იყო შექმნილი და მოსახლეობის მხოლოდ მამრობით ნაწილზე გადიოდა გამოცდას (Einstadter and Henry, 1995). აღიარებულია, რომ ამ თეორიების ზოგიერთი ელემენტი გამოსადეგია, თუმცა არცერთი მათგანი არც სათითაოდ და არც ერთად ვერ ხსნის ქალთა კრიმინალსა ან კრიმინალურ ქმედებაში ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებულ განსხვავებებს (Leonard, 1983).

ზოგიერთი ფემინისტი არ ეთანხმება ტრადიციული კრიმინოლოგიური თეორიების ამ ზოგად კრიტიკულ შეფასებას. ალისონ მორისის (Morris, 1987) აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თეორიები ცალსახად ცდებიან, დანაშაულის ტრადიციულ სოციოლოგიურ ახსნებს მაინც აქვთ შესაძლებლობა ახსნან ქალთა დანაშაული და ის, თუ რატომ ჩამოუვარდება ქალთა კრიმინალის სტატისტიკა მამაკაცების მიერ ჩადენილი დანაშაულების მაჩვენებელს.

„ქალთა დანაშაულის ამხსნელი კონკრეტული თეორიები დიდი წარმატებით არ სარგებლობს... რის გამოც გვიწევს ქალებთან მიმართებით ზოგადი კრიმინოლოგიური თეორიების შესაბამისობას გადავხედოთ. არანაირი მიზეზი არ არსებობს ვივარაუდოთ, რომ ქალთა დანაშაულის ამხსნელი თეორიები არსებითად განსხვავებული უნდა იყოს მამაკაცების მიერ ჩადენილი დანაშაულების ამხსნელი თეორიებისგან, თუმცა გენდერმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ ახსნების ჩამოყალიბებაში… არაერთი კრიმინოლოგიური თეორია არსებობს, თუმცა, თავდაპირველად, არცერთი მათგანი არ ჩამოყალიბებულა ქალებისთვის, შესაბამისად, მათ არავითარი წვლილი არ შეაქვთ ქალთა დანაშაულის ახსნაშიც“ (Morris, 1987:75).

მორისი ანომიის, დიფერენცირებული ასოცირებისა და სოციალური კავშირების თეორიებს რელავენტურად მიიჩნევს და ასკვნის, რომ „შესაძლებლობების განსხვავებული სტრუქტურა, ასოციაციები, სოციალიზაცია და სოციალური კავშირები გვეხმარება როგორც კაცის, ისე ქალის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაგებაში და ამავდროულად მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებებს შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებაც შეუძლია“ (Morris, 1987:76)

დღემდე არ არსებობს დამნაშავეობრივი ქცევის კარგად ჩამოყალიბებული, ექსკლუზიურად ფემინისტური ახსნა, რომელიც გენდერული თანაფარდობისა და განზოგადების შეკითხვებს უპასუხებდა. ფემინისტი თეორეტიკოსები ასეთი თეორიის ჩამოყალიბების ამოცანას სხვაგვარად მიუდგნენ, ყურადღება გაამახვილეს გენდერისა და სქესობრივი როლების იმ განზომილებებზე , რომლებიც, მათი რწმენით, სხვა თეორეტიკოსებმა უგულებელყვეს ან ვერ გაიგეს. მათ შორის იგულისხმება არამხოლოდ სქესობრივ როლებთან დაკავშირებული მოლოდინები, არამედ ფუძემდებლური პატრიარქალური სტრუქტურების მნიშვნელობაც, რომელიც საზოგადოების ყველა სფეროში აღწევს. როგორც ჩესნი-ლინდმა შენიშნა (Chesney-Lind, 1989:19)

„სულ უფრო ცხადი ხდება, რომ პატრიარქალურ საზოგადოებაში გენდერული სტრატიფიკაცია ისეთივე ძლევამოსილი სისტემაა, როგორც კლასი. ფემინისტური მიდგომა გულისხმობს ქალთა ქცევის იმ ახსნების ჩამოყალიბებას, რომლებიც განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩევიან პატრიარქა-ლური კონტექსტის მიმართ. ამავდროულად, დანაშაულის ფემინისტური ანალიზი შეისწავლის იმ მეთოდებს, რომლებითაც სოციალური კონტროლის აგენტები მოქმედებენ, მამაკაცების საზოგადოებაში ქალთა ადგილის გაძლიერების მიზნით“.

ფემინისტურმა კრიტიკამ ჩვენი ყურადღება მამაკაცების მიერ ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე გადაიტანა, განსაკუთრებით კი გაუპატიურებასა და ოჯახურ ძალადობაზე. პირველ შემთხვევაში ფემინისტები ანონიმურობის უზრუნველყოფასა და ქალების დაცვას მოითხოვდნენ სასამართლო პროცესებზე. შეგვიძლია ადლერს (Adler, 1982) დავეთანხმოთ და ვთქვათ, რომ ზოგიერთი ქალი მართლაც დაცული იყო პოლიციის განყოფილებებში, სადაც გაუპატიურების შემთხვევებისთვის სპეციალურად განკუთვნილი სივრცეები გამოყვეს გაუპატიურების მსხვერპლი ქალებისთვის. ამ ცვლილებებმა ხელი შეუწყო გაუპატიურების შემთხვევების შესახებ პოლიციის ინფორმირებას, თუმცა გაუპატიურების შემთხვევების რეალური რიცხვი მაინც ბევრად აღემატება განცხადებული შემთხვევების რიცხვს (Jones, Newburn, and Smith, 1994). ოჯახური ძალადობის შემთხვევაში საკითხს სისხლის სამართლის სისტემა ბევრად უფრო სერიოზულად უდგება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ქალებისა და ბავშვების დაცვის მიზნით განსაკუთრებული სამართლებრივი ზომებია მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ კანონმდებლობის მოცემული ნაწილი მხოლოდ აუარესებს ვითარებას, ვინაიდან კანონმდებლობა ნაკლები სერიოზულობით ეკიდება მსგავსი ტიპის დანაშაულებს, მაგალითად ქუჩის კრიმინალთან შედარებითაც კი. მეორე, წარსულთან შედარებით, ახლა ბევრად მეტი სერიოზულობით ეკიდებიან მსგავსი ტიპის დანაშაულებს, რამაც დანაშაულის შეტყობინების მაჩვენებელზეც იმოქმედა, თუმცა მსგავსი ტიპის დანაშაულის შეტყობინების სტატისტიკა ჯერჯერობით რეალურ მაჩვენებელთან შედარებით კვლავაც მცირეა (იხ. Hanmer and Saunders, 1984; Dobash and Dobash, 1992).

ქალთა კრიმინალური გამოცდილებების ცალკეულმა კვლებმა სამმაგი ეფექტი მოახდინა. პირველი, ქალთა დამნაშავეობრივი ქცევის განსხვავებული ახსნები განვითარდა. მეორე, დამნაშავეობრივი ქმედების ანალიზი გენდერული პრიზმიდან მოხდა და შესაბამისად, მამაკაცების მიერ ჩადენილი დანაშაულებიც სწორედ მოცემული პრიზმიდან აიხსნა. შეგვიძლია ისიც შევნიშნოთ, რომ მამაკაცებიც გარკვეულწილად გენდერული სტერეოტიპების მსხვერპლი აღმოჩნდნენ დანაშაულისა და დამნაშავეობ-რივი ქცევის ახსნისას, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ. მესამე, ქალების განსხვავებულმა დამნაშავეობ-რივმა გამოცდილებებმა და სისხლის სამართლის სისტემაში მათმა ვიქტიმიზაციამ აღიარება ჰპოვა, კონკრეტულად კი, ფემინისტმა კრიმინოლოგებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს მემარცხენე რეალიზმის განვითარებაზე, კერძოდ, მსხვერპლის კვლევების (victim studies) გამოყენებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ინფორმაციის გამოყენება ფემინისტებისთვის ყოველთვის მისაღები არ იყო (იხ.Schwatz and DeKeseredy, 1991; Carlen, 1992). დოუნსი და როკი (Downes and Rock, 1998) განასხავავებენ სამ სპეციფიურ სფეროს, სადაც ფემინისტურმა პერსპექტივამ ხელი შეუწყო თეორიული კრიმინოლოგიის განვითარებას: (i) დებატები „ქალთა ემანსიპაციისა“ და დანაშაულის ურთიერთმიმართებაზე (ii) „შემწყნარებლობის ჰიპოთეზის“ გაბათილება; და (iii) გენდერული საფუძვლების მქონე თეორიების წარმოქმნა.

დებატები - „ქალთა ემანსიპაციას დანაშაულამდე მივყავართ“.

ფრედა ადლერმა (Adler 1975) და რიტა საიმონმა (Simon, 1975) ყურადღება გაამახვილეს მზარდ ინტერესზე, რომელიც ქალთა კრიმინალის მიმართ გაჩნდა 1960-იანი წლების მიწურულსა და 1970-იანი წლების დასაწყისში. ამასთანავე, შენიშნეს ის მზარდი აგრესიაც, რომლითაც გაჯერებული იყო ქალთა დანაშაული. ორივე მათგანი ამტკიცებდა, რომ ყოველივე ეს ქალთა გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმოქმნით აიხსნებოდა.

ადლერი (Adler 1975) ამტკიცებდა, რომ რეალურად უმნიშვნელო განსხვავებები არსებობს ქალებისა და მამაკაცების კრიმინალურ მიდრეკილებებს შორის და რომ კრიმინალურ ქმედებებში ჩართულობა შესაძლოა, სქესობრივ როლებს შორის არსებული განსხვავებებით აიხსნას. კანონიერ სფეროში ქალთა სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ცვლილებები კავშირშია არაკანონიერ სამყაროსთან, რომელმაც ძარცვასა და ძალადობაში ქალთა მონაწილეობა განაპირობა, მაშინ, როდესაც ეს დანაშაულები ადრე მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცებთან ასოცირდებოდა.

საიმონი (Simon, 1975) ამტკიცებდა, რომ ქალთა ემანსიპაციამ ქალთა მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობებიც გააფართოვა, კერძოდ, ფინანსებთან და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დანაშაულების მიმართულებით. საიმონი ადლერს ორ მნიშვნელოვან საკითხზე არ ეთანხმება: 1. ის ამტკიცებს, რომ ემანსიპაცია ქალებს ძალადობისკენ ნაკლებად მიდრეკილს გახდის, ვინაიდან ვიქტიმიზაციასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ფრუსტრაცია მცირდება როგორც შინ, ისე გარეთ; და 2. ნაცვლად იმის მტკიცებისა, რომ ქალები კაცებს ეჯიბრებიან დამნაშავედ გადაქცევაში, საიმონი ამბობს, რომ დანაშაულის მაჩვენებლის ზრდა კრიმინალის ჩადენის გაზრდილი შესაძლებ-ლობებითაა გამოწვეული, რაც, თავის მხრივ, გათავისუფლებამ მოიტანა.

მათ შორის არსებული განსხვავებისდა მიუხედავად, ადლერიც და საიმონიც ამტკიცებდნენ, რომ გათავისუფლება და ემანსიპაცია დანაშაულს იწვევს. ბოქსი და ჰეილი (Box and Hale 1983) ზუსტად აჯამებენ იმ მრავალფეროვან კრიტიკას, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს და შენიშნავენ, რომ ქალთა დანაშაულის ზრდა და ემანსიპაცია მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული დამთხვევაა. ამასთანავე, გამოვლინდა, რომ მამაკაცების მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულის მაჩვენებელი ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულთან შედარებით უფრო სწრაფი ზრდის ტენდენციით ხასიათ-დებოდა (Mukjurkee and Fitzgerald, 1981) და ამგვარად, „ახალი მოძალადე“ ქალი მხოლოდ მითი იყო (Box 1983). უოქლეითი (Walklate, 1995) ასკვნის, რომ კაცები და ქალების მსგავსი ტიპის დანაშაულებს სჩადიან, თუმცა ქალთა კრიმინალის მაჩვენებელი ბევრად დაბალია, ისევე, როგორც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. ჰეიდენსონი (Heidensohn, 2000/1) შენიშნავს, რომ ძირითადად, ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულები ქურდობას, მოპარული საქონლის გასაღებასა ან ნარკოდანაშაულს უკავშირდება, ძალადობრივი ელემენტების ნაკლები ჩართულობით. გრემის და ბოულინგის (Graham and Bowling, 1995) მიხედვით, ქალთა დანაშაული პიკურ მაჩვენებელს 13-დან 14-წლამდე ასაკობრივ ჯგუფში აღწევს, მამაკაცებთან შედარებით ბევრად უფრო ადრეულ ასაკში. ისიც შეგვიძლია შევნიშნოთ რომ მოცემული დაკვირვებებიდან არცერთი უარყოფს ადლერისა და საიმონის დაშვებებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, გოგონათა და ახალგაზრდა ქალების არაფორმალური სოციალური კონტრო-ლის შესუსტებამ ახალი შესაძლებლობები წარმოშვა მათთვის დაუფიქრებელ კრიმინალურ აქტივობებში ჩასაბმელად, თუმცა პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ქალთა ემანსიპაციასა და დანაშაულს შორის, დიდი ალბათობით, არასდროს არსებობდა.

„შემწყნარებლობის ჰიპოთეზის“ გაბათილება.

„შემწყნარებლობის ჰიპოთეზა“ პირველად პოლაკმა ჩამოაყალიბა (Pollak, 1950), რის შემდეგაც მრავალი ფემინისტური ნაშრომი მიუძღვნეს იმის გამოკვლევას, თუ როგორ ეპყრობა ქალებს სისხლის სამართლის სისტემა, ძირითადად, იმის აღმოსაჩენად, ე.წ „რაინდული“ პრინციპებიდან გამომდინარე, მეტ შემწყნარებლობას თუ იჩენდნენ ქალების მიმართ. მაგალითისთვის, ფარინგტონმა და მორისმა

(Farrington and Morris, 1983) აღმოაჩინეს, რომ სასამართლოს შემწყნარებლობა ქალების მიმართ იმით იყო განპირობებული, რომ მათ კანონდარღვევების ვრცელი ისტორია არ გააჩნდათ. თუმცა, კარლენმა (Carlen, 1983) შოტლანდიის მაგალითზე სრულიად განსხვავებული მიგნება გააკეთა. შოტლანდიელი შერიფები უფრო მეტი მონდომებით ამართლებდნენ ქალ დამნაშევათა დაპატიმრებას, რომლებსაც ისინი არშემდგარ დედებად მოიაზრებდნენ. დოუნსისა და როკის (Downes and Rock, 1998:285-6) თანახმად, „ქალები მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად დაცული და ამავდროულად, უფრო ძლიერი კონტროლის ობიექტები არიან“.

გენდერზე დამყარებული თეორიების წარმოშობა

ქალთა კრიმინალის ანალიზის პროცესში ზოგიერთმა მკვლევარმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა თავდაპირველად ჰირშის (Hirschi, 1969) მიერ შემოთავაზებულ „კონტროლის თეორიაში“. ჰეიენსონი (Heidensohn, 1985) ამტკიცებს, რომ კრიმინალ ქალთა მცირე რიცხვი განპირობებულია ფორმალური და არაფორმალური კონტროლით, რომელიც მათ მამაკაცების მიერ დომინირებულ საზოგადოებაში შეზღუდვებს უწესებს. ჰეიდენსონის აზრით, გენდერული უთანასწორობისა და საოჯახო როლების მეშვეობით ქალების კონტროლის უკეთესი აღქმისთვის მნიშვნელოვანია, მხედველობაში მივიღოთ ის პრაქტიკული და იდეოლოგიური შეზღუდვები, რომელსაც საოჯახო ცხოვრება უწესებს ქალებს. სწორედ ეს პოლიტიკა და პრაქტიკები ზღუდავენ ქალთა თანამონაწილეობას გარე აქტივობებში და უბიძგებენ მათ, დაუბრუნდნენ ოჯახებს, სადაც ისინი უფრო ძლიერი კონტროლის ობიექტები გახდებიან. ჰეიდენსონი შენიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც ქალებს პასუხისმგებლობას აკისრებენ ოჯახისა და თემის წევრების ქცევის გამო, ისინი მამაკაცთა ძალაუფლების აგენტების როლს ასრულებენ და ამასთანავე, კონტროლის ფუნქციასაც ითავსებენ; დედებისგანაც ხომ გვსმენია შვილების მისამართით გაჟღერებული მუქარა: „მოიცადე, მამაშენი მოვა სახლში“.

ჰეიდენსონი შენიშნავს, რომ ქალები მამაკაცების სახელით კონტროლის აგენტების ფუნქციას ასრულებენ, თუმცა ამავდროულად, თავადაც კონტროლის ობიექტები არიან, როგორც შინ, ისე გარეთ. შრომის სქესობრივი გადანაწილება საჯარო და კერძო სფეროების გამოცალკევებას უკავშირდება, რომელთაგან პირველი მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი. მეტიც, განკერძოება, რომლითაც საოჯახო ცხოვრება ხასიათდება ხელს უწყობს ქალთა საშინაო ჩაგვრასა და უფრო მოწყვლადს ხდის მათ განმარტოებასა და სხვა შესაძლო შედეგების მიმართ. საკუთარი თავისა და როლების ალტერნატიული განსაზღვრებების სიმწირის გამო, როგორც წესი, ქალები ქმრების ზეგავლენის ქვეშ ექცევიან. მამაკაცთა დომინირებამ შესაძლოა, საფუძველი შეურყიოს ქალთა თავდაჯერებულობასა და თვითშეფასებას, რამაც შეიძლება, ღია ძალადობამდე და სხეულის დაზიანებამდეც მიიყვანოს ისინი (Dobash and Dobash, 1980). ცოლები, რომლებიც სახლს არიან მიჯაჭვული, ხშირად, ნევროზისა და დეპრესიის მსხვერპლი ხდებიან (Brown and Harris, 1978). ხშირ შემთხვევაში, ანაზღაურებადი სამუშაო ქალებისთვის ნიშნავს მამაკაცთა ძალაუფლებისადმი და მათი ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებას. ჰეიდენსონი ამტკიცებს, რომ ქალთა სოციალიზაცია და არსებობის პირობები თავადვე აკონტროლებს ქალებს. კრიმინალის ის სივრცე, სადაც ქალები არიან ჩართული მამაკაცების მიერ არის კონტროლირებული. ამიტომაცაა, რომ ასე ცოტა ქალი მიმართავს კრიმინალს. კრიმინალის სფერო, რომელშიც ქალები არიან ჩართული და ამავე დროს კაცების მიერ კონტროლირებული - მიუხედავად იმისა, რომ ზოგი არ ეთანხმება ამ უკანასკნელ აზრს, პროსტიტუციაა და ფემინიზმიც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა იმ მოსაზრებას, რომ პროსტიტუცია უმსხვერპლო დანაშაულია.

სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური მიდგომის გავლენიანი მიმდევარი კინგსლი დევისი (Davis, 1961) ტრადიციული, მამაკაცებზე ორიენტირებული პერსპექტივიდან მსჯელობს. მისი მოსაზრებით, პროსტიტუცია საზოგადოების სტრუქტურული საჭიროებაა, რომლის არსებობაც გარდაუვალი იქნება მანამ, სანამ სექსუალური ჩაგვრა საზოგადოების ფუნქციონირების არსებით ელემენტად დარჩება. ლიბერალი ფემინისტები სრულად არ ეწინააღმდეგებიან ამ ტრადიციულ პერსპექტივას და შენიშნავენ, რომ პროსტიტუცია ქალებს არჩევნის შესაძლებლობას აძლევს და ხშირ შემთხვევაში „გამათავისუფლებელ“ ფუნქციასაც იძენს (ეკონომიკური თუ სექსუალური თვალსაზრისით). სექსუალურ მუშაკსა და მის დამქირავებელს შორის დადებული შეთანხმება ორ ზრდასრულს შორის კონსესუალურ ურთიერთობად განიხილება. ზოგიერთი ავტორი გამოკვეთს იმ ფაქტსაც, რომ მრავალი ქალი სუტინიორებისგან დამოუკიდებლად მუშაობს. ნებისმიერი სახის ძალადობა და ჩაგვრა, რომელსაც ისინი განიცდიან რეგულირების არსებული სამართლებრივი სისტემით არის გამძაფრებული, რომელიც სექსუალური მუშაკის სტიგმატიზებას, მარგინალიზებასა და კრიმინალიზებას ემსახურება. ამგვარად, ლიბერალი ფემინისტები პროსტიტუციას კერძო გარიგებად მოიაზრებენ. რადიკალური ფემინისტები სექსუალურ მუშაკს იმ ინდივიდად განიხილავენ, რომელიც სავაჭრო საქონლად არის გადაქცეული, მაშინ, როდესაც ლიბერალი ფემინისტები მიიჩნევენ, რომ ქალი თავისუფალია საკუთარ არჩევანში, სურვილისამებრ მიიღოს ან უარყოს შეთანხმება. რადიკალურ ფემინისტებს არ სწამთ იმის, რომ სექსუალური მუშაკი შესაძლოა, ყოველგვარი იძულებისგან დაცლილი თავისუფალი ნებით, საკუთარი სურვილით უერთდებოდეს ამ „შეთანხმებას“ და ამტკიცებენ, რომ პროსტიტუცია ექსპლუატაციური ურთიერთობაა, რომელშიც მომხმარებელი მხოლოდ და მხოლოდ სექსუალური მუშაკის მომსახურებითაა დაინტერესებული და არ აწუხებს მისი პირადი კეთილდღეობა. თუმცა, ლიბერალები ამ შენიშვნას შემხვედრი არგუმენტით პასუხობენ - ექიმის, იურისტის, მექანიკოსის ან რომელიმე სხვა სპეციალისტის ძიებისას არავინ არის დაინტერესებული უშუალოდ პიროვნებით, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობას ეწევა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ გაწეული მომსახურებით (Weisberg, 1996).

ლიბერალ ფემინისტებს სჯერათ, რომ „პირადი უფლებები სოციალური სიკეთის საკითხებზე უნდა დომინირებდეს“. ამ პოლიტიკური ხედვის საფუძველი ჯონ სტიუარტ მილის უტალიტარიანიზმშია, რომლის მოსაზრებითაც მთავრობა არ უნდა ჩაერიოს თავისი მოქალაქეების კერძო საქმეებში (Weisberg, 1996). ლიბერალი ფემინისტების მიერ გამოვლენილ ჩაგვრებში ყურადღება ძირითადად გენდერული როლების მიერ გაძლიერებულ უსამართლობაზე მახვილდება, რომელიც ქალებისგან განსხვავებით, ხელსაყრელ პირობებს უქმნის მამაკაცებს. თუმცა, ესეც კი არ ნიშნავს ბოლომდე იმას, რომ პროსტიტუცია თითოეული მათგანისთვის მორალური თვალსაზრისით მისაღებია.

მარქსისტი ფემინისტები სიღარიბეს ქალთა პროსტიტუციაში ჩაბმის მთავარ მიზეზად განიხილავენ. კაპიტალიზმის პირობებში და ქორწინების ინსტიტუტის ფარგლებში უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე პროსტიტუციას ქალებისთვის რაციონალურ არჩევნად გადააქცევს (იხ. Bonger, 1916). პროსტიტუციას მარქსისტი ფემინისტები შრომის კორუმპირებულ ფორმად განიხილავენ. თავად მარქსი მიიჩნევდა, რომ „პროსტიტუცია მშრომელის ზოგადი პროსტიტუციის სპეციფიური გამოხატულებაა“ (ციტატა, Pateman, 1995). ამგვარად ყველა იმ მანკიერების ერთგვარ სიმბოლოსაც წარმოადგენს, რომლითაც კაპიტალიზმია შეპყრობილი. სექსუალურმა მუშაკებმა შესაძლოა იფიქრონ, რომ თავისუფალნი არიან, რაციონალური არჩევანი გააკეთონ, თუმცა, რეალურად, ჩაგრულ მუშებს წარმოადგენენ, რომლებიც

აძლი-ერებენ და განამტკიცებენ ექსპლუატაციურ კაპიტალისტურ სქემას. გასაკვირია, თუმცა ქეროლ პეიტმანი (Pateman, 1995:191) ლიბერალ ფემინისტებს ეთანხმება და მიიჩნევს, რომ სექსუალური მუშაკები ანაზღაურებადი მუშები კი არა, დამოუკიდებელი კონტრაქტორები არიან.

მარქსისტები და მარქსისტი ფემინისტები კაპიტალისტური სისტემის პირობებში ცხოვრების მორალური ღირებულებების დაკნინებაზე მიუთითებენ, ხოლო ადამიანებს ეკონომიკური მანქანის უბრალო ჭანჭიკებად განიხილავენ. მეტიც, ზოგიერთი ფემინისტის ნაშრომებში მიმდინარეობს მსჯელობა ფემინიზმისა და პროსტიტუციის ურთიერთმიმართებაზე, თუმცა ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფილია სექსუალური მუშაკების პიროვნული თვისებები თუ მორალური ღირებულებები, პროსტიტუციაში მათ ჩართულობას კი წმინდად მექანიკურად განიხილავენ (Bromberg, 1997).

რადიკალური ფემინისტები ამტკიცებენ, რომ პროსტიტუცია პატრიარქალური საზოგადოებისა და სქესებს შორის უთანასწორო ძალაუფლებითი ურთიერთობების პროდუქტია. ამგვარად, პატრიარქალურ საზოგადოებაში, სადაც მამაკაცები პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან, ქალებს ექსპლუატაციას სუტინიორები, კლიენტები და ზოგჯერ ოფიციალური ორგანოებიც კი უწევენ, მაგალითად ისეთები, როგორიცაა პოლიცია. პროსტიტუცია კაცების მიერ ქალების სექსუალური და ეკონომიკური ჩაგვრისა თუ ექსპლუატაციის სამხილია. ედვარდსი (Edwards, 1993:11) შენიშნავს, რომ „რადიკალური ფემინიზმის ფოკუსი ამოყირავდა, სექსუალური მუშაკების სექსუალობის საკითხი უყურადღებოდ დარჩა, ვინაიდან ფემინისტების ინტერესი მამაკაცთა ფსიქოლოგიისა და სექსუალობის საკითხებზე გადაერთო“.

რადიკალური ფემინისტები პროსტიტუციას ქალთა განსაგნების, დაქვემდებარებისა და ექსპლუატაციის განმამტკიცებელ და გამაძლიერებელ დანაშაულად განიხილავენ და არა კერძო, უმსხვერპლო, უვნებელ გარიგებად (Weisberg,1996). მამაკაცები თავისი სექსუალობის შესახებ ორი მითით არიან შეპყრობილი. პირველი მითის თანახმად, მამაკაცებს ქალებზე მეტი სექსი ესაჭიროებათ, ხოლო მეორე მითის თანახმად, ისინი გენეტიკურად უფრო ძლიერ სქესს წარმოადგენენ და შესაბამისად, ქალებთან ურთიერთობებში დომინანტურები უნდა იყვნენ (Jaggar, 1980) მამაკაცებს სჯერათ, რომ იძულებულნი არიან, საკუთარ სქესობრივ მოთხოვნილებებს უპასუხონ, რაც თავის მხრივ, რწმენის თვითდამამოწმებელ ტავტოლოგიას წარმოქმნის, თითქოს მამაკაცების აგრესიული ქცევა მათ თანდაყოლილ თვისებებთან იყოს დაკავშირებული. რადიკალური ფემინისტები არ ეთანხმებიან ამ მამაკაცურ მითოლოგიას და მიიჩნევენ, რომ მამაკაცთა სექსუალობა ნაწილობრივ კულტურიდან იღებს სათავეს და ექსკლუზიურად ბიოლოგიური საფუძვლები არ გააჩნია. პროსტიტუცია და პორნოგრაფია მხოლოდ განამტკიცებს მამაკაცების რწმენას საკუთარი სექსუალობის აღმატებულებაში, რის შედეგადაც სქესის „დომინან-ტურობა“ მათ ცნობიერებაში სულ უფრო რეალისტურ ელფერს იძენს. ამ მხრივ, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის გავლენები საზიანოა, ვინაიდან აძლიერებს და განამტკიცებს ბოროტ ფანტაზიას სუსტი და მორჩილი ქალის შესახებ. უაიზბერგი (Weisberg, 1996:71) შენიშნავს, რომ :

„რადიკალური ფემინისტების თვალთახედვით, მამაკაცები იმგვარად სოციალიზდებიან, რომ სექსუა-ლური სურვილები გააჩნდეთ და მიიჩნევდნენ, რომ ამ სურვილების დაკმაყოფილების უფლება აქვთ, ხოლო ქალები უნდა აკმაყოფილებდნენ მათ მოთხოვნილებებს და ითავისებდნენ ფემინურობისა და სექსუალურ ობიექტებად აღქმის მიღებულ განსაზღვრებებს“.

მამაკაცები იმ იდეას ებღაუჭებიან, რომ მათი სექსუალობა მათივე საჭიროებებისა და დომინანტურობის აბსოლუტური გამოხატულებაა და ამგვარად, ხელს უშლიან ქალების თვით-რეალიზაციასა და ახალ ქცევით გამოცდილებებს (Bromberg, 1997).

1.3.4 კრიტიკული კრიმინოლოგია

კრიტიკული კრიმინოლოგიის მრავალი ვარიაცია არსებობს, თუმცა ყველა მათგანში დანაშაული განხილულია ჩაგვრის ცნების პერსპექტივიდან. მიიჩნევა, რომ საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფი - მუშათა კლასი (კერძოდ კი უფრო ღარიბი ფენები), ქალები (განსაკუთრებით ღარიბი ქალები, მარტოხელა მშობლები ან სოციალურად იზოლირებული ადამიანები) და ეთნიკური უმცირესობები - უფრო მოწყვლადები არიან კლასობრივ დაყოფაზე, სექსიზმსა და რასიზმზე დამყარებული მჩაგვრელი სოციალური ურთიერთობების წინაშე.

კრიტიკული კრიმინოლოგები ყურადღებას ამახვილებენ როგორც ძალაუფლების მქონეთა, ასევე შედარებით სუსტების დანაშაულებზე. მიიჩნევა, რომ დანაშაული ვრცელ პოლიტეკონომიურ პროცესებს უკავშირდება, რომელიც ორივე ჯგუფზე სხვადასხვაგვარ ზეგავლენას ახდენს. ძალაუფლების მქონეებისთვის, გლობალური კაპიტალიზმის პირობებში, ზეწოლები სახელმწიფო და კორპორატიული ინტერესების დაცვასა და შენარჩუნებასთან ასოცირდება. ნაკლებად ძლიერების შემთხვევაში, კრიმინალური ქცევა მარგინალიზაციისა და წამყვანი ინსტიტუტებიდან გამორიყვის ჭრილში განიხილება, რასაც თან სდევს სახელმწიფოს მხრიდან მათი ქმედებების კრიმინალიზება და კრიმინალთან რასობრივ ჭრილში ბრძოლა, სადაც მედია თუ პოლიცია „დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“ სამიზნეებად, გარდაუვლად, ეთნიკურ უმცირესობებს ირჩევენ. მოკლედ რომ ვთქვათ, კრიტიკული კრიმინოლოგიის თეორეტიკოსები დამნაშავეობრივ ქცევას სოციალურ კონტექსტს უკავშირებენ, რაც სტრუქტურულად განისაზღვრება სოციალური რესურსების ზოგადი განაწილებითა და მოქალაქეების ცხოვრებაში პოლიციის ჩარევის სპეციფიური ხასიათით.

კრიტიკული კრიმინოლოგიის საფუძვლები.

1960-იანი წლების მიწურულიდან, გაერთიანებულ სამეფოში მრავალმა რადიკალურმა კრიმინოლოგმა დაიწყო მუშათა კლასის იდეალისტური ხედვის განვითარება, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა მიეღოთ და მიეტევებინათ მუშათა კლასის წარმომადგენლებისთვის მათ მიერ ჩადენილი დევიაციური ქმედებები. ამტკიცებდნენ, რომ დამნაშავეები დაუდევრად კი არ პასუხობდნენ სტიმულებს, როგორც ამას წინასწარ განსაზღვრული დამნაშავეობრივი ქცევის დომინანტური მოდელი გვკარნახობს, არამედ ერთვებოდნენ იმ ქმედებებში, რომლებსაც მნიშვნელოვნად მოიაზრებენ და რომლებიც საზოგადოების დომინანტური ჯგუფების მიერ კრიმინალად არის შერაცხული. სტენ კოენი (Cohen, 1980:1) ამტკიცებდა, რომ „ამჟამინდელი სტრუქტურის მქონე საზოგადოება მომავალშიც გააგრძელებს პრობლემების წარმოქმნას საკუთარი წევრებისთვის, მაგალითად, მუშათა კლასისთვის და მათ მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ გამოსავალს დაგმობს“.

ეთნოგრაფიული დაკვირვების ტრადიციაში მოქმედმა იარლიყის მიწებებისა და დევიაციური სუბკულტურის თეორიულმა პერსპექტივებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს „ახალ იდეალიზმზე“. ე.წ დევიანტ ახალგაზრდებთან რეალურმა, ყოველდღიურმა შეხებამ დაარწმუნა მკვლევრები, რომ ეს ახალგაზრდები უბრალოდ ისეთ აქტივობებში იყვნენ ჩართული, რომლებსაც დამნაშავეები კანონიერად მოიაზრებოდნენ, ხოლო სახელმწიფო კრძალავდა. ახალგაზრდების სტიგმატიზებისას კანონმდებლობა თითქოს სენსაციური და გაზვიადებული მედია აღწერების მიერ გამწვავებულ მორალურ პანიკას პასუხობდა. კოენი (Cohen, 1973) როკერების სტიგმატიზებაზე წერდა და შენიშნავდა, თუ რაოდენ გაზვიადებულად წარმოაჩენდა პრესა და ტელევიზია მათ ქცევას და მიყენებულ ზიანს. დღესდღეობით, კრიტიკულ კრიმინოლოგებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ მრავალფეროვანი ჯგუფები, მსუბუქი ნარკო-

ტიკის და ალკოჰოლის მომხარებლებით დაწყებული სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებული, თავ-შესაფრის მაძიებელი კლასით დამთავრებული, ყველა ე.წ „სახალხო ურჩხულებს“ წარმოადგენენ, რომლებიც ზედმეტად ენთუზიასტურად განწყობილი და ხისტი სისხლისსამართლებრივი დევნის სამიზნეები ხდებიან ხოლმე. ამგვარად, კრიტიკული კრიმინოლოგები ამტკიცებენ, რომ დანაშაულის მაჩვენებლები შორსაა საზოგადოებაში კრიმინალის რეალური დონისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ აღრიცხული მაჩვენებელი სინამდვილეში პოლიციის აქტივობის საზომს უფრო წარმოადგენს, ვიდრე დანაშაულის რეალური სტატისტიკის, რის გამოც ხშირად კონკრეტული ტიპის დანაშაულის მატებასთან დაკავშირებით მცდარი წარმოდგენები იქმნება ხოლმე. მაგალითისთვის, მაჩვენებლები, რომლებიც იმაზე მიუთითებენ, რომ ქუჩის ძარცვების გახშირებაზე პასუხისმგებელი შავკანიანი მოქალაქეები არიან სტერეოტიპული, რასისტული პოლიციის არსებობაზე უფრო მიანიშნებს, ვიდრე რეალობაზე (Hall et al., 1978).

1970-იან წლებში ორთოდოქსული კრიმინოლოგია, რომლის საფუძვლებიც წინასწარ განსაზღვრული ქცევის აქტორის მოდელშია, სანდოობისა და ეტიოლოგიის კრიზისულ ფაზას გადიოდა (Young, 1994). წინასწარ განსაზღვრული აქტორის მოდელმა ვერ მოახერხა დანაშაულის სტატისტიკის ახსნა, რომელიც მზარდ ტენდენციას ინარჩუნებდა საზოგადოებრივი კეთილდღეობის პირობებშიც კი. როგორც აქამდეც ვიხილეთ, კრიმინოლოგები შეუთავსებელ და ზოგჯერ უკიდურესად არაპრაქტიკულ გამოსავლებს გვთავაზობენ მუდმივად მზარდი დანაშაულის პრობლემასთან დაკავშირებით, რაიმე ხილული წარმატების გარეშე. სკეპტიკოსის დაკვირვებით კი ისიც ცხადი გახდებოდა, რომ აკადემიის თაროებზე კრიმინოლოგიური ლიტერატურა დანაშაულის ზრდის პროპორციულად მატულობდა. მართლაც, ერთ-ერთმა კრიმინოლოგმა აღნიშნა კიდეც, რომ „არაფერი მუშაობს“ (Martinson, 1974) და როგორც ჩანს, ეს გამოთქმა მონდომებით აიტაცა ბრიტანეთის Home Ofce-მა (შინაგან საქმეთა დეპარტამენტი; Mayhew et al.,1976) და ერთგვარ ახალ, ოფიციალურ დოგმად გადააქცია. ამ ახალ „ადმინისტრაციულ კრიმი-ნოლოგიას“) Young, 1994) უნდა დაესრულებინა დამნაშავეების შეცვლისა და გამოსწორებისკენ მიმარ-თული გრანდიოზული პროექტები, მთავარი აქცენტით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შემცი-რებაზე და იმ პირების დაკავებაზე, რომლებიც ამუამადაც სჩადიან დანაშაულს. ამგვარად, აკადემიურ კრიმინოლოგებს ახალი და „სასარგებლო“ როლი გამოუჩნდათ, ამიერიდან შეეძლოთ მცირემასშტა-ბიანი ვითარებითი დანაშაულის პრევენციის სტრატეგიების შედეგიანობა შეეფასებინათ. დანაშაულისა და დამნაშავეობრივი ქცევის ახსნა (და ამასთან დანაშაულის აღკვეთისთვის უჩვეულო და ძვირადღირებული წინადადებების შეთავაზება) უარყოფილ იქნა როგორც პრაქტიკულად გამოუსადეგარი აკადემიური სავარჯიშო, რომელიც საერთოდ არ იმსახურებდა რაიმე მხარდაჭერას.

„არაფერი მუშაობს“ არგუმენტი სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენდა პოლიტიკოსებს შორის, თუმცა კრიტიკულ კრიმინოლოგებს ეტიოლოგიურ კრიზისთან დაკავშირებით საკუთარი პასუხები გააჩნდათ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ პროცესებისა და ვითარების ანალიზი, რომლის ფარგლებშიც ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფებისთვის განსაზღვრული იარლიყების მიმაგრება ხდებოდა, მომდევნო განვი-თარებას ვერ ჰპოვებდა. მათი აზრით, მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებაში ძალაუფლების სტრუქტუ-რული ურთიერთობების გამოკვლევა და დანაშაულის სწორედ სოციალური ურთიერთობებისა და პოლიტეკონომიის კონტექსტში განხილვა (Scraton and Chadwick, 1996). ამგვარად, მარქსისტულ ტრადი-ციაში დიდძალი სამუშაო შესრულდა იმისათვის, რომ ერთი მხრივ დანაშაულის მიზეზობრივი საფუძ-ვლები შესწავლილიყო, ხოლო მეორე მხრივ, დომინანტ ინსტიტუციებსა და მმართველი კლასის ინტერე-სებს შორის არსებული კავშირი გამოვლენილიყო. მოცემული პერიოდისთვის შეინიშნებოდა დანა-შაულის რომანტიზების (როგორც ამბოხებისა და წინააღმდეგობის აქტის) ან პრობლემის მხოლოდ და

მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში განხილვის ტენდენცია. შედარებით გვიანი ნაშრომი სფეციფიური კონტექსტებისა და სისხლის სამართლის სისტემაში ჩართული ადამიანების პრაქტიკული გამოცდილებების უფრო დეტალურ კვლევას დაეთმო (Hall and Scraton, 1981).

რასიზმის, სექსიზმისა და მასკულინობის პრობლემები პრაქტიკულად იგნორირებული იყო მარქსისტული სკოლის მიერ მაშინ, როდესაც სპექტრის მეორე ბოლოს ძალაუფლების მქონეთა ქმედებებზე ფოკუსირების გაზრებული საჭიროება იკვეთებოდა, არამხოლოდ საზოგადოების მარგინალიზებული ნაწილის მიმართ, არამედ უფრო ზოგადი თვალსაზრისითაც. ამ უკანასკნელში ე.წ „თეთრი საყელოს“ დანაშაულები ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძლევამოსილთა დანაშაულები იგულისხმება.

ძალაუფლების მქონეთა დანაშაულები

როგორც მეექვსე თავში ვიხილეთ, ედვინ საზერლენდი (Sutherland, 1940) პირველი იყო, ვინც ტერმინი „თეთრი საყელოს დანაშაული“ გამოიყენა. მოცემული ტერმინი მან მაშინ გამოიყენა, როდესაც საზოგადოების პატივსაცემ ფენაზე დაიწყო თავდასხმა - რომელთა მსგავსადაც ნაკლებად ძლიერებს რომ ემოქმედათ, ეს უკანასკნელები კრიმინალებად შეირაცხებოდნენ. საზერლენდმა ძალაუფლების მქონეთა და არმქონეთა მიმართ უთანასწორო მოპყრობაზე მიუთითა. მისმა ნოვატორულმა ნაშრომმა მნიშვნელოვნად იმოქმედა ამ მიმართულებით კვლევებისა და ნაშრომების მატებაზე, კერძოდ, დიფერენცირებული ასოციაციის, ანომიისა და დევიანტური სუბკულტურის ტრადიციის მიმდევრებს შორის აშშ-სა და მსოფლიოში (Geis and Goff, 1983). ამგვარად, კრიტიკულმა კრიმინოლოგიამ გამოავლინა ეს ადრეული ტრადიცია და რაღაც მხრივ, დაეყრდნო კიდეც მას, თუმცა ამავდროულად, მყარად განამტკიცა ის გლობალური კაპიტალისტური საზოგადოების თანამედროვე კრიტიკის კონტექსტში.

შვარცმა (Swartz, 1975: 115) შენიშნა, რომ რადგან კაპიტალიზმი კორპორატიული მოგების მაქსიმიზაციას გულისხმობს, „მისი ნორმალური ფუნქციონირება...სიკვდილსა და ავადმყოფობას წარმოშობს“, ხოლო ბიზნეს დანაშაულის ჩადენა კაპიტალიზმის ღირებულებებსა და ლეგიტიმურ კორპორატიულ მიზნებს უკავშირდება. ანალოგიურად, მარსიც (Mars, 1982) შენიშნავს, რომ „მეწარმეობასა და ალღოს“ და ასევე „მაქინაციასა და თაღლითობას“ შორის მკრთალი საზღვარი არსებობს. მართლაც, მრავალი მსგავსი აქტივობა საყოველთაო გაკიცხვას ნაკლებად თუ იმსახურებს. მაგალითისთვის, ელექტრიკოსი, რომელიც საკუთარ მომსახურებას დამატებითი გადასახადით ტვირთავს, ქურდად კი არა, მეწარმედ მოიაზრება და მსგავს საქციელს ამართლებენ და განსხვავებენ კიდეც „ნამდვილი“ დამნაშავეების ქმედებებისგან კორპორაციებს შეუძლიათ კანონის გვერდის ავლის პრაქტიკას მისდიონ, რაც შესაძლოა გულისხმობდეს ქარხნების მშენებლობას ისეთ ქვეყნებში, სადაც გარემოს დაბინძურების კონტროლის მექანიზმები და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მიმართული მკაცრი კანონმდებლობა არ არსებობს, მაგალითისთვის, Union Carbide -ის ქარხანა ბჰოპალში (Pearce and Tombs, 1993). კანონის გვერდის ავლის მაგალითს წარმოადგენს ასევე ისეთი საქონლის გასაღება განვითარებადი სახელმწიფოების ბაზრებზე, რომელთა გაყიდვაც განვითარებულმა სახელმწიფოებმა საკუთარ ბაზარზე აკრძალეს (ბრაითუაითი, 1984). მსგავსი ქმედების მაგალითად შეგვიძლია დალკონ შილდის კონტრაცეფციული მოწყობილობის შემთხვევა მოვიყვანოთ, რომლებიც საზღვარგარეთ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იყიდებოდა, თუმცა საფრთხისშემცველად იყო გამოცხადებული აშშ-ში (Hagan, 1994). სხვა სიტყვებით, მულტინაციონალური კორპორაციები ზოგიერთ თავის პროდუქტს ასაღებენ, ან ისეთ სამეწარმეო საქმიანობას მისდევენ, რომელიც განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებში არალეგალურია (Box, 1987).

მსგავსი პრაქტიკები, დიდწილად, იმიტომ წარმოიშობა, რომ მიმღები სახელმწიფოები მულტინაციონალური კორპორაციების კაპიტალის ინვესტირებაზე არიან დამოკიდებული. მათ ნაკლები რესურსი გააჩნიათ მწარმოებლების გასაკონტროლებლად, ხოლო სამთავრობო პირების მოქრთამვა მსგავს სახელმწიფოებში ბევრად მარტივია (Braithwaite, 1984). შესაბამისად, კორპორაციებს საკუთარი არალეგალური პრაქტიკები საზღვრებს გარეთ გააქვთ, იქ, სადაც მოცემული პრაქტიკები ლეგალურია ან სულ მცირე, კანონები სრული სიმკაცრით არ აღსრულდება. გარდა ამისა, მულტინაციონალურ კორპორაციებს ხშირ შემთხვევაში საკმარისი რესურსი და პოლიტიკური გავლენები გააჩნიათ იმისათვის, რომ წაახალისონ ან პირიქით, შეაფერხონ კანონების აღსრულება. სინამდვილეში, მსოფლიოს მრავალი მულტინაციონალური კორპორაცია უფრო მდიდარია, ვიდრე ზოგიერთი განვითარებადი სახელმწიფო, სადაც მათ შვილობილი კომპანიები გააჩნიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ კორპორაციები უზარმაზარი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენებით სარგებლობენ ამ ქვეყნებში (Carson, 1980; Box, 1983). ბოქსი (Box, 1983) მისტიფიკაციის პროცესში შეღწევის აუცილებლობას შენიშნავს, რომელიც უკვდავყოფს მითს კორპორატიული დანაშაულის უწყინარობასთან დაკავშირებით და ამასთან, იცავს საზოგადოების იმ ძლევამოსილ სეგმენტს, რომელიც ამ დანაშაულებიდან იღებს სარგებელს. თავად ბოქსი საინტერესო ანგარიშს გვთავაზობს კორპორატიული დანაშაულის მომაკვდინებელი უნარების, ძარცვისა და ზიანების მიყენების რისკების შესახებ, ამასთან, ამტკიცებს, რომ კონკურენტული გარემო, რომელშიც სხვადასხვა ბიზნეს ჯგუფები აქტიურად მოქმედებენ, დასაქმებულებს კანონდარღვევისკენ უბიძგებს:

„დაწინაურების სისტემა მხოლოდ იმას არ გულისხმობს, რომ ადამიანები, ვინც მწვერვალისკენ მიემართებიან სწორედ იმ ნიშან-თვისებებს ატარებენ, რომლებიც კორპორატიული დანაშაულის ჩადენისთვისაა საჭირო. თავად წარმატებასაც სდევს თან გარკვეული ფსიქოლოგიური შედეგები, რომლებიც ამ ნიშან-თვისებებს აძლიერებს, ვინაიდან ისინი ათავისუფლებენ ადამიანს საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებებთან ბმისგან.“

(Box,1983:39)

მოკლედ რომ ვთქვათ, კრიტიკული კრიმინოლოგები ამტკიცებენ, რომ მუშათა კლასის დანაშაული უმნიშვნელოა იმ დანაშაულებთან შედარებით, რომელსაც საზოგადოების „ძლევამოსილი“ ნაწილი სჩადის და რომელიც, ხშირ შემთხვევაში, დაუსჯელი რჩება. კარტელური შეთანხმებები, გადასახადებისგან თავის არიდება, თეთრი საყელოს დანაშაულები, გარემოს დაბინძურება, სიკვდილი სამუშაო ადგილზე და სხვა დანაშაულები საზოგადოებას ბევრად უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე, მაგალითისთვის, ახალგაზრდის მიერ ჩადენილი ხულიგნობა, რაც, როგორც წესი, საზოგადოების მხრიდან მკაცრი გაკიცხვისა და მორალური პანიკის საგნად გადაიქცევა ხოლმე. მეტიც, ძალაუფლების მქონე დამნაშავეები საკუთარი დანაშაულებიდან მეტ მატერიალურ სარგებელს იღებენ მაშინ, როდესაც „თეთრი საყელოს“ დანაშაულთან ბრძოლაზე ნაკლები რესურსი იხარჯება. ზოგიერთი საეჭვო აქტივობა კი საერთოდ არ არის კრიმინალიზებული, უფრო მეტიც, დოვლათის დაგროვების მაგალითებად არის წარმოჩენილი. მსგავსი კატეგორიის დამნაშავეები ბუღალტრებსა და იურისტებს ასაქმებენ საკუთარი ინტერესების დასაცავად და ამასთან, ძლევამოსილ მეგობრებს იძენენ თავიანთი ინტერესების ლობირებისთვის.

ნაკლებად ძლიერთა დანაშაულები

კრიტიკული კრიმინოლოგები აღიარებენ, რომ მიუხედავად საერთო დოვლათის ზრდისა, რომელიც თითოეულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტით ანგარიშდება და ამასთან, საჯარო დანახარჯებისა და სარგებლის მატების მიუხედავად, შედარებითი დეპრივაცია მაინც იჩენს თავს საზოგადოების იმ უდიდეს ნაწილში, რომელიც საშუალო შეძლების ზღვარს ქვემოთ იმყოფება და უმრავლესობის ცხოვრების სტანდარტები აქვს მიღებული. დროთა განმავლობაში შედარებითი დეპრივაციის განსაზღვრება შეიცვალა. აბსოლუტური სიღარიბე აღმოიფხვრა, თუმცა შედარებითი სიღარიბე კვლავაც აგრძელებს არსებობას იმ პირობებში, როდესაც მდიდრებს ნამცხვრის მნიშვნელოვნად მოზრდილი ნაჭერი ხვდებათ წილად. კრიტიკოსი კრიმინოლოგების მოსაზრებით, ნაკლებად ძლიერთა მცდელობები პრეტენზია გამოთქვან მათ კუთვნილ ჯილდოებზე ან გააპროტესტონ თავიანთი წილები, უბრალოდ კრიმინალიზებულია. რეიმან (Reiman, 1979) ამტკიცებდა, რომ „მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები ციხეში ხვდებიან“.

კრიტიკული კრიმინოლოგები ნაკლებად ძლიერთა დანაშაულებს მარგინალიზაციის, კრიმინალიზაციისა და წამყვანი ინსტიტუტებიდან გამორიცხვის კონტექსტში ხსნიან, რაც სახელმწიფო ძალაუფლების გამოვლინებასთან ერთად იკვეთება. ეს უკანასკნელი გულისხმობს პროცესს, რომელშიც სამართალი, სოციალური კონტროლის უწყებები და მედია დანაშაულს კონკრეტულ ჯგუფებს უკავშირებენ, გამოავლენენ და საფრთხედ შერაცხავენ მათ. სკრატონი და ჩედვიკი (Scraton and Chadwick, 1996) ამტკიცებენ, რომ ეს პროცესი სოციალური და ეკონომიკური პირობებიდან ყურადღების გადასატანად გამოიყენება, განსაკუთრებით კი ისეთი რადიკალური ეკონომიკური ცვლილებების დროს, რომლებმაც შესაძლოა ბიძგი მისცეს მნიშვნელოვან პოლიტიკურ არასტაბილურობას. მეტიც, ღიად განცხადებული პოლიტიკური ინტერესები კრიმინალიზებულია, ხოლო პოლიტიკური ტერორისტები „ჩვეულებრივ კრიმინალებად“ მოიხსენიებიან, რათა მათი მოქმედებების პოლიტიკური ბუნების ნეიტრალიზება მოხდეს. ჰილიარდი (Hillyard, 1987) შენიშნავს, რომ კრიმინალიზაციის პროცესი ხელს უწყობს საზოგადოებრივი მხარდაჭერის გაძლიერებას ანტი-ტერორისტული ზომების მიმართ, ვინაიდან სახელმწიფო ინტერვენ-ციის მობილიზება კრიმინალური აქტების წინააღმდეგ უფრო მარტივია, ვიდრე იმის შესაკავებლად, რაც შესაძლოა უბრალოდ პოლიტიკურ მიზეზად განიხილებოდეს.

ამგვარად, კრიმინალიზაცია შესაძლოა მკაცრი სოციალური კონტროლის ზომების გასამართლებლად გამოიყენონ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურად და პოლიტიკურად მარგინალიზებული ჯგუფების წინააღმდეგაა მიმართული. ამ ჯგუფებს კი წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ. ყველაზე დაწინაურებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში მეოცე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაწყებულმა მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა (კერძოდ გაერთიანებულ სამეფოში) უფრო გააღარიბა დაბალი ფენები და ნაკლებად ძლიერი სოციალური კლასები. კრიტიკული კრიმინოლოგები შენიშნავენ, რომ მოცემული ჯგუფები თანამედროვე ეპოქის დასაბამიდანვე განიხილებოდნენ „საშიშ კლასებად“. სწორედ მათი აქტივობების კრიმინალიზაციის შედეგია, რომ ამ ჯგუფების მდგომარეობა მათივე სისუსტეებს მიეწერება ხოლმე, რითაც შემდგომ უფრო მკაცრი კონტროლის ზომებს ამართ-ლებენ.

ზოგიერთი კრიტიკული კრიმინოლოგის მოსაზრების თანახმად, დანაშაული უთანასწორობის წინააღმ-დეგ გამართული მუდმივი ბრძოლის ნიშანია, რომელიც ახლაც გრძელდება. ამ იდეის საფუძვლებს დიურკჰაიმთან (Durkheim, 1964:72) ვიპოვით, რომლის მოსაზრებითაც დანაშაული საზოგადოების საჭიროებებთან მიმართებით „ფუნქციონალური“ შეიძლება იყოს.

„დანაშაული აღარ უნდა აღიქმებოდეს ბოროტებად, რომელთან ბრძოლაც არასოდეს იქნება ზედმეტი. საზეიმო არაფერია, თუ დანაშაულის მაჩვენებელი საშუალო ზღვარს ჩამოცდება, ეს მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ ამგვარი პროგრესი რაღაც ტიპის სოციალურ უწესრიგობასთანაა კავშირში“.

დიურკჰაიმის დანაშაულის ფუნქციონალურობის კონცეფცია „კონფლიქტის თეორიებში“ გხვდება, თეორიები, რომლებიც დანაშაულს წარმოაჩენს როგორც ძლევამოსილ და სუსტ ჯგუფებს შორის მიმდინარე ბრძოლის სიმპტომატურ მოვლენას. კონფლიქტმა უნდა იარსებოს იმისათვის, რომ სოციალური კონტროლი სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების თავნებური შეზღუდვის ინსტრუმენტად არ გადაიქცეს.

კრიტიკული კრიმინოლოგია თუ „მემარცხენე რეალიზმი“

ისეთი კრიმინოლოგებისთვის, როგორებიც სკრატონი და ჩედვიკი არიან (Scraton and Chadwick, 1996) მზარდი უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის და ამასთან, ღარიბი ფენის გაფართოება სრულიად კაპიტალისტური სისტემისთვის ლეგიტიმაციის კრიზისს წარმოშობს. ფაქტობრივი დეპრივაცია ამჯერადაც მუშათა კლასის კრიმინალის მიზეზად მოიაზრება, რასაც სახელმწიფო „კანონისა და წესრიგის“ პოლიტიკით პასუხობს. ეს პოლიტიკა კი მუშათა კლასისა და ეთნიკური უმცირესობების შიგნით კონკრეტული ჯგუფების გამოვლენისა და დასჯის პროცესს ამწვავებს.

კრიტიკული კრიმინოლოგები მიიჩნევენ, რომ დანაშაულისთვის კანონით გაცემული პასუხი სოციალური გაძლიერების სტრატეგიას უნდა ემყარებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილეობითი დემოკრატიის პირობებში ადამიანები პირდაპირ უნდა ჩაერთონ მათ მომავალთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, ხოლო ეკონომიკური რესურსები საზოგადოების სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით, სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით უნდა გადანაწილდეს. ძლიერთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაპირისპირებისთვის სახელმწიფო მოხელეების ღიაობა, საჯაროობა და ანგარიშვალდებულება უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ხოლო დოვლათი, საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ, კერძო მფლობელობიდან საჯაროში უნდა გადავიდეს. დანაშაულის პრევენციისა და კონკრეტული ტიპის დანაშაულების შემცირების მიზნით მნიშვნელოვანია ანტი-რასისტული და ანტი-სექსისტური კამპანიების ჩატარება, რაც ასევე უნდა მოიცავდეს ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლების გადამზადებას, როგორიცაა პოლიცია. უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას, მათ გაფართოებასა და ინსტიტუციონალიზაციას განვითარების პოლიტიკისა და ზედამხედველი უწყებების მეშვეობით.

კრიტიკული კრიმინოლოგები ამტკიცებენ, რომ სისხლის სამართლის სისტემის ჭეშმარიტი ფუნქცია დანაშაულის გახსნა კი არა, ადამიანების გაერთიანებაა იმ პრობლემის გარშემო, რომელსაც დევიანტებს უწოდებენ და ამ გზით არსებული სოციალური წესრიგის ლეგიტიმაციის შენარჩუნებაა. როგორც ამტკიცებენ, ციხეების ჭეშმარიტი ფუნქცია დამნაშავეების შეცვლა კი არა, სტიგმატიზება და მათი მტრებად შერაცხვაა (Foucault, 1980). ანალოგიურად, პოლიციის ნამდვილი ფუნქცია დანაშაულის პრევენცია და დამნაშავეების დაპატიმრება კი არა, სოციალური წესრიგის შენარჩუნებაა, რაც ინდუსტრიული დავების, პოლიტიკური დემონსტრაციების თუ სხვა ისეთი აქტივობების გასაკონტროლებლად არის საჭირო, რომლებიც საზოგადოებას უქმნიან საფრთხეს. პოლიციის მეშვეობით სულ უფრო ფართოვდება სოციალური კონტროლის ქსელი და დევიანტად მონიშნული სულ უფრო მეტი ინდივიდის თუ ჯგუფის კონტროლი ხორციელდება (Cohen, 1985). ამ ზრახვების განხორციელების მიზნით პოლიციას

დამატებითი ძალები და ამასთან, ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების კონტროლისგან მეტი თავისუფლება დაჭირდება (Scraton,1985).

ბევრისთვის სოციალური წესრიგის, კანონის და სისხლის სამართლის სისტემის ამგვარი ხედვა ზედმეტად გამარტივებულია. სახელმწიფოს მიერ კონსტრუირებულად ვერ ჩაითვლება ბევრი ადამიანის მიერ განცდილი რეალობა და დანაშაულის ინდივიდუალისტური ბუნება. კრიტიკული კრიმინოლოგები მრავალ მნიშვნელოვან შეკითხვას სვამენ და ცდილობენ კიდეც კრიტიკულად შეაფასონ დანაშაულისა და დამნაშავეობრივი ქცევის წამყვანი, ორთოდოქსული აღქმები. ისინი ამტკიცებენ, რომ დანაშაული ცალკეული დამნაშავეების პრობლემად კი არ უნდა აღიქმებოდეს, არამედ პროცესად, რომელიც ძალაუფლების უფრო ფართო ეკონომიკურ და ძალაუფლებით სტრუქტურებს უკავშირდება. და მაინც, ეს საკმაოდ პრობლემური ანალიზია. სისხლის სამართალი მიმართული არ გამოიყენება მხოლოდ საზოგადოების სუსტი ნაწილის გასაკონტროლებლად და არც კრიმინალურ ქცევათა უდიდესი ნაწილი უპირისპირდება დომინანტურ სოციალურ წყობას. კრიტიკული კრიმინოლოგების ნაწილმა საკუთარ პოზიციებს გადახედა და რადიკალიზმის არსიც გადაიაზრა. ამ უკიდურესად გავლენიანმა მიმდინა-რეობამ, რომელსაც 'მემარცხენე რეალიზმი' ეწოდა, რადიკალური რეალიზმის ტრადიციის ახლებური ვერსია ჩამოაყალიბა, და ყოფილ რადიკალ კოლეგებს „მემარცხენე იდეალისტები" უწოდა. მემარცხენე რეალიზმის პერსპექტივიდან, საზოგადოების სუსტსა და ღარიბ ფენებსაც სჭირდება კანონი და სისხლის სამართლის უწყებათა წარმომადგენლებიც, რომლებიც მათ მათსავე გარემოში არსებული კრიმინალური ელემენტებისგან დაიცავენ (Hopkins Burke, 1998b).

ბიბლიოგრაფია:

Adler, F. (1975) Sisters in Crime: The Rise of the New Female Criminal. New York: McGraw-Hill.

Adler, Z. (1982) 'Rape – The Intention of Parliament and the Practice of the Courts', Modern Law Review, 45: 664.

Beechey, V. (1977) 'Some Notes on Female Wage Labour in Capitalist Production', Capital and Class, (Autumn): 45–66.

Bertrand, M. (1967) 'The Myth of Sexual Equality Before the Law', in Proceedings of the Fifth Research Conference on Delinquency and Criminality. Montreal: Quebec Society of Criminology.

Bonger, W. (1916) Criminality and Economic Conditions, reissued 1969. Bloomington, IN: Indiana University Press.

Box, S. (1983) Crime, Power and Mystication. London: Sage.

Box, S. (1983) Crime, Power and Mystication. London: Sage.

Box, S. and Hale, C. (1983) 'Liberation and Female Criminality in England and Wales', British Journal of Criminology, 23(1).

Braithwaite, J. (1984) Corporate Crime in the Pharmaceutical Industry. London: Routledge.

Bromberg, S. (1997) Feminist Issues in Prostitution, paper presented to the International Conference on Prostitution at California State University, Northridge, CA.

Brown, G.W. and Harris, T. (1978) Social Origins of Depression. London: Tavistock

Bruegel, I. (1978) 'Women as a Reserve Army of Labour: A Note on Recent British Experience', Feminist Review, 3: 12–23.

Carlen, P. (1983) Women's Imprisonment. London: Routledge & Kegan Paul.

Carlen, P. (1992) 'Criminal Women and Criminal Justice: The Limits to and Potential of, Feminist and Left Realist Perspectives', in R. Matthews and J. Young (eds) Issues in Realist Criminology. London: Sage.

Carson, W.G. (1980) 'White-collar Crime and the Institutionalisation of Ambiguity: The Case of the Early Factory Acts', in G. Geis and E. Stotland (eds) White Collar Crime: Theory and Research. Beverley Hills, CA: Sage.

Chesney-Lind, M. (1988) 'Girls in Jail', Crime and Delinquency, 34: 150–68.

Chesney-Lind, M. (1989) 'Girls' Crime and Woman's Place: Toward a Feminist Model of Female Delinquency', Crime and Delinquency, 35: 5–29.

Chesney-Lind, M. and Shelden, R.G. (1992) Girls, Delinquency, and Juvenile Justice. Pacic Grove, CA: Brooks/ Cole.

Cohen, S. (1973) Folk Devils and Moral Panics: The Creation of the Mods and Rockers. London: Paladin.

Cohen, S. (1980, new edition) Folk Devils and Moral Panics. Oxford: Martin Robertson. Mayhew et al., 1976 Scraton and Chadwick, 1996

Daly, K. (1989) 'Neither Conict Nor Labeling Nor Paternalism Will Sufce: Intersections of Race, Ethnicity, Gender, and Family in Criminal Court Decisions', Crime and Delinquency, 35: 136–68.

Daly, K. (1992) 'Women's Pathways to Felony Court: Feminist Theories of Lawbreaking and Problems of Representation', Review of Law and Women's Studies, 2: 11–52.

Daly, K. (1994a) Gender, Crime, and Punishment. New Haven, CT: Yale University Press.

Daly, K. (1994b) 'Gender and Punishment Disparity;' in G.S. Bridges and M. Myers (eds) Inequality, Crime and Social Control. Boulder, CO: Westview Press.

Daly, K. and Chesney-Lind, M. (1988) 'Feminism and Criminology', Justice Quarterly, 5(4): 487–535.

Daly, K. and Chesney-Lind, M. (1988) 'Feminism and Criminology', Justice Quarterly, 5(4): 487–535.

Davis, K. (1961) 'Prostitution', in R.K Merton and R.A. Nesbit (eds) Contemporary Social Problems. New York: Harcourt Brace and Jovanovich.

Dobash, R.E. and Dobash, R.P. (1992) Women, Violence and Social Change. London: Routledge & Kegan Paul.

Downes, D. and Rock, P. (1998) Understanding Deviance, 3rd edition. Oxford: Oxford University Press.

Downes, D. and Rock, P. (1998) Understanding Deviance, 3rd edition. Oxford: Oxford University Press.

Downes, D. and Rock, P. (1998) Understanding Deviance, 3rd edition. Oxford: Oxford University Press.

Durkheim, E. (1964, ორიგინალი დაიბეჭდა 1915) The Elementary Forms of Religious Life. Glencoe, IL: Free Press.

Edwards, S. (1993) 'England and Wales', in N.J. Davis (ed.) Prostitution: An International Handbook on Trends, Problems and Policies. Westport, CT: Greenwood.

Einstadter, W. and Henry, S. (1995) Criminological Theory. Fort Worth, TX: Harcourt Brace.

Farrington, D.P. and Morris, A.M. (1983) 'Sex, Sentencing and Reconviction', British Journal of Criminology, 23(3).

Foucault, M. (1980) Power/Knowledge: Selected Interviews and Other Writings 1972–77, edited by C. Gordon. Brighton: Harvester Press.

Geis, G. and Goff, C. (1983) 'Introduction', in E. Sutherland, White-Collar Crime: The Uncut Version. New Haven, CT: Yale University Press.

Gelsthorpe, L. and Morris, A. (eds) (1990) Feminist Perspectives in Criminology. Milton Keynes: Open University Press.

Graham, J. and Bowling, B. (1995) Young People and Crime, Home Ofce Research Study No. 145. London: HMSO.

Hagan, J. (1994) Crime and Disrepute. Thousand Oaks, CA: Pine Forge Press

Hall, S. and Scraton, P. (1981) 'Law, Class and Control', in M. Fitzgerald, G. McLennan and J. Pawson (eds) Crime and Society: Readings in History and Theory. London: Routledge & Kegan Paul and The Open University Press.

Hanmer, J. and Saunders, S. (1984) Well-Founded Fear. London: Hutchinson.

Hartmann, H. (1981) 'The Family as a Locus of Class, Gender and Political Struggle: The Example of Housework', Signs, 6.

Heidensohn, F. (1968) 'The Deviance of Women: A Critique and an Enquiry', British Journal of Criminology, 19(2): 160–76.

Heidensohn, F. (1994) 'Gender and Crime', in M. Maguire, R. Morgan and R. Reiner (eds) The Oxford Handbook of Criminology. Oxford: Oxford University Press

Heidensohn, F. (2000/2001) 'Women and Violence: Myths and Reality in the 21st Century', Criminal Justice Matters, 42: 20.

Hillyard, P. (1987) 'The Normalisation of Special Powers: From Northern Ireland to Britain', in P. Scraton (ed.) Law, Order and the Authoritarian State. Milton Keynes: Open University Press.

Hirschi, T. (1969) Causes of Delinquency. Berkeley, CA: University of California Press

Hopkins Burke, R.D. (1998b) 'The Contextualisation of Zero Tolerance Policing Strategies', in R.D. Hopkins Burke (ed.) Zero Tolerance Policing. Leicester: Perpetuity Press.

Jaggar, A.M. (1983) Feminist Politics and Human Nature. Lanham, MD: Rowman and Littleeld.

Jones, T., Newburn, T. and Smith, D. (1994) Democracy and Policing. London: Policy Studies Institute.

Klein, D. (1973) 'The Aetiology of Female Crime: A Review of the Literature', in L. Crites (ed.) The Female Offender. Lexington, MA: Lexington Books

Mann, C.R. (1984) Female Crime and Delinquency. Birmingham, AL: University of Alabama Press.

Mars, G. (1982) Cheats at Work: An Anthology of Workplace Crime. London: George Allen and Unwin.

Messerschmidt, J.W. (1986) Capitalism, Patriarchy and Crime: Toward a Socialist Feminist Criminology. Totowa, NJ: Rowman and Littleeld.

Morris, A. (1987) Women, Crime and Criminal Justice. Oxford: Blackwell.

Mukjurkee, S.K. and Fitzgerald, M.K. (1981) 'The Myth of Rising Crime', in S.K. Mukjurkee and J.A. Scutt (eds) Women and Crime. London: Allen & Unwin.

Pateman, C. (1995) The Sexual Contract. Stanford, CA: Stanford University Press.

Pearce, F. and Tombs, S. (1993) 'US Capital versus the Third World: Union Carbide and Bhopal', in F. Pearce and M. Woodiwiss (eds) Global Crime Connections. Basingstoke: Macmillan.

Pilcher, J. (1983) 'I'm not a Feminist, But ... Understanding Feminism', Sociology Review, 3: 2.

Pollak, O. (1950) The Criminality of Women. New York: Barnes.

Rafter, N.H. and Heidensohn, F. (eds) (1985) International Feminist Perspectives: Engendering a Discipline. Buckingham: Open University Press.

Reiman, J. (1979) The Rich Get Richer and the Poor Get Prison. New York: John Wiley.

Schwatz, M.D. and DeKeseredy, W.S. (1991) 'Left Realist Criminology: Strengths, Weaknesses and the Feminist Critique', Crime, Law and Social Change, 15: 51.

Scraton, P. and Chadwick, K. (1996) 'The Theoretical Priorities of Critical Criminology', in J. Muncie, E. McLaughlin, and M. Langan (eds) Criminological Perspectives: A Reader. London: Sage.

Simon, R.J. (1975) Women and Crime. London: Lexington Books.

Simpson, S.S. (1989) 'Feminist Theory, Crime and Justice', Criminology, 27: 605–27. Gelsthorpe and Morris, 1990,

Simpson, S.S. (1991) 'Caste, Class and Violent Crime: Explaining Differences in Female Offending', Criminology, 29: 115–35.

Sutherland, E.H. (1940) 'White-collar Criminality', American Sociological Review, 5: 1–12.

Swartz, J. (1975) 'Silent Killers at Work', Crime and Social Justice, 3: 15–20.

Tong, R. (1988) Feminist Thought: A Comprehensive Introduction. London: Routledge.

Walby, S. (1980) Theorizing Patriarchy. Oxford: Basil Blackwell.

Walklate, S. (1995) Gender and Crime: An Introduction. Hemel Hempstead: Prentice Hall/Harvester.

Weisberg, D.K. (ed.) (1996) Applications of Feminist Legal Theory to Women's Lives: Sex, Violence and Reproduction. Philadelphia, PA: Temple University Press.

Wootton, B. (1959) Social Science and Social Pathology. London: Allen & Unwin.

თავი 2. დანაშაულისა და სასჯელის პოლიტიკური ეკონომიკა

თარგმნა ნინო ზარანდიამ და მარიამ ბეგაძემ.

2.1 დასჯის პოლიტიკური ეკონომიკა და სასჯელის სოციოლოგია - აწმყო და წარსული

შესავალი

1960-იანი წლების მიწურულს, კრიმინოლოგიურ სფეროში კრიტიკული პერსპექტივები გაჩნდა, რომლებმაც ფაქტობრივად რევოლუცია მოახდინეს ამ დისციპლინის თეორიულ მიმართულებაში. თავდაპირველად, „კრიმინოლოგია“ უფრო დანაშაულის პრობლემის შემსწავლელი დისციპლინა იყო, ვიდრე უშუალოდ სასჯელის. შესაბამისად, კრიმინოლოგია სასჯელს, სისხლის სამართლის პოლიტიკასა და სოციალურ სტრატეგიებს დანაშაულზე მათი ზეგავლენის ჭრილში სწავლობდა. დიდი ხნის მანძილზე კრიმინოლოგია ის „ცოდნა“ იყო, რომლის საგანსაც ხელისუფლებისთვის დევიაციასა და კრიმინალთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგიების წარმოება წარმოადგენდა. ამგვარად, მარტივია იმის გაგება, თუ რატომ ითამაშა დანაშაულის სოციალური და ინდივიდუალი მიზეზების შესწავლამ ესოდენ მნიშვნელოვანი როლი კრიმინოლოგიური კვლევის პრიორიტეტებში.

სწორედ იმის შედეგად, რასაც მიშელ ფუკომ „ინკვიზიციური საზოგადოება“ უწოდა, ძალაუფლების ტექნოლოგიებისგან განუყოფელი კრიმინოლოგიური ცოდნა წარმოიქმნა, რომელმაც ადგილი დევიაციის სფეროს გარშემო დაიმკვიდრა. მისი ისტორია სახელმწიფოს ე.წ „გოვერნმენტალიზაციის“ პროცესის ნაწილია, რომელიც მე-18 და მე-19 საუკუნეებში მიმდინარეობდა. მოცემულ პერიოდში, მთავრობის მეცნიერება (და პოლიციის მეცნიერება) უფრო სპეციალიზდა და დასაბამი მისცა მოსახლეობის შესახებ არსებული ცოდნის მრავალფეროვან ფორმებს: სოციალურ სტატისტიკას, ურბანულ კვლევებს, სოციალურ ფსიქიატრიასა და თავად კრიმინოლოგიას. კრიმინოლოგიის ინკვიზიტორული დამოკიდებულება homo criminal-ის, რეციდივისტების, კრიმინოგენური გარემოსა და სახიფათო კლასის გარშემო ახალი დისკურსების მთელ ნაკრებს აწარმოებდა.

1960-იან წლებამდე, კრიმინოლოგიურ კვლევას ეჭვქვეშ არ დაუყენებია საკუთარი საწყისების ხისტი ეპისტემიოლოგიური სტრუქტურა: პოზიტივიზმის გავლენა ჯერ კიდევ ისეთი ძლიერი იყო, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა განსხვავებული პერსპექტივების წარმოქმნა. არც თავად კრიმინოლოგიას ჰქონია აქამდე შეხება დევიაციის სოციალური რეაქციების ანალიზთან, ამ უკანასკნელის გამოცალკევებით (სულ მცირე მეთოდოლოგიურად მაინც) თავისივე საგნებისგან, იგივე დევიანტებისგან. დანაშაულთან დაკავშირებული სოციალური რეაქციები იარლიყის მიწებების მიდგომის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნა, როგორც კვლევის ცალკეული სფერო. 1960-იანი წლების პოლიტიკურ კონტექსტში, რეპრესიული ძალაუფლების მრავალმხრივ გამოხატულ რადიკალურ კრიტიკაში (ოჯახების, ეკლესიის თუ ტოტალური ინსტიტუტების) გარკვეული სივრცე გამოინახა

კრიმინოლოგიის სოციოლოგიური პერსპექტივისთვისაც. ციხის ინსტიტუტის საყოველთაოდ აღიარებულმა მარცხმა ზოგიერთ კრიტიკულ კრიმინოლოგს უბიძგა ეჭვქვეშ დაეყენებინა ამ ინსტიტუტის როლი და გამოეკვლინა აწმყოში მისი სიმტკიცის მთავარი მიზეზები.

იარლიყის მიწებების თეორიის ფუძემდებლებს კრიმინოლოგიური ცოდნის გადახედვა უკვე დაწყებული ჰქონდათ, თუმცა საკუთარი კვლევა მიკრო-სოციოლოგიური პერსპექტივების ჩარჩოებში გამოამწყვდიეს. ისინი დევიანტებს ძალაუფლების სტრუქტურების წინააღმდეგ „აძლიერებდნენ", თუმცა ამას, იარლიყის სოციალური ძალაუფლების რაიმე სიღრმისეული ანალიზის გარეშე აკეთებდნენ. ერთი მხრივ, იარლიყის მიწებების თეორეტიკოსების თანახმად, დევიანტურ სამყაროს წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ გააჩნდა, თუ რა თქმა უნდა, ინდივიდუალურ დონეს არ ჩავთლით. მეორე მხრივ, ამ თეორიულ ჩარჩოში ძალაუფლება ტოტალური ინსტიტუტების მიკროსამყაროში მიმდინარე პირისპირი ინტერაქციების მიღმა არასდროს გაანალიზებულა.

ამერიკული ლიბერალური სოციოლოგიის ხსენებული ასპექტები ალვინ გულდნერის ცნობილი კრიტიკის სამიზნეებს წარმოადგენდნენ:

„ამ ზოოპარკის მოდარაჯეთა დამოკიდებულება დევიაციის მიმართ ინდიელების რეზერვაციის მსგავსი, კომფორტული, დაცული ზონის შექმნაში გამოიხატება, რომლის ფარგლებშიც მომწყვდეული, ექსპონატებივით გამოფენილი მრავალფეროვანი სახეობები წაუბილწავნი და სახეშეუცვლელნი არიან. სწორედ მცირე დეტალებისადმი გამოჩენილი ეს ძალზედ ემპირიული მგრძნობელობა ახასიათებს ამ სკოლას, რომელიც ერთდროულად წარმოიშვა და შეიზღუდა იშვიათი ნივთების კოლექციონერის აღტკინებით, ხოლო მისი ემპირიული სიმდიდრე კოლექციონერის ესთეტიკითაა შთაგონებული".

მოცემული კრიტიკა სოციალური კონტროლის მატერიალისტური ანალიზის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს. გულდნერის თანახმად, მთავარი განსხვავება ლიბერალურ და რადიკალურ სოციოლოგიას შორის გამოიხატება მათ მზაობაში, ყურადღება დაუთმონ ძალაუფლების ინსტიტუციებს (ანუ მათ, ვინც ახდენს იარლიყის მიწებებას) და მათ მსხვერპლებს (ანუ მათ, ვისაც მიამაგრეს ეს იარლიყები):

„...ვფიქრობ, რომ რადიკალურ და ლიბერალ სოციოლოგებს შორის შემდეგი განსხვავების პოვნა შეიძლება: სანამ რადიკალური სოციოლოგები "დამარცხებულთა" პერსპექტივიდან გამოდიან, ლიბერალები ამას „დამარცხებულთა" შესასწავლად იყენებენ. რადიკალურ სოციოლოგებს „ძალაუფლებითი ელიტების", ან სხვა სიტყვებით რომ თქვათ, ადამიანების ბატონების შესწავლა სურთ; ლიბერალები კი ამ ძალისხმევას „დამარცხებულების", მსხვერპლებისა და მათი უშუალო ბიუროკრატიული მეურვეებისკენ მიმართავენ".

სწორედ ამ პოლიტიკური და ინტელექტუალური პოზიციით აღინიშნა მარქსიზმის შემოჭრა დევიაციის სოციოლოგიაში, რომელიც 1960-იანი წლების მიწურულს დაიწყო და 1970-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა. ამ კონტექსტში, კრიმინოლოგიაში ახალი კრიტიკული მიმართულება წარმოიშვა. მოცემული მიმართულება, ერთი მხრივ, იმ ისტორიულ ტრაექტორიას შეისწავლიდა, რომლის გავლითაც ციხემ სასჯელის უწინდელი ფორმები ჩაანაცვლა, ხოლო მეორე მხრივ, აწმყოში ამ ინსტიტუტის სიმტკიცის მიზეზებს შეისწავლიდა, რომელმაც აშკარა მარცხისდა მიუხედავად ურყეობა შეინარჩუნა. ამ ახალი კრიტიკული მიმართულების მიზანს დაპატიმრების რიტორიკული ლეგიტიმაციის მიღმა მისი ლატენტური ფუნქციების განჭვრეტა წარმოადგენდა. მოცემულ პერიოდში, ანალიზის ორი მთავარი მიმართულება განვითარდა: პირველი მათგანი კაპიტალისტური ეკონომიკის კონსოლიდაციასა და კვლავწარმოებაში სადამსჯელო სისტემის როლს შეისწავლიდა და ის მეტწილად ისტორიაზე ორიენტირებული ნაშრომების ერთობლიობისგან შედგებოდა. ამ ნაშრომებმა სასჯელის გავრცელე-

ბული ისტორიების სრული დეკონსტრუქცია მოახდინეს. ამ პერიოდამდე, სასჯელის ისტორია განგრძობითი პროცესის სახით იყო წარმოდგენილი, რომელიც სასჯელის უფრო ჰუმანური ფორმების ჩამოყალიბებისკენ მიისწრაფოდა. გადააზრების შემდგომ კი ეს ისტორია სტრატეგიების მთელ თანმიმდევრობად წარმოაჩინეს, რომლის მთავარ საგანსაც კლასობრივი სუბორდინაციის დამკვიდრება წარმოადგენდა.

კვლევის მეორე მიმართულების ფოკუსი სოციალური კონტროლის ამუამინდელი ფუნქციები და ციხის ინსტიტუტი იყო. ანალიზის მთავარ საგანს თანამედროვე კაპიტალიზმზე, განსაკუთრებით კი, კაპიტალისტურ შრომით ბაზარზე სოციალური კონტროლის ზეგავლენა წარმოადგენდა. ამ განსხვავებულ პერსპექტივებს საერთო იდეა გააჩნდათ, რომლის თანახმადაც სადამსჯელო ინსტიტუტების ანალიზი მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო ურთიერთობების ჭრილში იყო შესაძლებელი: სასჯელის კრიტიკულ სოციოლოგიას უნდა გამოევლინა ის როლი, რომელიც დასჯამ ითამაშა ამ ურთიერთობების კვლავწარმოებაში.

მომდევნო გვერდებზე შემოგთავაზებთ ამ „მატერიალისტური კრიმინოლოგიის“ რეკონსტრუქციას, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე მიმართულებით. პირველ რიგში, აუცილებელია სასჯელის პოლიტეკონომიური თეორიული დაშვებები წარმოგიდგინოთ - სწორედ ამიტომ, ვიწყებ რუშესა და კირქჰეიმერის ნაშრომების ანალიზით. შემდგომში კი, მიმოვიხილავ შედარებით გვიანი პერიოდის ნაშრომებს სასჯელის ისტორიისა და კერძოდ, ციხის ინსტიტუტის შესახებ.

დასჯადობა და პოლიტეკონომიური კრიტიკა

დასჯის პოლიტეკონომიის მთავარი დაშვება შემდეგია: დასჯის ფორმების ევოლუციის შეცნობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ამ ფორმებს მათთვის ისტორიულად მიკუთვნებული ფუნქციებისგან გამოვაცალკევებთ. დასჯადობა კრიმინალის კონტროლისა და სოციალური დაცვისგან განსხვავებულ როლს თამაშობს: ამ როლის ახსნა კი შესაძლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ სოციალური კონტროლის სტრატეგიების ევოლუციას საზოგადოების ეკონომიკური დინამიკისა და შესაბამისი წინააღმდეგობების კონტექსტში მოვათავსებთ. თანამედროვე საზოგადოებაში თავისებური სადამსჯელო პრაქტიკების წარმოქმნა და მათი სიმტკიცეც საწარმოო ურთიერთობებსა და შრომის ორგანიზებას უკავშირდება. ის თეორიული ლანდშაფტი, რომელშიც დასჯის პოლიტიკურ ეკონომიკას მივაკვლევთ, ისტორიული მატერიალიზმია, როგორც ეს კარლ მარქსმა წარმოადგინა თავის ცნობილ 1859 წლის „წინასიტყვაობაში“:

„სოციალური წარმოების პროცესში, რომელსაც ადამიანები წარმართავენ, ისინი საკუთარი ნებისგან დამოუკიდებლად იმ საზღვრულ ურთიერთობებში შედიან, რომლებიც თავისი ხასიათით აუცილებელნიც არიან; ეს ურთიერთობები წარმოების მათივე მატერიალური ძალების განვითარების საფეხურს შეესაბამება. წარმოებითი ურთიერთობების ეს მთლიანობა საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას აყალიბებს - იმ რეალურ საფუძველს, რომელზეც სამართლებრივი და პოლიტიკური ზედნაშენები აღმოცენდება და რომლებსაც, თავის მხრივ, ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების ფორმები განსაზღვრავენ ცხოვრების სოციალური, პოლიტიკური და სულიერი პროცესების ზოგად ხასიათს“.

ამგვარად, დასჯა იურიდიული, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუციების იმ ელემენტებს წარმოადგენს (კანონი, სახელმწიფო, ოჯახი და ა.შ), რომელთა ფუნქციაც დომინანტური კლასობრივი ურთიერთობების შენარჩუნებაში მდგომარეობს. მოცემული ინსტიტუციების გარდაქმნების აღსაწერად, მნიშვნე-

ლოვანია, კლასობრივი ძალაუფლების იდეოლოგიური ფორმა იმ მატერიალურ ძალაუფლებას დავუკავშიროთ, რომელიც წარმოების სფეროში დომინირებს:

„ყველა ეპოქის მმართველი იდეები ყოველთვის მმართველი კლასის იდეები იყო; კლასი, რომელიც საზოგადოების მმართველ მატერიალურ ძალას წარმოადგენს, ამავდროულად, მისი მმართველი ინტელექტუალური ძალაცაა... მმართველი იდეები არაფერია, თუ არა დომინანტური მატერიალური ურთიერთობების სრულყოფილი გამოხატულება - იდეებად აღქმული დომინანტური მატერიალური ურთიერთობები; მაშასადამე, იდეები იმ ურთიერთობის გამოხატულებაა, რომლებიც ერთ კლასს მმართველად გადააქცევს; შესაბამისად, მმართველი კლასის იდეები მისი დომინირების იდეებია“.

კრიმინალის კონტროლი, როგორც სადამსჯელო ინსტიტუტის აშკარა ლეგიტიმაცია, წმინდად იდეოლოგიური ხასიათის რეპრეზენტაციას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც კლასი თავისი დომინირებისთვის აუცილებელ საფუძველს ინარჩუნებს. სადამსჯელო ინსტიტუტი დაქვემდებარებულ კლასებს თავსმოხვეული იდეოლოგიური ძალაუფლების უამრავ გამოვლინებას შორის ერთ-ერთია. არსებული სოციალური წესრიგის სიმბოლური ლეგიტიმაციის გზით, ეს ინსტიტუციები ხელს უწყობენ კაპიტალისტური საზოგადოების შიგნით არსებული წინააღმდეგობების დაფარვას. კლასობრივ საზოგადოებაში სისხლის სამართალი კლასობრივი ძალაუფლების და არა „საყოველთაო ინტერე-სის“ გამოხატულებაა:

„სისხლის სამართლის არშემდგარი თეორიები, რომლებიც სადამსჯელო პოლიტიკის პრინციპებს საზოგადოებრივი ინტერესებისგან გამოაცალკევებენ რეალობის ცნობიერ თუ არაცნობიერ დამახინჯებას წარმოადგენენ. საზოგადოება, როგორც ასეთი, მხოლოდ და მხოლოდ იურისტების ფანტაზიაში არსებობს. სინამდვილეში ჩვენ საქმე კლასებთან და სრულიად წინააღმდეგობრივ, კონფლიქტურ ინტერესებთან გვაქვს. ისტორიულადაც კი, სადამსჯელო პოლიტიკის მოცემული სისტემა იმ კლასის ინტერესების ანაბეჭდს ატარებს, რომელმაც აღძრა ეს ინტერესები“.

ეს არ ნიშნავს, რომ სტრუქტურასა და ზედნაშენს შორის ავტომატური კავშირი არსებობს - თითქოს სტრუქტურა ზედნაშენს საჭიროებისამებრ წარმოქმნიდეს. დიდი ხნის მანძილზე, “დეტერმინიზმი“ და „ეკონომიკური რედუქციონიზმი“ ზოგადად მარქსისტული თეორიის სფეროში, ისევე, როგორც კონკრე-ტულად სასჯელის პოლიტეკონომიური თეორიის სფეროში კრიტიკის საგანს წარმოადგენდა. საზოგა-დოების მატერიალურ სტრუქტურასა და მის სადამსჯელო ინსტიტუციებს შორის არსებული კავშირების კომპლექსურობა ჯორჯ რუშემ შენიშნა. 1933 წელს, მის მიერ შემოთავაზებული თეორიის პირველი განსაზღვრება მოგვიანებით ნაშრომს ‘სასჯელი და სოციალური სტრუქტურა’, დაედო საფუძვლად. რუშე ამ კომპლექსურობას შემდეგნაირად აღწერდა:

„დანაშაულისა და დანაშაულის კონტროლის დამოკიდებულება ეკონომიკურ და ისტორიულ გარემო-ებებზე არ უზრუნველყოფს საკითხის სრულყოფილ განმარტებას. ეს ძალები დამოუკიდებლად არ განსაზღვრავენ ჩვენი კვლევის საგანს და თავის მხრივ, მრავალმხრივ შეზღუდულნი და არასრულნი არიან“.

რუშეს თანახმად, სადამსჯელო სისტემების ისტორიული თუ მატერიალისტური ანალიზი იმდროინდელ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არ გვხვდებოდა:

„ამ კვლევებს საძირკველშივე აკლია სოციოლოგიური ცოდნის საბაზისო პრინციპები. არც ეკონომიკის ისტორიას უკავშირდებიან და არც ისტორიულად არიან მოტივირებული. უფრო მეტად იმის თქმა შეგვიძლია, რომ მყარი სოციალური სტრუქტურის მატარებელნი არიან, რომელიც რეალობაში არ

არსებობს, ამიტომ სოციალური სისტემის დახასიათებისას მას გაუცნობიერებლად განიხილავენ მუდმივობად და უცვლელად, ნაცვლად იმისა, რომ ეს დახასიათება ისტორიულ პროცესს დაუკავშირონ“.

პრობლემა ერთი მხრივ კრიმინოლოგიის იმ კონცეფციის დაძლევა იყო (რომელიც ამ უკანასკნელს დანაშაულის შესახებ მეცნიერებასა და დევიაციის სოციალური თუ ინდივიდუალური მიზეზების შესახებ ცოდ-ნასთან აიგივებდა), ხოლო მეორე მხრივ, სადამსჯელო სისტემების ევოლუციის შესახებ ისტო-რიული და ეკონომიკური ცოდნის წარმოება. აქ ისიც იგულისხმება, რომ სადამსჯელო პრაქტიკების ისტორია სამართლებრივი ინსტიტუციებისა და პრაქტიკების ევოლუციის საპირწონედ ვეღარ წარმო-ჩინდებოდა. სასჯელის ისტორია დასჯის სოციალურ და ეკონომიკურ ისტორიად უნდა გარდაქმნილიყო:

„ხშირად, სამართლის ისტორიკოსები სოციალური კანონების მიუკერძოებელი ანალიზით კი არა, სამართლებრივი ინსტიტუტების ევოლუციური კონცეფციით ხელმძღვანელობენ: ბარბაროსული სისას-ტიკიდან ჰუმანიზმამდე, ანუ შედარებით დახვეწილ სამართლებრივ სისტემამდე, რომლითაც, სავა-რაუდოდ, ახლა ვტკბებით. ვერ ამჩნევენ, რომ საქმე ძალზედ ხანგრძლივ და ახლა უკვე წყვეტილ, რეგრესულ მოძრაობასთან გვაქვს“.

სასჯელის ტრანსფორმაციები, შესაძლოა, ისტორიაში ეკონომიკური ურთიერთობების ევოლუციად აღვიქვათ, კერძოდ კი, პრე-კაპიტალისტური ეკონომიკიდან წარმოების კაპიტალისტურ ფორმაზე გადასვლად: „სწორედ ორი „ერის“ - მდიდრებისა და ღარიბების კავშირის ისტორიამ ჩამოაყალიბა ხალხი“.

ოტო კირქჰაიმერთან ერთად, გეორგ რუშემ ამ ორი „ერის“ ისტორია დაწერა და მას „სასჯელი და სოციალური სტრუქტურა“ („Punishment and Social Structure“) უწოდა. თუმცა, 1939 წელს გამოცემული ამ წიგნისთვის ისტორიკოსებსა და კრიმინოლოგებს დიდი ხნის მანძილზე არ მიუქცევიათ ყურადღება. სასჯელის პოლიტიკური ეკონომიკა პრაქტიკულად გაქრა კრიმინოლოგიური ლანდშაპტიდან. წიგნის მეორე გამოცემის (1969 წ) შემდგომ ვითარება შეიცვალა და რუშეს თეორიული პროგრამა კრიმინო-ლოგიური თეორიის ლანდაშაფტზეც გამოჩნდა. სასჯელის პოლიტეკონომიის მივიწყებაც და შემდგომში მისდამი ინტერესის გამოღვიძებაც ექვემდებარება ახსნას: რუშესა და კირქჰეიმერის წიგნი ისეთ ისტორიულ მოცემულობაში გამოჩნდა, როდესაც აშშ-ში მარქსისზმის, ხოლო ევროპაში ზოგადად სოციალური მეცნიერებების მიმართ განსაკუთრებით არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება იკვეთებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ტოტალიტარული რეჟიმების წარმოქმნა და მომდევნო პერიოდში, ომის შემდგომი რეკონსტრუქცია, რომელიც სოციალური პრობლემებისადმი (და კრიმინალისადმი) ტექნოკრატიული მიდგომის ეფექტურობის იდეით იყო შეპყრობილი საერთო ჯამში სასჯელი და სოციალური სტრუქტურა და მისი კრიტიკული პერსპექტივის წინააღმდეგ განაწყობდა საზოგადოებას. მომდევნო ხანებში, უკვე სახეცვლილ 1960-1970-იანი წლების კონტექსტში, რეპრესიული ინსტიტუციების წინააღმდეგ მიმართული კრიტიკისთვის გაჩნდა ინტელექტუალური და პოლიტიკური სივრცე. მოცემულ კონტექსტში რუშესა და კირქჰეიმერის წვლილის ხელახლა აღმოჩენა გახდა შესაძლებელი, ხოლო მათი წიგნი სასჯელის პოლიტეკონომიის სიმბოლოდ გადაიქცა.

გეორგ რუში და ოტო კირქჰაიმერი: სასჯელი და სოციალური სტრუქტურა და სასჯელის პოლიტეკონომიის საფუძვლები

საწყის წერტილს რუშეს 1933 წლით დათარიღებული სტატია წარმოადგენდა. ამ ნაშრომში (რომელსაც ხშირად ფრანკფურტის Institut für Sozialforschung-თვის შექმნილ კვლევით პროექტად მოიხსენიებენ), რუშემ თავისი მთავარი ჰიპოთეზა წარმოადგინა, რომელმაც შემდგომი განვითარება წიგნში - სასჯელი და სოციალური სტრუქტურა - ჰპოვა.

რუშეს პირველი ჰიპოთეზის თანახმად, სისხლის სამართლის სისტემა შეკავების ლოგიკით იყო შთაგონებული: სასჯელის უშუალო ფუნქციას ადამიანების მიერ კანონის დარღვევის პრევენცია წარმოადგენს. შეკავების ხსენებული პრინციპი ძირითადად დაქვემდებარებული კლასების წინააღმდეგ არის მიმართული, ვინაიდან მიიჩნევა, რომ სწორედ დაქვემდებარებული კლასების წარმომადგენლები არიან მიდრეკილი იმ ტიპის დანაშაულების ჩადენისკენ, რომლებზეც საზოგადოება განსაკუთრებული სიმკაცრით რეაგირებს. რუშეს მეორე ჰიპოთეზის თანახმად, ის საშუალებები, რომლის მეშვეობითაც შეკავება პრაქტიკულად ხორციელდება, შრომის ბაზარსა და ეკონომიკურ პირობებზეა დამოკიდებული:

„გამოცდილება გვასწავლის, რომ დანაშაულების უდიდეს ნაწილს საზოგადოების ის ფენა ჩადის, რომელიც მძიმე სოციალური წნეხის ქვეშ არის მოქცეული და რომელიც სხვა კლასებთან შედარებით, საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებისას ნაკლები პრივილეგიით სარგებლობს. ამგვარად, იმისათვის, რომ სადამსჯელო აქტი კონტრპროდუქტიული არ აღმოჩნდეს, საჭიროა ის იმ ფორმით შედგეს, რომ დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილმა კლასმა სასჯელის დაკისრებას სამართალდარღვევისთვის თავის არიდება ამჯობინოს.“

რუშე სოციალური და ეკონომიკური დაქვემდებარების იმ მრავალფეროვან ფორმებზე მიუთითებს, რომლებსაც დასავლური საზოგადოებები განიცდიან შუასაუკუნეებიდან დღემდე. ამ მხრივ, სადამსჯელო სისტემების ისტორია „ორი ერის ისტორიაა“ : იმ საშუალებების ისტორია, რომელთა მეშვეობითაც მმართველებმა მათ მიერ დამყარებული სოციალური წესრიგი დაიცვეს მართულთა მხრიდან მომდინარე საფრთხეებისგან. მოდერნულ ისტორიაში გავრცელდა სადამსჯელო პრაქტიკები, რომლებიც განსხვავდებოდნენ იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში იყო არაპრივილიგებული კლასები: მათი ეფექტურობისთვის, სადამსჯელო პრაქტიკებისა და ინსტიტუციების ზემოქმედების გზით კანონდამრღვევები კანონმორჩილ მოქალაქეებთან შედარებით უარეს სოციალურ პირობებში უნდა აღმოჩენილიყვნენ, რაც კაპიტალისტურ ეკონომიკაში იმას ნიშნავს, რომ მარგინალური პროლეტარული კლასის ცხოვრების პირობები სისხლის სამართლის პოლიტიკაზე მოახდენს ზეგავლენას და შესაბამისად, იმ ადამიანთა პირობებზე, ვინც ისჯება:

„ამ წინადადების ფორმულირება შემდეგნაირადაც შეიძლება: დამნაშავეთა დასჯის ფორმების შეცვლისკენ მიმართული ნებისმიერი ძალისხმევა სოციალურად ყველაზე უმნიშვნელო პროლეტარული კლასის მდგომარეობით იქნება შეზღუდული, რომლისგანაც საზოგადოება დამნაშავეობრივი ქმედებისგან შეკავებას ითხოვს. რეფორმირებისკენ მიმართული ნებისმიერი ძალისხმევა,როგორი კეთილშობილური და ჰუმანურიც არ უნდა იყოს იგი, ამ შეზღუდვის უგულებელყოფის შემთხვევაში უტოპისტურად შეირაცხება“.

რუშე მოცემულ ამონარიდში სასჯელის ისტორიის იმ ტრადიციულ რეპრეზენტაციას აკრიტიკებს, რომელიც სასჯელს ცივილურობისკენ მიმავალ წრფიულ მსვლელობად აღიქვამს. სასჯელის ევოლუცია პროგრესული რეფორმების შედეგს არ წარმოადგენს: რეფორმასა და ცივილიზაციას მკაცრი მიჯნა

ახასიათებს, რაც ნაკლები ვარგისიანობის პრინციპით განისაზღვრება, რომელსაც ნებისმიერი სადამსჯელო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს.

პრე-კაპიტალისტურ ეკონომიკებში მარგინალური კლასების მატერიალური მდგომარეობა იმ პოლიტიკურ გარემოებებს უკავშირდებოდა, რომლებმაც სამუშაო ძალის ექსპლუატაციის საზღვრები ჩამოაყალიბეს. სოციალური სტრატიფიკაცია დიდწილად იყო დამოკიდებული პოლიტიკურ და არაეკონომიკურ ფაქტორებზე. თუმცა, კაპიტალიზმის გამოჩენასთან ერთად, პროლეტარული კლასის მდგომარეობა წმინდად ეკონომიკურ ფუნქციას დაუკავშირდა. ახლა ბაზარი (კერძოდ კი, შრომითი ბაზარი) განსაზღვრავს მუშათა კლასის მდგომარეობას. ბაზრის დინამიკა სამუშაო ძალის „სამართლიან ფასს" ჩამოაყალიბებს, ხოლო ბაზრის კანონები ამ პროცესს წარმართავენ: რაც მეტი იქნება სამუშაო ძალა, მით უფრო დაიწევს მისი ღირებულებაც და მით უფრო გაუარესდება შრომითი პირობები. შედეგად, ნაკლების ვარგისიანობის პრინციპის თანახმად, იქ, სადაც სამუშაო ძალის ნამატი წარმოიქმნებოდა, სადამსჯელო პრაქტიკებიც გამკაცრდებოდა:

„უმუშევართა იმ მასების შეჩერება, რომლებიც შიმშილისა და სიღატაკისგან სასოწარკვეთილნი სჩადიან დანაშაულს, მხოლოდ მკაცრი სასჯელით თუ იქნება შესაძლებელი. როგორც ჩანს, სასჯელის ყველაზე ეფექტურ ფორმას ფიზიკური დასჯა წარმოადგენს... იმ საზოგადოებაში, სადაც სამუშაო ძალის სიმწირე შეინიშნება, სადამსჯელო ღონისძიებებს სრულიად განსხვავებული ფუნქცია გააჩნიათ. ისინი არ აკავებენ მშიერ ადამიანებს ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილებისგან. თუ ყველას, ვისაც მუშაობა სურს, საქმდება, ხოლო ყველაზე დაბალი სოციალური ფენა არაკვალიფიციური მუშახელისგან შედგება, მაშინ სასჯელი იმისათვის ხდება საჭირო, რომ მუშებს არასასურველი სამუშაოს შესრულება აიძულოს, ხოლო დამნაშავეებს - პატიოსანი შრომით მიღებული გასამრჯელოთი დაკმაყოფილება".

ციხის ინსტიტუტის წარმოქმნა სხეულის განადგურებაზე ორიენტირებული სადამსჯელო რეჟიმიდან (ვინაიდან ამ დესტრუქციაში ბრწყინავს მონარქის პოლიტიკური ძალაუფლებაც) უფრო მეტად სხეულის შენარჩუნებაზე ორიენტირებულ რეჟიმზე გადასვლისას წარმოიშვა, რადგან ის შესაძლებელს ხდის სხეულის ექსპლუატაციას წარმოების კაპიტალისტურ პროცესში.

რუშეს სტატიის ბოლო ნაწილი მოკლე ისტორიულ ექსკურსს წარმოადგენს, სადაც ავტორი სასჯელაღსრულების პირველსაწყისებს იმ პროცესის ზენიტში უძებნის ადგილს, რომელიც შუა საკუნეებიდან იწყება და ინდუსტრიულ რევოლუციამდე გრძელდება. განსხვავებული სადამსჯელო პრაქტიკების წარმოქმნა რეფორმისტთა იდეებს ვერ მიეწერება: ეს შრომისა და შემდგომში, შრომითი ბაზრის პირობებზეა დამოკიდებული. ამ რეფორმისტთა არგუმენტების მეორადი მნიშვნელობა, რომლებიც პოლიტიკურ ლეგიტიმაციას ანიჭებდნენ სადამსჯელო სისტემების გარდაქმნას აქ აშკარად იკვეთება. სინამდვილეში, როგორც კი ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ შეიცვლება, ჰუმანიტარიანიზმი განახლებულ სისასტიკეს დაუთმობს სარბიელს:

„დასჯის ამ ჰუმანურმა სისტემამ გამოყენებადობა მაშინ დაკარგა, როდესაც ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომ, მუშა მანქანამ ჩაანაცვლა. მე-18 საუკუნის მიწურულიდან კი მუშათა დეფიციტი აღმოიფხვრა და ისინი ინდუსტრიულმა სათადარიგო არმიამ ჩაანაცვლა... იძულებითი შრომის ინსტიტუციები და სადამსჯელო დაწესებულებები ნამდვილი წამების ადგილებად გადაიქცნენ, რომლებიც ყველაზე უიმედოებსაც კი შეაკავებდნენ".

რუში ამტკიცებს ნაკლები ვარგისიანობის პრინციპის განგრძობად რელევანტურობას: სინამდვილეში, საზოგადოების მატერიალური მდგომარეობა და მისი წარმოებითი ურთიერთობები განსაზღვრავს სასჯელისა და სადამსჯელო რეჟიმების ჭეშმარიტ შინაარსს, ვინაიდან სამუშაო ძალის ეკონომიკური და

სოციალური ღირებულება მარგინალური კლასებისკენ მიმართული სადამსჯელო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალაა. ამის საპირისპიროდ, შრომით ბაზარზე, ეს ღირებულება პროლეტარული კლასის მდგომარეობაზე არის დამოკიდებული: ეს უკანასკნელი რუშის მთავარი ჰიპოთეზა და ამასთან, სასჯელის პოლიტეკონომიის ლეიტმოტივიცაა. წიგნი სასჯელი და სოციალური სტრუქტურა განავითარებს ამ თეორიებს და სასჯელის ისტორიას მიუსადაგებს (შუასაუკუნეებიდან 1930-იან წლებამდე). ამ ნაშრომში, ნაკლები ვარგისიანობის პრინციპი უფრო სიღრმისეულად დამუშავდა და მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესების დეტალურ ანალიზს მიესადაგა, მაგალითად ისეთს, როგორიცაა ფეოდალური ეკონომიკიდან მერკანტილისტურზე და მომდევნო პერიოდში, ინდუსტრიულ რევოლუციაზე გადასვლა.

მეთექვსმეტე საუკუნეში ევროპა მძიმე დემოგრაფიულმა კრიზისმა მოიცვა (ნაწილობრივ, ოცდაათ-წლიანი ომის გამო): შედეგად, სამუშაო ძალა შემცირდა, ხოლო ანაზღაურება გაიზარდა. ამ გარე-მოებებმა მრავალ ევროპულ სახელმწიფოს უბიძგა ღარიბების მიმართ თავიანთი პოლიტიკის ცვლილებისკენ: ფიზიკურად ჯანმრთელებს უნდა ემუშავათ. შრომის დაძალების გზით ორ მთავარ პრობლემას გაუმკლავდებოდნენ: ერთი მხრივ, მოწყალების მთხოვნელთა სოციალურ პრობლემას და მეორე მხრივ, ზრდადი ანაზღაურებით გამოწვეულ მოგების შემცირებას.

სიღარიბის ამ ახალი ფილოსოფიით შთაგონებული, ღარიბთა შეზღუდვისთვის შექმნილი პირველი ინსტიტუციები ევროპაში იყო: „ბრაიდვილი“ ინგლისში, „ოპიტალ ჟენეღალი საფრანგეთში“ (L'Hopital General), „ზუქთაუსი“ და „სპინჰაუსი“ ნიდერლანდებში. იწყება პატიმრობის განხივლა მარგინალური კლასების კონტროლის ეფექტურ ალტერნატივად: მისი სარგებლიანობა სცდება იმ კონკრეტულ კატე-გორიებს, რომლებსაც უშუალოდ მიემართებოდა შეზღუდვა (ღარიბებს, მეძავებსა და კრიმინალებს) და ითვლება, რომ დისციპლინის გზით დევიანტის სხეულის პროდუქტიული გამოყენებაა შესაძლებელი. კონტროლის სისტემებს აწი უკვე მიდგომებსა და მორალზე ემუშავათ, დევიანტების სულის მოცვაზე: თანდათანობით, თავისუფლების აღკვეთა დასჯის ჰეგემონურ ფორმად გადაიქცა. მიუხედავად ამისა, ნაკლები ვარგისიანობის პრინციპს მაინც არ დაუკარგავს ძალა: ახლა ის დაპატიმრებული ადამიანების გამოსწორებას მიემართა. ჰუმანიტარიანისტული იდეოლოგიები კვლავაც მეორეხარისხოვანი იყო: უმუშევრობის ზრდასთან ერთად გაუქმდა რეფორმები, რამაც კვლავ შეამცირა შრომის ღირებულება. ამ მხრივ, მაგალითად შეგვიძლია მეცხრამეტე საუკუნის ინგლისი მოვიყვანოთ, სადაც სამუშაო ძალის ნამატმა სადამსჯელო სტრატეგიებში უკუეფექტი გამოიწვია და ის არაჰუმანური პრაქტიკები დააბრუნა, რომლებსაც ასე მკაცრად აკრიტიკებდნენ რეფორმისტები:

„თუმცა, ამავე პერიოდისთვის თანდათანობით გაქრობა დაიწყო ახალი დასჯის სისტემის ბაზისმა - მუშახელმა. უკვე ვახსენეთ, რომ რეფორმა ნაყოფიერი მხოლოდ იმის გამო გამოდგა, რომ მისი ჰუმანიტარული პრინციპები იმ დროის ეკონომიკურ საჭიროებებს პასუხობდა. ახლა კი, როცა ძალისხმევა ამ იდეებისთვის პრაქტიკული გამოხატულების მინიჭებას მიემართა, ბაზისმა, საიდანაც ეს იდეების აღმოცენდა, შეწყვიტა არსებობა“.

ამგვარად, როდესაც დასჯის ახალი სისტემები უკვე აღარ იყო მომგებიანი, რეფორმისტების მიერ წარმოდგენილი ინოვაციები შემდგომში სასტიკ და არაჰუმანურ პრაქტიკებში გადაიზარდა:

„ციხეში პატიმართა შრომა წამების მეთოდად გადაიქცა, ხელისუფლებას კი ოსტატურად გამოსდიოდა წამების ახალი ფორმების გამოგონება; შემოთავაზებული საქმიანობები, რომლითაც პატიმრები იყვნენ დაკავებული, უკიდურესად დამსჯელობით ხასიათს ატარებდა, აუტანლად დიდ ხანს იწელებოდა დროში და საშინლად გამოფიტავდა ტუსაღს“.

რუშე და კირქჰეიმერი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში მიმდინარე სადამსჯელო სისტემების გარდაქმნებს (ახლა უკვე, სასჯელის ჰეგემონურ ფორმას) აღწერდნენ, თუმცა ჰიპოთეზა არ იცვლება: პროგრესისა და რეგრესის ახსნა დასჯასა და შრომის ბაზარს შორის არსებული კავშირის პრიზმიდანაა შესაძლებელი. სწორედ ეს წარმოადგენს ფილადელფიური მოდელის (რომელიც იზოლატორში მოთავსებას გულისხმობდა) წარმოშობის და შემდგომში მისი კრიზისის მიზეზს. ფილადელფიური მოდელი ობურნის მოდელმა ჩაანაცვლა (რომელიც დღისით კოლექტიურ შრომას, ხოლო ღამით, პატიმართა იზოლირებას გულისხმობდა). აშშ-ში ობურნის მოდელს ანიჭებდნენ უპირატესობას, ვინაიდან ინდუსტრიული განვითარების პერიოდში სამუშაო ძალის დეფიციტი წარმოიქმნა. ევროპაში ვითარება სრულიად განსხვავებული იყო: სახეზე იყო სამუშაო ძალის სიჭარბე და სადამსჯელო სისტემამ უგულებელყო პროდუქტიული მიზნები უპირატესობა პატიმრების სრულ იზოლაციას მიანიჭა.

თუმცა, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ვითარება კვლავ შეიცვალა: ორგანიზებული მუშათა კლასის მოძრაობის განვითარებამ და შრომის გაუმჯობესებულმა პირობებმა პროლეტარული კლასის ცხოვრების სტანდარტების ამაღლებაზე მოახდინა ზეგავლენა. ამ გარდაქმნამ მნიშვნელოვნად იმოქმედა სადამსჯელო პოლიტიკასა და ციხეებში ადამიანებთან მოპყრობაზე: ევროპაში სოციალურ კონფლიქ-ტებთან და შემწყნარებლობის ახალ ტენდენციასთან გამკლავების მიზნით განახლებული სოციალური პოლიტიკის იმპლემენტაცია დაიწყო.

„ცხოვრების ზოგადი პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, ციხეში არსებული მდგომარეობაც გაუმჯო-ბესდა. ციხეების მასობრივმა ჩანაცვლებამ ერთკაციანი საკნებით მრავალი ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულების აშენებისკენ და ამავდროულად, გამოუსადეგარობის გამო, ციხის ძველი შენობების მიტოვებისკენ უბიძგა ხელისუფლებას. ციხეები გადატვირთული აღარ იყო, რამაც თავისთავად მოხსნა ჰიგიენასთან დაკავშირებული პრობლემები, ამასთან, საკვების ხარისხიც გაუმჯობესდა და ყურადღება პატიმრების ჯანმრთელობის პრობლემებზე გამახვილდა“.

პატიმრობის მაჩვენებლები დაეცა და ამასთან დამნაშავეობის ახალი თეორიებიც გამოჩნდა, რომლებმაც ლეგიტიმაცია მისცეს სადამსჯელო პოლიტიკის ამ ცვლილებას (მაგ: ფერის (Ferri) სოციოლოგიური პოზიტივიზმი).

წიგნის ბოლო ნაწილში ნავარაუდებია, რომ სადამსჯელო სისტემაში ცვლილებები მომავალშიც განხორციელდება - დაპატიმრება მატერიალური ხასიათის სასჯელით ჩანაცვლდება. თუმცა, წიგნის მოცემული ნაწილი, რომელიც პირველთან შედარებით ნაკლებად დამაჯერებელია, რუშეს ნაშრომში კირქჰაიმერის გამოჩენის შედეგია.

დასჯის პოლიტიკური ეკონომიკა და სასჯელის ახალი ისტორია

ამ თავში უნდა მიმოვიხილოთ დასჯის ზოგიერთი კრიტიკული თეორია, რომელიც 1970-იანი წლების მეორე ნახევარში გამოჩნდა. ეს არ იქნება ციხეებთან დაკავშირებული ისტორიული ნაშრომების დეტალური ანალიზი. ჩვენს მიერ განსახილველი ლიტერატურა (მელოსის და პავარინის, იგნატიევისა და ფუკოს ნაშრომები), რუშესა და კირქჰეიმერის მიერ მონიშნულ მთელ ისტორიულ პერიოდს აანალიზებს, რისი სრულად მოცვა აქ შეუძლებელი იქნება. ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, თუ კონკრეტულად რისი თქმა შეუძლია ამ კვლევებს ეკონომიკისა და სასჯელის ურთიერთკავშირის შესახებ.

ტკივილის სამართლიანი საზომი (A Just Measure of Pain)

მაიკლ იგნატიევი თავის ნაშრომში, „ტკივილის სამართლიანი საზომი“, სადამსჯელო სისტემის პირველსაწყისების სოციოპოლიტიკურ ისტორიაზე წერს. მისი ნაშრომი სასჯელთან დაკავშირებული იდეების ისტორიაზე მეტია. იგნატიევი კლასობრივი კონფლიქტის კონტექსტში აანალიზებს იმ იდეების წარმოქმნის პროცესს, რომელიც ინგლისში მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს დაიწყო და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა.

მოცემული ნაშრომი ისეთი რეფორმისტების გავლენას აღიარებს, როგორებიც არიან ჯონ ჰოვარდი და ელიზაბეთ ფრაი. ავტორის თანახმად, სადამსჯელო სისტემების საფუძვლების გააზრება შეუძლებელი იქნება, თუ იმ პერიოდის სოციალურ და პოლიტიკურ დებატებს უგულებელვყოფთ: რეფორმისტებისა და ფილანტროპების როლი ფიზიკური სადამსჯელო მოდელიდან თავისუფლების აღკვეთაზე გადასვლაში ვერ დაიყვანება არსებული სოციალური წესრიგის იდეოლოგიურ ლეგიტიმაციამდე. იგნატიევი გვთავაზობს:

„ამ ახალი იდეების სოციალურ ისტორიას; განსაკუთრებული ფოკუსით ამ იდეების პენიტენციურ სისტემაში დანერგვისთვის ბრძოლებზე; და წინააღმდეგობებზე, რაც ამ პროცესმა პატიმრებსა და პოლიტიკურ რადიკალებში წარმოშვა; და მოულოდნელობებზე, რაც ამ იდეების ტრიუმფის გაუთვალისწინებელ თუ გამიზნულ შედეგებს მოჰყვა...“

იგნატიევი იმ განსხვავებულ გარემოებებს ალაგებს პრიორიტეტულობის მიხედვით, რომლებიც დროში ახალი სადამსჯელო პრაქტიკების წარმოქმნას დაემთხვა. ამ მხრივ, ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში ინგლისურ საზოგადოებაში არსებული კლასობრივი ურთიერთობები გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენდა. ეს კლასობრივი კონფლიქტი თავისი სიმძაფრისდა გამო პოლიტიკური ელიტების კონფლიქტად გარდაიქმნა, სადაც სოციალური წესრიგისა და სტრატეგიების განსხვავებული გამოხატულებები ფრიად სადავო იყო. სწორედ ამავე კონტექსტში ჰპოვებენ ადგილს რეფორმისტთა იდეებიც: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრობლემა მეცხრამეტე საუკუნის ინგლისში საზოგადოების სოციალური წესრიგის დაცვაში მდგომარეობდა, რომლისთვისაც კლასობრივი კონფლიქტი სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. საგულისხმოა, რომ ეკონომიკასა და საწარმოო ურთიერთობებს იგნატიევის ანალიზში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს:

„აშკარაა, რომ შრომითი ბაზრის პირობები მხოლოდ ერთია იმ უამრავ ფაქტორს შორის, რომელიც სადამსჯელო სტრატეგიას განსაზღვრავს. მაგალითად, შრომითი პირობები არ განსაზღვრავდა სხვა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილებები კულტურულ შეფასებებში „ნორმასა“ და „დევიაციას“ შორის სატანადო სოციალური დისტანციის შესახებ.“

შრომის ბაზარი და საწარმოო ურთიერთობები, რომლებიც თითქოს იგნატიევის ანალიზის (კერძოდ კი, კლასობრივი კონფლიქსიტ ანალიზის) ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდნენ, სინამდვილეში არ გამხდარა ავტორის ინტერესის მთავარი საგანი; ისევე, როგორც სადამსჯელო სისტემებსა და ახლადწარმოქმნილ კაპიტალისტურ ეკონომიკას შორის კავშირი. სადამსჯელო ინსტიტუციებსა (გამოსასწორებელი, იძულებითი შრომის თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებები) და მწარმოებელ ინსტიტუციებს (საწარმო და ქარხანა) შორის არსებული კავშირი, ისევე, როგორც დასჯასა და შრომით ბაზარს შორის არსებული ურთიერთკავშირი პარალელიზმის და არა ინტერაქციის ჭრილშია წარმოდგენილი.

ამგვარად, ეკონომიკასა და შრომით ბაზარს მხოლოდ ერთი არაპირდაპირი მნიშვნელობა აქვს სასჯელისთვის: ისინი წარმოადგენენ სფეროს, სადაც სოციალური უწესრიგობა შეიძლება გავრცელდეს (უმუშევრობის, სამუშაოზე უარის თქმის ან დანაშაულის გამო). რეფორმატორებს სურდათ ბოლო

მოეღოთ მსგავსი ტენდენციისთვის, რა მიზნითაც სადამსჯელო პოლიტიკები შეიმუშავეს. ამგვარად, სასჯელაღსრულების დაწესებულება სოციალური წესრიგის იმ მოდელად გადაიქცა, რომელსაც შრომითი ბაზრის დეფორმირება უქმნის საფრთხეს.

„სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პენიტენციური დაწესებულებები ინსტიტუციონალურ კრიზისს უფრო ფუნქციურ პასუხს სცემენ. ისინი იერარქიის, მორჩილებისა და ღვთიური სოციალური წესრიგის იმ მიკროკოსმოსად მოევლინა საზოგადოებას, რომლისგანაც ადამიანი გამოცალკევებულად გრძნობდა თავს“.

იგნატიევი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სადამსჯელო პოლიტიკის გამკაცრებას ინდუსტ-რიული რევოლუციის გავლენებს უკავშირებს, კერძოდ კი, მზარდ უმუშევრობას. საკუთარი მიწებიდან გამოძევებულ გლეხთა მასებმა ურბანულ ცენტრებს მიაშურეს, რამაც ზეგავლენა იქონია კრიმინალის დონის მატებაზე და სოციალურ უწესრიგობაზეც: სოციალური უწესრიგობა ხსნის იმ ტერორს, რომელშიც დაპატიმრებულ ადამიანებს ამყოფებდნენ. იქ, სადაც რუშმა და კირქჰეიმერმა ჭარბმოსახლეობა შენიშნეს, რომელთა „ინდუსტრიული რეზერვის არმიად“ გადაქცევაშიც სადამსჯელო პრაქტიკებმა შეიტანა წვლილი, იგნატიევმა პოტენციური კრიმინალები განჭვრიტა, რომლებიც ტრადიციულ წესრიგს უქმნიდნენ საფრთხეს:

„დანაშაული ინტერპრეტირდებოდა, როგორც შრომითი ბაზრის დისციპლინებსა და კლასობრივ ურთიერთობებში მიმდინარე კრიზისის ნიშანი, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით შეეხო არამხოლოდ სამხრეთის აგრიკულტურულ რაიონებს, არამედ საწარმოო ცენტრებსა და მეტროპოლიების არასრულწლოვანთა შრომით ბაზრებს.“

როგორც ჩანს, იგნატიევი თავს იზღუდავს კლასობრივი კავშირების (უდისციპლინობის, ამბოხების, სოცია-ლური უწესრიგობისა და კრიმინალის) ფენომენოლოგიური აღწერისას, რასაც ის ციხის ფუნქციური მნიშვნელობის უპირობოდ მიღებისკენ მიჰყავს. იგნატიევი არაფერს ამბობს მარგინალი-ზებული ადამიანების იმ მასებზე, ვისაც ახალი, მკაცრი დისციპლინის რეჟიმი შეეხო.

ერთკაციანი საკნების სისტემის (პეტონვილი) წარმოქმნა განხილულია როგორც პოლიტიკოსების მიერ წესრიგის შენარჩუნებისა და ამასთან, ამბოხებული ღარიბი ფენის დისციპლინირებისკენ მიმართული მცდელობის შედეგად. თუმცა, იგნატიევი არაფერს გვეუბნება იმაზე, იყო თუ არა დისციპლინის ეს ფორმა პასუხი საწარმოო სისტემის საჭიროებებზე, რომელიც მანუფაქტურიდან ქარხნულ მოდელზე გადასვლის პროცესში იყო. მისი მოსაზრებით, „სოციალური საჭიროების“ განგრძობადობამ სადამსჯელო სისტემას მისდამი მიმართული კრიტიკა გადაალახინა: ციხის ინსტიტუტის გადარჩენა ეპოქის სოციალური კრიზისის გადალახვის აუცილებლობის შედეგია. რეფორმატორებმა ამ კრიზისს გარკვეული ინტერპრეტაცია მისცეს და ამასთან, შესაძლო გამოსავლებიც დასახეს:

„...ციხის ინსტიტუტის მხარდაჭერა სოციალური საჭიროებით იყო განპირობებული. რეფორმატორებმა ის გამოიყენეს არამხოლოდ დანაშაულის, არამედ იმ პერიოდის სოციალური კრიზისის პასუხადაც და ამასთან ისეთი სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმების ჭრილში მოაქციეს, რომლებსაც წესრიგის ახალი საფუძვლები უნდა ჩამოეყალიბებინა“.

მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ ეს სოციალური წესრიგი ახლადწარმოქმნილ კაპიტალისტურ საზოგადოებას ეკუთვნოდა. იგნატიევი უგულებელყოფდა იმ მოსაზრებას, რომ სოციალური წესრიგის მიღწევისთვის საჭირო იყო ღატაკთა პროლეტარულ კლასად გარდაქმნა: შესაბამისად, სადამსჯელო და საწარმოო ინსტიტუციებს შორის კავშირი უბრალო შემთხვევითობამდე დაჰყავს. იგნატიევისთვის ციხე, ფსიქიატრიული საავადმყოფო, გამოსასწორებელი დაწესებულება ანალოგურ მოდელებს წარმოად-

გენდნენ: თუმცა არა იმის გამო, რომ რაიმე ნაცვალგებითი ურთიერთობა არსებობდა, რომელიც კრიმინალების, ფსიქიკურად დაავადებულებისა და ღარიბების პროლეტარებად გარდაქმნას ისახავდა მიზნად. ეს მხოლოდ და მხოლოდ იდეოლოგიური ლეგიტიმაციის საკითხი იყო:

„საწარმოების, შრომის სახლებისა და თავშესაფრების კარგმა ორგანიზებამ სასჯელაღსრულების დაწესებულების მოდელის ეფექტურობის შთაბეჭდილება შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა ვერც რეფორმირება შეძლო და ვერც დამნაშავეთა შეკავება... 1850-იან წლებში მოცემულ ლოგიკასთან დაპირისპირება ნიშნავდა არამხოლოდ ერთ კონკრეტულ ინსტიტუციასთან, არამედ სრულიად ინდუსტრიული წესრიგის კომპლექსურ სტრუქტურასთან დაპირსპირებას“.

იგნატიევის ნაშრომში, სასჯელის პოლიტიკური ეკონომიკა რეალურად „სადამსჯელო პოლიტიკის ეკონომიკას“ უფრო აღნიშნავს. თავად წიგნი, რეალურად, იმ სოციალური და ისტორიული ფაქტორების დეტალურ აღწერას შეიცავს, რომელმაც რეფორმისტების წარმატება განაპირობეს. საწარმოო ურთიერთობები ამ კონტექსტში მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ: ისინი მნიშვნელოვანი მხოლოდ იმიტომ არიან, რომ იგანტიევს შესაძლებლობას აძლევენ ციხის ინსტიტუტის პირველსაწყისებს კლასობრივი საზოგადოების სოციალური წესრიგის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლების ველში მიაკვლიოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკისა და სასჯელის ურთიერთმიმართება სოციალური წესრიგისა (ან უწესრიგობის) და პოლიტიკის ურთერთმიმართებად გარდაისახება. საწარმოო ურთიერთობებსა და სადამსჯელო სისტემებს შორის არსებული კავშირი პრაქტიკების, იდეებისა და პოლიტიკის მთელ კომპლექსშია გაბნეული, რასაც იგნატიევი წარმოების კაპიტალისტური სისტემის წარმოშობის ისტორიული მნიშვნელობის არასათანადო შეფასებამდე მიჰყავს.

დისციპლინა და სასჯელი

ალბათ, სრულიად გაუმართლებელი იქნება სასჯელის პოლიტეკონომიის შესახებ ფუკოს ნააზრევის იქამდე დაყვანა, რასაც თავად ავტორი „დისციპლინასა და სასჯელს უწოდებს“. სინამდვილეში, ეს წიგნი ფუკოს იმ იდეების სისტემატიზებას ემსახურება, რომელსაც ავტორი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ნაშრომებში ავითარებდა. მის უნიკალურ მიგნებებს შესაძლოა, ხშირად, ფრიად არასისტემატიზებულ ნაშრომებში მივაკვლიოთ.

ფუკოს მიზანს ძალაუფლებითი ტექნოლოგიების გენეალოგიის შექმნა წარმოადგენდა, რომელიც შიდა ეკონომიკისა და კონტროლის განსხვავებული სისტემების აღწერის შესაძლებლობას მოგვცემდა. შეკითხვა კი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ შეიცვალა სოციალური კონტროლის სისტემები ისტორიის მანძილზე და როგორ განვითარდა ისინი მათი ნეგატიური თუ ექსკლუზიური ფუნქციებისა თუ პოზიტიური და პროდუქტიული როლებისგან დამოუკიდებლად.

დისციპლინარული ტექნოლოგიები, რომლებსაც ფუკო თავის ნაშრომში აღწერს იმ კონტექსტს აღწერს, რომლის ფარგლებშიც ციხის ინსტიტუცია წარმოიშვა. თავის მხრივ, დისციპლინარული საზოგადოების წარმოქმნა იმ პროცესს უკავშირდება, რომელსაც ფუკო „სახელმწიფოს გოვერნმენტალიზაციას“ უწოდებს. ამ პროცესში ავტორი სუვერენიტეტის გარშემო კონცენტრირებული ძალაუფლებითი მოდელიდან „მმართველობის მეცნიერების“ ძალაუფლებით მოდელზე გადასვლას გულისხმობს. დისციპლინარულმა ტექნოლოგიებმა (კერძოდ კი, ციხეებმა) საკუთარი ადგილი სწორედ მმართველობის რაციონალობაში ჰპოვეს. კლასიკურ ხანაში ძალაუფლება, რომელიც საკუთარი კონტროლის პრაქტიკებს თავისივე პრეროგატივების დაცვისთვის იყენებდა, მმართველობითი ძალაუფლებით

ჩანაცვლდა. ამ ძალაუფლებით მოდელმა კი სამიზნეებად მოსახლეობა და მისი წარმოებითი დინამიკა აირჩია.

ძალაუფლების მიზანს აღარ წარმოადგენდა რეპრესიული პრაქტიკების მეშვეობით ისეთი ტიპის საფრთხეების ნეიტრალიზება, რომელიც საზოგადოებიდან მომდინარეობდა. მიზანს ამიერიდან მმართველობითი ტექნოლოგიების გამოყენებით სოციალური რესურსების კონტროლი წარმოადგენდა. ამ მხრივ, ინდივიდი და მისი როლი მწარმოებელ საზოგადოებაში ძალაუფლებითი ტექნოლოგიების ფოკუსად გადაიქცა. შედეგად, ძალაუფლებას პოზიტიური და პროდუქტიული როლი მიენიჭა:

„მოსახლეობის კეთილდღეობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება (თავის ნებისმიერ გამოვლინებაში, იქნება ეს გადასახადები, დეპოპულაცია, უმუშევრობა, უსახლკარობა, სიღატაკე თუ სხვა) პოლიტეკონომიკის ფორმირების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს“.

ეს ფუკოს ძალაუფლების თეორიის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს. დისციპლინარული ტექნოლოგიები მათი ძალაუფლების პროდუქტიულ მხარეს წარმოაჩენენ, რისი ფილოსოფიური საფუძვლებიც პოლიტიკური ეკონომიკა ძევს, ხოლო ციხე ამ პროცესის ინსტიტუციონალურ ფორმას წარმოადგენს. ახლა უკვე იმის გაგებაც შეგვიძლია, თუ რატომ წარმოიშვა სხეულის პოლიტიკური ეკონომიკა სწორედ ციხიდან: მართლაც, სასჯელაღსრულებითი დაწესებულების გამოგონება სხეულის, როგორც პროდუქტიული ერთობის კონცეფციის ხორცშესხმა იყო. თუ იგნატიევი თავის ნაშრომში პატიმრობას სოციალურ უწესრიგობაზე გამოხატულ აუცილებელ „რეაქციად“ განიხილავს, ფუკო ციხის ინსტიტუტის ფორმირებას რეაქტიული მოდელიდან ძალაუფლების პროდუქტიულ მოდელზე გადასვლად მიიჩნევს:

„უნდა ვაჩვენოთ, რომ სადამსჯელო ღონისძიებები უბრალოდ „ნეგატიურ“ მექანიზმებს არ წარმოადგენენ, რომლებიც რეპრესიას, პრევენციას, განდევნას და აღკვეთას შესაძლებელს ხდიან; სადამსჯელო ღონისძიებები პოზიტიური და სასარგებლო ეფექტების მთელ სერიას უკავშირდებიან, რომელთა ამოცანაც მხარდაჭერაა...“.

განდეგილობა ჩართულობას განდევნის გზით ხდის შესაძლებელს. მეფის ძალაუფლებისთვის ხოტბის შესხმა წამებული სხეულის დესტრუქციული განდევნის გზით აღარ განიხილება, თუმცა სამაგიეროდ ახლა მმართველობითი ძალაუფლების რაციონალობის ზეიმობაა აქტუალური, რაც კონსტრუქციული ჩართვის გზით მიიღწევა: პატიმრობა მიზნად დისციპლინის საგნის წარმოებას, მის გარდაქმნას და ინტეგრირებას ისახავს. ფუკოს ნაშრომში გადმოცემულ ანალიზში უხვად გვხვდება მინიშნებები წარმოების კაპიტალისტურ ურთიერთობებზე, რომლებიც დისციპლინარული ტექნოლოგიების ერთიანობაში წარმოიშვა. მართლაც, კავშირი დისციპლინასა და შრომის კაპიტალისტურ ორგანიზებას შორის ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ შემთხვევითობა. როდესაც ავტორი „სხეულის პოლიტიკურ ეკონომიკაზე“ საუბრობს, ის იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ დისციპლინარული ტექნიკები კონკრეტულ სფეროებში „მწარმოებელ სხეულებშია“ განთავსებული: სკოლებში, ყაზარმებში, საავადმყოფოებში, ციხეებსა და ქარხნებში. ერთჯერადად დისციპლინირებული მორჩილი სხეული შეგვიძლია, წარმოებით კონტექსტს მივაკუთვნოთ. მნიშვნელობა არ აქვს, თუ კონკრეტულად რომელი ტიპის პროდუქტიულობას ვიგულისხმებთ (სამედიცინოს, სამეცნიეროს, სამხედროს თუ ინდუსტრიულს), მისი რაციონალობა ამით არ შეიცვლება.

ამგვარად, დისციპლინა და გოვერნმენტალობა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს: პირველი სხეულის მართვის ტექნოლოგიას წარმოადგენს, ხოლო მეორე კონკრეტულ საზღვრებში მოქცეული მოსახლეობის მართვის მეცნიერებას აღნიშნავს. ორივე მათგანი იმ ეკონომიკურ ცოდნას ეფუძნება, რომელიც მიზნად სოციალური პროდუქტიულობის გაზრდას ისახავს. დისციპლინარული პრაქტიკები იმ ინდივიდებს აწარმოებენ, რომლებიც შემდგომში პროდუქტიულ მოსახლეობას შექმნიან. წიგნის იმ ნაწილში,

რომელსაც ფუკომ „პანოპტიციზმი“ უწოდა, ავტორი მკაფიოდ წარმოაჩენს კავშირს შრომის კაპიტა-ლისტურ ორგანიზაციასა და სხეულების დისციპლინირებულ გადანაწილებას შორის:

„სინამდვილეში მოცემული ორი პროცესი - ადამიანებისა და კაპიტალის აკუმულაცია - განუყოფელია; ადამიანების აკუმულაციის პრობლემის მოგვარება შეუძლებელი იქნებოდა წარმოების ისეთი აპარატის გაფართოების გარეშე, რომელიც ორივე მათგანს შეინარჩუნებდა და გამოიყენებდა; საპირისპიროდ, იმ ტექნიკებმა, რომლებმაც ადამიანების კუმულაციური სიმრავლე გამოყენებადი გახადა და კაპიტალის აკუმულაციას შეუწყო ხელი... კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდამ დისციპლინარული ძალაუფლების ისეთ სპეციფიურ ფორმას მისცა დასაბამი, რომლის ზოგადი ფორმულები თუ დასამორჩილებელი ძალები და სხეულები, ერთი სიტყვით, „პოლიტიკური ანატომია,“ ფუნქციონირებას შეძლებდა ყველაზე განსხვავებულ პოლიტიკურ რეჟიმებში, აპარატებსა თუ ინსტიტუციებში“.

იგნატიევმა განჭვრიტა მსგავსება ციხესა და ქარხანას როგორც იდეოლოგიური ინსტრუმენტს შორის, რომელიც ლეგიტიმაციას ანიჭებდა პატიმრობას, როგორც სოციალური ინსტიტუციების უფრო ფართო კომპლექსის ნაწილს: ამ კონტექსტში ციხის ინსტიტუტთან დაპირისპირება ნიშნავდა მთელ ინდუსტრიულ საზოგადოებასა და მის ინსტიტუციებთან დაპირსპირებას. თუმცა, ფუკო ამ პარალელიზმს სცდება და დისციპლინარული საზოგადოების მიღმა არსებული მრავალფეროვანი აპარატების ერთიან ლოგიკას გამოააშკარავებს. ისინი ერთმანეთს ჰგვანან არა იმიტომ, რომ მსგავს პასუხებს სცემენ მსგავს სოციალურ პრობლემებს, არამედ იმიტომ, რომ სხეულების გარდაქმნისა და მათი ნაყოფიერად ორგანიზების საერთო მიზანს იზიარებენ.

ციხე დროისა და სივრცის ახალ კონცეფციას ავითარებს, რომელიც სხეულებსა და მოსახლეობას მიესადაგება. ჟესტების სინქრონიზაცია, ქარხნებში ინდივიდების სიმრავლის დარეგულირება, სხეულისა და მანქანის ურთიერთობა - ეს ის ასპექტებია, რომლებიც იმ ახალ და განსაკუთრებულ ეკონომიკურ რაციონალობას ნათელყოფენ, რომელიც ფორმას ინდუსტრიული წარმოების კონსოლიდაციასთან ერთად იღებს.

სასჯელის პოლიტეკონომიისთვის ფუკოს ნაშრომის მნიშვნელობის დაკნინება შეუძლებელია. ციხის ინსტიტუტის წარმოშობა პოლიტეკონომიის საკითხად იმიტომ გადაიქცა, რომ თავად პოლიტიკური ეკონომიკა გადაიქცა ხელისუფლების ახალი მეცნიერების ფილოსოფიად. მართლაც, დისციპლინარულ ინსტიტუციებს და წარმოების ადგილებს შორის კავშირი ცალსახაა. დისციპლინარული ტექნიკების ფუკოსეული ანალიზი სასჯელის პოლიტიკური ეკონომიკა შესაძლებლობას აძლევს, გადალახოს ისტორიული რეკონსტრუქციის საზღვრები, რომელიც, მაგალითისთვის, იგნატიევთან გვხვდება და ხელს გვიშლის ციხესა და ქარხანას შორის არსებული სიღრმისეული კავშირების გამოვლენაში. „დისციპლინა და სასჯელი“ ახალ სივრცეს ხსნის დასჯის ეკონომიკური და პოლიტიკური ანალიზისთვის, რომელიც სტრუქტურულ კავშირებს გამოავლენს სადამსჯელო სისტემებსა და კაპიტალიზმის წარმოშობას შორის.

ციხე და ქარხანა

მელოსისა და პავარინის ნაშრომი „ციხე და ქარხანა“ შესაძლოა მარქსისტული პარადიგმის ციხის ისტორიასთან მისადაგების ყველაზე მნიშვნელოვან მცდელობას წარმოადგენს. მისი ნაშრომი სასჯელაღასრულებითი სისტემის საწყისებს დასავლური საზოგადოებების კომპლექსურ ტრანსფორ-მაციებში ეძებს, რომელსაც მარქსი „კაპიტალის“ პირველ თავში აღწერს. აქ მარქსი ე.წ „საწყის აკუმულაციაზე“ მსჯელობს, ანუ ფაზაზე, რომელსაც საკუთარი განვითარებისთვის აუცილებელი საფუძველი თავადვე უნდა შეექმნა. კაპიტალს უნდა გაენადგურებინა სოფლის მეურნეობასა და

ხელსაქმეზე დამყარებული ეკონომიკა, ხოლო მისი სამუშაო ძალა მუშათა კლასად გადაექცია. თუმცა, ამ პროცესის წინააღმდეგობრივი მხარე აშკარად იჩენს თავს: ერთი მხრივ, კაპიტალმა შრომა გამოათავისუფლა პოლიტიკური მონობისა და პიროვნული დამოკიდებულებისაგან; მეორე მხრივ, მან შრომა სუბორდინაციის ახალ, წმინდად ეკონომიკურ ფორმას დაუქვემდებარა. შრომის „გამოთავისუფ-ლება“ მწარმოებელთა ექსპროპრიაციის გზით მოხდა, რომლებმაც მონობის განსხვავებული ფორმა შემოიღეს:

„ისტორიულ მოძრაობასთან დაკავშირებით, რომელმაც მწარმოებლები დაქირავებულ მუშებად გადააქცია, ორი პერსპექტივა იკვეთება. ჩვენი ბურჟუა ისტორიკოსებისთვის მოძრაობამ ადამიანები ბატონ-ყმობისა და გილდიის ბორკილებისგან გაათავისუფლა. მეორე მხრივ, ეს ახლადგათავისუფ-ლებული ადამიანები საკუთარი თავის გამყიდველებად გადაიქცნენ, რომლებიც წარმოების საშუალებებისგან და ძველი ფეოდალური შეთანხმებებით გაცემული საარსებო გარანტიებისგან განძარცვეს“.

მიწებიდან გამოძევებულმა გლეხებმა ქალაქებს მიაშურეს და ღატაკთა მასებს შეუერთდნენ. დასაწყისში, სამუშაო ძალის ამ რესურსისთვის წარმოების შეცვლილ პირობებში ადგილი ვერ მოიძებნა, ისინი ვერც ქარხნული შრომის ორგანიზების ახლებურ წესს ეგუებოდნენ. მარქსი გვიჩვენებს, რომ ამ პრობლემამ სადამსჯელო პრაქტიკების მთელი სერია წაახალისა:

„ამუამინდელი მუშათა კლასის მამები იმისთვის დასაჯეს, რომ იძულებით გადააქციეს მაწანწალებად და ღატაკებად. კანონმდებლობა მათ “მოხალისე“ კრიმინალებივით ეპყრობოდა და მიიჩნევდა, რომ ძველ სამუშაო პირობებში (რომლებიც აღარ არსებობდა) მუშაობა სწორედ მათ კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული“.

ამ შემთხვევაში პრობლემური იყო პროლეტარული კლასის წარმოქმნა შრომის ცვალებად კაპიტალად გარდაქმნის გზით, რომელიც თავის მხრივ ნამატ ღირებულებას შექმნიდა. რაც იმას ნიშნავს, რომ პრეკაპიტალისტური შრომის ყველა აქამდე არსებული ტიპოლოგია აბსტრაქტული შრომის ზოგად ფორმამდე დაიყვანებოდა: მწარმოებლები სოციალური შრომის ძალად გადაიქცნენ, ხოლო „კოლექტიურმა მუშამ“ ინდივიდუალური მშრომელი ჩაანაცვლა:

„შრომის კაპიტალისადმი, კერძოდ კი წარმოების კაპიტალისტური ფორმისადმი დაქვემდებარებაში, სრულიად შრომითი პროცესის ბერკეტს ინდივიდუალური მშრომელი არ წარმოადგენს. შრომითი ძალაუფლება სოციალურად ერწყმის მრავალ სხვა კონკურენტულ შრომით ძალებს და ისინი ერთობლიობაში წარმოების მანქანას ქმნიან, საქონლის დამზადებისა და უფრო კონკრეტულად, პროდუქტის შექმნის უშუალო პროცესში მონაწილეობენ“.

მელოსი და პავარინი სადამსჯელო პრაქტიკების როლს აღწერენ შრომის კაპიტალისადმი დაქვემდებარების ისტორიულ პროცესში. ისინი გვიჩვენებენ იმ წინააღმდეგობას, რომელსაც ეს პროცესი ეფუძნება (შრომის გამოთავისუფლებას მისი დამონების გზით) და შემდეგ შეკითხვას სვამენ: რა როლი შეასრულა ციხემ ამ წინააღმდეგობის კონტროლში? ამ შეკითხვას მათ თავის ნაშრომში, „ციხე და ქარხანა“, უპასუხეს. ავტორების მოსაზრებით, სადამსჯელო ინსტიტუტებმა არსებითი როლი შეასრულეს: სასჯელაღსრულებითი სისტემა ქარხნის დამხმარე ინსტიტუციად წარმოიშვა, როგორც ინდუსტრიული წარმოების სისტემის საჭიროებებზე მოპასუხე ფუნქციური მექანიზმი. ციხის შიდა დინამიკა, როგორც ორგანიზაციულ, ისე იდეოლოგიურ დონეზე ვერ გამოიყოფა იმ პროცესებისგან, რომელიც პარალე-ლურად წარმოების სფეროში მიმდინარეობს და ვერც დისციპლინარული ქმედების კონცეფციიდან. ეს ქმედებები ერთგვარი მედიუმის როლს ასრულებენ ქარხანასა და ციხეს შორის. თუმცა, მელოსისა და

პავარინის მიერ აღწერილი დისციპლინა ინდივიდების კონტროლისთვის განკუთვნილი ისეთი ტექნოლოგიაა, რომლის საფუძვლებსაც საწარმოო ურთიერთობების სამყაროში შეგვიძლია მივაკვლიოთ. სეგრეგაციისთვის განკუთვნილი ყველა ინსტიტუცია მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს წარმოიშვა და ერთსა და იმავე დისციპლინარულ ლოგიკას იზიარებდნენ:

„მათი სპეციფიური ფუნქციების გარდა, ყველა ამ ინსტიტუციას საერთო მიზანი აერთიანებდა, რომელიც პროლეტარიატზე კონტროლის დამყარებას ისახავდა მიზნად. ბურჟუაზიული სახელმწიფო თითოეულ მათგანს ქარხნის პროლეტარიატის ფორმირების, წარმოებისა და კვლავწარმოების სხვადასხვა მომენტში წამყვან როლებს ანიჭებს: საზოგადოებისთვის ისინი სოციალური კონტროლის არსებითი ინსტრუმენტებია, რომელთა მიზანსაც კაპიტალისთვის აუცილებელი სამუშაო ძალის დაცვა წარმოადგენს. თავისი მორალური დამოკიდებულების, ფიზიკური ჯანმრთელობის, ინტელექტუალური შესაძლებლობების, მორჩილების და სხვა თვისებებისდა გამო, ეს ინსტრუმენტები მარტივად მიესადაგებოდნენ ქარხნის ცხოვრების რეჟიმს და შედეგად შრომის უზარმაზარ ნამატს წარმოქმნიდნენ“.

ციხე სუბიექტურობის წარმოებისა და კვლავწარმოების აპარატს წარმოადგენს. ციხის ინსტიტუციის მეშვეობით ფორმირებული ინდივიდების ახალი კატეგორია მორჩილებით გამოირჩევა, ბრძანებებს ასრულებს და მუშაობის რიტმს აკვირდება, დროისა და სივრცის ახლებური კონცეფციის ინტერნალიზების გზით. სასჯელაღსრულებითი სისტემის ამოცანას დამწყვდეული მასებისთვის ამ თვისებების ჩანერგვა და ამ გზით, შრომის დაქვემდებარება წარმოადგენს, როგორც ეს მარქსმა აღწერა. ისევე, როგორც ნაშრომში „დისციპლინა და სასჯელი“, აქაც სხეულის პოლიტკონომიაზე მსჯელობას ვხვდებით. თუმცა, ამ შემთხვევაში სხეული ფუკოსეულ ზოგად, აბსტრაქტულ სხეულს არაფრით ჰგავს: ეს უფრო საწარმოო ერთობაა, რომელსაც ნამატი ღირებულების მსგავსად ეპყრობიან. ეს სხეული სხვა სხეულებთან ერთად ექვემდებარება შრომის სამეცნიერო ორგანიზაციას და კაპიტალად გადაიქცევა. მელოსის თანახმად:

„ეს დისციპლინა ნამატი ღირებულების მოპოვების მთავარი პირობაა და ის ერთადერთი ნამდვილი გაკვეთილი, რომელიც ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ პროლეტარიატს ჩაუტარა. თუ სამართლებრივი იდეოლოგია წარმოების გარეთ ბატონობს, მის შიგნით მმართველობის სადავეები მონობასა და უთანასწორობას უკავია. წარმოების ადგილი ქარხანაა. ამგვარად, შრომითი სახლების ინსტიტუციური ფუნქცია და მოგვიანებით, ციხეებისაც, პროლეტარიატისთვის ქარხნული დისციპლინის სწავლებაში მდგომარეობდა“.

ეს არა უბრალოდ ციხის ინსტიტუციის აღწერის, არამედ ინდუსტრიული პროლეტარიატის ფორმირებაში მისი როლის გამოკვეთის საკითხიცაა. პრობლემა სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში სოციალური კონტროლის სისტემის დამხმარე ფუნქციის გამოვლენაში მდგომარეობს. ისტორიული გამოძიების საზღვრებიც სწორედ აქ იკვეთება და ჩვენ მატერიალისტური მიდგომის ჩამოყალიბების შესაძლებლობის წინაშე ვდგებით, რომელიც წარმოებისა და სოციალური კონტროლის ურთიერთმიმართების საკითხს სწავლობს.

სამუშაო ძალის კვლავწარმოების საკითხის დასმა ისეთი ორი ავტორისთვის ხდება აუცილებელი, რომელიც მხედველობაში იღებენ ციხის როგორც მატერიალურ, ისე იდეოლოგიურ განზომილებებს. მატერიალური განზომილება მათ შესაძლებლობას აძლევს ნათელი მოჰფინონ სასჯელაღსრულებითი დაწესებულების პირდაპირ ეკონომიკურ ფუნქციას, რომელიც ექსპლუატირებისთვის გამოსადეგი დისციპლინირებული სამუშაო ძალის შექმნაში მდგომარეობს. იდეოლოგიური თვალსაზრისით კი, ციხის ინსტიტუციის სიმტკიცის მიზეზები პირდაპირ სარგებლიანობას სცდება: ციხე კაპიტალისტური საზოგადოების იდეალურ მოდელს აწარმოებს. მელოსიმ და პავარინიმ ციხის ეს როლი საწარმოო

კავშირების იდეოლოგიურ კვლავწარმოებაში აღმოაჩინეს და გვიჩვენეს, თუ როგორ წარიმართება კვლავწარმოების პროცესი ინდივიდების დეკონსტრუქციისა და რეკონსტრუქციის მეშვეობით. სინამდვილეში, ციხე ღატაკს დამნაშავედ გადააქცევს, დამნაშავეს პატიმრად, საბოლოოდ კი, პატიმარს პროლეტარად:

„ინდივიდის აბსტრაქტულ საგნამდე დაყვანის შემდგომ, მისი მრავალფეროვნება „უქმდება"... მას შემდეგ, რაც ის მატერიალური მოთხოვნილებების პირისპირ აღმოჩნდება,რომელთა დაკმაყოფილებაც დამოუკიდებლად შეუძლებელია,ინდივიდი ხელისუფლების სუვერენობაზე ხდება დამოკიდებული. საბოლოოდ, დისციპლინარული მანქანა თვითგანადგურების გარდა ერთადერთი ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდება: დაქვემდებარება მორალური ფორმის წინაშე, რაც ამასთანავე პროლეტარის მორალურ ფორმასაც წარმოადგენს. პროლეტარის მორალური ფორმა არსებობის ერთადერთ წინაპირობად არის მოცემულ, რაც საკუთრების არ მქონეთა გადარჩენის ერთადერთი გზაა".

ამგვარად, ციხე ცალსახად რეპრესიული ინსტიტუციაა, ვინაიდან ის პატიმარს ყველაფერს ართმევს და სრულად დამოკიდებულს ხდის მას ხელისუფლებაზე. თუმცა, ციხე ამასთან იდეოლოგიური მექანიზმიცაა, რადგანაც ის ინდივიდს შრომას უქვემდებარებს, როგორც ამ ვითარებიდან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მელოსი და პავარინი იმ ინსტიტუციის პარადოქსს გამოააშკარავებენ, რომელიც აბსოლუტური დეპრივაციის წარმოებისას თავისივე დისციპლინარულ ტექნოლოგიებს იყენებს, როგორც ერთადერთ გამოსავალს ამ მდგომარეობიდან. ციხე ქმნის პატიმარს და ამავდროულად, ქმნის შრომას, მორჩილებასა და დისციპლინას (ანუ ამ მდგომარეობის შემადგენელ ელემენტებს), რაც ერთობლიობაში ხსნის ერთადერთ საშუალებად მოიაზრება. საბოლოოდ, ციხეში მიმდინარე დეპრივაციის პროცესი წარმოჩენილია როგორც შრომითი დისციპლინის უარყოფის ბუნებრივ შედეგი.

მელოსი და პავარინი ციხის ამ ორ განზომილებას ერთმანეთთან კავშირში აღწერენ. მატერიალური განზომილება შრომით ბაზართან მიმართებით არსებული სადამსჯელო პრაქტიკების აღწერისას გამოაშკარავდება: აქ აშკარად იკვეთება რუშესა და კირქჰეიმერის ნაკლები ვარგისიანობის კონცეფციის გავლენა. იდეოლოგიური განზომილება სადამსჯელო სისტემაში შეთანხმებითი საფუძვლების წარმოდგენის შემდგომ ჩნდება. დროის ახალი კონფცეფცია (როგორც ღირებულების საზომი) „დროის გაუქმების" პრინციპზე დამყარებული სასჯელის გამოგონებას ხდის შესაძლებელს. პაშუკანისის თანახმად:

„თავისუფლების აღკვეთა სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული ვადით დასჯის ის სფეციფიური ფორმაა, რომელშიც თანამედროვე, ანუ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სისხლის სამართალი პრაქტიკაში ახორციელებს თანაბარზომიერი საზღაურის გადახდის პრინციპს. სასჯელის მოცემული ფორმა, გაუაზრებლად, თუმცა მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის აბსტრაქციად აღქმასთან და მის მიერ გაწეული შრომის დროის საზომით გაზომვასთან".

თანაბარზომიერების პრინციპი ციხეს იდეოლოგიური თვალსაზრისით მისაღებს ხდის, ხოლო შეთანხმებას - „სამართლიანს", სადაც ძალადობას კი არა, თანაბარზომიერ გაცვლასა და „სამართლიან" გადანაწილებას ვხვდებით:

„ამგვარად, სასჯელის შინაარსი ისევეა დაკავშირებული თავის სამართლებრივ ფორმასთან, როგორც ექსპლოატაციის პროცესისთვის სახელშეკრულებო ურთიერთობის სახის მიცემას უზრუნველყოფს ქარხნის ხელმძღვანელობა"

ამ შემთხვევაში, მოქმედებაში შეგვიძლია დავაკვირდეთ ფორმალურ თანასწორობასა და მატერიალურ უთანასწორობას შორის არსებულ წინააღმდეგობას, რაც ხილვადია როგორც ეკონომიკურ სფეროში,

სადაც წინააღმდეგობა ბრუნვასა (თანასწორობას) და წარმოებას (უთანასწორობას) შორის არსებული კავშირის სახით წარმოიშვა, ისე კარცერულ ინსტიტუციაში, სადაც ეს წინააღმდეგობა გადანაწილების პრინციპსა და დისციპლინარულ პრაქტიკას შორის არსებული კავშირის კონტექსტში ვლინდება. ამგვარად, სასჯელაღსრულებითი სისტემა, ამავდროულად, წინააღმდეგობრიობის იდეალურ გამოვლინებასა და იმ მრავალი საშუალების რეპრეზენტაციას წარმოადგენს, რომელთა გამოყენებითაც მისი დაფარვაა შესაძლებელი.

ადრიან ჰაუ, ნაშრომში „დასჯა და კრიტიკა", მსჯელობს იმაზე, რომ მელოსისა და პავარინის ნაშრომში ციხის მატერიალური და იდეოლოგიური განზომილებების ანალიზებს შორის წინააღმდეგობაა. კერძოდ, ჰაუ წინააღმდეგობას მელოსის უფრო მეტად „მატერიალისტურ" პერსპექტივასა" და პავარინის მიერ წარმოჩენილ იდეოლოგიურ ასპექტებს შორის შენიშნავს. თუმცა რთულია, დაეთანხმო ამ კრიტიკას. სინამდვილეში, მატერიალურ პროცესებს ლეგიტიმაციას იდეოლოგიური გამოხატულება ანიჭებს. სამართლებრივი იდეოლოგია ფარავს დისციპლინის ჭეშმარიტ სახესა და ციხეში არსებულ ძალადობას ისევე, როგორც კონტრაქტის იდეოლოგია მალავს ექსპლუატაციის რეალობას და ქარხნებში სამუშაო ძალის შრომით დაქვემდებარებას.

შესაბამისად, საერთო მიზანს ისეთი მუშათა კლასის კვლავწარმოება წარმოადგენს, რომელიც ანაზღაურებას მხოლოდ და მხოლოდ თავისი შრომის ღირებულებად, ხოლო იზოლირებას თავისი დანაშაულების საზღაურად მიიჩნევს.

2.2 პოლიტიკური ეკონომიკა, დანაშაული და სისხლის სამართლის სისტემა

2.2.1 პოლიტეკონომიკა და პოზიტივისტური კრიმინოლოგია

კრიმინოლოგიური თეორიის ისტორიაში ტერმინი „პოზიტივიზმი“ დანაშაულის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნას მიემართება, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მიკუთვნებულ მეთოდოლოგიურ და ლოგიკურ მოდელს ეფუძნება. პოზიტივიზმი, როგორც სპეციფიური და თვითგაცნობიერებული მოძრაობა, მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ლამბროსოსა და მის გავლენებს უკავშირდება, თუმცა დანაშაულის ანალიზის გარშემო ვრცელი პოლემიკა, განსხვავებულ ფორმებში, იქამდეც იჩენდა თავს. ლამბროსიანელთა სკოლა, უმთავრესად, ინდივიდუალური ფაქტორების მნიშვნელობას უსვამს ხაზს, თუმცა არც სოციალურ და ეკონომიკურ გარემოებებს ტოვებს ყურადღების მიღმა. მაგრამ დანაშაულის ეკონომიკური განზომილებების კვლევის პიონერები ადრეული მეცხრამეტე საუკუნის „მორალის სტატისტიკოსები“ იყვნენ.

მორალის სტატისტიკოსები

სოციოლოგიური კრიმინოლოგიის აღიარებულ პიონერებად შეგვიძლია ანდრე-მიშელ გერი და ადოლფ კეტლე დავასახელოთ, რომლებმაც 1820-იანი წლების საფრანგეთში დანაშაულის კონტურების შესასწავლად დანაშაულის ეროვნული სტატისტიკა გამოიყენეს. ისინი მოელოდნენ, რომ მომდევნო ეკონომეტრიკულ კვლევებში (რომლებსაც მომდევნო ნაწილში მიმოვიხილავთ) მრავალი პატერნი და კომპლექსურობა გამოიკვეთებოდა. მაგალითისთვის, საკუთარი კვლევის საფუძველზე გერიმ, იმ საერთო რწმენის საპირისპიროდ, რომ სიღარიბე კრიმინალთან ასოცირდება, აღმოაჩინა, რომ საკუთრებასთან დაკავშირებული (თუმცა არა ძალადობრივი) დანაშაულების უდიდესი წილი საფრანგეთის ყველაზე მდიდარ რეგიონებზე მოდიოდა. გერიმ ეს ფაქტი შესაძლებლობების ეფექტს დაუკავშირა, რაც იმას ნიშნავს, რომ მდიდარ რეგიონებში ღარიბებს ბევრად მეტი რამ ექნებოდათ მოსაპარი.

იგივეს მოწმობს კეტლეს ავტორობით შექმნილი დანაშაულის ახალი სტატისტიკის შედარებით გვიანი, უფრო დეტალიზებული ანალიზი. მან გვიჩვენა, რომ ახალგაზრდების, მამაკაცების, უმუშევრებისა და განათლების არ მქონეთა კატეგორია დანაშაულისადმი უფრო მიდრეკილია, თუმცა, მეტწილად ისეთ სივრცეებში, სადაც მდიდარი ხალხი ცხოვრობს, რომელთა გაძარცვაც შეიძლება. მის ანალიზში, დანაშაული ერთი მხრივ, უთანასწორობიდან, ხოლო მეორე მხრივ, მიზნების/მოლოდინების გადანაწილებიდან მომდინარე ზეწოლების ფუნქციად აღიქმებოდა.

კეტლეს ფუნდამენტურ მიგნებად სხვადასხვა პერიოდში დანაშაულის (ან სხვა სოციალური ფენომენების) მაჩვენებლებისა და ფორმების შედარებითი მუდმივობა შეგვიძლია ჩავთვალოთ, რამაც მოგვიანებით გაბრიელ ტარდს წმინდად სოციოლოგიური პერსპექტივის განვითარების ბიძგი მისცა (Beirne, 1993:5). კეტლეს მის მიერ შემოთავაზებული ულტრა-ხისტი დეტერმინიზმის გამო დაუპირისპირდნენ. რა თქმა უნდა, ეს კრიტიკა ბოლომდე დაუმსახურებელი არ ყოფილა. კეტლეს იდეებიდან ყველაზე ცნობილი კი ისაა, სადაც ის იმ პიროვნებათა რიცხვის წინასწარდაანგარიშების შესაძლებლობას განიხილავს, რომლებიც „ხელებს სხვა ადამიანების სისხლით დაისვრიდნენ“, თაღლითები ან სხვა ტიპის დამნაშავეები გახდებოდნენ (Beirne, 1993:90-1). თუმცა, კეტლე მხოლოდ და მხოლოდ იმ სოციალურ პატერნებს

აღწერდა, რომლებიც ალბათურად, თუმცა არა გარდაუვლად, ინდივიდუალურ ქმედებებთან იქნებოდნენ დაკავშირებული. ის დანაშაულს, არსებითად, მორალობის ფუნქციად განიხილავდა, თუმცა ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორიცაა განათლების სიმწირე და სიღარიბე, ამორალური გადაწყვეტილების მიღების ალბათობას ზრდიან, ვინაიდან ისინი ცდუნებას ამძაფრებენ და კეთილ-გონიერი ბუნების განვითარებას აფერხებენ. საერთო ჯამში, ანომიურ თეორიებზე უკეთ „მორალის სტატისტიკოსების“ კვლევამ გაგვიკაფა გზა სოციოლოგიური კრიმინოლოგიის უფრო დეტალიზებული ანალიზისკენ.

ანომიის თეორია

მერტონის ანომიის თეორია, მარქსიზმის ტრადიციის მიღმა, დანაშაულის პოლიტეკონომიკის ყველაზე გავლენიანი და დამაჯერებელი ფორმულირებაა. მერტონმა ანომიის კონცეფტი დიურკჰაიმის 1987 წელს გამოცემული წიგნიდან - „სუიციდი“ - გადმოიღო. დიურკჰაიმი მიიჩნევდა, რომ ჯანსაღი საზოგადოებები ეფექტურ კულტურულ განსაზღვრებასა და ადამიანების მისწრაფებების რეგულირებას საჭიროებენ (რომლებიც სხვა შემთხვევაში უმართავი გახდება). სწრაფმა სოციალურმა ცვლილებებმა კონტროლის სისტემა შეარყიეს, რის შედეგადაც ანომია წარმოშვა, რომელსაც მოუსვენრობასთან, უკმაყოფილე-ბასთან, მღელვარებასთან ერთად, სუიციდალური აქტის წამქეზებელი სხვა ტიპის დევიაციებიც ახასიათებს, რის უმთავრეს წყაროდაც დიურკჰაიმმა ეკონომიკური ციკლი დაასახელა. მისწრაფებების მართვის მექანიზმების მოშლა და ანომიური პროცესების წარმოქმნა მხოლოდ ეკონომიკურ დაღმასვ-ლებს კი არა, აღმასვლებსაც შეუძლია.

მერტონის თეორია, რომელმაც ეს მცირე, თუმცა ფუძემდებლური ანალიზი აიტანა, თავდაპირველად 1938 წელს გამოქვეყნდა. სტატიაში ავტორმა დევიაციის სახესხვაობებზე იმსჯელა და ამასთან, საზოგადოებების შიგნით, მათი ამხსნელობითი ჩარჩოები შემოგვთავაზა (Merton, 1938). ათწლეულების განმავლობაში, უამრავ სახელმძღვანელოსა თუ კვლევით მიგნებებში მერტონის ანალიზის რიტუალური მკვლელობისდა მიუხედავად (რაც შესაძლოა არასწორი ინტერპრეტაციის შედეგიცაა), მერტონი დანაშაულის სტრუქტურულ-სოციალური თეორიის პარადიგმად რჩება (Lea and Young, 1984:212-25; Young, 203b; Messner and Rosenfeld, 2006; “Special Issue of Theoretical Criminology” 11 იანვარი 2007).

ანომიის შესახებ მერტონის ანალიზების ანგარიშებში მის თეორიას „შეზღუდულს“ უწოდებენ. ისინი, ძირითადად, მერტონის ნაშრომის ერთ ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას, კერძოდ კი, იმ არგუმენტზე, რომ საზოგადოება, რომელიც საერთო მატერიალური მისწრაფებების წახალისებასა (მერიტოკრატიის მითის მეშვეობით) და არათანაბარი შესაძლებლობების სტრუქტურულ რეალობას აერთიანებს, რაც ანომიურ წნეხის წარმოქმნის და საბოლოო ჯამში დევიაციურ რეაქციებამდე მივყავართ. ამ ანგარიშების თანამედროვე ამერიკულ ვერსიებში ხშირად ვაწყდებით მერტონის სტრუქტურულ-პოლიტიკური თეორიის უბრალო დაყვანას დევიაციის სოციალურ ფსიქოლოგიამდე, რასაც ანგარიშების ავტორები ინდივიდუალურ მისწრაფებებსა და მიღწევებს შორის არსებულ ფიზიკურ უფსკრულს მიაწერენ ხოლმე (Agnew, 1992). მერტონის ანალიზი მხოლოდ ნაწილობრივ მიემართებოდა საზოგადოების შიგნით დევიაციის ინდივიდუალურ და სუბკულტურულ სტრუქტურებსაც კი, ამის მიუხედავად, სოციეტალური ანომიური წნეხების მისი ტიპოლოგია ალბათ მერტონის ნაშრომის ყველაზე ხშირად გამოყენებად ნაწილს წარმოადგენს (Merton, 1957:140). ხსენებული ასპექტი პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე გავლენიანია, რამაც კლოუვადი და ოლინი შესაძლებლობების სტრუქტურების კონცეფციის

განვითარებამდე მიიყვანა, კერძოდ, ადრეული სამოციანი წლების ე.წ „დიდი საზოგადოებების“ პროგრამების შემუშავების სახით (Cloward and Ohlin, 1960).

ანომიის მერტონისეული ანალიზი დანაშაულის ინტრასოციეტალური სახესხვაობების ახსნას წარმოადგენს, რაც იმ ფართო ნააზრების მხოლოდ მცირედი ნაწილია, რომელიც საზოგადოებებს შორის არსებული განსხვავებების გაგებას ისახავს მიზნად. ანომია მხოლოდ კულტურული ნიშნით მიკუთვნებული როლებისა და მათი შესრულებისთვის აუცილებელი სტრუქტურულად შეზღუდული ლეგიტიმური საშუალებებიდან არ წარმოქმნილა. ანომია, ამასთანავე, განსაზღვრული კულტურების მიერ წახალისებული მიზნების ხასიათმაც განაპირობა. უკიდურესად მატერიალისტური კულტურა - განსაკუთრებით კი ის, რომელიც წარმატებას განსაზღვრავს (ექსკლუზიურად ფინანსურ წარმატებას თუ ვიგულისხმებთ), ანომიისკენ უფრო არის მიდრეკილი და არამხოლოდ შედარებით ღარიბ კლასებში, არამედ ჩვენთვის ცნობილ ყველა დონეზე. რაც განსაკუთრებით ასეა, თუ მატერიალურ მონაპოვარს განადიდებენ იმ საშუალებების ლეგიტიმაციის გათვალისწინების ხარჯზე, რომლებიც მატერიალური მიზნების მისაღწევადაა საჭირო.

მერტონი დანაშაულის პოლიტეკონომიისთვის ერთგვარი პარადიგმაა, რომელიც მატერიალისტურ კულტურასა და მორალური რეგულირეების ზოგად პრობლემებს შორის ხედავს კავშირს. გარდა ამისა, მერტონი დევიაციის იმ განსხვავებულ ტენდენციებზეც მსჯელობს, რომლებიც საზოგადოების შიგნით წარმოიქმნება ლეგიტიმური შესაძლებლობების გადანაწილების კუთხით. და ეს სრულიადაც არ წარმოადგენს ეკონომიკური დეტერმინიზმით გაჯერებულ აღწერას. სიღარიბე და უთანასწორობა არ წარმოადგენენ დევიაციის ან ანომიის წარმომქმნელ ფაქტორებს. ის კულტურული მნიშვნელობა, რომელიც ამ მატერიალურ ფაქტორებს გააჩნია განსხვავებულ სოციალურ სტრუქტურებში უკიდურესად მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც უშუალოდ განიცდის ამ ფაქტორების ზემოქმედებას. შესაძლო რეაქციების მოკლე ტიპოლოგია ასევე მიუთითებს შუამავალ ფაქტორებზე, რომლებიც სტრუქტურულ წნეხსა და ადამიანის რეაქციებს შორის იჩენენ თავს. არაფორმალური მორალური კონტროლი ზოგიერთ კულტურაში მნიშვნელოვანია, როგორც ამას, მაგალითისთვის, მერტონის მიერ „რიტუალიზმის“ აღწერა გვიჩვენებს.

თავისი ძლიერი მხარეებისდა მიუხედავად, მერტონის თეორია ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებით მოძველდა. შეუკავებელი კაპიტალიზმის მისეულმა სოციალ-დემოკრატიულმა კრიტიკამ მერტონს 1960-70 იანი წლების რადიკალური კრიმინოლოგიის გადმოსახედიდან ზედმეტად „ფრთხილი“ მეამბოხის (Taylor, Walton, and Young, 1973:101), 1980-იანი წლების შემდგომი ნეოლიბერალური ტრიუმფალიზმისთვის ზედმეტად რადიკალური, ხოლო პოსტმოდერნისტებისთვის ზედმეტად სტრუქტურალისტის იმიჯი შეუქმნა.

პოლიტიკური ეკონომიკა და რეალიზმი

1970-იანი წლების შუა პერიოდიდან (განსაკუთრებით აშშ-ში) კრიმინოლოგიაზე პრაგმატული რეალიზმი დომინირებდა, რომელიც მყისიერად განხორციელებადი პრაქტიკული პოლიტიკით ინტერესდებოდა, დევიზით - „რა მუშაობს“?. თავდაპირველად ის „ძირეული მიზეზების“ თეორიის ცალსახა უარყოფას ემყარებოდა, მაგალითად, მერტონის თეორიას, რომელიც დანაშაულს მაკრო-სოციალური მიზეზებით ხსნის (Wilson, 1975:xv). მიზეზ-შედეგობრივი ახსნა ბოლომდე არ უგულებელყვეს და მას ინდივიდუალურ (Wilson and Herrnstein, 1985), ვითარებით და თემობრივ დონეზე მიყვნენ. ასეთ დონეებზე უფრო მარტივად ხდება პოლიტიკური ინტერვენცია, რომელიც სოციალურ სამართლიანობასა და რეფორმებზე

შეკითხვებს არ წამოწევს. პარადოქსალურია, თუმცა მას შემდეგ, რაც რეალიზმმა დიდწილად უგულებელყო პოლიტიკური ეკონომიკა, დანაშაულის ეკონომიკის კვლევების მიმართ ინტერესი გამოცოცხლდა და მასთან ერთად განსაკუთრებულმა ინტერესმა გამოიღვიძა დამნაშავის, როგორც „ეკონომიკური ადამიანის" მოდელზე დაფუძნებულმა ნეოკლასიკურმა პერსპექტივებმა (მაგ: რაციონალური არჩევანის თეორიამ) (Zedner 2006b);

2.2.2. პოლიტეკონომიკა და რადიკალური კრიმინოლოგია

მარქსი, სამართალი და კანონი

რადიკალური კრიმინოლოგიის აყვავების პერიოდამდე (1960-1970-იან წლებში), სისტემატიური ყურადღება ეთმობოდა მარქსისტებსა და სხვა მემარცხენეებს, რომლებიც სისხლის სამართალსა და დანაშაულზე წერდნენ. მარქსი და ენგელსი კონკრეტულად დანაშაულზე ნაკლებად წერდნენ (Taylor, Walton, and Young, 1973: თავი 7). კრიტიკოსები ხშირად არასათანადოდ აფასებდნენ მარქსის ანალიზს და მას უბრალო ეკონომიკურ დეტერმინიზმად შერაცხავდნენ. ამ მოსაზრებას ხშირად იმ არგუმენტებს უპირის-პირებენ, რომლებიც მარქსის ჰუმანიზმს უსვამენ ხაზს (დიდწილად მისი ადრეული ნაშრომებიდან), და იმაზე მიუთითებენ, რომ მარქსი ყურადღებას უთმობდა იდეოლოგიასა და ადამიანის ქმედების ავტონომიას სტრუქტურული საზღვრების ფარგლებში. რა თქმა უნდა, მარქსის ძალზედ მოცულობითი ნაშრომების წაკითხვა-გააზრების რამდენიმე ალტერნატიული გზა არსებობს და მათი პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ეს ინტერპრეტაცია მწვავე დისკუსიის საგანია (Reiner, 2002:239-52).

ფართოდ მიიჩნევა, რომ მარქსის მომწიფებული თეორიული ნაშრომები სისტემური ფორმით არ პასუხობენ კანონის, დანაშაულისა და სისხლის სამართლის საკითხებს. „კაპიტალი"-ს მე-10 თავში, მარქსი მე-19 საუკუნის დასაწყისში, ინგლისში ქარხნების შესახებ აქტების წარმოქმნის ანალიზს გვთავაზობს (Marx, 1867/1976:თავი 10), რომელიც კრიმინალიზაციისა და კორპორატიული დანაშაულის ნოვატორული შემთხვევის შესწავლას წარმოადგენს (იხ.ნელკენი, თავი 21). მარქსის ანგარიში ძალიან შორსაა ეკონომიკური დეტერმინიზისგან, რომელსაც ასე ხშირად მიაწერენ მას. ის თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს სტრუქტურასა და ქმედებას კომპლექსურ ინტერაქციაში (Reiner, 2002:240-6)

„ქარხნების აქტების" წარმოქმნა მარქსისთვის ერთგვარ თავსატეხს წარმოადგენს (ისევე, როგორც კეთილდღეობის სახელმწიფო წარმოადგენდა თავსატეხს შედარებით გვიანი თაობის მარქსისტებისთვის). როგორ შეეძლო მწარმოებელთა ავტონომიის შემზღუდავი კანონმდებლობა მიეღო სახელმწიფოს, რომელიც არამხოლოდ რიტორიკულად წარმოადგენს „სრულიად ბურჟუაზიის საერთო საქმეების მართვის კომიტეტს" როგორც ამას 1848 წლის „კომუნისტური მანიფესტი იუწყებოდა (Marx and Engels, 1848/1998:37), არამედ ამასთან, რამდენიმე ათწლეული აშორებს მუშათა კლასის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებამდე?

მარქსი ახსნას სტრუქტურალისტური არგუმენტებით იწყებს. შიდა რეგულირების გარეშე კონკურენტული ზეწოლები ქარხნების მფლობელებს აიძულებდნენ მშრომელთა სამუშაო საათების დრო და შრომის ინტენსივობა გაეზარდათ, რაც საფრთხეს უქმნის წარმოების სიცოცხლისუნარიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში. რაოდენ კეთილშობილნი და ბრძენნიც არ უნდა იყვნენ ცალკეული კაპიტალისტები, კაპიტალისტური სისტემა საყოველთაოდ ვერ უზრუნველყოფს უფრო ადამიანურ პირობებს. ამიტომ

კანონმდებლობა აიძულებთ მათ, ფეხი აუწყონ საერთო მოთხოვნებს. კანონმდებლობა ეფექტურ ადამიანურ ქმედებას მოითხოვს. მარქსი სწორედ ქარხნების მფლობელთა, მშრომელთა და ქარხნის ინსპექტორთა პროგრესულ როლს გვიჩვენებს ახალი კანონების ჩამოყალიბება/აღსრულებს პროცესში.

თავდაპირველად, კანონმდებლობა უფრო სიმბოლური იყო, ვიდრე ეფექტური. აქტებთან დაკავშირებით მარქსი ამბობს, რომ „პარლამენტი...საკმარისად მოხერხებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ ხმა არ მიეცა კანონების სავალდებულო აღსრულებისთვის“ (Marx, 1867/1976:390). მარქსმა კანონების აღსრულებასთან დაკავშირებული ის სირთულეები აღწერა, რომელსაც ქარხნის ინსპექტორები აწყდებოდნენ თავიანთი მცდელობისას „დაწერილი კანონები“ „ქმედით კანონებად“ გადაექციათ. ინსპექტორებსა და დევიანტ მფლობელებს შორის განგრძობითი წინააღმდეგობა ამ უკანასკნელის მიერ შემოთავაზებული თავის არიდების მექანიზმების გარშემო წარმოიქმნა, რაც ცდიდა და ამასთან, წელავდა კიდეც კანონის მიჯნებს. მარქსმა კონფლიქტის საფუძვლებს 1860-იან წლებში მიაკვლია და გვიჩვენა, თუ რა გავლენა მოახდინა პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების (მაგ: განხეთქილებამ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სფეროს კაპიტალისტებს შორის) გარდამავალი ბალანსის კომპლექსურმა ურთიერთქმედებამ მასობრივ კანონდარღვევებსა და ახალი კანონმდებლობის სიმკაცრის ცვალებადობაზე. ზეგავლენის მომხდენ ფაქტორებს შორის შეგვიძლია ასევე დავასახელოთ ადამიანური სტრატეგიების წარმატებაც ცვალებადი ზეწოლებისა და შესაძლებლობების ფარგლებში.

ადამიანები, როგორც ამ შეზღუდვების პირობებში მოქმედი აქტორები, ისტორიამ და მათ კონტროლს მიღმა არსებულმა სხვა გარემოებებმა გამოკვეთეს. მიუხედავად ამისა, მათ შეეძლოთ ემოქმედათ და იმოქმედეს კიდეც იმგვარად, რომ მათი მოქმედებების ამოკითხვა უბრალოდ სტრუქტურული პოზიციების ანალიზიდან შეუძლებელი ყოფილიყო. მარქსი სათანადოდ აფასებს უფრო ფილანტროპისტი კაპიტალისტებისა და მათთან ერთად „ბურჟუაზიული“ ქარხნების ინსპექტორების ძალისხმევას (რომელთა ანგარიშებსაც ეყრდნობოდა).

ადრეული მეოცე საუკუნის რადიკალური კრიმინოლოგია

ჰოლანდიელ პროფესორს, უილიამ ბონგერს ეკუთვნის დანაშაულის მარქსისეული ანალიზის პირველი სისტემური განვითარების მცდელობა (Bonger, 1916/1969). ბონგერი ეთიკური თვალსაზრისით, მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებაა, რომელსაც რადიკალურ კრიმინოლოგიაში მრავალი ნოვატორული მიმართულების ავტორობა მიეწერება (Cohen 1998). თუმცა, მის ნაშრომებს, როგორც წესი, ძალიან მკაცრად უდგებოდნენ, მათ შორის გვიანი ხანის ისეთი რადიკალური კრიმინოლოგები (Taylor, Walton, and Young, 1973:222-36), რომლებმაც დანაშაულისა და კონტროლის პოლიტეკონომიკის განვითარებაში ბონგერის წვლილი სათანადოდ ვერ დააფასეს.

კაპიტალიზმის სტრუქტურის ბონგერისეული ანალიზი კონკრეტულ კრიმინოგენურ ზეწოლებსა და კონფლიქტებს წარმოშობს. ზოგადად, მარქსიზმს ხშირად ადანაშაულებდნენ ხოლმე ეკონომიკურ დეტერმინიზმში, თუმცა მარქსის მცდელობა, გამოეკვეთა შუამავალი რგოლები სტრუქტურულ საფუძვლებსა და კრიმინალურ ქმედებებს შორის საკმაოდ კომპლექსურია და ინდივიდუალური თუ მორალური პასუხისმგებლობის მასშტაბებზე მიანიშნებს. ბონგერისთვის მთავარ დამაკავშირებელ რგოლს კაპიტალიზმსა და დანაშაულს შორის, საზოგადოების ყველა დონეზე, ეგოიზმის კულტურის სტიმულირება წარმოადგენდა, რაც, თავის მხრივ, აძლიერებდა მუშებისა და ღარიბი კლასებს მატერიალურ მისწრაფებებს და ამასთან, ასუსტებდა მათ შიდა კონტროლს მიტაცების საწინააღმდეგოდ გასაჭირის ჟამს.

ანომიის მერტონისეული ანალიზის პერსპექტივიდან, ბონგერი მატერიალური მისწრაფებების სტიმულირებაზე თანამედროვე მარკეტინგული მეთოდებიდან გამომდინარე მსჯელობდა, მისივე სიტყვებით : „ბრბოს სიხარბე განუზომელია“ (Bonger, 1916/1969:108). რაც ხსნის არამხოლოდ პროლეტარულ დანაშაულს, არამედ ძლევამოსილთა ზოგიერთ დამნაშავეობრივ ქმედებასაც. კაპიტალიზმის მიერ წახალისებული ეგოიზმი განსაკუთრებით მძაფრია სოციალური შკალის მწვერვალზე, ბონგერის სიტყვებს თუ მოვიხმობთ: “მიუხედავად იმისა, რომ სიხარბე ჩვენი საზოგადოების ნებისმიერი კლასისთვის ძლიერი მოტივია, ის განსაკუთრებული სიმძაფრით იჩენს თავს ბურჟუაზიაში, როგორც მათი მდგომარეობის შედეგი ეკონომიკურ ცხოვრებაში“ (იქვე:138).

ბონგერმა აღიქვა კაპიტალისტურ კონფლიქტებსა (მისი ზოგადი ეგოიზმის გათვალისწინებით) და დანაშაულის კონკრეტულ ფორმებს შორის არსებული კავშირების კომპლექსურობა. მან ისიც გაიაზრა, რომ მაგალითისთვის ინტერნალიზებული კონტროლის, როგორც დანაშაულის აღმკვეთი აქტორის გააანალიზება ეგოისტური კულტურით ნაკარნახევი დანაშაულის მოტივების გათვალისწინებითაა საჭირო (Bonger, 1916/1969:401). ბონგერმა კრიმინალური ქმედებისა და გარემოების მყისიერი გააზრების პრობლემაც განჭვრიტა, ამგვარად, ყურადღება მხოლოდ წინამორბედ, მაპროვოცირებელ ფაქტორებზე არ გაუმახვილებია. კაპიტალიზმის ამორალურობისა და უსამართლობის გამომწვევი მიზეზები სრულიადაც არ აბათილებენ დამნაშავეთა მორალურ ანგარიშვალდებულებას (Bonger, 1935:23). ინდივიდუალური ფსიქოლოგია, ისევე, როგორც სხვა ისეთი პირობითი ფაქტორები, როგორებიცაა უეცრად აღძრული ცდუნებები, აგრეთვე უნდა იყოს გათვალისწინებული (Bonger, 1916/1969:36). დანაშაულის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კომპლექსურობის გააზრების გამო ბონგერი „ეკლექტიზმში“ დაადანაშაულეს (Taylor, Walton, and Young, 1973:227-8). თუმცა, რთული გასაგებია, თუ როგორ გაავლეს მკაფიო მიჯნა „ეკლექტიზმსა“ და დევიაციის „წმინდად სოციალური“ თეორიის ელემენტების საკონტროლო სიას შორის, რომელთა დიდი ნაწილიც ბონგერისთვის ნაცნობი იყო.

ბონგერმა მრავალი ისეთი იდეა წარმოგვიდგინა, რომელიც შედარებით გვიან კრიტიკულ კრიმინოლოგიაში გამოიკვლიეს. მან გაიაზრა, რომ დანაშაულის სამართლებრივი კონცეფცია არათანაბარზომიერად ასახავდა ძლევამოსილთა ინტერესებს, რა მოსაზრებაც წინ უსწრებს იარლიყის მიწებების თეორიას (Bonger, 1916/1969:24). ბონგერმა ერთდროულად გააცნობიერა ერთი მხრივ ის, რომ კლასმა და ძალაუფლებამ ზეგავლენა მოახდინა სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირებასა და თავად მის არსზე, ხოლო მეორე მხრივ, ის, რომ ამ ძალაუფლებამ ყველა კლასისთვის სასარგებლო წესრიგის შენარჩუნებას შეუწყო ხელი.მიუხედავად იმისა,რომ კანონის ზოგიერთი ასპექტი ფრიად წინააღმდეგობრივი იყო, ხოლო აღსრულება მიკერძოებული, სისხლის სამართლის უდიდესი ნაწილს მაინც გააჩნდა საზოგადოებრივი თანხმობა. ბონგერის ნააზრევი მომდევნო პერიოდში გვიანი რადიკალური კრიმინოლოგების კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა (Taylor, Walton, and Young, 1973: 232,235). ისინი ბონგერს (ისევე, როგორც მარქსსა და ენგელსს) ბურჟუაზიული უწესრიგობის მიმართ ზიზღით შეპყრობილ „კორექციონალისტად“ შერაცხეს, რომელმაც დანაშაულის, როგორც მრავალფეროვნების გამოხატულების აღქმა ვერ შეძლო (იქვე 232-3). თუმცა, ბონგერი გარკვეულწილად პროგნოზირებდა შესაძლო კრიტიკულ არგუმენტებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1980-იან წლებში მისმა კრიტიკოსებმა „მემარცხენე რეალიზმს“ დაუჭირეს მხარი (Cohen, 1998:125-6). მან არამხოლოდ ის ზიანი აღიქვა, რომელიც კონვენციური დანაშაულის შედეგად დადგა, არამედ ნაკლებად ძლიერთა მისამართით ამ დანაშაულის მიერ მიყენებული ტკივილიც განჭვრიტა.

მეოცე საუკუნის დასაწყისის რადიკალურ კრიმინოლოგიაში, პოლიტიკურ ეკონომიკაში შეტანილი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილი რუშესა და კირქჰეიმერის მიერ სასჯელის ისტორიული შესწავლა იყო

(Rusche and Kirchheimer, 1939). ფრანკფურტის სკოლის ორმა დევნილმა, რუშემ და კირხჰაიმერმა (ნაცისტური გერმანიიდან), რომელიც შეერთებულ შტატებში 1930-იანი წლების ბოლოს ჩამოვიდნენ, ნაშრომი „სასჯელი და სოციალური სტრუქტურა“ 1939 წელს გამოაქვეყნეს. წიგნი 1968 წელს, ხელმეორე გამოცემამდე, თითქმის 30 წლის განმავლობაში ფაქტობრივად უგულებელყოფილი იყო. თუმცა 60-იანი წლების მიწურულს, კრიტიკული ზეობის ხანაში მან ფართო ყურადღება მიიპყრო. წიგნი სადამსჯელო სისტემების ტრენდების ერთგვარ ისტორიულ ანალიზსს წარმოადგენს, ადრეული შუასაკუნეების პერიოდიდან დღემდე და გვიჩვენებს, რომ სადამსჯელო ზომების განვითარებაზე დიდწილად იმოქმედა საწარმოო საშუალებების ცვლილებამ კერძოდ, სამუშაო ძალის მიწოდება-მოთხოვნის სისტემაში არსებულმა რყევებმა.

მომდევნო პერიოდში მკვლევრებმა (დამოუკიდებლად იმისგან, აკრიტიკებდნენ მათ იდეებს თუ არა) რუშესა და კირქჰეიმერის ანგარიში თეორიულ და ემპირიულ ჭრილში განიხილეს. ემპირიული თვალსაზრისით, მათი ნაშრომი დეტალური კრიტიკის საგნად გადაიქცა.რაც შეეხება თეორიულ ნაწილს კი ის ეკონომიკურ დეტერმინიზმად შერაცხეს. მიუხედავად იმისა, რომ რუშე და კირქჰეიმერი ცნობდნენ კულტურულ, პოლიტიკურ და სხვა ფაქტორებს, ამ გარემოებების დეტალური გამოკვეთა მომდევნო კვლევების კომპეტენციად გადაიქცა.

პოლიტიკური ეკონომიკა და კრიტიკული კრიმინოლოგია

პოლიტიკურ ეკონომიკას ცენტრალური, თუმცა ამასთან მერყევი ადგილი უჭირავს კრიტიკულ კრიმინოლოგიაში, რომლის ზეობის ხანაც 1960-იან წლებში დაიწყო. სიმბოლურ ინტერაქციონიზმსა და სხვა მიკრო-სოციოლოგიურ თეორიებს ბევრად მეტი დამსახურება მიუძღვით იარლიყის მიწებების თეორიის წინაშე, რომელიც 1960-იანი წლების დასაწყისში განვითარდა, ვიდრე პოლიტიკურ ეკონომიკას. იარლიყის მიწებების თეორეტიკოსებმა იმის გამოკვლევა დაიწყეს, თუ როგორ წარმოქმნიდნენ და აძლიერებდნენ სტრუქტურირებული ძალაუფლების თამაში და უპირატესობანი სისხლის სამართალსა და დევიაციის სხვა განსაზღვრებებს (Becker 1963; Chapman 1968)

პოლიტიკურმა ეკონომიკამ ცენტრალური ადგილი დაიკავა მარქსისტული გავლენის ქვეშ მოქცეულ რადიკალურ კრიმინოლოგიაში, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 1970-იანი წლების დასაწყისში, ყველაზე მკაფიოდ კი თავი 1973 წელს გამოცემულ „ახალ კრიმინოლოგიაში“ იჩინა (რაც დანაშაულის ზემოთ განხილულ „წმინდად სოციალურ“ თეორიას“ წარმოადგენდა). 1980-იან წლებში ზოგიერთი რადიკალური კრიმინოლოგის მიერ წარმოდგენილი „მემარცხენე რეალიზმის“ თვითკრიტიკა მკაფიოდ გაემიჯნა დანაშაულის წმინდად ეკონომიკურ ანალიზს (Lea and Young, 1984). ეს ეკონომიკური მოდელები რადიკალური კრიმინოლოგიის „ეტიოლოგიურ კრიზისთან“ ასოცირდებოდნენ ისევე, როგორც სიღარიბე და უმუშევრობა ასოცირდებოდა ომის შემდგომ პერიოდში, კეინზიანისტური კეთილდღეობის სახელმწიფოს წარუმატებელ ბრძოლასთან დანაშაულის წინააღმდეგ (Young, 1986). მემარცხენე რეალიზმი ხაზს უსვამდა დანაშაულის კონტროლის მიმართულებით მყისიერი ნაბიჯების გადადგმის საჭიროებას უფრო ეფექტური პოლიციისა და სისხლის სამართლის გამოყენებით, „მემარცხენე იდეალისტებისგან“ განსხვავებით ისინი მხოლოდ ფუძემდებლური მიზეზების გამოკვლევის მიდგომას არ ემხრობოდნენ.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ მემარცხენე რეალისტები მაინც დაინტერესდნენ დანაშაულის მიზეზშედეგობრივი შესწავლით, მათი ანალიზი დიდწილად ისეთ პოლიტეკონომიურ პერსპექტივებს შეერწყა, როგორიცაა შედარებითი დეპრივაცია და ანომია (მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეების პირველსაწყისები

საკმარისად შესწავლილი არ იყო) (Lea and Young, 1984: თავი 6; ვებერი 2007). 1990-იან წლებში „მემარცხენე რეალისტები“ დანაშაულის, სისხლის სამართლის, გვიანი მოდერნულობისა და საბაზრო საზოგადოების კავშირების მაკრო და კულტურულ ანალიზსს დაუბრუნდნენ (Young, 1999,2007; Taylor, 1999). დანაშაულსა და დანაშაულის კონტროლში თანამედროვე მიმართულებების პოლიტეკონომიის განვითარების ეს და სხვა მცდელობები ამ თავის მეოთხე ნაწილში იქნება განხილული. პირველ რიგში კი დანაშაულის ახსნაში ეკონომიკური ფაქტორების როლის ემპირიულ სიცხადეზე ვისაუბრებთ.

2.2.3. ეკონომიკური ფაქტორები და დანაშაული: ემპირიული მონაცემები

დანაშაული და ეკონომიკა: კომპლექსური კავშირი

დანაშაულის ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირების იდეა ღრმადაა ფესვგადგმული ჩვენს კულტურასა და კრიმინოლოგიის ისტორიაში. წმინდად ემპირიული თვალსაზრისით, ამას მოწმობს ოფიციალური სტატისტიკა და ფორმალურად, დანაშაულად და ვიქტიმიზაციად იარლიყის მიწებების პატერნების კვლევაც. ბრეითუაითის 1979 წლის ანგარიშში გაკეთებული დასკვნის თანახმად: „დაბალი კლასის წარმომადგენელი ზრდასრული ადამიანები იმ ტიპის დანაშაულს სჩადიან, რომელსაც პოლიცია უფრო ხშირად უმკლავდება, საშუალო კლასის წარმომადგენელთა დანაშაულებთან შედარებით და იგივე ეხება არასრულწლოვანთა დანაშაულებსაც“ (Braithwaite, 1979:62). რაც განსაკუთრებით ასეა მათ შემთხვევაში, ვისაც სისხლის სამართლის სისტემა დამნაშავეებად განიხილავს, ანუ როგორც ჯეფრი რეიმანმა შეაჯამა თავის კრიტიკულ ტექსტში - „მდიდარი უფრო მდიდრდება, ხოლო ღარიბი მიდის ციხეში“ (Reiman and Leighton, 2009) და აქვე დავამატებთ, ღარიბთა შესაძლო ვიქტიმიზაციასაც.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა პოლიტეკონომიის როლის დაკნინება დანაშაულის ახსნაში. მემარცხენე თუ მემარჯვენე პოლიტიკაში, კრიმინოლოგიურ კვლევაში თუ ზოგადად პოლიტიკაში, დომინანტურ ტრენდად „რეალიზმი“ მოგვევლინა, რომლის მთავარი შეკითხვები შემდეგია: „რა მუშაობს?“ რისი გაკეთება შეიძლება“ (რაც საბაზრო საზოგადოების პოლიტიკურ დისკურსში ლენინის გადარჩენის ირონიულ ექოსაც წარმოადგენს). მემარცხენე რეალისტები ხაზს უსვამენ სისხლის სამართლისა და პოლიციის ღირებულებას (ან პოტენციალს) უსაფრთხოების მყისიერ უზრუნველყოფაში, თუმცა, ამავდროულად, სრულიად არ უგულებელყოფენ პოლიტიკური ეკონომიკის მნიშვნელობასაც. მემარჯვენე რეალისტებმა პოლიტიკური ეკონომიკის განდევნა მოახერხეს დანაშაულის პოლიტიკის შესახებ მიმდინარე დისკუსიიდან. მთელი 1980-იანი წლების განმავლობაში ტეტჩერის მთავრობა კატეგორიულად უარყოფდა მტკიცებებს, თითქოს მათ ნეო-ლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ დანაშაულის წარმომშობ ფაქტორებს მოუყარა თავი, განსაკუთრებით კი იმ მოსაზრებას უარყოფდნენ, რომ დანაშაული უმუშევრობასთან იყო დაკავშირებული. პარადოქსი კი ისაა, რომ პოლიტიკური ეკონომიისგან დისტანცირება სწორედ ამგვარი კავშირების თვალსაჩინოების გამოკვეთას დაემთხვა.

ეკონომიკურმა ფაქტორებმა შესაძლოა, მართლაც მოახდინონ ზეგავლენა დანაშაულზე. დანაშაულის ჩადენისთვის რამდენიმე ლოგიკური, აუცილებელი წინაპირობა არსებობს, ესენა: იარლიყის მიწებება, მოტივი, საშუალებები, შესაძლებლობა და კონტროლის არარსებობა (Reiner, 2007). ეკონომიკური ფაქტორები პოტენციურად რელევანტურია თითოეული მათგანის შემთხვევაში.

i. იარლიყის მიწებება. 1960-იან წლებში იარლიყის მიწებების თეორიამ ხელახლა გამოკვეთა ის აქტორები და ქმედებები, რომლებსაც საზიანოდ, ამორალურად და ანტისოციალურად მიიჩნევენ, თუმცა არაა აუცილებელი, რომ დევიანტურად ან კრიმინალურ ფაქტორებად განიხილებოდნენ. თითოეული მათგანი რეალურ პრობლემად კვალიფიცირებისთვის იარლიყის მიწებების პროცესის გავლას საჭიროებს. იარლიყის მიწებების პროცესი შემთხვევითი და მერყევია. დანაშაულის სამართლებრივი კატეგორიები იცვლება და გარდაიქმნება: ქმედება კრიმინალიზდება ან დეკრიმინალიზდება. დამნაშავეებად ან დამნაშავეობრივად მიჩნეულ პირთა/ქმედებათა მხოლოდ მცირე რიცხვი თუ აღიწერება კრიმინალურ სტატისტიკაში ან გახდება სისხლის სამართლებრივი დევნის საგანი.

ეკონომიკური ფაქტორები ყველა დონეზე მონაწილეობენ იარლიყის მიწებების პროცესში. სისხლის სამართლის წარმოშობის შესახებ არსებულმა კვლევებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს პოლიტიკურ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს (Lacey, Wells, and Quick, 2010). მსხვერპლების მიერ დანაშაულის შესახებ პოლიციის ინფორმირების და ამასთან, პოლიციის მიერ შემთხვევის დაფიქსირების მაჩვენებლის მერყეობაზე ზეგავლენას ახდენს ისეთი ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, ძვირადღირებული, მოპარვადი სამომხარებლო საქონლის გავრცელება და მათი დაზღვევა, ან პოლიციური სისტემის მართვის ეფექტურობა (Reiner, 2007: თავი 3). ინდივიდების მიმართ კრიმინალური იარლიყების გამოყენება პოლიციის სტრატეგიებისა და გადაწყვეტილებების გავლენით არის სტრუქტურირებული. თავის მხრივ, მათზე კონკრეტული (როგორც წესი, ღარიბი უბნების) სივრცეების, როგორც კრიმინალის ცხელი წერტილებს აღქმა ახდენს ზეგავლენას, ან ის სტერეოტიპები, რომლებიც განსაზღვრულ ჯგუფებთან დაკავშირებით არსებობს (იგულისხმება უფრო ღარიბი მოსახლეობა). ამ ადამიანებს სტერეოტიპულად პოტენციურ დამნაშავეებად - ანუ „პოლიციის საკუთრებად“ მიიჩნევენ (Chapman, 1968). დანაშაულისა და დამნაშავეების ოფიციალური იარლიყის მიწებება, რომელიც საფუძვლად უდევს დანაშაულის აშკარა პრობლემას, პოლიტიკური ეკონომიის ზეგავლენით მიმდინარეობს.

i.მოტივი. დანაშაული არ მოხდება თუ ვინმეს არ გააჩნია მისი ჩადენის მოტივი. კრიმინოლოგიური თეორიების უმეტესობა დაინტერესებულია დანაშაულის მოტივების, ცდუნების და იმ მამოძრავებელი ფაქტორების შესწავლით, რომლებიც ადამიანს დანაშაულის ჩადენას აიძულებს მათი სოციალური მდგომარეობის თუ ინდივიდუალური მოცემულობის ფარგლებში. სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზების უდიდესი ნაწილი გამოკვეთს ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას დამნაშავის მოტივაციაში. ადრე განხილული ანომიის თეორია შესაძლოა ყველაზე გავლენიან სოციოლოგიურ მცდელობას წარმოადგენს, ახსნას კრიმინალური მოტივაციის პირველწყაროები. ის ეკონომიკური მისწრაფებების/შეზღუდვების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. განვითარების თეორიები ასევე გამოავლენენ ისეთ ეკონომიკურ ცვლადებს, როგორიცაა სიღარიბე, უმუშევრობა და შედარებითი დეპრივაცია. ისინი მოცემულ ცვლადებს იმ რისკ ფაქტორებად მოიაზრებენ, რომლებიც ინდივიდის კრიმინალური მოტივაციის პირველწყაროებს წარმოადგენენ სხვა ისეთ ასპექტებთან ერთად, როგორიცაა ოჯახური მდგომარეობა და სოციალიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ 1980-იან წლებში ისეთი ნეო-ლიბერალი, როგორიცაა მაგალითისთვის მისის ტეტჩერი უარყოფდა კავშირს ეკონომიკურ მდგომარეობასა და დანაშაულს შორის, ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის პირდაპირ ჩარევად შეგვიძლია განვიხილოთ ის, რომ ეკონომიკური რყევები ლეგალური ქმედებებებით გამოწვეულ დანაკარგებზე/სარგებელზე უფრო ახდენენ ზეგავლენას, ვიდრე

არალეგალური ქმედებებით (Becker 1968; Fielding, Clarke, and Witt, 2000:1-14 და ნაწილი პირველი). უმუშევარი პიროვნება, რომელიც სარგებელზეა დამოკიდებული, მაგალითისთვის, უკანონო ქმედებაში შედარებით მეტ მოგებას განჭვრეტს, ვიდრე ადამიანი, რომელიც ანაზღაურებას კანონიერი გზებით იღებს; განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც კანონიერი შრომის შესაძლებლობები უკდურესად შეზღუდულია, უმუშევარი ადამიანი ნასამართლეობას, როგორც დანაკარგს, არასათანადოდ შეაფასებს. კონვენციური ეკონომიკური ანალიზის გადმოსახედიდან, სარგებლის მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული რაციონალური ეკონომიკური აქტორი დანაშაულს იმ შემთხვევაში ჩაიდენს, თუ სარგებელი რაიმე კანონიერი გზით მოპოვებად გასამრჯელოზე მეტი იქნება. ამგვარად, დანაშაული შრომითი ბაზრის დინამიკის შესაბამისად განიცდის რყევებს (Grogger, 2000:268-73).ეკონომიკური თეორიის თანახმად, (მაგალითად, კლასიკურ კრიმინოლოგიაში) დამნაშავეების თავდაპირველ მოტივს შესაძლოა სრულიადაც არ წარმოადგენდეს კანონდარღვევა, უბრალოდ ცვალებადი ეკონომიკური გარემოებები შემდგომში განსაზღვრავენ მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ან დანაშაულის ჩადენისგან თავის შეკავების მოტივს.

i.საშუალებები. სხვადასხვა ტიპის დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარება. მოპარული საქონლის უკანონო ბაზრების ხელმისაწვდომობა და განსხვავებული საქონლის მიმზიდველობა, დანაშაულის პატერნების ცვლილებას იწვევს (Sutton 1998; Sutton et al. 2001; Fitzgerald et al. 2003; Hallsworth, 2005 :112). შრომით ბაზარში მიმდინარე ცვლილებები ასევე ახდენენ ზეგავლენას დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე. უმუშევრობა შესაძლოა, მრავალნაირი გზით ახდენდეს ზეგავლენას დანაშაულზე, თუმცა, დასაქმების განსხვავებული ტიპებიც სამუშაო ადგილზე დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა საშუალებებს სთავაზობენ ადამიანებს. ეკონომიკური კეთილდღეობა აფართოებს ისეთი საშუალებების შეძენისა და მოხმარების შესაძლებლობებს, როგორიცაა ალკოჰოლი და ნარკოტიკები, რომლებიც თავის მხრივ, ამძვინვარებენ დაპირისპირებებს (Field, 1990).

ii.შესაძლებლობა. დანაშაულის სამიზნეების ხელმისაწვდომობაზე ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარება. ღირებული და მარტივად მოპარვადი სამომხმარებლო საგნების - მანქანების, მობილური ტელეფონების, კამერების თუ სხვა - გავრცელება 1950-იანი წლების შუა ხანებიდან ხშირად დანაშაულის ზრდის მთავარ მიზეზად განიხილება. მაგალითებმა გვიჩვენა, რომ „ძარცვები და ყაჩაღობები დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობების მომრავლებას უკავშირდება, რაც თავის მხრივ, მომხმარებლების ჯამური დანახარჯის მაჩვენებლის სახით არის წარმოდგენილი... ყოველი 1%-იანი ზრდა ძარცვისა და ყაჩაღობის მაჩვენებელს 2%-ით ზრდის“ (Field, 1999:7). ეკონომიკური განვითარება ასევე ცვლის განსხვავებული ჯგუფების რუტინულ საქმიანობას და მათ მოწყვლადობას ვიქტიმიზაციად გარდაქმნის (Felson, 2010). მაგალითისთვის, როდესაც „ადამიანებს აქვთ ფული, ისინი უფრო მეტ დროს ატარებენ ფულის შოვნასა და ხარჯვაში, რითაც ადამიანების მოწყვლადობასა და მოსაპარი ნივთების ოდენობას ზრდიან“ (Filed, 1999). ამ და სხვა მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ „შესაძლებლობა ბადებს ქურდს“ (Felson and Clarke, 1998).

iii.კონტროლის არარსებობა. ისეთი მოტივირებული დამნაშავის შეჩერება ან შეკავება, რომელსაც „იარლიყიანი“ დანაშაულის ჩადენა აქვს განზრახული, შესაძლებელია ინტერნალიზებული, არაფორმალური კონტროლის ან დასჯის გარეგანი პერსპექტივების მეშვეობით. დანაშაულის ჩადენა კონტროლის ეფექტური მექანიზმების არარსებობას მოითხოვს, ცნობიერების „შინაგანი პოლიციისა“ თუ გარე პატრულირების ან დასჯის საფრთხის არსებობისგან დამოუკიდებლად.

ეკონომიკური ფაქტორები ზეგავლენას ახდენენ როგორც არაფორმალურ, ისე ფორმალურ კონტროლ-ზეც. დასაქმება სხვა მრავალ რაღაცასთან ერთად, დისციპლინის ირიბი თუ პირდაპირი ფორმაცაა. პირდაპირი ფორმით ის ზღუდავს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობასა და ცდუნებას, ხოლო არაპირ-დაპირი ფორმით, ის აძლიერებს ეფექტური განათლებისა და ქორწინების შესაძლებლობებს, რომელიც ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან მაკონტროლებელ ფაქტორს (Currie, 1985,1998). პოლიციური კონტროლისა და ფორმალური კონტროლის შესაძლებლობა, რესურსი და მენეჯმენტი ისეთი ეკონო-მიკური ფაქტორების გავლენის ქვეშაა მოქცეული, როგორიცაა მაგალითად, საჯარო დანახარჯების პოლიტიკის ცვლილება.

დანაშაული და ეკონომიკა: ემპირიული ლიტერატურა

1987 წელს სტივენ ბოქსმა 'რეცესიას, დანაშაულსა და სასჯელს' შორის არსებული ურთიერთკავშირის შესახებ ფუძემდებლური ანალიზი გამოაქვეყნა (Box, 1987). 14 წლის შემდეგ, 1973 წლის ნავთობ კრიზისმა ეკონომიკური ვარდნა დააჩქარა, ხოლო მარგარეტ ტეტჩერის ენთუზიასტურმა გატაცებამ მონეტარიზმით უმუშევრობის, უთანასწორობისა და სიღარიბის ზრდა გამოიწვია. ბოქსის ლიტერატურულმა კვლევამ 50-მდე ეკონომეტრიული კვლევა გამოავლინა, რომლებიც 1980-იან წლებში დანაშაულსა და უმუშევრობას შორის არსებულ კავშირს ზომავდნენ. ამ კვლევებიდან 32-მა აჩვენა, რომ უმუშევრობის მაღალი დონე დანაშაულის ზრდასთან იყო დაკავშირებული, მაშინ, როდესაც 18-მა კვლევამ საპირისპირო შედეგები გვიჩვენა, როგორც ამას ანომიის თეორია, რადიკალური კრიმინოლოგია და ნეოკლასიკური ეკონომიკა იწინასწარმეტყველეს ამ თეორიულმა პერსპექტივებმა საპირისპირო იწანსწარმეტყველეს - თითქოს რეცესია დანაშაულის კლებას უწყობდა ხელს ქურდობის სამიზნეებისა (მოსაპარი ნივთების) კლებისა და უმუშევრების სახლში დარჩენით მის „მცველებად" გადაქცევის გამო (ანუ სიტუაციური დანაშაულის პრევენციისა და რუტინული საქმიანობების თეორია).

ბოქსმა ასევე მიუთითა მრავალი მის მიერ განხილული კვლევის მეთოდოლოგიურ სისუსტეზე. კერძოდ, რამდენიმე დანაშაულის გასაზომად დაპატიმრებისა და გასამართლების მაჩვენებლებს იყენებდა, რაც უფრო პრობლემატურია, ვიდრე უშალოდ ოფიციალურად რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებ-ლები, ფართოდ ცნობილი შეზღუდულობებისდა მიუხედავად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი კონცეპ-ტუალური და მეთოლოგიური პრობლემატური საკითხები იკვეთება იმ ცვლადების გამოვლენისას, რომელთა გაკონტროლებაც აუცილებელია დანაშაულსა და უმუშევრობას შორის კავშირის გაზომვისას. ბოქსი ხაზს უსვამდა, ასევე, ჩატარებულ კვლევებში დანაშაულსა და უმუშევრობას შორის არსებულ მცირე კავშირებს და აღნიშნავდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევები კავშირის ჰიპოთეზას ამტკიცებდნენ, ასეთი კავშირი სუსტი იყო.

ბოქსმა ეკონომეტრული კვლევები შემოსავლების უთანასწორობისა და დანაშაულის ურთიერთკავშირის ჭრილშიც განიხილა. თეორიულად, მოსალოდნელია, რომ ეს ცვლადები მჭიდროდ უკავშირდებოდეს ერთმანეთს, იმიტომ, რომ უთანასწორობა გარკვეულწილად წარმოშობს კიდეც შედარებით დეპრი-ვაციას და დანაშაულის მოტივსაც შეიძლება წარმოადგენდეს. ბოქსის მიერ განხილული 17 კვლევიდან 12-ში უთანასწორობასა და დანაშაულს შორის პოზიტიური ურთიერთკავშირი იკვეთებოდა, ხოლო 5-ში ნეგატიური. ეს 5 გამონაკლისი ოჯახური ძალადობის შემთხვევა იყო, ამიტომ, ერთხმად მიემხრნენ იმ მოსაზრებას, რომ მეტი უთანასწორობა საკუთრებასთან დაკავშირებულ მეტ დანაშაულს გულისხმობდა.

კრიმინოლოგიური პერსპექტივიდან ეკონომეტრიულ კვლევებს მნიშვნელოვანი შეზღუდულობები ახასიათებთ, რომელთა გათვალისწინებაც კვლევების შედეგების შეფასებისას აუცილებელია. პირველი

შეზღუდულობა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომეტრიკოსების მიერ გაზომილ ცვლადებს ხისტი მიმართება ახასიათებთ კრიმინოლოგიურ თეორიებში დატესტილი კონცეფციებისადმი. მაგალითად, უმუშევრობისა და უთანასწორობის მაჩვენებლები ანომიას შეიძლება უკავშირდებოდეს, მაგრამ ისინი ანომიის პირდაპირ საზომებს არ წარმოადგენენ.

ისეთი ეკონომიკური ცვლადების სოციალური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, როგორიცაა დასაქმება ან შემოსავალი, ვარირებს განსხვავებული სოციალური, კულტურული თუ ინდივიდუალური გარემოებისა თუ ინტეპრეტაციის მიხედვით. საუკეთესო შემთხვევაში, ეკონომეტრიკას შეუძლია ურთიერთკავშირი გამოკვეთოს ეკონომიკურ ინდიკატორებსა და დანაშაულის ოფიციალურ მაჩვენებლებს შორის. მსგავსი ასოციაციების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებად ინტერპრეტაცია პირდაპირი მიზეზ-შედეგობრიობის არსებობას მოითხოვს. უფრო სიღრმისეულად კი, ეს კავშირი „ადეკვატური უნდა იყოს მნიშვნელობის დონეზე", როგორც ეს ვებერმა ჩამოაყალიბა (Weber, 1947/1964: 99–100), ამგვარად, ცვლადების, როგორც ადამიანის შეცნობადი ქმედებების თანმიმდევრობის დაკავშირებისთვის დამაჯერებელი ნარატივის არსებობაა საჭირო.

მნიშვნლოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ბოქსის მიერ განხილული კვლევები 1980-იანი წლების შუა ხანებამდე ჩატარდა. ისეთი ცვლადების სოციალური ხასიათი, მნიშვნელობა და ზეგავლენა, როგორებიცაა უმუშევრობა და უთანასწორობა არსებითად და მყისიერად შეიცვალა ბოქსის წიგნის გამოცემამდე, რამაც უბიძგა კიდეც ავტორს წიგნის დაწერისკენ (Box, 1987:წინასიტყვაობა). ეს ნიშნავს, რომ მის მიერ განხილული კვლევებიდან მიღებული მონაცემები, ძირითადად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულებში სრული დასაქმების პერიოდში შეგროვდა, როდესაც უმუშევრობა მეტწილად ნებაყოფლობით, გარდამავალ არჩევანს წარმოადგენდა. თეორიულად, ამ შემთხვევაში უმუშევრობის დანაშაულთან დაკავშირების რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი არც არსებობს.

1973 წლების შემდგომ, მონეტარიზმის გამოჩენამ და რეცესიამ, ახალგაზრდა მამაკაცებს საარსებო საშუალებების კანონიერი გზებით მოპოვების შესაძლებლობა წაართვა. სოციალური გავლენა და ამ მოვლენის მნიშვნელობა, განსაკუთრებით მომხმარებლურ საზოგადოებაში საკმაოდ განსხვავდება იმისგან, რასაც შედარებით ადრეულ დეკადებში უმუშევრობა წარმოადგენდა. ეს ნიშნავდა კანონიერ შრომასა და საოჯახო პასუხისმგებლობებში წარმოდგენილ გაძლიერებულ ანომიასა და კონტროლის აღმოფხვრის საბედისწერო კომბინაციას (Campbell, 1993; Currie 1998; Davis, 1998). უმუშევრობის სახეცვლილმა განსაზღვრებამ 1970-იანი წლების შუა ხანებში უფრო მჭიდრო კავშირი წარმოშვა უმუშევრობასა და დანაშაულის მაჩვენებლებს შორის (წინა ათწლეულებთან შედარებით).

ამავეს ადასტურებს ბოქსის 1987 წელს გამოცემულ წიგნზე ადრე ჩატარებული კვლევა (Marris 2000; Witt et al. 1999; Field 1999: Pt II; Kleck and Chiricos 2002; Deadman

and Macdonald 2002; Hale 2005; Arvanites and Dena 2006; Lin 2008; Hooghe et al. 2011). მიუხედავად იმისა, რომ 1980-იანი წლებიდან ჩატარებული ეს კვლევები დადებით ურთიერთკავშირს გამოავლენს უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელსა და დანაშაულის მაჩვენებელს შორის (განსაკუთრებით საკუთრებასთან დაკავშირებული დანაშაულის შემთხვევაში), ეს ურთიერთმიმართება არც თუ ისე მკაფიოა. ასე შესაძლოა იმის გამოც ხდება, რომ უმუშევრობის საერთო მაჩვენებლის გაზომვა მოიცავს როგორც ნებაყოფლობითი, ისე იძულებითი უმუშევრობის შემთხვევებს. რობინ მარისი შეეცადა ამ უკანასკნელის მნიშვნელობა შეეფასებინა და დაასკვნა, რომ 4%-ს ქვემოთ უმუშევრობის მაჩვენებელი მეტწილად გარდამავალ, ნებაყოფლობით უმუშევრობაზე მიანიშნებს, ხოლო 4%-ს ზემოთ არსებული მაჩვენებელი იძულებით უმუშევრობაზე მიგვითითებს. მარისი ცდილობს დაგვანახოს, რომ 1980-ანი წლების

მიწურულსა და 1990-იანი წლების დასაწყისში, ძარცვასა და იძულებით უმუშევრობას შორის ძლიერი კავშირი არსებობდა (Marris 2000:73-4).

მეტიც, უმუშევრობის სტატისტიკა ეკონომიკური სიდუხჭირისა და კეთილდღეობის საკმაოდ პრობლემატურ საზომად გადაიქცა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ უმუშევრობის ოფიციალური სტატისტიკა არსებითად 1980-იან წლებში გადაიხედა, ტეტჩერის მთავრობის ნეო-ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკით გამოწვეული უმუშევრობის მაჩვენებლების ინტენსიური ზრდის პარალელურად (Hale, 2005:332).

გარდა ამისა, იმასაც ამტკიცებდნენ, რომ უმუშევრობის მაჩვენებლების რყევები ჩამორჩებოდა ეკონომიკურ პირობებს. მაგალითისთვის, რეცესიისას, შემოსავლების მაჩვენებელი დასაქმების მაჩვენებელზე სწრაფად დაეცემა (შეკვეცილი ხელფასების თუ გაზრდილი ზეგანაკვეთური შრომის გამო). მოცემული პირობები ძარცვასა და ყაჩაღობას მეტ სტიმულს აძლევს ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე უმუშევრობის მაჩვენებელი გაიზრდება (Pyle and Deadman, 1994).

შრომითი ბაზრის სტრუქტურის უფრო ფართო გარდაქმნებმა, რომლებიც კეინზიანური ეკონომიკური მართვის მოდელიდან ნეო-ლიბერალიზმზე გადასვლას უკავშირდება, უმუშევრობის სტატისტიკა ეკონომიკური გამორიცხვისა და შედარებითი დეპრივაციის ნაკლებად მნიშვნელოვან საზომად წარმოაჩინეს.

კრის ჰეილმა, 190 წლებიდან „ორმაგი შრომითი ბაზრის“ წარმოქმნის კრიმინოგენური მნიშვნელობა გამოკვეთა (Hale, 1999, 2005:333-4; იხ. ასევე Krivo and Peterson 2004; Wadsworth 2006). აშკარა კონტრასტი იკვეთება პირველად თუ ძირითად სექტორსა - კვალიფიციური მუშებით, მათი შედარებითი უსაფრთხოებით, მაღალი შემოსავლებით, შრომითი უფლებებით - და მეორად, პერიფერიული სექტორს შორის (ძირითადად სერვისის სექტორი), სადაც ეს უპირატესობების მშრომელებს არ აქვთ. დასაქმება პერიფერიულ სექტორში ხასიათდება დაბალი კვალიფიკაციით, არასტაბილურობით, მოწყვლადობით, დაბალი ხელფასებით და შრომითი უფლებებისა და ბენეფიტების არარსებობით. ასეთ ტიპის ე.წ. “მაკსამსახურები“ („McJobs”) ნაკლებად თუ მოახდენენ ზეგავლენას დანაშაულის მაჩვენებლის შემცირებაზე ისევე ეფექტურად, როგორც ეს პირველადი სექტორის შემთხვევაში ხდება. 1980-იან წლებში ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად დეინდუსტრიალიზაციის პროცესი დაიწყო, რაც ყველაზე ინტენსიურად პირველად სექტორთან შედარებით პერიფერიაში გამოვლინდა. მოცემული პროცესი დანაშაულის გაზრდილ მაჩვენებელს უკავშირდებოდა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეკონომიკური დაღმავლობისას, მეორადი, პერიფერიული სექტორების შემოსავლები უფრო ეცემოდა (Grogger, 2000). მაჩინი და მეგირი გვიჩვენებენ, რომ არაკვალიფიციური მუშახელის კლებადი ანაზღაურება ძარცვისა და ყაჩაღობის შემთხვევების ზრდას უკავშირდება (Machin and Meghir, 2003). ამის საპირისპიროდ, 1999 წელს მინიმალური ანაზღაურების დადგენას დანაშაულის შემთხვევათა კლება მოჰყვა ისეთ სივრცეებში, სადაც მუშები მინიმალურ ფიქსირებულ ხელფასზე ნაკლები გასამრჯელოს სანაცვლოდ ასრულებდნენ სამუშაოს. ამგვარად მათ ამ ახალი პოლიტიკიდან ყველაზე მეტი სარგებელი მიიღეს (Hansen and Machin, 2003). შრომითი ბაზრის ცვალებადი სტრუქტურა ახსნას უძებნის დანაშაულის მაჩვენებლის ზრდასა და კლებას და აგრეთვე იმასაც აღნიშნავს, რომ მეორად სექტორში, უმუშევრობასა და მარგინალურ დასაქმებას შორის დაყოფა სულ უფრო უმნიშვნელო ხდება. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც განსაკუთრებით ართულებს დანაშაულისა და უმუშევრობის კავშირის გააზრებას, ეკონომიკური კეთილდღეობის ან სიდუხჭირის მამოტივირებელ და შესაძლებლობების ეფექტებს შორის არსებული წინააღმდეგობაა (Cantor and Land 1985; Kleck and Chiricos 2002). ბრიტანეთის შინაგან საქმეთა დეპარტამენტისთვის შესრულებული ანგარიში, საიმონ ფილდის ავტორობით, გვიჩვენებს, რომ ორივე

სხვადასხვანაირად, თუმცა თანაბრად მნიშვნელოვანია (Field, 1990,1999; Dhiri et al. 1999). მეორე მსოფ-ლიო ომსა და გვიან 1990-იან წლებს შორის მოქცეული პერიოდის მონაცემების ანალიზისას ფილდმა აღმოაჩინა, რომ ეკონომიკური ცვლილებების მოკლევადიანი ციკლური ეფექტები ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი შედეგებისგან უნდა განვასხვავოთ. მოკლევადიან პერპსექტივაში, ეკონომიკურ რყევებსა და ძარცვა/ყაჩაღობას შორის (და ზოგადად აღწერილ დანაშაულებს შორის) ერთგვარი უკუკავშირი არსებობს. გრძელვადიან პერსპექტივაში, დანაშაულისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა ერთდროულად დაიწყო მატება. ეს განსხვავება ეკონომიკური კეთილდღეობის გრძელ და მოკლე-ვადიან ეფექტებს შორის არსებულ წინააღმდეგობას მიაწერეს. მოკლევადიან პერსპექტივაში, ეკონომიკური აღმავლობა ამცირებს დანაშაულის ჩადენის მოტივაციას, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში მხოლოდ აფართოებს კრიმინალურ შესაძლებლობებს.

თავის 1987 წლის კვლევაში ბოქსმა წარმოადგინა იმის ემპირიული მტკიცებულება, რომ უთანასწორობა პირდაპირ უკავშირდებოდა ძარცვის, ყაჩაღობის და სხვა ძალადობრივი დანაშაულების რიცხვის მატებას (თუმცა არა ოჯახური ძალადობის შემთხვევების მატებას) (Box, 1987:87), რასაც ბრიტანეთსა და აშშ-ში ჩატარებული შედარებით გვიანი პერიოდის კვლევებიც ადასტურებენ (Hale, 2005:224-6).

მნიშვნელოვან ცვლილებად კი ახლა ის შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ოჯახური ძალადობა აღარ წარმოადგენს გამონაკლისს. რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო უთანასწორობისა და ოჯახური ძალადობის ძლიერი ურთიერთკავშირი (Wilkinson, 2005: 47–51; Wilkinson and Pickett 2009). განსხვავება კი ადრეული პერიოდის კვლევებისგან შესაძლოა იმითაა გამოწვეული, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევებში მონაწილე დამნაშავე თუ მსხვერპლი ღარიბი ახალგაზრდების რიცხვიც გაიზარდა (Dorling, 2004).

ეკონომეტრიული მტკიცებულებების განხილვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზღვავი მასალა არსებობს, რომელიც ყველა ტიპის დანაშაულის კავშირს დაადასტურებდა უთანასწორობასთან, შედარებით დეპრივაციასა და უმუშევრობასთან (განსაკუთრებით, გრძელვადიანი სოციალური გამორიცხვისას. იხილეთ, ასევე, Reiner 200:თავი 4). 1970-იანი წლებიდან, სისხლის სამართლის პოლიტიკის დისკურსში ეკონომიკური ფაქტორების როლის დაკნინება დომინანტურ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ პერსპექტივებში მიმდინარე ძვრებით იყო გამოწვეული. რასაც, მაგალითისთვის, ელრიხის ფუძემდებლური ნაშრომის შესწავლა გვიჩვენებს. 1970-იან წლებში შექმნილმა ელრიხის ნოვატორულმა ნაშრომებმა გამოაღვიძა ინტერესი დანაშაულის ეკონომიკის მიმართ. მისი მონაცემები ცხადად მიანიშნებდა სიღარიბეს, უთანასწორობას, უმუშევრობასა და დანაშაულის დონის ძლიერ ურთიერთკავშირზე (Ehrlich, 1973, 1975: 409–13) .

პოლიტიკური ეკონომიკა, დანაშაული და სისხლის სამართალის მართლმსაჯულება: შედარებითი და ისტორიული პერსპექტივები

ზემოთ განხილული ეკონომეტრიული მტკიცებულებები ყურადღებას კონკრეტული სოციალური წესრიგის ფარგლებში, ეკონომიკური ფაქტორებისა და დანაშაულის ურთიერთკავშირზე ამახვილებენ. იან ტეოლორი The Oxford Handbook of Criminology -ის პირველ და მეორე გამოცემაში, „პოლიტიკური ეკონომიკის“ თავში მიუთითებდა, რომ ეკონომეტრიული ლიტერატურა უპირველესყოვლისა დაინ-ტერესებულია „ეკონომიკურ კრიზისს, ბიზნეს ციკლს, ნორმალური ეკონომიკური პირობებიდან/ გარემოებებიდან გადახრისა და დანაშაულის ზრდის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესწავლით. ამ

პრაგმატულ პოლიტეკონომიურ ტრადიციაში მცირედი ადგილი უკავია ცნობისმოყვარეობას იმ შესაძლო საშუალებების/გზების გამოვლენის მიმართ, რომელთა მეშვეობითაც რუტინულად მოქმედი ეკონომიკები ორგანიზდებიან კაპიტალისა და შრომის ურთიერთდამოკიდებულების ან ინდივიდუალური ინტერესების გარშემო, რაც შესაძლოა ასევე წარმოადგენდეს დანაშაულის გამომწვევ გარემოებას"(ტეილორი 199:266). წინამდებარე ნაწილში განვიხილავთ განსხვავებული პოლიტიკური ეკონომიკების კავშირს დანაშაულისა და ძალადობის სახესხვაობებთან და სისხლის სამართლის იმ ფორმებთან, რომელსაც პოლიტიკური ეკონომიკა წარმოშობს.

დანაშაული და მართლმსაჯულება: თანამედროვე შედარებები

უკანასკნელი რამდენიმე წელია, სასჯელის პოლიტიკური ეკონომიისადმი ინტერესი გამოცოცხლდა. დეივიდ გარლანდის ფუნდამენტური ტექსტი „ კონტროლის კულტურა" (Garland, 2001) სადამსჯელო ველფარიზმიდან უფრო მკაცრ სადამსჯელო და შორსმჭვრეტელ პრევენციულ პოლიტიკაზე ეპოქალური გადასვლის მაგისტრალურ ანალიზს წარმოადგენს (კრიტიკული დიკსუსიებისთვის იხილეთ Zedner 2002; Matravers 2009; Nelken 2010: თავი. 4. ასევე, Young 1999, 2007; Reiner 2007; Simon 2007; Lacey 2008; Wacquant 2009; Bell 20).

პოლიტიკური ეკონომიკის მიმართ ეს განახლებული ინტერესი, მეტწილად, ახალი, პოპულისტური სადამსჯელო ფორმების ანალიზისკენ იყო მიმართული (Pratt et al 2005,2006; კრიტიკისთვის იხილეთ Matthews 2005, 2009). ყველაზე ფართოდ გავრცელებული წიგნი, რომელიც თვალნათლივ იყენებს პოლიტეკონომიურ თეორიულ ჩარჩოს მაიკლ კავადინოსა და ჯეიმს დიგნანის გავლენიანი ნაშრომი „Penal Systems: A Comparative Approach"-ია (Cavadino and Dignan, 2006). მათი ნაშრომი თანამედროვე სამყაროს სადამსჯელო სისტემებს შორის არსებული განსხვავების დამაჯერებელ ანალიზს წარმოადგენს, რომელშიც წარმოდგენილია ანგარიში 12 ინდუსტრიული, ლიბერალ-დემოკრატიული სახელმწიფოს შესახებ. თითოეული სახელმწიფოს შესახებ მასალა ექსპერტ-კრიმინოლოგებმა დაამუშავეს, სადაც დეტალური პასუხები გასცეს თავების ავტორებს.

წიგნი ცალსახად არის მოქცეული გლობალიზაციის კონტექსტში იმ თვალსაზრისით, რომ ის განსაკუთრებით გამოკვეთს ინფორმაციის, გლობალური საქონლისა და ფინანსური ბაზრების ნაკლოვანებებსა და მსჯელობს აშშ-ს ნეოლიბერალურ ეკონომიკურ თუ კულტურულ დომინირებასა და ეკონომიკურ სტრატეგიებზე. სისხლის სამართლის მიმართულებით, კავადინო და დიგნანი შენიშნავენ, რომ აშშ-ს მოდელი ე.წ „ნულოვანი ტოლერანტობის" მოდელია, რომელიც უპრეცედენტო სისწრაფით გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების პოლიტიკებსა და დისკურსებში, რამაც საბოლოოდ სასჯელაღსრულებით კონვერგენციაზე მსჯელობამდე მიგვიყვანა. თუმცა, მანამ, სანამ საერთო საერთაშორისო ზეწოლები, ტრენდები და აშშ-ს მზარდი კულტურული დომინაცია იარსებებს, კონვერგენცია ვერ გადაიქცევა ჰომოგენიზაციად (Nelken and Nelken 2010).

უკანასკნელ 15 წელიწადში კაპიტალიზმის სახესხვაობების დახასიათების რამდენიმე ისეთი მცდელობა ვიხილეთ (Hall and Soskice, 2003), რომელთა განჭვრეტაც თანამედროვე სამყაროშიც კი შეგვიძლია. მიუხედავად გლობალიზაციის საყოველთაოდ გაზიარებული იმ ტრაექტორიისა, რომელიც ვაშინგტონის კონსესუსის ნეო-ლიბერალური ეგიდის ქვეშ ჩამოყალიბდა, კეთილდღეობის კაპიტალიზმისა და კორპორატივიზმის არსებითად განსხვავებულ, „ნამდვილ სამყაროებს" არ შეუწყვეტავთ არსებობა (Glyn 1999; Olssen 2010). ამ ანალიზის განვითარებისას კავადინომ და დიგნანმა მიიჩნიეს, რომ თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიკის ოთხ იდეალურ ტიპს შორის განსხვავებები არსებობს, ეს ეკონომიკებია:

1.ნეო-ლიბერალიზმი - მინიმალური კეთილდღეობის სახელმწიფო, მაღალი შემოსავლით, ეგალიტა-რიანიზმის ფორმალური სტატუსით, შეზღუდული უფლებებით, თუმცა ინდივიდუალიზმით, მზარდი სოციალური გარიყვით, მემარჯვენე პოლიტიკის დომინირებით (რის საუკეთესო მაგალითსაც აშშ-წარმოადგენს).

2.კონსერვატიული კაპიტალიზმი - კეთილდღეობის სახელმწიფო, რომელიც არც თუ მკაფიოდ გამოხატული შემოსავლების უთანასწორობით ხასიათდება. ზომიერად იერარქიულია, ზომიერი სოციალური უფლებებით, სოციალური გარიყვით და ცენტრისტული პოლიტიკით (მაგ: გერმანია)

3.სოციალ-დემოკრატიული კორპორატივიზმი - უნივერსალისტური, უხვი კეთილდღეობის სახელმწიფო, სადაც შემოსავლების უთანასწორობა შეზღუდულია და ეგალიტარიანული სტატუსის სისტემა მოქმედებს. შედარებით მეტი სოციალური უფლებით, შეზღუდული სოციალური გარიყვით და მემარცხენე პოლიტიკის დომინირებით (მაგ: სკანდინავიური სახელმწიფოები).

4.ორიენტალისტური კორპორატივიზმი - პატერნალისტური კეთილდღეობის სახელმწიფოა, რომელიც კერძო სექტორს ემყარება. ასეთ სახელმწიფოში ტრადიციული სტატუსის იერარქიაა, კვაზი-ფეოდალური კორპორატივისტული ვალდებულებებით, მცირედი სოციალური გამორიცხვით, თუმცა „აუტ-საიდერთა“ გაუცხოებით, ამასთან, მემარჯვენე-ცენტრისტული პოლიტიკით (მაგ: იაპონია) .

კავადინოსა და დიგნანის ანალიზის არსი იმის დემონსტრირებაა, რომ პოლიტიკური ეკონომიკების მოცემული ტიპოლოგია სადამსჯელო პოლიტიკისა და კულტურის დამსჯელობით ხასიათებს შორის სხვაობებს შეესაბამება. თითოეული სახელმწიფოსადმი მიძღვნილი თავი პოლიტიკის (პრივატიზაციის, არასრულწლოვანთა კოდექსების და ა.შ) კონკრეტულ ასპექტებს აანალიზებს და გვიჩვენებს იმ შიდა ფაქტორებსა და კომპლექსურობას, რომელსაც სხვები უგულებელყოფდნენ ან ზედმეტად ამარ-ტივებდნენ. სადამსჯელო პოლიტიკისა და კულტურის თვალსაზრისით, ზემოთ მოცემული ეკონომიკის ოთხი ტიპი ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავდება, თუმცა არა სიმეტრიულად. დასჯადობის თვალ-საზრისით, პოლიტიკა დაპატიმრების რაოდენობრივი მაჩვენებლით იზომება. ამ მხრივაც, შემდეგნაირი კატეგორიზაციაა შესაძლებელი: ნეოლიბერალურ სახელმწიფოებში დასჯადობის დონე ყველაზე მაღა-ლია, შემდეგ ადგილზეა კონსერვატიულ-კორპორატივისტული სახელმწიფოები, შემდეგ სოციალ-დემოკრატიები და ბოლოს ორიენტალისტურ-კორპორატივისტული სახელმწიფოები, - მაგალითად, იაპონიას დაპატიმრების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (53) გააჩნია. ამ კატეგორიებს შორის გადა-ფარვაც ხდება ხოლმე, თუმცა სამხრეთ აფრიკა, აშშ, ინგლისი და უელსი (ყველანი ნეოლიბერალური სახელმწიფოების ჯგუფს მიეკუთვნებიან) მაინც მოწინავე ადგილებს ინარჩუნებენ.

ეს განსხვავებები სადამსჯელო პოლიტიკის სახესხვაობებს მიემართება. ნეო-ლიბერალური რეჟიმები სოციალ-დემოკრატიებთან შედარებით უფრო მეტი მიმღებლობით ეკიდებიან ციხეების პრივატიზებას. ისინი დასჯის მეთოდებითაც განსხვავდებიან, მაგალითად, იაპონია და სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები ექსკლუზიურ მეთოდებზე მეტად, უფრო ინკლუზიურ მეთოდებს მიმართავენ. განსხვავ-დება ასევე ამ რეჟიმების სადამსჯელო იდეოლოგიაც. ნეოლიბერალიზმი „კანონისა და წეს-რიგის“ დომინანტურ პოლიტიკასთან ასოცირდება, სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები უფლე-ებებზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო კონსერვატიული კორპორატივიზმი გამოსწორების შესაძლებ-ლობას უსვამს ხაზს.

კავადინოს და დიგნანის მნიშვნელოვანი ანალიზები სისხლის სამართლის პოლიტიკის განსხვავებების დემონსტრირებას ახდენს პოლიტიკური ეკონომიკის სხვადასხვა ტიპების მიხედვით, მაშინ, როცა

გლობალიზაციის პირობებში ყველა ეს ტიპი ექვემდებარება ერთნაირ ზეწოლას და ტენდენციებს. მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღვნიშნოთ. რომ ამხსნელობითი ცვლადი, რომელსაც ეს ავტორები უყურებენ, პოლიტიკური ეკონომიკაა და არა ეკონომიკა. მათი თეორიტიკული მოდელი ცალსახად უარყოფს ეკონომიკურ დეტერმინიზმს. ეს არის პლურალისტური ჩარჩო, რომელიც მატერიალური და კულტურული განზომილებებების ურთიერთქმედებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ისევე როგორც პოლიტიკურ კონფლიქტებს და პრაქტიკას, ინდივიდუალურ მოქმედ პირებსა და ჯგუფებს. სხვა კვლევები, 'პოლიტიკურ ეკონომიკაში' პოლიტიკის ნაწილის ანალიზს გვთავაზობს და გვიჩვენებს პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და კულტურაში (ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად) არსებული განსხვავებების მნიშვნელობას სასჯელის სისტემებს შორის განსხვავებების ახსნაში (Sutton 2004, 2010; Simon 2007; Lacey 2008). გარდა ამისა, სხვადასხვა ავტორი მკაცრი სანქციების გავრცელებს ასევე უკავშირებს მშრომელი კლასის კონტროლის მოდელების ცვლილებას (di Giorgi 2006; Wacquant 2009; Cheliotis and Xanakis 2010; Bell 2011).

კავადინოსა და დიგნანის ნაშრომის გარდა, არ არსებობს სხვა სისტემატური, შედარებითი ანალიზი სისხლისამართალსა და პოლიტიკურ ეკონომიკას შორის ურთიერთკავშირის შესახებ. ცხადია, რომ სხვადასხვა იურისდიქციებში დანაშაულის რეგისტრირებულ მაჩვენებლებს შორის შედარების პრობლემები გაცილებით დიდია ვიდრე არსებული სირთულეები სასჯელის სიმძიმის შედარებისას. (იხილეთ ნელკენის შედარებითი კრიმინოლოგია, მე 5 თავი). ამის მიზეზია ქვეყნების მიხედვით არსებული განსხვავებები სამართლებრივ დეფინიციებს და საპოლიციო პრაქტიკებს შორის, ისევე, როგორც დანაშაულის, წესრიგის და მორალის კულტურულ მნიშვნელობებს შორის, რაც გავლენას ახდენს დანაშაულის აღქმასა და შეტყობინებაზე.

1989 წლიდან, კრიმინალისტთა ჯგუფმა, ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით, სხვადასხვა ქვეყნებში ჩაატარა ,,საერთაშორისო დანაშაულის მსხვერპლთა გამოკითხვა" (ICVS) (n Dijk et al. 2007, მეოთხე გამოკითხვის ანგარიში. კვლევამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო დიდ ბრიტანეთში, რადგან ინგლისი და უელსი მოწინავე ქვეყნებად დასახელდა, რომლებიც მსხვერპლის ინციდენტების ანგარიშის მიხედვით, უსწრებდნენ ,,კრიმინალის დედაქალაქად" მოხსენიებულ აშშ-ს (van Dijk et al. 2007: 43).

კვლევის მეთოდოლოგია სკრუპულოზურად დამაჯერებელია და გულახდილი შესაძლო ლიმიტაციების წინაშე (როგორიცაა სატელეფონო ინტერვიუს გამოყენება). ეს ნათლად ამბიციური და საინტერესო წამოწყება არის ახალი მცდელობა, მოიპოვოს მონაცემები დანაშაულის სტრუქტურისა და ტენდენციის შესახებ. თუმცა ამის მიუხედავად, მიღებული შედეგები პოლიტეკონომიის თუ სხვა თეორიული ჩარჩოების პერსპექტივიდან უცნაურია და არ ექვემდებარება ინტერპრეტაციასა და განმარტებას (Young 2003a, 2004).

ICVS-ს მიერ შემოთავაზებული ქვეყნების განლაგება არ არის დაკავშირებული იმ პოლიტეკონომიურ ტიპებთან, რომლებიც კავადინოსა და დინანის მიერ იქნა შემოთავაზებული, ისევე, როგორც არაა დაკავშირებული დასჯადობის რეიტინგებთან. აღნიშნული საკითხი თანაბრად ამოუხსნელია ლიბერა-ლებისთვის, პოლიტიკური ეკონომისტებისთვისა თუ შეკავების თეორეტიკოსებისათვის. ჯოქ იანგის მიხედვით, სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები იმდენად არ შეესაბამება მოლოდინებს, რომ შესაძლებელია, პარადოქსულად, მაღალი მაჩვენებლების მქონე საზოგადოება იყოს ის, რომელშიც სერიოზული სისასტიკის არარსებობა რესპონდენტებს უფრო მგრძნობიარეს ხდის ცივილურობის დაბალი ხარისხის მიმართ, და ამგვარად, შესაძლოა, უფრო მეტი შემთხვევის შესახებ ატყობინებდნენ მკვლევრებს, რაც თავის მხრივ კვლევის დონის სტიმულირებას იწვევს!

შედარებით მცირეა პრობლემები მკვლელობების სტატისტიკის საერთაშორისო შედარებებთან მიმართებით (ცხადი მიზეზების გამო, არ არის გათვალისწინებული ვიქტიმიზაციის კვლევებში), ლეგალური განმარტებების არამრავალფეროვნებისა და აღრიცხვიანობის დაბალი ხარისხის გამო (Barclay and Tavares, 2003: 10). მკვლელობის მაჩვენებლების საერთაშორისო მოდელები მეთოდურად დაკავშირებულია პოლიტეკონომიურ ვარიაციებთან - ეს მოდელები ისევე მჭიდროდ უკავშირდება კავადინოს და დინანის მიერ შემუშავებულ ტუპოლოგიას, როგორც მათი ანალიზი სისხლისსამართლებრივი სისტემების შესახებ (Reiner, 2007: 106). ნეო-ლიბერალური ქვეყნები ხასიათდებიან უმაღლესი მაჩვენებლებით. სამხრეთ აფრიკა ბევრად მაღალ ნიშნულზეა, 100 000 მოსახლეზე 55.86 მაჩვენებლით. შემდეგ ადგილს აშშ იკავებს 5.56 ნიშნულით (1990-იანი წლების შემდეგ აღინიშნება ამერიკაში მკვლელობების მაჩვენებლების მკვეთრი დაცემა). ახალ ზელანდიაში, ინგლისსა და უელში, და ავსტრალიაში დანაშაულების ოდნავ დაბალი მაჩვენებლებია (2.5, 1.6, და 1.87 შესაბამისად). კონსერვატორული-კორპორატისტული ქვეყნები, იტალია, გერმანია, ნიდერლანდები, და საფრანგეთი, შემდეგ ადგილს იკავებენ: მაჩვენებლები შესაბამისად ნაწილდება: 1.5, 1.15, 1.51, და 1.73 - უფრო მცირე, ვიდრე „ნეო-ლიბერალური“ ჯგუფის ქვეყნებში. სოციალ-დემოკრატიული შვედეთი დაბალ ნიშნულს ინარჩუნებს (1.1) როგორც დანარჩენი ორი ჩრდილო სოციალ-დემოკრატიული ქვეყანა, დანია და ნორვეგია (შესაბამისად, 1.02 და 0.29). ხოლო, ფინეთი, გარკვეული მიზეზების გამო, ზოგადი ტრენდებისგან ანომალიურობით გამოირჩევა და ახასიათებს მკვლელობათა გაცილებით მაღალი მაჩვენებელი სხვა სოციალ-დემოკრატიულ ქვეყნებთან შედარებით. იაპონია უდაბლეს, 1.05, მაჩვენებელს ინარჩუნებს კავადინოსა და დიგნანის 12-ქვეყნიან სქემაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი უფრო მეტია, ვიდრე სოციალ-დემოკრატიულ დანიასა და ნორვეგიაში. საბოლოო დასკვნა ნათელია: ლეტალური ძალადობის მაჩვენებლები უმაღლესია ნეო-ლიბერალურ პოლიტიკურ ეკონომიკებში, ხოლო უდაბლესი - სოციალ-დემოკრატიულ ქვეყნებში.

ბევრი უახლესი კვლევა გვთავაზობს დამაჯერებელ ანალიზს, თუ რატომ იქნება ნეო-ლიბერალურ ქვეყნებში სერიოზული ძალადობრივი დანაშაულების მაჩვენებლები უფრო მაღალი, ვიდრე სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკურ ეკონომიკებში (Currie 1985, 1997, 1998a, and 1998b, 2009; James 1995; Hall 1997, 2011; Davies 1998; Dorling 2004; Hallsworth 2005; Hall et al. 2008; Hall and McLean 2009). უფრო ძველი ეკონომეტრიკული მიმოხილვა წარმოადგენდა მნიშვნელოვან მტკიცებულებას, რომ უთანასწორობა, შედარებითი დანაკარგები, იძულება, და მაღალი უმუშევრობა დაკავშირებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან და სერიოზულ ძალადობასთან. ასევე, აჩვენებდა, რომ ნეოლიბერალიზმი ასოცირებულია უფრო მასშტაბურ უთანასწორობასთან, გრძელვადიან უმუშევრობასთან და სოციალურ აკრძალვებთან (Reiner, 2007). ეკონომიკურ უთანასწორობასა და დეპრივაციასთან ერთად, კიურიმ წარმოადგინა სხვა შუამავალი მაკავშირებლები პოლიტიკურ ეკონომიკასა და ძალადობრივი დანაშაულების გამომწვევ მიზეზებს შორის (Currie 1997: 154-66). ეს მოიცავს „ საჯარო სერვისებისა და დახმარებების გაუქმებას, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვებისათვის; ერთობლივი დახმარების არაფორმალური და კომუნალური ქსელების, დაკვირვებისა და მზრუნველობის დაშლას; მატერიალისტური, დაუდევარი და „ხისტი“ კულტურის გავრცელებას; ძალადობის ტექნოლოგიების დაურეგულირებელ მარკეტინგს; და ... სოციალური და პოლიტიკური ალტერნატივების შესუსტებას“ (იქვე, 154)

ბიბლიოგრაფია:

AGNEW, R. (1992), 'Foundations for a General Strain Theory of Crime and Delinquency', Criminology, 30:47–87.

ARVANITES, T. and DEFINA, R. (2006), 'Business Cycles and Street Crime', Criminology, 44(1): 139–64.

BARCLAY, G. and TAVARES, C. (2003), International Comparisons of Criminal Justice Statistics 2001, London: Home Ofce.

BECKER, G. (1968), 'Crime and Punishment: An Economic Approach', Journal of Political Economy, 76: 175–209.

BECKER, H. (1963), Outsiders, New York: Free Press.

BECKER, H. (1967), 'Whose Side are We On?', Social Problems, 14: 32–40.

BECKETT, K. (1997), Making Crime Pay, New York: Oxford University Press.

BECKETT, K. and SASSON, T. (2000), The Politics of Injustice, Thousand Oaks, Cal.: Pine Forge.

BECKETT, K. and WESTERN, B. (2001), 'Governing Social Marginality: Welfare, Incarceration and the Transformation of State Policy', Punishment and

Society, 3: 43–59.

BEIRNE, P. (1993), Inventing Criminology, Albany, NY: State University of New York Press.

BELL, E. (2011), Criminal Justice and Neoliberalism, London: Sage.

BONGER, W. (1916/1969), Criminality and Economic Conditions, Bloomington: Indiana University Press.

BONGER, W. (1935), An Introduction to Criminology, London: Methuen.

BOWLING, B. (1999), 'The Rise and Fall of New York Murder', British Journal of Criminology, 39: 531–54.

BOX, S. (1987), Recession, Crime and Punishment, London: Macmillan.

BRAITHWAITE, J. (1979), Inequality, Crime and Public Policy, London: Routledge.

CAMPBELL, B. (1993), Goliath: Britain's Dangerous Places, London: Methuen.

CANTOR, D. and LAND, K. C. (1985), 'Unemployment and Crime Rates in Post World War II United States:A Theoretical and Empirical Analysis', American Sociological Review, 50: 317–32.

CARSON, W. G. (1970), 'White-collar Crime and the Enforcement of Factory Legislation', British Journal of Criminology, 10: 383–98.

CARSON, W. G. (1981), The Other Price of Britain's Oil, Oxford: Martin Robertson.

CAVADINO, M. and DIGNAN, J. (2006), Penal Systems: A Comparative Approach, London: Sage.

CHAMBLISS, W. (ed.) (1969), Crime and the Legal Process, New York: McGraw Hill.

CHAMBLISS, W, MICHALOWSKI, R., and KRAMER, R. (eds) (2010), State Crime in the Global Age, Cullompton: Willan.

CHAPMAN, D. (1968), Sociology and the Stereotype of the Criminal, London: Tavistock.

CHELIOTIS, L. and XENAKIS, S. (2010), 'What's Neoliberalism Got to Do With It? Towards a Political Economy of Punishment in Greece', Criminology and Criminal Justice, 10/4: 353–73.

CHIRICOS, T. G. (1987), 'Rates of Crime and Unemployment', Social Problems, 34: 187–211.

CLOWARD, R. and OHLIN, L. (1960), Delinquency and Opportunity, New York: Free Press.

COHEN, G. (2009), Why Not Socialism?, Princeton: Princeton University Press.

COHEN, G. (2010), On the Currency of Egalitarian Justice, Princeton: Princeton University Press.

COHEN, S. (1988), Against Criminology, New Jersey: Transaction Books.

COHEN, S. (1998), 'Intellectual Scepticism and Political Commitment: The Case of Radical Criminology', in P. Walton and J. Young (eds), The New Criminology

Revisited, London: Macmillan.

COHEN, S. and SCULL, A. (eds) (1983), Social Control and the State, Oxford: Martin Robertson.

COLEMAN, R., SIM, J., TOMBS, S., and WHYTE, D. (eds) (2009), State, Power, Crime, London: Sage.

COLQUHOUN, P. (1796), A Treatise on the Police of the Metropolis, 2nd edn, London: H. Fry.

COLQUHOUN P. (1800), Treatise on the Commerce and Police of the River Thames, London: J. Mowman.

COLQUHOUN P (1806), Treatise on Indigence, London: J. Hatchard.

COOK, D. (2006), Criminal and Social Justice, London: Sage.

CURRIE, E. (1985), Confronting Crime, New York: Pantheon.

CURRIE, E. (1997), 'Market, Crime and Community: Toward a Mid-range Theory of Post-industrial Violence', Theoretical Criminology, 1: 147–72.

CURRIE, E. (1998a), 'Crime and Market Society: Lessons From the United States', in P. Walton and J. Young (eds), The New Criminology Revisited, London:

Macmillan.

CURRIE, E. (1998b), Crime and Punishment in America, New York: Holt.

CURRIE, E. (2000), 'Re ections on Crime and Criminology at the Millenium', Western Criminology Review, 21(1): 1–15.

CURRIE, E. (2009), The Roots of Danger: Violent Crime in Global Perspective, Harlow: Prentice-Hall.

DAVIES, N. (1998), Dark Heart, London: Verso.

DEADMAN, D. and MACDONALD, Z. (2002), 'Why Has Crime Fallen? An Economic Perspective', Economic Affairs, 22: 5–14.

DHIRI, S., BRAND, S., HARRIES, R., and PRICE, R. (1999), Modelling and Predicting Property Crime Trends in England and Wales, London: Home Ofce.

DIGIORGI, A. (2006), Rethinking the Political Economy of Punishment, Aldershot: Ashgate.

DORLING, D. (2004), 'Prime Suspect: Murder in Britain', in P. Hillyard, C. Pantazis, S. Tombs, and D. Gordon (eds), Beyond Criminology, London: Pluto.

DORLING, D. (2011), Injustice, Bristol: Policy Press.

EHRLICH, I. (1973), 'Participation in Illegal Activities: A Theoretical and Empirical Investigation', Journal of Political Economy, 81: 521–63.

EHRLICH, I. (1975), 'The Deterrent Effect of Capital Punishment', American Economic Review, 65: 397–447.

EISNER, M. (2001), 'Modernisation, Self-control and Lethal Violence: The Long-term Dynamics of European Homicide Rates in Theoretical Perspective', British Journal of Criminology, 41:618–38.

ELIAS, N. (1939/1994), The Civilising Process, Oxford: Blackwell.

FELSON, M. and BOBA, R. (2010), Crime and Everyday Life, 4th edn, Thousand Oaks, Cal.: Sage.

FELSON, M. and CLARKE, R. (1998), Opportunity Makes the Thief, London: Home Ofce.

FIELD, S. (1990), Trends in Crime and Their Interpretation: A Study of recorded Crime in Postwar England and Wales, London: Home Ofce.

FIELD, S. (1999), Trends in Crime Revisited, London: Home Ofce.

FIELDING, N., CLARKE, A., and WITT, R. (eds) (2000), The Economic Dimensions of Crime, London: Palgrave.

FITZGERALD, M., STOCKDALE, J., and HALE, C. (2003), Young People and Street Crime, London: Youth Justice Board.

FOUCAULT, M. (1977), Discipline and Punish, London: Penguin.

GARLAND, D. (1985), Punishment and Welfare, Aldershot: Gower.

GARLAND, D. (1990), Punishment and Modern Society, Cambridge: Cambridge University Press.

GARLAND, D. (2001), The Culture of Control, Oxford: Oxford University Press.

GARLAND, D. (2002), 'Of Crime and Criminals', in M. Maguire, R. Morgan, and R. Reiner (eds), The Oxford Handbook of Criminology, 3rd edn, Oxford: Oxford

University Press

GLYN, A. (ed.) (1999), Social Democracy in Neo-Liberal Times, Oxford: Oxford University Press.

GOBERT, J. and PUNCH, M. (2003), Rethinking Corporate Crime, London: Butterworths.

GREEN, P. and WARD, T. (2004), State Crime, London: Pluto.

GROGGER, J. (2000), 'An Economic Model of Recent Trends in Violence', in A. Bloomstein and J. Wallman (eds), The Crime Drop in America, Cambridge: Cambridge University Press.

HALE, C. (1998), 'Crime and the Business Cycle in Post-war Britain Revisited', British Journal of Criminology, 38: 681–98.

HALE, C. (1999), 'The Labour Market and Post-war Crime Trends in England and Wales', in P. Carlen and R. Morgan (eds), Crime Unlimited, London:

Macmillan.

HALE, C. (2005), 'Economic Marginalization and Social Exclusion', in C. Hale, K. Hayward, A. Wahidin, and E. Wincup (eds), Criminology, Oxford: Oxford

University Press.

HALL, P. and SOSKICE, D. (eds) (2003), Varieties of Capitalism, Oxford: Oxford University Press.

HALL, S. (2011), Theorising Crime and Deviance, London: Sage.

HALL, S., WINLOW, S., and ANCRUM, C. (2008), Criminal Identities and Consumer Culture: Crime, Exclusion and the New Culture of Narcissism, Cullompton: Willan.

HALL, S. and MCLEAN, C. (2009), 'A tale of two capitalisms: Preliminary Spatial and Historical Comparisons of Homicide', Theoretical Criminology 13/3: 313–39.

HALL, S, CRITCHER, C., JEFFERSON, T., CLARKE, J., and ROBERTS, B. (1978), Policing the Crisis, London: Macmillan.

HALLSWORTH, S. (2005), Street Crime, Cullompton, Devon: Willan.

HANSEN, K. and MACHIN, S. (2003), 'Spatial Crime Patterns and the Introduction of the UK Minimum Wage', Oxford Bulletin of Economics and Statistics, 64: 677–97.

HAY, D., LINEBAUGH, P., THOMPSON, E. P., RULE, J. G., and WINSLOW, C. (1975), Albion's Fatal Tree, London: Penguin.

JAMES, O. (1995), Juvenile Violence in a Winner-Loser Society, London: Free Association Books.

KLECK, G. and CHIRICOS, T. (2002), 'Unemployment and Property Crime: A Target-Speci c Assessment of Opportunity and Motivation as Mediating Factors',

Criminology, 40: 649–79.

KRIVO, L. T. and PETERSON, R. D. (2004), 'Labour Market Conditions and Violent Crime Among Youth and Adults', Sociological Perspectives, 47(4): 485–505.

LACEY, N. (2008), The Prisoners' Dilemma: Political Economy and Punishment in Contemporary Democracies, Cambridge: Cambridge University Press.

LACEY, N., WELLS, C. and QUICK, O. (2010), Reconstructing Criminal Law, 4th edn, Cambridge: Cambridge University Press.

LEA, J. (2002), Crime and Modernity, London: Sage. —— and YOUNG, J. (1984), What is to be Done about Law and Order?, London: Penguin.

LIN, M-J. (2008), 'Does Unemployment Increase Crime? Evidence From US Data 1974–2000', Journal of Human Resources, 43/3: 413–36.

MACEWAN, A. (1999), Neo-liberalism or Democracy?, London: Zed Books.

MCLAUGHLIN, E., MUNCIE, J., and HUGHES, G. (2001), 'The Permanent Revolution: New Labour, New Public Management and the Modernization of Criminal Justice', Criminal Justice, 1: 301–18.

MACHIN, S. and MEGHIR, C. (2004), 'Crime and Economic Incentives', Journal of Human Resources, 39: 958–79.

MARRIS, R. (2000), Survey of the Research Literature on the Economic and Criminological Factors In uencing Crime Trends, London: Volterra Consulting.

MATTHEWS, R. (2005), 'The Myth of Punitiveness', Theoretical Criminology, 9/2: 175–201.

MATTHEWS, R. (2009), 'Beyond "So What?" Criminology', Theoretical Criminology, 13/3: 341–62.

MARX, K. (1867/1976), Capital Vol. 1, London: Penguin.

MARX, K. and ENGELS, F. (1848/1998), The Communist Manifesto, London: Verso.

MATRAVERS, M. (ed.) (2009), Managing Modernity, London: Routledge.

MERTON, R. (1938), 'Social Structure and Anomie', American Sociological Review, 3: 672–82 (in R. Merton (1957), Social Theory and Social Structure, London: Free Press).

MESSNER, S. and ROSENFELD, R. (2006), Crime and the American Dream, 4th edn, Belmont, Cal.:Wadsworth.

MORRIS, R. (2001), ' "Lies, Damned Lies and Criminal Statistics": Reinterpreting the Criminal Statistics in England and Wales', Crime, History and Societies,

5: 111–27.

NELKEN, D. (2010), Comparative Criminal Justice, London: Sage.

OLSSEN, M. (2010), Liberalism, Neoliberalism, Social Democracy, London: Routledge.

PRATT, J. (2006), Penal Populism, London: Routledge.

PYLE, D. and DEADMAN, D. (1994), 'Crime and the Business Cycle in Post-war Britain', British Journal of Criminology, 34: 339–57.

REIMAN, J. and LEIGHTON, P. (2009), The Rich Get Richer and the Poor Get Prison, 8th edn, Boston: Allyn and Bacon.

REINER, R. (1984), 'Crime, Law and Deviance: The Durkheim Legacy', in S. Fenton, Durkheim and Modern Sociology, Cambridge: Cambridge University Press.

REINER, R. (1988), 'British Criminology and the State', British Journal of Criminology, 29(1): 138–58

REINER, R. (2002), 'Classical Social Theory and Law', in J. Penner, D. Schiff, and R. Nobles (eds), Jurisprudence, London: Butterworths.

REINER, R. (2006), 'Beyond Risk: A Lament for Social Democratic Criminology', in T. Newburn and P. Rock (eds), The Politics of Crime Control, Oxford: Oxford University Press.

REINER, R. (2007), Law and Order: An Honest Citizen's Guide to Crime and Control, Cambridge: Polity.

REINER, R. (2010a), The Politics of the Police, 4th edn, Oxford: Oxford University Press.

REINER, R. (2010b), Citizenship, Crime. Criminalisation: Marshalling A Social Democratic Perspective', New Criminal Law Review, 13/2: 240–61.

REINER, R. (2011), Policing, Popular Culture and Political Economy: Towards A Social Democratic Criminology, Farnham: Ashgate.

ROGERS, P. (2002), Losing Control: Global Security in the Twenty- rst Century, London: Pluto.

ROTH, R. (2010), American Homicide, Cambridge: Harvard University Press.

RUSCHE, G. and KIRCHHEIMER, O. (1939/2003), Punishment and Social Structure, New Jersey: Transaction.

SIMON, J. (2007), Governing Through Crime, New York: Oxford University Press.

SUTTON, J. R. (2004), 'The Political Economy of Imprisonment in Af uent Western Democracies, 1960–1990', American Sociological Review, 69(1): 170–89.

SUTTON, J. R. (2010), 'Imprisonment and Oppor tunity Structures', European Sociological Review, advance access 11 August: 1–16.

SUTTON, M. (1998), Handling Stolen Goods and Theft: A Market Reduction Approach, London: Home Ofce.

SUTTON, M., SCHNEIDER, J., and HETHERINGTON, S. (2001), Tackling Theft With the Market Reduction Approach, London: Home Ofce.

TAYLOR, H. (1998a), 'The Politics of the Rising Crime Statistics of England and Wales 1914–60', Crime, History and Societies, 2: 5–28.

TAYLOR, H. (1998b), 'Rising Crime: The Political Economy of Criminal Statistics Since the 1850s', Economic History Review, 51: 569–90.

TAYLOR, H. (1999), 'Forging the Job: A Crisis of "Modernisation" or Redundancy for the Police in England and Wales 1900–39', British Journal of Criminology, 39: 113–35.

TAYLOR, I. (1981), Law and Order: Arguments for Socialism, London: Macmillan.

TAYLOR, I. (1997), 'The Political Economy of Crime', in M. Maguire, R. Morgan, and R. Reiner (eds), The Oxford Handbook of Criminology, 2nd edn, Oxford:

Oxford University Press.

TAYLOR, I. (1999), Crime in Context, Cambridge: Polity.

TAYLOR, I., WALTON, P., and YOUNG, J. (1973), The New Criminology, London: Routledge.

VAN DIJK, J., VAN KESTEREN, J., and SMIT, P. (2008), Criminal Victimisation in International Perspective, The Hague: Boom.

WACQUANT, L. (2009), Punishing the Poor: The Neoliberal Government of Social Insecurity, Durham, N.C.: Duke University Press.

WADSWORTH, T. (2006), 'The Meaning of Work: Conceptualising the Deterrent Effect of Employment on Crime Amongst Young Adults', Sociological Perspectives, 49(3): 343–68.

WEBER, M. (1947/1964), The Theory of Social and Economic Organisation, Glencoe, lll.: Free Press.

WEBBER, C. (2007), 'Revaluating Relative Deprivation Theory', Theoretical Criminology, 11/1: 97–120.

WILKINSON, R. (2005), The Impact of Inequality, New York: New Press.

WILKINSON, R. and PICKETT, K. (2009), The Spirit Level: Why More Equal Societies Almost Always Do Better, London: Allen Lane.

WILSON, J. Q. (1975), Thinking About Crime, New York: Vintage.

WILSON, J. Q. and HERRNSTEIN, R. (1985), Crime and Human Nature, New York: Simon and Schuster.

WITT, R., CLARKE, A., and FIELDING, N. (1999), 'Crime and Economic Activity: A Panel Data Approach', British Journal of Criminology, 39: 391–400.

YOUNG, J. (1986), 'The Failure of Criminology: The Need for a Radical Realism', in R. Matthews and J.Young (eds), Confronting Crime, London: Sage.

YOUNG, J. (1988), 'Radical Criminology in Britain', British Journal of Criminology, 28: 159–83.

YOUNG, J. (1999), The Exclusive Society, London: Sage.

YOUNG, J. (2003a), 'Winning the Fight Against Crime? New Labour, Populism and Lost Opportunities', in R. Matthews and J. Young (eds), The New Politics of

Crime and Punishment, Cullompton, Devon: Willan.

YOUNG, J. (2003b), 'Merton With Energy, Katz With Structure: The Sociology of Vindictiveness and the Criminology of Transgression', Theoretical Criminology, 7: 389–414.

YOUNG, J. (2004), 'Voodoo Criminology and the Numbers Game', in J. Ferrell, K. Hayward, W. Morrison, and M. Presdee (eds), Cultural Criminology Unleashed,

London: Glasshouse.

YOUNG, J. (2007), The Vertigo of Late Modernity, London: Sage.

ZEDNER, L. (2002), 'The Dangers of Dystopias in Penal Theory', Oxford Journal of Legal Studies, 22:341–66.

YOUNG, J. (2006a), 'Policing Before the Police', British Journal of Criminology, 46: 78–96.

YOUNG, J. (2006b), 'Oppor tunity Makes the Thief-Taker: the Inuence of Economic Analysis on Crime Control', in T. Newburn and P. Rock (eds), The Politics of Crime Control, Oxford: Oxford University Press.

2.3. დანაშაული და კაპიტალი: დანაშაულის და სასჯელის მარქსისტული თეორიის ხელახალი გააზრება

ავტორი: კრეგ ვორალი

მთარგმნელი მარიამ ბეგაძე

შესავალი

სოციალური მოვლენების საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდებით ახსნის მცდელობებს გრძელი ისტორია აქვს და კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში პირველად ლომბროზოსთან გვხვდება (1876). ობიექტურობის და მეცნიერული სიზუსტის შესახებ მტკიცების საპირისპიროდ, რომელსაც ეს 'პოზიტივისტური' მეთოდოლოგიები ეყრდნობა, 1970იანი წლების დასაწყისში კრიმინალურობის რადიკალურად განსხვავებული კონცეფცია გამოიკვეთა, რომელიც დანაშაულის ფართო სტრუქტურული მიზეზების ახსნას ცდილობდა და პოზიტივიზმისთვის დამახასიათებელ კრიმინალურობის დეტერმინისტულ მოდელს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი ტეილორის, ვოლტონის და იანგის ახალი კრიმინოლოგიაა (The New Criminology 1973), რომელთა მარქსისტულმა ანალიზმა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები ერთმნიშვნელოვნად წარმოების კაპიტალისტურ მოდელს, ასევე მასთან დაკავშირებულ სიმდიდრის და ძალაუფლების უთანასწორობას დაუკავშირა. მათ მიზნად დაისახეს აგენტობის და დევიაციაზე სოციალური რეაქციის შესახებ თეორიების გაერთიანება და ამ ანალიზის კაპიტალისტური სოციალური ურთიერთობების ჩარჩოში მოქცევა, დევიაციის სრულყოფილი კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად. კრიტიკასთან შესაბამისი თანდათანობითი ევოლუციის მიუხედავად, ამ მიდგომამ კრიმინალურობის შესახებ დეტერმინიმისტულ მოდელს თავი ვერ დააღწია. ამ სტატიის მტკიცებით, წარსულის წარუმატებლობის მიუხედავად, შესაძლებელია დანაშაულის მარქსისტული თეორიის ჩამოყალიბება, ისე რომ კრიმინალური ქმედების კაპიტალისტური სტრუქტურების 'ობიექტურ' პროდუქტამდე დეტერმინისტული დავიწროება არ მოხდეს. უფრო მეტიც, დანაშაულის სოციალური ასპექტების შესახებ რადიკალური თეორია აუცილებელია სისხლის სამართლის სადამსჯელო პოლიტიკის გასანეიტრალებლად. სტატია პირველ რიგში მიმოიხილავს თეორიულ საფუძვლებს და ტრადიციული მარქსისტული კრიმინოლოგიის ძირითადად პრინციპებს, რომ შემდგომში ამ მიდგომების კრიტიკის შესაძლებლობები წარმოადგინოს. სტატია ამტკიცებს, რომ ამ კრიტიკაზე რადიკალური კრიმინოლოგიის პასუხის მიუხედავად, დეტერმინისტული მიდგომით მარქსიზმი კრიმინალურობის არასაკმარის ახსნას წარმოადგენს. სტატიის დარჩენილი ნაწილი განიხილავს მარქსის სოციალური თეორიის ალტერნატიულ კონცეფციას და მიუთითებს, რომ ასეთ თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული კვლევა მომავალში შესაძლოა კაპიტალის, დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმიმართების უკეთ გაგებაში დაგვეხმაროს.

ახალი კრიმინოლოგიის ავტორებისთვის, კრიმინალურობის კვლევის პოზიტივისტური მეთოდოლოგია კრიტიკის მთავარი საგანი იყო. მართალია პოზიტივიზმის განმარტება 'პოზიტივისტურად' შეფასებული მიდგომების განსხვავებულობიდან გამომდინარე რთულია (ჰალფპენი 1992), თუმცა ამ კონტექსტში ის მიემართება მიდგომას, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდოლოგიის გამოყენებით სწავლობს სოციალურ ქცევას. ეს მოიცავს მიზეზშედეგობრივი კავშირის კვლევას ისე როგორც ფიზიკურ სამყაროში ობიექტებს შორის ურთიერთკავშირს სწავლობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (მუნცი 1999:85). ერთი შეხედვით, პოზიტივიზმი მიმზიდველი ანალიტიკური მიმდინარეობაა; აღსანიშნავია, რომ მისი კავშირი კლასიკურ მეთოდოლოგიურ მიდგომებთან, როგორც ისინი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გვხვდება, გულისხმობს კრიმინალური და დევიაციური ქცევის შესახებ ობიექტური სიმართლის ძებნას. მისი წინაპირობა კონსენსუსური მსოფხედველობაა, რომელიც დევიაციური ქცევის სუბიექტზე ძალაუფლების განხორციელების შესახებ ეთიკურ საკითხებს გამორიცხავს; დევიაცია მოიზრება ინდივიდუალური დამნაშავის პათოლოგიურ მახასიათებლად ან მისი პათოლოგიური სოციალური გარემოს შედეგად (მუნცი 1999:100). ლობერის და ფარინგტომის (2000) კვლევა პოზიტივისტური მეთოდოლოგიის მაგალითს წარმოადგენს: ისინი 'რისკ ფაქტორებს' აფასებენ, რომლებიც მოზარდ ასაკში დელიკვენტური და კრიმინალური ქცევის გამომწვევ 'განვითარების გზებს' უკავშირდება და კრიმინალურობის 'აღრეულიმაფრთხილებელი ნიშნების' იდენტიფიკაციას ცდილობენ. ისინი ცხოვრების შემდგომ ეტაპზე დელიკვენტურ ტენდენციებთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების ამომწურავ სიას წარმოადგენენ, მათ შორის არის 'არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრება' და მიღრეკილება 'იმპულსური ქცევისკენ' (გ. 749). თუმცა, მიზეზები თუ როგორ ხდებიან არასწრულწლოვ-ნები ამ რისკების მატარებლები, მაგალითად რატომ აქვს ზოგიერთ ბავშვს არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრება და სხვებს არა, აუხსნელი რჩება, რაც ნიშნავს, რომ ფართო სტრუქტურულ ფაქტორებთან და ძალაუფლებრივ ურთიერთობებთან კავშირი საუკეთესო შემთხვევაში - სუსტია. ამასთან, მოსაზრება, რომ კრიმინალური ქცევა შესაძლოა ამ რისკ ფაქტორებზე მნიშვნელობის მატარებელი რეაქციაა, არ არის განხილული. შესაბამისად, უმეტესწილად დეტერმინისტული მოდელია განვითარებული, რომლის მიხედვით აქტორები თითქოს ავტომატურად რეაგირებენ ამ რისკების შემცველ სოციალური გარემოზე. ასეთი კვლევები დევიაციურ ქცევაში ადამიანის კრეატიულობის როლს და კრიმინალურობასა და კრიმინალიზაციაზე ფართო ძალაუფლებრივი ურთიერთობების გავლენას უგულებელყოფენ. როგორც ასეთი, ეს კვლევები დაინტერესებულია სოციალური რისკ ფაქტორების შემცირებით და ინდივიდუალური დამნაშავეების გამოსწორებით.

ცხადია, ობიექტურ კვლევაზე გაცხადებული აქცენტის მიუხედავად, პოზიტივისტური ტრადიციებიც შეზღუდულია. თანამედროვე კრიმინოლოგები პოზიტივისტური პერსპექტივის ალტერნატივის შესაქმნე-ლად თავდაპირველად ამერიკული სკოლის ეტიკეტირების (labelling) და დაძაბულობის (strain) თეო-რიებს ეყრდნობოდნენ. დაძაბულობის თეორიის მიხედვით, როდესაც საზოგადოებაში ნორმად მიღებულ მიზნებსა და მათ მისაღწევად არსებულ შესაძლებლობებს შორის აცდენაა, სუბიექტები არალეგიტიმურ (კრიმინალურ, დევიაციურ) მეთოდებს გამოიყენებენ ამ მიზნების მისაღწევად. კოენი (1995), მაგალითად, დელიკვენტურ სუბკულტურებს უკავშირებს ჯგუფის წევრების შეუძლებლობას ტრადიციული საშუალე-ბებით მიაღწიონ შესაბამის სტატუსს; სუბკულტურა გულისხმობს სტატუსის ალტერნატიულ იერარქიას (გვ. 121-122). სტატუსის ან მატერიალური მიზნების მიღწევის შეუძლებლობა შესაძლოა გამოწვეული იყოს სკოლაში წარუმატებლობით, მატერიალური სიდუხჭირით ან ეკონომიკური კრიზისით, რომელიც უმუშევ-რობის მაღალ დონეს განაპირობებს (ბოქსი 1987: 36-39). დაძაბულობის თეორიის უპირატესობა ის არის,

რომ ის დევიაციური ქცევის კონცეპტუალიზაციას ახდენს როგორც შემოქმედი სუბიექტის პასუხს მის მიმართ არსებულ სტრუქტურულ ბარიერი (კოენი 1995:51) და როგორც ასეთი, პოზიტივიზმის ხისტ დეტერმინიზმს სცდება.

ეტიკეტირების თეორია ხაზს უსვამს დევიაციის არამდგრად ბუნებას; ბეკერი აღნიშნავს, რომ ყველა სოციალური ჯგუფი ქმნის და ცდილობს აღასრულოს წესები და შესაბამისად 'დევიაცია არ არის პირის ქმედების მახასიათებელი, არამედ სხვების მიერ წესების და სანქციების გამოყენების შედეგი' (1973:9). დევიაცია არა დამნაშავის პათოლოგიური მორალური მარცხია, არამედ სინამდვილეში ის გარკვეული ეტიკეტის მიმაგრების შედეგია. აქედან გამომდინარე, მარტივი სხვაობა 'ნორმალურ' და დევიაციურ' ქმედებას შორის არ არსებობს და დევიაციის შესწავლა მორალური კონოტაციისგან დაცლილად ინტერაქციულ კონტექსტში უნდა მოხდეს (ლემერტი 1951: 21-23). რადიკალური კრიმინოლოგიის ახალმა მიმდინარეობამ დეტერმინისტული პოზიტივისტური მიდგომების საპირისპიროდ ამ პერსპექტი-ვების მნიშვნელობა ცნო; თუმცა, დაძაბულობის და ეტიკეტირების თეორიებმა მაინც ვერ წარმოადგინეს დანაშაულის და დევიაციის სრულყოფილი ახნა. მართალია დაძაბულობის თეორია აქცენტს აკეთებს სტრუქტურაზე და კრიმინოლოგიას დანაშაულის პათოლოგიური გაგებისგან მიჯნავს, თუმცა ის დამნაშავეს მაინც მხოლოდ რეაქციულ და ადაპტირებად, არასაკმარისი კრეატიულობის მქონე, სუბიექ-ტად ხედავს (დოუნსი და როკი 1995); კოენის კვლევაში (1955), მაგალითად, დელიკვენტი ახალგაზრდები უბრალოდ 'საშუალო ფენის მორალური ნორმების შემობრუნებას გაფუჭებული ავტომატიკის მსგავსად ახდენენ' (იანგი 1998:18). ეტიკეტირების თეორია ასევე შეზღუდულია იმით, რომ ის ნაკლებად განიხილავს საზოგადოების ფართო მაკრო-მახასიათებლებს და მიკრო-ინტერაქციულ სიტუაციებზე კონცენტრირდებოდა (იანგი 1998: 19). რადიკალური კრიმინოლოგიის მიზანი ამ თეორიების სინთე-ზირება და მათი შეზღუდვების გადალახვა იყო, ისე რომ მსჯელობა ფართო სოციალური სტრუქტურების ჭრილში გადამეტებული წინასწარ განსაზღვრულობის გარეშე მომხდარიყო.

დანაშაულისა და სასჯელის მარქსისტული თეორია

რადიკალური კრიმინოლოგია ავითარებს მოსაზრებას, რომ დანაშაული კაპიტალისტური წარმოების ფორმების კონტექსტში უნდა აიხსნას, განსხვავებით პოზიტივიზმისაგან, რომელიც დანაშაულს განსაზღვრული მორალური შეთანხმების/კონსენსუსის დარღვევად მიიჩნევს (ტეილორი, 1973: 279). სამართლებრივი და მართლმსაჯულების სისტემის ფასადს მიღმა დგას უთანასწორობისა და რეპრესიული სოციალური წესრიგის დაცვის მექანიზმი (კოენი, 1998: 103) და სწორედ ეს უთანასწორობა წარმოშობს სივრცეს დანაშაულისა და დევიაციისთვის. ტეილორის, ვოლტონისა და იანგის (1973) მტკიცებით, დევიაციის სრულყოფილი სოციალური თეორია მგრძნობიარე უნდა იყოს იმ კავშირების მიმართ, რომლებიც არსებობს ფაქტობრივად ჩადენილ დევიაციურ ქმედებას, ამ დევიაციურ ქცევაზე არსებულ როგორც იმწუთიერ, ასევე უფრო ზოგად რეაქციებს, ამ რეაქციების გავლენას დევიაციური ქმედების განმახორციელებლის (დევიანტის) შემდგომ ქცევასა და დევიაციური ქცევის წარმოშობის უფრო ღრმა საფუძვლებს, კერძოდ, ინდუსტრიულ საზოგადოებებში ძალაუფლებისა და სიმდიდრის უთანასწორობას, შორის; ეს მოვლენები ერთმანეთთან კომპლექსურ დიალექტიკურ ურთიერთობაში არიან. ბომის თანახმად, 'რადიკალური მარქსისტული თეორიით შთაგონებული ანალიზი დანაშაულს და სოციალურ კონტროლს სოციო-ეკონომიკური ფორმაციების სოციალურ ურთიერთმიმართებად მიიჩნევს' (1998: 20), რომელშიც სოციალური სუპერსტრუქტურები (რომლებიც ისეთი ინსტიტუციებისგან

შედგება როგორიცაა სამართალი, ოჯახი და სახელმწიფო) ეკონომიკურ საფუძვლებთან დიალექტიკურ ურთიერთობაში არსებობენ.

ამას ხაზს უსვამს ბოქსი (1987) დანაშაულსა და ეკონომიკურ კრიზისს შორის ურთიერთობაზე მის კვლევაში. ის უთითებს, რომ ეკონომიკური კრიზისი ზრდის უთანასწორობას და იწვევს უმუშევრობას; უმუშევრობას განსხვავებული მნიშვნელობა ექნება სხვადასხვა ინდივიდისთვის და შესაბამის მიმართულებას მისცემს მათ რეაქციებსაც. მაგალითისათვის, მეტად სავარაუდოა, რომ მამრობითი სქესის ოჯახის მარჩენალ პირს, რომელსაც ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფის მოვალეობის ძლიერი განცდა აქვს, ფსიქოსოციალურმა წნეხმა დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგოს, რათა მან ოჯახი გაჭირვებისგან დაიცვას და მარჩენალის სოციალური სტატუსის დაკარგვა თავიდან აიცილოს (ბოქსი 1987: 39). ეს მიდგომა გამოხატულად უკავშირებს სტრუქტურულ ფაქტორებს სუბიექტის მიერ მის აღქმასა და მათზე რეაქციებს. მეტიც, გააზრება იმისა, რომ დანაშაული მჭიდროდაა დაკავშირებული სოციო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან ნიშნავს იმას, რომ რადიკალური კრიმინოლოგია უნდა სცდებოდეს ტრადიციული კრიმინოლოგიური თეორიის დასჯის და გამოსწორების პოლიტიკას (correctionalism). ამის სანაცვლოდ, ის ნორმატიულ დონეზე უნდა იღწვოდეს სიმდიდრის, ძალაუფლებისა და გავლენების არათანასწორი გადანაწილების აღმოსაფხვრელად (ტეილორი, 1973: 281).

დანაშაულის მარქსისტული თეორიის თანახმად, მართალია დანაშაულს განსხვავებული ინდივიდები სჩადიან, თუმცა სისხლისსამართლებრივ დასჯას უმეტესად მშრომელთა კლასის დაბალი ფენა ექვემდებარება, მაშინ როცა მდიდართა, პოლიციის და სახელმწიფოს დანაშაულებრივი ქმედებები უგულებელყოფილია (ბოქსი, 1987: 46). ჰოლი და სხვები (1978) ამ პროცესის ახსნას ცდილობენ. ისინი უთითებენ, რომ ტერმინი 'საჯარო სივრცეში ძარცვა (mugging)' ბრიტანეთში ამერიკიდან შემოვიდა ქუჩის ძარცვების აღსაწერად. ამან შექმნა შთაბეჭდილება, რომ ძალადობრივი დანაშაულების ახალი ტალღა მოედო ქვეყანას. თუმცა, ქუჩის ძარცვები ბრიტანეთში საუკუნეების მანძილზე ხდებოდა. უფრო მეტიც, ეტიკეტი 'საჯარო სივრცეში მძარცველი (mugger)' არაპროპორციულად იყო გამოყენებული ახალგაზრდა შავკანიანი მამაკაცების მიმართ. ჰოლმა ეს კაპიტალისტურ სახელმწიფოში ლეგიტიმაციის კრიზისს დაუკავშირა. სოციალურ სფეროში კომპეტენტური მართვის უზრუნველყოფა თანხმობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მოთხოვნაა. თუმცა, 1970იან წლებში არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ თანხმობა რთულად მისაღწევი გახადა.

სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ნორმატიული წესრიგისადმი წინააღმდეგობის თავიდან აცილებისთვის განტევების ვაცის როლი წარმოიშვა, რამაც სახელმწიფოს 'კრიმინალების' წინააღმდეგ კამპანიის წამოწყების და 'სამართლისა და წესრიგის საზოგადოების' შექმნის შესაძლებლობა მისცა (ჰოლი და სხვები 1978: 317-323).

თეორეტიკოსები, როგორიცაა ნეოკლეუსი (2000) კიდევ უფრო შორს მიდიან და ამტკიცებენ, რომ თავად 'სამართლისა და წესრიგის' ცნება მჭიდროდაა გადაჯაჭვული ბაზრის დისციპლინურ ბუნებასთან. სოციალური წესრიგი არა მხოლოდ არეულობის და დანაშაულის არარსებობაა, არამედ კაპიტალისა და სამუშაო ძალის ურთიერთდამოკიდებულების მიმღებლობაა. თავდაპირველად სამართალდამცავი სისტემები ხელს უწყობდა ბურჟუაზიული სოციალური წესრიგის დამყარებას და ხელფასის ინსტიტუტის მიმღებლობას საარსებო სახსრების მოპოვების ისეთი ალტერნატიული გზების კრიმინალიზებით, როგორიცაა საჯარო გზებთან პირუტყვის საძოვარზე გაშვება, თევზაობა და ლიცენზიის გარეშე

მოსავლის გაყიდვა. ქეისა და მოტისთვის (1982) თანამედრვე პოლიცია არ დამკვიდრებულა წესრიგის რაციონალური ძებნის შედეგად; არამედ ეს იყო ბიუროკრატიული პროექტი, რომელიც ლიბერალურ სახელმწიფოში შრომის რეგულირებას ემსახურებოდა, ინსტრუმენტი, რომელიც იმ მდგომარეობის შედეგად განვითარდა, რაც თანამედროვე კაპიტალისტურმა წესრიგმა წარმოშვა (გვ. 123-131). ამ არგუმენტზე დაყრდნობით, ნეოკლეუსი ამტკიცებს რომ სოციალური წესრიგი არის ფაბრიკაცია, შექმნილი ანაზღაურებადი სამუშაოს და კაპიტალისტური წარმოების ფორმების რეალიზებისთვის; პოლიცია მობილიზებულია ამ ბურჟუაზიული წესრიგის გასამყარებლად.

კრიტიკა

1970იან წლების შემდგომ, მარქსისტული კრიმინოლოგიის გამოჩენიდან, მან მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. ფემინისტების აზრით, მას ბევრი არაფერი უთქვამს ძალადობრივ და სექსუალურ დანაშაულებზე; საზოგადოებაში ძალაუფლებრივი ურთიერთობების ეკონომიკურ ბაზისზე ორიენტი-რებით, მარქსისტები დომინაციის შესახებ გამარტივებულ ხედვას გვთავაზობენ და დანაშაულის შესახებ მსჯელობას საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებით, როგორიცაა ქურდობა და ძარცვა, შემოფარგლავენ (კამერუნი და ფრეიზერი 1987:117-118). ამას გარდა, როგორც კელი და რედფორდი (1987:238) ამტკიცებენ, მამაკაცის ძალადობა ქალის მიმართ კვეთაშია კლასის და რასიზმის საკითხებთან, და ხშირად არაკაპიტალისტურ საზოგადოებებშიც ხდება. ამდენად, ცხადია, ძალადობრივი დანაშაულის მიზეზები მხოლოდ კაპიტალზე მითითებით ვერ აიხსნება; ეს ზღუდავს მარქსისტული თეორიის გამოსადეგობას ამ სახის დანაშაულებზე მსჯელობისას. კრიტიკა ასევე გამოიხატება კითხვაში, რამდენად აქვთ სუბიექტებს უნარი, გაიაზრონ და იმოქმედონ იმ მოთხოვნების საპასუხოდ, რასაც შესაბამისი არგუმენტების მიხედვით კაპიტალიზმი მათი ქცევის მიმართ აწესებს; როგორც იანგი მიანიშნებს, საკმაოდ უნცაურია, რომ 'ადგილობრივი პოლიციელი თითქოსდა მარტივად არის გათვითცნობიერებული მის მიმართ არსებულ კაპიტალის მოთხოვნებში' (ციტირებულია, ბოქსი 1987: 197), ეკონომიკური ურთიერთობების ბუნების შესახებ ეკონომისტების და სხვა ექსპერტების აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად

რადიკალური კრიმინოლოგია შესაძლოა განვიხილოთ გამარტივებულ და უფრო მეტიც, სოციალური ურთიერთობების კონსპირაციულ ანალიზად.

ალბათ, ყველაზე ცნობილი კრიტიკა კრიმინოლოგიის 'მემარცხენე რეალისტური' სკოლიდან მომდინა-რეობს. მათი მტკიცებით, რადიკალური კრიმინოლოგიის 'ჰეროიკული დამნაშავის' საპირისპიროდ, რომელიც ბურჟუაზიულ წყობაზე რეაგირებს და მის წინააღმდეგ იბრძვის, ძირითადად დანაშაული ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების წინააღდეგ არის ჩადენილი - სუსტი და მარგინალიზებული ჯგუფები არიან დანაშაულის მსხვერპლი (კოენი 1998). ასევე, ისინი თვლიან, რომ სისხლის სამართლის სისტემა არ შეიძლება იყოს მხოლოდ რეპრესიული ძალა; ის წარმოადგენს დემოკრატიული კანონიერების გამარჯვებას თვითნებურ ძალაზე, რომელიც ისტორიულად მმართველი ელიტის ხელში იყო. მარქსისტებს ადანაშაულებენ პესიმიზმში, ასევე სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უტილიტა-რული და ჰუმანიტარული ტრადიციების შესუსტებაში (კოენი 1998:105-106). იანგი (1975: 71) ამტკიცებს, რომ დანაშაულის და სასჯელის ასეთი გამარტივებული კლასიფიკაცია იმიტომ გვხვდება, რომ დევიაციის რადიკალურ თეორიასთან დაკავშირებული არაერთი პროექტი მხოლოდ უხეში შემობრუნებაა პოზიტივიზმის, რომელსაც ისინი თავად ეწინააღმდეებიან. მაგალითად, პოზიტივიზმი დანაშაულის და

კრიმინალობის ტრადიციული და ნორმატიული დეფინიციების მიმართ კრიტიკისგან დაცლილ მიმღებლობას გულისხმობს, ძირითადი აქცენტით მშრომელთა კლასის წარმომადგენელ რეციდივისტებზე (მაგვაიერი 1997: 143). კრიტიკული კრიმინოლოგიის მიერ დანაშაულის ნორმატიული კონცეფციის უარყოფა უგულებელყოფს მორალურობის საკითხებზე გარკვეულ ფარგლებში არსებულ საზოგადოებრივ კონსენსუსს, რაც საკითხისადმი მიდგომას ისეთივე ერთგანზომილებიანს ხდის როგორც ეს პოზიტივიზმის შემთხვევაშია. და ბოლოს, ტეილორის, ვოლტონის და იანგის (1973) მოწოდების მიუხედავად, რომ მარქსისტული კრიმინოლოგიის ნორმატიული ორიენტაცია დანაშაულის განმაპირობებელი ფაქტორების აღმოფხვრა ყოფილიყო, კრიტიკულმა კრიმინოლოგებმა დანაშაულის, კანონისა და წესრიგის პრობლემების დასაძლევად, რადიკალური თეორეტიზების მიღმა, გასაკვირად ცოტა რამ შეძლეს; ყველაზე აქტიურ გავლენას პოლიტიკასა და მის ფორმულირებაზე ჯერ კიდევ პოზიტივისტები და სხვა არარადიკალები ახდენენ (იანგი 1998: 43).

რადიკალურმა კრიმინოლოგიამ პასუხი გასცა ამ კრიტიკას; ბრალდების მიუხედავად, რომ კრიტიკული კრიმინოლოგია სოციალური ურთიერთობების კონსპირაციულ ანალიზს გულისხმობს, მარქსისტული კრიმინოლოგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ინდივიდები კაპიტალიზმის მოთხოვნების შესრულებაში ძირითადად ჩართული არ არიან: დანაშაული და კრიმინალიზაცია არის კაპიტალისტური სოციალური ურთიერთობების 'სტრუქტურული იმპერატივი' ან 'დაუგეგმავი შედეგი' (ჰოლი და სხვები 1978: 322; ბოქსი 1987: 159). ველჩი (1998) ხაზს უსვამს, რომ თუ თანამედროვე სამართალდამცავი სისტემა წარმოადგენს დემოკრატიული კანონიერების თვითნებურ ძალაუფლებაზე გამარჯვებას, რადიკალური კრიმინოლოგია ჯერ კიდევ საჭიროა, რადგან საკმაოდ ნათელია, რომ ინდივიდუალურმა, გამოსწორებაზე ორიენტირებულმა დღის წესრიგმა რეაბილიტაციის მიზანს ვერ მიაღწია; გარკვეული დროის განმავლობაში სამართალდამცავი და სადამსჯელო სისტემა ინდივიდუალური დამნაშავეების გამოსწორებაზე აკეთებდა აქცენტს, რამაც არსებითად ვერ აღმოფხვრა დანაშაულის პრობლემა (გვ. 118). ამასთან, დანაშაულის კონტროლის ახალი მეთოდები, როგორიცაა 'ახალი პენოლოგია' წარმოადგენს სოციალური კონტროლის ახალ ფორმას, რომელიც დემოკრატიულ კანონიერებას და სამართლიანობას აზიანებს სამართალდამცავი და სადამსჯელო სისტემის მიმართ რისკების დაზღვევაზე ორიენტირებული მიდგომით. ეს მოიცავს კრიმინალური ქვეჯგუფების, მაგალითად ნარკომომხმარებლების, კატეგორიზაციას და მათთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, ასევე სტრატეგიების შემოთავაზებას ჯამური რისკების გასაკონტროლებლად. ინდივიდუალიზებული მართლმსაჯულება ზიანდება სოციალური მენეჯმენტის და ზედაპირული ტექნიკებით, რაც არა დანაშაულის შემცირებას, არამედ სისტემური კოორდინაციით მის გასაძლისობას ემსახურება (ველჩი 1998: 119-120).

რადიკალურმა თეორიებმა უფრო და უფრო მეტი ყურადღება დაუთმო ფემინიზმის თეორიებს გენდერული ურთიერთობების უგულებელყოფის კრიტიკიდან გამომდინარე. მესერშმიდტი (1997) სამეწარმეო დანაშაულის განხილვისას (გვ. 89-109) მსჯელობს თუ როგორ წარმოშობს სამეწარმეო სფეროში ძალუფლების ბალანსი 'კლასობრივ რესურსებს' გარკვეული სახის მასკულინობისთვის და იკვლევს, კონკრეტულ სიტუაციებში რომელი მამაკაცი ჩადის სამეწარმეო დანაშაულს და რომელი არა. კარინგტონის (2002) მტკიცებით, მართალია რადიკალურმა თეორიებმა დაიწყეს დანაშაულის გენდერული ბუნების შესწავლა და მსვერპლის როლის გათვალისწინება (განსაკუთრებით მამაკაცების ძალადობის მსხვერპლი ქალების), თუმცა გარკვეული დაძაბულობა შესაძლოა მაინც არსებობდეს ფემინისტებსა და მარქსისტ კრიმინოლოგებს შორის (გვ. 129) და გენდერულ საკითხებზე რადიკალური აქცენტი შეიძლება უბრალო რიტორიკულ ჟესტად რჩებოდეს (გვ. 130). თუმცა, უფრო დეტალური ანალიზით ჩანს,

რომ რადიკალური კრიმინოლოგიის ალტერნატივები არ არის ადეკვატური დევიაციის სრულყოფილი გაგებისთვის, მაშინაც კი თუ ის განიხილავს გენდერის და ვიქტიმოლოგიის საკითხებს; თავდაპირველად, შესაძლოა მემარცხენე რეალიზმი რადიკალური კრიმინოლოგიის პრაგმატულ მოდიფიკაციად მოგვეჩვენოს, თუმცა სინამდვილეში ის წარმოადგენს პოზიტივიზმთან დაბრუნებას იმ გაგებით, რომ ის კრიტიკის გარეშე ეყრდნობა მსხვერპლების გამოკითხვასა და სამართალდამცავი და მართლ-მსაჯულების სისტემების პრიმატს (ფეტა 1997: 267). დოუნსისა და როკის აზრით, 'შესაძლოა არც იყოს არასწორი იმის მტკიცება, რომ მემარცხენე რეალიზმი დღეს იმაზე ოდნავ მეტია, ვიდრე სახელი, რომელსაც მეინსტრიმული კრიმინოლოგია იყენებს რადიკალურ წრეებში გამოჩენისას' (1995: 302-303). დეტერმინისტული პოზიტივიზმის ასეთი განახლებისა და სოციალურ პოლიტიკაში სოციალური კონტროლისკენ მიდრეკილების (ველჩი 1998) გათვალისწინებით, რადიკალური კრიტიკის და დანაშაულის სოციალური შემადგენლობის ანალიზის საჭიროება კვლავ რჩება. თუმცა, როგორც ამას მისი ფუძემდებლები იმედოვნებდნენ, რადიკალურმა კრიმინოლოგიამ არსებული ფორმით თავი ვერ დააღწია დეტერმინისტულ მიდგომას; ამის ნაცვლად, დეტერმინიზმმა სოციალურ-კულტურული კონტექსტიდან პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებში გადაინაცვლა (დოუნსი და როკი 1995: 288). სოციოლოგიური პერსპექტივით მდიდარი ტრადიციული მარქსიზმი მისივე ბუნებიდან გამომდინარე არის დეტერმინიზმით შეზღუდული (ბონფელდი და სხვები 1992); იმ დათქმით, რომ საზოგადოება არის სუპერ-სტრუქტურა, რომელიც ეკონომიკურ ბაზისზე დგას, სტრუქტურები და კაპიტალი 'ნაწარმოებია'; კაპიტალი წარმოგვიდგება როგორც არსებული ინსტიტუტი. კითხვა თუ რა „არის"კაპიტალი აღარ ისმის (ბონფელდი 1995:183). არსებული სამყაროს ფარგლების საკუთარი თეორიის ფარგლებად აღიარების შედეგად, მარქსიზმი შეიზღუდა ტელეოლოგიური ან კაუზალური დეტერმინიზმით, რაც თავის მხრივ მათი გარდაუვალობის აღიარებას ნიშნავს (ბონფელდი და სხვები 1992: xii); რადიკალური კრიმინოლოგიის კონცეფცია კაპიტალიზმის, როგორც ობიექტური სტრუქტურის შესახებ, რომელიც ზღუდავს და მიმართულებას აძლევს ჩვენს ქმედებებს, მარქსისტულ კრიმინოლოგიას თანამონაწილეს ხდის კაპიტალიზმის დომინაციის რეალიზებაში. რადიკალური მარქსიზმის მიერ ობიექტური, 'საგნის მსგავსი' სტრუქტურების დახასიათება ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია შემოგვთავაზოს მათი გარდაქმნის თეორია, რადგან სტრუქტურების ობიექტურად განსაზღვრება მათი გარდაუვალობის წინასწარდაშვებას გულისხმობს. არსებითად რადიკალურმა თეორიამ კაპიტალიზმი ბუნებით არასტაბილურ და წინააღმდე-გობრივ მოვლენად უნდა დაინახოს; ამ სტატიის დარჩენილი ნაწილი კრიმინოლოგიაზე სწორედ ასეთი პერსპექტივის გავლენას დაეთმობა.

დანაშაულისა და სასჯელის მარქსისტული თეორიის რეკონსტრუქცია

მართალია, 'ღია მარქსიზმი' ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით ერთიან მოძრაობას არ წარმოადგენს, თუმცა მასთან დაკავშირებული იდეები საჭირო თეორიულ ბაზას ქმნის კრიმინალობის და სოციალური კონტროლის უფრო მოქნილი კონცეფციისთვის. ღია მარქსიზმი მარქსიზმს ხედავს არა როგორც საზოგადოების შესახებ თეორიას (რომელიც მის სტრუქტურებს ახასიათებს და აკონკრეტებს), არამედ თეორიას საზოგადოების წინააღმდეგ (ჰოლოვეი 1994: 39); მისი სრულად უარმყოფელი ბუნება მას განასხვავებს ნაწილობრივ ნეგატიური თეორიებისგან. რომლებიც მართალია კრიტიკულია, თუმცა კრიზისის ან სოციალური ცვლილების თეორიას არ მოიცავს. მარქსიზმი გვევლინება სრულად ნეგატიურ თეორიად, რადგან ის არამხოლოდ ჩაგვრის, არამედ მისი სისუსტეების გაგებასაც ცდილობს; შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფემინისტური თეორია, მაგალითად, მნიშვნელოვნად ააშკარავებს სოციალურ ჩაგვრას, თუმცა მას არ გააჩნია სოციალური ცვლილების თეორია, მას არ აქვს პატრიარქატული დომინაციის

კრიზისის შესახებ თეორია. მარქსიზმის ყველა კატეგორია, მეორე მხრივ, აგებულია კაპიტალიზმის ისტორიულად ტრანზიციულ ბუნებაზე (ჰოლოვეი 1994:39).

ეს უნდა გავიგოთ 'ფორმის' ცენტრალური კატეგორიის კონტექსტში; აბსტრაქტული ცნებები, როგორიცაა 'შრომა' ან 'კლასი', არის კაპიტალის და სამუშაო ძალის 'არსებობის სახე' ან ურთიერთობის 'ფორმა'. როგორი წინააღმდეგობრივიც არ უნდა იყოს ეს, სწორედ ამ ფორმების საშუალებით ვლინდება კაპიტალიზმის სოციალური ურთიერთობები (გუნი 1991: 84-85). როგორც ჰოლოვეი (1995: 165) ამტკიცებს, ნაცვლად ბაზის და სუპერსტრუქტურისა, ფორმების კუთხით კაპიტალიზმზე მსჯელობა გვეხმარება გავიგოთ კაპიტალიზმის ისტორიული ცვალებადობა, რადგან ეს გულისხმობს ზომიერებას და პოტენციურ გარდაქმნას; ეს მიდგომა არა მხოლოდ კაპიტალისტური რეპროდუქციის თეორიას გვთავაზობს, არამედ მეტ ყურადღებას ამახვილებს ობიექტური და კონკრეტული სტრუქტურების არარსებობის გამო მის არასტაბილურობასა და სისუსტეებზე.

რადიკალური კრიმინოლოგიის მატერიალური საფუძვლების მიუხედავად, ის ვერ იქნება სოციალური ტრანსფორმაციის თეორია, რომელიც მასშია ნაგულისხმები; ის აქცენტს აკეთებს სოციალური კონტროლის შინაარსზე, იმის ნაცვლად, რომ ეცადოს არსებითად გაიგოს თუ რატომ აქვს მას ის ფორმა, რომელიც აქვს. თუ ვერ გავიგებთ როგორ და რატომ გვხვდებიან რეპრესიული ინსტრუმენტები, როგორ შევძლებთ მათ ტრანსფორმაციას (ნეარი და ტეილორი 1998)? ბომი (1998), მაგალითად, მიუთითებს სახელმწიფოს შესახებ თეორიის საჭიროებაზე კრიმინოლოგიისთვის, თუმცა შემდგომ ასეთ საჭიროებას ზედაპირული საფუძვლით ხსნის, კერძოდ იმით, რომ დანაშაული სახელმწიფოს და არა დანაშაულის ინდივიდუალური მსხვერპლის წინააღმდეგ ხდება (გვ. 24): ის უარს ამბობს პასუხი გასცეს საკვანძო კითხვას, თუ რატომ აქვს კანონს ეს ფორმა. ქეი და მოტი (1982) მიანიშნებენ, რომ სახელმწიფო არის შუამავალი, რომლის საშუალებითაც განცალკევებული სუბიექტების და ობიექტების ფორმალური შემადგენლობა დგება. რადგან კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაცვლა-გამოცვლა არაპერსონალური და ზოგადია, საკუთრების უფლების დადგენა ხდება დროის, სიცვრის, ინდივიდუალური აქტორებისა და ქონების მიუხედავად. ქეი და მოტი ამტკიცებენ, რომ ინდივიდუალური სუბიექტურობა რომელიმე კონკრეტულ ნივთთან მიმართებით არ დგინდება და ნებისმიერი ნივთი (მაგალითად, ბუნებრივი სამყაროს ნებისმიერი ელემენტი) საკუთრების უნივერსალურ უფლებას ექვემდებარება. 'აბსოლუტური საკუთრების' ასეთი მდგომარეობა წინასწარ გვთავაზობს სახელმწიფოს მიზანს, ფორმალურად განსაზღვროს ადამიანები და ნივთები როგორც სუბიექტები და ობიექტები (ქეი და მოტი 1982: 2-4). აქე-დან გამომდინარე, სახელმწიფოს ცენტრალური როლი უკავია პერსონალური საკუთრების ინსტი-ტუციონალიზაციაში, არამარტო იმიტომ, რომ ის მოქმედებს როგორც საკუთრების მქონე კლასის რეპრე-სიული ინსტრუმენტი (მაგალითად სხვა კლასების სისხლის სამართლის კანონმდებლობით შევიწროება), არამედ იმიტომ, რომ ეს ორი თავდაპირველი გამოჩენის შემდგომ მჭიდროდ არის დაკავშირებული. ღირებულებას, სახელმწიფოსა და კანონს შორის არსებობს ურთიერთკავშირი, როგორიცაა კაპიტალის და სამუშაო ძალის ურთერთდამოკიდებულების ფორმა.

მარქსისტულმა კრიმინოლოგიამ თავი შეიზღუდა ბაზისი-სუპერსტრუქტურის მეტაფორის გამოყენებით. ფორმების კონსტექსტში მსჯელობა მიგვანიშნებს, რომ კაპიტალისტურ სოციალურ სტრუქტურებზე მშრომელთა კლასის რეაგირების ზედაპირული მოდელი არ უნდა განვავითაროთ. ჰოლოვეი (2002) კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თავად წინასწარ შედგენილი კლასების იდეას; მისთვის სოციალური ურთერთობები, როგორიცაა ღირებულება, ფული და სახელმწიფო არ არის სტატიკური კატეგორიები,

არამედ ისინი მუდმივად აქტუალური პროცესები არიან, რომლებიც ყალიბდებიან და განახლებას განიცდიან ბრძოლის შედეგად. თავის მხრივ, კლასიც პროცესია, ბრძოლა კლასიფიკაციის მოხდენისთვის და კლასიფიკაციისგან თავის დასაცავად; ერთიანობა წარმოიშვება კლასიფიკაციის პროცესში და არა 'საერთო კლასის' რაიმე თვითნებურად დადგენილი და სტატიკური ცნებისგან (ჰოლოვეი 2002: 33-38). კრიმინალურობის არაერთი ასპექტის დანახვა შეიძლება ამ პერსპექტივიდან, როგორც კაპიტალის და სამუშაო ძალის ურთერთობის ფორმის გამოხატულება, პროცესი, რომელიც არ არის დამოკიდებული გარკვეული ჯგუფების პოზიციასა ან შემადგენლობაზე, არამედ მათი ანტაგონიზმის კონფიგურაციაზე. დანაშაულის და დევიაციისთვის ახალი მარქსიზმის მნიშნველობაზე პირდაპირი ნაშრომები მწირია; ამის მიუხედავად, ტრადიციულ მარქსისტულ კრიმინოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მემარცხენე რეალიზმს არ უნდა დავუბრუნდეთ, არამედ ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ თავად მარქსისტულ თეორიას და განვავითაროთ რადიკალური თეორია, რომელიც სცდება მხოლოდ კაპიტალიზმის რეპროდუქციისა და მისი 'ობიექტური' სტრუქტურების შედეგების (როგორიცაა დანაშაული) ახსნას.

დანაშაულის მარქსისტული თეორიის ამოსავალი დებულება უნდა იყოს შრომა. ტრადიციულად, მარქსისტებისთვის შრომა განიხილება კაპიტალისტების მიერ ექსპლუატირებულ პროდუქტიულ ეკონომიკურ საქმიანობად. ღია მარქსისტებისთვისაც, შრომა ანალიზის მნიშვნელოვანი კატეგორიაა; თუმცა, შრომის კაპიტალისტური ორგანიზების დომინაცია მნიშვნელოვნად სცდება სოციალური აქტორების პირდაპირ კონტროლს ან ბაზრის მოთხოვნებსაც კი: ის აღწევს ჩვენს სოციალურ ცხოვრებაში, რომ გახდეს თანამედროვე სოციალური ცხოვრების ცენტრალური მაორგანიზებელი ძალა. კლივერი (2002) კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თეორიას, რომ სამუშაო ჩანაცვლებულია კონსუმერიზმით, როგორც ადამიანთა ცხოვრების კოორდინაციის მთავარი მახასიათებლით. მისი მტკიცებით, მარტივია იმის ჩვენება, რომ ადამიანების ცხოვრების ძირითადი ნაწილი დომინირებულია შრომით, და კონსუმერიზმი მიბმულია ადამიანების როგორც სამუშაო ძალის ცხოვრების რეპროდუქციაზე, და არა 'მუშაობა საყიდლებისთვის' ზედაპირულ ეთოსზე. კაპიტალიზმის წყალობით სამუშაომ კიდევ უფრო შემოაღწია ჩვენს ცხოვრებაში: ეს მოიცავს აუნაზღაურებელი შრომის ზრდას და კეთილდღეობის სახელმწიფოს იმ პროგრამების გაფართოებას, რომლებიც სოციალური დახმარების მიმღებისგან გარკვეული სამუშაოს შესრულებას (workfare) მოითხოვს. კლივერისთვის, სამუშაო არ არის მხოლოდ 'იმ დავალებების შესრულება, რომელიც პირს საარსებო სახსრების მოპოვების საშუალებას აძლევს იმ გარემოში, რომელში ისინი ხვდებიან' (ვოთსონი 1987: 83), არამედ ის სპეციფიკურად კაპიტალიზმის მიერ შექმნილი კატეგორიაა; კაპიტალიზმის გავრცელებამდე ადამიანები მონაწილეობდნენ არაერთ სასარგებლო საქმიანობაში, თუმცა ეს კოლექტიურად არ იყო აღქმული როგორც 'სამუშაო', არამედ სხვადასხვა კასტისთვის, სუბკულტურისთვისა და სექტისთვის დამახასაითებელი სხვადასხვა საქმიანობა (კლივერი 2002: 141). სამუშაო კაპიტალიზმის პირობებში ნიშნავს არა რაიმე კონკრეტულ საქმიანობას, არამედ სოციალური დომინაციის ფორმას; სამუშაოს ფარგლების ზრდა კაპიტალიზმის 'აბსტრაქტული დომინაციის' ნაწილია, სადაც შრომა დომინაციის საგანი და მეთოდია, არა ბაზრის არამედ სოციალური ურთიერთობების კვაზი-დამოუკიდებელი სტრუქტურების საშუალებით (პოსტონე 1993: 125-126).

ფული ამ აბსტრაქტული დომინაციის ერთ-ერთი გამოხატულებაა (პოსტონე 1993: 264-265); ის მართავს ჩვენ სოციალურ სამყაროს და ცხოვრება მის გარეშე შეუძლებელია. ფულის პოზიტიური კონცეფციის თანახმად, მის მარტივ რედისტრიბუციას შეუძლია დეფიციტის და სიღარიბის პრობლემების გადაჭრა: ეს არის ძირითადი რადიკალური კრიმინოლოგიის თეორიების პოზიცია. საპირისპიროდ, ნეგატიური

კონცეფციები მიიჩნევენ, რომ ჩვენ არსებითად ვართ დამოკიდებული ფულზე, ამის მიუხედავად კი, შეზღუდულები ვართ მისი მოპოვების გზებში ფულის, როგორც კერძო საკუთრებისა და დომინაციის ფორმის, სტატუსიდან გამომდინარე: მისი მოპოვების მხოლოდ ორი გზა არსებობს - შრომა და დანაშაული (ნეარი 2006: 126). კაპიტალიზმის პირობებში, დანაშაული არის 'უფულობის მდგომარეობა, ან ფულის კანონის და ფულის ლეგალური ფორმის უარყოფა' (ნეარი და ტეილორი 1998: 83); ის არის კაპიტალისტური შრომის ორგანიზების შედეგი, რაც ფულს ადამიანების სოციალურობის ძირითად პრინციპად აქცევს (ნეარი 2006: 125). ნეარის აზრით, დანაშაული მჭიდრო კავშირშია ქონებასთან, რადგან 'ყველა დანაშაული არის ქონებრივი დანაშაული, მათ შორის ძალადობრივი დანაშაული. დანაშაულებრივი ქმედების არსებითი 12 მახასიათებელია საკუთრების, მათ შორის პირის სხეულზე საკუთრების, დარღვევა' (2006: 125) რადიკალური თეორიის თანახმად, დანაშაული არის საკუთრების სამართალი; ეს გასაგებს ხდის მსხვერპლის ანაზღაურების მექანიზმების არსებით სიმწირეს, ასევე, გარდა მოწმის სტატუსისა, მსხვერპლის ნაკლებ როლს სისხლის სამართლის პროცესში. მსხვერპლს კანონი იცავს მხოლოდ არაპირდაპირ, რადგან სისხლის სამართლის ძირითადი მიზანი საკუთრებაზე უფლებების დაცვაა (ნეარი 2006: 125). ეს მარქსისტებისთვის ძალადობრივ დანაშაულზე დისკუსიაში ჩართვის წინაპირობაა. ამასთან, ეს ცხადყოფს ისეთი პერსპექტივებისთვის დამახასიათებელ პრობლემებს, როგორიცაა მემარცხენე რეალიზმი, რომელიც დანაშაულთან ბრძოლაში სისხლის სამართლის პრიმატს აღიარებს; თუ სისხლის სამართალი მართლაც საკუთრების სამართალია, მაშინ დანაშაულისა და სასჯელის ანალიზისას მხოლოდ მარქსიზმს, როგორც კაპიტალის სოციალური ფორმის სრულად ნეგატიურ კრიტიკას, შეუძლია თავი დააღწიოს კაპიტალისტური კატეგორიების მარტივ რეპროდუქციას. თეორიები, რომლებიც დანაშაულსა და სასჯელზე მსჯელობისას ფულის და საკუთრების მნიშვნელობაზე ამახვილებენ ყურადღებას, აღიარებენ შრომის ცენტრალურ როლს სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე დომინაციაში; სისხლის მართლმსაჯულებაში შრომის დომინაციის საინტერესო მაგალითია 'სავალდებულო აუნაზღაურებელი შრომით' გამოხატული საზოგადოების დასჯის პრაქტიკა. თუ ტრადიციული მიდგომები არსებულ სისტემას დასახული მიზნების, მათ შორის დამნაშავის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების და ანტი-სოციალური ქცევის დემოტივირების, ეფექტურად მიღწევის ჭრილში აფასებს (ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო 2003), ღია მარქსისტული მიდგომა დასჯის ამ ფორმის კონტექსტუალიზაციას კაპიტალისტური შრომის უფრო ფართო, აბსტრაქტული დომინაციის ფარგლებში ახდენს. ცხადია, ეს დასჯის როგორც ინდივიდებზე, ასევე ფართო საზოგადოებაზე გავლენის შესახებ მკვეთრად განსხვავებულ დასკვნებს განაპირობებს.

დასკვნა

რადიკალურმა კრიმინოლოგიამ უდავოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კრიმინოლოგიაში. მისი პოზიტივიზმის კრიტიკა მკვეთრად გავლენიანი იყო, კაპიტალიზმის კრიტიკასთან ერთად ეტიკეტირებისა და „წნეხის" თეორიების სინთეზი ფართო დისკუსიის საფუძველი გახდა. თუმცა, ის ასევე არაერთი კუთხით იყო შეზღუდული, როგორც ამაზე ყურადღებას მემარცხენე რეალიზმის და ფემინისტური კრიმინოლოგიის სკოლები ამახვილებდნენ; ეს კრიტიკა კარგად არის ცნობილი და ის დანაშაულის მარქსისტულ თეორიაზე სტანდარტული პასუხია. ამ სტატიის მტკიცებით, მართალია ეს კრიტიკა მნიშვნელოვანია (თუმცა ის ასევე ღიაა დისკუსიისთვის და იწვევს კითხვებს), ის აუცილებლად არ გულისხმობს, რომ დანაშაულის მარქსისტულ თეორიას პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია. მარქსისტული თეორიის კრიტიკით, რომელსაც მარქსისტული კრიმინოლოგია აქამდე ეყრდნობოდა, კაპიტალიზმის შესახებ ახალი, უფრო მოქნილი კონცეფცია იბადება, რომელსაც შედარებით ვიწრო, ბაზისისა და სუპერსტრუქტურის ჭრილში განვითარებული თვალთახედვა არ ზღუდავს. „ღია მარქსიზმი" იმე-

დისმომცემია იმ მიზნების მიღწევისთვის, რომლისკენაც თავდაპირველი მარქსისტი კრიმინოლოგები იღწვოდნენ: თეორია, რომელსაც ქმედების დეტერმინისტული ახსნა არ განსაზღვრავდა (ბაზისი-სუპერსტრუქტურის პარადიგმის უარყოფის შედეგად) და მიზნად დანაშაულის გამომწვევი უთანასწორობის აღმოფხვრას ისახავდა (როგორც თეორია, არა როგორ საზოგადოების შესახებ, არამედ მის წინააღმდეგ). უკანასკნელი პერიოდის კვლევები, რომლებიც აქცენტს შრომის, ფულისა და საკუთრების დომინაციაზე აკეთებენ, ნათელს ხდიან, რომ მარქსისტულ თეორიას ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია დანაშაულისა და მისი კონტროლის შესახებ დისკუსიაში.

ბიბლიოგრაფია

Becker, H. (1973), Outsiders: Studies in the Sociology of Deviance, New York: Free Press

Bohm, R. (1998), 'Understanding crime and social control in market economies: Looking back and moving forward', in Ross, J. (ed.), Cutting the Edge: Current Perspectives in Radical/Critical Criminology and Criminal Justice, Westport: Praeger, pp. 18-33

Bonefeld, W., R. Gunn and K. Psychopedis (eds) (1992), Open Marxism Volume 1: Dialectics and History, London: Pluto

Bonefeld, W. (1995), 'Capital as subject and the existence of labour', in Bonefeld, W., R. Gunn and K. Psychopedis (eds), Emancipating Marx: Open Marxism Volume 3, London: Pluto, pp. 182-212

Box, S. (1987), Recession, Crime and Punishment, London: Macmillan

Cameron, D. and E. Frazer (1987), The Lust to Kill, Cambridge: Polity

Carrington, K. (2002), 'Feminism and critical criminology: Confronting genealogies', in Carrington, K and R. Hogg (eds), Critical Criminology: Issues Debates, Challenges, Oregon: Willan, pp. 114-142

Cleaver, H. (2002), 'Work is still the central issue! New words for new worlds', in Dinerstein, A. and M. Neary, The Labour Debate: An Investigation into the Theory and Reality of Capitalist Work, Hampshire: Ashgate, pp. 135-148

Cohen, A. (1955), Delinquent Boys: The Culture of the Gang, New York: Free Press

Cohen, S. (1998), 'Intellectual scepticism and political commitment: The Case of radical criminology', in Walton, P. and J. Young (eds), The New Criminology Revisited, London: Macmillan, pp. 98-129

Downes, D. and P. Rock (1995), Understanding Deviance: A Guide to the Sociology of Rule Breaking, revised 2nd edition, Oxford: Clarendon Press

Fattah, E. (1997), Criminology: Past, Present and Future, London: Macmillan

Gunn, R. (1991), 'Marxism and common sense', Common Sense, 11, 79-100

Halfpenny, P. (1992), Positivism and Sociology: Explaining Social Life, Aldershot: Gregg Revivals

Hall, S., C. Critcher, T. Jefferson, J. Clarke and B. Roberts (1978), Policing the Crisis: Mugging, the State and Law and Order, London: Macmillan

Holloway, J. (1994), 'Open Marxism: The Relevance of Marxism today', Common Sense, 15, 38-42

Holloway, J. (1995), 'From scream of refusal to scream of power: The Centrality of work', in Bonefeld, W, R. Gunn, J. Holloway and K. Psychopedis (eds), Emancipating Marx: Open Marxism Volume 3, London: Pluto, pp. 155-181

Holloway, J. (2002), 'Class and classication: Against, in and beyond labour', in Dinerstein, A. and M. Neary, The Labour Debate: An Investigation into the Theory and Reality of Capitalist Work, Hampshire: Ashgate, pp. 27-40

Home Ofce (2003), 'Enhancing community punishment', available online at http://press.homeofce.gov.uk/press-releases/Enhancing_Community_Punishment?version=1, accessed 22/08/07, 3:00pm

Kay, G. and J. Mott (1982), Political Order and the Law of Labour, London: Macmillan 15

Kelly, L. and J. Radford (1987), 'The problems of men: Feminist perspectives on sexual violence', in Scraton, P. (ed.), Law, Order and the Authoritarian State: Readings in Critical Criminology, Milton Keynes: Open University Press, pp. 237-253

Lemert, E. (1951), Social Pathology: A Systematic Approach to the Theory of Sociopathic Behaviour, New York: McGraw-Hill

Loeber, R. and D. Farrington, (2000), 'Young children who commit crime: Epidemiology, developmental origins, risk factors, early interventions, and policy implications', in Development and Psychopathology, 12 (4), 737-762

Maguire, M. (1997), 'Crime statistics, patterns and trends: Changing perceptions and their implications', in Maguire, M., R. Morgan and R. Reiner (eds), The Oxford Handbook of Criminology, Oxford: Clarendon, pp. 135-188

Messerschmidt, J. (1997), Crime as Structured Action: Gender, Race, Class and Crime in the Making, London: SAGE

Muncie, J. (1999), Youth and Crime: A Critical Introduction, London: SAGE

Neary, M. and G. Taylor (1998), Money and the Human Condition, London: Macmillan

Neary, M. (2006), 'Crime and the university: The story of Sort'd, a community – (higher) education project', Probation Journal, 53 (2), 124-136

Neocleous, M. (2000), The Fabrication of Social Order: A Critical Theory of Police Power, London: Pluto

Postone, M. (1993), Time, Labour and Social Domination: A Reinterpretation of Marx's Critical Theory, New York: Cambridge University Press

Taylor, I., P. Walton and J. Young (1973), The New Criminology: For a Social Theory of Deviance, London: Routledge

Watson, T. (1987), Sociology, Work and Industry, 2nd edition, London: Routledge

Welch, M. (1998), 'Critical criminology, social control and an alternative view of corrections' in Ross, J. (ed.), Cutting the Edge: Current Perspectives in Radical/Critical Criminology and Criminal Justice, Westport: Praeger, pp. 107-121

Young, J. (1975), 'Working class criminology', in Taylor, I, P. Walton and J. Young (eds), Critical Criminology, London: Routledge, pp. 63-94

Young, J. (1998), 'Breaking Windows: Situating the New Criminology', in Walton, P. and J. Young, The New Criminology Revisited, London: Macmillan, pp. 14-46

2.4. სასჯელი და სახელმწიფოს მშენებლობა პოსტსაბჭოთა საქართველოში[2]

ავტორი: გევინ სლეიდი

მთარგმნელი: მარიამ ბეგაძე

ინგლისში, ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში ციხის რეფორმის აღწერისას მაიკლ იგნატიეფი აღნიშნავს, რომ ამ საკითხის გამოკვლევა არამხოლოდ პენიტენციური ინსტიტუტებისა და მათში არსებული დისციპლინისა და დომინაციების პრაქტიკების შესწავლაა, არამედ დაკვირვება „სოციალური ავტორიტეტის მორალურ საზღვრებზე," განსაკუთრებით იმ საზოგადოებაში, რომელიც განიცდის სწრაფ ტრანსფორმაციას. იმ დროისათვის ციხეების რეფორმა იყო პასუხი „არამხოლოდ დანაშაულზე, არამედ მთელი პერიოდის სოციალურ კრიზისზე და იყო პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი რეფორმის უფრო დიდი სტრატეგიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა წესრიგის აღდგენას ახალ ბაზისზე" (იგნატაეფი, 1981 210). ეს განცხადება კარგად ასახავს იმ მიდგომას, რომელიც მოცემულია ამ თავში, რათა შეისწავლოს ის როლი, რომელიც დასჯის პოლიტიკამ ითამაშა ერთ-ერთ პოსტ - საბჭოთა სახელმწიფოს - საქართველოს მშენებლობის პროცესში, ქვეყანაში რომელიც გამოდის, მაგრამ ჯერ კიდევ ჩარჩენილია ღრმა სოციალურ კრიზისში. ამ თავში გამოყენებულია სახელმწიფო სასჯელი, როგორც ობიექტივი იმ რეფორმების გასაანალიზებლად, რომელიც ჩვეულებრივ მიჩნეული იყო წარმატების მაგალითად ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში და რომელიც განხორციელ-და მიხეილ სააკაშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ 2004-2012 წლებში. ამ წარმატებებში შედიოდა კორუფციის შემცირება, ბიუროკრატიის გამარტივება, მკაცრი პოზიცია ორგანი-ზებულ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ. აგრეთვე, ზრდა ეკონომიკაში და გადასახადების აკუმულირება ბიუჯეტში. ეს თავი მიმოიხილავს სასჯელის გამოყენებას სახელმწიფოებრიობის განმტკიცების პროცესში, რომელიც მოჰყვა 2003 წლის ვარდების რევოლუციას საქართველოში. როგორც ჰედერშოუ და სჩატსი (იხ. თავი I) ამბობენ, სახელმწიფოებრიობის თეორეტიკოსები საუბრობენ პოლიტიკურ დინამიკებზე, როდესაც ძალადობამ და ავტორიტეტმა შეიძლება აწარმოონ ან შთანთქან ერთმანეთი. სისხლის სამართალი და სასჯელი მნიშნელოვანი არენაა სადაც ეს დინამიკა გვხვდება. ეს თავი ამის დემონსტრირებას ახერხებს ციხის მაგალითზე საქართველოში, სასჯელზე როგორც სახელმწიფოს კონსოლიდაციის ფორმაზე. უფრო მეტიც, სახელმწიფოს სასჯელის პოლიტიკა, მისთვის დამახასიათებელი რიტუალებითა და სიმბოლიკით, ადგენს ზნეობრიობის საზღვრებს და ცდილობს ისაუბროს ფართო საზოგადოების იმ ღირებულებებსა და ნორმებზე, რომელთა სახელითაც მოქმედებენ სისხლის სამართლის აგენტები. ამ მხრივ, სასჯელი ის ნათელი არეალია, სადაც კარგად ჩანს სახელმ-წიფოს პერფორმაციულობა და „ბუნდოვანი საზღვრები" (ჰედერშოუ და სჩატსი). ეს ნაშრომი განიხილავს ორ გზას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მიერ სანქცირებულმა სასჯელის პოლიტიკამ, შეიძლება შემოგვთავაზოს ალტერნატიული, თუმცა მყიფე წყაროები სახელმწიფოს სიძლიერისა, როდესაც სახელმწიფო ვერ ახერხებს ბაზისური სერვისებისა და სიკეთეების მიწოდებას. პირველ რიგში, მე ვცდილობ, სასჯელის გამოყენება, განსაკუთრებით კი თავისუფლების აღკვეთა ფართო პოლიტიკური ეკონომიკის ნაწილად განვიხილო, - როგორც ერთგვარი გზა საქართველოში არსებული სოციალური

[2] თარგმანი მომზადებულია სოციალური სამართლიანობის ცენტრის (EMC) მიერ „ღია საზოგადოების ფონდების" (OSF) მხარდაჭერით. თარგმანში სრულად არის შენარჩუნებული სტატიის შინაარსი და ავტორის სტილი. თარგმანზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი (EMC).

დევიაციების გასამკლავებლად, და აგრეთვე რესურსების მოპოვების პრაქტიკად. სისხლის სამართლის პოლიტიკის მიდგომა იყო ერთ-ერთი გზა, რომლის საშუალებითაც ღარიბი ქართული სახელმწიფო უმკლავდებოდა სიღარიბის და უმუშევრობის პრობლემებს, ითვისებდა რესურსებს და ანაწილებდა მათ, როგორც იმ პოლიტიკური ეკონომიკის ნაწილი, რომელიც ხაზს უსვამდა დერეგულაციას და ჩაურევლობის (laissez-faire) მიდგომებს. ამასთან, ამ თავში მოცემულია ის გზები, რომლითაც სადამსჯელო პრაქტიკა ურთიერთქმედებს სოციალურ და კულტურულ დამოკიდებულებებთან და წარმოადგენს მთავარ არეალს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში. მე ვაჩვენებ, თუ როგორ მოხდა რომ ეს ორი ურთიერთდაკავშირებული სფერო - ინსტრუმენტული და სიმბოლური, გახდა დავის საგანი და სისხლის სამართლის პოლიტიკა გადაიქცა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი ძალისხმევის მნიშვნელოვან არეალად და საბოლოოდ, გადამწყვეტი როლი ითამაშა სააკაშვილის მთავრობის დასრულებაში 2012 წლის ოქტომბერში. პირველ რიგში, მე მიმოვიხილავ სისხლის სამართლის რეფორმას, რომელიც უკავშირდება 2003 წლიდან საქართველოში არსებულ ციხის პოლიტიკას.

საქართველო 2003-2012 წლებში: რევოლუცია და ციხის პოლიტიკა

2003 წლის ნოემბერში, ვარდების რევოლუციამ, მშვიდობიანმა აჯანყებამ, რომელმაც ჩამოაგდო ედუარდ შევარდნაძე, მართვის სადავეები მიხეილ სააკაშვილს და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (ენმ) გადასცა, რომელიც დაფუძნებული იყო უზარმაზარ სახალხო მხარდაჭერის ტალღაზე. საზოგადოების ამხელა მხარდაჭერის ფონზე, ახალ მთავრობას გაუჩნდა შესაძლებლობების ფანჯარა გაეტარებინა სიღრმისეული რეფორმები. ერთ-ერთი პირველი ცვლილება იყო „მმართველის კანონის“ დაწესება, კონსტიტუციის შეცვლა პრეზიდენტის ხელში უფრო დიდი ძალაუფლების სასარგებლოდ, (ბერგლუნდი 2012; ვითლი 2005). ამის გათვაილისწინებით, რეფორმის სიჩქარე და მასშტაბები იყო ელვისებურად სწრაფი, ღრმა და საკამათო. ალბათ გასაკვირი არ იყო რომ იუსტიციის ყოფილი მინისტრისთვის, რომელსაც იურიდიული განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰქონდა მიღებული, სააკაშვილმა სისხლის სამართალი სამთავრობო ინტერვენციის მთავარ ობიექტად აქცია. ახალი მთავრობის ერთ – ერთი პირველი ინოვაცია 2004 წლის დასაწყისში საპროცესო შეთანხმების სისტემის დანერგვა იყო. რეფორმამ გაზარდა სასამართლოების დატვირთვა - 2010 წლისთვის, ყოველწლიურად სასამართლო განიხილავდა 20,000 სისხლის სამართლის საქმეს; ასევე გაჩნდა შესაძლებლობა სახელმწიფო ხაზინას ინდივიდუალური პირებისგან მიეღო გაზრდილი თანხების რაოდენობა (არეშიძე 2007).

სასამართლო სისტემა დარჩა პოლიტიზირებული და გაგულისებული პროკურატურა მუდმივად აკონტროლებდა სასამართლო პროცესებს. სისხლის სამართლის საქმეებზე გამამართლებელი განაჩენის მაჩვენებელი დაახლოებით 0,1 პროცენტი იყო, რაც პოსტსაბჭოთა რეგიონისთვისაც კი წარმოუდგენლად დაბალი მაჩვენებელია. ასეთ ვითარებაში, საპროცესო შეთანხმების მიღწევა გახდა რაციონალური სტრატეგია სისხლის სამართლის საქმესთან შეხებაში მყოფი ადამიანებისთვის. შედეგად, 2010 წელს სასამართლო პროცესების 87% საპროცესო გარიგებით დასრულდა (საერთაშორისო გამჭვირვალობა 2010: 13).

2004 წლის კიდევ ერთი რადიკალური რეფორმა პოლიციას შეეხებოდა. ამ ცვლილებების შედეგად ათასობით ადამიანმა დაკარგა სამსახური, დაიწყო ახალი მკაცრი საპოლიციო ტრეინინგები, შემოიღეს

უნიფორმები, აღჭურვილობა და შეიქმნა ახალი საპატრულო პოლიცია (ბოდა &კაკაჩია 2006; კუპატაძე, სირაძე და მითაგვარია 2007). ეჭვგარეშეა, რომ ამ რეფორმებმა გაზარდა საზოგადოების ნდობა პოლიციის მიმართ (ლაით 2014; სლეიდი 2012ა). ანტიკორუფციულმა მიდგომამ გაზარდა სანქციები ქრთამის აღებაზე და წარმატებით შეამცირა კორუფციის აღქმა საქართველოს მოსახლეობაში (საერთაშორისო გამჭვირვალობა: 2006). გარდა ამისა, 2005 წელის დეკემბერში ძალაში შევიდა კანონი ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, რომელიც დაეფუძნა კანონს "რეკეტირებისა და კორუმპირებული ორგანიზაციების გავლენის ქვეშ მყოფ პირთა შესახებ" (RICO) აშშ-ში და მაფიის წინააღმდეგ კომისიის დასკვნებს იტალიაში. ღონისძიებების ეს ფართო სპექტრი ეხებოდა ქონების კონფისკაციას და მიმართული იყო მაფიის ლიდერების წინააღმდეგ, რომლებიც კანონიერ ქურდებად იყვნენ ცნობილნი (იხ. კუპატაძე, ეს ტომი), იგი ასევე მოიცავდა ციხეების რეორგანიზაციას, რიგითი პატიმრებისგან კრიმინალური „ავტორიტეტების“ განცალკევების მიზნით.

ანტიმაფიის კამპანიის მიღმა, რეფორმირებული, მარჯვე და ეფექტური პოლიციის დახმარებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ პროკურორებს, სასამართლოებსა და ციხეებს უკვე შეეძლოთ დიდი დატვირთვით მიეღოთ ახალი საქმეები, სააკაშვილმა 2006 წელს შეძლო შემოეღო ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ნაკლებად მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ. სავალდებულო პატიმრობა წვრილმანი დანაშაულისთვის ციხის პოპულაციის ზრდის მთავარი მიზეზი გახდა. 2003 წლიდან 2010 წლამდე და 2006 წლის შემდეგ კი განსაკუთრებით მზარდი ტემპით, დაკავებულთა რიცხვი 300%-ით გაიზარდა. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში 6000 პატიმრიდან, 2012 წლის მონაცემებით, თავისუფლების აღკვეთას დაქვემდებარებულთა რიცხვი 24,000-ზე მეტი იყო. შედარებისთვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც მსოფლიოში დაკავებულთა რიცხვით მოწინავეა, ასევე მოხდა ციხის პოპულაციის 300%-იანი ზრდა, მაგრამ ეს იყო 30 წლის განმავლობაში - 1970 წლიდან 2000 წლამდე პერიოდში (ბეკეტი & ვესტერნი 2001). 2012 წლის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მსოფლიოში მხოლოდ სამმა ქვეყანამ დააპატიმრა უფრო მეტი მოქალაქე ვიდრე საქართველომ (ციხის კვლევების საერთაშორისო ცენტრი 2012).

ამავდროულად, პატიმრობა არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი ქმედებისთვის, არამედ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვისაც აქტიურად გამოიყენებოდა. ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გაგრძელდა 90 დღემდე. დაკავების ამ ფორმას სასამართლო იყენებდა ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, როგორიცაა პოლიციელის დაუმორჩილებლობა ან საპროტესტო აქციების ნებართვის დარღვევა. სანქციის ეს ფორმა ხშირად გამოიყენებოდა მომიტინგეების წინააღმდეგ, მათი დაკავება ხდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დაკავების ოზოლატორებში, რომელიც არ იყო გათვლილი გრძელვადიანი განცალკევებისთვის (Human Rights Watch 2012). უფრო მეტიც, 2011 წლისთვის 38 000-მდე ადამიანი იყო დაქვემდებარებული გამოსაცდელ ვადას, რომლის დარღვევასაც შესაძლებელი იყო შედეგად ადამიანის დაპატიმრება მოჰყოლოდა. როგორც განუვითარებელი ახალი პროექტი, პრობაციონერების მონიტორინგს ახორციელებდა ორგანო, რომელიც მხოლოდ 300 ოფიცრით იყო დაკომპლექტებული.

2006 წლისთვის საქართველოს ციხის სისტემაში შესულმა პატიმრებმა გამოსცადეს ინსტიტუციები, რომლებსაც სწრაფი რეფორმა შეეხოთ. პოლიციის რეფორმის მსგავსად, ციხეებში პერსონალი ჩანაცვლდა, ზოგიერთ ინსტიტუტში პერსონალის 80% სამსახურიდან გაათავისუფლეს ან გამოუცხადეს, რომ სამსახურისთვის ხელახლა უნდა გაევლოთ კონკურსი (ციხის სამსახური 2006). ამგვარი რეფორმებით

ცდილობდნენ პატიმრების სოციალური ურთიერთობების ფიზიკურ რესტრუქტურიზაციას და ციხის ადმინისტრაციისადმი დაქვემდებარებას. აშენდა ახალი ციხეები, ძველი შენობები დაინგრა ან მთლიანად განახლდა. გარდა არასრულწლოვანთა და ქალთა სპეციალური დაწესებულებებისა, საქართველოში მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი დაწესებულებები "დახურულ" და "ნახევრად ღია" ტიპებად დაიყო. დახურული ტიპისა ციხეებმა შეცვალა კოლონიები, რომლებიც ექვსკაციან საკნებს ითავსებდნენ და სადაც პატიმრები დღის მანძილზე 23 საათს ატარებდნენ. წინასწარ პატიმრობას დაქვემდებარებული ადამიანებიც ასევე იმყოფებოდნენ დახურული ტიპის ობიექტებში.

ნახევრად ღია ციხეები, რომლებიც ხასიათდებოდა ნაკლებად მკაცრი რეჟიმით და რომლებიც გარკვეულწილად კოლონიებს წააგავდა, უფრო მეტი გადაადგილების თავისუფლების და ინტერაქციის საშუალებას იძლეოდა. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) ანგარიშის თანახმად, პრაქტიკულად მხოლოდ ორი ობიექტი ფუნქციონირებდა სრულად ნახევრად ღია რეჟიმით. (UNODC 2012).

მიუხედავად სისტემის დეკლარირებული ”ევროპეიზაციისა”, რეფორმების პერიოდში ციხეები სტაბილურად უფრო ლეტალური გახდა. 2010 და 2011 წლები, როდესაც ყველა სახის გარე მონიტორინგი შემცირდა, გარდა ომბუდსმენის აპარატისა, 2006–2011 წლებში ციხეში გარდაცვლილთა რაოდენობამ 43% შეადგინა. მართალია ტუბერკულოზი მთავარი მკვლელი იყო, თუმცა იმატა ოფიციალურად აღრიცხულმა ძალადობრივი სიკვდილიანობის დონემაც (საქართველოს სახალხო დამცველი 2011). ქაოტური გარემოებებისა და სწრაფი რეფორმების გამო, ციხეები, ალბათ, პირველი რეალური ფრონტი იყო პოლიტიკურ შეჯიბრებაში სააკაშვილის რეფორმების წინააღმდეგ. 2005 და 2006 წლებში მთავრობამ არეულობა და შიმშილობები შეაჩერა, თუმცა, ციხის მართვაში ვლინდებოდა გარკვეული პრობლემები. ძველ საციხო სუბკულტურების მნიშვნელოვანი შეცვლით, ციხეების მაკონტროლებელი მეთოდები, როგორიცაა პატიმრებისაგან თანამშრომლებისთვის ინფორმაციის შეგროვება, რომელიც დასავლეთში დინამიურ უსაფრთხოებად იყო ცნობილი, ჩამოიშალა, რამაც გამოიწვია არეულობა და ძალადობრივი ქმედებების საფუძველი შექმნა (კოლვინი 1992; დიუილიო1990; ჯეიკობსი 1978; სპაკრსი, ბოთომსი და ჰეი 1996; საიკსი 1958). უფრო მეტიც, სააკაშვილის მასობრივი დაპატიმრებების პოლიტიკის ზენიტში ეს რეფორმირებული და არასტაბილური ციხის სისტემა უნდა ემართა 3000-ზე მეტ ადამიანს (რომელთაგან დაახლოებით 2.700 იყო ოპერატიული ოფიცერი), პერსონალის თანაფარდობით დაახლოებით 1:10. გაეროს რეკომენდაციის მიხედვით ეს მაჩვენებელი დაახლოებით 1:3-ზე უნდა იყოს (UNODC 2013).

ამ კონტექსტში სასჯელაღსრულების დაწესებულების სივრცეებში ადგილი დაიკავა იძულების მექანიზმების გამოყენებამ, რამაც გამოიწვია ფართომაშტაბიანი სასტიკი მოპყრობა და წამება. 2012 წლის სექტემბერში, ციხის ყოფილმა მცველმა საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოაქვეყნა ვიდეომასალა, სადაც ნაჩვენები იყო ამ ძალადობის მაგალითები, მათ შორის, ჯგუფური ცემა, გაუპატიურება და პატიმრების შეურაცხყოფა. ვიდეოების უკიდურესმა სადისტურმა და სექსუალურმა ხასიათმა შოკში ჩააგდო ქვეყანა და საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. სააკაშვილმა მოითხოვა "ნულოვანი ტოლერანტობა ადამიანის უფლებების დარღვევისთვის". ამის მიუხედავად, არჩევნებზე ხმების უმრავლესობა ოპოზიციური კოალიციის - ,,ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გადანაწილდა, რომელსაც მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობდა.

როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი, ისე მისი პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი საუბრობდნენ თუ რა მძიმე შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქურდების და მაფიის სახელმწიფოს (ე.ი. სახელმწიფო, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულს ასრულებს) დაბრუნებას ქართული ოცნების არჩევის შემთხვევაში. „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობა უდანაშაულო ადამიანების ციხეებში გამოკეტვასა და პოლიციური სახელმწიფო შექმნაში დაადანაშაულა, რომელიც ეფუძნებოდა ინვაზიური ზედამხედველობისა და პოლიტიზირებული სამართლის სისტემებს. სისხლის სამართალი პოლიტიკური კონკურენციის მთავარი არენა გახდა. როგორც პოპულარული ნაბიჯი, ქართული ოცნების ერთ-ერთი პირველი პრიორიტეტი მასობრივი ამნისტიის გამოცხადება და სააკაშვილის სისხლის სამართლის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის რევერსული ცვლილება გახდა.

ხელისუფლებაში ყოფნის დროს სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას მრავალი წარმატება მიეწერა ქართული სახელმწიფოს აღორძინებაში. ყველაზე აშკარა წარმატებული რეფორმები შეეხება წვრილმანი ქრთამის აღკვეთას, ბიუროკრატიის შემცირებას, მაფიის ავტორიტეტების ჩამოშორებით ძალის გამოყენებაზე მონოპოლიის დამკვიდრებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, დანაშაულის დაბალი მაჩვენებლს, ასევე მშპ-ის ზრდას და მოქმედი სახელმწიფოს ბიუჯეტის შექმნას. ამის მიუხედავად, საზოგადოების დიდი იმედგაცრუება მოჰყვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მიმართ ე.წ. ჩაურევლობის მიდგომას, რამაც უთანასწორობისა და სიღარიბის წინააღმდეგ პროგრესის ნაკლებობა შექმნა განსაკუთრებით რეგიონებში. ამ კამათის ფარგლებში, იმ ტიპის სახელმწიფოს შესახებ, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ ააშენა და როგორიც საქართველო გახდა, ციხეები და დასჯა ცენტრალური მნიშვნელობის იყო.

მომდევნო ორი სექციაში მე ვსაუბრობ იმ სფეროებზე, სადაც დასჯამ გადამწყვეტი როლი ითამაშა სააკაშვილის მმართველობაში მყოფი ქართული სახელმწიფოსთვის ძალაუფლების წყაროების შექმნისას, და ამავდროულად საბოლოოდ შეარყია იგი. ეს სფეროები, პირველ რიგში, პოლიტიკურ-ეკონომიკურია და მეორე რიგში პერფომაციული. საკვანძო არგუმენტია გავიმეოროთ იგნატაეფის დასკვნა: აქ დასჯა არ ეხებოდა მხოლოდ დანაშაულის კონტროლს - ეს იყო მექანიზმი სუსტი სახელმწიფოს კონტექსტში, ავტორიტეტისა და წესრიგის აღდგენისთვის, მრავალი წლის სოციალური კრიზისის შემდეგ ახალ ფუნდამენტზე შექმნილი სახელმწიფოსთვის.

სასჯელის პოლიტიკური ეკონომია

ევრაზიაში პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების უმეტესობა მცირე ბიუჯეტებით ფუნქციონირებს, იბრძვის კრედიტების და დახმარების მოპოვებისთვის სახელმწიფო ხარჯვითი მიზნების მისაღწევად და ხასიათდება დაბალი ხარისხის ინსტიტუტებით, მცირე შესაძლებლობებით და არასაკმარისი პოლიტიკური ნებით სოციალური დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამავე დროს, სიღარიბე, უმუშევრობა, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება და უთანასწორობა არის განგრძობითი პრობლემები, რომლებიც მოითხოვს გაუმჯობესებულ სახელმწიფო პოლიტიკას. ამ კონტექსტში, მე ვთავაზობ, რომ, როგორც კრიმინოლოგებმა დიდი ხანია ამაზე აქცენტი გააკეთეს (რუშე და კირქჰეიმერი 1939), პენიტენციური პრაქტიკა ნაწარმოები უნდა იყოს ფართო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის და კლასობრივი სტრუქტურის ფარგლებში. იქ, სადაც სახელმწიფოს არ ჰქონდა საქართველოში საკმარისი რესურსები კეთილდღეობისა და სხვა საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველსაყოფად, სისხლის სამარ-

თლის პოლიტიკა ნაწილობრივ გახდა სოციალური პრობლემების მოგვარების მეთოდი. 2004–დან 2008 წლებში მილიარდერი ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე, რომელიც ლიბერტარიანელი იყო, წარუძღვა საქართველოს განახლებას, როგორც მსოფლიოში ერთ- ერთ ყველაზე ლიბერალურ სავიზო და საგადასახადო რეჟიმის მქონე ქვეყანას. ამ რეფორმების ფარგლებში, ქვეყნის ნაწილებში შეიქმნა თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, ბიუროკრატია მასიურად შემცირდა და დაწესდა არაპროგრესული საგადასახადო განაკვეთი. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსით საქართველო მსოფლიოში მე-12 ადგილს იკავებდა 2010 წელს (2010 წლის მსოფლიო ბანკი). სააკაშვილის დროს, საქართველოს ძალზე მოქნილი შრომითი კანონები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირის შეშფოთებას იწვევდა. (რაიანი 2011). 2004 წლიდან 2008 წლამდე მასიური პრივატიზების სქემას შედეგად მოჰყვა შთამბეჭდავი შემოსავლები, 2008 წლის ომამდე რუსეთთან და გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე, გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სახელმწიფო ბიუჯეტი.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა გახდა უფრო მდიდარი, საქართველო ასევე გახდა უფრო უთანასწორო (მაკფარლენი 2011: 3). უმუშევრობის დონე კვლავ მაღალი იყო და წარმოადგენდა ყველაზე დიდი წუხილის საგანს საქართველოს მოქალაქეებისთვის (ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი, NDI, 2011). 2006 წელს მთავრობამ შემოიღო მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა (TSA), რომლის მიზანი საქართველოს ყველაზე ღარიბი მოსახლეობისთვის კეთილდღეობის გადასახადის მიწოდება იყო. მსოფლიო ბანკის (2009: 9) თანახმად, ამ პროგრამამ მნიშვნელოვნად შეამცირა სიღარიბე TSA–ს ბენეფიციარებისთვის, მაგრამ ”TSA–ს გავლენა მთლიანი სიღარიბის დონეზე ზღვრულად დარჩა”. ამრიგად, ევროკომისიამ (2008: 11) განაცხადა, რომ: ”არ აღინიშნება პროგრესი სიღარიბის შემცირების ან სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით...მოსახლეობის ერთი მესამედი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს მიღმა“.

სოციალური ხარჯების შესახებ სტატისტიკამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის დონესთან შედარებით ნომინალურად გაუმჯობესდა სოციალური დაცვა და ჯანმრთელობა, შემცირდა ამ მიმართულებით მთავრობის ხარჯების პროცენტული მაჩვენებელი, ბიუჯეტის შემოსავლის რეკორდული ნიშნულის არსებობისა და ქვეყნის მშპ-ის ზრდის პერიოდში. ამის ნაცვლად, სახელმწიფოში წესრიგის და ციხეების, როგორც მთავრობის ხარჯების პროცენტული მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად გაიზარდა. 6.2 გრაფაში მოცემულია ბიუჯეტის პროცენტული ხარჯვის მონაცემები ჯანმრთელობის, განათლების, სოციალური და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიმართულებით. თუ სისხლის სამართალი და პენიტენციური პოლიტიკა განიხილება არა როგორც ცალკეული, არამედ როგორც სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის გაფართოება, მაშინ ეკონომიკური თვალსაზრისით, დანაშაულის კონტროლი და ციხეებში განხორციელებული ინვესტიცია დიდი ალტერნატიული ღირებულებითი ხარჯებით ხასიათდება. ენდრიუსი (2003 120) კარგად აყალიბებს ამ მოსაზრებას: „საზოგადოება, რომელიც ასეთი კონცენტრირებულია ციხეების მშენებლობაზე და კარგად არ აწონ-დაწონის ფინანსური სახსრების გამოყენებას სხვა სიკეთეებზე, საუკეთესო შემთხვევაში სულელია“. სააკაშვილის მთავრობა კი სწორედ ამაზე იყო კონცენტრირებული. 2007 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბიუჯეტი წელიწადში 160%-ით გაიზარდა, 31 მილიონი ლარიდან 82 მილიონ ლარამდე (2007 წლის ფინანსთა სამინისტრო). საქართველოს მთავრობის პროგრესის ანგარიშის მიხედვით (საქართველოს მთავრობა 2007 წ.), 2006 წლიდან 2007 წლამდე ციხის პოპულაციის ძირითადი საჭიროებებისათვის დახარჯული თანხა 3 მილიონი ლარიდან 10 მილიონ ლარამდე გაიზარდა (1,5 მილიონი აშშ დოლარიდან 5 მილიონ აშშ

დოლარამდე). მთავრობამ 2011 წელს ევროპის საბჭოს განვითარების ბანკიდან სესხად აიღო 60 მილიონი აშშ დოლარი ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულების აშენების მიზნით. პენიტენციური დეპარტამენტის ბიუჯეტი მხოლოდ 2007 წელს, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 0,5%-ს შეადგენდა (საქართველოს მთავრობა 2007; ფინანსთა სამინისტრო 2007).

შედარებისათვის, ეს მაჩვენებელი 2004 წელს მხოლოდ 0,1% იყო. მსოფლიო ბანკმა (2009 წ.) დათვალა, რომ 2007 წლისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირებისათვის საქართველოს მასშტაბით განხორციელება ქვეყნას მშპ-ის 0,4% დაუჯდებოდა. სურათი 6.3 გვიჩვენებს 2004–2009 წლებში ციხეებში დახარჯული თანხის ზრდას. მაშინ როდესაც ციხის პოპულაცია გაიზარდა 300%-ით 2003-დან 2010 წლამდე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხარჯები გაიზარდა 760%-ით, 2004 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში (ფინანსთა სამინისტრო, 2004-2010). დეპარტამენტის მთლიანი ბიუჯეტი 2009 წელს (109 მილიონი ლარი) შეადგენდა საზოგადოებრივი წესრიგზე მთლიანი ხარჯვის 12%-ს. საინტერესოა კითხვა, თუ რატომ აირჩია მთავრობამ ასეთი, ერთი შეხედვით ძვირი პოლიტიკა, თუმცა შესაძლებელია ამ ხარჯების მიმართვა ღირდა კიდეც სახელმწიფოს გაძლიერების გამო. 2003 წლის მდგომარეობით საქართველო იყო ქვეყანა მცირე ბუნებრივი რესურსებით, სადაც ყველაზე დიდი წილი ექსპორტისა ჯართზე მოდიოდა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ეკონომიკის პირობებში უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე დამოკიდებულებამ ძლიერი ეკონომიკური ხიბლი გამოიწვია, რათა მომხდარიყო ყველა სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა უცხოური ინვესტიციებისა და ინვესტორებისათვის ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. ციხეებთან დაკავშირებული ხარჯები მიიჩნეოდა როგორც ზიანის საკომპენსაციოდ (პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი), რომელიც ყველა ჩადენილი დანაშაულის შედეგად დადგებოდა. უფრო მეტიც, სახელმწიფო შეღავათებზე დამოკიდებული მოსახლეობის რაოდენობის შემცირებასთან ერთად, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ასევე დაეხმარა უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებაში.

სამუშაო ადგილების შექმნა ძვირი აღმოჩნდა, უმუშევრობის მაჩვენებელი კვლავ მაღალი იყო, მაგრამ დაღმასვლას განიცდიდა გაზრდილი პატიმრობის დონის შედეგად. გარდა ამისა, სამუშაო ადგილები და ინვესტიციები, რომლებიც ციხეების მშენებლობამ და გაფართოებამ უზრუნველყო რეგიონებში, ასევე სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ჭარბი გამოყენების პოზიტიურ გარე ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. თანხები ასევე პირდაპირ შედიოდა სახელმწიფო ხაზინაში ნულოვანი ტოლერანტობის, საპროცესო შეთანხმების, ჯარიმებისა და აქტივების კონფისკაციის გზებით, ანტიმონოპოლიური და ორგანიზებული დანაშაულთან ბრძოლის საკანონმდებლო მექანიზმებით. საერთაშორისო გამჭვირვალობა იუწყება, რომ 2009 წელს სასამართლო პროცესებში, მთელი პროცედურული ღონისძიებებიდან მიღებული თანხები შეადგენდა 61 მილიონ ლარს (საერთაშორისო გამჭვირვალობა 2010: 21). მთავრობის ცვლილების შემდეგ, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ 2009-2012 წლებში 140 მილიონ ლარზე მეტი თანხა შევიდა სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ საპროცესო შეთანხმებების გაფორმების შედეგად (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2013). ამას ემატება ჯარიმები, ჩამორთმეული ქონების ჯამური ღირებულება, ასევე, სისხლის სამართლის პროცესის ფულადი ასპექტები - მოსაკრებელი ციხეში პატიმრებთან ვიზიტებისათვის, ციხიდან განხორციელებული ზარები სკაიპით ნათესავებთან, გადასახადები, ადმინისტრაციული პატიმრობის სანაცვლოდ და პრობაციის პირობების გადახედვისათვის - ერთი სიტყვით, საქართველოს სახელმწიფო შეეცადა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ხარჯების ამოღებას და თვითკმარი სისტემის შექმნას. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მსგავს პატარა ქვეყანაში 24 000 ადამიანის

დაპატიმრების ხარჯი მაღალია, ეკონომიკური თვალსაზრისით გარკვეული მოგება ამ საქმეში იყო. ნულოვანი ტოლერანტობა და მასობრივი დაკავებების პოლიტიკა წარმოადგენდა ეკონომიკურ ალტერნატივას სუსტი სახელმწიფოს კონტექტსში, რომელშიც ღირსეული სოციალური დაცვა, რამაც შეიძლება შეამციროს დანაშაულის გამომწვევი სოციალური დევიაციები, გაცილებით ძვირია. ამასთან, ამგვარი სოციალური ხარჯების მიღწევები ნაკლებად ხელშესახები იქნებოდა და მათი რეალიზება გრძელვადიან პერსპექტივაში დადგებოდა.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის რეფორმები ცინიკურად გათვლილი პოლიტ-ეკონომიკური გეგმა იყო. უფრო სავარაუდოა, რომ რეფორმების დღის წესრიგი მოდიოდა იმ იდეო-ლოგიური ჩარჩოს საფუძველზე, რომელიც ნაკარნახევი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითით, როგორც კრიმინოლოგიაში, ასევე ეკონომიკის მიმართულებით. ეს შემოსაზღვრავდა ქართული ელიტის მმართველობის იმ ფორმას, სადაც მასობრივი დაკავება პოლიტიკის ძირითადი შედეგი გახლდათ. მაგრამ სუსტი სახელმწიფოს პერსპექტივიდან, სადამსჯელო სისხლისსამართლებ-რივი პოლიტიკის მიმართ არაერთი აშკარა ეკონომიკური უპირატესობა არსებობდა, გარდა პოლიტიკური ბერკეტისა მეტოქეების დაშინებისა და ციხეში გამოკეტვისა. აქ დასჯა სოციალური პოლიტიკის ალტერნატივას ემსახურებოდა და წარმოადგენდა რესურსების ფართო მასშტაბით მოპოვების გზას.

სისხლის სამართლის პერფორმატიულობა

სააკაშვილის მმართველობის დროს სადამსჯელო ხედვა მხოლოდ ინსტრუმენტული არ იყო. არსებობდა წმინდა დისკურსული და საშემსრულებლო ელემენტები სისხლისსამართლებრივი პრაქტიკის მართვის ამ ახალ რეჟიმში. სისხლის სამართალი მდიდარი არენაა, სადაც ყალიბდება ადგილობრივი ხელისუფ-ლების ძალაუფლება ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებებში. თუმცა, ლეგიტიმური ძალა-დობის წარმოება სისხლის სამართლის მეშვეობით საზოგადოების დასჯასთან დამოკიდებულების ისტო-რიის და კულტურის მიმართ სენსიტიური უნდა იყოს, რაც უფრო აძლიერებს ვიდრე ასუსტებს ავტო-რიტეტს. ამ თავის მომდევნო ნაწილებში განხილული იქნება ნაციონალური მოძრაობის მიერ სადამს-ჯელო პოლიტიკის შესრულება როგორც შიდა ისე, საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე, აგრეთვე ავტორიტეტის წარმოების და დასუსტების საკითხები.

შიდა აუდიტორია

დიურკჰემის შემდეგ აღიარებულია, რომ სახელმწიფო დასჯა არამხოლოდ ქმნის ავტორიტეტს, არამედ სურს, რომ გააძლიეროს უკვე არსებული სოციალური და ზნეობრივი წყობილებების წყაროები და გაიზიაროს პრაქტიკები, რომლებიც წარმოადგენენ ამ წყობილებების საზღვრებს. სახელმწიფო დასჯა უნდა გამოხატავდეს კოლექტიური მორალური აღშფოთებას და ამით საზოგადოებრივი მხარდაჭერის ბაზისს ქმნიდეს (გარლანდი 1993:276). სასჯელი, მაშინ არის ერთგვარი გზა, რა დროსაც სახელმწიფო ყალიბდება როგორც სოციალური ლანდშაფტის ნატურალიზებული ნაწილი და როგორც გარკვეულ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის სუვერენული წარმომადგენლობა/ნაწილი, (მიგ-დალი, 2001:168). ეს სიმბოლური ასპექტი არის ძირითადი ელემენტი იმისა, თუ როგორ ახერხებენ სუსტი სახელმწიფოები გადარჩენას, როდესაც ისინი ვერ უზრუნველყოფენ მატერიალური სიკეთეებისა და საჭირო სერვისების მიწოდებას. კანონი და სამართლიანობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამისათვის:

სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის საჯარო რიტუალების გაზიარება, კანონთა გენერირება და საზოგადოებრივი ქცევის წესების შემოღების უწყვეტი პროცესი ქმნის სახელმწიფოსთვის ძალაუფლების სიმბოლოს. დასავლეთშიც კი კანონისა და წესრიგის პოლიტიკა აძლევს სახელმწიფოებს საშუალებას „განასახიერონ“ (გარლანდი 2001) სუვერენიტეტი და აჩვენონ ეფექტურობა იმ ეპოქაში, სადაც მათ თითქმის უარი თქვეს იმის მტკიცებაზე, რომ შეუძლიათ აღმოფხვრან ქრონიკული სიღარიბე და უმუშევრობა.

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისათის დამახასითებელი პრობლემაა საზოგადოების მხრიდან სასჯელის, როგორც სოციალური მნიშვნელობის მატარებელი კონცეფციის გაგება, რამდენადაც მიუხედავად მოქალაქეების მხრიდან კანონის აბსტრაქტული მხარდაჭერისა, ისინი ხშირად მიიჩნევენ, რომ მათი ყოველდღიური ცხოვრება უნდა იმართებოდეს არაფორმალური ნორმებითა და პრაქტიკებით, რომელიც შესაძლოა წინააღმდეგობაში მოდიოდეს კანონთან (გალიგანი და კურკიჩიანი, 2003). ამასთან, ეს არის რეგიონი, რომელსაც აქვს გულაგების გამოცდილება და სადაც მთელი რიგი სოციალური და ეკონომიკური სფეროები დაექვემდებარა კრიმინალიზებას. ამ ადგილებში კრიმინალური სუბ-კულტურა წარმოადგენდა კონტრკულტურას, სადაც შესაძლებელი ხდებოდა თვითგამოხატვის ალტერნატიული ფორმების დამკვიდრება (დობსონი 2009). აქედან გამომდინარე, კავშირი სამართალდარღვევასა და დანაშაულს შორის არ არის აშკარა. ამიტომაც, სახელმწიფო სასჯელის მნიშვნელობა შეიძლება დამახინჯებული ფორმით არსებობდეს (გალიგანი და კურკიჩიანი, 2003; ჰამფრისი 2002; ლედენევა 2006; ოლიენიკი 2003). ამრიგად, საქართველოსნაირ ქვეყანაში სახელმწიფოს სურდა ხელახლა გამოეკვეთა კავშირი დანაშაულსა და არამორალურ ქმედებას შორის.

2006 წლის ციხის სერიოზული ამბოხების დროს სააკაშვილმა გამოხატა თავისი შეხედულება დამნაშავეების შესახებ, როგორც ქურდული სამყაროს წევრებისა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ავტორიტეტები, და რომელთაც სურდათ მთავრობის ხელში ჩაგდება. საჯარო მიმართვაში მან განაცხადა: „ისინი ფიქრობდნენ, რომ ჩვენ ვართ სუსტი, რომ ჩვენ მათი გვეშინია. თქვენ ცდებით პატივცემულო ბანდიტებო, ყაჩაღებო, ქურდებო და სხვა ნაძირლებო. ამჯერად თქვენ სხვა ხელისუფლებასთან გაქვთ საქმე... რადგან ამ ადამიანებმა გადაწყვიტეს ჩვენი გამოწვევა, ჩვენ ვიღებთ ამ გამოწვევას“ (პრეზიდენტის აპარატი, 2006). კრიმინალური სამყაროს გამოძახებით, რომელსაც შეუძლია კოლექტიურად დაუპირისპირდეს სახელმწიფოს, და ამ სამყაროს გამოწვევით, სააკაშვილმა შექმნა „ჩვენ და ისინი“ დიქოტომია და დაამკვიდრა „ჩვენი“ სახელმწიფოს კანონების მორალური უპირატესობა.

ნაწარმოები პატიმრების სუბკულტურის ფასეულობებსა და პრაქტიკებს (დობსონი 2009). ნაციონალური მოძრაობა ხშირად ასახელებდა კანონიერ ქურდებს, როგორც ჩამორჩენილ, ანტიმოდერნულ, რუსეთისა და საბჭოთა წარსულის მთავარ აგენტებს. სააკაშვილი საზოგადოებას სთავაზობდა წარსულიდან გამოღწევის გზას, რომლის მიხედვითაც კანონი დომინირებდა კრიმინალური სუბკულტურის არაფორმალურ წესრიგზე და სახელმწიფო იყო მთავარი მსაჯული სამართალდარღვევების შეფასებისა და საზოგადოებრივ აქტორებს შორის დავების გადაწყვეტისას. სისხლის სამართლის პოლიტიკა გაცილებით ფართოდ იყო დანახული, ვიდრე, ძალადობის მონოპოლიის კიდევ ერთი განმტკიცება კანონგარეშე მმართველობასთან მიმართებით და მოიაზრებოდა, როგორც პოტენციურად მორალის განმსაზღვრელი ძალა, რომელიც ქართველებს ჩამოაშორებდა ქუჩის სკოლას და ქურდულ სამყაროს. იტალიის გამოცდილებაზე დაყრდნობით 2005 წელს მაფიის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ფარგლებში ახალგაზრდების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დაიწყო, მათ შორის

ე.წ. „სამართლებრივი სოციალიზაციის“ პროგრამების ჩაშვება სკოლებში, რომელიც მოიცავდა სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში, გაკვეთილებს ორგანიზებული დანაშაულების ბოროტებასთან დაკავშირებით და მოქალაქეების პასუხისმგებლობას ერთმანეთის მიმართ (ტანგიაშვილი და სლეიდი 2014).

ნაციონალურ მოძრაობას კარგად ესმოდა სპექტაკლის ძალა სასჯელის აღსრულების პროცესში. კანონიერი ქურდების და გაიძვერა პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების დაკავებებს თან ესწრებოდა გადამღები ჯგუფი, ისე, რომ ეს დამამცირებელი მომენტი, როდესაც ყოფილ ხელშეუხებელი ელიტის წარმომადგენლებს აპატიმრებდნენ სახლში, რესტორანსა თუ აბანოებში, გადაიცემოდა ტელეეთერებით. ამ კორუმპირებული პირების ქონება კი სახელმწიფოს ანგარიშზე გადადიოდა. კანონიერ ქურდებს ჩამოერთვათ სახლები და მათთვის ჩამორთმეული ქონება პოლიციის შენობებად გარდაიქმნა. ეს ალბათ იყო კანონისა და წესრიგის სიმბოლური პოლიტიკის ყველაზე აშკარა მაგალითი (სლეიდი, 2013). ავტორის ინტერვიუებმა შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ მართალია მთავრობა აღიარებდა რომ მთავრობის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა არაპოპულარული იყო, მაგრამ არსებობდა ხედვა, რომლის მიხედვითაც ამგვარი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა „აუცილებელ ბოროტებას“ წარმოადგენდა წარსული დაუსჯელობების გათვალისწინებით. სამართლიანი ტკივილის მიყენებით ნაციონალური მოძრაობა თვლიდა, რომ ასეთ პოლიტიკას შეეძლო საზოგადოების დამოკიდებულებების შეცვლა, კრიმინალური სამყაროს კუთვნილი არაფორმალური ინსტიტუტების განადგურება და არაფორმალური პრაქტიკების წარსულ დროში მოტოვება.

2013 წელს ავტორის მიერ ჩატარებული ინტერვიუები ყოფილ პატიმრებთან ცხადყოფს, რომ დამამცირებელი მოპყრობა და წამება უფრო ხშირად გამოიყენებოდა იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც ქურდული სამყაროს მხარდაჭერაში იყო ეჭვმიტანილი. წამების ამსახველ საჯაროდ გავრცელებულ ერთ-ერთ ვიდეოში, მწამებლები აიძულებდნენ მსხვერპლს უარი ეთქვა თავისი კრიმინალური სამყაროს სტატუსზე. პოლიტიკოსებიდან მოყოლებული ციხის ოფიცრებამდე, კრიმინალები წარმოჩენილნი იყვნენ როგორც ჭუჭყი, ანდა დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობებოდა ქვეყანაში კანონის უზენაესობის განმტკიცებას და საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფვას. საერთაშორისო აუდიტორია გარეგანი აქტორები კიდევ ერთი გადამწყვეტი აუდიტორია იყო სისხლის სამართლის პოლიტიკის გზით სახელმწიფოებრივი სიძლიერის საილუსტრაციოდ. ვარდების რევოლუციის შემდეგ გაიზარდა საგარეო გავლენების აქტიურობა სისხლის სამართლის სისტემაზე. 2004 წელს სააკაშვილის ადმინისტრაციის უშუალო თხოვნით ევროკავშირმა ერთი წლის ვადით საქართველოში გამოგზავნა სამართლებრივი ექსპერტებისა და სისხლის სამართლის პრაქტიკოსების მისია, რათა მართლმსაჯულების სისტემის ყველა დონეზე დახვეწის მიზნით სათანადო რეკომენდაციები მიეცათ საქართველოს მთავრობისთვის. EU JUST THEMIS იყო პირველი პროექტი, რომელიც საქართველოში განხორციელდა ევროკავშირის მიერ, მეორედ კი პროექტი კოსოვოში გაგრძელდა.

ნაკლოვანებების აღნიშვნასთან ერთად მისიამ შეაფასა სტრატეგია, „როგორც ყოვლისმომცველი და საუკეთესო ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი“ (ევროკავშირის საბჭოს სამდივნო 2005). მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ ევროკავშირს მიმართა ექსპერტიზისა და ზოგადი სტრატეგიის შემუშავებისათვის, მაშინდელმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ შეისისხლხორცა ამერიკის დანაშაულის კონტროლის პრაქტიკისა და რიტორიკის ნასესხები ელემენტები. აშშ-ს გავლენა

განსაკუთრებით იგრძნობოდა ფინანსური მხარდაჭერის გზით. 2009 წელს საქართველომ მიიღო უფრო მეტი ეკონომიკური დახმარება აშშ-დან, ვიდრე ევროპისა და ევრაზიის რეგიონის ნებისმიერი ქვეყნიდან (აშშ- ს უცხოური სესხები და გრანტები 2009). აშშ-ს კიდევ ერთი უპირატესობა იყო ერთიანი ხმა და საერთო მიდგომა სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ. ევროპული ქვეყნების სამართლებრივი სისტემების სპექტრი და განსხვავებული მიდგომები უბრალოდ არ იყო ასეთი მიმზიდველი და ვერ უწევდა მას კონკურენციას. მსოფლიო სცენაზე საქართველოს სტატუსთან დაკავშირებულმა ღელვამ ასევე იმოქმედა ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემაზე. 2004 წელს საქართველომ შეიმუშავა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ნატოში სამომავლო გაწევრიანების მიზნით. ციხეების განახლება სამოქმედო გეგმის მოთხოვნების ერთ-ერთი ნაწილი იყო, რათა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებები შესაბამისობაში მოსულიყო ნატოს სტანდარტებთან. რამდენადაც ციხე იმ კორუმპირებულ ინსტიტუტად მიიჩნეოდა, რომელმაც ვერ შეაჩერა ხშირი ბუნტები და რომელიც ცნობილი იყო როგორც ნარკოტიკების, ტრეფიკინგის, ადამინებისა და ბირთვული მასალების ტრეფიკინგის კერა და ტერორისტების ბუდე. მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი დაპატიმრებები არ წარ-მოადგენდა სამოქმედო გეგის ნაწილს, იგი მოიცავდა ლეგიტიმურ ქვეტექსტს არამხოლოდ ციხეების გაუმჯობესებისა, არამედ მათი მშენებლობისა და გაფართოების მასშტაბური ინვესტიციისათვის, რომე-ლიც მოსახერხებელი იყო საპატიმრო სასჯელის სავალდებულო მოთხოვნების მიზნებისათვის. 2007 წელს ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ ყოველწლიურ სხდომაზე დადებით კონტექსტში აღნიშნა ციხის რეფორმები საქართველოში: „მთავრობა ამჟამად ახორციელებს ფართომასშტაბიან რეფორმებს, რომ-ლებიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დარღვევის დასრულებას და ორგანიზებული დანაშაუ-ლების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას... სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების ობიექტების სრული რემონტი შესაბამისობაში მოიყვანს მათ საერთაშორისო სტანდარტებთან“.

საქართველოს მთავრობამ შეინარჩუნა ევროპაში გაწევრიანების გამოხატული სურვილი და ევროკავ-შირმაც შეინარჩუნა ქვეყანაზე გავლენა. 2009 წლის სისხლის სამართლის რეფორმის განახლებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა ევროკავშირის დახმარებით და გაიცა დაპირებები ციხის ალტერნატივების შემუშავების პირობით. ამჯერად ევროკავშირმა შეიმუშავა ფინანსური მექანიზმი გარკვეული მიზნების შესასრულებლად. ნაწილობრივ ამის შედეგად, იუსტიციის სამინისტროში ადმინისტრატორებმა შეიმუშავეს ახალი კონცეფცია საპროკურორო დისკრეციის სახით, რომელიც არასრულწლოვნების მართლმსაჯულების სისტემიდან ჩამოშორებას ისახავდა მიზნად. საქართველოს ეწვია კოლორადოს შტატის არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც დახმარე ქართულ მხარეს კონცეფციის შემუშავებაში. ქართული გუნდი ევროპაში წავიდა „საყიდ-ლებზე“ საუკეთესო პრაქტიკის ძიებისთვის და მაგალითი აიღო ნიდერლანდებისა და ავსტრიისგან. გარეგანი აქტორებისათვის სახელმწიფოებრიობის ჩვენებისას საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკა გახლდათ ნაწილი იმისა, რასაც ჰედერშოუ უწოდებს „გლობალურ პერფორმაციულ სახელმ-წიფოს“: სუსტი სახელმწიფოს შესაძლებლობებისა და ინსტიტუციების გადამალვა კონსოლიდაციისა და თანმიმდევრობის იმიჯით, ძალაუფლების ფინანსებისა და ექსპერტიზის გლობალურ ქსელში. ქართველი პოლიტიკის შემქმნელებს სურდათ დაემტკიცებინათ სხვადასხვა პოლიტიკების მათ მფლობელობაში ყოფნა (Ownership), დანაშაულის კონტროლის რიტორიკა და იმიჯი კი მოდიოდა ამერიკიდან. როგორც დაუნსი (2001:56) აღწერს მასობრივ დაკავებებს ამერიკაში: ამერიკა აქტიურად ახდენს ამის ექსპორტს... რთული იქნება მისი მიმზიდველობისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მაშინ როცა ამერიკა როლურ მოდელად, კანონისა და წესრიგის ადვოკატად განიხილება პოლიტიკური და ეკონომიკური გაგებით. შიდა აუდიტორიის რეაქცია აქტიური მცდელობები იმისა, რომ ქვეყანამ მოირგოს სახელმწიფოს როლი

სისხლის სამართლის პოლიტიკის საშუალებით, დაფუძნებულია ეფექტური სახელმწიფოს იმიჯზე და ნასესხებია დანაშაულის კონტროლის მიმართ, ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომაზე. სააკაშვილის ადმინისტრაციამ განსაკუთრებით ევროპელ პარტნიორებს შორის წარმოშვა შფოთვები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ეროვნულ დონეზე სისხლის სამართლის სისტემაში გააფთ-რებულმა აქტივობებმა, ხელი შეუწყო ოპოზიციის ფორმირებას და ითამაშა მნიშვნელოვანი როლი 2012 წლის არჩევნებში ქართული ოცნების გამარჯვებაში. სისხლის სამართლის არენაზე სახელმწიფოებრივი ძალაუფლებების გამოვლინებებმა ქვეყანა კვლავ არეულობაში დააბრუნა. მცირე რაოდენობის გამამართლებელი განაჩენები, მძიმე და არაპროპორციული სასჯელები, პატიმრობის როგორც სასჯელის ინტენსიური გამოყენება, იმუამინდელი პოლიტიკური გუნდისთვის არა თუ სოციალური ავტორიტეტის განმტკიცების საშუალებად, არამედ სოციალური გაუცხოვების მექანიზმად იქცა.

ვარდების რევოლუციის შემდეგაც კი, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ საჯარო წინააღმდეგობაში აღმოცენდა, დანაშაული ძირითადად მეორეხარისხოვან საზრუნავს წარმოადგენდა. 2003 წლის მაისის ქართველ ამომრჩეველთა გამოკითხვები აჩვენებდა, რომ ხალხს ნაკლებად ეშინოდა დანაშაულის სხვა საკითხებთან შედარებით - როგორიცაა ომი, ეკონომიკური კრიზისი და პოლიტიკური არასტაბილურობა. გამოკითხულთა მხოლოდ 3% უთითებდა დანაშაულს პირველ ადგილზე (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი 2003). რევოლუციის შემდეგ მთავრობისათვის პრიორიტეტული გახდა დანაშაულის კონტროლი, თუმცა, ეს არ წარმოადგენდა პირდაპირ და უპირველეს მოთხოვნას. არასაკმარისი ინფორმაცია არსებობს დასჯის მიმართ საქართველოს მოქალაქეების განწყობების შესახებ, თუმცა ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის (PRI) მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 54% ფიქრობდა რომ სასჯელები ზედმეტად მკაცრი და უსამართლო იყო, ხოლო 32% მხარს უჭერდა დამნაშავეთათვის მკაცრი სასჯელის დაწესებას, როგორც აუცილებლობას წესრიგის შენარჩუნებისათვის (PRI 2009:11). სასჯელის ტიპზე და პატიმრობის გამოყენების საკითხებზე გამოკითხულთა უმრავლესობა მხარს უჭერდა სასჯელის ალტერნატიულ ფორმებს მცირე დანაშაულებისათვის და მიიჩნევდა, რომ ციხის პოპულაცია ზედმეტად მაღალი იყო. გამოკითხულთა შორის 69% თვლიდა, რომ ციხის პოპულაცია ზედმეტად მაღალია, 13% თვლიდა, რომ საკმარისია და მხოლოდ 5% თვლიდა, რომ არსებულზე მაღალი უნდა ყოფილიყო.

გარკვეულწილად, კორუფციის შემცირების შესახებ საზოგადოების აღქმამ და პოლიციისადმი ნდობის დადებითმა სტატისტიკამ, რა თქმა უნდა გაამყარა მთავრობის პოზიცია. 2005 წელს მთავრობის საქმიანობის თვალსაზრისით ქართველები ყველაზე ბედნიერები იყვნენ ელექტროენერგიის მიწოდების, ახალი გზებისა და შემდგომში პოლიციის რეფორმის გამო (IRI 2005). მეორე მხრივ, როგორც PRI-ს 2009 წლის კვლევა აჩვენებს, მასობრივი დაპატიმრებები არცთუ ისე პოპულარული იყო. ბოლოდროინდელი გამოკვლევებით (CRRC 2015) მოსახლეობის 54%-ს მიაჩნია, რომ უდანაშაულო ადამიანები იხდიან სასჯელს „ზოგჯერ“ ან „ხშირად“, რაც მიუთითებს, საზოგადოებაში უსამართლობის განცდის ზრდაზე. უსამართლობის ამ შეგრძნებამ დროდადრო ქუჩებში ჰპოვა გამოხატულება. 2007 წლის ნოემბერში მომიტინგეები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ მთავრობით, მათ შორის მათი სადამსჯელო პოლიტიკით და პოლიციელების მიერ ჩადენილი მკვლელობებით, რომელიც ნულოვანი ტოლერან-ტობის კანონმდებლობით იყო პროვოცირებული, ძალის გამოყენებით დაშალეს. ამის შემდეგ ოპოზიციური პარტიების კოალიციამ დაიწყო საპროტესტო აქციები 2008 წლის გაზაფხულზე და შემდეგ 2009 წელს, სააკაშვილის გადაყენებისა და ახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით. 2009 წლის პროტესტები გაჟღენთილი იყო „სადამსჯელო სიმბოლიკით“: მომიტინგეებს ეძინათ დანომრილ საკნებში

რომლითაც გადაკეტილი იყო ქუჩები მთელს თბილისში; პოპულარულმა ოპოზიციურმა ფიგურამ თავი ჩაიკეტა ოთახში და პირდაპირ ტრანსლაციას გადასცემდა თავის „საკნიდან“. ოპოზიციის ლიდერები, რომლებიც იყენებდნენ ციხის ჟარგონებს, პირდებოდნენ მთავრობის დამხობას და ციხეების გაღებას.

ამრიგად, სახელმწიფოს სასჯელი გახდა სიმბოლო სახელმწიფოს სურვილისა, აღედგინა წესრიგი ახალ ფუნდამენტზე 1990 წლების კრიზისის შემდგომ და ის, ასევე გახდა სოციალურ წინააღმდეგობის მთავარი ფოკუსი სააკაშვილის ახალი ფუნდამენტის შესახებ ხედვისა. როდესაც საქართველოს ციხეებში დასჯის პრაქტიკების არსებობა სააშკარაოზე გამოვიდა, აზრი, რომ სისხლის სამართლის სისტემა გამოხატავდა საქართველოს საზოგადოების ემოციურ, მორალურ და კულტურულ რეაქციებს დანაშაულებზე, არამდგრადი გახდა. კვლევა აჩვენებდა, რომ ციხეებში სასტიკი მოპყრობის სკანდალი იყო ერთ-ერთი კრიტიკული ფაქტორი არჩევნებში ქართული ოცნების გამარჯვებისა, უმუშევრობისა და ქრონიკული სიღარიბის პრობლემების გადაუჭრელობასთან ერთად. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება, „თემი“, ან „კოლექტივი“ იყო ჰომოგენური მასა. საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა გარკვეული ეჭვი ერთიან ნაციონალური მოძრაობის იმ მიდგომებთან დაკავშირებით, რომელიც მას სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ გააჩნდა. თუმცა, დროთა განმავლობაში სამართალდამცავი უწყებების ძალაუფლებასთან (მათ შორის გავრცელებული თვალთვალი და მიყურადება) დაკავშირებით, წინააღმდეგობა გადაიზარდა კრიტიკულ მასაში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ თითქმის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელს ციხეში ჰყავდა მათთვის ძვირფასი ადამიანი.

ამრიგად, დასჯას ახალი წესრიგის გამოსახატად და სახელმწიფოს ძალაუფლების კვლავწარმოებისათვის, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე სრულად გაუცხოვდა საკუთარ მოქალაქეებთან, საქართველოში ცვალებადი ეფექტები ჰქონდა. თუ რეფორმების საწყის ეტაპზე ქება უხვად იყო, პოზიტიური შეფასებები საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ ახლა უკვე მხოლოდ საზღვარგარეთიდან ისმოდა და გაცილებით უფრო იშვიათად, დროთა განმავლობაში. დაყოფა ელიტისა და საზოგადოების შეხედულებებს შორის, სახელმწიფოს დასჯის უფლებაზე და იმის შესახებ თუ რა შეიძლებოდა ჩათვლილიყო როგორც სამართლიანი საშუალება ტკივილის მიყენებისა, გახდა იმდენად ფართო, რომ ხელი შეუწყო სააკაშვილის სახელმწიფოს მშენებლობის მცდელობის მყისიერ დასრულებას.

დასკვნა

როგორც წესი, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში დასჯის საკითხებზე მსჯელობა უმეტესად ფოკუსირებულია შერჩევით სამართლიანობასა და სისხლის სამართლის ინსტიტუტების მნიშვნელობაზე, პოლიტიკური და ბიზნეს ოპონენტების დასჯის მიზნებისათვის. პოლიტიკური გავლენები, ან უბრალოდ კორუმპირებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბოროტად გამოყენება, ფართოდ არის გავრცელებული რეგიონში და გვხვდება სხვადასხვა ქვეყანაში, აზერბაიჯანიდან მოყოლებული, რუსეთსა და ყაზახეთში. ამ თავში ითქვა, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკაში დასჯის ასპექტი მნიშვნელოვანია იმის გასააზრებლად, თუ როგორ ახერხებენ რეჟიმები საკუთარი პოზიციების გამყარებას და აქტივების მოპოვებას. თუმცა, ასევე ცხადია, რომ სახელმწიფოს მხრიდან სისხლის სამართლის წესით დასჯას შეუძლია, გაცილებით მრავალმხრივი როლი ითამაშოს სუსტი სახელმწიფოების სიძლიერის განხილვაში, ევრაზიის მასშტაბით.

საქართველოს შემთხვევა ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ახერხებენ სუსტი სახელმწიფოები, გამოიყენონ სასჯელი, როგორც ალტერნატიული თუმცა დელიკატური წყარო სახელმწიფოს სიძლიერის დასამტკიცებლად, მაშინ, როდესაც უჭირთ იმ საჯარო სიკეთეებით საზოგადოების უზრუნველყოფა, რაც მათ ვალდებულებაში შედის. დიურკემმა და ჯორჯ ჰერბერტ მეადმა აღიარეს, რომ რაც უფრო სუსტია პოლიტიკური წესრიგის ავტორიტეტულობა და ლეგიტიმურობა, მით უფრო დიდია ცდუნება ჩაერთონ ისინი სანახაობრივი და მკაცრი დასჯით. თუმცა, რაც უფრო მეტად მონაწილეობს სახელმწიფო ზედმეტად დასჯად სისხლისსამართლებრივ პრაქტიკებში, მით უფრო ნაკლებად გმობს საზოგადოება დამნაშავეებს და დამნაშავეობა, მით უფრო ნაკლებად ითვლება სირცხვილად. პირიქით, ისინი სახელმწიფოს მხრიდან ანგარიშსწორებულებად განიხილებიან საზოგადოების მიერ. როგორც ქართული შემთხვევა მეტყველებს, ეს საკითხები წარმოადგენს განსაკუთრებულ პარადოქსებს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც ხშირად არ აქვთ ლეგიტიმაცია და განპირობებულნი არიან გულაგის ტოქსიკური მემკვიდრეობით, რათა დასჯა გამოიყენონ სახელმწიფოს ძალაუფლების ლეგიტიმაციისათვის.

პოსტსაბჭოთა რეგიონი დიდი ხანის წინ უნდა გამხდარიყო დასავლეთის ქვეყნებში კრიმინოლოგიის მწვავე დებატის საგანი, პენიტენციურ პრაქტიკებსა და სახელმწიფოს ცვალებად ბუნებას შორის არსებული კავშირის გამო. დასავლეთის სახელმწიფოები, რომელთაც თვალნათლივ უდგათ საკუთარი სუსტი მხარეები - ეროვნული ვალები, ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპები, უმუშევრობის მაღალი დონე, მზარდი უთანასწორობა, დაბალი სოციალური მობილობა მიმართავენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას, რათა გააკონტროლონ პრობლემური პოპულაციები - ღარიბები, უმცირესობები და იმიგრანტები. ამასთან ერთად, კანონის რიტორიკას და წესრიგის პოლიტიკას ისინი პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებისთვის იყენებენ, მაშინაც კი, როდესაც დანაშაულის დონე მცირდება. ინტენსიური აქცენტი სისხლის სამართლის პოლიტიკაზე და შესაბამისად, ციხის პოპულაციის ზრდა ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, მოიხსენიება როგორ „დანაშაულით მართვა“ (საიმონი 2007). როგორც საქართველოს მაგალითმა აჩვენა, მმართველობის ამგვარი ფორმა ევრაზიის ქვეყნებში სულ უფრო თვალსაჩინო გახდება, რამდენადაც ისინი საკუთარი სისუსტეებთან ბრძოლით არიან დაკავებულნი.

ბიბლიოგრაფია:

Andrews M. (2003) ‘Punishment, Markets and the American model: an essay on a new American dilemma’ in McConville S. ed, The Use of Punishment Willan Publishing

Areshidze, I., (2007). Democracy and Autocracy in Eurasia: Georgia in Transition, Michigan State University Press. Boda, J. & Kakachia, K., (2006). The Current Status of Police Reform in Georgia. In P. Fluri & G. Lortkipanidze, eds. After Shevardnadze: Georgian Security Sector Governance after the Rose Revolution. DCAF.

Beckett K. & Western B. (2001). ‘Governing social marginality: welfare, incarceration and the transformation of state policy,’ in Garland, D. ed. Mass Imprisonment: Social Causes and Consequences London: Sage

Caucasus Research Resource Centers. (2004) "Caucasus Barometer". 2004 dataset. Available at http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/ [Accessed 01.11.2008 & 15.02.2011].

Caucasus Research Resource Centers (2011) Attitudes to the Judicial System in Georgia. Available at: http://www.ewmijilep.org/images/stories/NewsFiles/crrc_report.public%20attitudes%20judicial%20system%20eng.pdf [Accessed 26.08.2013]

Civil Georgia. (2004). Saakashvili Wants New Chief Prosecutor, Vows to Crackdown on Criminals. Available at: http://civil.ge/eng/article.php?id=6000&search=rose%20revolution [Accessed August 11, 2010].

Civil Georgia. (2006). Inmates Die in Tbilisi Prison Riot. Available at: http://www.civil.ge/eng/article.php?id=12177 [Accessed August 9, 2010].
Civil Georgia. (2010). Saakashvili's State of the Nation Address Available at http://www.civil.ge/eng/article.php?id=22029 [Accessed 25.05.2011]
Colvin, Mark. The Penitentiary in Crisis: From Accommodation to Riot in New Mexico. SUNY Press, 1992.
Coppieters, B. & Legvold, R. (2006). Statehood and security: Georgia after the Rose Revolution, American Academy of Arts and Sciences.
Corso, M. (2008). Georgia Declares War on Poverty. Eurasianet.org Available at http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav020608c.shtml [Accessed 02.05.2011]
European Commission. (2008). Implementation of the European Neighbourhood Policy 2007: Georgia Progress Report, SEC (2008), 393 (3 April 2008). Available at http://ec.europa.eu/world/enp/pdf/progress2008/sec08_393_en.pdf
European Council Secretariat. (2005). Brieng by the Head of Mission on the successful conclusion of EUJUST THEMIS. Available at: http://www.eeas.europa.eu/csdp/missions-andoperations/eujust-themis-georgia/index_en.htm [Accessed 28.05.2014]
European Stability Initiative, (ESI). (2010). Reinventing Georgia: The story of a Libertarian Revolution. Available at: http://www.esiweb.org/index.php?lang=en&id=322&debate_ID=3 [Accessed August 9, 2010].
Dawisha, K. (1997). The international dimension of post-Communist transitions in Russia and the New States of Eurasia. Armonk: NY. M.E. Sharpe
DiIulio, John J. Governing Prisons . Free Press, 1990.
Dobson, M. (2009). Khrushchev's Cold Summer: Gulag Returnees, Crime, and the Fate of Reform After Stalin, Cornell University Press.
Dolgova, A. (2003). Prestupnost': Ee organizovannost' i kriminal'noe soobshchestvo. Rossiiskaya Kriminalogicheskaya Assotsiatsiya, Moscow.
Dolowitz, D.P. & Marsh, D. (2000). Learning from Abroad: The Role of Policy Transfer in Contemporary Policy-Making. Governance, 13(1), 5-23.
Galligan, D. J., & Kurkchiyan, M. (2003). Law and informal practices: the post-communist experience. Oxford University Press.
Garland, D. (1993). Punishment and modern society: A study in social theory. University of Chicago Press.
Garland D. (2001). The Culture of Control: Crime and Social Order in Contemporary Society Oxford University Press
Georgian Opinion Research Business International (GORBI), (2010) Crime Survey of Georgia. Tbilisi: Ministry of Justice.
Georgian Ofce of Statistics. Crime and Unemployment Rates (2003-2009). http://www.geostat.ge/index.php?action=0&lang=eng [Accessed 28.03.2011]
Government of Georgia. (2007). Georgia's Democratic Transformation: An Update Since the Rose Revolution, Available at: http://www.mfa.gov.ge/les/303_3411_444498_dem_transform_2.pdf.
Heathershaw J. (2014) The global performance state: a reconsideration of the Central Asian 'weak state', in Reeves M, Rasanayagam J, Beyer J (eds) Performing Politics in Central Asia: Ethnographies of the State, Indiana University Press, 39-61
Human Rights Watch 2012. Administrative Error: Georgia's Flawed System for Administrative Detention. New York: Human Rights Watch
Humphrey, C. (2002). "The" Unmaking of Soviet Life: Everyday Economies After Socialism . Cornell University Press. International Centre for Prison Studies. (2010-2012).
World Prison Brief, Georgia Available at http://www.prisonstudies.org/info/worldbrief/wpb_country.php?country=122 [Accessed 10.05.2011]
International Republican Institute. (2003-2007). Georgian National Voters Survey. Available at: http://www.iri.org.ge/eng/welcome.htm [Accessed August 20, 2010].

International School of Economics at Tbilisi. (forthcoming). The impact of the global nancial crisis on public service delivery in the economies of the former Soviet Union: The case of Georgia.
Jacobs, James B. Stateville: The Penitentiary in Mass Society. University of Chicago Press, 1978.
Karstedt, S. (2002). 'Durkheim, Tarde and the Global Travel of Crime Policies' in Criminology and Criminal Justice 2/2 King, R. D. (1994). Russian Prisons after Perestroika-End of the Gulag.
Brit. J. Criminology, 34, 62. Kukhianidze, A. (2009). Corruption and Organized Crime in Georgia before and after the 'Rose Revolution'. Central Asian Survey, 28, 215-234.
Slade, G. (2013). Reorganizing Crime: Maa and Anti-Maa in Post-Soviet Georgia. Oxford: Oxford University Press
Sykes, Gresham M. 1958. The Society of Captives: A Study of a Maximum Security Prison. Princeton: Princeton University Press
Tangiashvili N. & Slade G. Forthcoming. Zero Tolerance Schooling: Education Policy, Crime and Democracy in Post-Soviet Georgia. Post-Soviet Affairs Transparency International Georgia (2010). Plea Bargaining in Georgia: Negotiated Justice. Available at http://www.transparency.ge/en/post/report/plea-bargaining-georgianegotiated-justice [Accessed 12.02.2011]
UNODC. 2013. Assessment Report on the Penitentiary System in Georgia. Unpublished document.
Wheatley, J. (2005). Georgia from national awakening to Rose Revolution: delayed transition in the former Soviet Union, Ashgate Publishing
World Bank. (2009) Georgia – Poverty Assessment Available at http://wwwwds. worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDSP/IB/2009/04/29/000350881_20090429111740/Rendered/PDF/444000ESW0P1071C0Disclosed041281091.pdf [Accessed 25.05.2011]

თავი 3. დასჯა და ძალაუფლების ტექნოლოგიები: მიშელ ფუკო

თარგმნა გიორგი ღვინჯილიამ.

შესავალი ფუკოს მიდგომაში

მიშელ ფუკოს ნაშრომები და განსაკუთრებით მისი წიგნი ზედამხედველობა და დასჯა, ბოლო დროის ცენტრალურ ორიენტირად იქცა სასჯელის სოციოლოგიაში. სინამდვილეში, ფუკოს გავლენა იმხელა იყო, რომ რეალურად დაჩრდილა სხვა, უფრო დაფუძნებული ტრადიციები. მან შექმნა ახალი დღის წესრიგი თანამედროვე კვლევისათვის ამ სფეროში. როგორც ერთი მწერალი აღნიშნავს, „დღეს ფუკოს გარეშე წერა დასჯასა და კლასიფიკაციაზე, გავს არაცნობიერზე საუბარს ფროიდის გარეშე“.

ხმაურისა და აღიარების შუაგულში, რომელიც ამჟამად ფუკოს ნაშრომებს ახლავს, სრულიად შესაძლებელია მისი ორიგინალურობისა და განსხვავებულობის გადაჭარბება, და მართლაც, მომდევნო თავში დავასაბუთებ, რომ მის მიერ დაყენებული ბევრი ძირითადი საკითხი, კარგად არის განვითარებული უკვე ფრიდრიხ ნიცშესა და მაქს ვებერის ნაშრომებში. ამის მიუხედავად, სასჯელის ფუკოიანურ ანალიზს საკუთარი ორიგინალურობა გააჩნია, რომელიც მას მარქსისტული და დიურკეიმიანული ტრადიციებიდან გამოყოფს და მნიშვნელოვანი პერსპექტივის სახით აფუძნებს მოცემულ სფეროში. იმის ნაცვლად, რომ გამოყოს დასჯის სოციალური კონტექსტი, ან მორალური საფუძვლები, ფუკოს ნაშრომს პირდაპირ მივყავართ თავად აპარატის შინაგან სამუშაოში; ის კონცენტრირდება სადამსჯელო ძალაუფლების ნამდვილ ტექნოლოგიებზე და მათი მოქმედების წესზე. მისი კვლევები დეტალურად აანალიზებს ზედამხედველობისა და დისციპლინის პრინციპებს, რომლებიც თანამედროვე სადამსჯელო ინსტიტუტებშია ჩაწერილი, თანამედროვე პენოლოგიური დისკურსის გრამატიკას და იმას, რასაც „პენოლოგიური რაციონალობები“ შეგვიძლია ვუწოდოთ. იმის მიუხედავად, რომ მისი ანალიზი სადამსჯელო ინსტიტუტებისა და დისკურსების სპეციფიკაზე არის მიმაგრებული, ფუკო ასევე დაინტერესებულია იმ ბმებისა და ჰომოლოგიების დეტალური ჩვენებით, რომლებიც სადამსჯელო სისტემას მართვისა და დისციპლინის სხვა სფეროებთან აკავშირებს, ისევე, როგორც პენოლოგიური მეცნიერების მისი ანალიზი ემსახურება ზოგადად ადამიანის მეცნიერებების რეგულაციური და მაინდივიდუალიზებელი როლის გამოვლენას. ამდენად, რა სხვა განმასხვავებლებიც არ უნდა ქონდეს ფუკოიანურ მიდგომას სასჯელსა და საზოგადოებასთან, მის მიერ არჩეული ანალიზის დონე და ინსტიტუციური დეტალიდან უფრო ფართო სოციალურ პატერნზე გადანაცვლების ტენდენცია - იმის ნაცვლად, რომ ეს პირიქით კეთდებოდეს - ფუკოს მოცემული სფეროს სხვა ტრადიციებისგან მიჯნავს.

ამ თავში მიზნად ვისახავ, ვაჩვენო, როგორ უნდა გამოვიყენოთ ფუკოს არგუმენტები და ანალიზი თანამედროვე დასჯის შესახებ ფიქრისას. ამისათვის წარმოვადგენ მისი ნაშრომის ექსპოზიციას და კონსტრუქციულ კრიტიკას, დავადგენ მისი მიდგომის გამორჩეულად ძლიერ მხარეებსა და კონტრიბუციას, და შემოგთავაზებთ, როგორ შეიძლება მისი „ძალაუფლების პერსპექტივა“ დაუკავშირდეს სხვა ინტერპრეტაციებს, იმისათვის, რომ ინტერპრეტაციის უფრო მრავალგანზომილებიანი ჩარჩო შექმნას. როგორც დავინახავთ, ფუკოს მოსაზრების ზუსტი კონტურები და სხვა ტრადიციებისაგან მისი განსხვავების ხაზები, ფრთხილ განსაზღვრას საჭიროებს. იმისათვის, რომ მისი მიდგომა გამოვკვეთოთ, შესავლის მაგიერ, ფუკოს მიერ მონიშნულ ტერიტორიაზე რამდენიმე უხეში თემატური განსხვავება გაგვიძღვება.

დასჯის ანალიზი, რომელიც ფუკოს ეკუთვნის, ძალიან განსხვავდება დიურკემის ანალიზისგან და რიგ საკითხში ეწინააღმდეგება მას. ძირითადად, ის განიხილავს მოვლენებს, რომლებიც იშვიათად ჩნდებიან დიურკემის შრომაში. ზედამხედველობა და დასჯა ხაზს უსვამს თანამედროვე სასჯელის ინსტრუმენტულ და უტილიტარულ ბუნებას და ფაქტიურად არაფერს ამბობს მორალურ და ემოციურ ასპექტებზე, რომლებიც ასეთ ცენტრალურ როლს თამაშობენ დიურკემის ნაშრომში. მაშინ, როდესაც დიურკემისთვის დასჯა ღრმად არის ჩაშენებული კოლექტიურ სენტიმენტებში, და ატარებს მოქალაქეების მორალურ ენერგიას მათი კრიმინალი მტრების წინააღმდეგ, ფუკოსთვის ეს ძალაუფლებისა და რეგულაციის სისტემაა, რომელიც მოსახლეობისთვის არის დაწესებული. ასეთი აღწერა ცოტა რამეს ამბობს ამ ძალაუფლების წყაროების, ან მისი სახალხო მხარდაჭერის შემადგენლობის შესახებ. როგორც ჩვენ ვნახავთ, არსებობს გადაკვეთის წერტილები ამ ორ პერსპექტივას შორის - ორივე მათგანი აკეთებს (დაუსაბუთებელ) ფუნქციონალისტურ ვარაუდებს დასჯის ეფექტების შესახებ; ორივე მათგანი გვთავაზობს დისციპლინის ისეთ ანალიზს, რომელიც თვალშისაცემად ერთნაირია; ორივე განიხილავს ძველი რეჟიმის სადამსჯელო ცერემონიებს პარალელურ პერიოდში. თუმცა, ფუკოს ნაშრომი დასჯის საკმაოდ განსხვავებულ ინტერპრეტაციას ქმნის, ის ხაზს უსვამს თემებს, რომლებიც ხშირად დიამეტრულად ეწინააღმდეგება დიურკემის მიერ შექმნილ აღწერას.

ფუკოს ურთიერთობა მარქსიზმთან კიდევ უფრო ნაკლებად არის განსაზღვრული. ზოგი მწერალი დავობდა, რომ ეს ორი საინტერპრეტაციო პერსპექტივა - როდესაც დასჯასთან მიმართებით გამოიყენება - კონფლიქტში ყოფნის ნაცვლად უფრო ავსებს ერთმანეთს. თუმცა უფრო ზოგად დონეზე, ფუკო მარქსისტული ტრადიციის ბევრი ასპექტისადმია ღიად კრიტიკული, განსაკუთრებით საკუთარი მეცნიერულობის მტკიცებისა და მატერიალიზირებელი მიდგომისადმი, სახელმწიფოზე მარქსისტული აქცენტისადმი, ასევე მარქსმიზმის მიერ ძალაუფლების სხვა სივრცეების უარყოფიისადმი. თუმცა ფაქტია, რომ ფუკოს გამოკვლევა იყენებს ანალიზის ახალ დონეს, რომელიც საკმაოდ განსხვავდება მარქსისტების მიერ ჩვეულებრივად გამოყენებულისგან, ამის გამო მისი მიგნებები ხანდახან მარქსისტული აღწერის გაფართოვების მიზნით გამოიყენება, მასთან პაექრობის ნაცვლად. ფუკოს კვლევები ძალაუფლების, დომინაციის და სუბორდინაციის შესახებ, ეხება ისეთ საკითხებს, რომლებსაც მარქსისტული ტრადიციაც იზიარებს, იმის მიუხედავად, რომ ისინი ფუკოსთან განსხვავებულ გამოხატულებას პოულობენ. მისი მტრული და ღრმად სკეპტიკური მიდგომა თანამედროვე ინსიტუტების მიმართ, ქმნის საერთო ნიადაგის სივრცეს მარქსიზმისა და კრიტიკული თეორიების სხვა ფორმებისათვის. ამის მიუხედავად, ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ მნიშვნელოვან განსხვავებებზე პერსპექტივებში, რომლებიც დასჯის ფუკოიანურ აღწერას მარქსიზმის თეორიულ ჩარჩოში განვითარებულისაგან განასხვავებს.

როგორც ვნახეთ, მარქსისტული აღწერა დასჯას ძალაუფლებრივი ურთიერთობების ისეთ კონტექსტში ათავსებს, რომელიც კლასობრივი ხაზების ირგვლივ არის ორგანიზებული და დაფუძნებულია წარმოების ექპლუატაციურ მეთოდზე. ზოგ შემთხვევებში მას ახასიათებენ, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების ინსტრუმენტს, რომელიც რეპრესიული და იდეოლოგიური მიზნებით გამოიყენება. თუმცა, როგორც წესი, ეს მარქსისტული მიდგომა დასჯას გარედან მიემართება. ის აჩვენებს კლასობრივი კონტექსტის გავლენას დასჯის ფორმებსა და სადამსჯელო სანქციების გამოყენებაზე. ამისგან განსხვავებით, ფუკო კონცენტრირდება სადამსჯელო პროცესის შინაგან ძალაუფლებრივ ურთიერთობებზე, დეტალურად აანალიზებს ტექნიკებსა და ცოდნებს, რომლებიც ამ ურთიერთობებიდან გამომდინარეობს. ის წარმოადგენს სადამსჯელო ურთიერთობების, როგორც ძალაუფლებრივი ურთიერთობების, ფენომენოლოგიურ აღწერას - შინაგან ანალიტიკას იმისა, თუ როგორ არის სტრუქტურირებული

სადამსჯელო ინსტიტუტები, როგორ ახორციელებენ კონტროლს, როგორ არიან დაფუძნებული ცოდნისა და ძალაუფლების განსაკუთრებულ ტექნიკებზე. სადამსჯელო სფეროს ძალაუფლების ფუკოიანური აღწერა დეტალების გამოკვლევით იქმნება და გვერდს უვლის კლასობრივი ურთიერთობებისა და სოციალური სტრუქტურების შესახებ ნებისმიერი წინასწარ განსაზღვრული სქემის გამოყენებას: სინამდვილეში, ფუკოს თეორეტიზირების მთელი წესი ცდილობს გვერდი აუაროს მტკიცებას, რომლის მიხედვითაც საზოგადოება თანმიმდევრულად დაკავშირებული მთლიანობაა, რომელიც სტრუქტურული მოდელებისა და გლობალური კონცეფციების მიხედვით შეგვიძლია გავაანალიზოთ.

მარქსისტების მსგავსად, ფუკო დასჯას როგორც ძალაუფლებისა და მართვის ფუნდამენტურ საკითხს აღიქვამს, თუმცა კითხვებზე პასუხის გაცემას თავად დასჯის ქსოვილის შესწავლით ცდილობს და არა მისი კონტექსტისა და განმსაზღვრელების მოხმობით. ის გვთავაზობს ანალიზს, რომელიც სპეციფიკურად დასჯის ტექნიკებს, ინსტიტუტებს და ცოდნებს უტრიალებს. ის აჩვენებს პენოლოგიური გაგებისა და დეტალიზაციის დონეს, რომელიც მარტივად ცდება რუშეს, კირხაიმერის და სხვების გაგებას ამ ტრადიციაში. ზოგიერთი კრიტიკოსისთვის, ფენომენოლოგიური განმარტების ეს დონე დასჯის სოციალური საფუძვლებისა და პოლიტიკური კონტექსტის უგულებელყოფით მიიღწევა. ასევე იმის უგულებელყოფით, თუ ვინ და რა აძლევს დასჯას მიმართულებას. თუმცა მე ვაპირებ ვაჩვენო, რომ ეს მითითება უკეთესია ინტერპრეტირებული იყოს არა იმდენად, როგორც კრიტიკა, არამედ როგორც ფუკოს აღწერის ფოკუსისა და ლიმიტების ჩვენება. ეს ზუსტი ნიშანია იმ განსხვავებისა, რომელიც ფუკოს ანალიტიკურ დამოკიდებულებას მარქსისტული ტრადიციისა და დასჯის მიმართ სხვა კრიტიკული მიდგომებისაგან განასხვავებს.

ფუკოს მთავარ კონტრიბუციად თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მისი სადამსჯელო კონტროლის ფენომენოლოგია, თუმცა ამ ინტერპრეტაციის მშენებლობისას ფუკომ ასევე შექმნა დასჯის ისტორიის და დასჯის ცვლილების პოლიტიკური განმსაზღვრელების გავლენიანი აღწერა. თანამედროვე დასჯის ეს გენეალოგია მნიშვნელოვნად განსხვავდება დასჯის ისტორიის სხვა აღწერებისგან და მოიცავს ისტორიული ახსნის მოდელს, რომელიც შემდგომი ავტორების მიერ იყო გამოყენებული. მომდევნო გვერდებზე, მე ვეცდები დასჯის ცვლილების ფუკოსეული ინტერპრეტაციის, ისევე, როგორც მისი სადამსჯელო ძალაუფლების ანალიზის რეკონსტრუქციას და ორივე მათგანს დისკუსიასა და პოზიტიურ კრიტიკას დავუქვემდებარებ.

ფუკო საუკეთესოდ შეგვიძლია გავიგოთ, როგორც კრიტიკული თეორეტიკოსი, რომლის ფილოსოფიური და ისტორიული შრომა ცდილობს, კითხვები დაუსვას ძალაუფლებისა და რაციონალობის ფორმებს, რომლის მიხედვითაც თანამედროვე სამყარო არის სტრუქტურირებული. მისი უამრავი კვლევის გავლისას - შეშლილობის, მედიცინის, თანამედროვე დისკურსის, სექსუალობის შესახებ - მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ შეთანხმებების დახასიათება, რომელთა გავლითაც საკუთარი თავისა და სამყაროს შესახებ ცოდნას ვაორგანიზებთ, არამედ იმისი ჩვენება, თუ რა ფასი აქვთ ამ შეთანხმებებს და რა ჩაგვრის ფორმებს იწვევენ ისინი. ეს კრიტიკული გადატრიალება ყველაზე გაბედულად მიეყენება ისტორიულ მოვლენებს, რომლებსაც ყველაზე დიდი წვლილი აქვთ შეტანილი თანამედროვე სამყაროს ჩამოყალიბებაში. მათ შორისაა სამეცნიერო რევოლუცია, განმანათლებლობა, დემოკრატიის ზრდა, სოციალური მეცნიერებების აღმავლობა, და სოციალური ინჟინერიის განვითარება. რაც ყველაზე მთავარია, ფუკომ დაიწყო გრძელი თავდასხმა იმაზე, რასაც ის განმანათლებლობის მითებს უწოდებდა. „გონება“, ‘მეცნიერება“, „თავისუფლება“, „სამართალი“ და „დემოკრატია“ - დასავლური კულტურის ყველა ეს შიბოლეთი გადააზრებული იქნა იმ ძალისხმევის განმავლობაში, რომელიც მან გონის ძალაუფლების ეფექტების და მისგან დაცემული მჩაგვრელი ჩრდილის ანალიზისას გასწია. ფუკოს

შრომა გვახსენებს მაქს ვებერს რაციონალიზაციის შესახებ, ან ზიგმუნდ ფროიდს ცივილიზაციის შესახებ, ყოველი მათგანი აჩვენებს ფასს, რომლის გადახდაც იმ ცხოვრების წესებისთვის გვიწევს, რომლებსაც თანამედროვე სამყაროში ადიდებენ - იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ ფუკოს ტონი სუბვერსიულია; ის კითხვებს უსვამს დაფუძნებულ ღირებულებებს, ისევე როგორც მათ ფასებს.

ზედამხედველობა და დასჯა ამ ფართო კრიტიკული პროექტის შიგნით უნდა გავიაზროთ. მიუხედავად იმისა, რომ მისი ქვესათაური „ციხის დაბადებაა“ და ის დიდწილად ისტორიული ნარატივის ფორმაშია წარმოდგენილი, წიგნი არა უბრალოდ დასჯის ისტორია, არამედ ძალაუფლების სტრუქტურული ანალიზია. უფრო ზუსტები თუ ვიქნებით, ეს განსაკუთრებით თანამედროვე ძალაუფლების ფორმის ანალიზია, რომელსაც ფუკო ზედამხედველობას უწოდებს. ფუკოსთვის, ციხის დაბადების გამოკვლევა ადრეულ მეცხრამეტე საუკენეში, რეალურად უფრო ფართო (და უფრო თანამედროვე) თემის გამოკვლევის საშუალებაა - თუ როგორ მიიღწევა დომინაცია და როგორ კონსტრუირდებიან ინდივიდები სოციალურად თანამედროვე სამყაროში.

ფუკო დასჯის ისტორიის ანალიზით იწყებს. ის ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ მისცეს გზა განსაკუთრებულ მომენტში ისეთმა სასტიკმა და რეპრესიულმა მართვის ფორმებმა, როგორც სხეულებრივი და სიკვდი-ლით დასჯაა, უფრო რბილ რეგულაციურ ტექნიკებს, რომლებიც ციხის სახით არის წარმოდგენილი. შემდეგ ფოკუსი ფართოვდება იმისათვის, რომ ამ რბილი კონტროლის ფორმების უფრო ზოგადი სურათი შექმნას - ინსპექცია, დისციპლინა, „ნორმალიზაცია“ და ა.შ. - რომლებიც გაჩნდა იმისათვის, რომ რეპრესიული სისასტიკის ადგილს დაეპატრონოს კანონისა და მართვის თანამედროვე სტრატეგიებში. ფუკოს აღწერის მიხედვით ციხე ამ უფრო ფართო სოციალური ფორმების განსახიერებაა, არა იმის გამო, რომ ის „ტიპიური“ ინსტიტუტია, არამედ იმის გამო, რომ ციხე ადგილია, სადაც კონტროლის თანამედროვე ტექნოლოგიები მათი სრული, შეუკავებელი მუშაობით არის წარმოდგენილი. მაშასადამე, პატიმრობის მანქანის ახლო ანალიზმა და იმ ცოდნის ანალიზმა, რომელზეც ეს აპარატია დაფუძნებული, შეიძლება შექმნას ბაზისი, რომელზეც თანამედროვე ძალაუფლებისა და კონტროლის ზოგადი ანატომია დაშენდება.

2. ციხის დაბადება როგორც ისტორიული პრობლემა

ზედამხედველობა და დასჯა არ არის „რთული“, გადაჭარბებულად ტექნიკური, ან მხოლოდ სპეციალისტებისათვის ხელმისაწვდომი ტექსტი, მაგრამ წიგნის გადმოცემის სტილი გარკვეულ სირთულეებს ქმნის. დიდწილად ის იყენებს ალუზიურ, დამაფიქრებელ და ლიტერატურულ ფორმას, აშკარად განსხვავებულს მტკიცებებისგან, არგუმენტებისგან და მტკიცებულებებისგან, რომლითაც ანგლო-ამერიკული სკოლაა ცნობილი. მათთვის ვისაც ეს მოწონს, სტილიზებული პრეზენტაცია შეიძლება ტექსტის სიამოვნების გაგრძელებას ემსახურებოდეს, თუმცა მას ასევე აქვს საკუთარი თეზისების ზედაპირის ქვეშ დამალვის ეფექტი, რაც ხანდახან ამ თეზისების წვდომას ართულებს. მთელი მისი ლიტერატურულობის მიუხედავად, ექსპოზიცია გამაგრებული და ორგანიზებულია მჭიდროდ სტრუქტურირებული არგუმენტის მიერ, რომლის მიწიდან ამოღება და წარმოდგენაც არის შესაძლებელი.

ზედამხედველობისა და დასჯის გამხსნელი სექცია სახავს პრობლემას, რომლის ამოხსნასაც დასჯის ორი, ძალიან განსხვავებული სტილის შეპირისპირებით იწყებს. პირველი, მეფის მკვლელის სიკვდილით დასჯაა, რომელიც პარიზის საჯარო სკვერში 1757 წელს ხალხის ბრბოს წინაშე მოხდა. დასჯა აქ სისასტიკის გრძელი რიტუალის გავლით ხორციელდება, რომლის დროსაც მსჯავრდებულის სხეული

სრულად ნადგურდება ავტორიზებული ძალადობის საჯარო წარმოდგენისას. მეორე ინსტიტუციური განრიგია, რომელიც პარიზის გამოსასწორებელ დაწესებულებაში ოთხმოცი წლის შემდეგ გამოიყენებოდა, განრიგი წუთების მიხედვით დეტალიზებულ რეჟიმს ქმნის იმისათვის, რომ პატიმრების ყოველდღიური ცხოვრება დაარეგულიროს. ამჯერად დასჯის აქტი სიჩუმესა და განმარტოებაში ხდება, ის ყოველგვარი ზედმეტი ცერემონიებისა და ძალადობის გარეშე მიმდინარეობს.

ფუკო ამ ორივე ზომას საკუთარი პერიოდის დასჯის სტილის განმსაზღვრელად იღებს - თუმცა აქ ის ნაკლებად ექსპლიციტურია - იმისათვის, რომ აჩვენოს ძალაუფლების მუშაობა ჯერ თანამედროვე და შემდეგ კლასიკურ საზოგადოებაში, რომელიც მას უსწრებდა წინ. ისტორიული პრობლემა, რომელსაც ის სახავს დასჯის როგორც სხეულზე ძალადობის საჯარო სპექტაკლის გაქრობაში და ციხის როგორც თანამედროვე დასჯის ზოგადი ფორმის გამოჩენაში მდგომარეობს. ამ ისტორიულ ახსნასთან სხვა უფრო სტრუქტურალისტური ინტერესია დაკავშირებული, გაანალიზოს ძალაუფლების ტექნიკები და ფორმები, რომლებსაც ეს სასჯელები იყენებენ, და აჩვენოს სოციალური ურთიერთობების ფართო ჩარჩო, რომელშიც ისინი ოპერირებენ.

დასჯის სტილის ეს ცვლილება, რომელიც ფუკოს მიხედვით ევროპასა და შეერთებულ შტატებში 1750 და 1820 წლებს შორის მოხდა, გაგებული უნდა იქნას როგორც თვისობრივი ცვლილება და არა როგორც სასჯელის რაოდენობისა და ინტენსივობის შემცირება. სასჯელის მიზანი იცვლება ისე, რომ გატარებული ზომები მიზანში დამნაშავის „სულზე“ ზემოქმედებას ისახავენ, იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ მის სხეულს დაარტყან. ამასთანავე, დასჯის მიზანი იცვლება ისე, რომ ამოცანა არა დანაშაულისთვის სამაგიეროს გადახდა, არამედ იმ ადამიანის შეცვლაა, რომელიც დანაშაულის მიღმა იმალება.

ეს ცვლილება დასჯის ტექნოლოგიაში - ეშაფოტიდან პენიტენციურ დაწესებულებამდე - ფუკოსთვის თავად სამართლის ხასიათში უფრო ღრმა ცვლილებას აღნიშნავს. კონკრეტულად კი, ახალი საზრუნავი - რომელიც ციხემ წარმოადგინა - კრიმინალის ცოდნა, მისი კრიმინალურობის წყაროების გაგება, და მათი შესწორების მიზნით ჩარევა ყოველთვის, როდესაც ეს შესაძლებელია. ამას ღრმა შედეგები ჰქონდა მთლიანად სისხლის სამართლის სისტემისთვის. ამ თანამედროვე სისტემაში მსჯელობის ფოკუსი თავად დანაშაულიდან, მისი ხასიათის საკითხისკენ გადაინაცვლებს, ოჯახური მდგომარეობისკენ, ინდივიდის ისტორიისა და გარემოსკენ. საბოლოოდ ამას იურიდიულ პროცესში ექსპერტების ჩარევამდე მივყავართ - ფსიქიატრების, კრიმინოლოგების, სოციალური მუშაკების და ა.შ. - იმისათვის, რომ ფორმირდეს ცოდნა ინდივიდის შესახებ, მისი არანორმალურობების იდენტიფიცირებისა და რეფორმირებისთვის. ამ ცვლილებების შედეგი დამნაშავეებთან გამკლავების ახალი სისტემაა, რომელიც არა იმდენად დამსჯელი, არამედ უფრო გამომსწორებელია, უფრო მეტად მიდრეკილია აწარმოოს ნორმალური, შეგუებული ინდივიდები და არა უბრალოდ გაანაწილოს სასჯელები: სასჯელის სისტემა, რომელსაც ამერიკელებმა ზუსტი სახელი, „corrections“ მოუძებნეს.

უფრო ფართო მასშტაბში, ეს მოვლენები წარმოადგენენ ილუსტრირებულ მოდელებს იმისა, თუ როგორ ოპერირებს ძალაუფლება თანამედროვე საზოგადოებაში. ღია ფიზიკური ძალა, ძალადობის აპარატი და ხელისუფლების ცერემონიები უფრო და უფრო მეტად ნაცვლდება ძალაუფლების ახალი წესით, რომელიც დეტალურ ცოდნაზე, რუტინულ ინტერვენციაზე და რბილ გასწორებაზეა დაფუძნებული. ახლა იდეა საფუძვლიანად და მუდმივად რეგულირებაა, რეპრესირების ნაცვლად. ამ ზომების გამოყენებით ხდება შემაწუხებელი ინდივიდების გამოსწორება, მათი განადგურების ნაცვლად.

ამას უფრო ფართო ამხსნელი მნიშვნელობა აქვს ფუკოს შრომებისთვის. სასჯელის შესწავლა იძლევა ძალაუფლების ზოგადი გენეალოგიის შექმნის საშუალებას, დასჯის ისტორიის სპეციფიკაზე დაფუძნებით.

ძალაუფლების დასჯის გავლით ანალიზი, რა თქმა უნდა, სპეციფიკური ინტერპრეტაციული ჩარჩოა დასჯის ისტორიის დასაწერად, რაც საშუალებას იძლევა, საკუთარ მასალასთან საკმაოდ სპეციფიური მიდგომა გამოიყენო. კვლევის იმ წესების მიხედვით, რომლებსაც ფუკო წარმოადგენს, დასჯა გაგებული უნდა იქნას, როგორც „პოლიტიკური ტაქტიკა", რომელიც ძალაუფლებრივი ურთიერთობების ზოგად ველშია განთავსებული. როგორი მარგინალური და არაპირდაპირიც არ უნდა იყოს, ძალაუფლება უნდა ისწავლებოდეს მისი პოზიტიური ეფექტების დანახვით და არა როგორც უბრალოდ რეპრესიული მექანიზმი. ის უნდა მოვიაზროთ როგორც ფარულად და შინაგანად დაკავშირებული „ადამიანის მეცნიერებების" განვითარებასა (ფსიქოლოგია, სოციოლოგია, კრიმინოლოგია და სხვა) და გაგების იმ სპეციფიკურ გზებთან, რომლებსაც ეს მეცნიერებები წარმოადგენენ, და არა როგორც უბრალოდ ამ მეცნიერებების გარე გავლენის ქვეშ მყოფი. საბოლოოდ, ახალი დამოკიდებულება სამართალდამრღვევის ინდივიდუალურობასთან - მის „სულთან" - უნდა ჩაითვალოს ყველაზე ახალ ასპექტად იმ გრძელ ისტორიაში, რომლის განმავლობაშიც პოლიტიკა „სხეულთან" მუშაობდა.

3. ფუნდამენტური ცნებები: ძალაუფლება, ცოდნა და სხეული

დასჯის შესწავლის ფუკოს წესები სამ ძირითად და ურთიერთკავშირში მყოფ ცნებაზეა დაფუძნებული, რომლებსაც დომინაციის ნებისმიერი სტრუქტურის საფუძვლის შესწავლისას იყენებს: ძალაუფლება, ცოდნა და სხეული. ფუკოსთვის, ისევე, როგორც ნიცშესთვის და უფრო ახალი ავტორებისთვის, ისეთებისთვის, როგორებიც დელიოზი და გატარი არიან, ადამიანის სხეული საბოლოო მასალაა, რომელიც დაპყრობილი და გამოძერწილია ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და სადამსჯელო ინსტიტუციის მიერ. წარმოების, დომინაციის და სოციალიზაციის სისტემები ფუნდამენტურად არის დამოკიდებული სხეულების წარმატებით დამორჩილებაზე. უფრო ზუსტად, ისინი საჭიროებენ სხეულების მართვასა და წვრთნისადმი დაქვემდებარებას, იმისათვის, რომ ეს სხეულები მორჩილებად, დამჯერებად და მეტად ან ნაკლებად საჭიროდ გადააქციონ. ზოგიერთი ინსტიტუტი - მაგალითად იძულებითი შრომის - სხეულს გარედან მართავს, იყენებს რა ფიზიკურ ძალას და ზედამხედველობას იმისათვის, რომ ინდივიდმა ბრძანება შეასრულოს. სხვები კი მიზნად ბრძანებების ინტერნალიზებას ისახავენ, აწარმოებენ რა ინდივიდს, რომელიც თვითონ აკეთებს იმას, რაც საჭიროა, ყოველგვარი გარეგანი დაძალების გარეშე. ეს „თვით-კონტროლის" გამწევი სხეული, იმისი დამუშავებით იქმნება, რასაც ფუკო „სულს" უწოდებს, რომელიც საპასუხოდ მიმართულებას აძლევს მოქმედებას. ამ აზრით, ძალაუფლების სტრატეგიებს აქვთ მათი რეალური, ოპერატიული გავლენა იმ წერტილში, სადაც ისინი კონტაქტში მოდიან მათი სუბიექტების სხეულთან: არსებობს ძალაუფლების „მიკრო ფიზიკა" სადაც ძალაუფლებას მისი სხეულებრივი მასალა და ეფექტები აქვს. როგორც ფუკო ამბობს, „... ძალაუფლების მექანიზმებზე ფიქრისას, მე უფრო მეტად მისი არსებობის კაპილარულ ფორმებზე ვფიქრობ, წერტილზე, რომელშიც ძალაუფლება ინდივიდების გულისგულში აღწევს, ეხება მათ სხეულებს, და საკუთარ თავს მათ ქმედებებსა და მიდგომებში ჩართავს, ერთვება მათ დისკურსებში, სწავლის პროცესებში და ყოველდღიურ ცხოვრებაში". ამ „მიკრო ფიზიკის" აღმოჩენა და მტკიცება, რომ ეს ძალაუფლების არსს უფრო მეტად ხდის ფარდას, ვიდრე კონვენციური პოლიტიკის ანალიზი, ფუკოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ორიგინალურ კონტრიბუციას წარმოადგენს.

ფუკოს მიხედვით, „ძალაუფლება" არ უნდა მოვიაზროთ, როგორც გარკვეული კლასების, ან ინდივიდების საკუთრება, რომლებიც მას „ფლობენ"; არც როგორც ინსტრუმენტი, რომლის „გამოყენებაც" საკუთარი სურვილების მიხედვით შეუძლიათ. ამის ნაცვლად, ძალაუფლება აღნიშნავს დომი-

ნაციისა და დაქვემდებარების სხვადასხვა ფორმებს და ასიმეტრიულ ბალანსს იმ ძალებს შორის, რომლებიც ოპერირებენ ყველგან და ყოველთვის, სადაც სოციალური ურთიერთობები არსებობს. ეს ძალაუფლებრივი ურთიერთობები, ისევე, როგორც სოციალური ურთიერთობები, რომლებსაც ისინი აძლიერებენ, არ ამუღავნებენ მარტივ ფორმას, რადგან ფუკოსთვის სოციალური ცხოვრება არ მოიაზრება, როგორც რაღაც, რაც ერთ ყოვლისმომცველ „საზოგადოებაში" მიმდინარეობს, არამედ ის ძალაუფლების სხვადასხვა ველში არსებობს. ეს ველები ხანდახან დაკავშირებულია, ხანდახან კი არა. მისი განსაკუთრებული ფოკუსი ყოველთვის მიემართება იმას, თუ როგორ არის ეს ძალაუფლებრივი ურთიერთობები ორგანიზებული; ფორმები, რომლებსაც ისინი იღებენ და ტექნიკები, რომლებზეც არიან დამოკიდებული და არა ჯგუფებზე და ინდივიდებზე, რომლებიც ამ ყველაფრის შედეგად დომინირებენ, ან დომინირებულები არიან. შესაბამისად, მისი ინტერესი მიემართება ძალაუფლებას და მის მატე-რიალიზებულ ფორმებს - სტრუქტურული ურთიერთობების საკითხს, ინსტიტუტებს, სტრატეგიებს და ტექნიკებს - და არა კონკრეტულ პოლიტიკას და რეალურ ადამიანებს, რომლებიც მასში არიან ჩარ-თულები. ამ კონცეფციაში ძალაუფლება სოციალურ ცხოვრებაში განფენილი/ყველგან შემღწევი ასპექტია; ის არ არის ლიმიტირებული ფორმალური პოლიტიკით, ან ღია კონფლიქტით. ამასთანავე ის მოიაზრება როგორც პროდუქტიული ეფექტების მქონე, რეპრესიულის ნაცვლად, რადგან ძალაუფლება ფორმას აძლევს ინდივიდების ქმედებას და ბოლომდე იმორჩილებს მათ სხეულებრივ ძალებს. ამ გაგებით ძალაუფლება მოქმედებს ინდივიდების გავლით და არა მათ წინააღმდეგ, მონაწილეობს ინდივიდის შექმნაში, რომელიც ამავდროულად მისი გამტარია.

ეს ურთიერთობა ძალაუფლების ფორმებსა და სხეულებს შორის, რომლებიც ამ ურთიერთობებში არიან გამოჭერილი, მოიცავს მესამე ელემენტსაც, ეს „ცოდნაა". ფუკო იყენებს ამ მეტად აბსტრაქტულ არსებით სახელს იმისთვის, რომ ის "know-how" დაახასიათოს, რომელზეც ტექნოლოგიები და სტრატეგიები არის დამოკიდებული და აჩვენოს კოგნიტიური ასპექტები, რომლებიც ყველა პოლიტიკისა და მოქმედების პროგრამისთვის არის თანდაყოლილი. ძალაუფლების ნებისმიერი სამუშაო, რაღაც ზომით, ეფუძნება „სამიზნის", ან იმ სამოქმედო ველის ცოდნას, რომელსაც ის მიემართება. ობიექტის წარმატებული კონტროლი - ბუნებაში არსებული ობიექტია თუ ადამიანი - მოითხოვს მისი ძალების, რეაქციების, სიძლიერისა და სისუსტის და შეცვლის შესაძლებლობების შემეცნების ხარისხს. მაშასადამე, რაც უფრო ნაცნობია, მით უფრო კონტროლირებადი ხდება. ფუკოსთვის ურთიერთობა ცოდნასა და ძალაუფლებას შორის დაფარული და შინაგანი ურთიერთობაა, რომლის დროსაც ყოველი მათგანი გულისხმობს და აძლიერებს მეორეს. ტერმინი „ძალაუფლება-ცოდნის" გამოყენება კონცეპტუალური შემოკლებაა, რომე-ლიც ამ ურთიერთკავშირების ხაზგასასმელად გამოიყენება. ამის მთავარი შედეგი, რომელსაც გამორჩეული ადგილი უკავია ზედამხედველობასა და დასჯაში, „ადამიანის მეცნიერებებია" (სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები), რომლებიც მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში განვითარდა. ისინი უნდა მოვიაზროთ არა როგორც დამოუკიდებელი ინტელექტუალური ქმნილებები, არამედ ცოდნის ფორმები და აღწერის ტექნიკები, რომლებიც ღრმად არის ჩაშენებული ძალაუფლება- ცოდნის და მისი სხეულთან ურთიერთობის ისტორიაში.

ვიღებთ რა ამ ცნებებს, როგორც გამოკვლევის ჩარჩოს, დასჯის ისტორია (და მის მიღმა ხელისუფლების ისტორია) საფუძველშია ჩაფიქრებული, როგორც ძალაუფლებას, ცოდნას და სხეულს შორის განვითარებული ურთიერთობის პროცესი. სინამდვილეში და იმის მიუხედავად, რომ ფუკო არასოდეს საუბრობს ამ ანალიტიკური ჩარჩოს სტატუსზე, ნაგულისხმევ მტკიცებად მოჩანს, რომ ძალაუფლება-ცოდნა-სხეულის ურთიერთობები საზოგადოების და ისტორიული პროცესის დაუძლეველ ბაზისს ქმნიან: ძალაუფლებისა და ცოდნის ურთიერთობებში გამოჭერილი სხეულები ქმნიან ერთგვარ ფიზიკურ ქვედა

ფენას, რომელიც სოციალური ურთიერთობებისა და ინსტიტუტების საფუძველს აყალიბებს. ხოლო ის ინტელექტუალური შრომები, რომლებიც ლეგალურ თეორიასა და სადამსჯელო რეფორმების პროგრამებში პოულობენ ადგილს, ასევე ის უფრო ფართო ცვლილებები, რომლებსაც ჩვენ ინდივიდუალიზმისა და მგრძნობელობის „ჰუმანიზების“ სახით ვხედავთ - ფუკოსთვის მხოლოდ ისტორიის ზედაპირს წარმოადგენს. იმის ნაცვლად, რომ სადამსჯელო და პოლიტიკური ცვლილების მიზეზები იყვნენ, ისინი უბრალოდ უფრო ღრმა პროცესების ეფექტს წარმოადგენენ ძალაუფლება-ცოდნა-სხეულის ურთიერთობების დონეზე. დასჯის ისტორიის „პოლიტიკური ანატომიის ერთ-ერთ თავად“ წარმოდგენისას, ფუკო არ გვთავაზობს ერთი ინტერპრეტაციის სხვებისათვის დამატებას; მას პრეტენზია აქვს ამ მიწისქვეშეთიდან ამოიღოს ის ელემენტარული სტრუქტურები, რომლებზეც ყველაფერი დანარჩენია დაფუძნებული.

4. ეშაფოტის მნიშვნელობა

ზედამხედველობისა და დასჯის ნამდვილი ნარატივი „ეშაფოტის სპექტაკლის“ განხილვით იწყება, რომლის დროსაც ფუკო მიყვება დაფარული მნიშვნელობის კვალს ძველი რეჟიმის საჯარო წამებისა და სიკვდილით დასჯის პრაქტიკაში. ფუკო ადგენს ლეგალურ და პოლიტიკურ ჩარჩოს, რომლის შიგნითაც ეს პრაქტიკა მოქმედებდა და იმ მიზეზებს, რომლის გამოც მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს იქნა უარყოფილი. ამ გადმოცემისას ხაზი ესმება პოლიტიკურ დასაბუთებას, რომელიც ამ სადამსჯელო ზომების მიღმა იყო დამალული. ფუკო წარმოადგენდა მათ, როგორც მნიშვნელოვან ელემენტებს დომინაციის თანმიმდევრულ სტრატეგიაში. ასეთი სასჯელი შორს იყო შეუკავებელი ბოროტების თვითნებური ამოფრქვევისგან, რომელსაც მისი კრიტიკოსები აღწერდნენ. წამება ფრთხილად რეგულირებულ საქმედ არის წარმოდგენილი, რომელიც მიბმული იყო ლეგალური დოქტრინების ნაკრებთან და ცერემონიებთან, რომლებიც აკონტროლებდნენ და პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის გამოყენებას.

პირველ რიგში, ის იურიდიული გამოძიების პროცესის ნაწილი იყო, რომელიც ბრალდებულისგან აღსარების მისაღწევად გამოიყენებოდა და ამით იძლეოდა სიმართლისა და „სიცხადის“ ნიშანს სამართალწარმოებისათვის. ბრალდებულისგან მტკიცებულების მისაღებად იურიდიული წამების გამოყენება ფრთხილად რეგულირდებოდა და დაშვებული იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობდა საკმარისი წერილობითი მტკიცებულება, რომელიც გულისხმობდა prima-facie ბრალეულობის დონეს. ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში, ინგლისის საგულისხმო გამონაკლისით, კრიმინალური პროცედურა სრულიად საიდუმლოდ რჩებოდა, ისე, რომ გამოძიების განმავლობაში თვითონ ბრალდებულმაც კი არ იცოდა იმ სამხილების შესახებ, რომლებიც მის წინააღმდეგ არსებობდა: როგორც ფუკო ამბობს, „ცოდნა გამოძიების აბსოლუტური პრივილეგია იყო“. ასეთ კონტექსტში, საჯარო დასჯის ცერემონია, რომელიც ბრალის დადგენას მოყვებოდა, ამავე დროს გამოცხადების აქტი იყო; პუბლიკისთვის ცხადდებოდა, თუ რა იქნა მიღწეული საიდუმლოდ, რითიც მეორდებოდა ბრალდებულის წამება და მისი აღსარება სასჯელის სამართლიანობის შესახებ.

მეორე მხრივ, სიკვდილით საჯაროდ დასჯა გაგებული უნდა იქნას სპეციფიკური პოლიტიკური ჩარჩოს შიგნით, რომელიც მას ზუსტ ფუნქციასა და მნიშვნელობას ანიჭებდა. კლასიკური ეპოქის პოლიტიკური თეოლოგიის მიხედვით, ყოველი დანაშაული სუვერენზე თავდასხმას ნიშნავდა, რადგან კანონი წარმოადგენდა და განასხეულებდა სუვერენის ნებას. ამგვარად, სასჯელი შურისძიების აქტი იყო, რომელიც საბუთდებოდა სუვერენის უფლებით, წამოეწყო ომი საკუთარი მტრების წინააღმდეგ და

იწარმოებოდა ომის მსგავსი წესებით. ამ თვალსაზრისით, სუვერენის ძალაუფლების სამხედრო წყაროების შესაბამისად, სამართალი შეიარაღებული ძალადობის მანიფესტაციაა, ტერორის წარმოება, რომელიც ჩაფიქრებულია იმისათვის, რომ მოსახლეობას კანონის უკან არსებული შეუზღუდავი ძალაუფლების არსებობა შეახსენოს. ბრალდებულის სხეული ეკრანად იქცევა, რომელზეც სუვერენის ძალაუფლების პროეცირება ხდება, ან უფრო ზუსტად, ხორცი, რომელზეც ძალაუფლების ნიშნები ხილულად ამოიკვეთება. სიკვდილით დასჯა ძალის და ძალაუფლების მტკიცების რიტუალური გამოხატულებაა, ყველა სხვა დიდი რიტუალის მსგავსად ის საჯარო ღონისძიებისთვის საჭირო ზეიმითა და დახვეწილობით მიმდინარეობს. როგორც ნიცშე ამბობს, ის სამხედრო გამარჯვების სულის გამოძახებაა - „ტრიუმფი“ – „საბოლოოდ დამორჩილებულ მტერზე ძალადობა, მისი დაცინვა“. ამ ცერე-მონიის ცენტრში სუვერენის პერსონალური ძალაუფლება დგას და არა რომელიმე სამართლის არაპერსონალური კონცეფცია. ფაქტი, რომელიც დრამატულად არის გამყარებული ბოლო წუთს შეწყალების პრაქტიკით, ან განაჩენის შეჩერებით, რომელზეც სუვერენმა სრული კონტროლი შეინარჩუნა.

ფუკო აცნობიერებს, რომ საჯარო დასჯის გამოყენება და მიღება, დამოკიდებული იყო გარკვეულ გარეგან კულტურულ და დემოგრაფიულ პირობებზე, რომლებიც სხეულის მიმართ განსაკუთრებულ ისტორიულ მიდგომას განაპირობებდნენ. შრომის დაბალი ღირებულება, ქრისტიანული ზიზღი სხეუ-ლისადმი, სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი, ყველაფერი ეს სიკვდილს ნაცნობს ხდიდა და შობდა რიტუალებს, რომლებიც ადამიანებს მასთან გამკლავებას ასწავლიდნენ. თუმცა ფუკო ამტკიცებს, რომ საბოლოოდ ის, რამაც მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში ამ სისტემას საკუთარი ადგილი შეუნარჩუნა პოლიტიკური მოსაზრებები იყო. აჯანყებების, სამოქალაქო ომის და პარლამენტების აღმავლობის წინა-შე, პოლიტიკური სიმბოლიზმი და რეალური ძალა, რომელიც ეშაფოტზე იყო გამოხატული, მას სუვერენული ძალაუფლების ცენტრალურ დასაყრდენად აქცევდა.

4. სისხლის სამართლის კრიტიკა მეთვრამეტე საუკუნეში

რატომ შეიცვალა ეს სისტემა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს სისტემით, რომელიც საკუთარი თავისათვის „ჰუმანურობის“ სიქველეს ამტკიცებდა, სისტემით, რომელმაც ჩაახშო ის დაუფარავი ძალაუფლებისა და ძალადობის ელემენტები, რომლებიც მანამდე დასჯის გულისგულს ქმნიდნენ? აქ ფუკო ისევ ძალაუფ-ლების პოლიტიკისა და ორგანიზების კუთხიდან იძლევა პასუხს. ის აღწერს, როგორ შეიძლებოდა ხანდახან სიკვდილით დასჯა გადაზრდილიყო დაუმორჩილებლობის სცენებში, რომლის დროსაც იმის ნაცვლად, რომ პატივცემული დამსწრეების როლი შეესრულებინათ, ბრბოები ხელისუფლების წარმომადგენლების დასაცინად და სასჯელმისჯილის გმირად გამოსაყვანად იკრიბებოდნენ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნათელი საუკუნის დასასრულისკენ გახდა, როდესაც ბრბო უფრო და უფრო ხშირად ჯანყდებოდა იმის წინააღმდეგ, რასაც უსამართლობად, კლასობრივ კანონად და ერთერთი მათგანის სიკვდილით დასჯად აღიქვამდა. ფუკოს მიხედვით, ამ არეულობების შედეგი, „სახელმწიფოს ძალაუფლების მხარეს, ამ ბუნდოვანი რიტუალების ეფექტების მიმართ გაჩენილი პოლიტიკური შიში“ იყო.

საკითხი გაგრძელდა, როდესაც ფუკო მიუბრუნდა სისხლის სამართლის კრიტიკას, რომელიც საფრან-გეთში მომხდარ რევოლუციამდე პერიოდში, პამფლეტებში, ტრაქტატებსა და პეტიციებში გამოჩნდა. ტერმინები, რომლებითაც კრიტიკოსები მათ აზრებს გამოხატავდნენ, აცხადებდნენ „ჰუმანურო-ბის“ პრინციპებს და ადამიანის უფლებების - პრინციპებს, რომლებიც მათ შორის უბედურ კრიმინალებზე

ვრცელდებოდა. ეს პრინციპები ცხადდებოდა იმისათვის, რომ სისხლის სამართალში შემწყნარებლობას და თავშეკავებას შეეღწია. თუმცა ფუკოსთვის, ისევე როგორც მისი დროის სხვა რამდენიმე ისტორიკოსისთვის, რეალური ძალა, რომელმაც ამ რეფორმისთვის მოძრაობის მობილიზება გამოიწვია, არ შეიძლება მივაკუთვნოთ ფილოსოფიურ სისტემას, ან თუნდაც ადამიანის შეწუხებას სხვების ბედისწერით. ამის ნაცვლად ეს უფრო საფუძველმდებარე და უფრო ნაცნობი პირადი ინტერესების პრინციპი იყო, რომელმაც პოლიტიკური გადაუდებლობის აღიარება და შესაბამისი ცვლილებების საჭიროება გამოიწვია.

ამავდროულად იწყება ცვლილება დანაშაულებრივი ქცევის ძირითად მოდელში, რომელიც უფრო მეტად საკუთრებაზე ორიენტირებული, პროფესიონალური და შესაბამისად უფრო სახიფათოც ხდება. ეს ყველაფერი კი იმ დროს ხდება, როდესაც პორტების, საწყობების, დიდი საამქროების გაჩენამ უფრო და უფრო მეტი მოძრავი ქონება დააყენა რისკის ქვეშ. უფრო ზოგადად კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებამ მკაცრი მიდგომების მოთხოვნა გააჩინა მზარდ საშუალო კლასში, სიმკაცრის მოთხოვნა სახალხო კლასების მხრიდან კანონის დარღვევისა და უკანონო ქმედებების წინააღმდეგ. ეს სხვადასხვანაირი უკანონობები - გადასახადების და ქირის თავიდან არიდება, კონტრაბანდა, ბრაკონიერობა, თავთავის ქურდობა - რომლებიც ფართოდ გავრცელებული და ჩვეულებრივად მიღებული იყო ძველი რეჟიმის მიწის ეკონომიკაში, ახლა საკუთრების დარღვევის ნაკლებად ტოლერირებად გამოვლინებებად გადაიქცა. ამ წუხილების პირისპირ, მეთვრამეტე საუკუნის სისხლის სამართლის უწესრიგო ტერორი - სასამართლოების სიმრავლით, შეჯიბრებაში მყოფი იურისდიქციებით, სისტემური პოლიციის ნაკლებობით, უთვალავი შავი ხვრელით - ზედმეტად სასტიკი და არაეფექტური აღმოჩნდა. ის, რასაც კრიტიკოსები ითხოვდნენ, უფრო რაციონალური და ნათლად განსაზღვრული სამართლის სისტემა იყო: რომელიც დაეფუძნებოდა ფართო და დეტალიზებულ პოლიციურ კონტროლს, ერთგვაროვან და მკაფიო დასჯის პროცედურას, და სასჯელს, რომელიც ფრთხილად მოზომილი და დანაშაულის შესაბამისი იქნებოდა. სასურველი იყო არც გადაჭარბება და არც შემწყნარებლობა, არამედ სიცხადე და გამოყენების ყოველმხრივობა, რომლის მუშაობაც „სოციალური სხეულის უწვრილეს მარცვლებამდე ჩააღწევდა“. ეს ჩარჩო შეიქმნა იმისათვის, რომ ადრეულ სტადიაზე, ახალი და უფრო ქმედითი გზით შეეკავებინა დაბალი კლასების კრიმინალური ქცევა, მაგრამ ამავდროულად იმისათვისაც, რომ შეეზღუდა სუვერენის თვითნებური ძალაუფლება. როდესაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ევროპა სისხლის სამართლის დიდმა რეფორმებმა მოიცვა, დადგინდა ნორმები, განისაზღვრა დანაშაულები და სასჯელის შკალები, მოხდა იურიდიული პროცედურების რეორგანიზება, ყველაფერი ამ ორმაგ მიზანზე იყო ორიენტირებული. სასჯელი მოდერნულობის ახლადგაჩენილ სტრუქტურებთან ადაპტირდა.

5. რეფორმატორების საადამსჯელო თეორიები

პოლიტიკური ცვლილების და კრიმინალური კოდექსის რეფორმის ფონის საწინააღმდეგოდ, დისციპლინა და დასჯა დასჯის რეფორმის დეტალებისკენ ტრიალდება, რომლებიც ბეკარიამ და „იდეოლოგებმა“ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს წარმოადგინეს. ეს რეფორმატორები ადვოკატირებდნენ იმას, რასაც ფუკო „დასჯის რბილ ხერხს“ უწოდებდა - სანქციების მთელს სისტემას, რომელიც მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა ძველი რეჟიმის ძალადობის სიჭარბეს. მათ განაცხადეს, რომ სასჯელი არ უნდა იყოს თვითნებური, სუვერენის კაპრიზული ნების გამოვლინება, არამედ ამის ნაცვლად თავად დანაშაულის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს, ისევე როგორც მუშაობა გამოიყენება უსაქმურობის წინააღმდეგ,

სირცხვილი თავმომწონეობის წინააღმდეგ, ტკივილი ძალადობის წინააღმდეგ, და ა.შ. ამგვარი „ანალოგიური“ დასჯა, სადაც სასჯელები იმ დანაშაულის ექოს წარმოადგენენ, რომელსაც სჯიან, დაამტკიცებდნენ ცხად, „ბუნებრივ“ კავშირს. ამგვარად ფუძნდებოდა სასჯელის, როგორც ბუნების კანონის ეფექტის წარმოდგენა, პოლიტიკური ძალაუფლების წარმოდგენის ნაცვლად. ამავე დროს ეს სასჯელები, შეუტევდნენ კრიმინალის წყაროს, რადგან დასჯიდნენ სწორედ იმ ინტერესებსა და სურვილებს, რომლებმაც ძალადობა პირველად წაახალისეს.

რეფორმატორები ასევე ამტკიცებდნენ, რომ ეს სასჯელები და მათი ნაგულისხმები გზავნილები ყველასათვის საჯაროდ ხილული უნდა ყოფილიყო, რადგან სასჯელი ერთდროულად სამაგალითო და საყოველთაო ინტერესების გამტარი უნდა ყოფილიყო. თუ სასჯელი ისევ სხვებზე გავლენის მოხდენას ისახავდა მიზნად, ახლა ის მოქალაქის გამოთვლებზე, გონებით გადააზრებაზე გახდა მიმართული და არა დაშინებული მაყურებლების მოცახცახე სხეულებზე - ტერორის ნაცვლად, ის ზრდილობიან დიდაქტიკად გადაიქცა. სასჯელი გაკვეთილი გახდა, ნიშანი, საჯარო მორალის რეპრეზენტაცია, რომელიც ყველასთვის ღიად იყო წარმოდგენილი: „სასჯელში და არა სუვერენის დასწრებულობაში ამოიკითხავს თავად კანონებს“.

ეს რომ მომხდარიყო, სხვადასხვა შემთხვევებისთვის შესაფერისი, საჯარო დასჯები გახდებოდა აუცილებელი, რომლებიც სხვადასხვანაირ დანაშაულს აირეკლავდნენ, შემოატრიალებდნენ სხვადასხვა ინტერესს, გამოაჩენდნენ მათ გამაფრთხილებელ ნიშნებს, რომლებიც ყველასთვის იქნებოდა ხილული. გამომდინარე აქედან, ცენტრალური ისტორიული პარადოქსია, რომ ამ პერიოდში განვითარდა არა დასჯის დივერსიფიცირებული საჯარო თეატრი, რომელსაც რეფორმატორები უჭერდნენ მხარს, არამედ პატიმრობის სისტემა, რომელიც თითქმის ყველა კანონდარღვევის სანაცვლო სასჯელი გახდა. როგორც ფუკო აჩვენებს, ციხის განზოგადებული გამოყენება, მისთვის დამახასიათებელი საიდუმლოებით, იზოლაციით და მონოტონურობით, დიდწილად უთანხმოებაში იყო რეფორმატორების თეორიებთან. მოვლენათა ასეთი განვითარება განსაკუთრებით მოულოდნელი ხდება, როდესაც ფუკო გვეუბნება, რომ ამ დრომდე, პატიმრობას მხოლოდ მარგინალური პოზიცია ეკავა სადამსჯელო სისტემების უმრავლესობაში. ციხე იყო ადგილი, სადაც კანონდამრღვევები საკუთარ სასამართლოსა და სასჯელს ელოდებოდნენ და არა სტანდარტული სასჯელი თავისთავად. ყველაფერი ამის გათვალისწინებით, როგორ გახდა პატიმრობა, ასე სწრაფად, სამართლებრივი სასჯელის საყოველთაო მეთოდი?

6. ციხის „დისციპლინარული“ წარმომავლობა

ციხეების აღმავლობის ჩვეულებრივი ახსნა მიგვითითებს თავისუფლების აღკვეთის რამდენიმე დიდ სადამსჯელო მოდელზე - რასპუისი ამსტერდამში, მაისონ დე ფორსი გენტში, გლუცეტერი ინგლისში და ვოლნათ სთრით ფრიზონი ფილადელფიაში. ამ ინსტიტუტებმა, აქცენტით შრომასა და რეფორმირებაზე, განავითარეს რეჟიმები, რომლებიც რაღაც მხრივ ემთხვეოდა რეფორმატორების პროგრამებს. ეს შემსწორებელი და არა სადამსჯელო დაწესებულებები იყო. ციხის რეჟიმები და რეფორმატორების პროგრამები ინდივიდის რეფორმირებაზე იყო ორიენტირებული, თუმცა ისინი ამას განსხვავებული გზებით აღწევდნენ. თითოეული მათგანი იყენებდა საკმაოდ განსხვავებულ ტექნოლოგიას იმისათვის, რომ დაეკავებინა და შეეცვალა ინდივიდი; ავითარებდა განსხვავებულ ტექნიკას, რომელიც მიემართებოდა „სხეულს“ და აღწევდა „სულში“. რეფორმატორები საკითხს იდეების დონეზე უდგებოდნენ - ნიშნები, გაკვეთილები, რეპრეზენტაციები, როგორც დარწმუნებისა და დათვლის ფორმა. ამასთან კონტრასტში ციხე პატიმრის სხეულს ეუფლება, წვრთნის, ავარჯიშებს, აორგანიზებს მის დროსა და

მოძრაობას, იმისათვის, რომ შეცვალოს სული, „ჩვევების სასუფეველი“. ის აკავებს ინდივიდს, მანიპულირებს და ბიჰევიორისტული ფორმით ძერწავს, იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ გარე გავლენა მოახდინოს მის მორალურ აზროვნებაზე. ამგვარად არსებობს ძირითადი განსხვავება რეფორმატორების მოდელს და ციხეზე დაფუძნებულ სისტემას შორის, რომელმაც საბოლოოდ გაიმარჯვა - განსხვავება, რომელიც პირველ რიგში ტექნოლოგიურია და არა სამართლებრივი, ან თეორიული.

მთავარი პრობლემა, რომლის ირგვლივაც ზედამხედველობა და დასჯა ტრიალებს, ასეთია: რატომ მიაღწია ციხემ წარმატებას რეფორმატორების მოთხოვნების და სადამსჯელო თეორიის ლოგიკის ჩანაცვლებისას? საიდან მოვიდა ციხე და როგორ იქნა ასე სწრაფად და უნივერსალურად მიღებული? ამ მომენტში ტექსტი მოულოდნელად და დამაბნეველად იცვლის ფოკუსს, შორდება სადამსჯელო იდეებსა და სამართლის თეორიას იმისათვის, რომ უფრო ფართო, არა-დისკურსული, მოვლენების სერია შეისწავლოს: იმის ევოლუცია, რასაც ფუკო დისციპლინარულ ტექნიკებს უწოდებს. ეს ფუკოს ისტორიული არგუმენტის ყველაზე ორიგინალურ და საინტერესო ასპექტად გვევლინება. როდესაც დასჯის ისტორიის კონვენციური აღწერები - როტმანისა და იგნატიევის „რევიზიონისტული“ აღწერებიც კი - ცანტრალურ ადგილს თანამედროვე დასჯის „იდეოლოგიურ“ გენეზისს უთმობენ, ათავსებენ მას იდეებისა და ინტელექტუალური მოძრაობების ცენტრში, ფუკოს ყურადღება პოლიტიკური ტექნოლოგიების როლისკენ გადააქვს. ამის გაკეთებისას ის იძლევა საშუალებას, გავეცნოთ ციხის ფიზიკურ მატერიალურობას - მის პოლიტიკურ მნიშვნელობას - ისეთი ზომით, რომელიც მანამდე არასდროს არ მიღწეულა.

პირველ ნაწილში განხილული ისტორიული ნარატივის გვერდზე გადადებით, ზედამხედველობისა და დასჯის სამი ცენტრალური თავი იღებს უფრო სტრუქტურალისტურ მეთოდს, იმისათვის, რომ დისციპლინური ძალაუფლების რუკა და ტექნიკები მოხაზოს. ამ თავებში, მიზნად ისახება დისციპლინური ტექონოლოგიების დიაგრამის შექმნა, რომელიც მის იდეალურ ფორმამდე არის შემცირებული. იდეა მდგომარეობს ლოგიკისა და მოქმედების პრინციპების ჩვენებაში, მისი რეალური ისტორიის, განვითარებისა და გამოყენების განხილვის ნაცვლად.

7. სხეულის წვრთნა

ფუკოსთვის დისციპლინა „ადამიანის სხეულის ხელოვნებაა“, მეთოდი, რომლის გამოყენებითაც სხეულის დამორჩილება, მისი დამჯერად და საჭიროდ გარდაქმნა ხდება. ამას ძალიან გრძელი ისტორია აქვს. კლასიკურ ეპოქაში სხეული ობიექტად და ძალაუფლების სამიზნედ გადაიქცა, რომლის კონტროლი და გაუმჯობესება ძალადობის გარეშე გახდა შესაძლებელი. ტექნიკები, რომლებმაც კონტროლისა და გაუმჯობესების ეს საშუალებები გახადა შესაძლებელი, პირველად სხვადასხვა ინსტიტუტებში შეიქმნა - ჯარი, მონასტრები, სკოლები, ჰოსპიტალები და სახელოსნოები - მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნიდან და შემდეგ მათი გაძლიერება და კვლავწარმოება დაიწყო ყველგან და ყოველთვის, სადაც ამ მეთოდების გამოყენება იყო შესაძლებელი.

ფუკო წარმოადგენს დისციპლინის ზოგადი მეთოდებისა და პრინციპების ნახაზს. მას ეს აბსტრაქცია ეპოქის ტექსტებიდან და პრაქტიკებიდან გამოყავს. მისი განმარტებით, დისციპლინა „დეტალების პოლიტიკური ანატომიაა“. ის ოპერირებს კონტროლის ყველაზე მცირე მასშტაბზე, აქცევს ყურადღებას არა მთლიან სხეულს, არამედ მის ინდივიდუალურ მოძრაობებსა და ჟესტებს. მისი მიზანია გაზარდოს ყველა მოძრაობის ეფექტურობა და განავითაროს მისი სხვებთან კოორდინაცია, გამოცადოს სხვადასხვა ძალები და დააკავშიროს ისინი. ის ამას მუდმივი, უწყვეტი ზედამხედველობის გამოყენებით აკეთებს,

რომელიც ნებისმიერ გადახრას აქცევს ყურადღებას. ის ახორციელებს პედანტურ კონტროლს სხეულზე, რომლის დისციპლინირებაც ხდება.

ამგვარი კონტროლის ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა ორგანიზაციული პრინციპები განვითარდა. ეს პრინციპები თავდაპირველად სპეციფიკურ ინსტიტუტებში ადაპტირდა, ხოლო შემდეგ განზოგადდა და სხვა გარემოებებს მოერგო. არმიამ ყველაზე მეტი გააკეთა ინდივიდების სივრცეში განაწილების ხელოვნებისთვის - მისმა დამწკრივებამ და მოწყობამ, წესრიგი შეიტანა უწესრიგო ინდივიდების მასაში; სათითაოდ გამოყო ისინი, ისე, რომ მათი ინდივიდუალურად დანახვა, ზედამხედველობა და შეფასება გახდა შესაძლებელი. იგივე განაწილების ფორმა მალე საკლასო ოთახებშიც გავრცელდა, სახელოსნოებში, ჰოსპიტალებში და ა.შ. ამის მსგავსად მონასტერმაც განავითარა ცხრილი - საშუალებები დროისა და მოძრაობის რითმულ წესრიგში მოსაყვანად, საქმიანობის სპეციფიკური სფეროების გამოყოფა, გამეორების ციკლების რეგულირება. უფრო მცირე მასშტაბში, „მანევრის“ ცნება ბარაკებიდან და სახელოსნოებიდან მოდის. ამ გამეორებად რუტინაში სხეულის ზუსტი პოზა, კიდურების მდგომარეობა და სხეულის ყველაზე მცირე მოძრაობები, დაპროგრამებული იყო იმისთვის, რომ გაეზარდა ეფექტურობა და ისინი იარაღის გამოყენებასთან, ან მანქანის მოქმედებასთან დაეკავშირებინა. ამ საშუალებებით, სხეულები სხვადასხვა აჩქარებებს გადიოდნენ, იმისათვის, რომ მორჩილი, ეფექტური და გამოსადეგი მანქანები გამხდარიყვნენ; ეწარმოებინათ ის ფუნქციები, რომლებისთვისაც მათი გაწვრთნა მოხდა.

8. დევიაციის ნორმალიზება

რა თქმა უნდა, ინდივიდები საკუთარი ბუნებით დაუმორჩილებლები არიან. ამიტომ დაუმორჩილებლობასთან გამკლავება კონტროლის ნებისმიერი მეთოდის ცენტრალური პრობლემაა. მნიშვნელოვანია, რომ ეს დისციპლინარული მეთოდები უბრალოდ კი არ სჯიან საძნელო შემთხვევებს, არამედ ავითარებენ სანქციების მთელ მეთოდს, რომელსაც ფუკო „ნორმალიზაციას“ უწოდებს. ეს მეთოდი საკუთარი არსით ორიენტირებულია გამოსწორებაზე და არა დასჯაზე. პირველ რიგში ეს ინდივიდის ქცევის სასურველ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობს: იმის ცოდნას, თუ როგორ იქცევა ინდივიდი; მის მოძრაობებზე დაკვირვებას, მისი ქცევის განსაზღვრას და კანონთან შესაბამისობაში გაზომვას. თვალთვალისა და გამოცდის პროცედურები ამ ცოდნას ქმნიან, იძლევიან საშუალებას ნონკონფორმულობის, ან სტანდარტებიდან გადახრის ინციდენტების შემჩნევისა და მათთან გამკლავებისთვის. ამავდროულად კი, ამ მზერის ქვეშ აღმოჩენილი სხვადასხვა სუბიექტების ინდივიდუალიზება ხდება. თუ მიზანი შესწორებაა და არა დასჯა, გამოყენებული სანქციები მოიცავენ წვრთნასა და ვარჯიშს, ზომებს, რომლებიც თავისთავად გულისხმობენ ქცევის „ხაზში“ დაბრუნებას და ინდივიდებს საკუთარი თავის უფრო მეტად მაკონტროლებლად აქცევენ.

„გამოცდა“ ამ სისტემისთვის კონტროლის ცენტრალური მეთოდია, იძლევა რა ახლო დაკვირვების, განსხვავების, სტანდარტების განსაზღვრის და დამორჩილების, ჩავარდნების იდენტიფიცირების საშუალებას. ასევეა დოსიე, ან შემთხვევების ნუსხა, რომელიც ინდივიდის მახასიათებლების დროში განსაზღვრისა და სხვებთან შედარების საშუალებას იძლევა. აქედან მოყოლებული, ინდივიდუალურ შემთხვევებზე წერა წყვეტს თაყვანისცემად ყოფნას, რომელიც მხოლოდ გამოჩენილი ადამიანებისთვის, მეფეებისთვის და გმირებისთვის არსებობს, და ამის ნაცვლად დომინაციის ფორმად იქცევა, რომლის გამოც ძალაუფლების არმქონეები უფრო და უფრო მეტად დამორჩილებულები ხდებიან. ამ პრაქტიკებიდან ინდივიდების დეტალური და სისტემატური ცოდნა იბადება, ცოდნა, რომელმაც სხვადასხვა „ადამიანის მეცნიერებებს“ მისცა დასაბამი, კრიმინოლოგიას, ფსიქოლოგიას, სოციოლოგიას

და ა.შ. ფუკო გვაჩვენებს, რომ დაკვირვების, გამოცდის და გაზომვის პროცედურები, რომლებიც ამ ცოდნის განვითარების საშუალებას იძლევიან, ამავდროულად ახორციელებენ ძალაუფლებასა და კონტროლს მათი მზერის ქვეშ მყოფ - და ჩამოყალიბებულ - ინდივიდებზე.

9. ბენტამის პანოპტიკუმი

„პანოპტიკუმი“, ან „ინსპექტირების სახლი“, რომელიც ჯერემი ბენტამმა 1791 წელს შექმნა ფუკოს მიერ ძალაუფლებისა და ცოდნის ურთიერთობების განსახიერებად არის განხილული. ის წრიული ფორმის შენობაა, ინდივიდუალური საკნებით პერიმეტრზე, რომელთა ფანჯრები და განათება ისეა მოწყობილი, რომ მათი ბინადრები კარგად ჩანდნენ ცენტრში განლაგებული სათვალთვალო კოშკიდან, რომლის შიდა სივრცეც დაფარული რჩება. ამგვარად პანოპტიკუმი არქიტექტურული ფორმაა, რომელიც ჩაფიქრებულია სხეულების ინდივიდუალიზებისათვის და იმისათვის, რომ ინდივიდები მუდმივად ხილულები იყვნენ მათთვის, ვინც შენობის ცენტშია. მუდმივი ხილულობა და მოწყვლადობა პატიმრების თვითკონტროლს აძლიერებს. ძალაუფლებას აღარ ჭირდება სანქციების გამოყენება. ამის ნაცვლად მისი ობიექტები თვითონ ექცევიან მის ქვეშ, იმისათვის, რომ სასურველად მოიქცნენ. ფიზიკური რეპრესიის ყველანაირი კვალი ეტაპობრივად იცვლება უფრო რბილი და ამასთანავე ეფექტური დომინაციის სტრუქტურით. უფრო მეტიც, გამოყენებული ძალაუფლებრივი ურთიერთობები ავტომატიზებული და ობიექტურია. ისინი ადგილებისა და ხილულობის განაწილების შედეგს წარმოადგენენ და არ არიან დამოკიდებული ძალაუფლების პოზიციაში მყოფების ძალასა ან განზრახვაზე: „ძალაუფლების სრულყოფილება მის რეალურ გამოყენებას არააუცილებელს უნდა ხდიდეს... ეს არქიტექტურული აპარატი უნდა გახდეს მანქანა, რომელიც აწარმოებს და ინარჩუნებს ძალაუფლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც ძალაუფლების მქონე პიროვნებებისგან დამოუკიდებელი იქნება. უფრო მოკლედ,... პატიმრები მოქცეულები უნდა იყვნენ ძალაუფლების სიტუაციაში, რომლის მატარებლებიც თვითონ არიან.“

ფუკოს მიხედვით, ამ პანოპტიკური, დისციპლინური პრინციპების საჭიროება იმგვარი იყო, რომ მალე მათი იმიტირება საზოგადოების ძირითად ინსტიტუტებში მოხდა, ხოლო საბოლოოდ ეს ლოგიკა საზოგადოების მთელს სოციალურ სხეულზე განზოგადდა. თუმცა, ფუკოს ტექსტებში არ არის დეტალიზებული „განზოგადებული პანოპტიციზმის“ რეალური ბუნება. ხანდახან მტკიცება შედარებით მოკრძალებულია - რომ ძალაუფლების ყველა თანამედროვე ფორმამ დისციპლინური პრინციპების განვითარების ეფექტი განიცადა. სხვა შემთხვევებში უფრო გაბერილი რიტორიკა იმარჯვებს და თანამედროვე საზოგადოება „დისციპლინურ საზოგადოებად“ განიხილება, „თვალთვალის საზოგადოებად“, რომელშიც ყველა დამორჩილებულია „უსასრულო გამოცდას“ „პანოპტიკურ მანქანაში“.

10. დისციპლინა და დემოკრატია

როგორიც არ უნდა იყოს ამ დიდი მტკიცებების მოცულობა, დისციპლინების განვითარების და საბოლოო ეფექტის შესახებ უამრავი აზრი დაფიქსირდა. პირველ რიგში, დისციპლინები სწრაფად განვითარდნენ ადრეული ევროპული კაპიტალიზმის კონტექსტში, თუმცა მათი ტექნიკები და პრინციპები გადატანადია და შეიძლება სხვაგან, სხვადასხვა რეჟიმების ქვეშ მოქმედებდნენ. მიუხედავად ამისა, მათ აქვთ განსაკუთრებული და საინტერესო კავშირი დასავლური დემოკრატიის განვითარებასთან, ეს კავშირი აფორიზმშია შეჯამებული, რომლის მიხედვითაც „განმანათლებლობამ“ აღმოაჩინა თავისუფლებები და ასევე შექმნა დისციპლინებიც. ფუკოს მიხედვით, საბოლოოდ დისციპლინის განზოგადებამ დემოკრატიუ-

ლი კონსტიტუციებისა და თავისუფლების ლიბერალური ფორმების განზოგადება გახადა შესაძლებელი. ძალაუფლებრივი ურთიერთობების ამ უზარმაზარი ინფრასტრუქტურის გარეშე, რომელმაც მასები, წესრიგსა და დისციპლინირებულ არსებობას დაუქვემდებარა, „თავისუფლების“ გავრცელება არასოდეს მოხდებოდა. ეს ეხმიანება ჰობსიანურ არგუმენტს, რომლის მიხედვითაც თავისუფლება კანონის მორჩილების პროცესს გულისხმობს, ფუკოსთვის დისციპლინა დემოკრატიის და მისი ეგალიტარული კანონების „ბნელი მხარეა“. ფუკო ამტკიცებს, რომ დისციპლინური ურთიერთოებების ეფექტი საფუძველს ურღვევს გაცვლის სამართლიანობას და სტატუსის თანასწორობას, რომლებიც კანონისა და სამართლებრივი დოქტრინების მიერ არის წარმოდგენილი. ეს ეფექტი უხილავი და ექსტრა-სამართ-ლებრივი გზით ოპერირებს. დისციპლინები უზრუნველყოფენ, რომ რეალური შეზღუდვები და კონტრო-ლი ჩაქსოვილია ურთიერთობებში, რომელსაც კანონი ნებაყოფლობითად და შეთანხმების შედეგად მიიჩნევს. ამგვარად ის შესაძლებელს ხდის ლეგალური თავისუფლებისა და მიჩვეული დომინაციის თანაარსებობას. ამის გამოა, რომ, რაღაც აზრით, დისციპლინები კონტრ-სამართლებრივად მიიჩნევა.

ამ გრძელი, მაგრამ აუცილებელი მიმოხილვიდან სასჯელის ისტორიის პრობლემასთან დაბრუნებით საშუალება გვეძლევა ციხის აღმავლობა საკმაოდ განსხვავებულ შუქზე დავინახოთ. იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც ის ფუკომ მოათავსა, ციხე ახლა წარმოგვიდგება, როგორც უფრო ფარ-თო ისტორიული ფენომენის ასპექტი. ეს ფენომენი დისციპლინების განვითარება და განზოგადებაა. მართლაც, თუ ვინმე პენოლოგიის სპეციფიკურად თანამედროვე განვითარებაზე ფიქრობს, რომელიც ციხესთან არის ასოცირებული - „კრიმინალის“ გამოძიება დანაშაულებრივი აქტის მიღმა, დაინტერესება შეცვლითა და შესწორებით, ექსპერტების ჩართვა, რომლების ამოცანაც დაკვირვება, განსაზღვრა და განკურნებაა - შეუძლია დაინახოს, რა ზომით შეიჭრნენ დისციპლინური და მანორმალიზებელი ხედვები იურიდიულ ჩარჩოში, რომელიც კრიმინალური სამართლის სისტემას ეკუთვნის.

გენეალოგიური არგუმენტი - რომ დისციპლინები ციხის წინაპარი არიან - ფუკოს მიერ მის ყველაზე ძლიერ ფორმაში მაშინ არის წარმოდგენილი, როდესაც ის დავობს, რომ ციხის ინსტიტუტის „ზოგადი ფორმა“ უფრო ზოგად დისციპლინურ მოვლენებში იყო ჩაფიქრებული, ხოლო სამართლებრივ სისტემაში უბრალოდ გარედან აღმოჩნდა. ამგვარად, მეცხრამეტე საუკუნის სადამსჯელო სისტემა არ უნდა დავინახოთ, როგორც მორალური იდეების ისტორიის ნაწილი; ის უნდა დავინახოთ, როგორც მორიგი თავი სხეულისა და ცოდნა-ძალაუფლების ტექნიკების ინვესტირების ისტორიაში. ამ აზრით, დიდი სამაგალითო ციხეები გენტში, გლუჩესტერში, ვოლნათ სტრიტზე და ა.შ. უნდა დავინახოთ როგორც გადასვლის ან იმიტაციის პირველი წერტილები და არა ინოვაციები. ეს გენეალოგია ასევე ემსახურება იმის ახსნას, თუ როგორ მოხდა ციხის, როგორც „ჩვეულებრივი“ ან „ბუნებრივი“ ინსიტუტის სწრაფად მიღება. საზოგადოებაში, რომელიც უკვე ექვემდებარებოდა დისციპლინარული მექანიზმების ოპერი-რებას, ციხის არსებობა შეიძლება დასაწყისიდანვე ნათელ უფლებად გამოცხადებულიყო.

ამ გენეალოგიური არგუმენტის შემდგომი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ შეიცვალა გზა, რომლითაც ჩვენ ციხის ხასიათისა და ფუნქციის შესახებ ვფიქრობთ. თუ ის დასაწყისიდანვე, დისციპლინარული ინსტიტუტის სახით არის მიღებული, მაშინ დაპატიმრებისა და თავისუფლების აღკვეთის ფუნქცია, თავიდანვე შევსებული უნდა იყოს მეორე, ინდივიდების ტრანსფორმაციის ფუნქციით. ფუკო ამტკიცებს რომ იზოლაციის, შრომის, ინდივიდუალიზებული მიდგომის და სასჯელის რეფორმირების პროგრესთან შესაბამისობაში მოყვანა, დისციპლინირების პროცესის განმასხვავებელი ნიშნებია. ის აჩვენებს, რომ ციხის დისციპლინური ფუნქციის ერთი ირონიული შედეგია, რომ ის აძლევს ციხის მმართველებს ავტო-ნომიისა და დისკრეციის დონეს იმისათვის, რომ მათ ეს დავალება შეასრულონ, ხოლო ამით ძველ სისტემაში გაკრიტიკებული თვითნებობისა და დესპოტიზმის ახალი ფორმით შექმნა ხდება.

11. "კრიმინალი" და "კრიმინოლოგია"

დისციპლინური ციხის ოპერირებამ დანაშაულის შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის ახალი კორპუსი განავითარა, რომელიც მანამდე ხელმისაწვდომი არ იყო. იზოლაციის, ზედამხედველობის და ინდივიდუალური გამოსწორების პრაქტიკებმა შექმნეს იმის შესაძლებლობა, რომ დამნაშავეები აბსტრაქტულად აღარ იყვნენ მოაზრებული. ისინი შეისწავლებიან როგორც ინდივიდები მათი საკუთარი თვისებებით, განსაკუთრებულობითა და განსხვავებებით. იმის გამო, რომ კანონი დამნაშავეებს სხვებისგან განსხვავებულებად არ მიიჩნევდა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მათ თავდასხმა ქონდათ ჩადენილი, ციხე მათ ინდივიდუალიზაციას ისახავდა მიზნად, ცდილობდა გაერკვია, როგორი ადამიანები იყვნენ და განესაზღვრა ურთიერთობა მათ ხასიათსა და დამნაშავეობას შორის. ამ აზრით, ციხემ „დამნაშავის" აღმოჩენა გამოიწვია - კრიმინალური ტიპის, ვისი ბიოგრაფიაც, ხასიათი და გარემო მას „არადამნაშავისგან" განსხვავებულად მონიშნავდნენ. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია, თვალყური მივადევნოთ კრიმინოლოგიას, რომელიც მიზნად ისახავს დანაშაულებრივი მთლიანობის შესწავლას და მისი ყველა ასპექტის დახასიათებას.

ფუკო მნიშვნელოვან აზრს გამოთქვამს „დამნაშავისა" და „კრიმინოლოგიის" შესახებ. ის ამტკიცებს, რომ ციხეს არ „აღმოუჩენია" დამნაშავეები, არამედ შექმნა ისინი. ამის დასაბუთება ორი ძირითადი აზრით შეიძლება. პირველ რიგში, მან დამნაშავეები პირდაპირი მნიშვნელობით შექმნა, რადგან შექმნა რეციდივიზმის პირობები: დამნაშავეები ისეთი სტიგმატიზირებულები, დემორალიზებულები და უნარჩვევებისგან განძარცვულები იყვნენ ციხეში, რომ განთავისუფლების შემდეგ კვლავ დანაშაულისკენ იყვნენ მიდრეკილი, იმისათვის, რომ ისევ დაეპატიმრებინათ და კარიერულ კრიმინალებად გადაექციათ. მეორე, ციხე აწარმოებდა დამნაშავეებს კატეგორიების და ეპისტემოლოგიური აზრით, საკუთარი პრაქტიკის გზაზე „ინდივიდუალური კრიმინალის" კატეგორიის შექმნით: ეს ხდებოდა ციხეში, როდესაც ინდივიდუალური დამნაშავე ხილული გახდა, იზოლირებული ობიექტი ინტენსიური სწავლისა და კონტროლისთვის. ამის კიდევ ერთი იმპლიკაციაა, რომ კრიმინოლოგია - სისტემური ცოდნა დამნაშავის შესახებ, რომელიც შეიქმნა და განვითარდა ციხეში - ვალდებულია საკუთარი არსებობით ამ ძალაუფ-ლების და ინდივიდების სხეულების დაკავების სისტემის მიმართ. კრიმინოლოგია დაფუძნებულია ცოდნისა და ძალაუფლების სპეციფიკურ რეჟიმზე და არა არაუარყოფად ჭეშმარიტებაზე.

ა. ციხის „წარუმატებლობა"

ზედამხედველობისა და დასჯის ბოლო სექცია ისტორიულ ნარატივს უბრუნდება. ის შესაძლოა ნაჩქარევადაც კი მისდევს ციხის რეალური გავლენის კვალს და მის პოზიციას სოციალური კონტროლის თანამედროვე ქსელში. რაღაც აზრით, ეს წიგნის ყველაზე ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ნაწილია, მაგრამ ის წარმოადგენს თეზისს, რომელიც ნათელია და საინტერესო: სახელდობრ, რომ ციხე ყოველთვის წარუმატებელი იყო პენოლოგიური აზრით, მაგრამ ის წარმატებით აღწევს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ეფექტებს უფრო ფართო სოციალურ დონეზე. სწორედ ამის გამო მასზე არასოდეს უთქვამთ უარი.

ფუკო აჩვენებს, რომ ციხის დეფექტები - წარუმატებლობა დანაშაულის შემცირებაში, რეციდივისტების წარმოების ტენდენცია, კრიმინალური სფეროს ორგანიზება, პატიმრების ოჯახების უიმედობაში დატოვება და ა.შ. - ყველა მათგანი გაცნობიერებული და კრიტიკულად გააზრებული იყო 1820-იანი წლებიდან დღევანდელ დღემდე. მიუხედავად ამისა, ყოველთვის, როდესაც ეს კრიტიკა თავიდან იწყებოდა, მასზე ოფიციალური პასუხი კარგი პენიტენციური პრაქტიკების მაქსიმების წამოყენება იყო და

არა თავად ინსტიტუტის კრიტიკა. ეს მუდმივი წარუმატებლობის ისტორიული პატერნი და ცვლილებებთან მუდმივი წინააღმდეგობა, აიძულებს ფუკოს დასვას კითხვა, რომელიც ცენტრალურია დღევანდელი სადამსჯელო პოლიტიკისათვის, სახელდობრ: რატომ არის ციხე ასეთი სიცოცხლის-უნარიანი? როგორც ყოველთვის, პასუხი, რომლითაც ის ამ ნაცნობ კითხვას პასუხობს არც ისეთი ნაცნობია. სანაცვლოდ, ის გვთავაზობს ახსნებს, რომლებსაც შეგვიძლია „სიღრმისეული ახსნები" ვუ-წოდოთ, რადგან ისინი მიემართებიან გადაწყვეტილებებსა და რაციონალობებს, რომლებიც არც ხილულია და არც დემონსტრირებადი. ფუკო ორ ასეთ მიზეზს ასახელებს: პირველის მიხედვით, ციხეები ღრმად არის ფესვგადგმული, რის ქვეშაც იგულისხმება, რომ ციხე დაფუძნებულია უფრო ფართო დისციპლინარულ პრაქტიკებში, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი. რა თქმა უნდა, ეს უკან გვაბრუნებს მის უფრო ფართო გენეალოგიურ არგუმენტთან. მეორე მიზეზის მიხედვით კი, ციხე არსებობს, რადგან ის ატარებს „გარკვეულ ძალიან ზუსტ ფუნქციებს". ეს ფუნქციონალური არგუმენტი გამომდინარეობს წარუმატებლობის პრობლების შემოტრიალებით და საკითხის დასმით, შეგვიძლია თუ არა ის ჩავთვალოთ ფარული წარმატების ფორმად. სხვა სიტყვებით, ის კითხულობს, რა ინტერესებს შეიძლება ემსახურებოდეს დამნაშავეობის, რეციდივიზმის და კრიმინალური სფეროს წარმოება და შეიძლება თუ არა ეს „ინტერესები" გატარდეს ისე, რომ მოხდეს ამ ხილული დეფექტების უკვდავყოფა?

პასუხი, რომელსაც ფუკო გვთავაზობს, თავსდება არა პენოლოგიურ დონეზე, არამედ უფრო ფართო, პოლიტიკურ სფეროში და 1840-1850 წლების ფრანგული პოლიტიკური გარემოს ფონზე. ის ამბობს, რომ დამნაშავეების წარმოება მნიშვნელოვანია პოლიტიკური დომინაციის სტრატეგიისთვის, რადგან ის მუშაობს იმაზე, რომ კრიმინალი პოლიტიკისგან განცალკევდეს, იმისათვის, რომ მშრომელი კლასები საკუთარი თავის წინააღმდეგ გაიყონ; გაიზარდოს ციხის შიში, ხოლო პოლიციის ძალაუფლება და ავტორიტეტი გარანტირებული იყოს. ფუკო ამტკიცებს, რომ სისტემისთვის, რომელიც კანონისა და საკუთრების პატივისცემაზეა დაფუძნებული არსებითია, უზრუნველყოფილი იყოს არალეგალურობის და კანონდარღვევის გავრცელების შეზღუდვა და არაპოპულარულობა, რაც მთავარია, ისინი პოლიტიკურ მისწრაფებებს არ უნდა დაუკავშირდეს. ამ კონტექსტში, დამნაშავეთა კლასის განუზრახველი წარმოება შეიძლება უპირატესობად გადაიქცეს. დამნაშავეობა თავისთავად არ არის დიდი პოლიტიკური საფრთხე - მისი თავდასხმები საკუთრებასა და ავრორიტეტებზე ხშირად ინდივიდუალიზებული და წვრილმანია. უფრო მეტიც, ასეთი კრიმინალის მსხვერპლები, ხშირად, დაბალ კლასებს წარმოადგენენ - ამიტომ მმართველებმა შეიძლება ნაწილობრივ მაინც დახუჭონ თვალი ასეთ კრიმინალზე. კარგად განსაზღვრული დამნაშავეთა კლასის ჩამოყალიბებით, ციხე უზრუნველყოფს, რომ კრიმინალისკენ მიდრეკილი ადამიანები ცნობილი არიან მთავრობისთვის და ამიტომ მათთან გამკლავება უფრო მარტივად, პოლიციის ზედამხედველობით შეიძლება.

უფრო მეტიც, დამნაშავეთა კლასის არსებობა შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა არალეგალობე-ბისთვის ლაგამის ამოსადებად. პირველ რიგში, პოლიციური ზომები და ზედამხედველობა, რომლის აუცილებლობასაც ეს კლასი აწარმოებს, შეიძლება, უფრო ფართო პოლიტიკური მიზნებისთვის იყოს გამოყენებული. მეორე, დამნაშავეების მტაცებლური ბუნება მათ არაპოპულარულს ხდის მშრომელთა სხვა კლასებში, რომლებიც მიდრეკილი არიან თავდაცვის მიზნით მოიხმონ კანონი და აირიდონ კანონდარღვევა. დისტანცირებისა და დაყოფის პროცესებს ის სახიფათო მითებიც ემატება, რომლებიც კრიმინალური ელემენტების ირგვლივ იქმნება. საბოლოოდ, იმის გაცნობიერება, რომ დაპატიმრებას თან კრიმინალურ ჯგუფებთან იდენტიფიცირება მოყვება, ადამიანებს დამატებით მოტივაციას აძლევს იმისათვის, რომ არ გარისკონ კანონის წინააღმდეგ წასვლა და არ ენდონ მათ, ვინც ასე რისკავს. ამ

აზრით, ციხე იმდენად არ აკონტროლებს კრიმინალს, რამდენადაც აკონტროლებს მუშათა კლასს ამ კრიმინალის შექმნით. ფუკოსთვის ეს ციხის არსებობის გამოუთქმელი რაციონალობაა. ნათელია, რომ ეს საჯაროდ გაცხადებული პოლიტიკა არ არის, მაგრამ ფუკო ამტკიცებს, რომ ეს განზრახული სტრატეგიაა. დაპატიმრების შედეგები, რომლებიც განუზრახველი იყო და თავდაპირველად საზიანოდ მოიაზრებოდა, გარკვეული სარგებლის მქონედ აღიარეს. შედეგად, ისინი გააძლიერეს და განზრახ გამოიყენეს იმაში, რასაც გადაჯგუფებული სტრატეგია შეიძლება ვუწოდოთ. შესაბამისად, ციხეს მისი წარუმატებლობების გამო ვინარჩუნებთ და არა ამ წარუმატებლობების მიუხედავად.

12. კარცერალური კონტინუუმი

წიგნის საბოლოო სექციას, უბრალოდ „კარცერული“ ქვია. ფუკო აღწერს როგორ იშლება საზღვრები კანონით დასჯასა და სოციალური ცხოვრების სხვა ინსტიტუტებს შორის, როგორებიცაა სკოლა, ოჯახი, სახელოსნო, ცუდი კანონები კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება მსგავსი დისციპლინური ტექნიკების ყველა მათგანში გავრცელებით და ერთი ინსტიტუტიდან მეორეში ხშირი გადანაცვლებით. (ფუკო აღწერს მოზარდთა კოლონიას, რომელიც პრობლემურ შემთხვევებს ოჯახებიდან, სკოლებიდან და ციხეებიდან იღებს და ერთნაირი დისციპლინური გზებით უდგება დამნაშავეებსა და უდანაშაულოებს.) ფუკოს მიხედვით, არსებობს კარცერული კონტინუუმი, რომელიც მთელს სოციალურ სხეულს ფარავს. ის შეკრულია ყველგან მოფენილი შფოთით, მოხდეს გადახრების, ანომალიებისა და არსებული ნორმებიდან გადახვევების იდენტიფიცირება. ეს თვალთვალისა და გასწორების ჩარჩო ფართოვდება წვრილმანი დანაშაულიდან ყველაზე დიდ კრიმინალამდე და ერთი და იმავე პრინციპებს იყენებს ყველა მათგანთან გასამკლავებლად. აქ „კონტინუუმის“ იდეაა მნიშვნელოვანი, არა იმისათვის, რომ ერთი ინსტიტუტის მეორესთან ურთიერთობა დაახასიათოს, არამედ იმისათვის, რომ აჩვენოს მსგავსებები საზოგადოებებს შორის. ფუკოს მიხედვით, დასავლური ლიბერალური დემოკრატია განისაზღვრება როგორც თვალთვალის, თავიდან ბოლომდე დისციპლინირებული საზოგადოება და აქ ფუკო განზრახ მიანიშნებს ტოტალიტარიზმისკენ, რომელიც როგორც წესი სხვებს მიეწერება ხოლმე. თუ ვინმეს გულაგთან კავშირი გამორჩა, ის ქმნის ფრაზას „კარცერალური არქიპელაგი“ იმისათვის, რომ აღწეროს იმ ინსტიტუტების ჯაჭვი, რომელიც ციხიდან მომდინარეობს.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ დასჯას. ამ ყველაფერს ძალიან სპეციფიკური შედეგები აქვს იმისთვის, რასაც სადამსჯელო პრაქტიკის შესახებ ვფიქრობთ. მთელი ამ ჩარჩოს შიგნით, დასჯის პროცესი არსებითად არ განსხვავდება განათლებისა და მკურნალობის პრაქტიკისგან და მას როგორც ამ ნაკლებად ძალდატანებითი პროცესების გაგრძელებას წარმოგვიდგენენ. ამას ორი მნიშვნელოვანი შედეგი აქვს. პირველ რიგში ლეგალური სასჯელები ითვლება უფრო ლეგიტიმურად და ნაკლები დასაბუთების საჭიროების მქონედ, მაშინ, როდესაც მანამდე ეს პრაქტიკები ზიანისა და დაძალების ფორმებად განიხილებოდა. მეორე, ლეგალური აკრძალვები და ლიმიტირებები, რომლებიც მანამდე დასჯას ახლდა თან - და მიმაგრებული იყო სპეციფიკურ დანაშაულებზე, პატიმრობის ხანგრძლივობის განსაზღვრით, ბრალდებულის უფლებების გარანტირებით და ა.შ. - ქრებიან. კანონი იქცევა ჰიბრიდულ სისტემად, სადაც კანონიერების პრინციპები ნორმალიზაციის პრინციპებთან არის კომბინირებული. მისი იურისდიქცია ისე ფართოვდება, რომ სანქციები ახლა არა მხოლოდ „კანონის დარღვევას“, არამედ „ნორმიდან გადახვევასაც“ ფარავს. ამ სისტემაში არის უამრავი სივრცე, სადაც ტრადიციული სამართლის უზენაესობის და პროცესის თანმიმდევრულობის დაცვა აღარ ოპერირებს, ან შეიძლება შესაბამისიც არ არის, თუმცა ჯერჯერობით არანაირი ახალი ჩარჩო გადახედვისა და ლიმიტაციისთვის არ

განვითარებულა, იმისათვის, რომ ამ ახალ ფორმებს გაუმკლავდეს, რომლების გავლითაც თანამედროვე ადმინისტრაციული ძალაუფლება ფუნქციონირებს

13. ფუკოს კონტრიბუცია

დისციპლინისა და დასჯის არგუმენტებს უზარმაზარი გავლენა ქონდათ ინტელექტუალური საქმიანობის ფართო ველზე. იმისათვის, რომ ამ გავლენის დეტალებს გავყვეთ, თანამედროვე ინტელექტუალური კულტურის საკმაოდ ფართო ისტორიის გავლა დაგვჭირდება. წიგნის თეზისი ძალაუფლების მდებარეობისა და ბუნების შესახებ შესწორებად იქცა ლიბერალური და მარქსისტული ორთოდოქ-სიისათვის, დაეხმარა მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკური კულტურისგან ნაანდერძევი დიდი კონცეფციების გადახედვაში (სახელმწიფო ინდივიდის წინააღმდეგ; კაპიტალი შრომის წინააღმდეგ და ა.შ.). იმ დროს, როდესაც „პოლიტიკა“ მარგინალური, მცირე მასშტაბის და ერთ საკითხზე კონცენტ-რირებულ ბრძოლებში იწარმოება, ფუკოს უფრო გაშლილმა და ლოკალიზებულმა ძალაუფლების კონცეფციამ მისი შრომა უამრავი ადამიანისთვის გახადა მიმზიდველი. განსაკუთრებით, ძალაუფლების პოზიტიური და პროდუქტიული მხარის განხილვამ გაამარტივა პოლიტიკური ანალიზის წარმოება სხვა-დასხვა მიმართულებით - ჯანდაცვა, დაზღვევა, სოციალური დაცვა, განათლება, ფსიქიატრია და ა.შ. რომლებიც უფრო და უფრო არეგულირებენ ჩვენს ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ ამას ისეთი ხერხებით აკეთებენ, რომლებსაც „რეპრესიულს“ ვერ ვუწოდებთ. ამის მსგავსად, ფუკოს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ განმარტავენ ეპოქის კონცეპტუალური სისტემები დომინაციის პატერნებს - შეჯამებული ცოდნა-ძალაუფლების ფორმულაში - გაგვიძღვა ადამიანის მეცნიერებების უფრო დახვეწილი გაგებისკენ და ასევე იმ მანორმალიზებელი ინსტიტუტების გააზრებისკენ, რომელშიც ეს ცოდნა ოპერირებს. თანამედროვე გამოყენებისათვის, ამ წიგნის მთავარი გავლენა დასჯის ახალი პერსპექტივის ჩვენება იყო, პერსპექტივის, რომელიც მიისწრაფოდა ჩაენაცვლებინა ინტერპრეტაციის ძველი ტრადიციები და განესაზღვრა ახალი მიდგომები.

ფუკოს მიერ სასჯელისა და დასჯის ისტორიის აღწერა, განზრახულად „პერსპექტიულია“. ის გვაჩვენებს დასჯის ფენომენს ცოდნა-ძალაუფლების და სხეულის პერსპექტივიდან, გვერდზე გადადებს ყველა სხვა ინტერპრეტაციის კუთხესა და შეხედულებას. ეს, ერთი მხრივ, ფორმას აძლევს მის ისტორიულ აღწერას, ხოლო მეორე მხრივ, სასჯელის ისეთი განზომილებების ღრმად განხილვისკენ უბიძგებს - განსაკუთ-რებით მისი ტექნიკური და დისკურსული განზომილებები - რომლებიც უარყოფილია სხვა სოციო-ლოგების მიერ, იქნებიან ეს მარქსისტები თუ დიურკემიანელები. ის ამბობს, რომ ძალაუფლება ოპერირებს - და ის პირდაპირი გაგებით „მატერიალიზებულია“ - ტექნიკების, აპარატების და ინსტი-ტუტების საკვანძო დონეზე. მაშასადამე, ძალაუფლება საუკეთესოდ შეიძლება, გავიაზროთ ამ ტექნო-ლოგიების მოქმედების დეტალური გადასინჯვით. როგორც დავინახეთ, ამ პოზიციას ფუკო ტექნიკური ელემენტების გამოკვლევამდე მიყავს, რომელიც საბოლოოდ იმის გამოვლენით სრულდება, თუ რა არის სადამსჯელო ინსტიტუციის საბოლოო პრინციპი. თვალთვალის, დაკვირვების, ინსპექტირების და დისციპლინური წვრთნის, გამოცდის და ნორმალიზების პრინციპები - ფიზიკურ, არქიტექტურულ და ორგანიზაციულ ფორმებთან ერთად, რომლებშიც მათი განსხეულება ხდება - წარმოგვიდგება ნათლად და ისეთ დეტალებში, რომ შეგვიძლია იმ მატერიალური პრაქტიკების გაგების დაწყება, რომლებზეც თანამედროვე სადამსჯელო ინსტიტუტებია დამოკიდებული.

სადამსჯელო პრაქტიკების მატერიალურობასა და მათ ეფექტებზე ფოკუსის პარალელურად, ფუკო აღწერს აზროვნების ფორმებს და მოქმედების კატეგორიებს, რომლებიც ამ დისციპლინარულ ქარხანაში

გაჩნდა. თანამედროვე დასჯის დისკურსის ეს განმარტება წარმატებულია დღევანდელი პენოლოგიური სისტემის მახასიათებლების იდენტიფიცირებისას. ის მათ მთლიანი სტრუქტურის შიგნით ათავსებს, რომლის ნაწილსაც წარმოადგენენ. მსგავსი იდეოლოგიური საკითხები, - როგორებიცაა აქცენტი რეფორმასა და კორექციაზე, გაუმჯობესებაზე ზრუნვა განადგურების ნაცვლად, სადამსჯელო ზომების საგანმანათლებლოდ ან თერაპიულად წარმოდგენა და სირცხვილის გრძნობა, როდესაც ღია ძალადობას ან დასჯას ვხედავთ, - ახლა ოპერაციული ლოგიკის პროდუქტად გვევლინება, რომელიც ფუკოს შრომამ გააშიშვლა. ამის მსგავსად, დამსჯელის ნაცვლად მენეჯერული ზომების ათვისება დამსჯელი ადმინისტრატორების მიერ, იურიდიული ფორმების ადმინისტრაციული კატეგორიებით ჩანაცვლება და გონების სამეცნიერო ჩარჩო, რომელიც გადაინაცვლებს მორალური დაგმობიდან და მის ადგილზე კრიმინოლოგიურ დიაგნოზს ათავსებს, უფრო გააზრებადი გახდა სადამსჯელო თანამედროვეობის ფუკოიანურ აღწერასა და მის გამორჩეულ ოპერაციულ ფორმებთან ერთად.

ფუკოიანური აღწერის განსაკუთრებულობა - და მისი გავრცელება კრიმინოლოგებსა და პენოლოგებს შორის - მხოლოდ „ძალაუფლების“ მიმართ ინტერესით არ არის გამოწვეული. საბოლოოდ, სადამსჯელო ზომების შინაგანი ძალაუფლება (იქნებიან ისინი „რეპრესიული“ თუ „იდეოლოგიური“) და მათი მმართველი კლასის ძალაუფლების შუქზე ჩვენება მარქსისტული ინტერპრეტაციების სტანდარტია. თავად დიურკემიც კი სადამსჯელო სანქციებს კოლექტიური რწმენების ძალაუფლების გამოხატულებად მიიჩნევს. ამის ნაცვლად, ფუკოს განსაკუთრებულობა ძალაუფლებრივი ურთიერთობების სადამსჯელო ზომების ინტიმურ დეტალებში იდენტიფიცირებაში მდგომარეობს - წერტილებში, სადაც ძალაუფლებისა და ცოდნის სპეციფიკური ფორმები რეალურ კონტაქტში შედიან დამნაშავესთან - და სხვადასხვა პრაქტიკული ფორმების ანალიზში, რომელიც შედეგად შეიძლება მივიღოთ. ანალიზის ამ დონემ გახსნა კვლევის სივრცე, რომელიც აქამდე კონვენციური პენოლოგიის მიერ იყო დაკავებული და მეტნაკლებად ხელშეუხებელი იყო სოციოლოგებისა და პენოლოგების მიერ, რომლებიც მარქსისტული და დიურკემიანული ჩარჩოთი ხელმძღვანელობენ. შედარებით აბსტრაქტულ, გარეგან და „არა-პენოლოგიურ“ აღწერებთან კონტრასტში, რომლებსაც სხვა სოციოლოგიური ტრადიციები გვთავაზობენ, ფუკო სადამსჯელო პრაქტიკის უმნიშვნელო დეტალებს და ინსტიტუციური ცხოვრების ჩახლართულობებს ისეთი გზით მიემართება, რომელიც უკან იწვევს - და სცდება - ციხის ცხოვრების კლასიკურ აღწერებს, რომლებსაც გლემერი, საიკსი და გოფმანი გვთავაზობენ. უფრო მეტიც, რასაც ფუკო პოულობს ძალებისა და ურთიერთობების კომპლექსია, რომელიც მისი აზრით ბევრად ზოგადი სოციალური პატერნების სიმპტომია და ამგვარად სოციოლოგიას ისეთ მნიშვნელობას ანიჭებს, რომელიც მას აქამდე არ ქონია. ზედამხედველობისა და დასჯის შუქზე, კონვენციური პენოლოგიის „ტექნიკური“ და აშკარად „აპოლიტიკური“ წუხილები, იქცევა სწორედ იმ სფეროებად, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა ყველასთვის, ვისაც თანამედროვე საზოგადოებაში ძალაუფლების მოქმედების აღმოჩენა სურს. სასჯელი, ამგვარად, ნაჩვენებია, ძალაუფლებასთან შინაგანი და ინტიმური კავშირის მქონედ, იმის ნაცვლად, რომ მის სიტუაციურ ინსტრუმენტად ან მოკავშირედ იყოს განხილული.

ეს ახალი პერსპექტივა სასჯელის შესახებ გაჩნდა მაშინ, როდესაც პრაქტიკული მოვლენებიც იგივე მიმართულებით ვითარდებოდა. 1970-იანებში, როდესაც წიგნი პირველად გამოქვეყნდა, „მკურნალობისა“ და „რეაბილიტაციის“ მეთოდები პოლიტიკური შეტევის ქვეშ აღმოჩნდნენ ევროპაში, სკანდინავიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში; იგივე წნეხის ქვეშ მოექცნენ მაინდივიდუალიზებელი „პოზიტივისტური“ კრიმინოლოგიები, რომლებზეც ეს პოლიტიკა იყო დაფუძნებული. ამ კონტექსტში, ზედამხედველობამ და დასჯამ შემოგვთავაზა იმ სტრუქტურებისა და ინსტიტუციების სასტიკი კრიტიკა,

რომლებიც უშუალოდ ჩაგრავდნენ ადამიანებს, რომლებიც მათში აღმოჩნდნენ დაჭერილი. მისი ხანდახან რთულად აღსაქმელი ხასიათის მიუხედავად, ფუკოს ანალიზი ქმნის წარმოდგენას ფრუსტრაციებსა და წინააღმდეგობაზე. 1970-იანების ციხის ბუნტების მიღმა, უფრო სრულყოფილად გვაცნობიერებინებს ძალაუფლება-ცოდნის მანქანის მოქმედებას, რომელსაც პატიმრები კოლექტიურად ეწინააღდმეგებოდნენ.

ზედამხედველობისა და დასჯის გამოქვეყნების მომდევნო პერიოდში, აღმოცენდა კვლევის განშტოება, რომელიც სასჯელს ფუკოს ნაშრომიდან ამოზრდილი ტერმინებით აანალიზებს. ისეთმა ცნებებმა როგორებიცაა „ძალაუფლება“, „ცოდნა“, „ნორმალიზაცია“ და „დისციპლინა“ - ისევე როგორც „სოციალური კონტროლის“ უფრო ამორფულმა ცნებამ - ცენტრალური ადგილები დაიკავეს ამ ლიტერატურაში, რომლის დიდი ნაწილიც „დასჯის უფლების“ ანალიზს ეთმობა. ფუკოს თეზისი თანამედროვე სადამსჯელო ძალაუფლების შესახებ ზედმიწევნით შეისწავლეს და რაღაც ზომით დახვეწეს კიდეც. თანამდროვე სადამსჯელო სისტემის დისციპლინური და მანორმალიზებელი ასპექტები იდენტიფიცირებული და გაკრიტიკებულია, ისევე როგორც ფინანსური კონტროლი, კლასიკური კანონიერი სასჯელები და წმინდად რეპრესიული ზომები, რომლებიც მათთან ერთად აგრძელებენ ოპერირებას. კრიმინოლოგებმა - და ასევე კრიმინალური სამართლის პრაქტიკოსებმა - უფრო მეტად გააცნობიერეს ის გზები, რომლებითაც რეჟიმები საკუთარ დისციპლინურ ეფექტებს აღწევენ და ამჩნევენ იმ ხერხებს, რომლებითაც საზოგადოების შესწორებამ შესაძლოა ზედამხედველობის გავრცელება გამოიწვიოს. შედეგად, ახალი სადამსჯელო ხერხები, ახალი კვლევების გამოყენებით შეისწავლეს, რომელიც მათი გაფართოვების ეფექტებს ამჩნევს და დიდ ყურადღებას აქცევს ძალაუფლებისა და ცოდნის გადაცემას, რომელსაც ისინი მოიცავენ. ფუკოს შრომის შედეგად არსებობს ბევრად უფრო დიდი სენსიტიურობა სადამსჯელო ზომების ნიუანსების მიმართ და იმის მიმართ, რასაც ეს ნიუანსები მარეგულირებელ საშუალებებზე გვეუბნებიან, რომლების გავლითაც ჩვენ გვმართავენ და ასევე იმ სუბიექტურობის ფორმების შესახებ, რომელშიც კანონდამრღვევები არიან მოქცეული. ანალიტიკოსებმა ისწავლეს კრიმინოლოგიური კონცეფციების და ცოდნის იმ სხვა ფორმების სერიოზულად მიღება, რომლებზეც სადამსჯელო სტრატეგიებია დაფუძნებული. ასევე იმ შედეგების გამოწვევა, რომლებიც მოქმედებისა და აზროვნების ამ წესის მიერ არის შექმნილი - ორივე, დასჯის და უფრო ფართო მმართველობის საკითხების სფეროში. მოკლედ რომ ვთქვათ, სადამსჯელო კონტროლისა და ინსტიტუტების შინაგანი მუშაობა დღეს ბევრად უკეთ არის გაგებული, ვიდრე როდესმე.

სამწუხაროდ, პერსპექტივა, რომელსაც ზედამხედველობა და დასჯა ქმნის, ხშირად, სხვა საინტერპრეტაციო აღქმების ჩანაცვლებით არის მიღებული, მათი შევსებისა და განმარტებებისათვის ახალი განზომილებების დამატების ნაცვლად. ფუკოს პერსპექტივას ძალაუფლებაზე ხედავენ, როგორც დასჯის ზოგადი თეორიის შემოთავაზებას, რომელიც გამორიცხავს თეორიის სხვა ფორმებს მათი შეთვისების ნაცვლად. რაღაც აზრით, ეს ეწინააღმდეგება იმ სტატუსს, რომელსაც თავად ფუკო ანიჭებდა საკუთარ შრომას. დასჯის ზოგადი თეორიის იდეა - ან ნებისმიერი სხვა ამგვარი იდეა - არის ის, რასაც ფუკო ფრთხილად უარყოფს და ამბობს, რომ ის დაინტერესებულია სპეციფიკური პრაქტიკებითა და კონკრეტული დეტალებით და არა დიდი თეორიით. მაგრამ როგორც აქამდე ვთქვით, ამ მოკრძალებული უარყოფის უკან იმალება მკაფიო მტკიცება იმისა, რომ პერსპექტივა, რომელსაც ის ავითარებს სინამდვილეში ფუნდამენტურია. ის ძირს უთხრის და ფარავს ყველა სხვა განმარტებას. ეს არის ის, რაც შედეგად მოხდა - დიდმა მტკიცებებმა უფრო მცირეები ჩაანაცვლეს - იმგვარად, რომ განზრახულად არასრული და მიკერძოებული მიდგომა დღეს ზოგადად ითვლება, რომელიც დასჯის სფეროში ყველაფრის ასახსნელად არსებობს.

თავი 4. სადამსჯელო პოპულიზმი

თარგმნა ნინო ზარანდიამ.

სადამსჯელო პოპულიზმი გულისხმობს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის მკაცრი პოლიტიკების (ყველაზე მეტად ეს თავისუფლების აღკვეთას ეხება) მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერა პოლიტიკის კეთებისა და საარჩევნო ციკლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალად იქცა, რასაც შედეგად კიდევ უფრო გამკაცრებული სადამსჯელო მექანიზმების გააქტიურება მოჰყვა, განურჩევლად ხსენებული მექანიზმების უნარისა, შეემცირებინათ დანაშაული ან შეემსუბუქებინათ მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნობილი კორელატის ეფექტები.

ტერმინი "სადამსჯელო" სისხლის სამართლებრივი სანქციების თავისუფლების აღკვეთის მიზნით გამოყენებას მიემართება. 1980-ანი წლებიდან მოყოლებული, თავისუფლების აღმკვეთი სადამსჯელო მექანიზმების გამრავლებას გადამწყვეტი ეფექტები ქონდა როგორც შეერთებულ შტატებში, ისე გაერთიანებულ სამეფოში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ცნება "პოპულიზმი", კონკრეტული ჯგუფების სენტიმენტთა, რწმენათა და იდეოლოგიათა სიმრავლეს აღნიშნავს, რომელიც უპირისპირდება პოლიტიკის მკეთებლებისა თუ ელიტების სენტიმენტებს, განსაკუთრებით იქ, სადაც საზოგადოების კონკრეტული სეგმენტები ელიტათა მმართველობითი პოლიტიკის შედეგად მარგინალიზაციისა და ზიანის ყურადსაღებ ეფექტებს განიცდიან.

სადამსჯელო მექანიზმების მიმართ პოპულისტური მხარდაჭერა ახალი ფენომენი არ გახლავთ. არც ის მოსაზრებაა ახალი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკოსები დანაშაულს თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებენ. მაგრამ სადამსჯელო პოპულიზმის ცნება უფრო მეტად შეერთებულ შტატებსა და სხვა დასავლურ ქვეყნებში - ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვანწილად გაიზარდა პენიტენციალურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავდებულთა რაოდენობა და სისხლის სამართლის სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა პოლიტიკის შემუშავებისა და ადმინისტირების განხრით - წარმოქმნილ უახლეს ისტორიულ ტრენდებს უკავშირდება. სახელდობრ, ცვლილებები შეეხო დანაშაულის კონტროლის სფეროში სამოქალაქო ინიციატივების ზრდას; სადამსჯელო და გამოსწორებაზე ორიენტირებული ღონისძიებების გატარებისას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამართლებრივი კომპონენტის ზრდას; განაჩენის გამოტანისას იურიდიული დისკრეციის შემთხვევათა კლებას და ვადამდელი გათავისუფლების შემთხვევათა შემცირებას ან ამ პრაქტიკის მთლიანად გაუქმებას.

ზემოთხსენებული ცვლილებების მომასწავებელი ნიშნები ჯერ კიდევ 1960იან წლებში გამოიკვეთა, როცა შეერთებულ შტატებსა და რამდენიმე სხვა დასავლურ სახელმწიფოში აღრიცხული დანაშაულის გაჭიანურებული ზრდის ტენდენცია გამოაშკარავდა. ამასთან ერთად, ცხადი გახდა ის სოციალური უკმაყოფილებაც, რომელიც ანტაგონისტურ და ხშირად შუღლის გამაღვივებელ სოციალურ და კულტურულ დაყოფებს წარმოქმნიდა. შტატებში 1960-იანები სამოქალაქო უფლებების მოძრაობის, ომის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობების, ფემინისტური მოძრაობების, კონტრკულტურული მოძრაობების და მნიშვნელოვანი სოციალური კონფლიქტების პერიოდია - კონფლიქტებისა, რომელთაც ამბოხის, დემონსტრაციებისა და სამოქალაქო უკმაყოფილების ფორმები მიიღეს. თუმცა ამ მოძრაობებს ბევრი ამერიკელი აღუდგა წინ და 1960-იანების მიწურულს უკვე გამოიკვეთა კონსერვატიული ოპოზიცია, რომელიც არა მხოლოდ სამოქალაქო უფლებებს, ფემინიზმსა და სხვა სამოქალაქო მოძრაობებს,

არამედ კენედისა და ჯონსონის ადმინისტრაციების მიერ გატარებული "დიადი საზოგადოების" პროგრამებს, ფედერალური მთავრობისა და კეთილდღეობის სახელმწიფოს გაფართოებასა და ამერიკულ კულტურაში მორალის გაქრობას ეწინააღმდეგებოდა.

მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა გაერთიანებულ სამეფოშიც, სადაც პოლიტიკური და სოციალური დაყოფები უფრო და უფრო რადიკალურ ფორმებს იღებდა. კეინზიანური ეკონომიკის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემებისა და სხვა სახელმწიფო პროგრამების გარშემო არსებული ომისშემდგომი კონსესუსი, რომელიც დოვლათის გადანაწილებისა და ინდუსტრების დაცვისაკენ იყო მიმართული, გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკური ზრდის მთავარ განმაპირობებელ მიზეზად გვევლინებოდა ჯერ კიდევ 1945 წლიდან. მაგრამ 1970იანი წლების მიწურულს ამ პროგრამებს უამრავი კონსერვატორი უკვე მზარდ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პრობლემებს უკავშირებდა. მიუხედავად იმისა, რომ დანა-შაულის, სოციალური უკმაყოფილებისა და ანტაგონისტური სოციალური მოძრაობების ზრდა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ მიმდინარეობდა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი პოლიტიკური შედეგები აქ მაინც უფრო მკაფიოდ გამოიხატა. 1964 წელს ბერი გოლდუოთერმა საპრეზიდენტო კამპანიის მსვლელობისას ტერმინი "კანონი და წესრიგი" გამოიყენა, რათა მზარდ სოციალურ უკმაყოფილებასთან, განსაკუთრებით კი სამოქალაქო უფლებების მოძრაობასთან მიმართებით კონსერვატორული პოზიცია გამოეხატა. გოულდუოთერი, "მისტერ კონსერვატორად" წოდებული კანდიდატი, ლინდონ ჯონსონმა დიდი უპირატესობით დაამარცხა, მაგრამ, როგორც ბევრმა ისტორიკოსმა შენიშნა, ეს მარცხი კონსერვატორი პოპულისტებისთვის ქვემოდან ორგანიზებისა და პოლიტიკური სტრატეგიების შემუშავების საკითხებში კატალიზატორად იქცა. რონალდ რეიგანის საგუბერნატორო კამპანია 1966 წელს კალიფორნიაში ამგვარი ორგანიზების შედეგი იყო. საკამპანიო პლატფორმა ხაზს უსვამდა "კანონისა და წესრიგის" მნიშვნელობას საპროტესტოდ გამოსული სტუდენტებისა და სიკვდილით დასჯის გარშემო წარმართულ დებატებთან კავშირში. 1968 წელს რიჩარდ ნიქსონმა ეს ტერმინი კიდევ ერთხელ გამოიყენა, როგორც საპრეზიდენტო კამპანიის ძირითადი სტრატეგიის ნაწილი, მაგრამ გოლდუოთერისგან განსხვავებით - მზარდი კულტურული და სამოქალაქო დაძაბულობების ფონზე - ნიქსონის ეს კამპანია წარმატებული გამოდგა. ნიქსონის მემკვირდეობა, უპირველეს ყოვლისა, უოთერგეიითის სკანდალს და, შემდგომში, პრეზიდენტის გადადგომას უკავშირდება, მაგრამ მისმა ორმა წარმატებულმა კამპანიამ პოლიტიკური კონსერვატორები აიძულა თავიანთი პოზიციები გადაეაზრათ და აქტიური კამპანიები ეწარმოებინათ "პრინციპული საკითხების" გარშემო, რამაც მათ სოციალურად კონსერვატორი ამომრჩევლების ხმები მოუტანა - ამომრჩევლებისა, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, ეკონომიკურ და ისტორიულ მიზეზთა გამო, დემოკრატებს დაუჭერდნენ მხარს. რიჩარდ ვიგერი, გავლენიანი კონსერვატორი და პირდაპირი საფოსტო კამპანიის არქიტექტორი, 1980 წელს, რონალდ რეიგანის წარმატებული საპრეზიდენტო კამპანიის საკვანძო ფიგურად მოგვევლინა. ის ამტკიცებდა, რომ "ახალი მემარჯვენეობის" აღზევება ამერიკულ პოლიტიკაში სწორედ ამგვარი "პრინციპული საკითხების" შედეგი იყო, რაც არა მხოლოდ "კანონსა და წესრიგს", არამედ აბორტს, სკოლებში ლოცვის პრაქტიკის დანერგვას და სოციალურად კონსერვატორ ამომრჩევლებზე ორიენტირებულ სხვა თემებსაც მოიცავდა. მაგრამ, "კანონისა და წესრიგის", როგორც კამპანიის სტრატეგიის, ნაყოფიერებამ 1960-1970 წლების მიჯნაზე ეს თემა "პრინციპული საკითხების" მიღმა, ამერიკული პოლიტიკის მეინსტრიმში დააყენა. 1970იანი წლების მიწურულს, დანაშაულის სტატისტიკა შეერთებულ შტატებში ორ დეკადიან ზრდას აჩვენებდა, განსაკუთრებით კი მძიმე დანაშაულის კომპონენტში. დანაშაულის ამ პრობლემაზე კაპიტალიზებით, კონსერვატორებმა პრობლემა ეფექტურად გადათარგმნეს "კანონისა და წესრიგის" ტერმინებში და სიღარიბეს, დისკრიმინაციასა და საზოგადოებრივ მარგინალიზაციას შეუპირისპირეს.

ამას რამდენიმე მიზეზი ქონდა, პირველ რიგში საზოგადოებრივი რეაბილიტაციის დაპირების მიმართ საზოგადოებრივი ნდობა ნელნელა ქრებოდა, რაც 1974 წელს რობერტ მარტინსონის მიერ გამოქვეყნებულ ცნობილ ანგარიშში აისახა, სადაც კორექციასა და რეაბილიტაციაზე ორიენტირებული 231 პროგრამა იყო განხილული ეფექტურობის ძალზე დაბალი მაჩვენებლით. ამას გარდა, რეაბილიტაციის პროგრამების აშკარა წარუმატებლობის ფონზე, მოცემულობაში, სადაც ბევრი ლიბერალი რასობრივ უთანასწორობასა და სასჯელის განუსაზღვრელ ვადებს აქტიურად ეწინააღმდეგებოდა, კონსერვატორებმა გაიაზრეს, რომ დემოკრატებსა და პროგრესულ ფრთას მზარდ კრიმინალთან მიმართებით ცხადი პოლიტიკური გზავნილი არ გააჩნდათ. ამან კონსერვატორებს საშუალება მისცა ლიბერალური სტატუს-კვო "დანაშაულის მიმართ რბილი მოპყრობის" სტატეგიად აღეწერათ, რასაც კარგად აჯამებდა კონგრესმენი ჯერარდ ფორდი ჯერ კიდევ 1965 წლის გამოსვლაში, სადაც ის კითხულობდა:

"როდემდე უნდა ვთქვათ უარი კანონსა და წესრიგზე რბილი მოპყრობის სოციალური თეორიის სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც ადამიანი, რომელმაც ფანჯარა აგურით ჩაგიმტვრიათ ან ავტომობილში ბომბი შემოგიგდოთ, დისფუნქციური ოჯახის არაპრივილეგირებული და თანაგრძნობას მოკლებული სუბიექტია?"

(Edsall & Edsall, 1992, გვ. 51)

მესამე მიზეზი ის გახლდათ, რომ 1970-იანი წლების მიწურულს, მსხვერპლთა უფლებების დამცველი მოძრაობები შტატებში ხილვადობასა და პოლიტიკურ გავლენას იძენდნენ. დასაწყისში, როცა ეს მოძრაობები ნაკლებად აგრესიულად იყვნენ განწყობილი, კონსერვატორებმა მოახერხეს "კანონისა და წესრიგის" პლატფორმის საკანონმდებლო ჩარჩოსთან შერწყმა, რამაც მსხვერპლებს მეტი უფლებებიც მიანიჭა და ის გზავნილიც მკაფიოდ გაუშვა, რომლის მიხედვითაც მსხვერპლთა მხარდაჭერა დამნაშავეთა უფრო მკაცრად დასჯას იგულისხმებდა. კონსერვატორმა პოლიტიკოსებმა, განსაკუთრებით კი რონალდ რეიგანმა, შეძლო და ამგვარი მოძრაობებისთვის შინაგანი პოპულიზმის უზურპირება მოახდინა. ეს პოპულიზმი სისხლის სამართლის საკანონმდებლო სისტემის მიმართ უნდობლობით გამოირჩეოდა, ეფუძნებოდა რა განცდას, რომლის მიხედვითაც სისტემა, მსხვერპლთა უფლებების შელახვის ხარჯზე, დამნაშავეებს აძლიერებდა. ის ასევე ეფუძნებოდა რწმენას, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის სპეციალისტები, სამართლიანობისთვის ბრძოლაში, ხშირად მსხვერპლთა ხელახალ ვიქტიმიზაციას ახდენდნენ.

დაბოლოს 1970-იანებში კონსერვატორებმა დანაშაულის პრობლემატიკა სხვა სოციალურ პრობლემებს, სახელდობრ კეთილდღეობის სისტემებს, ნაადრევ ასაკში ფეხმძიმობასა და აბორტს დაუკავშირეს. ამ მოსაზრებებს კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა კრიმინოლოგებმა ჯეიმს ქ. უილსონმა და ჩარლზ მარეიმ შესძინეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სიღარიბე დანაშაულებრივი ქმედების განმაპირობებელი ფაქტორი არ იყო, როგორც ამას უწინ თვლიდნენ; რომ კეთილდღეობის სისტემები ზოგიერთ შემთხვევაში კრიმინოგენულ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდნენ; რომ დანაშაულის ზრდა მორალური ლმობიერების კულტურის შედეგი იყო და პირდაპირ უკავშირდებოდა შემდგომი დანაშაულის აღკვეთისთვის აუცილებელი პროპორციული სასჯელისთვის საჭირო მაიძულებელი მექანიზმების სიმწირეს. უილსონი, მარეი და სხვები კრიმინოლოიაში "მემარჯვენე რეალიზმის" ფრთას წარმოადგენდნენ და მეტწილად აღკვეთისა და შეკავების პოლიტიკის თეორიებს ეყრდნობოდნენ. ამ მიდგომისთვის ფუნდამენტურია რწმენა, რომლის თანახმად დანაშაულის კონტროლის რეაბილიტაციაზე

უფრო ეფექტური ხერხი სასჯელია, თავად დამნაშავეებისთვისაც კი, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების რისკებსა და ბენეფიტებს წონიან. უილსონთან ერთად, ენდრიუ ფონ ჰირში და სხვა მკვლევარებიც გამოდიოდნენ რეაბილიტაციაზე ორიენტირებული სასჯელის განუსაზღვრელი ვადების წინააღმდეგ და იცავდნენ დანაშაულის კონცეფციას, რომელიც სოციალური მიუკერძოებლობისა და პროპორციული სასჯელის ცნებებით ოპერირებდა, ნაცვლად სასჯელისა, როგორც აღმკვეთი და პრევენციული ღონისძიების კონცეფციისა. ცალკე აღებული არცერთი ეს თეორია, პრევენციული იქნებოდა თუ სადამსჯელო, არც მსხვერპლთა უფლებების დამცველი მოძრაობების აღზევება და არც სასჯელის რეაბილიტაციურ მოდელში არსებული პრობლემები, არ მიანიშნებდნენ რომელიმე ერთ კონკრეტულ, მკაფიო სტრატეგიაზე კრიმინალზე საზოგადოების სასურველ რეაქციასთან მიმართებით. თუმცა კოლექტიურად მათ პოლიტიკის ექსპერტებს შესაძლებლობა მისცეს ამ განსხვავებული და ხშირად დაპირისპირებული პოზიციებიდან საერთო დასკვნები გამოეტანათ და ეს დასკვნები "დანაშაულზე მკაცრი რეაგირების" რუბრიკის ქვეშ გაეერთიანებინათ. ეს პოლიტიკური დისკურსი და საკამპანიო სტრატეგია საკმარისად მოქნილი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ერთდროულად მოეცვა როგორც აღმკვეთი, ისე დამსჯელობითი ლოგიკები და, ამავდროულად, საკმარისად კომპაქტურიც, რათა დანაშაულის პრობლემატიკა უშუალოდ დასჯასა და იძულებასთან დაეკავშირებინა. "დანაშაულზე მკაცრი რეაგირების" კონცეფციის ეფექტურობაზე აპელირებას პოლიტიკური კანდიდატების მხრიდან დევიდ გარლანდი (Garland, 2001) "დანაშაულის კონტროლის პოლიტიზაციას" უწოდებს, ხოლო ჯონათან საიმონი (Simon, 2007) "დანაშაულით მართვის" სტრატეგიის აღზევებას პოლიტიკურ ელიტებში. საიმონი იმას კი არ ამტკიცებს, რომ დანაშაული მეოცე საუკუნის დასასრულის ერთადერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, არამედ იმას, რომ დანაშაული უამრავი პოლიტიკური კამპანიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საკითხად იქცა, საკითხად, რომელსაც კანდიდატები სათავისოდ იყენებდნენ, რათა დანაშაულზე მსჯელობისას ოპონენტებზე მეტი სიმკაცრე გამოეჩინათ. 1988 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კარგად გამოჩნდა ის საფრთხე, რომელიც "დანაშაულის მიმართ ლმობიერად განწყობილის" იმიჯთან იყო დაკავშირებული. კამპანიის მსვლელობისას ჯორჯ ბუში წარმატებით აკრიტიკებდა მაიკლ დუკაკისს, რომელიც მასაჩუსეტსის გუბერნატორობისას მხარს უჭერდა პროგრამას, რომლის მიხედვითაც მსჯავდებულებს საკვირაო შვებულებით სარგებლობა შეეძლოთ. ერთ-ერთი ასეთი ორდღიანი შვებულებისას მსჯავრდებულმა უილი ჰორტონმა რამდენიმე სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, მათ შორის გაუპატიურება. ჰორტონის მაგალითზე ბუშის კამპანიამ შეძლო და წარმატებით მოახდინა დუკაკისის, როგორც დანაშაულის მიმართ ლმობიერად განწყობილის იმიჯის შექმნა და მისი ისე წარმოჩენა, თითქოს გუბერნატორს ამერიკული საზოგადოების პრობლემებზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ბუშის საპრეზიდენტო კამპანიისთვის ამ სტრატეგიის ცენტრალურ მნიშვნელობას ხაზს არაერთი მკვლევარი და პუბლიცისტი უსვამდა, მაგრამ ამ პერიოდში დუკაკისი, სავარაუდოდ, "დანაშაულის მიმართ ლმობიერი განწყობის" პოლიტიკის კარიკატურულ მაგალითს წარმოადგენდა, რადგანაც დანაშაულთან მიმართებით უფრო და უფრო მკაცრ პოზიციებს რესპუბ-ლიკელებთან ერთად ახლა უკვე დემოკრატებიც გამოხატავდნენ. ბილ კლინტონის 1992 წლის საპრეზიდენტო კამპანიამ დანაშაულთან ბრძოლის რესპუბლიკური მეთოდიკიდან ბევრი რამ ისესხა და ათასობით ახალი პოლიციის ოფიცრის დაქირავებას, ნარკოტიკებზე გამოცხადებული ომის გაგრძელებას და სიკვდილით დასჯის შენარჩუნებას დაუჭირა მხარი. და მართლაც, 1990-იანი წლების დასაწყისში უკვე არაერთი დემოკრატი პოლიტიკოსი ეცილებოდა რესპუბლიკელებს დანაშაულის მიმართ მკარცი პოლიტიკის გატარებაში, მეტწილად მზარდად სადამსჯელო პლატფორმების ათვისებით, რაც უფრო და უფრო ემსგავსებოდა მათი რესპუბლიკელი ოპონენტების მიდგომას.

1980-დან 2000 წლამდე თავისუფლების აღკვეთის სტატისტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში 350%-იან ზრდას აჩვენებდა. ასე ნაწილობრივ იმიტომ მოხდა, რომ გაიზარდა მძიმე დანაშაულის მაჩვენებელი, რაც, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 1990-იან წლებამდე 30 წლიან მატებას განიცდიდა, მაგრამ, უმეტესწილად, დანაშაულის ასეთი დრამატული ზრდა განაპირობა არა მძიმე დანაშაულის მატებამ, არამედ გამეორებით ჩადენილი დანაშაულის სავალდებულო პატიმრობით აღკვეთამ, თავდებით გათავისუფლების შემთხვევათა შემცირებამ, როგორც ფედერალურ, ისე სახელმწიფო დონეებზე, და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისათვის პატიმრობის შეფარდების შემთხვევათა მატებამ. მაგალითისთვის, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო საპატიმროში განთავსებული მსჯავდებულების რაოდენობამ 1988 წლისთვის სხვა მძიმე დანაშაულთა მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. გარდა ამისა, 1980-იანების მიწურულს კალიფორნია და ზოგიერთი სხვა შტატი რუტინულად აბრუნებდა პენიტენციურ დაწესებულებებში თავდებით გათავისუფლებულ მსჯავლდებულებს, რომელთაც თავდების წესის მსუბუქი დარღვევა ედებოდათ ბრალად. 2000-იანი წლების მიწურულს 31-დან 1 ამერიკის მოქალაქე თავდებისა თუ პრობაციის პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებას დაუბ-რუნდა. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ნებისმიერი სხვა დასავლური ინდუს-ტრიალიზებული სახელმწიფოს მაჩვენებელს.

ეს ტრენდები კარგად ასახავენ იმას, რასაც სოციალური მეცნიერები უწოდებენ "დამსჯელობით შემობრუნებას" ამერიკულ საზოგადოებაში, თუმცა ამგვარი ცვლილებები, შედარებით მცირე მასშტა-ბებზე, გაერთიანებულ სამეფოში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაშიც ხდებოდა. ასეთი შემობრუნების მიზეზები კომპლექსურია, მაგრამ უამრავი მკვლევარი მიუთითებს დანაშაულის პოლიტიზაციაზე, როგორც ერთ-ერთ ამხსნელ ცვლადზე, განსაუთრებით იქ, სადაც ზემოთხსენებულ სტრატეგიებს ამომრჩეველთა ძლიერი მხარდაჭერა უმაგრებდა ზურგს. ენტონი ბოტომსი (Bottoms, 1995, გვ. 40) ბრიტანელი კრიმინოლოგი პირველი იყო, ვინც ტერმინი "პოპულისტური დამსჯელობითობა" გამოიყენა იმასთან კავშირში, რასაც იგი "საზოგადოების ზოგადი დამსჯელობითი განწყობებით მანიპულირებას და პოლიტიკოსთა მიზნების სამახურში ჩაყენებას" უწოდებდა. ბოტომსის არგუმენტის თანახმად, "პოპულისტური დამსჯელობითობა", ცალკე აღებული, სისხლისა თუ სამოქალაქო სამართლის სადამს-ჯელო ფილოსოფიებში მომხდარ ცვლილებებს ვერ ახსნიდა, თუმცა, ის წარმოადგენდა ერთ-ერთ მნი-შვნელოვან კომპონენტს ცვლილებათა სიმრავლეში, სადაც პროპორციული დასჯისა და სადამსჯელო მართლმსაჯულების პრაქტიკები, ისევე როგორც გამოსწორების მზარდად მენეჯერიალური მეთოდები მოიაზრებოდნენ. ბოტომსის მსგავსად, დევიდ გარლანდი (Garland, 2001, გვ. 13) ამტკიებდა, რომ 21-ე საუკუნის დამდეგს უკვე სახეზე გვქონდა "საკუთრივ პოპულისტური ნაკადი სადამსჯელო პოლიტიკაში, რომელიც აკნინებს ექსპერტებისა და პროფესიული ელიტების როლს და აპელირებს "ხალხის" ავტორიტეტზე, საღ აზრსა და "მარტივ ჭეშმარიტებებთან დაბრუნებაზე". დანაშაულის მართვის პოლი-ტიკის დომინანტური ხაზი აღარც ექსპერტებზე გადის და აღარც ამ სფეროს პრაქტიკოსებზე, არამედ მრა-ვალტანჯულ და საჭიროებაუგულვებელყოფილ "ხალხზე" - განსაკუთრებით კი "მსხვერპლსა" და საზო-გადოების შეშინებულ, მშფოთვარე წევრებზე.

ამგვარი პოპულიზმის ეფექტებში არა მხოლოდ დასჯის ისეთი პრაქტიკების მომრავლება ეწერება, როგორებიც პატიმრობა და შუალედური სანქციებია, არამედ რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის დაპი-რებათა აღსრულების უფრო და უფრო შემცირებული შემთხვევებიც. დანაშაულის მიმართ სიმკაცრის გამოვლინება არა მხოლოდ დამსჯელობითი პრაქტიკების მომრავლებას ნიშნავდა, არამედ, ხშირად, გამოსწორებასა და რეაბილიტაციაზე მიმართული პროგრამების გადამზადებისა და განათლების მიღების პრაქტიკების შემცირებასაც გულისხმობდა. 1990-იანი წლების შუა პერიოდში ჩატარებულმა

კვლევამ აჩვენა, რომ, როგორც ფედერალურმა მთავრობამ, აგრეთვე, სულ მცირე, შტატების ნახევარმა შეამცირა მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი (Lillis, 1994) და ხსენებული ათწლეულის განმავლობაში გათავისუფლებული მსჯავდებულები გათავისუფლებამდელ საგანმანათლებლო და პროფესიული სერვისებით უფრო ნაკლებად სარგებლობდნენ, ვიდრე წარსულში (Lynch & Sabol, 2001) და მაინც, ყველა ამ ტრენდს მხოლოდ სადამსჯელო პოპულიზმის აღზევებაზე ვერ დავიყვანთ. ნაცვლად ამისა, სავარაუდოა, რომ ამგვარი პოპულიზმი თავად წარმოადგენს შედეგს განმაპირობებელ ფაქრტორთა მთელი სიმრავლისა, რომელიც ერწყმის და გავლენას ახდენს სისხლის სამართლის ცვალებად პოლიტიკებზე, მათ შორის დაბერებულ მოსახლეობაზე, სახელმწიფო ფისკალურ კრიზისებსა და ფინანსურ დაძაბულობებზე, მზარდ ეკონომიკურ გაურკვევლობებზე, დოვლათის არათანაბარ გადანაწილებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ დაყოფებზე და, როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, მუდმივად ცვალებად სოციალურ და კულტურულ ტრენდებზე. და მართლაც, იმ ფონზე, როცა ამგვარი პოპულიზმი მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა პენიტენციურ დაწესებულებათა რიცხვის ოცდაათწლიან ზრდას, უამრავი ამომრჩეველი და სულ უფრო მეტი პოლიტიკის ექსპერტი - ფისკალური ქამრების მოჭერის მმართველობითი პოლიტიკის გამოწვევათა კვალდაკვალ - აკრიტიკებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისთვის გამოყოფილ გაბერილ ბუჯეტებს. 2011 წელს შეერთებულ შტატებში მსჯავდებულთა აბსოლუტური რაოდენობა 40 წლის განმავლობაში პირველად შემცირდა, რაც, შესაძლოა, დანაშაულის კონტროლის სფეროში პოპულისტური დღის წესრიგის უკან დახევას მოასწავებდეს.

ბიბლიოგრაფია:

Bottoms, A (1995). The philosophy and politics of punishment and sentencing. In C. Clarkson & R. Morgan (Eds.). The politics of sentencing reform (pp. 17-49). Oxford: Clarendon Press.

Edsall, T.B., & Edsall, M. D. (1992). Chain reaction: The impact of race, rights, and taxes on American politics.

New York: Norton

Garland, D. (2001). The culture of control: Crime and order in contemporary society. Oxford University Press.

Lillis, J. (1994). Prison education programs reduced. Corrections Compendium, 19(3), 1 - 11.

Lynch, J. P., & Sabol, W.J. (2001). Prisoner reentry in perspective. Washington, DC: The Urban Institute.

Martinson, R. (1974). What works? Questions and answers about prison reform. The Public Interest, Spring, 22 - 54.

Simon, J. (2007). Governing through crime. Oxford: Oxford University Press.

თავი 5. ნულოვანი ტოლერანტობის კულტურული და სიმბოლური რეზონანსი თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში[3]

ავტორი: ქარიმ ისმაილი

თარგმნა ნინო კარანაძემ.

ნულოვანი ტოლერანტობა არის „პოპულარული ლოზუნგი პოლიტიკოსთათვის, რომლებიც სიმკაცრით გამოირჩევიან". ის ასევე წარმოადგენს ლოზუნგს ადვოკატირებისათვის საერთაშორისო დონეზე. ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, სხვადასხვა პოლიტიკოსები ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და სამხრეთ აფრიკიდან იწონებენ ამ აგრესიულ საპოლიციო მიდგომას. მართალია, ეს არის ნათელი გამოხატულება იმისა, თუ როგორი სიმარტივით ვრცელდება იდეები თანამედროვე მსოფლიოში, თუმცა მხოლოდ ეს არ ხსნის ამ იდეის ასეთ დიდ პოპულარობას. ასევე, ამით არ აიხსნება ის, თუ რატომ აღაფრთოვანა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ ამდენი ადამიანი 1990 წლების შუაში და ბოლოს.

იმისათვის, რომ ამ კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა შევძლოთ, მნიშვნელოვანია ნულოვანი ტოლერანტობის იდეის ახსნა ფართო სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში. ეს სტატია ამტკიცებს, რომ ნულოვანი ტოლერანტობა რეალიზდება თანამედროვე კულტურაში, რადგან იგი სიმბოლური გამოხატულებაა საზოგადოებაში არსებული მრავალმხრივი დაძაბულობისა და შფოთვისა. ეს შფოთვები ვლინდება სამართლისა და წესრიგის ხშირად არამდგრადი და წინააღმდეგობრივი პოლიტიკის საშუალებით, საზოგადოებაში მარგინალური მოსახლეობის რუტინული კონტროლით და ამ ორი მოვლენის მიმართ საზოგადოებრივი ტოლერანტობის მაღალი დონით.

ბოლოდროინდელი კვლევები აჩვენებს, რომ თავისუფალი ბაზრის, ნეოლიბერალიზმის და სოციალური კონსერვატიზმის ზრდა დასავლეთის ინდუსტრიულ დემოკრატიებში მნიშვნელოვან ფონს ქმნის, სადაც ღვივდება საზოგადოებაში არსებული შიშები. ნულოვანი ტოლერანტობის იდეა, რომელიც გაუღენთილია პოპულისტური ხიბლითა და მნიშვნელობით, მთელი თავისი კულტურული და სიმბოლური რეზონანსით, თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში დამატებით გააზრებას საჭიროებს.

შესავალი

ნულოვანი ტოლერანტობა არის ფრაზა, რომელიც სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში გამოიყენება. მათ შორის, განათლების პოლიტიკა ბულინგის წინააღმდეგ, ან დამსაქმებლის მიდგომა სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. ნულოვანი ტოლერანტობა გულისხმობს წესრიგის დაწესებას პირდაპირი ინტერპრეტაციით და წესების მკაცრი შესრულებით. ეს ფრაზა გახდა საჯარო მოხელეთა, საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მქონე პირთა და მედიის წარმომადგენელთა

[3] თარგმანი მომზადებულია სოციალური სამართლიანობის ცენტრის (EMC) მიერ „ღია საზოგადოების ფონდების" (OSF) მხარდაჭერით. თარგმანში სრულად არის შენარჩუნებული სტატიის შინაარსი და ავტორის სტილი. თარგმანზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი (EMC).

ყოველდღიური ლექსიკის ნაწილი. სხვადასხვა ინსტიტუტები მათ მიერ აღქმულ პრობლემებსა თუ საკითხებს სწორედ ნულოვანი ტოლერანტობით პასუხობენ.

სისხლის სამართლის სფეროში ნულოვანი ტოლერანტობა ყველაზე ხშირად ასოცირდება საპოლიციო მიდგომასთან, რომელიც აგრესიულ რეჟიმში უპირისპირდება სამეზობლო-სათემო კანონდარღვევებს, როგორიცაა ქუჩაში შემწეობის თხოვნა, სიმთვრალე (საჯარო ინტოქსიკაცია), ვანდალიზმი, გრაფიტი და პროსტიტუცია. ამ პროაქტიული, თავდაჯერებული და მტკიცე პოლიციური სტრატეგიის მომხრეები მიიჩნევენ, რომ უმნიშვნელო კანონდარღვევების უპასუხოდ დატოვების შემთხვევაში, შესაძლოა შეიქმნას იმგვარი გარემო პირობები, რომლებიც წაახალისებს უფრო მძიმე დანაშაულებებს (ბურკე, 1998). ეს მიდგომა ყველაზე მკაცრად გამოყენებული იქნა ნიუ – იორკში, სადაც, 1994 წლიდან, პოლიციამ დაიწყო „ცხოვრების ხარისხის კამპანია“ წვრილმანი კანონდამრღვევების წინააღმდეგ.

ეს წამოწყება ხასიათდებოდა მცირე დანაშაულებების მიმართ შეუწყნარებლობით (1993- 1998 წლებში წვრილმანი კანონდარღვევებისათვის პატიმრობა 66%-ით გაიზარდა), აქტიურად ხდებოდა უკანონო იარაღის ამოღების მიზნით გამვლელების გაჩერება და ჩხრეკა (ე.წ. stop-and-frisk), გახშირდა დაკავების ორდერების მიხედვით შემოწმება და თითის ანაბეჭდების შეგროვება (ჰარკურტი, 2001). დაფიქსირებული დანაშაულებრივი შემთხვევების დრამატულმა შემცირებამ, რომელიც ემთხვეოდა ზემოხსენებული კამპანიის მიმდინარეობას, თავდაჯერება შემატა პოლიციის წარმომადგენლებს და, შედეგად, 1998 წელს პოლიციის ხელმძღვანელობამ ლოზუნგი „ცხოვრების ხარისხის კამპანია“ შეცვალა „ნულოვანი ტოლერანტობით“ (სკოლნიკ 1999).

ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის აგრესიულმა საპოლიციო მიდგომამ” გამოიწვია მწვავე კამათი კრიმინოლოგებს, ჟურნალისტებს, პოლიციის აღმასრულებლებს და საზოგადოების სხვა წარმომადგენ-ლებს შორის” (ეკი & მაგვაიერი, 2000, გვ. 225). ზოგი ეჭვქვეშ აყენებდა აზრს, რომელიც 90-იანი წლების დანაშაულის შემცირებას პოლიციის განყოფილების მუშაობის შედეგად მიიჩნევდა (ბლუმსტეინი & ვოლმანი, 2000; კარმენი, 2000). სხვებს ჰქონდათ კითხვები იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ნულოვანი ტოლერანტობის საპოლიციო რეჟიმი ამცირებს მძიმე დანაშაულს (ჰარკურტი, 2001 ა). დება-ტებს დაემატა ის აზრიც, რომ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა წარმოადგენს ჰიპერ-აგრესიულ პრაქტიკას, რომელიც უსამართლოდ გამოიყენება იმ ადამიანების გაძევებისათვის ქალაქის საზო-გადოებრივი/საჯარო სივრცეებიდან, რომლებიც არ ექცევიან ზოგად ნორმებში (მაკარდლი, 2001). ბევრს ასევე აღელვებდა ის, რომ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ გამოიწვია ინდივიდუალური უფლე-ბების დარღვევა, ნდობის ეროზია პოლიციისადმი და საზოგადოების დაყოფა ეკონომიკური და რასობ-რივი ხაზების მიხედვით. როგორი მნიშვნელოვანი და მრავალმხრივიც არ უნდა ყოფილიყო ეს დებატები, მათ ხელი ვერ შეუშალეს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ინსტიტუციონალიზებას და მისი წამყვანი როლის აღიარებას ნიუ–იორკში დანაშაულის შემცირებაში.

ნულოვანი ტოლერანტობის ამგვარად აღქმულმა წარმატებამ იგი „პოპულარულ ლოზუნგად აქცია პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც მკაცრ მიდგომებზე აპელირებდნენ“ (დიქსონი, 2000, გვ. 1). ის ასევე იქცა ლოზუნგად საერთაშორისო ასპარეზზე. გარდა ამერიკელი პოლიტიკოსებისა, ამ აგრესიულ პოლიციურ სტრატეგიას იწონებდნენ წარმომადგენლები ავსტრალიიდან, საფრანგეთიდან, ჰონდუ-რასიდან, იაპონიიდან, ახალი ზელანდიიდან, სამხრეთ აფრიკიდან, და დიდი ბრიტანეთიდან. მართა-ლია, ეს არის ნათელი გამოხატულება იმისა, თუ როგორი სიმარტივით ვრცელდება იდეები თანამედ-როვე მსოფლიოში (ბესტ, 2001), თუმცა მხოლოდ ამით მაინც არ აიხსნება ამ იდეის ასეთი დიდი პოპულარობა. ასევე, არ აიხსნება ის, თუ რატომ აღაფრთოვანა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ ამდენი ადამიანი 1990 წლების შუაში და ბოლოს.

ეს ნაშრომი არ შეაფასებს ნულოვანი ტოლერანტობის საპოლიციო მიდგომის წარმატებას, ან წარუმატებლობას; სტატია იკვლევს ნულოვანი ტოლერანტობის იდეის მნიშვნელობას აშშ–ს სისხლის სამართლის კონტექსტში, ამ ისტორიულ ჭრილში. ნათელია, რომ ნულოვანი ტოლერანტობა არის იდეა, რომელიც გაჟღენთილია პოპულისტური ხიბლითა და მნიშვნელობით, მაგრამ, რატომ აქვს მას ასეთ რეზონანსი კულტურაში? რისი გამოხატულებაა ეს? რატომ არის ნულოვანი ტოლერანტობის იდეა დღეს ასე გავრცელებული? იმისათვის, რომ ამ კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა შევძლოთ, მნიშვნელოვანია ნულოვანი ტოლერანტობის განთავსება ფართო სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში. ეს სტატია ამტკიცებს, რომ ნულოვანი ტოლერანტობა რეზონანსდება თანამედროვე კულტურაში, რადგან ეს სიმბოლური გამოხატულებაა იმ მრავალმხრივი დაძაბულობისა და შფოთვისა, რომელიც არსებობს თანამედროვე საზოგადოებაში[1]. ეს შფოთვა ვლინდება სამართლისა და წესრიგის ხშირად არამდგრადი და წინააღმდეგობრივი პოლიტიკის საშუალებით (გარლანდი, 1996; ომაილი, 1999); საზოგადოებაში მარგინალური მოსახლეობის რუტინული შემოწმებით; ამ ორი მოვლენის მიმართ საზოგადოებრივი ტოლერანტობის მაღალი დონით. ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, თავისუფალი ბაზრის ნეოლიბერალიზმისა და სოციალური კონსერვატიზმის ზრდა დასავლეთის ინდუსტრიულ დემოკრატიებში ქმნის მნიშვნელოვან ფონს, სადაც ღვივდება საზოგადოებაში არსებული შიშები (გარლანდი, 2001; მაკარდი & ერზენი, 2001; ომაილი, 1999). მსჯელობას სწორედ ამ არგუმენტით დავიწყებთ.

ნულოვანი ტოლერანტობის წარმოშობის თეორიული განხილვა ნეოლიბერალიზმისა და სოციალური კონსერვატიზმის აღზევება

გარლენდმა (2001, გვ. 79) 1950-1973 წლების პერიოდი აღწერა, როგორც „განვითარებისა და ცხოვრების დონის ზრდის გასაოცარი პერიოდი“ განვითარებულ ინდუსტრიულ სამყაროში. ომისშემდგომი წლები ხასიათდებოდა პრაქტიკულად სრული დასაქმებით, თანდათანობით მზარდი ხელფასებით, პროგრესული დაბეგვრით, ეკონომიკური უსაფრთხოებით, ძლიერი პროფკავშირებით, მასობრივი ინფრასტრუქტურული ინვესტიციებით, სამომხმარებლო კაპიტალიზმის გავრცელებითა და კონსოლიდაციით და ზოგადი ნდობით კეინსიანული მოთხოვნის მართვისა და კეთილდღეობის სახელმწიფოსადმი. გაიზარდა საშუალო კლასი, ისევე როგორც კეთილდღეობის პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავდა სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას. ამ პერიოდში დანაშაულის მზარდი მაჩვენებელი განიხილებოდა, როგორც სიღარიბის და რესურსების სიმწირის შედეგი. სისხლის სამართლის თეორია საბოლოოდ ეყრდნობოდა „ინდივიდის გაგებას, მისი დანაშაულთან მიმართების დაზუსტებას, ასევე გარემოსა და სოციალური ჭრილების გავლენის დადგენას ცალკეულ დამნაშავეებზე“ (გარლანდი, 2001, გვ. 43).

სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო დამნაშავეების რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში. ციხეები მხოლოდ უკიდურეს მექანიზმად მოიაზრებოდა. ამრიგად, ეს პერიოდი ხასიათდებოდა ინტეგრაციულობით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სოლიდარობას, სოციალურ სამართლიანობას, პროგრესულ სოციალურ ცვლილებებს და საზოგადოების სოციალური ფენებად დაყოფის დაძლევაზე ზრუნვას (გარლანდი, 1996). გაბატონებული განწყობა იყო ის, რომ სახელმწიფოს შეეძლო, ყოფილიყო როგორც წამყვანი, ისე შემსრულებელი ძალა (steering and rowing) (ბრაითვეიტი, 2000). შედაგად, გაჩნდა ნდობა საჯარო მოხელეებისა და ექსპერტების შესაძლებლობის მიმართ, ეწარმოებინათ პოლიტიკა და ხელი შეეწყოთ მდგრადი კეთილდღეობის განვითარებისთვის.

ეს ყველაფერი შეიცვალა 1970-1980 წლებში, როდესაც კეთილდღეობის სახელმწიფომ გაიარა ეკონომიკური რეცესიები, შრომის მენეჯმენტის კონფლიქტები და პოლიტიკური არასტაბილურობა.

ამ რეცესიის კონტექსტში, კეინსიანული მოთხოვნის მართვის ინსტრუმენტებმა ვერ დაალაგეს მიწოდება და მოთხოვნა. . . ათწლეულის განმავლობაში მასობრივმა უმუშევრობამ კვლავ იჩინა თავი, დაიშალა ინდუსტრიული წარმოება, პროფკავშირულ გაერთიანებებში წევრების რაოდენობა მასობრივად შემცირ-და, და შრომის ბაზარმა თვითრესტრუქტურიზაცია მოახდინა, რამაც დრამატული სოციალური მნიშვნელობა შეიძინა მომდევნო წლებში (გარლანდი, 2001, გვ. 81).

დეინდუსტრიალიზაციისა და სამუშაო ადგილების შემცირების გავლენა საწარმოო სექტორში დღემდე იგრძნობა. დაბალკვალიფიციური და საშუალოკვალიფიციური სამუშაო ადგილების მოშლამ, რომელიც სამრეწველო რევოლუციის დასაწყისიდან მუშათა კლასის დასაქმების ხერხემალი იყო, აიძულა მოსახლეობის დიდი ნაწილი მორგებოდა ახალ ბაზარს, სადაც ფასობდა მობილობა და მოქნილი უნარები. ასეთი უნარების არ/ვერ შეძენის შემთხვევაში კი დასაქმების გზით მოპოვებული უსაფრთხოება ნაკლებად მიღწევადი გახდა.

სერვისისა და მაღალტექნოლოგიური სექტორის გაფართოება გულისხმობდა, რომ დასაქმების შესაძლებლობების მზარდი წილი ძირითადად უნდა განაწილებულიყო ორ კატეგორიაში: ნახევარ განაკვეთზე პოზიციები, რომლებიც დიდწილად იყო მიმართული ქალებზე, ან მაღალკვალიფიციური პოზიციები, რომლებიც გამიზნული იყო ახალ კურსდამთავრებულებზე (Garland, 2001). ამ ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის შედეგად გაჩნდა მზარდი უფსკრული ახალ ეკონომიკაში მაღალი და დაბალი შესაძლებლობებისა და უნარების ფენებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი საბოლოო ჯამში მაინც ჩაერთო მეინსტრიმულ ეკონომიკაში, მნიშვნელოვანი ნაწილი - ვისაც ანდერსონი (1999) „ჩაძირულ მეათედს“ უწოდებს, უფრო მეტად დამოკიდებული გახდა კეთილდღეობის შემწეობაზე. კეთილდღეობის სერვისები შემცირებასთან ერთად ეს დაუცველი ჯგუფი საერთოდ გარიყული აღმოჩნდა საერთო სოციალური ინსტიტუტებისაგან, რამაც სერიოზული გამოწვევები შეუქმნა სახელმწიფოს (ანდერსონი, 1999). ამრიგად, 1970-1980 წლებში სოლიდარობის პროექტი დაიშლა, კეთილდღეობის სახელმწიფოს დასუსტდა და მნიშვნელოვნად შეირყა ექსპერტებისა და თანამდებობის პირების შესაძლებლობის მიმართ საზოგადოების ნდობა.

ამ პერიოდის ეკონომიკურ რესტრუქტურიზაციას თან ახლდა მთელი რიგი სოციალური და კულტურული გარდაქმნები, რომლებიც უნდა განვითარებულიყო სხვადასხვა ინსტიტუტების საშუალებით (გარლანდი, 2001). ცვლილებები შეეხო ოჯახის ცნებასა და ოჯახის სტრუქტურას - რომელსაც აყალიბებდა კეთილდღეობის სახელმწიფოს სერვისები და ეკონომიკური უსაფრთხოება - იკლო შვილადობის მაჩვენებელმა, გაიზაირდა განქორწინებების რიცხვი, გაჩნდა მარტოხელა მშობლების შინამეურნეობები და ამასთან, გაიზარდა ტოლერანტობა ალტერნატიული ოჯახის ფორმების მიმართ. მოსახლეობის გარეუბნებში მასობრივმა გადასვლამ და ელექტრონული მასმედიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოციალურ ურთიერთობებზე, სამომხმარებლო კაპიტალიზმზე, საჯარო სერვისებზე და მთავრობის გამჭვირვალობაზე. და ბოლოს, სოციალური ცხოვრების და კულტურის ზოგადმა დემოკრატიზაციამ გამოიწვია თანაბარი უფლებებისადმი მოთხოვნილებების ზრდა, ხელი შეუწყო პლურალისტული და იდენტობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას, და შექმნა „მორალური ინდივიდი. “ კოლექტიური მოთხოვნებისა და აბსოლუტისტური მორალისგან გათავისუფლებულმა ინდივიდმა უფრო მეტი მნიშვნელობა დაუთმო ორმხრივ მიმღებლობას და თავისუფლებას, მათ შორის თვით-გამოხატვის თავისუფლებას კონსუმერულ საზოგადოებაში (გარლანდი, 2001).

ყველა ამ ძვრას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა როგორც დანაშაულის, ასევე დანაშაულის კონტროლის მიმართულებით. მზარდმა სამომხმარებლო კულტურამ შექმნა ახალი შესაძლებლობები კრიმინალისთვის, რაც, თავის მხრივ, უფრო მიმზიდველი გახდა სოციალური ეკოსისტემისა და კულტურის ცვლილებების შედეგად, რამდენადაც შესუსტდა როგორც სიტუაციური, ისე არაფორმალური კონტროლი. ამ ყველაფერს „ბეიბი ბუმერების" თაობის ბიჭების დიდი ჯგუფი დაემატა, რომელიც დანაშაულის ზრდის ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი გახდა. მოკლედ რომ ვთქვათ, „ახალმა სოციალურმა და კულტურულმა შეთანხმებებმა გვიანი თანამედროვე საზოგადოება დანაშაულისკენ მიდრეკილად" გადააქცია (გარლანდი, 2001, გვ. 91).

1970-1980 წლების ეკონომიკურმა და სოციალურმა რყევებმა, ერთგვარი წინააღმდეგობა წარმოშვა საზოგადოებაში დესტაბილიზაციის გამომწვევად აღქმულ კეთილდღეობის სახელმწიფოსა და ნებადართულ, ეგოისტურ კულტურას შორის. იმის მიუხედავად, რომ კეინსიანური ეკონომიკისა და მორალური ინდივიდუალიზმის საწინააღმდეგო პოლიტიკური მოძრაობა ჯერ კიდევ 1960-იანებში არსებობდა (ბეკეტი, 1997), 1970-1980 წლებში მან პიკს მიაღწია. ახალმა საშუალო კლასმა, რომელიც ბიუროკრატიას და კეთილდღეობის სახელმწიფოს რესურსის განიავების მექანიზმად უყურებდა, გააძლიერა ეს რეაქციული მოძრაობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სწორედ ის ჯგუფია, რომელიც სარგებელს იღებდა კეთილდღეობის სახელმწიფოს სერვისებით, ელექტორატის ეს დიდი ნაწილი ახლა უკვე უკმაყოფილებას გამოთქვამდა შემცირებული მოგებებით. ამ კონტექსტში ნეოლიბერალურმა, თავისუფალი ბაზრის იდეამ მოიცვა მთავრობა და საზოგადოება.[2] მაგრამ, პოლიტიკური ლიდერების, როგორიც იყვნენ ტეთჩერი, რეიგანი და ბუში, მოტივაცია იყო არამარტო იდეოლოგიური საჭიროება, შეექმნათ ვალდებულებებისგან თავისუფალი ბაზარი, არამედ მათი უარყოფითი განწყობა იმ საზოგადოების მიმართ, რომელიც, მათი აზრით, გახდა ზედმეტად ურჩი, მიმღებლური და კეთილდღეობაზე დამოკიდებული. თავისუფალი ბაზრის ლიბერალიზმითა და ნეოკონსერვატიული ავტორიტარიზმის შერწყმით (,,ქორწინებით") წარმოიშვა „ახალი მემარჯვენეობა." ამან კი შექმნა გარემო, სადაც დაინერგა კანონიერებისა და წესრიგის ახალი პოლიტიკა, სისხლის სამართლის სისტემის ისეთი პრაქტიკები, როგორიცაა ნულოვანი ტოლერანტობა და დღეს არსებული ფართომასშტაბიანი სოციალური გარიყულობის პროექტი.

კანონიერებისა და წესრიგის პოლიტიკა

დანაშაულის ზრდა, როგორც გვიანდელი თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნორმალური სოციალური ფაქტი ერთგვარი ტესტს წარმოადგენდა სახელმწიფოსთვის იმის გამოსარკვევად, შეძლებდა თუ არა იგი თითოელი მაცხოვრებლის სათანადო დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ეს გამოწვევა განსაკუთრებით ყურადსაღები იყო 1970-იან წლებში დანაშაულის მუდმივი და მზარდი შიშის გამო (გარლანდი, 1996). მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ზოგიერთი ამ შიშთაგანი იყო რაციონალური, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ცხოვრობდა გაღატაკებულ ურბანულ ცენტრებში, ტელევიზიებმა და მასმედიამ მაინც ჩამოაყალიბეს, გააძლიერეს და გაავრცელეს ფართო საზოგადოებაში ეს შეშფოთება დანაშაულებების მიმართ. მედია ხშირად წარმოადგენდა დანაშაულის დამახინჯებულ სურათს, რაც შიშს უფრო მეტად აძლიერებდა კონკრეტულ ქვეჯგუფებში - განსაკუთრებით, ხანდაზმულებში და მდიდრებში, რომელთა ვიქტიმიზაციის ობიექტური რისკი, განსაკუთრებით ძალადობრივი ვიქტიმიზაციის, შედარებით დაბალი იყო. ამ პირობებში ლიბერალური დანაშაულის პოლიტიკამ დიდი დარტყმა მიიღო და, შედეგად, მისი პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა შეირყა. სისხლის სამართლის პოლიტიკის ექსპერტების მიმართ პატივისცემა, რითაც ისინი ტრადიციულად

სარგებლობდნენ, სწრაფად შემცირდა, რადგან ზოგი ამტკიცებდა, რომ რეაბილიტაციისადმი რწმენა უსარგებლო იყო, ზოგი კი მიიჩნევდა, რომ სისტემის ნდობა რეფორმირების მიმართ კრიტიკას იმსახურებდა.

დანაშაულის ზრდის შიშისა და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მკვეთრად გაუარესების გამო შექმნილ ვაკუუმში კანონიერებისა და წესრიგის მკვეთრად პოპულისტური პოლიტიკური დისკურსი გაჩნდა. ეს მიდგომა წარმოჩინდა, როგორც წარუმატებელი ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის ახალი მემარჯვენე ალტერნატივა. დანაშაულისადმი ეს დამოკიდებულება ხაზს უსვამდა ექსპრესიულ პოლიტიკას და სასჯელს, რათა ხელახლა დამკვიდრებულიყო სახელმწიფოს კონტროლი დანაშაულზე. კონსერვატორებისთვის, რომლებიც იწონებდნენ ამ მოდელს, ეს მკაცრი მიდგომა იყო ერთადერთი ადეკვატური პასუხი კეთილდღეობის სახელმწიფოსთვის, რომელიც იფარებდა დანაშულს, ხელს უწყობდა კეთილდღეობის სახელმწიფოს სერვისებზე დამოკიდებულებას და ძირს უთხრიდა ტრადიციულ სოციალური კონტროლის მექანიზმებს. ექსპრესიული პოლიტიკა პოპულარული მხოლოდ კონსერვატორებში არ გამხდარა. ყველა, ვისაც აშინებდა დანაშაული, აშფოთებდა კეთილდღეობის სახელმწიფოს სერვისებზე დამოკიდებულების გაზრდილი მაჩვენებელი და კულტურული ცვლილების ფორმა, ამ იდეის პოტენციური მხარდამჭერი გახდა. აშშ – ში 1980-1990 წლებში, ელექტორატის მხარდაჭერის მოპოვებით, ახალი მემარჯვენეების სოციალურ-კონსერვატიულმა ფრთამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სისხლის სამართლის სისტემის მოწყობაში. ნულოვანი ტოლერანტობა, სავალდებულო სასჯელები, „სამი შეცდომის წესი," ვადაზე ადრე გათავისუფლების გაუქმება, საზოგადოების საქმის კურსში ჩაყენების ვალდებულება (community notication), ბანაკები, თავისუფლების აღკვეთის როგორც სასჯელის რუტინული გამოყენება და დამნაშავეთა მკურნალობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემცირება - ის მიდგომებია, რომელიც ამ ძლიერი მოძრაობის მიერ იქნა ხორცშესხმული. ისინი ძალაში დარჩნენ, ზოგ შემთხვევაში კი გაფართოვდნენ კიდეც მეტად ლიბერალური მთავრობების არჩვის პირობებშიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქმედებს სადამსჯელო ლოგიკა, მისი შეცვლის მცდელობით კი შეიძლება, საფრთხე შეექმნას მომავალი ელექტორატის მობილიზებას.

ო'მეილი (1999) აღნიშნავს, რომ ექსპრესიული, სადამსჯელო სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პარალელურად, ახალი მემარჯვენე მთავრობების მიერ მიღებული იქნა არაერთი, ერთი შეხედვით ურთიერთსაწინააღმდეგო, არასადამსჯელო ზომები, ისეთები როგორიცაა მედიაცია და რესტიტუცია. ამ პროგრამებს ხშირად მართავენ არასამთავრობო უწყებები, ეს მიდგომები კი შეგვიძლია ტრადიციული, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის თავისუფალ ბაზარზე გადაცემის მცდელობად მივიჩნიოთ. ამ პირობებში გარდაუვალია, რომ გაჩნდეს წინააღმდეგობრივი ახალი მემარჯვენე ხედვები; ეს არის მიმართულება, რომელიც არსებული თავისუფალი ბაზრისა და სოციალურ-კონსერვატიულ ძალაში წარმოქმნილი ურთიერთწინააღმდეგობის შედეგად არის ჩამოყალიბებული. სწორედ თავისუფალი ბაზარის არსებობით აიხსნება კერძო ციხეების, კერძო უსაფრთხოების სისტემების და მკურნალობის კერძო პროგრამების ზრდა.

ტრადიციული სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის თავისუფალ ბაზარზე დელეგირებას თან ახლდა დანაშაულის პრევენციის პროგრამების ზრდა და სხვა ინიციატივები, რომლებმაც მკვეთრად გარდაქმნეს სახელმწიფოს როლი დანაშაულის კონტროლის მიმართულებით, რასაც გარლანდი (2001, გვ. 124) სახელმწიფოს „პასუხისმგებლობის დაკისრების სტრატეგიას" უწოდებს ("responsibilization strategy"). კერძო სექტორთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობით, იზრდება სახელწიფოს წვდომის არეალი და იქმნება კონტროლის გაუმჯობესებული ქსელი, რომელიც ავსებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფორმალურ სისტემას. ეს სტრატეგია არა მხოლოდ აღიარებს სუვერენული სახელმწიფოს

შეზღუდულ შესაძლებლობებს, რომ გააკონტროლოს დანაშაული გვიანდელ თანამედროვე საზოგადოებაში (გარლანი, 1996), არამედ „წარმოადგენს მმართველობის ახალ ფორმას - დისტანციიდან მართვას - იგი ითვალისწინებს სახელისუფლებო პრინციპებსა და გზებს, რომლებიც ახლა უკვე კარგად არის ჩამოყალიბებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სფეროებში“ (გარლანდი, 2001, გვ. 127). ამრიგად, რეკონსტრუქციული სახელმწიფო დანაშაულის წინააღმდეგ ილაშქრებს გამოხატული და პოპულისტური სისხლის სამართლის პოლიტიკის საშუალებით, იმის დასამტკიცებლად, რომ იგი მართავს სიტუაციას და პარალელურად ცდილობს ამით მოიზიდოს ელექტორატი. იგი პასუხისმგებლობის დელეგირებას ახდენს და, ამავდროულად, ხელს უწყობს თანამშრომლობას კერძო და არაკომერციულ სექტორებთან, რაც მის შესაძლებლობებს აფართოებს, მაგრამ ასევე მიანიშნებს, რომ მას აქვს შესუსტებული შესაძლებლობები დანაშაულის კონტროლის მიმართულებით.

ეს ორივე იმპულსი აშკარად ჩანს ნულოვანი ტოლერანტობის ბოლოდროინდელ აღზევებაში. სახელმწიფოს საჭიროება, განახორციელოს კონტროლი დანაშაულზე ექსპრესიული ზომების საშუალებით, აძლიერებს და ავრცელებს ზოგად შეშფოთებას დანაშაულის შესახებ. პოლიტიკოსებმა გაიგეს, რომ შეშინებული საზოგადოება, როგორც წესი, მხარს დაუჭერს მათ, ვისაც აქვს მკაცრი ხედვა დანაშაულის მიმართ. ეს შეხედულებები სულ უფრო და უფრო სადამსჯელო და შეუწყნარებელია და რეკლამირდება მედიასაშუალებებით, რომლებიც იყენებენ დანაშაულისა და დანაშაულის პოლიტიკის შესახებ ისტორიებს, რადგან ისინი მომგებიანია. დანაშაულის მიმართ აღშფოთებისა და შეუწყნარებლობის გამონათქვამები თავიანთი მუდმივი არსებობით კულტურაში, ლეგიტიმაციას უქმნიან საზოგადოებაში არსებულ შიშს და კიდევ უფრო ამყარებენ სადამსჯელო ლოგიკას. როდესაც იდეები, როგორიცაა ნულოვანი ტოლერანტობა, ხდება კონტროლის მისაღები ფორმა, მისი ლოგიკის დელეგირება ხდება სახელმწიფოს „პასუხისმგებლობის დაკისრების სტრატეგიის“ ფარგლებში. შედეგად ვიღებთ მეტად შეუწყნარებელ საზოგადოებას, რომელიც არის განსჯაზე და გარიყვაზე ორიენტირებული, ნაცვლად ინკლუზიური საზოგადოებისა, რომელიც დაფუძნებულია სოციალური სამართლიანობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპებზე.

გარიყვის კრიმინოლოგია

თუ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდმა (თანამედროვეობა) ხაზი გაუსვა ინკლუზიურ სისხლის სამართალს, XX საუკუნის ბოლო მესამედმა (გვიანდელი თანამედროვეობა) ხაზი გაუსვა საპირისპიროს, გარიყვის სამართალს (Young, 1999). ინკლუზიური სულისკვეთება მოიაზრებდა იმ მიდგომას, რომ დამნაშავეებს, თუნდაც მათ, ვინც ძალადობრივი დანაშაულები ჩაიდინეს, შეეძლებოდათ რეაბილიტაცია და ისინი საზოგადოებაში ეფექტურ რეინტეგრაციას მოახდენდნენ. თავის მხრივ, გარიყვის სამართალს აღმოვაჩენთ სხვადასხვა სტრატეგიაში, რომელიც განვითარდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მათ გასაკონტროლებლად, ვინც განიხილება, როგორც არაცივილური, ან საშიში: „დაქვემდებარებული კლასის წარმომადგენლები, მარგინალიზებულები, დაუცველები, კრიმინალები“ (ვარდების, 2000, გვ. 331). მიუხედავად იმისა, რომ სამი შეცდომის წესი, პრევენციული დაკავება, სავალდებულო განაჩენი და პენიტენციური სასჯელების გამოყენების ზრდა ამ სტრატეგიებს შორისაა, ნულოვანი ტოლერანტობა არის ის მიდგომა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს გარიყვის მეთოდით დანაშაულის კონტროლს.

შესაძლებელია, რომ მიმდინარე მოძრაობა, რომელიც მიმართულია ე.წ. საშიში კლასების უფრო დიდი კონტროლისკენ, მთლიანად პროგნოზირებადი იყო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი განვიხილავთ სოციალური და სისხლის სამართლის რეგულირების ისტორიას. დანაშაულის ზრდას ყოველთვის

ჰქონდა პოტენციალი, რომ სიმბოლურად წარმოედგინა სოციალური ხარვეზები, რასაც მიყავდა სისტემა ფორმალური კონტროლისა და სასჯელის გამკაცრებისაკენ (დაუნსი, 2001). მელოსი (2000) ამტკიცებს, რომ ეს კრიმინალის წინააღმდეგ გაძლიერებული კონტროლი ციკლური გზით ხდება. სოციალურ პერიოდებში, რომელსაც ახასიათებს დადებითი ეკონომიკური პირობები და ზოგადი ოპტიმიზმი, ჭარბობს უფრო ლიბერალური სოციალური დამოკიდებულება. ასეთ გარემოში პატიმრობის დონე დაბალია და იკვეთება სარეაბილიტაციო პროგრამების პრევალენტობა. ზოგჯერ დამნაშავეებს თანაგრძნობით ეკიდებიან, რადგან მათ აღიქვამენ, როგორც ვირტუალურ მეომრებს უსამართლო საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლაში. კრიმინალის მიმართ რადიკალურად განსხვავებული შეხედულები ყალიბდება სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში.

ასეთი პერიოდების აშკარა მახასიათებელია კონსერვატიზმი და აქტიური კამპანია საზოგადოების დასაცავად იმ დამნაშავეების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან არსებულ მორალურ და სოციალურ წესრიგს. ამ დროს ასევე იკვეთება სოციალური შეუწყნარებლობა, პატიმრობის უფრო მაღალი მაჩვენებლები და უფრო მკაცრი სასჯელები. ამრიგად, საზოგადოება დამნაშავის მიმართ თანაგრძნობის ნაცვლად გმობს ბოროტმოქმედს, რაც არ არის შემთხვევითი და არაპროგნოზირებადი. თუ რეაბილიტაციის ბოლოდროინდელ კრიტიკას და ნულოვანი ტოლერანტობის იდეის პოპულარიზაციას მელოსის მიერ წარმოდგენილ ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, შეუწყნარებლობა მათ მიმართ, ვინც მტერს სიმბოლურად გამოხატავს, ნამდვილად არ არის შემთხვევითი. ამასთან, არსებობს თანამედროვე კონტროლის სტრატეგიების უნიკალური თვისებები, რომლებმაც შეიძლება მკვეთრად იმოქმედოს მოვლენების განვითარებაზე.

ზემოთ ვამტკიცებდი, რომ დღევანდელი გარიყვის კრიმინოლოგიის პოლიტიკის ფესვები შეგვიძლია აღმოვაჩინოთ იმ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში, რომლებიც თან სდევს გვიან მოდერნულ პერიოდს. ამ ფონზე წარმოიშვა სოციალური მარგინალიზაციის მართვის ახალი რეჟიმები (ბეკეტი & ვესტერნი, 2001). ნულოვანი ტოლერანტობა გულისხმობს სოციალური კონტროლის გაცილებით ფართო და უფრო ღრმა ტრანსფორმაციას. იგი ასევე ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად არის სიღარიბის, უმუშევრობის და სოციალური გარიყვის პრობლემები დამახინჯებული საზოგადოებრივ დისკურსში „ახალი ტრიუმფალიზმით“, რომელიც „ამაყობს“ იმით, რომ დანაშაულის კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მეშვეობით (კურიე, 1999, გვ. 2).

სოციალური მარგინალობის მართვის ახალი მოდელები

ნულოვანი ტოლერანტობის ზრდა დაკავშირებულია სოციალური მარგინალობის მართვის რეკონსტრუქციასთან, რომელიც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მოხდა. ბეკეტისა და ვესტერნის (2001) მიხედვით, ამ რეკონსტრუქციის ბუნება შეიძლება შევაჯამოთ, როგორც კეთილდღეობის იდეისაგან თავის დაღწევა სისხლისსამართლებრივ და სოციალურ სფეროებში:

თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში წარმოდგენილი უსახლკარობის პრობლემა განხილულია, როგორც უსაფრთხოების საკითხი, და არა სოციალური პრობლემა. ასეთი მიდგომა საკმაოდ პესიმისტურია სოციალურად მარგინალური ჯგუფების ინტეგრაციის შესაძლებლობის კუთხით, რადგან იგი ხაზს უსვამს ღარიბთა საშიშ და უღირს ბუნებას, უფრო მეტად, ვიდრე ეს იყო საუკუნის დასაწყისში (გვ. 46–47).

კეთილდღეობის პოლიტიკაზე თავდასხმის პირობებში, სერვისების მიმღებები აღმოჩნდნენ მამარგინალიზებელი განწყობების სამიზნე, რომლებიც წამლავდნენ პოლიტიკურ დისკურსს. უსაფრთხოების ზომების გამკაცრება აღარ ეხება მხოლოდ დანაშაულს და კრიმინალს; სოციალური კონტროლის, სოციალური გარიყვის და სოციალური მარგინალიზების ლოგიკა გავრცელდა როგორც სასჯელაღსრულების, ისე კეთილდღეობის ინსტიტუტებში (ბეკეტი & ვესტერნი, 2001). აშშ-ში, სისხლისსამართლებრივი და კეთილდღეობის პოლიტიკების ასეთი გადაკვეთა კიდევ უფრო რიყავს ჯგუფებს, რომლებიც იმთავითვე განიცდიან შეუწყნარებლობას და სოციალურ გარიყულობას, მათი სიღარიბის და/ან უმცირესობის სტატუსის გამო.[3] სივრცითი, ეკონომიკური და რასობრივი სეგრეგაცია, რომელიც შენარჩუნებულია აშშ-ს საზოგადოებაში ნიშნავს, რომ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განხორციელება შეიძლება მოწესრიგდეს ისე, რომ ის მხოლოდ საზოგადოებისთვის საფრთხედ მიჩნეულებს შეეხოთ. ამ თვალსაზრისით, გაბატონებული სადამსჯელო სტრატეგია ერთ–ერთი არსებითი განსხვავებაა. როგორც დევიდ გარლენდმა (1996, გვ. 461) თქვა, „ეს სხვათა კრიმინოლოგიაა, რომელიც დამნაშავეებს განსხვავებული რასობრივი და სოციალური ჯგუფების საშიშ წევრებად წარმოადგენს, ისინი არიან სხვანი და ნაკლებად აქვთ რაიმე საერთო ჩვენთან.“ ამ კონცეფციის შედეგად წარმოქმნილი უკიდურესი მარგინალიზაცია აძლიერებს სადამსჯელო სტრატეგიას და უკვე შეშფოთებულ საზოგადოებას უადვილებს ისეთი პოლიტიკის მხარდაჭერას, როგორიცაა ნულოვანი ტოლერანტობა. შედეგი არის ზომიერი მიდგომის სრული გაუჩინარება, რომელიც დამნაშავეს სახავს როგორც დაუცველ ან არასაკმარისად სოციალიზებულ მდგომარეობაში მყოფს, და მას უქვემდებარებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას როგორც სოციალურ, ასევე სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაში გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებით“ (გარლენდი, 1996, გვ 462). სოციალური მარგინალიზაციის მმართველობა გულისხმობს უზარმაზარი უთანასწორობის არსებობას, უკიდურეს სოციალურ გარიყვას და ისეთი პოლიტიკის გამოყენებას, როგორიცაა ნულოვანი ტოლერანტობა, რათა ეფექტურად მოხდეს „მთელი ამ ამბის კონტროლი“ (კურიე, 1999, გვ. 12).

სოციალური მარგინალობის მარეგულირებელი ახალი მეთოდი განპირობებულია „დაზღვევითობის ლოგიკით“ (ფილი & საიმონი, 1994), რომელიც თანამედროვე პერიოდში წარმოიშვა. ინდუსტრიალიზაციიდან მოდერნიზაციამდე გადასვლას თან ერთვოდა ყოველდღიური რისკების ფართო სპექტრი - დანაშაული, გარემოზე მავნე ზემოქმედება, ავტოსაგზაო შემთხვევები, ახალი დაავადებები, ტერორიზმი და ა.შ., რომელთაგანაც თავი უნდა დაეზღვიათ ინდივიდებს. შირინგი (2001, გვ. 209) აღნიშნავს: „რისკებთან დაკავშირებით, ცხოვრების ახალ სტილს მიეცა დასაბამი. იმის ნაცვლად, რომ წავიდეთ და ის ვაკეთოთ, რაც გვინდა, შემდეგ კი გავუმკლავდეთ პრობლემებს, როდესაც ისინი წარმოიქმნება, ჩვენ ვცდილობთ, წინასწარ განვჭვრიტოთ პრობლემები და თავიდან ავიცილოთ ისინი.“ რისკების ასეთი აღქმა იწვევს წინმსწრებ ქმედებებს მათ წინააღმდეგ, ვინც საფრთხეს უქმნის მორალურ და სოციალურ წესრიგს. ამ მოქმედებების მიზანია რისკების აღმოფხვრა ინდივიდებისა და ჯგუფების მართვისა და რეგულირების გზით. მაშინ, როდესაც დაზღვევითობის ლოგიკა გულისხმობს, რომ ცნება „სხვა“ ყველგან არის და იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ კრიმინალებითა და „აუტსაიდერებით“ (იანგი, 1999). რისკის შემცირების სტრატეგიები, როგორიცაა ნულოვანი ტოლერანტობა, ყველაზე ხშირად მათ წინააღმდეგ გამოიყენება, რომელთაც ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა. გასაკვირი არ არის, რომ რისკიანი საზოგადოების ზრდა დაემთხვა კეთილდღეობის შემცირებას, როგორც პენიტენციურ, ისე სოციალურ სფეროებში. სოციალური მარგინალობის მართვის ახალ რეჟიმად კი ჩამოყალიბდა მეთოდი, რომელიც ცდილობს კონტროლი გაუწიოს ამ სწრაფად ცვალებად საზოგადოებას. გამოხატული და სადამსჯელო ნულოვანი ტოლერანტობის სტრატეგია, რომელიც დანაშაულისა და სოციალური კონტროლის ნაწილი გახდა, ერთდროულად ახერხებს მოსახლეობის დარწმუნებას და რისკის

შემცველი ადამიანების მართვას. მაგრამ, როგორც ქვემოთ ავხსნი, ეს დარწმუნება არის ზედაპირული და, საბოლოოდ, საშიშიც.

ნულოვანი ტოლერანტობის საფრთხეები

ნულოვანი ტოლერანტობა და სხვა, დანაშაულისა და სოციალური კონტროლის სადამსჯელო სტრატეგიები ემყარება იმ აზრს, რომ დანაშაული შეიძლება „გაიწმინდოს.“[4] მაგალითად, ნულოვანი ტოლერანტობის საპოლიციო მიდგომა ირწმუნება, რომ დაბალი დონის დანაშაულების კონტროლი, თავის მხრივ, გამოიწვევს ნაკლები რაოდენობის მძიმე დანაშაულებს. პრაკტიკა კი აჩვენებს, რომ ამ სტრატეგიას ყურადღება გადააქვს სერიოზული დანაშაულებიდან ქუჩის დანაშაულებზე. გარდა ამისა, ეს მიდგომა სათანადოდ არ იაზრებს სრუქტურულ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს დანაშაულს. როგორც ელიოტ კური (1999, გვ.10), აღნიშნავს:

მკაცრი სასჯელების და მასკულინური საპოლიციო მიდგომის საპირწონედ ხდება სოციალური გავლენების როლის არასათანადო შეფასება ძალადობის შემცირების მიმართულებით და ამ შეფასების უკან დგას იდეოლოგიური მიზანი. ეს ხელს უწყობს მტკიცებას, რომ „ძირეულ მიზეზებს“ არ აქვს მნიშვნელობა და, ჩვენ, ვისაც გვჯერა, რომ ნაკლები ძალადობა გვექნება, თუ მკაცრად მოქცევის ნაცვლად, უკეთესად მოვეპყრობით ადამიანებს, ვართ ჩამორჩენილები.

რეპრესიულმა კონტროლმა, რომელიც სოციალური ლანდშაფტის შემადგენელ ნაწილად იქცა, ყურადღება გადაიტანა იმ როლიდან, რომელსაც ასრულებს სოციალური ინტეგრაციის განვითარებაში განათლება, საცხოვრისი, სამუშაო ადგილები, საზოგადოება, ოჯახური ქსელები და პოზიტიური სოციალური მიჯაჭვულობა (გარლანდი, 1998). „ნარკომანიის წინააღმდეგ ომის“ მსგავსად, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბდა ადამიანის ბუნების გამარტივებული ხედვა და მთელი რიგი შინაარსებ-გამოცლილი ექსპრესიული კონტროლის მექანიზმები. ნაკროდამნაშავეების მიმართ მკაცრი მიდგომა, რაც გულისხმობს მათ ციხეში გამოკეტვას, „წმენდს საზოგადოებას“ და, ამავდროულად, აფრთხილებს ნარკოდამნაშავეს, რომ თუ იგი არ შეიცვლის ცხოვრების წესს, მას დიდი ხნით გაარიდებენ საზოგადოებას. საგულისხმოა, რომ ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა ადიქციის, მისი წყაროების შესწავლას და იმ კომპლექსური მიზეზების გამოკვლევას, რითაც აიხსნებოდა თუ რატომაა, რომ ამდენი ამერიკელი არის ნარკოტიკებზე დამოკიდებული.

ანალოგიურად, ნულოვანი ტოლერანტობის საპოლიციო მიდგომაც საზოგადოების „გასუფთავებას“ გულისხმობს, რომ ქვეყანა „გაწმენდილი“ დაგვრჩეს ჩვენ, ვინც „პატივს ვცემთ წესიერების ბაზისურ ნორმებს“.[5] მწირი ყურადღება ექცევა იმ მიზეზების ახსნას, რომლებიც იწვევენ ნაკროდამოკიდებულებას. ასევე, არ არის განხილული ის სერიოზული შედეგები, რომლებიც დგება კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანებისთვის, ვინც უკვე მიეკუთვნებიან საზოგადოების მოწყვლად ფენას. ასეთი მიდგომა ასევე პოტენციურად დამანგრეველია იმ თემისთვის, სადაც უკვე არსებობს სერიოზული სოციალური პრობლემები. მიერსი (1998) ამტკიცებს, რომ აგრესიულმა საპოლიციო მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს გრძელვადიანი პრობლემები, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მოკლევადიან პერიოდში მოხდეს საზოგადოების გათავისუფლება დევიაციური ქცევისგან და დანაშაულისგან. თუ ჩავთვლით, რომ საზოგადოების სოციალური მოწყობა[6] განაპირობებს დანაშაულს, მივიღებთ, რომ ნულოვანი ტოლერანტობის საპოლიციო მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სტრატეგია, რომელიც ემსახურება ამ მოწყობის მოშლას. „ამგვარი სტრატეგიის დადებითი მხარეები მეტწილად ვერ უძლებს კრიტიკას, ხოლო მისი მავნე შედეგები -

ოჯახური კავშირების შეფერხება, ბარიერები შრომით ურთიერთობებში, გაუცხოების დონისა და უნდობ-ლობის გაზრდა - შეიძლება თვითკრიმინოგენული აღმოჩნდეს" (გრინი, 1999, გვ. 182).

დასკვნა

ეს ნაშრომი ამტკიცებს, რომ სადამსჯელო სისხლისსამართლებრივი ზომების ზრდა, როგორიცაა ნულოვანი ტოლერანტობა, არის მთელი რიგი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მოვლენების შედეგი, რომლებმაც გარდაქმნეს დანაშაულის ბუნება და სოციალური კონტროლი აშშ-სა და დასავლეთის ინდუსტრიულ სხვა ქვეყნებში. ნულოვანი ტოლერანტობა ჩვენი დროის მეტაფორაა. იმის გაცნობიერებამ, რომ დანაშაული გვიანდელი თანამედროვეობის განუყოფელი ნაწილია, გამოიწვია შიშისა და შფოთვის დონის ამაღლება და სახელწიფოს დააკისრა დამატებითი მოთხოვნები. ამ ფონზე, სახელმწიფოს რეაგირება ჩამოყალიბდა როგორც ანტიმოდერნული, აბსოლუტისტური და დასჯაზე ორიენტირებული. მაგრამ, ამასთან, ნულოვანი ტოლერანტობა ასევე წარსულის სიმბოლოა: იგი წარმოადგენს იმ დროის გულუბრყვილო და კოლექტიურ მელანქოლიას, როდესაც ადამიანების ქცევაში განსხვავებები აშკარა იყო და ავტორიტეტი ფართო პატივისცემით სარგებლობდა. ეს იყო დრო, როდესაც ფორმალური და არაფორმალური სოციალური კონტროლი უფრო ეფექტური იყო, როდესაც ნაკლები რისკები იყო დაკავშირებული ყოველდღიურ ცხოვრებასთან, და როდესაც საზოგადოებაში არსებული შფოთვა დანაშაულის და დევიაციის სხვა ფორმებთან დაკავშირებით ბევრად ნაკლები იყო.

მაშინ, როცა ნულოვანი ტოლერანტობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში წარმოადგენს კომპლექ-სური და დანაშაულისკენ მიდრეკილი საზოგადოებისთვის წესრიგის დაკისრების მცდელობას, იგი ამას იმგვარად ახორციელებს, რომ აძლიერებს არსებულ უთანასწორობას და ხელს უწყობს ხალხის ჩამოშორებას იმ საზოგადოებიდან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ეს უკანასკნელი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია ნულოვანი ტოლერანტობის და ყველაზე ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორი დაშორებულია ეს მიდგომა წარსულს. როგორც გარლანდი აღნიშნავს: „რაც უფრო კარგად „გესმის" დამ-ნაშავის ... მით უფრო კარგად სჯი მას. დამნაშავის ხელახალი ინტეგრაციის პერსპექტივა სულ უფრო და უფრო არარეალისტურად აღიქმება, და, დროთა განმავლობაში, უფრო და უფრო ნაკლებად ითვლება მორალურად მისაღებად" (2000, გვ. 368). როდესაც ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ვრცელდება და სცდება სისხლის სამართლის სფეროს, გარიყვაზე ორიენტირებული საზოგადოების არეალი ფართოვდება და იქცევა სოციალური ქსოვილის იმ ნაწილად, რომელიც ჩვენი შიშებისა და შფოთვების სიმბოლური გამოხატულებაა.

ბიბლიოგრაფია:

ანდერსონი, ე. (1999). ქუჩის კოდექსი: წესიერება, ძალადობა და ცხოვრების მორალი. ნიუ იორკი: ვ.ვ. ნორტონი & კომპანია.

ბეკეტი, კ. (1997). საზღაური დაშაულისთვის: კანონი და წესრიგი თანამედროვე ამერიკულ პოლიტიკაში. ნიუ – იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა.

ბეკეტი, კ და ვესტერნი, ბ. (2001). სოცილური მარგინალიზების მართვა: კეთილდღეობა, პატიმრობა და სახელმწიფო პოლიტიკის გარდაქმნა. სასჯელი და საზოგადოება, 3, 43–59.

ბესტ, ჯ.(2001). სოციალური პრობლემების ტრანს-ნაციონალური დიფუზია. Hawthorne, NY: Aldine de Gruyter.

ბლუმსტეინი, ა. და ვოლმანი, ჯ. (2000). დანაშაულის ვარდნა ამერიკაში. ნიუ იორჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა.

ბოულინგი, ბ. (1999). მკვლელობების ზრდა და შემცირება ნიუ იორკში: ნულოვანი ტოლერანტობა თუ შემცირებული კოკანი. კრიმინოლოგიის ბრიტანული ჟურნალი, 39, 531–554.

ბრაითვეიტი, ჯ. (2000). ახალი მარეგულირებელი სახელმწიფო და კრიმინოლოგიის ტრანსფორმაცია. კრიმინოლოგიის ბრიტანული ჟურნალი, 40, 222–238.

ბურკე, რ. ჰ. (1998). ნულოვანი ტოლერანტობის საპოლიციო მიდგომის სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი. საპოლიციო საქმიანობა: საპოლიციო სტრატეგიებისა და მენეჯმენტის საერთაშორისო ჟურნალი, 21, 666–682.

კურიე, ე. (1999). ათასწლეულების ანარეკლები დანაშაულსა და კრიმინოლოგიაზე. დასავლეთის კრიმინოლოგიის მიმოხილვა, 2 (1), 1–15. http://wcr.sonoma.edu/v2n1/currie.html

დიქსონი, ბ. (2000). ნულოვანი ტოლერანტობა: საპოლიციო მიდგომები თემში [ელექტრონული ვერსია]. აფრიკის უსაფრთხოების მიმოხილვა, 9, 1–55.

დაუნსი, დ. (2001). მასკულინური სასჯელაღსრულების ეკონომიკა: აშშ-ში მასობრივი დაპატიმრებები - ევროპული პერსპექტივა. სასჯელი და საზოგადოება, 3, 61–80.

ექ, ჯ. და მაგუაირი, ი. (2000). საპოლიციო ცვლილებებმა გამოიწვია ძალადობრივ დანაშაულის შემცირება? მტკიცებულებების შეფასება. ა. ბლუმსტეინი & ჯ. ვოლმენი (რედაქტორები), დანაშაულის დონის ვარდნა ამერიკაში (გვ. 207–265). ნიუ იორკი: კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა.

ფილი მ. and საიმონ ჯ. (1994). აქტუარიალური სამართალი: ახალი სისხლის სამართლის კანონი. დ. ნელკინის (რედ.), კრიმინოლოგიის მომავალი (გვ. 173–200) ლონდონი: Sage.

გარლანდი, დ. (1996). სუვერენული სახელმწიფოს ლიმიტაციები: დანაშაულის კონტროლის სტრატეგიები თანამედროვე საზოგადოებაში. კრიმინოლოგიის ბრიტანული ჟურნალი, 36, 445–471.

გარლანდი, დ. (1998). კრიმინოლოგია, დანაშაულის კონტროლი და "ამერიკული განსხვავება". კოლორადოს უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვა, 69, 1137–1162.

გარლანდი, დ. (2000). მაღალი დანაშაულების დონის საზოგადოებების კულტურა: ბოლოდროინდელი 'კანონის და წესრიგის' პოლიტიკის წინაპირობები. კრიმინოლოგიის ბრიტანული ჟურნალი, 40, 347–375.

გარლანდი, დ. (2001). კონტროლის კულტურა. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის პრესა.

გრინი, ჯ. ა. (1999). ნულოვანი ტოლერანტობა: პოლიციური პოლიტიკის და პრაქტიკის შესწავლა ნიუ იორკში. დანაშაული და დელიკვენტურობა, 45, 171–187.

ჰარკურტი, ბ. (2001, 11 სექტემბერი). გატეხილი ფანჯრების მითი. ნიუ იორკ თაიმსი, A23.

ჰარკურტი, ბ. (2001 ა). წესრიგის ილუზია: ჩატეხილი ფანჯრების საპოლიციო მიდგომის ყალბი დაპირება. კემბრიჯი: ჰარვარდის უნივერსიტეტის პრესა.

კარმენი, ა. (2000). ნიუ – იორკის მკვლელობების საიდუმლო: 1990-იანი წლების დანაშაულის შემცირების ნამდვილი ისტორია. ნიუ იურკის უნივერსიტეტის პრესა.

მაკარდლი, ა (2001). შესავალი. მაკარდლი, ა და ერზინი, თ. (2001). ნულოვანი ტოლერანტობა: ცხოვრების ხარისხი და პოლიციის სისასტიკე ნიუ იორკში. (გვ. 1–16). ნიუ იურკის უნივერსიტეტის პრესა.

მაკარდლი, ა და ერზინი, თ. (2001). ნულოვანი ტოლერანტობა: ცხოვრების ხარისხი და პოლიციის სისასტიკე ნიუ იორკში. ნიუ იურკის უნივერსიტეტის პრესა.

მიერს, თ. ლ. (1998). სოციალური ორგანიზაცია და ნარკოდანაშაულთან ბრძოლა. ამერიკის სისხლის სამართლის მიმოხილვა, 35, 191–227.

მელოსი, დ. (2000). კრიმინალზე წარმოდგენების შეცვლა. კრიმინოლოგიის ბრიტანული ჟურნალი, 40, 296–320.

მილერი, დ. ვ. (2001, 9 თებერვალი). გატეხილი ფანჯრების თეორია. უმაღლესი განათლების ქრონიკა, A14 – A16.

კრებულში გამოყენებული ლიტერატურა:

თავი 1. როჯერ ჰოპკინს ბურკი
Hopkins Burke, Roger. 2013. An Introduction to Criminological Theory, (Taylor & Francis)

თავი 2.1. ალესანდრო დი გიორგი
Di Giorgi, A. (2006), Rethinking the Political Economy of Punishment, Aldershot: Ashgate. გვ. 1-19

თავი 2.2. რობერტ რაინერი
Robert Reiner, Casino capital's crimes: political economy, crime, and criminal justice, in Oxford Handbook of Criminology, 5th ed, 2012 (OUP) გვ. 301-334

თავი 2.3. კრეგ ვორალი
Worrall, C. (2007), 'Crime and Capital: Rethinking a Marxist theory of crime and punishment', Reinvention: a Journal of Undergraduate Research, Launch Issue,

თავი 2.4. გევინ სლეიდი
Punishment and State-Building in Post-Soviet Georgia, in Heathershaw J. & Schatz E. (eds). 2017. Paradox of Power: The Logics of State Weakness in Eurasia. Pittsburgh: Pittsburgh University Press, თავი 6

თავი 3. დევიდ გარლანდი, სასჯელი და მოდერნული საზოგადოება, (CUP) 1990
Garland, D. (1993). Punishment and modern society: A study in social theory. University of Chicago Press.

თავი 4. უილიამ რ. ვუდი,
Wood, W.R. (2014). Punitive Populism. In The Encyclopedia of Theoretical Criminology, J.M. Miller (Ed.). გვ. 1-4

თავი 5. ქარიმ ისმაილი
Karim Ismaili (2003) Explaining the cultural and symbolic resonance of zero tolerance in contemporary criminal justice, Contemporary Justice Review, 6:3, გვ. 255-264

საავტორო უფლებები დაცულია

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

GIPA
In hoc signo vinces
საქართველოს
საზოგადოებრივ
საქმეთა ინსტიტუტი

კრიტიკული პოლიტიკის
პლატფორმა